



## ქრისტიანობა და ეპონომიკა

VIII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა კრებული

(ბათუმი, 5-6 სექტემბერი)

კონფერენცია მიეძღვნა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის დაარსების 80 წლისთავს

თბილისი – ბათუმი  
2015

ქრისტიანობა და ეკონომიკა. VIII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა კრებული. ბათუმი, 2015.

კრებულში წარმოდგენილია 2015 წლის 5-6 სექტემბერს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარებული VIII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები. მოხსენებებში ასახულია ქართველ და უცხოელ მკვლევართა საქმიანობის შედეგები, რომლებშიც განხილულია ქრისტიანობისა და ეკონომიკის, რელიგიისა და საქმიანი ურთიერთობების ურთიერთზეგავლენის საკითხები, მათი თეორიულ-მეთოდოლოგიური ასპექტები და კავშირი ეკონომიკურ და სოციალურ რეფორმებთან.

ნაშრომი განკუთვნილია სასულიერო პირების, თეოლოგების, მეცნიერების, პროფესორების, ეკონომისტების, ბიზნესმენების, მენეჯერების, უმაღლესი განათლების სამივე საფეხურის სტუდენტებისა (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) და ყველა დაინტერესებული ადამიანისათვის.

მოხსენების შინაარსზე პასუხისმგებელია ავტორი.

**რედაქტორები:** პროფესორი რევაზ გოგონა  
ასოც. პროფესორი გიორგი შინაშვილი

**ინგლისურენოვანი ტექსტების რედაქტორი:** ნანა მაისურაძე

**რეცენზენტები:** ასოც. პროფესორი ინეზა გაგნიძე  
ასოც. პროფესორი ნინო პაპაჩაშვილი

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2015

ISSN 2346-7932

ISBN 978-9941-13-432-6



## **CHRISTIANITY AND ECONOMICS**

**Proceedings of the 8<sup>th</sup> International Scientific Conference Papers  
(Batumi, 5-6 September)**

**The Conference devoted to the 80<sup>th</sup> anniversary  
of Batumi Shota Rustaveli State University foundation**

**Tbilisi - Batumi  
2015**

## **Christianity and Economics. Proceedings of the 8<sup>th</sup> International Scientific Conference Papers, Batumi, 2015**

The proceeding includes the papers presented at the 8<sup>th</sup> international scientific conference at Batumi Shota Rustaveli State University. The papers represent results of Foreign and Georgian researchers' scientific activities that deal with the dual influence of Christianity and economics, religion and business activities, theoretical-methodological aspects of this interrelationship and its influence on the economic and social reforms.

The proceeding is intended for clerics, theologians, scientists, professors, economists, businessmen, managers, students of all three educational level (bachelor, master, doctorate) and to other people interested in the issue.

The author is responsible for the content of the paper.

**Editors:** *Professor Revaz Gogokhia*

*Associate Professor Giorgi Shikhashvili*

**Editor of English texts:** *Nana Maisuradze*

**Reviewers:** *Associate Prof. Ineza Gagnidze*

*Associate Prof. Nino Papachashvili*

## ორგანიზაციებისაბან

თეოლოგიურ-ეკონომიკური ხასიათის მეცნიერული კვლევებისა და პრაქტიკული გზების დასახვისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს საეკლესიო-დაცვისმეტყველურ და საუნივერსიტეტო-სამეცნიერო წედვათა სინერგიულ პარმონიზაციას. შემთხვევითი არ იყო, რომ მეცნ დაცვით აღმაშენებელი გელათის აკადემიის დაარსებისას ოცნებობდა, რომ ის ყოფილიყო ახალი იერუსალიმი და ახალი ათინა – მართლმადიდებლობისა და ჭეშმარიტი აზრის სიმბიოზი. საქართველოში უნივერსიტეტი ყოველთვის იწოდებოდა ცოდნის ტაძრად და ამგვარი სახელდების მიზანი იყო მისი არა მხოლოდ წმინდა მეცნიერული პროფილი, არამედ, ასევე, ერთგულება იმ სულიერი ღირებულებებისა, რომლებსაც საუკუნეების განმავლობაში ამკვიდრებდა ქრისტიანული კულტურა. ასევე ეკლესიაც, საუკუნეების მანძილზე უზრუნველყოფდა ერის სულიერი და მატერიალური (მათ შორის, ეკონომიკური) პოტენციალის სიმტკიცე.

საქართველოს ჭეშმარიტი პროგრესისათვის აუცილებელია ბიბლიური და რელიგიურ-ეთიკური პოზიციებიდან გავიაზროთ საზოგადოების განვითარების კანონზომიერებები. საჭიროა ქართული ტრადიციული მსოფლიშედველობისაკენ შემობრუნება და თანამედროვეობასთან პარმონიულად შეხამებული ქრისტიანული ეკონომიკური აზროვნებისა და შესაბამისი სამეურნეო-მმართველობითი საქმიანობის აღორძინება-განვითარება. სწორედ რელიგიისა და ეკონომიკის ურთიერთობის თეორიულ და გამოყენებით საკითხებზე იმსჯელეს 2015 წლის 5-6 სექტემბერს, VIII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე: „ქრისტიანობა და ეკონომიკა – ბათუმი – 2015“, რომელიც გაიმართა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

კონფერენცია მიეძღვნა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დარსების 80 წლისთავს. სამეცნიერო კონფერენციის ორგანიზატორები იყვნენ: ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის საზელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი და ამავე ფაკულტეტის სტუდენტური პრლევებისა და პროექტების ცენტრი „იდეა“.

კონფერენციაში მონაწილეობდნენ აბბა ალავერდელი მიტროპოლიტი დავითი (მახარაძე), დეკანოზი ნიკოლოზი (ნიკოლაიშვილი), ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, ქუთაისის აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის, თბილისის სასულიერო აკადემიის და სემინარიის და გელათის სასულიერო აკადემიის ლექტორები, საქართველოს დაცვით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის, ქუთაისის უნივერსიტეტის, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრ „იდეას“ პროფესორები, დოქტორები და სტუდენტები.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ კონფერენციამ საერთაშორისო მასშტაბი შეიძინა. მასში მონაწილეობდნენ პროფესორები გერმანიიდან (იენის უნივერსიტეტი), ლიტვიდან (გამოყენებითი მეცნიერების აღითავს კოლეგიის უნივერსიტეტი), უკრაინიდან (უჟგოროდის ეროვნული უნივერსიტეტი) და ბელარუსიდან (ბელარუსის სახელმწიფო უნივერსიტეტი). კონფერენციაზე სულ 32 სამეცნიერო ნაშრომი იქნა წარმოდგენილი.

საკითხის სწორედ ასეთი გააზრების საფუძველზე ნაყოფიერად ვთარდება უნივერსიტეტისა და ეკლესიის შემოქმედებითი თანამშრომლობა, რომლის ფარგლებში თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ინიციატივითა და მონაწილეობით 2005 წლიდან დღემდე ქრისტიანობისა და ეკონომიკის ურთიერთგავშირის საკითხებზე რვა სამეცნიერო კონფერენცია გაიმართა:

- I სამეცნიერო კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა – თსუ-2005“ (თსუ, მაღლივი კორპუსი, 2005 წლის 19 აპრილი);

- II სამეცნიერო კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა – ბოლნისი-2008“ (ბოლნისი, 2008 წლის 13 აპრილი);
- III სამეცნიერო კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა – თსუ-2008“ (თსუ, მაღლივი კორპუსი, 2008 წლის 30 მაისი);
- IV სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა – მესტია-2008“ (მესტია, 2008 წლის 25-30 ივნისი);
- V სამეცნიერო კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა – თსუ-2010“ (თსუ, მაღლივი კორპუსი, 2010 წლის 25 იანვარი);
- VI სამეცნიერო კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა – საგარეჯო -2012“ (საგარეჯო, მანავი, 2012 წლის 22 ივნისი);
- VII სამეცნიერო კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა – გორი – 2013“ (გორი, 2013 წლის 30 ივნისი);
- VIII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა – ბათუმი – 2015“ (ბათუმი, 2015 წლის 5-6 სექტემბერი).

ჩატარებული კონფერენციები და მათზე წარმოდგენილი თემები ნათლად მიუთითებს განსახილველი პრობლემების დიდ აქტუალობაზე თანამედროვე საქართველოს ეკონომიკური განვითარებისათვის. განზრახულია ანალოგიური კონფერენციების ციკლის განვრმიბა და მათი გამართვა ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში, რითაც კიდევ უფრო გაღრმავდება მეცნიერებისა და რელიგიის, უნივერსიტეტისა და ეკლესიის შემოქმედებითი თანამშრომლობა საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საშვილიშვილო საქმეში.

კრებულში წარმოდგენილა 2015 წლის 5-6 სექტემბერს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარებული VIII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები. მოხსენებებში ასახულია ქართველ და უცხოელ მკვლევართა საქმიანობის შედეგები, რომლებშიც განხილულია ქრისტიანობისა და ეკონომიკის, რელიგიისა და საქმიანი ურთიერთობების ურთიერთზეგავლენის საკითხები, მათი თეორიულ-მეთოდოლოგიური ასპექტები და კავშირი ეკონომიკურ და სოციალურ რეფორმებთან.

### **მურმან ცეცხლაძე**

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ეკონომიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი,  
ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,

**გიორგი შინაშვილი**  
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის  
ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,  
ამავე ფაკულტეტის სტუდენტური კვლევებისა და პროექტების  
ცენტრი „იდეა“-ს დირექტორი

### **ინგრა გაგნიძე**

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი,  
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

## **FROM ORGANIZERS**

Realizing and evaluating Christian views about global processes, the study of interrelation of religion and economy arises the deep interest in the whole civilized world. Forming national conceptual basis of social-economic development of the country, in which the issues of interrelation of economics and moral have dominant importance, is especially important for true progress of the country.

Synergetic harmonization of views of church and university has a special importance for scientific researches of theological-economic nature and for setting up practical solutions. In Georgia the university was always called “a temple of knowledge” and this was so not only because of its scientific profile but also because of its devotion to the spiritual values, which have been introduced by Christian culture for many centuries.

Theoretical and practical issues of relationship between religion and economy were discussed at the 8<sup>th</sup> International Scientific Conference “**Christianity and Economics – Batumi - 2015**” held at the Faculty of Economics and Business of Batumi Shota Rustaveli State University.

The organizers of the scientific conference were: Faculty of Economics and Business of Batumi Shota Rustaveli State University, Faculty of Economics and Business of Ivane Javakhishvili Tbilisi State University and Student Research and Project Center “Idea” at the Faculty of Economics and Business of TSU.

Scientists, professors and doctors of the following institutions took part in the international scientific conference: University of Jena (Germany), Alytaus kolegija University of Applied Science (Lithuania), Belarus State University (Belarus), the Scientific Research Institute of the Political Regionalistics (Ukraine, Uzhgorod), the Faculty of Economics and Business of Ivane Javakhishvili Tbilisi State University, the Faculty of Economics and Business of Batumi Shota Rustaveli State University, Tbilisi Theological Academy and Seminary, Gelati Clerical Academy, Alaverdi Eparchy of Georgian Patriarchate, Georgian Technical University, P. Gugushvili Institute of Economics, Akaki Tsereteli Kutaisi State University, David Agmashenebeli University of Georgia, Kutaisi University, Tbilisi Teaching University “GORGASALI”, Student Research and Project center “Idea” of the Faculty of Economics and Business of TSU. Overall, 32 scientific papers were presented at the conference.

On the base of this approach, cooperation is developing between the University and church. In the frames of this cooperation, 8 conferences were held at the faculty of Economics and Business, TSU on the issues of interrelation of Christianity and economics.

- 1<sup>st</sup> scientific conference “**Christianity and Economics – TSU-2005**” (TSU Maglivi Building, 19 April, 2005);
- 2<sup>nd</sup> scientific conference “**Christianity and Economics – Bolnisi-2005**” (Bolnisi, 13 April, 2008);
- 3<sup>rd</sup> scientific conference “**Christianity and Economics – TSU-2008**” (TSU Building X, 30 May, 2008);
- 4<sup>th</sup> scientific conference “**Christianity and Economics – Mestia-2008**” (Mestia, 25-30 July, 2008);
- 5<sup>th</sup> scientific conference “**Christianity and Economics – TSU-2010**” (TSU Building X, 25 January, 2010);
- 6<sup>th</sup> scientific conference “**Christianity and Economics – Sagarejo - 2012**” (Sagarejo, Manavi, 22 June, 2012);
- 7<sup>th</sup> scientific conference “**Christianity and Economics – Gori - 2013**” (Gori, 30 June, 2013).

- 8<sup>th</sup> international scientific conference “Christianity and Economics – Batumi - 2015” (Batumi, 5-6 September, 2015).

These conferences and the papers that were presented clearly show high importance of the discussed problems for economic development. It is intended to continue the cycle of conferences on the same issue and to hold it in different regions of Georgia. This will promote deepening creative collaboration between science and religion, the University and church for social-economic development.

The proceeding includes the papers presented at the 8<sup>th</sup> scientific conference at Batumi Shota Rustaveli State University, Faculty of Economics and Business. The papers represent results of Foreign and Georgian researchers' scientific activities that deal with the dual influence of Christianity and economics, religion and business activities, theoretical-methodological aspects of this interrelationship and its influence on the economic and social reforms.

**Murman Tsetskhadze**  
Batumi Shota Rustaveli State University,  
PhD, Associate Professor

**Giorgi Shikhashvili**  
Iv. Javakhishvili Tbilisi State University,  
PhD, Associate Professor

**Ineza Gagnidze**  
Iv. Javakhishvili Tbilisi State University,  
PhD, Associate Professor

## ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატი „შენ ხარ ვენახი“



სასოო და შესავედრებელო ქრისტიანეთაო, ურცხვენელო და შუა-მდგომელო, დამბადებელისა მიმართ მითვალულო და შეწყნარებულო, ნუ უგულებელსპოფ ზმასა ცოდვილთა ვედრებისასა. არამედ ისწრაფე შე-წევნად ჩუენდა, ვითარცა სახიერ ხარ, რომელნი ესე სარწმუნოებით გი-ღალადებთ მხოლოდ კურთხეულო, და მოსწრაფე ექმენ ვედრებად, და გან-მზადებულ მეოხებად, და ლმობიერ ხელის-აღმპყრობელ, რომელი ეგე მა-რადის იღწვი პატივისმცემელთა შენთა, ღვთისმშობელო.

საქართველოს ყორდანებში საუკუნეებგამოვლილი ყურძნის წიაპწის აღმოჩნამ დაადასტურა, რომ ქართველი მუდმ ვაზთან ერთად თანაარსე-ბობდა. ვაზი განსაკუთრებით საკრალურად იქცა საქართველოსთვის წმინ-და ნინოს მიერ ვაზის ჯვრით გაქრისტიანების შემდეგ. „შენ ხარ ვენახის“ ხატის იდეაც წმინდა ნინოს სამშობლოში, კაბადოკიაში ჩაისახა. მომლოცველების ყურადღება ღვთისმშობ-ლის ერთ-ერთი ფრესკიდან ჩამოყრილმა ბათქაშმა მიიქცია კაბადოკიაში ყოფნისას. კედელზე დარჩენილი გა-მოსახულება საქართველოს რუკას გავდა, საიდანაც ღვთისმშობლის თვალები იმზირებოდა. პეტრე-პავლეს ტაძრის დეკანოზმა არჩილ მინდიაშვილმა ხატმწერ ირაკლი ცინცაძეს სთხოვა გონებაში აღებეჭდა ღვთის-მშობლის მზერა, რომლის მიხედვითაც დაიწერებოდა ხატი.

ვაზის, ვენახის, ყურძნის მტევნების სახისმეტყველება ქრისტიანულ სწავლებებში ღვთისმშობელსა და მაცხოვარს უკავშირდება. ხატის სულიერი ავტორის მამა არჩილის განმარტებით „ყოვლადწმიდას მარჯვენა ხელში ყურძნის ტევანი უჭირავს (იგია ვენახი, რომელმან გამოიღო ტევანი თავწარსხმული, ანუ შვა ქრის-ტე იესუ), მარცხენა ხელი დედობრივი სინაზით მოუხვევია ღვთიური ყრმისათვის; ყრმა იესუს მარჯვენა ხელში ვაზის მწვანე (მარადისობის და სამოთხის სიმბოლო) ფოთოლი უპყრია, რომელსაც შვიდი განშტოე-ბა აქვს, ნიშნად სულიწმიდის შვიდი ნიჭისა და შვიდი აპოკალიფსური ეკლესიისა, რომელიც შენარჩუნებენ ჭეშმარიტ რწმენას, მათ შორის კი, როგორც ნაწინასწარმეტყველებია, ივერიის უძველესი ეკლესიაც ვიგუ-ლისხმეთ, რამეთუ გვწამს ივერიის გაბრწყინებისა. ყურძნის ტევანში თორმეტი მარცვალი ითვლება, რაც ქრისტეს თორმეტ მოციქულზე მიანიშნებს დ რომელიც საუკუნეთა შექმნამდის მასთან იყვნენ. მაშასადამე, აქურთხევს რა იესუ ქრისტე ყურძნის ტევანისა და ფოთოლს ამით გამოიხატება მისი განკაცების საიდუმლო-ება, დალოცვა 12 მოციქულის მოღვაწეობისა და უკანასკნელი დროის 7 აპოკალიფსური ეკლესიისა“.

ხატის და მისი ასლების მირომდინარების ბევრი ფაქტი არსებობს.

**ხატის ზენების დღე 1 (14) იანვარი.**

მომზადებულია ინტერნეტ-რესურსებზე დაყრდნობით:

<http://www.orthodoxy.ge/khatebi/venakhi.htm>

<http://www.orthodoxy.ge/khatebi/venakhi.htm#sthash.yYFJjH4S.dpuf>

<http://www.orthodoxy.ge/patriarqi/qadagebebi/2006/03-12-2006.htm>



## მიზაო მოქმედება

ანი და პოე

### დაუსაბამო დასაწყისი

მკელი ერების, კაცობრიობის ისტორიაში დიდი ადგილი უკავია მიწათმოქმედებას. მიწათმოქმედების უნარით, მაღალი ღონით (იმ დროის საზომით) ფასდებოდა ქვეყნის სიძლიერე, ხალხის კულტურა. მიწათმოქმედების სიყვარული კი, შემოქმედი მამის სიტყვის გამო, განსაზღვრავდა მუშაკთა შემართებას, ცოდნას, ხარისხს. ყველა საქმისათვის, ყველაფრისათვის სიყვარულია აუცილებელი. ღმერთმა, რომელიც თავად სიყვარულია, შექმნა ყოველი ზიღული და არახილული. და გაუნაწილა სიხარული სიყვარულით ნაკეთებისა — შესაქმისა, დაბადებისა — ზიღულსა და უხილავს.

„დასაბამად ქმნა ღმერთმან ცაი და ქუეყანაი“ (დაბ. თ. I, 1).

და მაინც, რატომ და რით იყო მნიშვნელოვნი კაცობრიობისათვის მიწა და მიწათმოქმედება? „ხოლო ქუეყანაი ესე იყო უზილავ და განუმზადებელ; და ბნელი იყო ზედა უფსერულთა, და სული ღმრთისაი იქცეოდა ზედა წყალთა“ (დაბ. თ. I, 2). პირველი მიწათმოქმედი, შემოქმედი — ხელოვანი თავად ღმერთია. მან პირველმა ცისა და მიწის შექმნის შემდეგ მიწით იმოქმედა. მიწა მოზიღულა და თქვა ღმერთმა: „ვქმნეთ კაცი ზატად ჩუენდა და მსგავსად... და შექმნა ღმერთმან კაცი სახედ თვისად; ზატად ღმრთისა შექმნა იგი...“ (დაბ. თ. I, 26-27). კაცობა მსგავსებაა უფლის. მიწათ მოქმედებისა პირველი აქტი — ფაქტი მომხდარია. გარემო მორთო და გაამშვენა. „და სრულ იქმნ[ნ]ეს ცაი და ქუეყანა და ყოველი სამკაული მათი...“ (დაბ. თ. II, 1), საღმრთო მშვენიერებით. ეკლესიის მამები გარემოს სიმშვენიერებები ამბობენ, რომ ღმერთი ამ სიღამაზით გვანუებებს სულის მჭმუნვარებისას.

და მაინც, რა არის კაცოა მოდგმისათვის მიწა და მიწათმოქმედება, რაში გვეხმარება და რას გვასწავლის, შორეულს რას გვახსენებს?

### დასაწყისი

„მიწა იყო გაუმშვენებელი მანამ, სანამ მისი მომვლელი არ იქნებოდა. ჯერ კიდევ მინდვრის ბუჩქიც არ იყო დედამიწაზე, ერთი ღერი ბალახიც არ იყო აღმოცენებული, არც უწვიმებია“, რადგან „კაცი არღა იყო საქმედ ქუეყანისა. წყაროი გამოვიდოდა ქუეყანით და მოპრწყვიდა პირსა ყოვლისა ქუეყანისასა“ (დაბ. თ. II, 5-6). ე. ი. მოვლა-დამუშავების გარეშე მიწა მაინც განუმზადებელი იქნებოდა, სიყვარულისათვის უსარგებლო. და მიწა — მშობელ მიწად, ღეღა მიწად იქცა უფლის ხელში. შევა და „ადვილად წარსატაცებელი მტვერი“ ცოცხალ არსებად აქცია; „და დაპბადა ღმერთმან კაცი — მიწა ქუეყანისაგან — და შთაპბერა პირსა მისსა სული ცხოველი; და იყო კაცი იგი სულად ცხოველად. და დაასხა ღმერთმან სამოთხეი ედეშს მზის აღმოსავალით და დაადგინა მუნ კაცი იგი, რომელი დაპბადა. და მერმე აღმო-ვე-აცენა ღმერთმან ქუეყანით ყოველი ხე, შუენიერი ზიღულად და კეთილი საჭმელად, და ხე იგი ცხორებისაი შორის სამოთხესა მას და ხე იგი ცნობისაი კეთილისა და ბოროტისაი“ (დაბ. თ. II, 7-9).

და დაინახა ღმერთმა, რაც მოიმოქმედა ყოველივე და მოეწონა.

„და იყო მწუხრი, და იყო განთიად, დღეი იგი მეექუსე“ (დაბ. თ. I, 31)

ადამ — ადამაჲ — ძველებრაულად მიწას ნიშნავს. პირველი საქმე, რაც ადამს — წითელ მიწას, მტვერს, მეწამულს, მიწას განკაცებულს უნდა ეკეთებინა, უფლისაგან, მამისაგან ედემის ბაღში აყვანილს და დასახლებულს, ბაღის დამუშავება და მისი დაცვა იყო. „და მოიყვანა უფალმან ღმერთმან კაცი იგი, რომელ დაპბადა, და დაადგინა იგი სამოთხესა მას საშუებელისასა საქმედ მისა და დაცვად“ (დაბ. თ. II, 15).

შემოქმედის უკიდევანო სიყვარულში, უზრუნველი გულით ქალწული ადამი ედემში ატარებდა ცხოვრებას და ყველაფერს სახელს არქმებდა, ამუშავებდა და იცავდა. მაგრამ არ ჰყავდა შემწე, ტოლი, ფერი და მსგავსი მისი. ერთხელაც, ღრმა ძილში, ძილქუშში განისვენა და შემოქმედმა ნეკნისაგან, ადამს რომ გამოუღო, დედაკაცი შექმნა და ადამს მოუყვანა. გაიხარა ადამმა და თქვა: „ესე აწ ძუალი ძუალთა ჩემთაგანი და ზორცი ზორცთა ჩემთაგანი არს; ამას ეწოდოს ცოლ, რამეთუ ქმრისა თვისისაგან მოიყვანა ესე...“ (დაბ. თ. II, 23). შიშვლები იყვნენ ორივე – ადამი და მისი დედაკაცი და არ რცხვენოდათ. დაარიგა უფალმა ღმერთმა. თავის ხატად შექმნა, მამა კაცად და დედა კაცად შექმნა ისინი. აკურთხა – ინაყოფირეთ და იმრავლეთ. დაუმტკიდრა უფლება, თავის უფლება – „აღავსეთ ქუეყანაი და უფლებდით მას ზედა და მთავრობდით თევზთა ზედა ზღვისათა და მფრინველთა ცისათა და ყოველთა ქუეწარმავალთა, რომელი ვლენან ქუეყანასა ზედა... აპა ეგერა მიგეც თქუენ ყოველი თივაი მდელოისაი თესლოვანი, სათესავი თესლი, რომელ არს პირსა ზედა ყოვლისა ქუეყანისასა, და ყოველი ზე, რომელსა აქუს მის თანა ნაყოფი სათესავი თესლისაი; თქუენდა იყოს საჭმელად“ (დაბ. თ. I, 28-29).

ეს უსასრულო მცირედი უფლება მისცა და დაარიგა, როგორ ეცხოვრათ ედემში. უფლის მორჩილებით. სიყვარულით. რიდით.

დაინახა ღმერთმა ყოველივე, რომ ძალიან კარგია.

და იყო მწუხრი, და იყო განთიად, დღეი იგი მეექუსე.

### საწყისი

ურჩობისა გამო გამოიდევნა სამოთხით ადამ და ევა. და იყო ტკივილი, მონატრება. 930 წელი იცოცხლა ადამმა დედამიწაზე. ტკირდა და გოდებდა სამოთხის დახშულ კართან იმედითა და მონატრებით. და ეს იმედი, მონატრება გაპყვა თაობებს. „და უწოდა ადამ სახელი ცოლსა თვისისა ცხორება, რამეთუ ესე არს დედაი ყოველთა ცხოველთათან.“ (დაბ. თ. III, 20).

„ხოლო ადამ იცნა ევა, ცოლი თვისი; მიუდგა და შვა კაენ და თქუა: მოვიგე კაცი ღმრთისა მიერ. და მერმე შესძინა შობად და შვა აბელ, ძმაი მისი...“ (დაბ. თ. IV, 1-2).

კაცი შეეძინა უფლისაგან. მსგავსი და მგვანი. კაცი – მიწის მუშაკი. გაიხარა. მამისეული სახლის მონატრებას უქარწყლებდა. ედემის ბაღის მუშაკობა ასწავლა: მოვლა, დაცვა. მამისაგან, შემოქმედი უფლისაგან მინიჭებული უფლება – თავის უფლება ღმერთში – ჩააბარა თავის პირველ შვილს. კაცი შეეძინა უფლისაგან, თქვა ადამმა. კაენის მოიმედებ.

და კვლავ იმძლავრა გველმა, ბოროტმა. კაენმა თავი ვერ დაიცვა ამპარტავნებისაგან, თავმოწონებისაგან. ედემის ბაღის საქმეს აკეთებდა, მიწას ამუშავებდა და განიცდიდა დიდ საიდუმლოს – მშობელ მიწაზე, დედა მიწაზე კითხულობდა საღმრთო მორჩილებისა და ურჩობის წარსულ, მაგრამ ახლო ისტორიას. თავი ვერ დაიჭირა და ამპარტავნებისა წილ ძმის სისხლი მიიღო. გამწარდა კაენი და თავი ჩაღუნა. ძმის მკვლელი შეიქმნა. „წყეულ იყავ შენ ქუეყანასა ზედა...“ (დაბ. თ. IV, 11). მძიმეა კაენის სასჯელი, აპა, აგდებენ მიწის პირისაგან. „რამეთუ იქმოდი ქუეყანასა, და არა შესძინოს ძალი მისი მოცემად შენდა. და კუნძით და ძწოლით იყო შენ ქუეყანასა ზედა“ (დაბ. თ. IV, 12).

სასჯელი უმძიმესია. თავმოწონებით განქარდა მიწის სიუხვე. დაკარგა მიწამ ძალა წყევისა გამო – კაენის გამო – ძმის სისხლის გამო. დაადო უფალმა კაენს ნიშანი, რომ არ მოეკლა ყოველ შეხვედრს.

მიწამ შეინახა ხსოვნა ზეცისა და წყევისა. მიწა ხალხებისათვის, ვისაც ახსოვს საღმრთო თხრობა, გახდა საშუალება ღმერთთან დაპრუნების, ზეცას დაპრუნების. მიწის მუშაკობით მიღებული სიუხვისათვის მაღლობდნენ ღმერთს. ვინც იცოდა ჭეშმარიტი ამბავი ზეცის ისტორიისა, საღმრთო ისტორიისა, სიხარულის ცრემლით მაღლობდნენ შემოქმედს. ასეთები ცოტანი იყვნენ.

ამის გამო მიწამ ადამიანისათვის შეიძინა უაღრესად მგრძნობიარე ძარღვის, ნერვის მნიშვნელობა, რომელიც გულთან და გონებასთან – მამა ღმერთთან და ზეცასთან არის დაკავშირებული. და ეს ფხიზელი

ხსოვნა მიწას ყველაზე ძვირფას განძად აქცევს, გარდასულის ხსოვნას აცოცხლებს ჩვენს ყოველდღიურობაში, ამ ხსოვნასთან დაკავშირებულ ყველა ქცევასა თუ ჩვევასთან ერთად. ამიტომაც, ჩვენს წინაპრებს სისხლის ფსად უღირდათ და იცავდნენ სამშობლო მიწას. და სადაც უნდა ყოფილიყვნენ იძულებით გადასახლებულები, ცდილობდნენ, ეს ხსოვნა თან წაეღოთ და უცხოობაში გაეცოცხლებინათ. ამიტომაც, მაზანდარანის უდაბნოში, ფერეიდანსა თუ შუა აზიაში ვენახს რგავდნენ, მიწას ამუშავებდნენ და ფიქრობდნენ მიუწვდომელზე – ხილულ სამშობლოზე მძაფრად, ხოლო უხილავზე, ზეციურზე – იმ ზომით, რა ზომითაც რწმენა და ხსოვნა ამის შესახებ ფეთქვდა მათ გულებში. ამიტომაც, ძალადობის დროს ჩვენი სულის მარილს – რწმენას, ყველა ხერხით ანადგურებდნენ, სპობდნენ.

და შედეგად, როცა მიწა კარგავს ამ მნიშვნელობას, მაშინ იგი მარტოოდენ არის ყიდვა-გაყიდვის საქონელი, ფულის მოგების საშუალება და, ამავდროულად, ნებაყოფლობით უმიწაწყლოდ დარჩენილი თაობების უმეტესიდროდ ყოფნა, უსამშობლო, ბოგანო მდგომარეობაში ყოფნა მერტალურად და ყოფიერად: ვიცხოვროთ იქ, სადაც კარგად ვართ, სადაც არავითარი ისტორიული პასუხისმგებლობა არ გვაკისრია, გარდა სოციალური, ბიზნესურთიერთობებისა და სხვა. რანი ვართ – არ ვიცით, საით მივდიგართ – არ გვაინტერესებს.

მიწა გახდა და არის საშუალება მოთმინების სწავლების, ღვთის აღთქმის შეგრძების, ღმერთზე სასოების დამყარების. მიწა ჩვენი გამოხსნის, გადარჩენის გასაღებია, გზა-ბილიკია. მიწა მარადიულ, უბერებელ ღირებულებათა სალარო-საცავია. ეკლესიის მამები ასწავლიან: სიკვდილის ხსოვნა სინდისს აფხიზლებს, ამშვიდებს, განმკითხველ ბუნებას ამდაბლებს. გახსოვს სიკვდილი? მაშინ ნამდვილად აღარ განიკითხავ. თავს არ აიმაღლებ. სხვას არ დასცინებ და ასე შემდეგ... გონიერი მიწის მუშაკი ყოველთვის განიცდის უფლის სიტყვას და ამ სიტყვით თავის დაბადებას. მიწა ხარ და მიწად მიიქცევი – ეს გამდაბლებს, მინდობილს გხდის ღვთის მოწყალებაზე. ეს იმედი და სასოება უფლისა კი ნაყოფიერსა და ძალმოსილს ხდის მიწას, საზრდოს-მომცემ მიწას. გონიერი მიწის მუშაკი, ამუშავებს რა მიწას, ჩასცერის მას და ედემის ბაღს განიცდის. ჩასცერის და ზეცა ამოჰყურებს. იხსენებს იმ პატივს, იმ დიდებას, სადაც იყო. წუხს, მაგრამ იმედით ცხოვრობს. მიწათმოქმედებამ ყველაზე მთავარი, მადლიერება უნდა გვასწავლოს. სხვისი განსაცდელისა თანალმობა უნდა გვასწავლოს. მოწყალე და სხვისთვის მიმცემია მეურნე კაცი. ზოგადად, გონიერი მუშაკიც ასევეა. ყოველგვარი შრომის ნაყოფი, წარმატება გაგებაა იმისა, რომ ყველაფერი ერთს ეკუთნის. და ის ერთი ღმერთია – მშობელი ჩვენი. ამის აღქმა გვიცავს ანგარებისა და მომხვეჭელობისაგან. რომელი ჩვენგანი მოიწონებს თავს სხვისი სიმდიდრით? დაიწყებს ქებას და ტრაბახს? ღმერთს ეკუთვნის და ჩვენ, როგორც ერთგული მსახურნი, ისე ვემსახურებით. ჩვენთვის მხოლოდ უფლებაც კი იქ მსახურებისა დიდი პატივია – უფლის ბაღში, უფლის სავნახეში, უფლის გვერდით.

მადლიერი ადამიანი მატერიალურ სამყაროს სამოთხისეული უანგარო მორჩილებით მოიხმარს და მხოლოდ ამ უზაკველ გონებას, გულს შეუძლია, არაფერი არ ჰქონდეს და ჰქონდეს ყველაფერი, რაც ღმერთს ეკუთვნის. „ვითარცა გლახაკნი, და მრავალთა განვამდიდრებთ; ვითარცა არარაი გუაქუს, და ყოველივე გუაქუს“ (2 კორ. ო. VI, 10).

ედემში მსახურების მსგავსი უნდა იყოს ამ მიწაზე (დამსახურებული ექსორიობის<sup>1</sup> ადგილას) ჩვენი მუშაკობაც. ედემში მიწის მუშაკობა მადლიანი იყო და მრავალნაყოფიერი. რადგან სრული ჰარმონია იყო შემოქმედთან – მორჩილებით, სიყვარულისა და ნდობის ძალით. და როცა ეურჩა, შეეშინდა ადამს და დაიმალა უგუნური თავის მართლებით.

და იყო ღამე. იყო ღამე. უფლის ნათელი სხივი ბნელში გამკრთალი

<sup>1</sup> ექსორია – გადასახლება.

## გაგრძელება

„მე ვარ ვენახი ჭეშმარიტი და თქვენ რტონი“ – ამბობს უფალი შემოქმედი, – „ვითარცა-იგი ნასხლევსა ვერ ხელეწიფების ნაყოფისა გამოღებად თავით თვისით, უკუეთუ არა ეგოს ვენახსა ზედა, ეგრეთვე არცა თქუენ“ (იოან. თ. XV, 4-5).

...სვით ღვინო ახალი. ესე არს სისლი ჩემი ახლისა აღთქმისა... ამას ჰყოფდეთ მოსახსენებელად ჩემდა.

დვთის ერთგულებაზე მშვენიერი ხომ არაფერია. ამ ერთგულებისათვის ბევრი ვიშრომეთ, ვიომეთ, ვა-შენეთ და ვეწამეთ. ვეწამეთ, მაგრამ დვთის სიყვარულით ვიმარჯვებდით ყოველთვის. გვახსოვს, რომ აღთქმა მოგვეცა და უფალი ცისარტყელის სილამაზით გვახსენებს, სიოს ნაზ მობერვაში გვიცხადებს.

სამოთხიდან გამოღევნის შემდეგ პირველი მცნება – მიწის მუშაკობა – გზა-ბილიკია ზეცას დასაბრუნებლად. მიწის მეურნე ამუშავებს ნიადაგს და ახსოვს, რისგან არის აღებული. ესმის სიტყვა – მიწა ხარ და მიწად მიიქცევი. ენატრება მთქმელი და ზეცა – სახლი. ამიტომ ამ წუთი სოფელში თავის შრომას სა-სოებით ეწევა, გამოითხოვს მფარველობას, რომ მან, შემოქმედმან, აკურთხოს გვირგვინი წელიწდისა; ზომიერი ჰაერი, წვიმა და სხვა მრავალი შესაწევნელად მოსცეს ქვეყანას. მარტო მარჯვენას არ ეიმედება. მიწის მეურნე მადლიერია ყოველთვის. ვენახი მსხმი ზეცას მიბჯენილი კიბეა. ღვინით, „.... ახალი ღვინით“, ზიარების სისხლით, ცა და ქვეყანა გაერთიანდა, საკურნებელად სულისა და ხორცისა. მიწა ჩვენი სულიერი სახ-რდოს მომცემია, რადგან გვასწავლის მორჩილებას და მოთმინებას. წარმავალს გვაჩვენებს, მარადისობაზე, სიკვდილზე გვაფიქრებს. ამიტომაც მიწა, სამშობლო, არა მხოლოდ იმიტომ გვიყვარს, რომ წინაპრისა ძვა-ლია, ძარღვი და ხრტილია შიგ ჩანაცრული; ან მხოლოდ ნაყოფის მომცემია, საზრდოა ხორციელი. მიწა ზე-ცას გაბმული ხსოვნის ძაფია. ჩვენი დაცემის მწვავე ნერვია. ჩვენდამი მოცემული აღთქმის გასაღებია – თავ-მდაბალი მუშაკობაა. ვაზის ფეხსია – უფლის სისხლია. ეს უფრო დიდია, მაღალია. ეს კიბეა ცად აღმყვანე-ბელი. მიწა-სამშობლო თავის უფლებაა ღმერთში.

სხვა იგავი ისმინეთ: „კაცი ვინმე იყო სახლისა უფალი, რომელმან დაასხა ვენახი და ზღუდე გა-რე-მოსდგა მას და ქმნა მას შინა საწნეხელი და აღაშენა გოდოლი და მისცა იგი მოქმედთა საქმედ და წარ-ვიდა. და რაჟამს მოიწია ჟამი ნაყოფთაი, მიავლინნა მონანი მისნი მოქმედთა მათ მოღებად ნაყოფისა მისისა“ (მათ. თ. XXI, 33-34).

რა უნდა მივართვათ უფალს, თუ არა თავმდაბლობა და მისგან ნაპერები ყველა საქმე? უფლის სიტყ-ვით ჩვენი ერი კეთილმსხმოიარე სავენახედ იქცა. და დაენერგა ქრისტე თითოეულის გულში. და ყოველი ჩვენგანი წარსულში, აწმეოსა და მომავალში ჭეშმარიტი ვენახისა რტოდ, სამამულე რქად, ძლიერების რქად შევიქმნით. ეკლესია და დვთისმსახურნი ფხიზელ მცველად მოგვცა, სჯული მოგვცა გოდლად – ბურჯად. საწნახელში ღვინო დაიწურა, ახალი ღვინო – სისხლი უფლისა, და ჩვენ ანგელოზებზე აღმატებული პატი-ვი მოგვაკუთვნა: „სვით ღვინო ახალი, ესე არს სისხლი ჩემი ახლისა აღთქმისა... ამას ჰყოფდეთ მოსახსენე-ბელად ჩემდა“.

საეკლესიო მეურნეობები ასწავლიდნენ და უნდა ასწავლონ, რომ ეს წუთისოფელი წარმავალია და ქმნილება შემოქმედზე მეტად არ უნდა შევიყვაროთ. თავმდაბალი, ნამუსიანი შრომა მაგალითად უნდა დავ-დოთ; პასუხისმგებლობით ნაკეთები საქმე კი ღმერთს მივუძღვნათ. ამას ყველაფერს წრფელი გული სჭირდება. მაშინ ქვრივის ორი გროში უფრო დიდია, რადგან ნამეტავისაგან არ არის გაღებული.

## მზის ამოსვლა

დღეს ბევრს ლაპარაკობენ საეკლესიო მეურნეობებზე, საქმიანობებზე, ბიზნეს ურთიერთობებზე და პარ-ტნიორობაზეც კი. შეიძლება ითქვას, რომ ეს ურთიერთობები არ იქნება სათაკილო და მიუღებელი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეკლესია, ჩვენი მხარე შეძლებს ურთიერთობების მასშტაბის გააზრებას, დაგეგმვას; შე-საბამისი დარგისა თუ მიმართულებების სპეციალისტების ჯგუფებთან თანამშრომლობით, ახალი, ხშირ შემ-თხვევაში, ინოვაციური მეთოდების (რაზედაც არც თუ მცირედი ფინანსური ხარჯი იქნება გასაღები) დანერ-

გვითა და გამოყენებით გამართული, ჯანსაღი, ზომიერი ურთიერთობების შეთავაზებას. ამას ყველაფერს საფუძვლად უნდა დაედოს უანგარო, პატიოსანი, კორექტული, თავმდაბალი შრომის ნება-სურვილი. სამონასტრო და საეკლესიო მეურნეობები ვერ იქნება დიდი ზომისა და წარმადობის, რადგან ეს მათი მოვალეობა არ არის. ეს ურთიერთობები ხელს უნდა უწყობდეს ერის, მრევლის დასაქმებას, განსწავლას, სხვათა გამოცდილებაზე ცოდნის გაღრმავებას. ეს მეურნეობები უნდა იყოს ნიმუში ერის ადამიანებისა და სასულიერო პირთა გონივრული, უანგარო, ღონიერი ურთიერთობებისა. ამას ყველაფერს თავისი სირთულეები მოჰყვება – ნაცნობიც და მოულოდნელიც. ეს არც თუ ადვილი და უსაფრთხო საქმეა. მენტალური განსხვავებულობა, რეალური გარემო, განათლებისა და უნარ-ჩევევების დაბალი დონე, ნების, სურვილის არარსებობა – ეს ყველაფერი ეკლესიას და სახელმწიფოს მხოლოდ ერთად შეუძლია დაძლიოს. არ ვგულისხმობ ეკლესის საბიუჯეტო ორგანიზაციად გადაქცევას. ეკლესიამ უნდა შეძლოს თავის ხელთ არსებული ქონების გონივრული მართვა, მენეჯმენტი. სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის კეთილგანწყობა უნდა სუზვედეს, ჩაურევლობის და ურთიერთხელშეწყობის საფუძველზე. ეკლესიამ უნდა შეძლოს სწორი ორიენტირება ქვეყნის სამართლებრივ სივრცეში. კანონმდებლობა უნდა იყოს ობიექტური, ისტორიული ფაქტების, შრების, პლასტების გათვალისწინებით შექმნილი. ღვთით მოცემული თავისუფლება არ უნდა იყოს დაწინებული. დღეს ზშირად ამ აზრს – ფუნდამენტური უფლება თავისუფალი არჩევანისა – ავითარებენ მცდარად. მოციქულის სიტყვა ამხელს ამ შეცდომილებას: „ყოველივე ჯერ-არს ჩემდა, არამედ არა ყოველი უმჯობეს არს“ (1 კორ. VI, 12). ეკლესიისათვის, ღვთისმოვარე ერისათვის სასარგებლო არის ის, რაც ღმერთისთვის მოსაწონია. შხოლოდ უანგარო ურთიერთობამ უნდა აღზარდოს მომავალი თაობა. მართალი, საქმიანი ურთიერთობა ერთი უმთავრესი შედეგისათვის – „რაითა იხილნენ საქმენი თქუენი კეთილნი და ადიდებდენ მამასა თქუენსა ზეცათასა...“ (მათ. ო. V, 16).

### ანი და პოე

ყოველივე ნათქვამის შემდეგ ვფიქრობ, რომ ჩვენი, ეკლესიის ურთიერთობა ერთან, – საგანმანათლებლო კუთხით, სამეწარმეო, საქმიანი ურთიერთობების კუთხით, ხელოვნებისა თუ ეკოსისტემების დაცვისა და შესწავლის კუთხით და სხვა მრავალი მიმართულებით, – უაღრესად ფრთხილ, ზომიერ საფუძველზე უნდა იქნას დამყარებული. ეკლესიას უნდა ჰქონდეს ურთიერთობა საპროექტო, ანალიტიკურ ჯგუფებთან, მეცნიერებთან. უნდა ვიცნობდეთ ახალ ტენდენციებსა და მოთხოვნებს, დაფიქტებისათვის, განსჯისათვის – აჩქარებით რომ არ მოხდეს გადაწყვეტილებების მიღება. ჩვენ უნდა ვიცავდეთ მარადიულ დირექტულებებს და არ უნდა ვიყოთ ორიენტირებულები წარმავალ, საწუთო ურთიერთობებზე. ჩვენი შრომა და მოქალაქობა არა ამსოფლისაგანია და არც ამ დროის განზომილების მიმდევარი. საეკლესიო ურთიერთობებისათვის აუცილებელია ზომა-წონის, მასშტაბის ცოდნა. ჩვენ ისეთ დარგებს უნდა ვაკითარებდეთ, რაც შეგვშენის. ასეთებია: მევნახეობა-მეღვინეობა თავისი თანმდევი პროფილებით და აუცილებლობებით; მემინდვრეობა ხორბლის ენდემური ჯიშების მოვლა-პატრონობითა და სელექციური კვლევითი ლაბორატორიებით (მემინდვრეობა მესაქონლეობასა და სხვა მრავალ ფერმერულ ურთიერთობასაც გულისხმობს); მეფუტკრეობა – თავისი ფართო კვლევითი სპექტრითა და წარმოებით. ყველაფერი ზემოთ თქმული, უდავოდ, სოციალურ ტვირთს ატარებს: სწავლა-განათლება, მომსახურება, დასაქმება და სხვა მრავალი. საეკლესიო მეურნეობები უნდა იყოს უდანაკარგო (ჩაკეტილი, წრიული სისტემის), მცირემასშტაბიანი და ხარისხიანი. ასეთმა მაგალითებმა უნდა წაახლისოს და ჩვენი ხელშეწყობით უნდა მოამრავლოს ერში მსგავსი მიღვომის მეურნეობები, რამაც საბოლოოდ უნდა შექმნას პატარა და მცირე ზომის, მოქნილ რგოლებად შეკავშირებული ერთიანი, მტკიცე სამეურნეო ჯაჭვი, რომელიც მსურველს შესთავაზებს უღალატო (ნამუსიან), მაღალხარისხიან, შესაბამისი ფასის პროდუქტსა და პროდუქტის, ერთი აუცილებელი პირობით – მცირე რაოდენობით, რადგან დასაწყის ეტაპზე სიმცირე ხარისხის გარანტია. ასეთ მეურნეობებს აქვს უნარი კრიზისების დროს თვითკმარი რესურსების მოძიების და დაშლის შემთხვევაშიც მაქსიმალურად მცირე დანაკარგით არსებობისა.

რა თქმა უნდა, ასეთი სახის სამეურნეო ურთიერთობებს თავისი განკუთვნილი ადგილი აქვს. არჩევან-ზე. ჩვენ ვმადლობთ ღმერთს დღევანდელისათვის, რაც მოგვემადლა და ზვალინდელი დღე ფიქრობს თავის გასაჭირზე. ზვალინდელი კი დღევანდელისა და გუშინდელის გარეშე არ იქნება. დღეს თუ ავჩქარდით, ზვალ სიმწარეს ვიგემებთ. თუ ზომიერი ნაბიჯით მივდივართ, ჩვენთვის საკმარისია.

ამიტომაც ჩვენი საქმიანობა ერთი იდეისაა — ყველგან და ყველაფერში — ქრისტე. რადგან ჩვენი გა-მარჯვებისა ბაირალი ქრისტეა, თანაც ჯვარცმული. ჩვენი გონიერების ძალა, გამარჯვების პირობა, სიხარუ-ლის შეძახილი — ქრისტეა. ქრისტეა ჩვენი ანი და პოე, ჩვენი დასაწყისი და დასასრული.

ჩვენ მიწა მემკვიდრეობით მივიღეთ ედემის კართან. იგი ჩვენი მემკვიდრეობითი მფლობელობაა, რისთვისაც ვმადლობთ ღმერთს. და მადლიერებისათვის მიწა ჩვენთვის ევქარისტიული<sup>1</sup> საკუთრებაა, მადლმოსილი, მადლიერი საკუთრებაა. ეს საკუთრება თავის უფლებაა ღმერთში.

ვენახი, ვაზი საქართველოში გაიგივებულია სამოთხეს დანერგულ სიცოცხლის ხესთან, კეთილისა და ბოროტის შეცნობასთან. ალბათ, ამიტომაც, ჩვენი წინაპრების გაგებით, ბოგანო და უსამშობლო იყო კაცი, რომელსაც ვენახი არ ჰქონდა. ვახტანგ VI სამართლის წიგნში წერს: „ბოგანო კაცი, რომელსაც ვენახი არა ჰქონდეს, რაგინდ სხვა მამული ბევრი ჰქონდეს“. ეს მართლად უთქვამთ ძველებს. ამის გახსენება დღეს აუცილებელია. მხოლოდ უანგარო, თავმდაბალი შრომა არის ღვთისგან კურთხეული. ასეთი მაგალითის მიმცემი უნდა იყოს ყველა ჩვენი საქმე.

მიწა ჩვენთვის წმინდა, დიდი საოჯახო ფოტოალბომია, რომელიც ზეცის სურათებს გვახსენებს.

გინც მიწას ყიდის, თავისუფლებას ყიდის, ზეცას სცილდება,  
უნაყოფო ნასხლევს ემსგავსება.

ღმერთსა ვთხოვ, ქვეყანა საქართველო უფლის სავნახედ იქცეს,  
ხოლო ხალხი — გონიერ მევენახედ, მიწის მუშაკად,  
რომელიც ღიღებასა და მადლობას აღუვლეს  
ღმერთს, შემოქმედს.  
ამინ!

## Metropolitan David (Makharadze) of Amba Alaverdi Eparchy

### Agriculture

### Ani and Hoe

### R e s u m e

The paper discusses how must be a man's, as a creature of God, attitude to the land and farming. Land is a way back to God, heaven; freedom is in God. First Commandment after the expulsion from Paradise – work on land - the way and key of human salvation, survival. The paper also discusses how the Church agriculture should be organized and what they should develop; to whom and under what rights the land should belong - the Lord's vineyard.

<sup>1</sup> ევქარისტია — ბერძ. „მადლობა“; საღმრთო ღიტურგიაზე უსისხლო მსხვერპლის შეწირვა.

„806, რატომ და რისთვის“ – თანამდებობა  
„რა, როგორ და ვისთვის“-თან

ქვეყნიერებას ღმერთი მართავს და ზეცასა თუ ცისქვეშეთში ყველა მოვლენა გამოუთქმელად ყოვლად-ბრძენი და ყოვლისშემძლე ღვთის განჩინებითა და შეუცნობელი განგებულებით აღესრულება.

ღმერთი მართავს ქვეყნიერებას. მისი გონიერი ქმნილებანი და მორჩილებდნენ მას. ხოლო მისმა მსა-სურებმა და, კეთილკრძალულად განსჭვრიტონ, გაოცებითა და გაკვირვებით აღმატებული მისი უდიდებუ-ლესი მმართველობა! (წმ. ეპისკოპოსი ეგნატე ბრიანჩანინოვი).<sup>1</sup>

მეცნიერებისა და ზოგადად მეცნიერებათა უმთავრეს მიზანს ოდითგანვე და თანადროულობაშიც, წარ-მოადგენს ზრუნვა კაცობრიობის გადასარჩენად, მათი ცხოვრების დონის გასაუმჯობესებლად, იმ ძირითადი კრედოს გათვალისწინებით, რომ შეძლონ ხილული სამყაროსა და ბუნების დამორჩილება.

ეკონომისტები ჩვენისეული ჭრილით ვუყურებთ და აღვიქვამთ ცხოვრების ამ პრობლემების გადაჭრის მეთოდების დანერგვას. ჩვენი აზრით, ეკონომიკური ტრიადის გადაჭრა განაპირობებს კაცობრიობის გადარჩე-ნას, მის კეთილდღეობას, ეკონომიკური ტრიადისა, რომლის ძირითადი არსი სუფთა მატერიალური მოგების მიღების ხედვაზე გათვლილი. იმ მატერიალური შემოსავლების ზრდაზე, რომელზედაც სამწუხაროდ ბო-ლომდე დამოკიდებული ხდება ადამიანი წუთისოფელში თავისი გემოვნების პრეფერენციებით.

ეკონომისტები ეკონომიკურ ტრიადას განვმარტავთ შემდეგნაირად: 1) რა ვაწაროოთ? რაც დამოკიდე-ბულია რესურსების იშვიათობაზე, 2) როგორ ვაწაროოთ? რაც ტექნოლოგიურ პროცესებზეა დამოკიდებული და 3) ვისთვის ვაწარმოოთ? – კერძოდ, ვინ იქნება მისი მომზმარებელი, კაცობრიობის რომელი ეთნიკური ჯგუფი, რაც დიფერენცირებას იწვევს წარმოებული პროდუქტის სახეობების ნომენკლატურასა და ხარისხში მიწოდების დროს.

სამწუხაროდ, ყველა ამ ზემოთ აღნიშნული თანმიმდევრული ციკლის გაანალიზება, გათვლა და რეა-ლიზება გაიანგარიშება მხოლოდ და მხოლოდ სარგებლის, მატერიალური მოგების მიღების გზის გათვალის-წინებით. თანამედროვე ეკონომიკა ამ ტრიადის გადაჭრაში დიდ როლს ანიჭებს მარკეტინგს და მთლიანად მის სფეროს, კერძოდ, ბაზარს თავისი მექანიზმებითა და შემადგენელი ელემენტებით, სადაც ძირითადად დო-მინირებს ორი მხარე: მიმწოდებლები (კაცობრიობის ერთი ნაწილი), რომელიც იმ იშვიათ, აბსოლუტურ ან შეფარდებით უპირატესობის მქონე რესურსებზე დაყრდნობით თანამედროვე ტექნოლოგიური პროცესების გა-მოყენების შედეგად მიღებულ პროდუქტს მიაწოდებს მომზმარებელს (კაცობრიობის მეორე ნაწილს), რათა ჯამში მიღებული იქნეს მოგება.

თანამედროვე მსოფლიო ბაზარი კი მიმწოდებლებისა და მომზმარებლების საკმაოდ მრავალფეროვნებით გამოირჩევა, რაც მიზნის ხისტად მიღწევის კუთხით იწვევს მძაფრ კონკურენციას ერთმანეთში. ადგილი აქვს ბაზრის სეგმენტირებას, რომელიც უმეტესწილად არაჯანსაღი მეთოდებით ფუნქციონირებს. ქვეყნები, ერთი შეხედვით ერთმანეთის დახმარების მიზნით, რეალურად კი ერთმანეთის ექსპანსიის ხარჯზე ინარჩუნე-ბენ გაბატონებულ მონოპოლიურ მდგომარეობას, რომელიც ოლიგოპოლიასა და მეგაპოლიაში გადაიზრდება და ეს უკანასკნელი კი იწვევს მოგების არათანაბარ და არაკანონზომიერ გადანაწილებას, როგორც მიმწო-დებლებზე, ასევე მომზმარებლებზე, რაც ქაოსური სიტუაციის გამომწვევი მიზეზი ხდება.

ეკონომიკის ნებისმიერ სფეროში ტრიადის ანალოგიური გზით გადაჭრის მეთოდებმა დღევანდელ მსოფლიოში, სამწუხაროდ, შემდეგი რეალური სურათი დახატა. ცივილიზაციის ფონზე, თანამედროვე მეცნი-ერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევებმა ასე თუ ისე გადაჭრა ტრიადის დაძლევის გზები, ცხოვრება თით-

<sup>1</sup> წმ. ეპისკოპოსი ეგნატე ბრიანჩანინოვი, რჩეული თხზულებები, თბ., 2004, გვ 4.

ქოსდა გამარტივდა, გამრავალფეროვნდა, მოხდა ადამიანთა შრომის დაზოგვა დროში, რასაც მოჰყვა ეკონო-მიკური ზრდა და ცხოვრების დონის ამაღლება, მაგრამ მოუტანა კი ყოველივე ამან კაცობრიობას ბედნიერება? იკლო სიღარიბემ, ავადმყოფობამ, გახდა ცხოვრება იაფი, ადვილი, უფრო სასიხარულო, გაქრა კი ადა-მიანთა მწუხარება? — არა.

ცხოვრების კეთილმოწყობამ, თავმოყვარეობის, ამპარტავნობის, სიხარბის, ფუფუნების, სიზარმაცის, გარევნის, მდიდართა მიერ დარიბების, ძლიერთა მიერ უძლურების დამონების განვითარებას დიდი ასპარეზი შეუქმნა. რატომ? იმიტომ, რომ იმ დროს, როცა მეცნიერება, ხელოვნება, კანონმდებლობა და სხვანი თავიან-თი განვითარებისა და სრულყოფის უმაღლეს ხარისხს აღწევდნენ, იმავე დროს ადამიანის ბუნებაში არსებული ბოროტება, თავის მხრივ ვითარდებოდა მისთვის ჩვეული ძალით და თავს იჩენდა კაცობრიობის ზნეობ-რივ დაცემაში. ამიტომაც გვამცნობენ მსოფლიო მატიანენი იმ მწარე ჭეშმარიტებას, რომ მეცნიერების, ხე-ლოვნების, განათლებისა და ადამიანთა საქმიანობის სხვა დარგთა უმაღლესი განვითარების დრო ემთხვევა კაცობრიობის ზნეობრივი დაცემის დროს.<sup>1</sup>

მაშ, სად ვეძებოთ ბედნიერება? მოგვარებადია კი ეს ყველაფერი მატერიალური მოგების მიღების გზით? დარჩა კი მოგებული კაცობრიობის უმეტესი ნაწილი? დაგმაყოფილდა მათი მოთხოვნების დონე? ცხოვრება გახდა მშვიდი და უზრუნველი?, ანუ მარტივად რომ ვთქვათ, კაცობრიობის ბედნიერება მსოფლი-ოში დაგროვილი მატერიალური მოგების, მიღწეული პროგრესის პირდაპირპოპროცესულია? — არა. მაშ, რა ხდება? მშვიდი ცხოვრების რიტმის კოეფიციენტი, რომელიც ინდიკატორია ცხოვრების დონის გაუმჯობესე-ბისა, განსხვავებულია ძლიერ და სუსტ სახელმწიფოებში? — თითქმის არა. რატომ? ხომ არ ხდება ისე, რომ მეცნიერებათა და მეცნიერებების ძირითადი ნაწილი რაღაც მთავარს და ძირითადს ივიწყებს და არ ან ვერ სწავლობს, მას რომელზედაც დამოკიდებულია ყველა დანარჩენი სხვა და რომლისადმი დამოკიდებულე-ბაც განსაზღვრავს სწორედ ჯანსაღი მოგებას (სულიერსა და მატერიალურს), რასაც დადებითი შე-დეგი, სრული ბედნიერება ჰქვია. საუკუნეებმა ნათლად დაგვანახა, რომ უშედეგოა მათი მხრიდან ფიქრი იმა-ზე, რომ საკუთარი საქმიანობის ძირითად კრედოდ ხილული სამყაროსა და ბუნების დამორჩილება გაიხა-დონ.

შევედებით მკითხველის ფურადღება გავამახვილოთ სწორედ ამ საკითხებზე. ვფიქრობთ, აუცილებე-ლია სწორი და ჭეშმარიტი ხედვა და აღქმა შექმნილი სიტუაციისა. პრობლემა მთელი მსოფლიოს კაცობრი-ობისათვის, რომ ერთია, უდავოა. მაშ, ხომ არ ავცდით ათვლის წერტილს? რომელიც არამარტო სიბრტყეზე გვაძლევს დაკვირვებისა და ანალიზის გაკეთების საშუალებას, არამედ სივრცეში. ხომ არ არის პრობლემა და მისი დაძლევის გზები დანახული მხოლოდ ერთი ჭრილით? კერძოდ, ბედნიერების ვიწრო და ცალსახა გაგებით?

მაშ, სად ვეძებოთ ბედნიერება? სად არის მისი საწყისი? მისი სრულყოფილად აღქმა? წმინდა წერი-ლი გვამცნობს: ღმერთში, რამეთუ იგია ბედნიერებისა და სიცოცხლის მომნიჭებელი. „მის თანა ცხოვრება იყო, და ცხოვრება იგი იყო ნათელ კაცთა“ (იოანე, 1:4).<sup>2</sup>

ვფიქრობთ, რომ ამ პრობლემის გადაჭრა ეკონომისტებსაც მეტნაკლებად შევვიძლია, თუ ყველაფერს ბუნებრივი კანონზომიერებების ფარგლებში გავაანალიზებთ. აუცილებელია ზუსტად მოძებნილი სუბიექტების დამოკიდებულების სწორი მიმართულებების განსაზღვრა. ის, რომ ჩვენი მოვალეობაა წუთისოფელში ჩვენი ცხოვრების წესის მიხედვით ვიწოდებოდეთ არა „კაცთა ძებად“, როლებიც ამქვეყნიური სიბრძნით შემოვი-ფარგლებით, არამედ ვიწოდებოდეთ „უფლის ძებად“, რათა გავხდეთ ზეცის მოქალაქეები. გვახსოვდეს, რომ ჩვენი მიწიერი ყოფა არის გამოცდა და მომზადება მარადიული ცხოვრებისათვის, რის გამოც არ უნდა მივე-ჯაჭვოთ მიწიერ, წარმავალ, მატერიალურ ღირებულებებს.

<sup>1</sup> საქართველოს ეროვნული აკადემია, გელათის სასულიერო აკადემია, თბ., 2006, გვ. 62.

<sup>2</sup> უფლისა ჩუენისა იესო ქრისტეს წმინდა სახარება, ტფილისს, კავკასიის ნამესტნიკის უმთავრესის გამგების სტამ-ბაში, 1879, გვ. 167.

ყოველივე აღნიშნული მოითხოვს სასრულისა და ზღვრულის დამოკიდებულებას უსასრულოსთან, რა-საც მიყვავართ თანაფარდობის განხილვამდე. თანაფარდობისა, რომლის მრიცხველი არის უსასრულო სიმ-რავლე არსითა და თვისებებით, ხოლო მნიშვნელი კი, შეზღუდული, სასრული. მნიშვნელის ცვლილებით (ზრდის ან შემცირების შემთხვევაში) არ იცვლება დამოკიდებულება მრიცხველთან.

ამიტომ მეცნიერებათა კვლევების თანაფარდობა, ჩვენს შემთხვევაში ეკონომიკური მეცნიერებისა, უნდა მოხდეს რჯულის მეცნიერებასთან, რომლის სათავეც სიცოცხლის წიგნი – წმინდა წერილია და არა იმ კა-ნონმდებლებთან, რომლებმაც კაცობრიობის მსაგავსად უფლის გამოცდა დაიწყეს. ისინი თავისი მწირი გონე-ბით სცდიდნენ მას, რომელმაც რჯული მოსცა კაცთა: „და აპა ესერა, ჰსჯულის მეცნიერი ვინმე აღჰსდგა, და გამოცდიდა იქსოს და ეტყოდა: მოძღვარ! რა ვპქმნე, რათა ცხოვრება საუკუნო დავიმკვიდრო?“ (ლუკა. 10,25).

ცხადია, რჯული (შინაგანი რწმენა, მისი შინაგანი ზმა) უნდა იყოს ყველა მეცნიერისათვის მეცნიერუ-ლი კვლევის საწყისი, სათავე, რადგან ღვთის სამართალთა შემცნების გარეშე მისი ნების სწორად და ზუსტად აღსრულება შეუძლებელია. მთელ კაცობრიობას, ადამიანებს უნდა გვესმოდეს, რომ ჩვენი ქმედება რჯულთან მიმართებით უნდა იყოს სამართლიანი, გვახსოვდეს, რომ რჯული ეს არის ჩვენთვის განცხადებუ-ლი ღმერთის ნება მათ ნებაყოფლობაზე დამოკიდებულ მოქმედებებში სახელმძღვანელოდ, ხოლო ღვთის სა-მართალნი კი – მისი ნების მოქმედებანი ან დაშვებანი, რომელზედაც ადამიანის ნებაყოფლობა გავლენას ვერ ახდენს.

აქსიომაა, რომ ღვთის ნების სრულყოფილად აღსასრულებლად ადამიანი სწორად უნდა მიუდგეს რო-გორც მცნებებს, ასევე მის სამართალთ: „რამეთუ დავიცვენ გზანი უფლისანი...“ (ფს. 17,21)<sup>1</sup>, ამბობს ჭეშმა-რიტი ღვთის მსახური. „რამეთუ ყოველნი სამართალნი მისნი წინაშე ჩემსა არიან და სიმართლენი მისნი არა განვიშორენ ჩემგან“ (ფს. 17,22).

უპირველესად აუცილებელია გავარკვიოთ აღნიშნულ თანაფარდობაში ამ თანაფარდობის შემადგენელი ყველა ელემენტის ერთმანეთთან დამოკიდებულება როგორც ჰორიზონტალურ, ისე ვერტიკალური ჭრილით. ჩვენს მიერ განსახილველი თანაფარდობა კი შემდეგნაირად ფორმულირდება:

ვინ? რატომ? და რისთვის? – თანაფარდობა – რა? როგორ? და ვისთვის?

თვალნათლივ ჩანს მოცემულ „გამოსახულებაში“ მრიცხველის უპირატესობა, რომლის პირველი წევრი „ვინ?“ – ღმერთი არის დაუსაბამო, უსასრულო, უმშვენიერესი და უსანატრელესი არსება და ერთი მხო-ლოდ ღირსი სრულისა ჩვენისა სიყვარულისა. „მხოლოდ ღმერთი შეიცავს თვის შორის ყოველთა უმაღლეს-თა თვისებათა, რომელთაც ძალუსთ დაკმაყოფილება ჩვენი გულის სურვილისა. გული კაცისა ეძიებს მარა-დის უმჯობესსა საგანსა სიყვარულისასა; გარნა ვერცერთი საგანი ვერ შეავსებს წყურვილსა მისისა სიყვა-რულისასა. გონება ანუ ჭკუა კაცისა მარადის მემიებელი სიპრმნისა და ჭეშმარიტებისა, მხოლოდ ღვთის შორის ჰპოვებს სრულსა და უმაღლესსა ჭეშმარიტებასა“<sup>2</sup>.

„ვინ?“ – ღმერთზეა დამოკიდებული ყველა და ყველაფერი. „ვინ?“-ღვთის სამართალნია ყველაფერი, რაც მთელ სამყაროში ხდება. ყველა მოვლენა მისი განსჯისა და განჩინების შედეგად აღესრულება. მისგან დაფარულად, დამოუკიდებლად არაფერი ხდება და ვერც მოხდება. ღვთის მოქმედებებით შეიქმნა ხილული და უხილავი სამყარო, რომლის ერთ-ერთი შემადგრელი ნაწილი „რა?“ – რესურსებია. ყველასათვის ნათე-ლია, რომ ქვეყანა ადამიანს მიეცა როგორც „საკვები“, როგორც სიცოცხლის საშუალება, მაგრამ ამავე დროს სიცოცხლე ღმერთთან ურთიერთობა უნდა იყოს. მხოლოდ ღვთის გულისათვის მიღებულ საკვებს შე-უძლია ცხოველმყოფელი იყოს. თავისთავად საკვებს თავის თავში სიცოცხლე არ გააჩნია და არც კვლავ-წარმოება შეუძლია. ოდენ ღმერთშია სიცოცხლე. თვით საკვებშიც სიცოცხლის საწყისი არის ღმერთი და

<sup>1</sup> ლოცვანი და ფსალმუნი, გამომცემლობა „გვირგვინი“, თბ., 2008, გვ. 44.

<sup>2</sup> ქადაგებანი იმერთის ეპისკოპოსისა გაბრიელისა, თქმული 1860-1870 წლებში. ტ.I, გამომცემლობა IV, ქუთაისი, სტ. მმობა 1913, გვ. 377.

არა კალორიები. ადამის ე.ი. კაცობრიობის განუსაზღვრელი ტრაგედია იმაში მდგომარეობს, რომ მან საკვები აღიქვა, როგორც „სიცოცხლის წყარო“. უბრალოდ რომ ვთქვათ ის ერწმუნა საკვებს, როცა რწმენის, ნდობისა და სასოების ერთადერთი საგანია ღმერთი და მხოლოდ ღმერთი. ჩვენ ვჭამთ, რათა ვიცოცხლოთ, მაგრამ ჩვენ არ ვცოცხლოთ ღმერთში. ქვეყნიერება არ იძლევა მყარ ბედიერებას. იგი არსებობს, მაგრამ მას იძლევა არა ქვეყნიერება, არამედ ღმერთი<sup>1</sup>. „მაუწყენ მე გზანი ცხორებისანი და აღმავსო მე სიხარულითა პირისა შენისათა; შეუნიერებაი მარჯუნება შინა შენსა სრულიად“ (ფს.15,10).

„რა უნდა ვაწარმოოთ?“ ამ კითხვის გაანალიზება უნდა მოხდეს უფრო დაწვრილებით, დაკვირვებითა და სიღრმისეულად. ის, თუ სად მივყავართ ამ კითხვის ფესვებს, რა ან ვინ არის მისი გამომწვევი მიზეზი – პასუხი ერთია: ისევ და ისევ ადამიანი თავისი სურვილებითა და მოთხოვნილებებით. ადამიანი, რომლის ნამდვილი სიდიადე მის სამყაროსთან უდავო ნათესაობაში კი არაა, არამედ, მის ღვთაებრივ სისრულესთან თანაზიარობაში, „ხატისა“ და „მსგავსებისა“ მასში ჩადებულ საიდუმლოში. „მე მიწა ვარ და ამიტომაც მიჯაჭვული ვარ მიწიერ ცხოვრებას, – წერს წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი – მაგრამ მე ასევე ღმრთაებრივი ნაწილაკიც ვარ, და ამიტომაც ვატარებ გულში მომავალი ცხოვრების სურვილს.“ კაცობრიობისათვის შეიქმნა სამყარო, რომელიც მიჰყება მას, რადგან იგია ბუნება ადამიანისა, მაშასადამე ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ სამყაროზე. მხოლოდ ჩვენით ძალუბს კოსმოსს, როგორც ჩვენი სხეულის გაგრძელებას, მაღლის მიღება, რადგან არა მარტო სული, არამედ სხეულიც კაცისა ღვთის ხატადაა შექმნილი. „ერთად იქნენ ისინი ღვთის ხატად შექმნილნი“. წერს წმ. გრიგოლ პალამა.

აუცილებელია მოხდეს ადამიანის მოთხოვნილებათა დიუგერენცირება, რათა დაქმაყოფილებული იქნეს – „რა ვაწარმოოთ?“ კითხვის საღი ნაწილი, რომელიც მატერიალური მოგების მიღების გარდა სრულ ბედნიერებას მოუტანს როგორც მიმწოდებლებს, ასევე მომხმარებლებს, ჯამში კი კაცობრიობას. ამიტომ, დაწვრილებით უნდა იქნეს განხილული მოთხოვნილებები გონების ნაყოფია, თუ გულისა? ამავე დროს გათვალისწინებული უნდა იქნეს ის გარემოება, რომ ყველა წარმოშობილი მოთხოვნილების შედეგად წარმოებული საქონლის ბოლო ადრესატი ისევ და ისევ ადამიანია და კონკრეტულად როგორ გავლენას მოახდენს მასზე აღნიშნული მიწოდებული საქონელი, ამ მსჯელობას მივყავართ იქამდე, რომ თანაფარდობის მნიშვნელში შემავალი ყველა ელემენტის ინდივიდუალურად და სიბრტყისეულად განხილვა დიდ ცდომილებას მოგვიტანს, თუ არ გავითვალისწინებთ მათ ერთმანეთთან კავშირს სინთეზსა და სივრცისეულ დამოკიდებულებაში. არ უნდა მოვახდინოთ გრძნობათა ორგანოების მიერ ადამიანში წარმოშობილი მოთხოვნილებების, სათავის, – ჭეშმარიტი სჯულის – საწყისი წერტილის იგნორირება. აღნიშნული მოქმედებების გათვალიწინების გარეშე მოთხოვნილებების უმეტესი ნაწილის „რა?“ იშვიათი რესურსების ბაზაზე „როგორ ვაწარმოოთ?“ ტექნოლოგიების გამოყენების გზით დაკმაყოფილება, რომელიც მიდის „ვისთვის ვაწარმოოთ?“ ადრესატთან, როგორც უშუალოდ წუთისოფლის კონკრეტულ მოქალაქესთან, და ამ დროს ასხოლუტურად უგულვებელყოფილია მთავარი დატვირთვა „ზეცის მოქალაქესთან“. სწორედ ეს გვაძლევს არასწორ, არაჯანსაღ გარემოს და შედეგს დღევანდელ თანამედროვე მსოფლიოში, რომლის როგორც ფაქტისა და რეალობის უარყოფა ვერცერთ მეცნიერსა და მეცნიერებას არ შეუძლია და ვერც შეძლებს.

ამიტომ, დროა კაცობრიობამ ბოლომდე გაითავისოს მისი შექმნის, პასუხისმგებლობისა და უპირატისეულ მდგომარეობაში მოვლინების მიზეზი, თუ რატომ შექმნა ღმერთია ადამიანი თავისუფალი და პასუხისმგებელი. სწორედ იმიტომ, რომ მას სურდა მოეხმო იგი უდიდეს ჯილდოსთან – განლმრთობასთან, ანუ იმასთან, რომ ადამიანი უსასრულობაში სწრაფვისას, მაღლის მიერ ქცეულიყო იმად, რაც თავად ღმერთია თავისი ბუნებით. „თავისუფლება არის ბეჭედი ჩვენი ღვთისადმი თანაზიარებისა, იგია ღვთის უსრულყოფილების ქმნილება, შემოქმედის შედეგრი“<sup>2</sup>.

<sup>1</sup> საქართველოს ეროვნული აკადემია, გელათის სასულიერო აკადემია, თბ., 2006, გვ. 63-64.

<sup>2</sup> ვლადიმერ ლოსკი დოგმატური ღვთისმეტყველება, თბ., 2007, გვ. 65.

„ღმერთმა შექმნა ადამიანი იმ ცხოველად, რომელმაც მიიღო ბრძანება გახდეს ღმერთი.“ – აი მკაცრი სიტყვა ბასილი დიდისა, რომელსაც იმოწმებს გრიგოლ ღვთისმეტყველი. ადამიანი მხოლოდ ღვთის ნებით შეიქმნა, მაგრამ, ამ ერთი ნებით მისი განღმრთობა არ ხდება, ერთი ნებაა შექმნაში, ორი-განღმრთობაში. ერთი ნებაა „ხატის“ შესაქმნელად, ხოლო ორი იმისათვის, რომ იგი „მსგავსად“ იქცეს.<sup>1</sup>

ადამის ცოდვით დაცემამ გამოიწვია კაცობრიობის დეგრადაცია – დიფერენცირება ყველა მიმართულებით (სულიერი, ფშვინვიერი და ხორციელი), რამაც ასახვა პპოვა კაცობრიობის შემდგომ განვითარებაში, რომ მათ ისიც უნდა შეიმეცნონ და გაითავისონ, რომ ადამიანის ღვთისთვის საბულველი და მტრული საქმიანობა ისევ და ისევ ეშვება იმისათვის, რომ გამოკვეთილიყო ღვთის ქმნილებათა უპირატესობის მთავარი არსი, რომლებიც საკუთარი თავისუფალი ნების საღად გამოყენების შემთხვევაში, ჭეშმარიტი სინანულის გზით შეძლებდენენ ყოველივე ხრწნადი და წარმავალი შეხედულებებისა და მოქმედებების შეცვლას. „რამეთუ საწუთო ესე მცირე ჭირი ჩუქი გარდამატებულსა და გარდარეულსა დიდსა დიდებასა საუკუნესა შეიქმნება ჩუქნთვის, რამეთუ არა ვპხედავთ ჩუქ ზიღულსა ამას, არამედ უხილავსა მას; რამეთუ ზიღული ესე საწუთო არს, ხოლო არა ზიღული იგი საუკუნო“ (მეორე კორ. 4,17-18). ბოლომდე შეისისხლხორცონ ის ძირითადი ფაბულა, რომ წუთისოფელი, რომელშიც ასე რუდუნებითა და მოშურნეობით იღწვის ადამიანი, არის დაუმთავრებელი ხაზის გარევეული მონაკვეთი, ანუ სამყაროს მეოთხე განზომილების დროის ის ნაწილი, რომელშიც ცხოვრების წესის მიხედვით განისაზღვრება ადამიანისა და სამყაროს კვდომის სისწრაფე. ამიტომ, მხოლოდ წუთისოფელის სიბრძნე ვერ განსაზღვრავს მისივე არეალში მოქმედულ ეკონომიკური ტრიადის გადაჭრის გზების დაძლევის მეთოდებს და მათ შედეგად მოგებაზე დამოკიდებულ შედევს (კაცობრიობის ბედნიერებისათვის ზრუნვას), თუ არა დამოკიდებულება უსასრულოსთან. ის, რომ თუ ადამიანის მოთხოვნილებები დროში შესაბამისობაში იქნა „დროის სულის“ მოთხოვნილებებთან, რომელიც აცდებილია მარადისობის დროის ნაწილისაგან, მაშინ იგი გამოიწვევს ადამიანისა და იმ დროის ნაწილის მოსხლეტას მარადიულ დროსა და მარადისობის სულისაგან, რომელიც კარგავს არსებობის მარადიულ აზრს: „გაატარეთ დროის სული მარადისობის სულის პრიზაში.“ (ღირსი მამა იუსტინე პოპოვიჩი).

ამიტომ „რა ვაწარმოოთ?“ კითხვაზე პასუხის გასაცემად და შესაბამისი ქმედებების განსახორციელებლად აუცილებელია გათვალისწინებული იქნეს ის ფაქტი, რომ ეს იშვათი თუ ჭარბი რესურსები მხოლოდ უფლის ძალის მიერ მოიპოვება სამყაროში და მოგვეწოდება დასამუშავებლად ჩვენ ისევ და ისევ ჩვენს საკეთილდღეოდ და, რომ მათგან დამზადებულმა პროდუქტმა ისე უნდა დააგმაყოფილოს „ვისთვის?“ – მომხმარებელთა მოთხოვნილებები, რომ ზიანი არ მოუტანოს ადამიანს, როგორც ფიზიკურ, ისე სულიერი ასპექტით. აქ დამოკიდებულება, როგორც იყვეთება ცალსახა არ არის. ეკონომიკური ტრიადის გადაჭრის სამივე ეტაპი ერთმანეთთან მიმართებით უნდა აისახებოდეს, რომ ჯამში შედეგი იყოს მარგი, რაც იმით გამოიხატება, რომ ჯანსაღ რესურსებზე არაჯანსაღი მეთოდების საშუალებით მიღებული პროდუქტი დანიშნულების აღრესატამდე მიწოდებული მიზნის მიღწევაში ვერ დაგვეხმარება.

აღნიშნული ინერციით ცხოვრების რიტმის წარმართვა კაცობრიობას სრულ ბედნიერებამდე ვერ მიგვიყვანს, თუ არ ჩავთვლით მხოლოდ დროებით მატერიალურ მოგებას, რომელიც საბოლოოდ გამოიწვევს მატერიალური სამყაროს კვდომას დროში. ანალოგიური კურსის გაგრძელების შემდეგ მთელმა მსოფლიომ ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით სინუსოდის გრაფიკის სახე მიიღო, რაც იმით გამოიხატება, რომ აღმავალ დინამიკას ყოველთვის მოპყვება დაღმავალი და ა. შ. სიმეტრიულად, რომლის მაქსიმალური და მინიმალური ზღვრების დონეები კაცობრიობის იმ სულიერი, თუ გონებრივი პოტენციური შესაძლებლობების მაჩვენებელია, რომელიც რეალიზების საშუალებისათვის ეძლევათ მათ ისევ და ისევ უფლის ძალითა და მადლით. საკუთარი თავისუფალი არჩევნის თანახმად კარგად გაიაზრონ ის უპირატესი და უპირატესობა, რომლის მიხედვითაც ეძლევათ გზა განღმრთობისაკენ. ის, რომ გზას აცდენილი კაცობრიობა არ იქნა უფ-

<sup>1</sup> ვლადიმერ ლოსკი დოგმატური ღვთისმეტყველება, თბ., 2007, გვ. 67.

ლის მიერ მიტოვებული სამუდამოდ დაცემულ მდგომარეობაში და მათ გრძელი, ვრცელი გზის, კერძოდ განღმრთობის შემოვლითი გზა ასწავლა.

აღმოჩნდა, რომ აღნიშნული ფარდობის მნიშვნელის მეორე ელემენტი – „როგორ ვაწარმოოთ?“, ყველაზე საპასუხისმგებლო ელემენტია, რომლის გაანალიზების დროს ეკონომისტები უპირატესობას ტექნოლოგიური პროცესების გამოყენებას ვანიჭებთ, რომელთა საშუალებითაც დროის მოკლე მონაკვეთში მინიმალური დანახახაჯებით მაქსიმალური მოგების მიღებას ვცდილობთ და გვავიწყდება, რომ სხვა უფრო მნიშვნელოვანი პრიორიტეტებია წამოსაწევი წინა პლანზე. სწორედ „როგორ ვაწარმოოდ?“ ბოლომდე მოიცავს კაცობრიობის ცხოვრების წესის გამოხატულებას, სადაც მტკ-ის გარდა ათასი ნიუანსი და ქმედებაა მართებულად გასაანალიზებელი, რაც უშუალოდ არის დაკავშირებული ზემოთ აღნიშნული ელემენტი მრიცხველის მეორე და მესამე ელემენტებთან. სწორედ „როგორ ვაწარმოოდ?“ კითხვაზე არასწორი და არასრულყოფილი პასუხის შედეგად გაუთოვონდიერებელი ქმედებები, რომელთაც კაცობრიობის დეგრადირება გამოიწვიეს, გახდა კატალიზატორი ათასი განსაცდელებისა, სხვადასხვა უბედურობისა და კატაკლიზმებისა, რაც სერიოზული ეკონომიკური არასტაბილურობისა და რღვევის გამომწვევისა.

ამიტომ სამწუხაროა, რომ კაცობრიობამ ერთხელ და სამუდამოდ ბოლომდე ვერ გაითავისა, რომ მისთვის არსებითად საჭირო და აუცილებელი სხვა რამაა, რომ საჭიროა ღვაწლი, რათა ზესტად განუსაზღვროს საკუთარ თავს პირადი დამოკიდებულება ღმერთსა და მისთვის ცნობილი უზარმაზარი სამყაროს ყველა ნაწილისადმი. ბოლომდე იგრძნოს თუ ვინ არის იგი რა არის მისი პასუხისმგებლობა, ის ძირითადი ფიქსი, რომ ადამიანს რაც უფრო მაღალი აქვს თანამდებობა და, აქედან გამომდინარე, პასუხისმგებლობა, მაღლმოსილებაც მეტი მართებს. მაღლმოსილ პიროვნებათა სიმრავლე ქმნის ერის კეთილდღეობას, მაღლის სიმცირე კი ხშირად განაპირობებს მის განსაცდელში ყოფნას<sup>1</sup> დაფიქრდეს სად გადადგა არასწორი ნაბიჯი, სად ვერ გათვალა, სად შეცდა, სად შეცოდა და რატომ? რატომ და რისთვის ეწამა მათთვის მაცხოვარი? ჩვენთვის საჭირო იყო რომ ღმერთი განკაცებულიყო და მომკვდარიყო, რათა ჩეკ გავცოცხლებულიყოთ“ – წერს წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი, ხოლო წმ. ათანასე ღიდი ამტკიცებს: თუ ღმერთი იშვა და მოკვდა, იმიტომ მოკვდა, რომ იშვა, ხოლო იშვა იმისათვის, რათა მომკვდარიყო.“

„ქრისტემან ჩუებ მოგვიყიდნა წყევისა მისგან ჰსჯულისა და იქმნა ჩუენთვს წყევასა ქეეშე; რამეთუ წერილ არს: წყეულ-იყავნ ყოველი, რომელი დამოეკიდოს ძელსა“ (გალატ.3,13).

ის რაც ძველი აღთქმის სასულიეროთა ვერ შეძლეს, კერძოდ ცოდვით დაცემული კაცობრიობის ტვირთვა, ღვთისმშობელმა დედამ თავისი ღვაწლმოსილებით „ნათელი სოფლისა დატია“ და შვა კაცობრიობის მხსნელი-უფალი ჩვენი იესო ქრისტე. რომელმაც კაცობრიობის ძველი აღთქმის დროინდელი მმიმე უღელი შეცვალა ტკბილი უღლით და გახადა ისინი მაღარებელნი: „მოვედით ჩემდა ყოველი მაშურალნი და ტვირთ-მძიმენი, და მე განგისუენო თქუენ. აღიღეთ უღელი ჩემი თქუენ ზედა, და ისწავეთ ჩემგან: რამეთუ მშვიდ ვარ და მდაბალ გულითა; და პპოვოთ განსუენება სულთა თქუენთა. რამეთუ უღელი ჩემი ტკბილ არს, და ტვრთი ჩემი სუბუქ არს“ (მათ. 11,28,29,30).

ქრისტე არის კეთილი, გულმოწყალე სამარიტელი, რომელიც კურნავს და აღადგენს ავაზაკთა ანუ დემონთა მიერ დაჭრილ, დასახიჩრებულ კაცობრივ ბუნებას.

დაბოლოს, ღვთის მოქმედებით შეიქმნა ხილული და უხილავი სამყარო, შეიქმნა და გამოსყიდულ იქნა ადამიანი, აღსრულდა და აღესრულება ყველა საზოგადო, თუ კერძო მოვლენა, საიდანაც ღვთის სახიერება, ყოვლისშემძლეობა და სიბრძნე ისე ანათებს, როგორც მზე ცაზე. ბოროტება, თავისი ყველა შედეგით, ქნილებათა თავისუფალი ნებით რჯულთან არასწორი დამოკიდებულებისდაგამო გაჩნდა. საკუთარი ნებითა და ღვთის დაშვებით დაეცნენ ადამიანები, არ მიიღეს, განუდგნენ ზეციურ მამას მაცხოვრის ცხოველმყოფელი სისხლით გამოსყიდული ადამიანები. ღვთის დაშვებით, დაცემული ადამიანების ბოროტი ნებით დედამიწა ბო-

<sup>1</sup> სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია II, შობა ქრისტესი, თბ., 2012 წ.

როტმოქმედებითა და უკეთურობებით გაიხრწნა. ღვთის დაშვებითა და განჩინებით ქვეყნიერება სხვადასხვა საზოგადო, თუ პირადი მწუხარებებითა და უბედურობებით ისჯება და ვინ უწყის როდემდე გაგრძელდება ასე? ღვთისგან განდგომილებსა და მტრებს თავს დაატყდეათ მარადიული სატანჯველი ჯოვანხეთის ცეცხლოვან, ბნელ უფსკრულში, რაც ნებაყოფლობით განიმზადეს.

ამრიგად, გაუთავებელი მოტივირებული მსჯელობა იმ საკითხებზე, რომ ნებისმიერი თუნდაც ეკონომიკური პრობლები დაძლეული იქნება ეკონომიკისა და ზოგადად სხვა მეცნიერებების მიერ თავიანთი მაქსიმალური შესაძლებლობის მქონე მაქსიმალური გამოყენების წყალობით, ფუჭად დროის ფლანგვაა თუ არა უზენაესიდან გამომდინარე, მასთან-არასწორი დამოკიდებულებისდა გამო. აღნიშნულიდან გამომდინარე გათვალისწინებულმა გამოსწორებადმა ძირებმა ეკონომიკური ტრიადის გადაჭრის მეთოდებში მომენტალურადვე შეიძლება დაგვანახოს წუთისოფლისეული სიბრძნისადმი სამწუხარო რეალური ფაქტები: მატერიალური მოგების რიცხობრივი მაჩვენებლების დამავალი დინამიკა, რომაც მომენტში შეიძლება ადგილი პქონდეს უარყოფით სალდოსაც კი, მაგრამ ერთი რამ უდავოა, რომ დღევანდელი ავთვისებიანი „სიმსივნითა“ და „ნიკილიზმით“ დაავადებული საზოგადოებისათვის აუცილებელია მთელი ცხოვრების მანძილზე დგაწლი და შრომა იმისათვის, რომ უწინარესად გამდიდრდეთ ღმერთში და არა წარმავალი სიმძიდრით, რომელიც ხდება ხრწნადი მასთან არასწორი დამოკიდებულებისდაგამო, როგორც ამის შესახებ გვასწავლის უფალი იგავიდან უგუნური მდიდრის შესახებ.

უნდა გვასხოვდეს, რომ ნებისმიერი მეცნიერება სამართლიანობისა და სათნოებების გარეშე არა სიბრძნე, არამედ მზაკვრობაა, რომ ყველაზე დიდი ზიანის მოტანა საზოგადოებისათვის ნასწავლ, ურწმუნო ადმინის შეუძლია, ე.ი. იმათ, ვისაც არ სწამო ღმერთი და არ გააჩნიათ სიმდაბლე: „აღგიარებ შენ, მამაო, უფალო ცისა და ქუეყანისაო, რამეთუ დაპჰარე ესე ბრძნეთაგან და მეცნიერთა და გამოუცხადე ჩვილთა...“, რომ ჩვენ მიერ განხილული ფარდობა, მოუხედავად იმისა რა პარამეტრებითაც და როგორი სიხშირითაც არ უნდა შეიცვალოს (გაიზარდოს ან შემცირდეს) მნიშვნელობა თანაფარდობა ყოველთვის უცვლელი იქნება და მუდამ ტოლი უსასრულობისა, რაც ჩვენი მსჯელობის ძირითადი მიზანია, რათა კიდევ ერთხელ მოხდეს კრეატიულად მიღებომა ჩვენ მიერ მთავარის და მნიშვნელოვანის მართებულად განსაზღვრისა და გაანალიზებისას, რომ ყველამ ჩვენი ცხოვრების წესით წუთისოფელში წამოჭრილი ნებისმიერი პრობლემების დაძლევის გზები იმ მეთოდებსა და ხერხებს დავუქვემდებაროთ, რომელიც რჯულთან მიმართებით იქნება გამართლებული, რათა გაგრძელდეს სიცოცხლე უფალში. სამწუხაროდ, არსებული მონაცემებით, „შეუძლებელია დედამიწა ვაქციოთ სამოთხედ, მაგრამ ხელი უნდა შევუშალოთ იქცეს ჯოვანხეთად“.<sup>1</sup>

ღმერთი, რომელიც სიყვარულია, ვინც უყვარს მას ამხელს და წვრთნის: „რამეთუ, რომელი უყუარს უფალსა, პსწავლის და პსტანჯის; ყოველი შვილი, რომელი შეიწყნარის. უკეთუ პსწავლასა დაუთმოთ, ვითარცა შვილთა შეგიწყნარებს თქენებ ღმერთი. რამეთუ ვინმე არს შვილი, რომელი არა პსწავლის მამამან? ხოლო უკეთუ შორს ხართ სწავლასა, რომლისა ზიარ-ქმნულ-არიან ყოველნი, მწირნი ვიდრემდე ხართ, და არა შვილნი. აწ უკუე, თუმცა გუეხსკნეს ხორციელნი მამა-დედანი მასწავლელად, გუეკიდმებოდა სამემცა: არა-მე უკუროს დავემორჩილნეთა მამასა მას სულთასა და ვჲსცხონდეთ? რამეთუ, რომელნი მე იგი მცირეთა დღეთა მათისაუბრ ნებისა პსწავლიდეს; ხოლო ესე უმჯობესისათვის, რათა მოიღონ სიწმინდისაგან მისისა. ყოველი სწავლა მეყუსეულად არა არს სიხარულ, არამედ მწუხარება; ხოლო უკანასკნელ ნაყოფი მშვიდობისა მის მიერ წურთილთა მათ მოაგის სიმართლე. ამისთვის დაშოთმილნი ელნი და დაპხსნილნი მუელნი აღემართებით; და ალაგნი მართლ-პყუენით ფერხთა თქუენთანი, რათა არა მკელობელი იგი დაეცეს, არამედ უფროსდა განიკურნოს“<sup>2</sup>. ანუ მწუხარებას, განსაცდელს, ტკივილს უშვებს ცალკეული ოჯახების, ქალაქების, სახელმწიფოებისა, თუ ცალკეული ადამიანების მიმართ, რათა „უძღები შვილივით“ გონს მოეგონ, იჩქა-

<sup>1</sup> ინტერვიუ სერბეთის პატრიარქთან, უწმინდეს პავლე (სტოიჩევიჩი)-თან, 2001, 2 თებერვალი, გაზეთი „პოლიტიკა“.

<sup>2</sup> უფლისა ჩუენისა იქსო ქრისტეს წმინდა სახარება, ტფილისს, კავკასიის ნამესტნიკის უმთავრესის გამგეობის სტამბაში, 1879, გვ. 459.

რონ, მოინანიონ და ღვთისთვის მოსაწონი ცხოვრების გზას დაადგნენ, რადგან ნებისმიერი სხვა გზა – ესაა გზა წარწეშედისა, ესაა გზა მარადიული სიკვდილისა, ანუ ღვთის გარეშე მარადიული გაუსაძლისი არსებობისა.

დაბოლოს, ჩვენი მოკრძალებული სურვილია საკონფერენციო თემა დავასრულოთ მამისა ჩვენისა სერაფიმე კირიცელის შეგონებით:

„მე ვარ ნათელი, თქვენ კი ვერ მხედავთ, მე ვარ გზა, თქვენ კი არ მომყვებით, მე ვარ ჭეშმარიტება, თქვენ კი არ გვერათ ჩემი, მე ვარ სიცოცხლე თქვენ კი არ მეძებთ. მე ვარ მოძღვარი თქვენ კი არ მისმენთ, მე ვარ უფალი, თქვენ კი არ მემორჩილებით, მე ვარ ღმერთი თქვენი, თქვენ კი არ ღოცულობთ ჩემდამი, მე ვარ კეთილი მეგობარი, თქვენ კი არ გიყვარვართ, და თუ არ ხართ ბედნიერი, ნუ დამადანაშაულებთ მე!..“

**Archpriest Nikoloz (Nikolaishvili)  
Ekaterine Babunashvili**

### **Correlation between who, why, what for and what, how, for whom**

#### **R e s u m e**

Endless discussion about the ways of solving any problem including economic one through economic and other sciences is the waste of time because people haven't got right attitude to the God.

Accordingly, the reparable radical movements in the methods of solving economic triad may show us regrettable real facts of the world wisdom: decreasing dynamics of numerical signs of material profit, sometimes there may be a negative balance, but it is obvious that today's society, that's ill with "cancer" and "nihilism" needs to work for a whole life in order to become rich in God and not in passing wealth, which becomes rotten due to wrong attitude towards it, as we know it from a fable about a reckless person.

We should remember that any science without justice and virtue is arts not wisdom; The most harmful for the society is an educated, faithless men i.e. those who don't believe in God; in spite of the changes (increase, decrease,) of the meaning of denominator, correlation will always stay the same and equal infinity. That is the main goal of our discussion, in order to analyze the main and important things properly and to solve any of our problems with the ways and methods proper to our belief. Unfortunately, according to the current data, it's impossible to convert the world into the paradise, but we must prevent it from becoming the hell.

## რელიგია, რომორც ზნეობრიობის სუბსტანცია და ეპონომიკური ზოდის მოტივატორი

კაფშირი რელიგიასა და ადამიანის ეკონომიკურ საქმიანობას შორის არსებობს უძველესი დროიდან. რელიგია ახდენდა და ახდენს აქტიურ ზემოქმედებას ეკონომიკისა და წარმოების სფეროში მორწმუნეთა ქცევასა და შრომისადმი დამოკიდებულებაზე. ამის შესახებ მოწმობს ყველა მსოფლიო რელიგიის გამოცდილება. ეკონომიკურ წარმატებას აღწევდნენ ის საზოგადოებები და ქვეყნები, სადაც სხვადასხვა რელიგია თავისი სპეციფიკური საშუალებებით ახდენს ეკონომიკური საქმიანობის სტიმულირებას, ქმნის რა შესაბამის ზნებრივ ფონს, შრომის ეთიკურ ნორმებს.

არსებობს მრავალი კვლევა, რომელიც მიეძღვნა რელიგიის ეკონომიკაზე ზეგავლენის საკითხს. ქვეყნებს შორისი შედარებები გვიჩვენებს, რომ, ჯერ ერთი, მოქალაქეთა რელიგიურობა სასიკეთო გავლენას ახდენს ეკონომიკურ განვითარებაზე, მეორე ის, რომ ეს ეფექტი სხვადასხვა რელიგიაში განსხვავდებულად ვლინდება. ამასთანავე, არსებობს ვარაუდი იმის შესახებ, რომ რელიგიური ფასეულობები, როგორც რელიგიისადმი კუთხით უცვლელია და ისინი ჩვენი იდენტურობის ერთ-ერთი საბაზისო შემადგენელია. თუმცა, ისტორიაში იყო კონფესიური კუთხით უცვლელების მასობრივი შეცვლის შემთხვევებიც, მაგალითად, რეფორმაცია ევროპაში ან აფრიკაში, ლათინურ ამერიკაში ევროპელების მიერ კოლონიზებული ტერიტორიების მაცხოვრებელთა მასობრივი გაქრისტიანება. მიუხედავად ამისა, ყოფით დონეზე ჩვენ ვგულისხმობთ, რომ თუკი ადამიანი დაიბადა და გაიზარდა, მაგალითად, კათოლიკურ ოჯახში, მაშინ რაც არ უნდა გააკეთოს მან – აღარ იაროს ტაძარში, მიიღოს საერო განათლება, გადავიდეს სხვა ქალაქში, – მისი ფასეულობათა სისტემა მანც დარჩება კათოლიკურად.<sup>1</sup>

რელიგია – საზოგადოებრივი ცნობიერების ერთ-ერთი ფორმაა, რომელიც განპირობებულია ზებუნებრივი ძალის ან პიროვნებისადმი რწმენის არსებობით. ეს რწმენა – ნებისმიერი რელიგიის ძირითადი ნიშანი და ელემენტია, რომელსაც მისდევენ მორწმუნებები. იდეოლოგები ცდილობენ დაამტკიცონ, რომ რელიგია მარადიულია, რომ ადამიანისადმი რელიგიური გრძნობა მინიჭებულია ბუნებისაგან. სინამდვილეში კი, რელიგია წარმოიშვა მხოლოდ საზოგადოების განვითარების განსაზღვრულ ისტორიულ ეტაპზე. ადამიანთა დაჩაგრულობა ბუნების სტიქიური ძალებით, სოციალური წნევი, ბუნებრივი და საზოგადოებრივი მოვლენების ჭეშმარიტი მიზეზების უცოდინრობა – რელიგიის წარმოქმნის არც თუ უმნიშვნელო ფაქტორებია. სხვა შეხედულებით რელიგიის უმნიშვნელოვანების ნიშანს წარმოადგენს ზებუნებრივი ძალის მიმართ არსებულის რწმენა. იყვნენ რა დამოკიდებული გაბატონებულ ბუნების ძალებზე, ადამიანები ანიჭებდნენ მათ არამიწიერ თვისებებს. ასე წარმოქმნა რელიგიული კულტი – რელიგიური მოქმედებების: ლოცვების, მსხვერპლად შეწირვის და ა.შ. რიტუალების ერთობა. რელიგიური კულტის წარმოქმნასთან ერთად გაჩნდნენ მისი მსახურებიც – ქურუმები, შამანები, მოძღვრები, აგრეთვე, სხვადასხვა სახის რელიგიური ორგანიზაციები და დაწესებულებები.<sup>2</sup>

დღეისათვის მსოფლიოში არსებობს უამრავი სხვადასხვა რელიგია, მათ შორის ყველაზე გავრცელებულია: ქრისტიანობა, ისლამი და ბუდიზმი. ქრისტიანობას, როგორც ყველაზე მასობრივ რელიგიას ჰყავს 2 მლრდ მიმდევარი. მეორე ადგილზეა ისლამი (1,3 მლრდ ადამიანი). მესამე მსოფლიო რელიგიაა ბუდიზმი (400 მლნ ადამიანი).<sup>3</sup> 2005 წლის მონაცემებით, დედამიწის მორწმუნების 54%-ზე მეტი ერთ-ერთი აბრაამისტული რელიგიის მიმდევარია. მათგან 33% – ქრისტიანი, 22% მაკმადიანი, 0,2% – იუდეველია. პლანეტის

<sup>1</sup> Этнология / под ред. Е.В. Миськовой, Н.Л. Мехедова. - М.: 2005, ст.9.

<sup>2</sup> Мунчаев, Ш.М. Религия. История и современность / Ш.М. Мунчаев. - М.: 1998, ст.18

<sup>3</sup> Тишков, В.А. Народы и религии мира. Энциклопедия / В.А. Тишков. - М.: 1999, ст. 311.

მაცხოვრებლების 14%-ს სწამს ინდუიზმი, 6%-ს – ბუდიზმი, 6%-ს ტრადიციული ჩინური რელიგიები, 0,37% არის სიქი, ხოლო 7% – სხვა რელიგების მიმღევარი.<sup>1</sup>

ქრისტიანობას გააჩნია სამი ძირითადი განშტოება: კათოლიციზმი, რომელიც გავრცელებულია, ძირითადად, დასავლეთ ევროპასა და ამერიკაში; პროტესტანტიზმი, ძირითადი კერძი დასავლეთ ევროპის ჩრდილოეთშია, აშშ-ში, კანადაში, ავსტრალიაში, ახალ ზელანდიასა და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში; მართლმადიდებლობა, რომელსაც მისდევენ რუსეთის, უკრაინის, ბელარუსის, მოლდავეთის, საქართველოს, ბულგარეთის, რუმინეთის, საბერძნეთის და სხვა ერები. ქრისტიანობა დაკავშირებულია უფალი ჩვენი იქსო ქრისტეს და მისი უახლოესი მიმღევრების მოღვაწეობასთან. ამ რელიგიის ჩასახვის დროს, ჩვეულებრივ, მიაკუთვნებენ ჩვ. წთ აღ. 33 წელს – იქსოს ჯვარცმას. იქსო ქრისტე დაიბადა ქალაქ ბეთლემში. ქრისტიანებს სწამთ, რომ იქსო იშვა მარადექალწული მარიამისაგან. ქრისტიანობამ სწრაფად ჰპოვა ფართო გავრცელება. უპირველეს ყოვლისა, ადამიანებს ქრისტიანობაში ხიბლავს მაღალი ჰუმანისტური პრინციპები, ის ტოლერანტული მიდგომები, რომელიც ამ რელიგიაში თანაბრად დომინირებს ყველა რასობრივი, ეთნიკური და სოციალური ჯგუფებისადმი. რელიგიის ისტორია აღიარებს იმ მიდგომას, რომლის შესაბამისად, სწორედ ქრისტიანული რწმენის მიმღევრი ქვეყნები უმეტეს შემთხვევაში აღწევდნენ ყველაზე დიდ წარმატებებს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარების სფეროებში.

ამჟამად ქრისტიანობის მიმღევართა რიცხვი მოელს მსოფლიოში აღემატება 2 მლრდ-ს, მათგან ევროპაში – სხვადასხვა შეფასებებით 400-დან 550 მლნ-მდეა, ლათინურ ამერიკაში – დაახლოებით 380 მლნ, ჩრდილოეთ ამერიკაში – 180-250 მლნ. აშშ-ში – 160-225 მლნ, კანადაში – 25 მლნ, აზიაში – დაახლოებით 300 მლნ., აფრიკაში – 300-400 მლნ., ავსტრალიაში – 14 მლნ. სხვადასხვა ქრისტიანული კონფესიების მიმღევართა რიცხვი დაახლოებით შეადგენს: კათოლიკების – 1 მლრდ-ზე მეტი, პროტესტანტები – 400 მლნ, მათ შორის, 100 მლნ – ორმოცდათიანელები, 70 მლნ – მეთოდისტები, 70 – მლნ ბაპტისტები, 64 მლნ – ლუთერანელები, 75 მლნ – პრესვიტერიანელი და მასთან მიახლოებული რწმენის მიმღევრები, მართლმადიდებლური და ძველაღმოსავლური ეკლესიების მიმღევრები (არაქალკედონური ეკლესიები და ნესტორიანელები) – დაახლოებით 240 მლნ, ანგლიკანები – დაახლოებით 70 მლნ, ხოლო სომხური სამოციქულო ეკლესიების მიმღევრები – 10 მილიონა.<sup>2</sup>

მსოფლიოს რელიგიების მიმოხილვის საფუძველზე, კანონზომიერად დგება საკითხი იმის შესახებ, თუ რა აერთიანებს მათ. როგორც თეორიულ, ასევე ემპირიულ დონეზეც დადგენილია, რომ ისინი შეიცავენ პასუხს კითხვაზე – სიცოცხლის საზრისის შესახებ. ყველა რელიგიაში ირკვევა, რომ ადამიანის სიცოცხლე შეიძლება განისაზღვროს არა მარტო ზებუნებრივი ძალების გამოვლინებებით, არამედ მისი საკუთარი ძალისხმევითაც. ამ ძალისხმევას შეუძლია გავლენა მოახდინოს ადამიანის, როგორც ყოფიერებაზე, ასევე მისი ცნობიერების ჩამოყალიბების პროცესზე. ეს ნიშნავს იმას, რომ ადამიანის არ შეუძლია სრულად დაემორჩილოს თავის ბედს, მაგრამ უნდა გამოიყენოს ძალისხმევა საკუთარი ბედის სამართავად. ყველა რელიგია ადასტურებს, რომ ადამიანი უნდა ცდილობდეს ყოველივე კარგის მიღწევას, თავი აარიდოს ყველაფერ ცუდს ცხოვრებაში, რათა მიიღოს ღირსეული საზღაური მომავალში. ამრიგად, ადამიანის ცხოვრება განისაზღვრება ღმერთის ნებით, ამიტომ, ადამიანი უნდა ცდილობდეს იყოს ღმერთის მცნებების მიმღევარი, რათა მიაღწიოს ყველაფერ იმას, რაც არსებობს ცხოვრებაში სასიამოვნო ან თავიდან აიცილოს ყველაფერი ის, რაც მასში არასასიამოვნოა. სწორედ ეს აერთიანებს ყველა რელიგიას, რომელიც არსებობს სამყაროში, ბოროტისა და კეთილის პრობლემა რელიგიებისათვის ცენტრალურია, მაგრამ, თავისი არსით, ამ საკითხის მიდგომებისადმი რელიგიებში ვლინდება მრავალი განსხვავება და ისინი სხვადასხვაგვარად ზემოქმედებენ ადამიანის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე<sup>3</sup>. რელიგია საზოგადოებაში არსებობს, როგორც სოციალური ორგანიზმის, ცხოვრებისა და მოღვაწეობაზე.

<sup>1</sup> Этнография / под ред. Е.В. Миськовой, Н.Л. Мехедова. - М.: 2005, ст.18.

<sup>2</sup> Тихонравов, Ю.В. Религии мира / Ю.В. Тихонравов. - М.: 1996, ст.56.

<sup>3</sup> Афанасьев, В.Г. Основы философских знаний / В.Г. Афанасьев. - М.: Мысль, 1976, ст. 40.

ბის ერთ-ერთი გამოვლინება. რელიგია – საზოგადოებრივი ცხოვრების ნაწილია, რომლისაგანაც ის არ შეიძლება იზოლირებული იყოს, რადგან მყარადაა ჩამჯდარი სოციალური ურთიერთობების ქსოვილში. მიუხედავად ამისა, ამ კავშირის ხასიათი და ხარისხი ადამიანის საქმიანობის სხვადასხვა სფეროში არაერთგვაროვანია<sup>1</sup>. იმისთვის, რომ დავადგინოთ საზოგადოებრივ ცხოვრებაზე რელიგიის ზეგავლენის ხარისხი, საჭიროა განვიხილოთ ეს საკითხი რამდენიმე პოზიციიდან გამომდინარე:

- რელიგია და მეცნიერება
- რელიგია და საზოგადოება
- რელიგია და ეკონომიკა.

ურთიერთდამოკიდებულება – „რელიგია და მეცნიერება“ შედგება ორი საკითხისაგან: 1) როგორია რელიგიის და მეცნიერების საგნის თანაფარდობა; 2) როგორ შეუძლია მეცნიერებას შეისწავლოს რელიგია. პირველი საკითხი წარმოშვა მაშინ, როდესაც მეცნიერებამ უცნობი გამოიქვა პრეტენზია სხვადასხვა რელიგიის უარყოფის თვალსაზრისით ან, ყოველ შემთხვევაში, მათი დოღმატების შესამოწმებლად. მაგრამ უკვე XIX საუკუნის ბოლოს დამკვიდრდა აზრი იმის შესახებ, რომ მოცემულ მეცნიერებებს არანაირი საერთო არ გააჩნდათ რელიგიურ ცოდნასთან. საკითხები, რომლებიც არსებობს რელიგიურ მოძღვრებებში, მეცნიერებით არ შეიძლება იყოს დადასტურებული ან უარყოფილი. ამრიგად, მეცნიერება და რელიგია თავიანთი მიდგომებით ამსოდებულად განსხვავებულია. მეცნიერული და რელიგიური ცოდნა არ კვეთებ ერთმანეთს, მიეკუთვნებიან სხვადასხვა სფეროებს, აქვთ განსხვავებული დანიშნულება, წარმოქმნებიან სხვადასხვა მეთოდოლოგიური საწყისებით. თუმცა ისიც უნდა ვალიაროთ, რომ მეცნიერები მუდმივად ცდილობენ დაამტკიცონ რელიგიური დოქტრინების ჭეშმარიტება და ის ფაქტი, რომ რელიგიასა და მეცნიერებას გააჩნიათ სხვადასხვა საგანი, ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ მეცნიერებას არ შეუძლია შეისწავლოს რელიგია.<sup>2</sup> მეორე მხრივ, რელიგიის როლი ვლინდება იმით, რომ რიგ შემთხვევაში ის არ იზიარებს მეცნიერულ მიღომებს, მის მსოფლიშედველობას. საუკუნების განმავლობაში ესა თუ ის რელიგია განვითარების გარკვეულ ეტაპზე ებრძოდა მეცნიერებას, კრძალავდა მოწინავე იდეების გავრცელებას, ანადგურებდა პროგრესული მოაზროვნების ნაშრომებს, იყენებდა ინკვიზიციას, მაგრამ მან ვერ შეძლო მეცნიერების პროგრესის შეჩერება, რომელიც ნაკარნახევია ადამიანის მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებებით. თანამედროვე პერიოდში, უძლურია რა უარყოს უდიდესი სამეცნიერო მიღწევები, ეკლესია ცდილობს შეარივოს მეცნიერება და რელიგია, დაამტკიცოს, რომ მეცნიერული მიღწევები კი არ ეწინააღმდეგება რწმენას, არამედ ესმიანება მას. მეცნიერება აძლევს ადამიანს უტყუარ ცოდნას სამყაროს განვითარების კანონების, ხოლო რელიგია, თავის მხრივ, იძლევა წარმოდგენას ადამიანის ცხოვრების საზრისის შესახებ. დღეს რელიგიას იკვლევს თითქმის ყველა საზოგადოებრივი მეცნიერება.

რელიგიისა და საზოგადოების თანაფარდობაში, უპირველეს ყოვლისა, არის საკითხი სოციალური ქცევის მოტივაციაში რელიგიის როლის შესახებ. რელიგია არის სოციოკულტურული კავშირების რგოლი, რომლის ფუნქციონირება საშუალებას გვაძლევს გავიგოთ მათი სტრუქტურა და წარმოქმნის მიზეზები: ის, ერთი მხრივ, გამოდის როგორც სოციალური ურთიერთობების წარმოქმნისა და ფორმირების, და, მეორე მხრივ, როგორც სოციალური მოქმედებების, ურთიერთობების ამა თუ იმ ფორმის ლეგიტიმიზაციის ფაქტორი. რელიგია ხელს უწყობს საზოგადოების სტაბილურობის შენარჩუნებას და ამავე დროს ახდენს მისი ცვლილების სტიმულირებას. რელიგია ხდის ადამიანის ცხოვრებას აზრიანს, ის ანიჭებს მას „მნიშვნელობას“, ეხმარება იმის გაგებაში, თუ რა სოციალური დანიშნულება გააჩნია მას. რელიგია, აგრეთვე, ხელს უწყობს საზოგადოების სტაბილურობას, ადგენს რა ისეთ ნორმებს, რომლებიც სასარგებლოა მოცემული სოციალური სტრუქტურისთვის და ქმნის იმის წინაპირობებს, რომ ადამიანმა შეასრულოს თავიანთი მორალუ-

<sup>1</sup> Руткевич, Е.Д. Религия и общество / Е.Д. Руткевич. - М.: 1996, ст.32.

<sup>2</sup> ჩიხლაძე ნ., ეკონომიკურ ურთიერთობებში მართლმადიდებლობის ფასეულობათა გააზრების ზოგიერთი საკითხის შესახებ, ჟურნ., „ეკონომიკური პროფილი“, 2007, გვ. 62.

რი ვალდებულებები. რელიგიათაშორისის გარდა, რელიგია იწვევს ისეთ კონფლიქტებსაც, რომლებიც დაკავშირებულია საერო საზოგადოებაში მის არსებობასთან. რელიგიისადმი ბრმა მიმდევრობამ შეიძლება მიგვიყანოს რწმენასა და კანონებს შორის კონფლიქტმდე. თავის მხრივ, რელიგიურმა კონფლიქტებმა შეიძლება ხელი შეუწყონ სოციალურ ცვლილებებს, ხოლო სოციალურმა განვითარებამ გამოიწვიოს ცვლილებები რელიგიურ სფეროში. მხედველობაში შეიძლება ვიქონიოთ, აგრეთვე, ის გარემოება, რომ რელიგიური კუთვნილება შეიძლება წარმოადგენდეს ამა თუ იმ ჯგუფის კავშირის საშუალებას.

თანამედროვე საზოგადოებაში რელიგიური და პოლიტიკური ინსტიტუტების ურთიერთობა განიხილება ორი ასპექტით: პირველი დაკავშირებულია მოცემული საზოგადოების ფასულობათა დასაბუთებისა და შენარჩუნების ფუნქციებთან, რასაც ასრულებს რელიგია. ეს ფასულობები ჩართულია, აგრეთვე, პოლიტიკურ მოღვაწეობაშიც: მათი გავლენა და დამოკიდებულება კანონისა და ძალაუფლებისადმი აისახება მხარდაჭერასა და წინააღმდეგობაში. მეორე ასპექტი ეხება რელიგიის მიკუთვნებას იმ პოლიტიკური ინსტიტუტისადმი, რომელიც წარმოადგენს ამა თუ იმ სოციალური ჯგუფების ინტერესს, დაკავშირებულს მათი გავლენის გაძლიერებასთან<sup>1</sup>.

სხვადასხვა ისტორიულ პერიოდში რელიგიური ჯგუფებს სურდათ გავლენის მოხდენა თავიანთი მიმდევრების ეკონომიკურ შეხედულებებსა და ქცევაზე. ამ პროცესში ისინი აწყდებოდნენ შემდეგი ხასიათის დილექტის: ერთი მხრივ, რელიგიური თვალსაზრისით სიღარიბე ითვლებოდა სათნოებად. მაგალითაში წერია: „ნეტარ იყვნენ გლასაკნი სულითა, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათა“, ხოლო „პანჩა შილა“ განადიდებს ღატაკ ბერს, რომელიც ადვილად მოგზაურობს, არ იზღუდავს თავს ეკონომიკური მზრუნველობით, ამიტომ შეიძლება ადვილად ჩაეშვას დაკვირვებებითა და ფიქრებით აღსავსე ცხოვრებაში. მაგრამ როგორც კი რელიგიური ჯგუფის ორგანიზაცია ზდება უფრო რთული, წარმოიქმნება პრობლემა – მისი საქმიანობისთვის საჭიროა სახსრების მოძიება. მაშინ რელიგიური ჯგუფი ერთვება ეკონომიკურ საქმიანობაში. ის მოითხოვს თავისი მიმდევრებისაგან შესაწირს, რომლის უფრო რთული ფორმა ევროპაში ცნობილია ინდულიგენციის სახით. ამრიგად, რელიგია აქტიურ ზეგავლენას ახდენს ეკონომიკის სფეროზე:

1. ეკონომიკურ ცხოვრებაში მნიშვნელოვანია პიროვნებისა და ბიზნესის ისეთი თვისებების ჩამოყალიბება, როგორიცაა პატიოსტება, ღირსება, პატივისცემა ვალდებულებებისადმი. რელიგია წარმატებით უნერგავს ამ თვისებებს თავის მიმდევრებს;
2. რელიგია ზოგჯერ ახდენს მოხმარების წახალისებას – რელიგიური დღესასწაულები ახდენენ გარკვეული მატერიალური საგნების გამოყენებას მაშინ, როცა წახალისებენ მხოლოდ განსაკუთრებული სანთლების გამოყენებას ან სპეციალური საკვების მიღებას;
3. ხაზი გაუსვა რა ადამიანის შრომას, როგორც „მოწოდებას“, რელიგიამ (განსაკუთრებით პროტესტანტიზმმა) განადიდა შრომის, როგორც ღმერთისადმი მსახურების პროცესი, რაც უშუალო კაგშირშია შრომის მწარმოებლურობისა და შემოსავლების ზრდასთან.
4. რელიგიამ შეიძლება გაამართლოს კონკრეტული ეკონომიკური სისტემები და საქმიანობის სახეები.<sup>2</sup>

ქრისტიანული ქვეყნები ზუთჯერ უფრო მდიდრები არიან, ვიდრე მსოფლიოს ყველა დანარჩენი ქვეყნები. სხვა რელიგიებსა და იდეოლოგიებთან შედარებით ქრისტიანობა ყველაზე დადებით გავლენას ახდენს მსოფლიო ქვეყნების ეკონომიკაზე. განსხვავებული ქრისტიანული კონფესიები ამ მხრივ სხვადასხვა როლს თამაშობენ. მაგალითად, პროტესტანტიზმის მიმდევარი ქვეყნები რვაჯერ უფრო მდიდრები არიან, ვიდრე მსოფლიოს ყველა დანარჩენი სახელმწიფო. კათოლიკური ქვეყნები დანარჩენ მსოფლიოსთან შედარებით 1,5 ჯერ უფრო მდიდარია, ხოლო მართლმადიდებლური ქვეყნები 1,24 ჯერ ღარიბები არიან, მუსულმანური ქვეყნები 4,4 ჯერ უფრო ღარიბებია, ბუდისტური ქვეყნები 6,7 ჯერ უფრო ღარიბებია, ინდუისტური ქვეყნები

<sup>1</sup> Мунчаев, Ш.М. Религия. История и современность / Ш.М. Мунчаев. - М.: 1998, ст.181.

<sup>2</sup> Руткевич, Е.Д. Религия и общество / Е.Д. Руткевич. - М.: 1996, ст.45.

ბი 11,6 ჯერ უფრო დარიბები არიან, ვიდრე მსოფლიოს ყველა დანარჩენი ქვეყანა. მსოფლიოს ყველა რელიგიიდან ინდუიზმი ყველაზე ნეგატიურ გავლენას ახდენს ქვეყნების ეკონომიკაზე. ათეისტური ქვეყნები 11,9 ჯერ უფრო დარიბები არიან, ვიდრე მსოფლიოს ყველა დანარჩენი ქვეყანა. ათეიზმი, როგორც იდეოლოგია, ყველაზე ცუდ გავლენას ახდენს მსოფლიო ქვეყნების ეკონომიკაზე. ამტრიკელი მკვლევარები, აგრეთვე, მიკიდწენები მდ დასკვნამდე, რომ რელიგია გავლენას ახდენს ეკონომიკური ზრდის ტემპზე. და, როგორც წესი, ჯოჯონების რწმენა აჭარბებს სამოთხის რწმენას.

ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორმა ეკონომიკის დარგში, რობერტ ბერომ რიგ მეცნიერებთან ერთად შეამოწმა მოსახლეობის რელიგიურობისა და სხვადასხვა ქვეყნების ეკონომიკური ზრდის კავშირის ციკლი. მთავარი ციკლი – ღმერთის რწმენას შეუძლია გაზარდოს ეკონომიკური ზრდის ტემპები. რობერტ ბერომ ღმერთის რწმენის არსებობა დაპყო იმქევენიური ცხოვრების, სამოთხის და ჯოჯონების რწმენად. მსოფლიოს 59 ქვეყნის მონაცემებზე დაყრდნობით ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ამ ფაქტორების წვლილი ეკონომიკურ ზრდაში ყოველთვის დადგებითა, თუმცა არატოლფასი. მაგალითად, სამოთხის რწმენა გაცილებით ნაკლებ ზემოქმედებას ახდენს ეკონომიკის ზრდაზე, ვიდრე ჯოჯონების რწმენა. მეცნიერმა ეს ასე გამოხატა: „მათრახი პოტენციური ჯოჯონების სახით გაცილებით უფრო ქმედითა, ვიდრე პოტენციური სამოთხის თაფლაკვერი“. თუმცა, ის, რომ შიში უძლიერესი სტიმულია, დიდი ხანია ცნობილია. ეფექტიანი შრომის ეთიკურ – მორალური სტიმულების შექმნაში რელიგიის, კერძოდ კი, პროტესტანტიზმის როლის შესახებ მსჯელობდა ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში მაქს ვებერი. კანადელი მეცნიერების – ულრიხ ბლუმისა და ლეონარდო დადლის აზრით, რელიგია გავლენას ახდენს ეკონომიკაზე არა იმდენად უფრო ეფექტური შრომის სტიმულების საშუალებით, რამდენადაც სიცრუისა და მოტყუების აკრძალვის დადებითი ეფექტის მეშვეობით, რაც ეკონომიკაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია<sup>1</sup>.

ბანკები ეკონომიკის განუყოფელი ნაწილია. აქაც აღინიშნება რელიგიის აქტიური ზეგავლენა. ჩატარებულმა კვლევებმა, აჩვენეს, რომ პოტენციალურებს სხვებთან შედარებით, მართლაც, უფრო მაღალი პასუხიმგებლობის გრძნობა გააჩნიათ ბანკებთან ურთიერთობის პროცესში. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ რელიგია წარმოადგენს პიროვნების განუყოფელ ნაწილს და დიდად განსაზღვრავს ადამიანის ქცევას საზოგადოებაში. დიდი ხნის განმავლობაში მეცნიერება და სახელმწიფო ინსტიტუტები მრავალ ქვეყანაში რელიგიას მიაკუთვნებდნენ მხოლოდ და მხოლოდ ადამიანთა პირადი ცხოვრების სფეროს. ახლა ცხადია, რომ ასეთი პოზიცია არ შეესაბამება ცხოვრებისეულ რეალიტებს. იტალიის, გერმანიის, სხვა ევროპული ქვენების ისტორიიდან აღინიშნება ისეთი სიტუაცია, როდესაც ფინანსური სისტემის გარკვეული ნაწილი ყალიბდებოდა რელიგიური რწმენის ზემოქმედებით და ეკლესიის უშუალო მონაწილეობით. რიგ შემთხვევაში მუშაობდა რელიგიური სოლიდარობის პრინციპით, ეს ეხებოდა, კერძოდ, დაკრედიტების საკითხებს.

დასავლეთში ერთ დროს თვლიდნენ, რომ რელიგია ქრება, სულ უფრო მეტად აღწევს პირადი ცხოვრების სფეროში, მაგრამ ამჟამად ესმით, რომ რელიგია ეხება საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალ სფეროს. რელიგიის გავლენა ბანკზე, მაგალითად, იტალიაში ძალზე დიდია. ის ისტორიულად ყალიბდებოდა და ამჟამადაც მნიშვნელოვანია. ამას ერთვის ისეთი მოვლენაც, როგორიცაა „ეთიკური საბანკო ბიზნესი“, ე.ი. ბიზნესი, რომელიც შეესაბამება საზოგადოებაში ჩამოყალიბებულ ეთიკურ ნორმებს. ეთიკური ნორმების ფორმირებაზე გავლენას ახდენენ ბანკების კლიენტები და საზოგადოებრივი ინსტიტუტები, ისეთი, როგორიცაა ეკლესია. ამჟამად ჩვენ ვხედავთ, თუ როგორ თანდათან იზრდება საბანკო ბიზნესში მორალური, ეთიკური და რელიგიური ფასეულობების გათვალისწინების მოთხოვნები. ეს ძალზე საინტერესო მოვლენაა, და ბანკებიც თავიანთ პრაქტიკაში უნდა რეაგირებდნენ მასზე. ბანკის სახეს, როგორც ცნობილია, მნიშვნელოვანწილად აყალიბებენ კლიენტები. რათა იყოს წარმატებული, ბანკმა უნდა გაითვალისწინოს იმ რეგიონის კულტურის თავისებურებები (რელიგია – მისი შემადგენელი ნაწილია), სადაც ის ფუნქციონირებს. ეს კი კლიენტების ლოიალობის შენარჩუნების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია.<sup>2</sup>

<sup>1</sup> Руткевич, Е.Д. Религия и общество / Е.Д. Руткевич. - М.: 1996, ст.19.

<sup>2</sup> Афанасьев, В.Г. Основы философских знаний / В.Г. Афанасьев. - М.: Мысль, 1976, ст.41.

**Khatuna Berishvili**

## **Religion, as a Substance of Morality and Motivator of Economic Growth**

### **R e s u m e**

The present paper discusses the main world religions and their influence on different spheres of public life, including economy. The world religions differ from one another by their age, spreading, influence, complexity, and systematization. Some of them are state religions; others have permanently been persecuted. The religions compete with one another to play a dominant role in different spheres in human consciousness. However, all the religions are of equal importance. It cannot be said that one religion is undoubtedly better than another. All the religions share the same values and have the same significance for the development of world culture and economy. They are viable and possess the right to exist.

On the basis of analyzing the world religions, naturally the question arises as to what unites them. At both theoretical and empiric levels, it was determined that they involve the answer to the question on the essence of life. All the religions clarify that a human life can be determined not only by expressions of natural forces, but by human being's own efforts as well. These efforts can influence both existence of a human and establishment of his consciousness. Religion exercises intensive influence on the economic sphere: establishment of the features, such as honesty, honor, and respect to obligations became important in the economic life. Religion successfully develops these features in its followers. Stressing the human labor as "the quest", religion (especially Protestantism) glorified the labor as the process of serving the God, which is in direct connection with the growth of labor productivity and income.

## ეკონომიკის მდგრადი განვითარება მართლმადიდებლური სრაგლების ასპექტით

თანამედროვე მსოფლიოში ეკონომიკის განვითარებისადმი ერთ-ერთი მიღებობა, რომელიც წითელ ზოლად გასძევს ყველა სახეობის სტრატეგიასა თუ პოლიტიკას, ეკონომიკის მდგრადი განვითარებაა. მდგრადი განვითარებისათვის მოძრაობის თვისებრივად ახალი ეტაპი დაიწყო 1987 წელს გაეროს დაცვისა და განვითარების მსოფლიო კომისიის მოხსენების – „ჩვენი საერთო მომავალი“ – გამოქვეყნებით. ნაშრომმა მწვავედ დააყენა განვითარების პოლიტიკისა და პრაქტიკის გადასინჯვის საკითხი როგორც განვითარებად, ისე ინდუსტრიულ ქვეყნებში. მთავარი დასკვნა ისაა, რომ „გარემოსა“ და „განვითარების“ ჩვენი გაგება ინტეგრირებული უნდა იყოს, რათა დამკვიდრდეს „მდგრადი განვითარება“, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს „თანამედროვეთა მოთხოვნილებების დაკამაყოფილებას მომავალი თაობების მოთხოვნილებების დაკამაყოფილების შესაძლებლობებთან კომპრომისის გათვალისწინებით“.<sup>1</sup>

ეკონომიკი XIX საუკუნის მეორე ნახევარში მიიღეს პირველი კანონი ველური ბუნების დასაცავად. საქართველოში ბუნების დაცვის აუცილებლობის იდეა უძველეს წარსულში ჩაისახა. მაგალითად, თამარ მეფის 1189 წლის სიგელში მოხსენიებულია „ტყის მცველნი“, ხოლო უფრო ადრეულ სიგელში (1078 წ) დასახელებულნი არიან „ტყის მცველთუხუცესინი“. მნიშვნელოვანია ისიც, რომ იოანე ბაგრატიონის სჯულდებაში (ქართლ-კახეთის სამეფოს სახელმწიფო უფრომების პროექტი, XVIII ს.) ვკითხულობთ: „აგრეთვე იყოს სანადიროთა ტყეთა და მინდორთა უფროსი კაცი, სამეფო სანადიროები ამას ებაროს, უამისოდ ვერვინ ინადირებდეს იქი“. ამასთან, ფრინველთა და პირუტყვთა გამრავლების უამს აკრძალული იყო ნადირობა.<sup>2</sup> 1995 წლის კონსტიტუციის თანახმად, საქართველომ იკისრა ვალდებულება ხელი შეუწყოს ბუნებრივი რესურსების რაციონალურ და მდგრად გამოყენებას. საქართველოს კანონი გარემოს დაცვის შესახებ მიღებულ იქნა 1996 წელს.<sup>3</sup>

აღიარებული მეცნიერების მიერ მდგრადი განვითარების პრობლემისადმი განსაკუთრებული მიღებობა დასტურდება იმითაც, რომ მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის გლობალური კონკურენტუნარიანობის მკვლევარებმა 2011-2012 წლების ანგარიშში დიდი მნიშვნელობა მიანიჭეს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობას გრძელვადიან პერიოდში, რის გამოც შეიმუშავეს მდგრადი კონკურენტუნარიანობის ინდექსი (ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური კონტექსტშით). მდგრადი კონკურენტუნარიანობა (Sustainable Competitiveness) განისაზღვრება, როგორც ინსტიტუტების, პოლიტიკისა და ფაქტორების ერთობლიობა, რაც განსაზღვრავს ქვეყნის მწარმოებლურობას იმ პირობით, რომ მომავალმა თაობამ აგრეთვე შეძლოს თავისი მოთხოვნილებების დაკამაყოფილება. სხვა იიტყვებით რომ აღვწეროთ, ახალი ინდექსი მოიცავს ისეთ ელემენტებს, რომლებიც უფრო მყარ კონკურენტუნარიანობას უზრუნველყოფს გრძელვადიან პერიოდში ეკონომიკური, სოციალური და გარემოსდაცვის მიმართულებით. აღსანიშნავია, რომ მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის 2014-2015 წლის გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიშში საქართველოს 144 ქვეყანას შორის გლობალური კონკურენტუნარიანობის მიხედვით 69-ე ადგილი უკავია 4,22 ქულით, ხოლო სოციალური მდგრადობის მიხედვით აქვს 3,88 ქულა (რაც უარესი მაჩვენებელია), ხოლო გარემოსდაცვითი მდგრადობის მიხედვით აქვს 4,1 ქულა, საქართველოს მდგრადი განვითარება ზოგადად შეფასებულია 3,99 ქულით.<sup>4</sup>

<sup>1</sup> საქართველოს მდგრადი განვითარების კონცეფციისთვის, <http://european.ge/saqartvelos-mdgradi-ganvitarebis-koncefciiistvis/>


<sup>2</sup> ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, თბ., 1881.

<sup>3</sup> გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო, [http://moe.gov.ge/index.php?lang\\_id=GEO&sec\\_id=46](http://moe.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=46)

<sup>4</sup> [www.weforum.org](http://www.weforum.org); GCR 2014-2015, p. 68.

თანამედროვე პირობებში აქტიური დისკუსია მიმდინარეობს სუსტი და ძლიერი მდგრადობის შესახებ. განიხილება ორი მოდელი<sup>1</sup> (იხ. ნახაზი 1 „ა“ და „ბ“). ნახაზიდან 1 ჩანს, რომ სუსტი მდგრადობა (ნახ. 1 „ა“) გულისხმობს ეკონომიკას, სოციალურ-პოლიტიკური და ეკოლოგის სფეროების თანაკვეთას, რომელიც საკმაოდ მცირე ფართობია. ძლიერი მდგრადობის პირობებში (ნახ. 1 „ბ“) კი, ეკონომიკის სფერო მოთავსებულია სოციალურ-პოლიტიკურში და ეს ორივე სფერო წარმოადგენს ეკოლოგიის სფეროს შემადგენელ კომპონენტებს, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ძლიერი მდგრადობა ცდება ერთი ქვეყნის საზღვრებს და თავისი წვლილი შეაქვს მსოფლიო პრობლემების გადაწყვეტაში.

1995 წლის სააღდგომო ეპისტოლურები საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილა მეორემ აღნიშნა, „თუ სუსტი მდგრადობისა და ინტელექტუალური აზროვნების წარმომადგენლები ერთმანეთს არ დაუახლოვდებან, მსოფლიო დადგება გაუთვალისწინებელი, საბედისწერო კატაკლიზმების წინაშე“.<sup>2</sup> და ვიცით, რომ მართლაც 2008 წლის მსოფლიო ფინანსური კრიზისი სწორედ ზემოობაზე გამოიყენებული ინდივიდების საქმიანობის შედეგი იყო, რომ არაფერი ვთქვათ გარემოზე მიყენებული ზიანის შედეგად გამოწვეულ კატასტროფებზე.



ამ მოელენებს მრავალი საერთაშორისო ორგანიზაცია გამოეხმაურა. მაგალითად, ევროკავშირის საწარმოებისა და მრეწველობის გენერალურმა დირექტორატმა ბიზნესის კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის იდეას მრავალი დოკუმენტით უპასუხა. როგორც ამ ორგანიზაციის ვებგვერდზეა აღნიშნული, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა (კსპ) ეხმაა კომპანიებს აიღონ პასუხისმგებლობა თავისი საქმიანობის საზოგადოებაზე ზეგავლენისთვის. კსპ მნიშვნელოვანია საწარმოების კონკურანტუნარიანობის-თვის. მას შეუძლია სარგებლის მოტანა რისკის მენეჯმენტის, დანახარჯების შემცირების, მომხმარებლებთან ურთიერთობების, ადამიანური რესურსების მენეჯმენტსა და ინოვაციურობის მიმართულებით<sup>3</sup>. დირექტორატმა და სხვა ორგანიზაციებმა მიიღეს მრავალი დოკუმენტი, მათ შორისაა: გაერთიანებული ერების ორგანიზა-

<sup>1</sup> <http://www.unep.org/training/downloads/toolkit/4.0%20-%20Module%201.pdf>; Environment, Sustainable Development and the University in Africa, Modul I.p.33.

<sup>2</sup> საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილა II სოციალურ-ეკონომიკური განვითარების აქტუალური საკითხების შესახებ (1977-2004), შემდგენელ-გამომცემელი გ. შიხაშვილი, თბ., 2004, გვ. 134.

<sup>3</sup> [http://ec.europa.eu/enterprise/policies/sustainable-business/corporate-social-responsibility/index\\_en.htm](http://ec.europa.eu/enterprise/policies/sustainable-business/corporate-social-responsibility/index_en.htm)

ციის მეგზურები, ბიზნესისა და ადამიანთა უფლებების პრინციპები, ISO 26000,<sup>1</sup> ეკონომიკური კოოპერაციისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) მეგზური მრავალეროვნული საწარმოებისთვის<sup>2</sup> და სხვა.

შექმნილია უმრავი ქსელი, რომლებიც ცდილობენ მდგრადობის იღები დამტკიდრონ საზოგადოებაში, განსაკუთრებით საგანმანათლებლო სტრუქტურებში, მაგალითად, ლიზ მო, რომელიც არის იმ ასოციაციის წელმძღვანელი, რომელიც აერთიანებს 60 ათასზე მეტ სტუდენტს და პროფესიულ ლიდერს, რომლებიც ნერგავენ პოზიტიურ სოციალურ და გარემო ცვლილებებს სამუშაო ადგილებსა და მსოფლიოში, წერს, რომ „მდგრადობა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ადამიანებისა და პლანეტისთვის, არამედ გადამწყვეტია ბიზნესის წარმატებისთვის“.<sup>3</sup>

აქტიურად განიხილება 1994 წელს ჯონ ელკინგტონის მიერ შემოთავაზებული **3 P (Profit, People, Planet)** მოგება, ადამიანები, პლანეტა, მოდელი – რომლის მიზანია დროის გარკვეულ პერიოდში შეფასდეს კორპორაციის მიღწევები ფინანსური, სოციალური და გარემოსდაცვითი მიმართულებით.<sup>4</sup>

თუ დავაკვირდებით, ხაზი: მოგება, ადამიანები, პლანეტა, აბსოლუტურად თავსებადია ძლიერი მდგრადობის მოდელთან (ეკონომიკა, სოციალური-პოლიტიკური გარემო, ეკოლოგია) და აღწერს ძლიერი მდგრადობისკენ მიმავალ გზას.

საქართველოს პატრიარქი იღლა II აღნიშნავს: „ვფიქრობ, როგორც ეკლესიას, ისე სახელმწიფოს ერთი მიზანი აქვს: ხელი შეუწყოს ჩევნი ხალხების სულიერ და მატერიალურ კეთილდღეობას“.<sup>5</sup> „ქრისტიანობაშ უშუალოდ ადამიანის გულს მიმართა და იგი ისეთ სულიერ და ზნებრივ სიმაღლეზე აიყვანა, რომლის მსგავსი ძველ რელიგიებს და ფილოსოფიას ვერც კი წარმოედგონა“.<sup>6</sup> ამ მოსაზრებების გათვალისწინებით განვიხილოთ, როგორ უწყობს ხელს მართლმადიდებლური სწავლება და წმ. მამათა გამონათქვამები ქვეყნის ეკონომიკის მდგრად განვითარებას.

#### პირველი კომპონენტი – მოგება (ეკონომიკის სფერო):

ეკონომიკში განსაკუთრებით მაღალი მოგების მიღება ხშირად გადასახადის დაფარვას, ტყუილს, მოპარვას, მშრომელებისათვის დაბალი ანაზღაურების გაცემას უკავშირდება. ასეთ ქცევას უფალი არავის უწონებს და გვასწავლის „მისცემდით უკუე ყოველთა თანააღმდებარებას: სახარკოსა – ხარკი, საზურენესა – ზური, საშინეულსა – შიში, პატივსა – პატივი“ (რომ. 13:7). მათეს სახარების მიხედვით (10:10) იქსო აგზავნის რა მოწაფებს ხალხის განსაკურნებლად, არიგბს მათ, რომ არაფერი იქონიონ თან, რადგან შრომისათვის „მშრომელი თავისი საზრდოს ღირსია“. ასევე ლუკას სახარებაშიც (10:7) აღნიშნულია, რომ „მუშა ღირსია თავისი საზღაურისა“.

ფარისეველთა შეკითხვაზე უნდა გადაუხადონ თუ არა კეისარს ხარკი, მათეს (22:22), მარკოზის (12:17) და ლუკას სახარებიდან (20:25) ვიგებთ, რომ: „მიეცით კეისარს კეისრისა და ღმერთისა ღმერთს“. ამით გადასახადების გადახდის აუცილებლობაზე მიუთითებს მაცხოვარი; იოანე ნათლისმცემელი მებაჟეებსა და სამხედროებს არიგბს, რომ „მათთვის დაწესებულზე მეტს ნუ აიღებნ“. აქვე უნდა გავიხსენოთ უფლის მე-8 და მე-9 მცნებები – „არ იპარო“ და „არა ცილი სწავლო მოყეასსა შენსა წამებითა ცრუითა“.

#### მეორე კომპონენტი – ხალხი (სოციალურ-პოლიტიკური გარემო):

წმიდა წერილი ადამიანებს შრომის აუცილებლობაზე მიუთითებს, „უკუეთუ ვისმე არა უნებს საქმის, ნუცა ჭამჩ“ (II თეს.3:10). ხაზგასმულია თანამშრომლებთან და ქვეშევრდომებთან სამართლიანად მოქცევის

<sup>1</sup> <http://www.iso.org/iso/home/standards/iso26000.htm>

<sup>2</sup> <http://www.oecd.org/corporate/mne/>

<sup>3</sup> Liz Maw, Net Impact, <http://www.businessnewsdaily.com/4679-corporate-social-responsibility.html>

<sup>4</sup> <http://www.economist.com/node/14301663>

<sup>5</sup> საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი იღლა II სოციალურ-ეკონომიკური განვითარების აქტუალური საკითხების შესახებ (1977-2004), შემდგენელ-გამომცემელი გ. შიხაშვილი, თბ., 2004, გვ. 36.

<sup>6</sup> იქვე, გვ. 33.

შესახებაც: „სამართალსა და სწორსა მისცემდით მონათა მათ; უწყოდეთ, რამეთუ თქუენცა უფალივე გივის ცათა შინა“ (კოლ. 4;1).

გაგიხსენოთ უფლის სიტყვები, რომლითაც ძევლი აღთქმის 10 მცნება 2 მცნებამდე დაიყვანა და სჯულის აღსრულება უფლის სიყვარულითა და შემდგომ, მოყვასის სიყვარულით განმარტა (ე.ი. ზრუნვა ხალხზე): „ხოლო იქნე პრქუა მას: შეიყუარო უფალი ღმერთი შენი ყოვლითა გულითა შენითა და ყოვლითა სულითა შენითა და ყოვლითა გონებითა შენითა.

- ესე არს დიდი და პირველი მცნებაი.
- და მეორე, მსგავსი ამისი: შეიყუარო მოყუასი შენი, ვითარცა თავი თვისი.
- ამათ ორთა მცნებათა ყოველი სჯული და წინასწარმეტყუელნი დამოკიდებულ არიან“ (მთ. 22;37-40).

პავლე მოციქული კიდევ უფრო შორს მიდის და წერს: „ყოველი შჯული ერთითა სიტყუითა აღესრულების: შეიყუარო მოყუასი შენი, ვითარცა თავი თვისი“ (გალ. 5;14). და აქვე დავამატებთ კიდევ ერთ მოწოდებას: „ყოველი რომელი გინდეს თქუენ, რაითა გიყონ კაცთა, ეგრეთცა თქუენ ყვით მათა მიმართ“ (მთ. 7;12).

#### მესამე კომპონენტი – პლანეტა (ეკოლოგია).

ერთი მხრივ, დედამიწა ყველა ჩვენთაგანის სახლია, ხოლო მეორე მხრივ, მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის მასშტაბები ძალიან გაზრდილია. აღსანიშნავია ისიც, რომ ეკონომიკური საქმიანობის შედეგები ერთი რომელიმე კონკრეტული ქვეყნის საზღვრებში ვერ ექცევა და ეკოლოგიური პრობლემების საერთაშორისო ძალისხმევით გადაჭრას მოითხოვს. მაგალითად, დიდი ბრიტანეთის ქარხნებიდან გამონაბოლქვი გოლფსტრიმის დინებას ჩრდილო-აღმოსავლეთისკენ მიაქს და სკანდინავიის ქვეყნების ტყეებზე აფრქვევს და ანადგურებს მათ. ანალოგიურია მდინარეების დაბინძურება ერთი ქვეყნის მოსახლეობის მიერ და სხვა ქვეყნების მოსახლეობაზე დაბინძურებული წყლის მავნე ზემოქმედება. ამგვარი პრობლემების გადაჭრა ზემოაღწერილი ორი: ეკონომიკისა და სოციალურ-პოლიტიკური სფეროების პრობლემების (ანუ კომპონენტების: მოგება-ხალხი) რეალურად გათავისებითაა შესაძლებელი და მიღწევად.

აღსანიშნავია ახალი აღთქმით ძევლი აღთქმისეული მსხვერპლშეწირვის გაუქმებაც, რითაც შინაური ცხოველების უფლისათვის შეწირვაც აღარ არის აუცილებელი. აღნიშნულს შეიძლება დავამატოთ ისიც, რომ მარხვები მართლმადიდებელთათვის ემთხვევა სწორედ ცხოველთა გამრავლების პერიოდს, რაც მათი რაოდენობის შენარჩუნებას უწყობს ხელს. წმიდა ნიკოლოზ სერბის მოსაზრებით: „ადამიანები, რომლებიც ბუნებას მონად აქცევენ, თვითონ ხდებიან მისი მტერნი და ჯალათნი. ბალკანეთზე ჯერ კიდევ შემორჩენილია ბუნების პატივისცემა და გულმოწყალება. ჯერ კიდევ არსებობს ჩვევა: თუ გლეხს ხის მოჭრა, ბალაზის მოთიბება ანდა, საქონლის დაკვლა სურს, იგი პირველი იწერს და ამბობს: შემინდე, ღმერთო!

ხალხები, რომლებიც ბუნებას სამკვდრო-სასიცოცხლო იმს უცხადებენ, საკუთარ თავზე უამრავ უბედურებას მოიწევდნენ და მოიწევენ; რამეთუ ის, ვინც ბუნებასთან მშვიდობიან ურთიერთობას დაარღვევს, უცილობლად არღვევს აგრეთვე კეთილ დამოკიდებულებას ღმერთთან“.<sup>1</sup> გავიხსენოთ საქართველოს პატრიარქის კურთხევა ხეების დარგვის შესახებ, რასაც იგი საკუთარი მაგალითით მუდმივად ახსენებს ერს. ასეთი სწავლებით მართლმადიდებლობა და ქართული მწერლობა დიდად უწყობს ხელს ადამიანის გარემოსადმი კეთილგონივრული ურთიერთობის ფორმირებას და მდგრადი განვითარების პრობლემების გადაწყვეტას.

საქართველოს პატრიარქი ამბობს: „ნუ დავივიწყებთ, რომ ჩვენს ეროვნულ ერთიანობაში, ერისა და ეპლესის ერთიანობაშია სარწმუნოების, სასოებისა და სიყვარულის წყარო, და მხოლოდ ასეთ ერთიანობას

<sup>1</sup> ღვთიური სიბრძნის მართლმადიდებლური ენციკლოპედია, ექლესიის მამათა გამონათქვამები, შემდგ., კალანდამე გ., თბ., 2007, გვ. 80.

შეუძლია უზრუნველყოს ჩვენი დიდი მომავალი<sup>1</sup>. როდესაც ქვეყნის ეკლესიის საჭეომპყრობელი ასე ფიქ-რობს, იმ ქვეყანაში, რომლის მცხოვრებთა 83,9% მართლმადიდებლობას აღიარებს<sup>2</sup> (2002 წლის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის მიხედვით), თითოეული მოქალაქის მიერ ზემოაღწერილი მიდგომის ყოველდღიურ ცხოვრებაში რეალურად გათავისება უდიდესი ეფექტის მქონე აღმოჩნდება, რაც, ქვეყნის ეკონომიკის ძლიერი მდგრადობის მიღწევის საწინდარი გახდება.

Ineza Gagnidze

## Sustainable Economic Development with the Aspect of Orthodoxy

### R e s u m e

The paper discusses the issues of sustainable economic development through the interconnection of the provisions of economic theory and the Orthodox teaching postulates.

In the Theory of Economics, on one hand, strong sustainability is a model of sustainable development in which economy is embedded in society; society and economy are embedded in the ecological sphere. Society and economy are interdependent with ecology, and cannot function without a healthy ecological sphere. On the other hand, the triple bottom line consists of three Ps: Profit, People and Planet and aims to measure the financial, social and environmental performance of the corporation over a period of time.

If we look at the line Profit, People, Planet, it is completely compatible with strong sustainability model (economic, social and political environment, ecology) and describes the path to the strong sustainability. The Orthodox teaching supports the convergence of Church and country's interests for sustainable development; also taking into consideration the Profit, People and Planet factors in thinking and behavior of individuals. This is confirmed from the Gospel: Matthew (10:10), (22:22), (22:37-40), Mark (12:17), Luke (10:7), (20:25), as well as from the following places of Scripture: to the II Thessalonians (3:10), Colossians (4:1), Galatians (5:14) and others, from the sermons and missions from the Holy Fathers and the Catholicos-Patriarch of All Georgia, Ilia II.

<sup>1</sup> საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II სოციალურ-ეკონომიკური განვითარების აქტუალური საკითხების შესახებ (1977-2004), შემდგენელ-გამომცემელი გ. შიხაშვილი, თბ., 2004, გვ. 39.

<sup>2</sup> [www.geostat.ge](http://www.geostat.ge)

## 0706 გობორიშვილი

### მდგრადი მოხმარება როგორც ძრისფიანული ფასიულობა და მისი დამპირებების აუცილებლობა საქართველოში

ადამიანის კეთილდღეობის ფასეულობა არის მირითადი პრიორიტეტი სოციალური განვითარებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში. იგი მთავარი ღერძია ადამიანთა კეთილდღეობის, ღირსების, სული-ერ და მატერიალურ ცხოვრებაში. დღემდე ადამიანის კეთილდღეობაში მთავარ შემადგენელს მატერიალური ყოფის რაოდენობრივსა და ხარისხობრივ მაჩვენებლებს მიიჩნევთ. არსებული მდგომარეობა არ არის დამახა-სიათებელი მხოლოდ განვითარებადი ქვეყნებისთვის, იგივე დამოკიდებულება გვაქვს განვითარებული ქვეყნე-ბის სოციუმის ცნობიერებაში. ამავე დროს მსოფლიო მოსახლეობა დგას ახალი გამოწვევების წინაშე, რო-მელთა იგნორირება ან მათდამი ზერელე დამოკიდებულება გლობალური მასშტაბის კატასტროფას გამოიწ-ვევს.

ეკონომიკის თეორიიდან გამომდინარე ერთობლივი მოთხოვნაზე ზემოქმედების პრიორიტეტი საბაზრო ეკონომიკაში ზრდის თეორიების მთავარი პოსტულატია. ასეთი დამოკიდებულება სულაც არ უარყოფს ერ-თობლივი მიწოდებაზე ზემოქმედების მნიშვნელობას, მაგრამ პრობლემათა რაოდენობა და სიმწვავე, რაც მი-წოდებას უკავშირდება, პოლიტიკოსებსა და მკვლევარებს უბიძგებს აქცენტები ერთობლივ მოთხოვნაზე გა-დაიტანონ. მიზეზი რომელიც აღნიშნულ მოდგომას განაპირობებს, ზოგადად ადამიანთა საზოგადო-ების და კერძოდ ეკონომიკურ ინტერესთა ჯგუფების მოთხოვნილებებია, რასაც ცოცხალ არსებათა (და არა მხოლოდ ადამიანთა) მოხმარების მოთხოვნილებები განაპირობებს. ეს საკმაოდ რთული სისტემაა მისი კვლე-ვისა და შედეგების გაცნობიერების თვალსაზრისით. მოხმარების სისტემაში ორი შემადგენელია: მატერიალუ-რი და სულიერი კეთილდღეობის პროდუქტები. ადამიანის ნებისმიერი აქტივობა მოხმარებასთან დაკავშირე-ბით, საბოლოოდ, რომელიმე ამ სფეროს განეკუთვნება. აღნიშნულ სფეროთა შორის გაცილებით რთული შე-სასწავლად, გასაცნობიერებლად, სამართავად, არის სულიერი კეთილდღეობის პროდუქტების, წარმოების პროცესი. აღსანიშნავია, აგრეთვე, რომ ეკონომიკურ ინტერესთა ჯგუფებისთვის (და პოლიტიკური ისტაბ-ლიშენტისთვის) არამარტო რთულია შესაცნობად ეს პროცესები, არამედ საშიშიცაა, რაღაც წინასწარ მი-სი თანმხლები რისკების დაზღვევის ტექნოლოგიები ან არ არ არსებობს ან კი მეცნიერული თვალსაზრისით (იგულისხმება მოკლევადიანი და გრძელებადიანი შედეგები) ერთობ საეჭვოა თავიანთი მიზნებიდან გამომდინა-რე. ამავე დროს სულიერ მოთხოვნილებათა პროდუქტების წარმოება ორიენტირებული უნდა იყოს ადამიანის განვითარებაზე და არა მარტო მის შეგუებაზე ცვალებად გარემო პირობებთან. თანამედროვე მსოფლიოში ჯერჯერობით „ხილულ ველში“ თვალში მოსახვედრია მხოლოდ სულიერ მოთხოვნილებათა იმ პროდუქტთა წარმოება, რაც სოციალური ტექნოლოგიების გამოყენების შედეგად წარმოიქმნება, ხოლო ადამიანის განვი-თარების თვალსაზრისით, საწინააღმდეგო შედეგების მომტანია. ეს ყოველივე ხდება იმიტომ, რომ შემქვეთის როლში ამ შემთხვევაში ისევ ადამიანთა ეკონომიკურ ინტერესთა ჯგუფები გამოდის და არა „ნება ღვთისა“, რომელსაც „ვინ არს რომელ არ ჰქონებდეს“. მსოფლიო საზოგადოების საღვთო წიგნების შინაარსი ადამიან-თა განვითარებას ემსახურება, ამ პროცესის გარეშე ვერავინ მოხვდება ცათა სასუფეველში. სამწუხაროდ, ხშირად ამ სფეროშიც ვწვდებით ეკონომიკურ ინტერესთა ჯგუფების აქტივობის ფაქტს, რომელიც საღვთო წიგნების შინაარსის განზრახ ან შესაძლებელია, უმეცრებით მცდარი ინტერპრეტაციის (თარგმნის) საფუძ-ველზე მიღებულ სავალალო შედეგებში ვლინდება.

ჭეშმარიტად მორწმუნე ადამიანისთვის აბსოლუტურად მიუღებელია ის ისტერია, რომელიც მოხმარე-ბის საზღვრების (იგულისხმება რაოდენობრივი და ხარისხობრივი) გაფართოვებასთან არის დაკავშირებული. ამავე დროს მეცნიერული კვლევისა და მისი შედეგების გაცნობიერების მიღმა დარჩა ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა ტექნიკური პროგრესის მოცემული დონის შესაბამისი (1) მოხმარების ბუნებრივი საზღვრები და (2) მოხმარების ეთიკურ-ესთეტიკური საზღვრები. არანაკლებ საინტერესოა ე. წ. „ელიტარუ-

ლი პროდუქტების“ მოხმარების არსებობის მიზეზებსა და სურვილებში გარკვევა. თვით საღვთო წიგნში არაერთგვაროვანი დამოკიდებულებაა სიმდიდრისა და უფერუნების მიმართ. უფალი იესო ქრისტე და პირველი მოციქულები არაერთხელ აღიარებდნენ ადამიანის უფლებას საკუთრებაზე. ამასთან ერთად, როგორც ადასტურებს სახარება, უფალი არასძროს გამოხატავდა უპატივცემულობას მდიდარი ადამიანების მიმართ, უფრო მეტიც, იგი დადიოდა მათთან და აძლევდა საშუალებას სტუმართმოყვარე მასპინძლები ყოფილიყვნენ. როგორც მათეს სახარებაში ტალანტებზე იგავშია ნათქვამი, ის, ვინც სიმდიდრის გადიდების შესაძლებლობას გამოიყენებს, სხვათა დამსახურებულ ქებასა და სარგებელს მიიღებს, „ვინაიდან მქონებელს ყველას მიეცემა და დაუხვავდება, ხოლო უქონელს ისიც წაერთმევა რაც აქვს“ (მათე, 25, 14-30). ახალ აღთქმაში აგრეთვე კითხულობთ: „რადგან არც არაფერი მოგვიტანია წუთისოფლად და, ცხადია, ვერც ვერაფერს წვილებთ მისგან. ამიტომ თუ გვაქვს საზრდო და ტანსაცმელი, დავჯერდეთ ამას. ხოლო გამდიდრების მსურველნი ცვივიან განსაცდელსა და მახეში, მრავალ ბრიყვულ და მავნე გულისთვალში, რომელიც გასანადგურებლად და დასაღუპად უბიძებენ ადამიანს. ვინაიდან ყოველგვარი ბოროტების ფესვია ვერცხლისმოყვარეობა და ზოგიერთები, რომლებიც მან გაიტაცა განშორდნენ რწმენას და თავიანთ თავს მრავალი ტკივილი მიაყენეს“ (I ტიმ., 6:7-10).

აღსანიშნავია, რომ პოსტსეკულარულ ცივილიზაციაში, რომელშიც ჩვენ ყველანი ვცხოვრობთ, ცალკეული ადამიანის კეთილდღეობა ხშირად ე.წ. პროგრესს მსხვერპლად ეწირება და მის საპირწონედ საზოგადოების მომავალი კეთილდღეობა ცხადდება, რომელიც ნორმატიული ხასიათის მქონე სხვადასხვა ტიპისა და სახეობის დარგობრივ რეფორმებში კლინდება. სამწუხაროდ, იგნორირებული ზნეობრივი და მორალური ნორმები ადამიანებს აიძულებს მისადაგებისა და მიმიკრის მდგომარეობაში გადასვლას, როდესაც თითოეული მათგანი მუდმივად კონკურენციული ბრძოლისა და სწრაფად ცვალებადი გარემო პირობების ზემოქმედების ქვეშ იმყოფება. ცხადია, ეს მდგომარეობა აშორებს ადამიანებს უფლის გზას და გადააქცევს მათ ტექნიკური პროგრესით შეიარაღებულ ბარბაროსთა საზოგადოებად. ეს საშიშროება ყოველდღიურად გვიახლოვდება და მისი სათავე, ისევე როგორც მისი აღაგმვის შესაძლებლობა, მზარდი მოხმარების შეუზღუდვი საზღვრების არსებობაში უნდა ვეძიოთ. საზოგადოდ, ცუდი არ იქნებოდა, რომ შეგვეცვალა ჩვენი ოპტიმისტური მოსაზრება ადამიანთა საქმიანობის ყველა სფეროში მიმდინარე პროგრესული განვითარების შესახებ უფრო რეალისტური შეხედულებით, რომელიც ტექნიკურ პროგრესს ადამიანის განვითარებასა და საზოგადოების ბენდირებაში გაცილებით ნაკლებ მნიშვნელობას აძლევს, ვიდრე ეს ეკონომიკის სფეროშია მიღებული.

მოხმარების ზრდის სურვილით მოტივირებული საზოგადოების პრაგმატული მოსაზრებები ხშირად რაციონალური სულაც არაა. სწორედ ამის გამო, ინდივიდებსა და ეკონომიკურ ინტერესთა ჯგუფებს სასიცოცხლოდ სჭირდებათ სწრაფად ცვალებად გარემოსთან ეფექტიანი მისადაგება. მეცნიერთა გამოკვლევები ცხადყოფს, რომ საზოგადოება, რომლის „განვითარება“ დაფუძნებულია ძირითადად ეფექტიანი მისადაგების პრაქტიკაზე, ადრე თუ გვიან, დეზინტეგრაციას განიცდის. ეს პროცესი შემდეგნაირად მიმდინარეობს: თავდაპირველად იწყება საზოგადოების წევრობა ხასიათისა და ქცევის არასასურველი (არაადეკვატური) ცვლილებები, შემდგომში მიმდინარეობს მათი საქმიანი აქტივობის შეზღუდვა და საბოლოოდ პარალიზდება ერთობლივი ქმედება რადგან ქრება მისი სიღრმისეული არსი, საერთო მიზანი, რომელიც მოცემული საზოგადოების მეტალობითა და კულტურით არის განპირობებული. უფრო კონკრეტულად, წყდება კავშირი მენტალობას, კულტურასა და სამეწარმეო ინიციატივებს შორის. მაიკლ პორტერის ცნობილ წიგნში „ერების კონკურენციული უპირატესობები“ („The Competitive Advantage of Nations“)<sup>1</sup> აღნიშნულია, რომ ეროვნული სახელმწიფოს კონკურენტუნარიანობა სიმდიდრის სტადიაზე ქრება და შემდგომი სტადია ან უკან (ფაქტორული, ინვესტიციებისა და ინვაციების სტადიები) რომელიმე სტადიაზე დაბრუნებაა, ან საერთოდ გაქრობა. კაცობრიობის ისტორიაში მრავალი ერი და ცივილიზაცია განადგურდა (ხეთები, შუმერები, ელინები, ეტ-

<sup>1</sup> Портер М., Международная Конкуренция, Международные Отношения, Москва, 1993, ст. 588.

რუსები, ეგვიპტელები და სხვა) ჩვენი ღრმა რწმენით ყოველი დრამატული სცენარი ისტორიაში მოხმარების შეზღუდვამა ზრდამ გამოიწვია.

საგარაუდოა, რომ ცივილიზებული საზოგადოების განვითარებაში ბოლო დროს დამკაიდრებული ნიპილიზმი და აპათია სწორედ ქრისტიანული ცნობიერების სიღრმისეული პარადიგმის ჩაქრობაა. არქიტიპები, რომლებიც ცნობიერების სიღრმეებიდან ზემოქმედებს ჩვენზე რელიგიური ტრადიციების საშუალებით, წარსულში არა მარტო ცალკეულ პიროვნებათა არამედ სოციალური მოდელების ინტეგრაციასაც უზრუნველყოფნენ. სრულიად ნათელია, რომ ქრისტიანულად ცხოვრების გამოცდილებამ მრავალი ადამიანი გადაარჩინა. დღეს მდგომარეობა შეცვლილია და მსოფლიოში ქრისტიანულ არქიტიპზე აგრესიული შეტევა მიმდინარეობს (მათ შორის თავად ქრისტიანული რელიგიის უმეცარ შსახურთა მხრიდან).

უმეცრებასა და გაუნათლებლობას აზროვნების შეზღუდვისკენ მივყავართ, რაც აჩენს ათეიზმს, შიშსა და მომხვეჭელობას. ლუკას სახარებაში ნათქვამია: „დაუკავირდით და დაიცავით თავი ყოველი ანგარებისაგან, ვინაიდან ადამიანის სიცოცხლე მისი ქონების სიუხვეზე როდია დამოკიდებული.... რომელ თქვენგანს შეუძლია ზრუნვით თავის სიმაღლეს წყრთა შემატოს? ჰოდა, თუ უმცირესიც არ შეგიძლიათ სხვაზე რაღას ზრუნავთ?“ (ლუკა, 12; 15, 25-26).

„ნუ დაიუჯებთ დედამიწაზე, სადაც ჩრჩილი და უანგი სპობს და სადაც ქურდები თხრიან და იპარავენ. დაიუნჯეთ ცაში, სადაც არც ჩრჩილი და უანგი სპობს და სადაც არც ქურდები თხრიან და იპარავენ“ (მათე, 6, 19-20).

მხოლოდ შეზღუდვა მოხმარებისა და სურვილებისგან თავისუფალი ადამიანი პოვებს სიმშვიდეს და გასხივოსნდება რწმენით. „ყოველივე ნებადართულია ჩემთვის, მაგრამ ყველაფერი სასარგებლო როდია. ყველაფერი ნებადართულია ჩემთვის, მაგრამ მე არაფერს დავემონები“ (I კორ., 6; 12). აქ ხაზგასმულია რელიგიური ფანატიზმისგან განთავისუფლების მოწოდება, რომელიც თანამედროვე მსოფლიოში აგრესიის შეზღუდვის აუცილებელი პირობაა.

მატერიალური კეთილდღეობა, რომელსაც განუხრელად მზარდ მოხმარებასთან აიგივებენ, თავისთავად არ უზრუნველყოფს ბედნიერსა და კმაყოფილ ცხოვრებას. გამდიდრებისკენ ისტერიული სწრაფვა და მისი თვითმიზნად დასახვა კი ადამიანის განვითარებას ხელს უშლის და უმეტეს შემთხვევაში მის დეგრადირებას განაპირობებს. ადამიანის ცხოვრების დონის ამაღლება მისი ხარისხობრივი შემადგენლების საფუძველზე უნდა მიმდინარეობდეს და ადამიანის განვითარებას უზრუნველყოფდეს. ქრისტიანობა გვასწავლის, რომ ნებისმიერი მისწრაფება მატერიალური კეთილდღეობის, სიმდიდრის შესაძნად საეჭვოა და არ გვექმარება ცათა სასუფევლში მოსახვედრად. ამავე დროს ეკლესიასტეს ქადაგებით ყველა ჩამოთვლილი აქტივობა საბოლოოდ ამაოცებაა. არანაკლებ მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ მზარდი და განუსაზღვრელი მოხმარება მსოფლიო საზოგადოების პროგრესის (როგორც „მაგიური კვადრატის“ შემადგენელი ღირებულების)<sup>1</sup> შინაარსს აგნინებს და კაცობრიობას საეჭვო მომავალს უსახავს. საპირისპირო შედეგებს მოგვცემს მდგრადი მოხმარება, რომელიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მცირე ღია ეკონომიკის მქონე საქართველოსთვის.

მდგრად მოხმარებაზე მხოლოდ საუბარი არაფრის მომტანია, თუ ამ პროცესში საზოგადოების მთელი ინტელექტუალური პოტენციალი არ ჩაერთო. სამომხმარებლო ეგოიზმის ალაგმვა და მდგრად მოხმარებაზე გადასვლა შეუძლებელია საქართველოში არსებული მასობრივი საინფორმაციო საშუალებების მიერ განხორციელებული აგიტაციისა და პროპაგანდის გარეშე. სამწუხაროდ, ჯერჯერობით საწინააღმდეგო რეალობა გვაქვს. ფუფუნებისა და ე. წ. ელიტარული ცხოვრების წესის პროპაგანდა საზოგადოებას დაკნინებისა და თვითგანადგურების გზაზე აყენებს.

მხოლოდ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია, მისი ავტორიტეტითა და ისტორიულად განპირობებული როლით, არის ძლევამოსილი განწმინდოს და გადაარჩინოს საქართველოს საზოგადოება მზარდი სამომხმარებლო ეგოიზმისაგან.

<sup>1</sup> გველესიანი რ., გოგორიშვილი ი., ეკონომიკური პოლიტიკა, წიგნი I, თბ. 2012, გვ. 28-31.

**Irina Gogorishvili**

## **Sustainable Consumption as a Christian Value and the Necessity for Establishing it in Georgia**

### **R e s u m e**

The presented study discusses the issues related to the necessity of regulating consumption limits, which is an essential element of sustainable consumption. The concept of sustainable consumption is an important value of cultural and social heritage. The paper shows the necessity and outcomes of sustainable consumption within the boundaries of successful economic development. In addition, it provides description of the obstacles (in the frames of activities of economic interest groups and normative economy) that hinders the promotion and implementation of sustainable consumption. Activation of aggregate demands artificially creates an entire system of requirements, which results in constantly growing consumption in society. Regarding the consumption of the products of material and spiritual well-being it should be noted that there are difficulties in studying, understanding and managing the products of spiritual well-being, as well as the production process. It is remarkable, that for economic interest groups these processes are not only difficult to analyze, but also dangerous, as there is no risk prevention technology or it's very doubtful from scientific point of view (short-term and long-term results).

Throughout the history, the destruction of the civilizations and nations was direct result of unlimited growth of consumption. Supposedly, the growing apathy and nihilism in the process of development of civilized society is a result of disappearance of the paradigm of awareness of Christian thinking. The archetypes, which affect us from the depths of consciousness through the religious traditions of the past, supported the integration of not only individuals, but also of social models as well. It is clear that the experience of Christian way of life saved the lives of many Christians. Today the situation has changed and there are some aggressive attacks against Christian archetype. Illiteracy and lack of knowledge lead to limiting of thinking, which raises atheism, fear and greed. The presented study deals with the Gospel and the Old Testament, which clearly point to the necessity and implementation of sustainable consumption. It is quite significant, that a special and important role in this process belongs to the Orthodox Church, which has much higher authority in Georgia than public institutions.

## ნოდარ ბრძანიშვილი

### რეზიგის ფაქტორი აჭარის ფურისტული პრენდის ცორმილების პროცესში

მსოფლიო მაშსტაბით ტურიზმის მნიშვნელობაზე მსჯელობისას, მხოლოდ იმის აღნიშვნაც კმარა, რომ იგი დღეისათვის სამუშაო ადგილების შექმნის მხრივ ნომერი პირველი დარგია. ასრულებს რა, ისეთ გლობალურ ფუნქციებს, როგორიცაა სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური, ეკოლოგიური, ტურიზმი გახდა უნიკალური სფერო, რომელიც, ერთი მხრივ, აკმაყოფილებს ადამიანების დასვენების მოთხოვნებს, მეორე მხრივ კი, მეწარმეობის მძლავრი მექანიზმია.

მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის (UNWTO) 2015 წლის მონაცემებით მსოფლიო მშპ-ის 9% ტურიზმზე მოდის, მსოფლიოში ყოველი მეთერთმეტე ადამიანი ტურისტულ ბიზნესშია დასაქმებული, ტურიზმი უზრუნველყოფს მსოფლიოს სერვისული მომსახურების 30%-ს, ხოლო მსოფლიო ექსპორტიდან 1,4 ტრილი აშშ დოლარი ტურიზმზე მოდის.

თანამედროვე ეკონომიკა ითვლის 50-ზე მეტ დარგს, რომელიც ტურიზმთან არის დაკავშირებული, ასე, რომ სინერგია უზარმაზარია. მრავალი ქვეყნის მთავრობა ტურიზმს განიხილავს როგორც საკუთარი პოლიტიკის მნიშვნელოვან ასპექტს ეკონომიკური განვითარების კონტექსტით. რასაც საქართველოს ინტერირება რეგიონულ ეკონომიკაში და ამით ქვეყნის პოტენციალის ზრდა და შეუქცევადი განვითარება, დიდწილად დამოკიდებულია სრულფასოვანი და მაღალი ხარისხის ტურისტული ინდუსტრიის განვითარებაზე.<sup>1</sup> საქართველოში უკანასკნელი წლების მართლაც ბევრი რამ კეთდება ტურიზმის განსავითარებლად, ცენტრალური თუ ადგილობრივი მმართველობის ორგანოები ბევრს მუშაობენ, ახორციელებენ მრავალ საინტერესო პროექტს, არის შედეგებიც. თუმცა, ისიც იგრძნობა და ეს ყველასთვის ნათელია, რომ ქვეყანას გაცილებით მეტი რესურსი გააჩნია ტურიზმის განსავითარებლად. სტატისტიკა, ერთის მხრივ, ტურისტების მატებას გვამცნობს, მეორე მხრივ კი, ტურისტების აბსოლუტური უმრავლესობა, ჩვენი მეზობელი ქვეყნებიდანაა, რომლებსაც უბრალოდ შეუძლებელია არ სმენოდეთ საქართველოზე.

ქვეყანას მეტი პაპულარიზაცია ჭირდება, რაც ერთჯერადი რეკლამებით ვერ მიიღწევა. მძლავრი პარა, მიზანმიმართული რეკლამა კი, პირველ ეტაპზე ქვეყნისათვის და მისი რეგიონებისათვის ისეთი სარეკლამო სახის შექმნას საჭიროებს, რომელიც თავიდანვე დადგებით ემოციებს წარმოშობს პოტენციურ ტურისტებში.

რეგიონის ბრენდის შექმნა ხელს უწყობს მის გასვლას მსოფლიო არენაზე, ხდება პროპაგანდა და წარმოჩენა რეგიონული თავისებურების და კულტურული ტრადიციების.

რეგიონის კონკურენტუნარიანობა განისაზღვრება მისი „ბრენდირებულობის“ ხარისხით. რეგიონის ბრენდი წარმოადგენს საბაზრო ეკონომიკის უაქტიურეს კატეგორიას. ბრენდი ირენებულია ძირითადად გარე სუბიექტების მიმართ და უნდა შეესაბამებოდეს ტერიტორიის განვითარების სტრატეგიულ ამოცანებს და ხელს უწყობდეს მის მიმართ, როგორც პოტენციურ ინვესტორთა ასევე ტურისტების ინტერესის გაჩენას. გარე ეფექტის გარდა, შეიძლება ვიმსჯელოთ ბრენდის შიდა გავლენებზეც, რომელიც მიმართულია ცივილიზებული ურთიერთობების განვითარებაზე რეგიონში მცხოვრებთა შორის.

როგორც ცხრილიდან 1 ჩანს, საქართველოში საერთაშორისო შემოსვლების მხრივ 2013 წლის მონაცემებით პირველ ადგილზე თურქეთია 1,59 7,538 შემოსვლელით (ტურისტი, ვიზიტორი), რაც 4 %-ით

<sup>1</sup> გრძელიშვილი ნ., ტრანსსასაზღვრო რეგიონული ტურიზმის განვითარების პერსპექტივები საქართველოში, V საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკიკული კონფერენცია „ტურიზმი: ეკონომიკა და ბიზნესი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, აჭარის არ. ტურიზმის და კურორტების დეპარტამენტიქ. ბათუმი, 5-6 ივლისი, 2014, გვ. 44-48.


(64,202 შემომსვლელით) მეტია 2012 წელთან შედარებით, ხოლო მეხუთე ადგილზე უკრაინაა შესაბამისად 126 797 შემომსვლელით 2013 წელს, რაც 66%-ით, (50 187 შემომსვლელით) მეტია 2012 წელთან შედარებით.

#### ცხრილი 1. საერთაშორისო შემოსვლები საქართველოში (1-5 ქვეყანა)<sup>1</sup>

ქვეყანა	2012	2013	ცვლილება	%
თურქეთი	1 533 236	1 597 438	64 202	4
სომხეთი	921 929	1 291 838	369 909	40
აზერბაიჯანი	931 933	1 075 857	143 924	15
რუსეთი	513 930	767 396	253 466	49
უკრაინა	76 610	126 797	50 187	66

სქემიდან 1 ჩანს, რომ საქართველოში საერთაშორისო შემომსვლელთა პროცენტული რაოდენობა 2013 წლის მონაცემებით შემდეგნაირადაა განაწილებული: თურქეთი 30%-ით პირველ ადგილზეა, სომხეთი 24%-ით მეორე ადგილს იკავებს, მესამე ადგილზე 20%-ით აზერბაიჯანია, შემდეგ მოდის რუსეთი 14%-ით და უკრაინა 2%-ით მეხუთე ადგილი. დანარჩენი ქვეყნები საქართველოს ტურისტულ ბაზარზე 10%-ს იკავებენ.

#### სქემა 1. საერთაშორისო შემოსვლების განაწილება საქართველოში<sup>2</sup>



ტერიტორიის ბრენდინგი გვაძლევს დიდ შესაძლებლობებს, თუკი მას სწორად წარვმართავთ. პრაქტიკულად, ყოველ ადგილს აქვს ისტორიული წანამდლვრები ტერიტორიული იდენტობის აქცენტირებისათვის, საჭიროა მთლილ ვიცოდეთ ისტორია მის გამოსავლენად და მეთოდოლოგია მის განსავითარებლად. რეგიონის ბრენდინგი განუყოფელია მისი კონკურენტუარიანობის ამაღლების პროცესებისგან, რამეთუ ბრენდი თავისი ბუნებით კონკურენტული უპირატესობის დემონსტრაციაა და შესაბამისად, მეტი ღირებულების. ტერიტორია, რომელსაც შესწევს გარედან რესურსების მოზიდვის, გადამუშავების და გაცემის უნარი, უფრო მეტად ეფექტურია მისი ცხოველმოქმედება.<sup>3</sup>

<sup>1</sup> საქართველოს ტურიზმის ეროვნული აღმინისტრაცია-საქართველოს ტურიზმის სტატისტიკური მიმოხილვა 2013, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> გრძელიშვილი ნ., გრძელიშვილი რ., ბრენდინგის როლი რეგიონის ტურისტული მიმზიდველობის ფორმირებაში, საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემია, საერთაშორისო სამეცნიერო რეფერინგებადი და რეცენზირებადი პრაქტიკული ჟურნალი „მოამბე“ №20, თბ., 2014, გვ. 83.

ტერიტორიის წარსაღვენად (ჩვენ შემთხვევაში რეგიონის) უპირველესად საჭიროა, თანამედროვე ინ-სტრუმენტების და ტექნოლოგიების გამოყენებით, შეიქმნას რეგიონის ძლიერი ბრენდი, მის გარეშე უკვე შეუძლებელია კონკურენტული ბრძოლის წარმოდგენა შიდა და გარე ინვესტიციებისათვის, ტურისტული ნაკადები-სათვის და ა.შ.

რეგიონის ბრენდი უნდა ასახავდეს ტერიტორიის მოსახლეობის მენტალობისა და ტრადიციების საუკეთესო მახასიათებლებს, უნდა შეასრულოს იდეოლოგიური ფუნქცია, რომელიც გააქრთიანებს რეგიონის მოსახლეობას საერთო ამოცანების შესასრულებლად.

ბრენდი ბუნებრივი გზით არ იქმნება, ის წარმოადგენს საზოგადოებრივი რეფლექსის და პროექტირების ხელოვნურად ორგანიზებულ პროდუქტს. ბრენდის ხელოვნურობა გულისხმობს დამკვეთის, მასზე მომუშავე კვალიფიციური ჯგუფის, ფინანსური და ინფორმაციული რესურსების არსებობას, კარგად ფორმირებულ ტექ-ნიკურ დაგალებებს, ბრენდის შექმნის და განვითარების პროგრამას, ბრენდის ეფექტურობის მონიტორინგს.

რეგიონის ბრენდის დამუშავებისას, ასევე აუცილებელია, რეგიონის ბრენდის განვითარების და მხარდაჭერის სტრატეგიის და მექანიზმების თავიდანვე პროექტირება. ასეთი სტრატეგიის შემუშავება საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო გასავლების, ინფორმაციულ, სოციოკულტურულ, სპორტულ და სხვა პროექტებზე ოპტიმიზირების საშუალებას იძლევა.

თანამდეროვე მსოფლიოში, სულ უფრო და უფრო მეტი ქვეყანა, რეგიონი და ქალაქი, თანმიმდევრულად მუშაობს საკუთარი ტერიტორიის და საკუთარი ბრენდის სრულყოფილ ფორმირებაზე, რაც ადგილის ტურისტულ მიზიდვებლებას განაპირობებს.<sup>1</sup>

ეს ტენდენცია განპირობებულია იმით, რომ ბოლო დროს ტურიზმი მსოფლიო ეკონომიკის უმნიშვნელოვანები დარგი გახდა, რომელიც ხელს უწყობს რეგიონის კეთილდღეობის ამაღლებას.

აღნიშვნავთ, რომ ტურიზმი მრავალპროფილური ინდუსტრიაა, რომელიც მოიცავს სასტუმრო მეურნეობას, ტრანსპორტს, საზოგადოებრივი კვების სექტორს და დამატებითი მომსახურების სექტორს. ტურიზმი ახალი სამუშაო ადგილების შექმნის წყარო ხდება. ამის მიუხედავად, ტურიზმის სფეროში დიდმა კონკურენციამ, ახალი მიდგომების და მეთოდების შექმნა გამოიწვია. ერთ-ერთი უფრო ეფექტური მეთოდი, რეგიონის, როგორც ტურისტული ტერიტორიის ბრენდინგი გახდა.

ტურისტული ტერიტორიის ბრენდინგის უმნიშვნელოვანება ამოცანას წარმოადგენს მისი ძლიერი მხარეების გამოყოფა, პოზიციონირება და გაძლიერება, რომლებიც ძირითადად შემთხვევებში თავსდება ტურისტული ბრენდის ფორმირების საფუძველში. რეგიონის, როგორც ტურისტული ტერიტორიის, ბრენდი გამოხატავს რეგიონის ძირითად ღირებულებებს, მის მიზნებსა და მისიას ტურიზმში.

აჭარის რეგიონი, რაღა თქმა უნდა, პირველ რიგში ზღვით, უნიკალური ეკოგარემოთი და ადგილობრივი ტრადიციებით არის გამორჩეული. თუმცა ტურისტულ ბაზარზე უმკაცრესი კონკურენცია მოითხოვს, ყოველივე ერთ მთლიან პოზიტიურ სახედ შეიძეგულოს, სადაც უმთავრესი აჭარის მცხოვრებთა განსხვავებული კონფესიურობა და ამავე დროს მშვიდობიანი გარემო იქნება. ყოველივეს განსაკუთრებულ აქტუალობა შესძინა რელიგიური ექსტრემიზმის გაღვივებამ არა მარტო ისლამურ ქვეყნებში, არამედ შუაგულ ევროპაში, სადაც რელიგიური დაპირისპირება ხშირად სისხლიან ფორმებსაც იღებს.

პოლიტოლოგთა შორის არის მოსაზრება, რომ კონფლიქტები რელიგიურ ნიადაგზე, შესაძლოა ნებისმიერ ადგილზე აღმოცენდეს, ამავე დროს გახდეს ინსტრუმენტი ცალკეული ქვექნების მიერ გეოპოლიტიკური ამოცანების გადასაწყვეტად.

ამიტომაც მნიშვნელოვანია, დღესვე დაიწყოს, აჭარის სახის წარმოჩენა, არა მხოლოდ უნიკალური გეოკლიმატური პირობებით გამორჩეული ადგილის, არამედ როგორც სხვადასხვა კონფესიათა მშვიდობის და ურთიერთპატივსაცემი კერის, ადგილისა, სადაც მტრობისა და შუღლის ენა (Hate Speech), უცხოა.

<sup>1</sup> გრძელიშვილი ნ., გრძელიშვილი რ., ბრენდინგის როლი რეგიონის ტურისტული მიმზიდვებლების ფორმირებაში, საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემია, საერთაშორისო სამეცნიერო რეფერირებადი და რეცენზირებადი პრაქტიკული უწინააღმდეგ „მოამბე“ №20, თბ., 2014, გვ. 84.

ტურიზმი შეიძლება განვითარდეს მხოლოდ მშეიძობიან პირობებში. არა თუ ომი, ინფორმაციაც კი გარკვეულ სამოქალაქო უთანხმოებაზე, აფერხებს ტურიზმის განვითარებას. ტურისტის შიში საკუთარ უსაფრთხოებაზე, სერიოზული შემაფერხებელი ფაქტორია მოგზაურობის არჩევისას, იგი დარწმუნებული უნდა იყოს თავის უსაფრთხოებაში მოგზაურობის დროს. რეგიონი კი, რომელიც მხოლოდ იწყებს მსოფლიო მასშტაბით პოზიციონირებას, მასზე გასული ნებისმიერი ნეგატიური სიუჟეტი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში, შესაძლოა ძალზე მძიმედ აისახოს მის ტურისტულ პერსპექტივაზე, ამიტომაც აჭარა უნდა წარმოჩნდეს, როგორც სხვადასხვა კონფესიებს შორის მშეიძობის და ურთიერთსიყვარულის კერად.

მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის (UNWTO) მონაცემებით, ტურიზმის შედარებით ყველაზე უფრო პერსპექტიული მიმართულებებს შორის პირველი ადგილი რელიგიურ (მომლოცველობით) ტურიზმს უჭირავს. ექსპერტები რელიგიურ ტურიზმს აფასებენ როგორც XXI საუკუნის ყველაზე პერსპექტიულ მიმართულებას.<sup>1</sup> რელიგიური ტურიზმი გულისხმობს იმ ადგილების მონაზულებას, სადაც ტურისტებს შეუძლიათ ნახონ რელიგიური ობიექტები, საკულტო ძეგლები. ტურისტებს აგრეთვე იზიდავთ რელიგიური დღესასწაულების ხილვა.

რელიგიური ტურიზმის განვითარების ისტორიის და თანამედროვე მდგომარეობის ანალიზი საშუალებას გვაძლევს მნიშვნელოვანი დასკვნა გავაკეთოდ. იმის შესახებ, რომ სახელმწიფო, საზოგადოებრივი, კომერციული და რელიგიური ორგანიზაციების ერთობლივი და გეგმაზომიერი მუშაობის შედეგად, რელიგიური ტურიზმი ხელს შეუწყობს საზოგადოების სხვადასხვა ფენის აღამინებს და სხვადასხვა ტრადიციული კონფესიების წარმომადგენლებს შორის ურთიერთგაებას, რაც თავის მხრივ, ამცირებს სოციალურ დაბაბულობას.

ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ დღეისათვის ტრადიციული ფასეულობების, ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება და მათი მომავალი თაობებისთვის გადაცემა, ერთ-ერთი პრიორიტეტული ამოცანაა, რომელიც ხშირ შემთხვევაში შეუძლებელია გადაწყდეს ტურიზმის, უპირველესად კი რელიგიური ტურიზმის განვითარების გარეშე.

რელიგიური ტურიზმიდან შემოსავლები მსოფლიო ბაზარზე, მთელი ტურისტული ბაზრის 2%-ს უტოლდება, რაც რეალობას ნაკლებად შეესაბამება, რადგან მრავალ ქვეყანაში ეს სეგმენტი ჯერჯერობით ცალკე არაა გამოყოფილი და კულტურულ-შემეცნებით ტურიზმშია წარმოდგენილი. თუმცა, არის ქვეყნები და ცალკეული რეგიონები, სადაც კონკრეტულად რელიგიურ ტურიზმს დიდი შემოსავლები მოაქვს. იტალიაში იგი მთელი ტურისტული შემოსავლების 10% შეადგენს (დაახლოებით 4,5 მლრდ დოლარი). მართლმადიდებლური ქვეყნებიდან, ამ მხრივ, საბერძნეთი და ბულგარეთი გამოირჩევა, რომელთა ხელისუფლება უდიდეს ძალისხმევას ხარჯავს ამ მიმართულების ტურიზმის გასავითარებლად.

რელიგიური ტურიზმის ბაზარზე შესასვლელად თავისებური განაცხადი აქვს გაპეტებული იამაიკას. ქვეყანა, რომელიც არ გამოირჩევა, ძველი საკულტო ნაგებობებით და ძირითადად იმიგრანტებით არის დასახლებული, მსურველებს ეპატიუება რელიგიური კონფერენციების და შეკრებების ჩასატარებლად.

საქართველოში 12 000-მდე ისტორიული და არქიტექტურული ძეგლია ანუ ქვეყნის რესურსები ამ მხრივ ძალზე დიდია.<sup>2</sup> მატულობს უცხოელთა დაინტერესება ჩვენი ქვეყნის რელიგიური რესურსებით, თუმცა, ამ კუთხითაც ქვეყნის ტურისტული პოტენციალი ჯერჯერობით ნაკლებადაა გამოყენებული. ტურიზმის ეროვნული აღმინისტრაციის ინფორმაციით, 2013 წელს საქართველოს პილიგრიმული მიზნებით 9 984-მდე ადამიანი ესტუმრა, რაც მთლიანად ვიზიტორთა რაოდენობის 0,2%-ია, რაც რა თქმა უნდა, მცირეა.

<sup>1</sup> გრძელიშვილი ნ., რელიგიური ტურიზმი – როგორც ფაქტორი საქართველოს ინტეგრაციისა მსოფლიო და რეგიონული ეკონომიკაში, VII სამეცნიერო კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა – გორი 2013“: მიმღვნილი ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების 95-ე წლისთავისა და საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II აღსაყდრების 35 წლისთავისადმი, საქართველოს საპატრიარქოს სამთავისისა და გორის ეპარქია, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 30 ივლისი, 2013.გვ.41-48.

<sup>2</sup> გრძელიშვილი ნ., რელიგიური ტურიზმი ინტეგრაციული პროცესების ხელშეწყობი ფაქტორი, სამეცნიერო ჟურნალი „სამართალი და ეკონომიკა“, №4, თბ., 2013, გვ. 90-99.

იგივე შეიძლება ითქვას კონკრეტულად აჭარაზეც. ისტორიულ ძეგლებსა და მის ირგვლივ ინფრასტრუქტურის განვითარებაზე რომ არაფერი ვთქვათ, აჭარაზე ანდრია პირველწოდებულის ნაკალევი გადის, აյ არის მოციქულ მატათას საფლავი, რაც ნაკლებადაა მიწოდებული უცხოელ აუდიტორიაზე აჭარის რეკლამირების დროს.

ქრისტიანული სარწმუნოების გავრცელებას ამ კუთხეში ხელს უწყობდა მისი აქტიური კულტურულ-ეკონომიკური ურთიერთობა ახლო აღმოსავლეთთან. აჭარაში იმთავითვე ფართოდ გაიშალა საეკლესიო მშენებლობა, რომელთა ნაშთები დღემდეა შემორჩენილი. პირველი ტაძარი დღევანდელი ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ დიდაჭარაში მთავარანგელოზის სახელზე აიგო, რომლის ერთ-ერთ ქვაზე წერია: „აქ ქრისტიეს პირველმა მოციქულებმა ანდრია პირველწოდებულმა, სვიმონ კანანელმა და მატათამ ააგეს პირველი ქრისტიანული ტაძარი საქართველოში“.

ამასთან, რამდენად ხდება იმის წარმოჩენა, რომ ბევრ შემთხვევაში ქრისტიანი და მუსლიმი ერთი ოჯახის წევრია და ამავე დროს მათ შორის სრული ჰარმონია სუფევს?

ისლამი – სიდიდით და მნიშვნელობით მეორე რელიგიათა თანამედროვე საქართველოს ტერიტორიაზე. საქართველოში 433784 მუსლიმი მოქალაქეა. რაც შეეხება აჭარის რეგიონს, მაჰმადინი ქართველების რაოდენობა აქ მოსახლეობის 25%-ს შეადგენს. დღეს აჭარაში სრულიად ჰარმონიულად თანაარსებობენ ისლამისა და მართლმადიდებლობის მიმდევრები, ქრისტიანული და მაჰმადიანური სალოცავები. უფრო მეტიც, ისეთ პატარა ქალაქში, როგორიცაა ბათუმი, შესაძლებელია თითქმის ყველა დიდი რელიგიის საკულტო ძეგლების ხილვა. აქ ოდიოგანვე მშვიდობით თანაცხოვრობდნენ ებრაული, კათოლიკური, სომხური, მართლმადიდებლური და მაჰმადიანური რელიგიის წარმომადგენლები. სწორედ ეს, მშვიდობიანი თანაარსებობა უნდა იქცეს აჭარის სახედ მთელ მსოფლიოში, რაც საუკეთესო მარკეტინგული სვლა იქნება აჭარის წარმოსახენად.

ვიმეორებთ, განსხვავებით განვითარებული და სტაბილური დემოკრატიის ქვეწებისგან, საქართველოს და კერძოდ აჭარას, უფრო გაძოკვეთილად სჭირდება დადებითი იმპულსების გზავნა, რის ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებად, რელიგიურ ტურიზმზე აქცენტების გაკეთება, მისით პოზიციონირება გვესახება. შედეგად, ასეთ ქვეყანას, მის რეგიონებს, სადაც უძველესი საკულტო ძეგლები, უამრავი რელიგიური ტაძარი და რაც მთავარია, კონფესიათა შორის სრული ჰარმონია სუფევს, მუდამ მრავალი სტუმარი ეყოლება.

## Nodar Grdzelishvili

### Religious Factor in the Formation of Tourism Brand Adjara

The paper indicates that one of the main determining characteristics of modern society is whether and how much competitive it is. The same applies to the countries and different administrative and territorial units. Areas need to be differentiated from others to express themselves and take privileged positions.

In the modern world, more and more countries, regions and cities work consistently on the formation of their own territory brand, which determines attractiveness of the tourism destination.

The paper points out that basis of branding of the territory is to highlight the uniqueness of the area granted by the nature and characteristics and cultural traditions of the nature. Formation of the region as a brand will promote attracting more tourists.

It is noted that religious tourism should be considered as one of the important marketing activity on the way to the development of peaceful and harmonious Adjara.

## ერთიანობის მართვის აზრულურობა და მისი გიბლიური საშუალების გააზრება

ადამიანური რესურსების მართვა მენეჯმენტის სამართავი ობიექტებიდან უმთავრესი და კომპლექსურია. თანამედროვე ურთიერთობათა, გადაწყვეტილებათა მიღების სირთულე განაპირობებს უმთავრეს გამოწვევებს ამ სფეროში. პრაგმატული აზროვნება და არა მხოლოდ ეთიკური საფუძვლები არსებობს იმისათვის, რომ შრომა ადამიანებისთვის უნდა გახდეს რამდენადაც შესაძლებელია სასიამონო პროცესი, რათა მან მოისურვოს მაქსიმალური ჩართულობა ორგანიზაციული მიზნების განხორციელებაში. დრო, როდესაც კომპანიები ჩართულები არ იყვნენ გლობალურ კონკურენციაში, წარსულია, თუმცა, შრომითი ურთიერთობები ზშირ შემთხვევაში ადეკვატურად არ იცვლება. ეს საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია პოსტსაბჭოურ ქვეყნებში, სადაც ორგანიზაციები იყვნენ ცენტრალიზებული გეგმის შესრულებლები. ასეთ დროს, გარემო იყო სტატიკური, გარემოსა და ორგანიზაციის ფუნქციონირებას შორის არსებობდა პირდაპირი კავშირი. გადაწყვეტილებები ძირითადად ეფუძნებოდა რაციონალურ ახსნას. ურთიერთობების ეს ფორმა ავტომატურად აყალიბებდა აქტუალურ ქცევებს, რაც ძირითადად ეფუძნებოდა ერთმმართველობის პრინციპებს, მართვის საუკეთესო მეთოდი იყო მართვის ცენტრალიზაცია და ბიუროკრატიული სისტემის გამოყენება. ეს მმართველობითი ჩვევები დღემდე ნარჩენდება პოსტსაბჭოური სივრცის ქვეყნებში, ისეთ სფეროებშიც კი, სადაც ეს აბსოლუტურად გაუმართლებელია. რაც შეეხება ბუნებრივად განვითარებულ, თუ განვითარებად ქვეყნებს, აქაც კი მნიშვნელოვან ტრანსფორმაციას განიცდის ადამიანური რესურსების მართვის სტრატეგიები, ვინაიდნ ეს თანამედროვე გლობალური გარემოს მნიშვნელოვანი გამოწვევა, როდესაც შეუძლებელია ინდივიდმა, მთებედავად ინტელექტისა თუ გამოცდილებისა, თავი გაართვას გლობალური გარემოს მიერ შექმნილ გამოწვევებს. მთებედავად ტექნოლოგიური, ინფორმაციული განვითარების ტემპებისა, კაცობრიობამ ვერ ჩაანაცვლა ადამიანური რესურსების აქტუალურობა. მისი შემოქმედებითი უნარების აქტივირება დღეს, როგორც არასდროს, მნიშვნელოვანია. ინდივიდი, ჯგუფის გარეშე, ვერ იწება გადაწყვეტილებათა მიღებისა და შესრულების გარანტორი. შესაბამისად, ყოველი სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობებში ჩართული პირისთვის წარმატების მიღწევა შესაძლებელია სხვებთან თანამშრომლობით, ერთობლივი მოტივაციით საერთო მიზნების მისაღწევად.

თუ გავითვალისწინებთ ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების გზას, იოლია ჩავწევდეთ ადამიანური რესურსების მართვის ეტაპების დინამიკას: აგრარული, ინდუსტრიული, ინფორმაციული ერა, ცოდნაზე, ფასეულობებზე, ურთიერთკავშირებზე დაფუძნებული ერა, ადამიანური პოტენციალის ერა და ერთიანობაზე დაფუძნებული ერა<sup>1</sup>.

ეს კატეგორიზაცია არ ნიშნავს რომ ყოველ წინას ანაცვლებს მომდევნო. აქ ყოველი მომდევნო მოიცავს ყველა ადრეულ ტენდენციას. ამ ჩამონათვალში ბოლო კატეგორია – ერთიანობის ერა დაფუძნებულია ოგანიზაციაში ყოველი ინდივიდის, სტრუქტურული რგოლის ერთობაზე. ის მოიცავს პერიოდს 2013 წლიდან. დრეისათვის ითვლება, რომ ეს მიმართულება ყველაზე აქტუალურია. ის თანამედროვე ურთიერთობებში განიხილება როგორც მიზანი და აგრეთვე მიზნების მიღწევის უმთავრესი საშუალება. მისი მიღწევის აუცილებლობა არსებულ გარემოში ფუნქციონერი ორგანიზაციებისთვის მნიშვნელოვანი გამოწვევა.

ნაშრომი ეხება ამ აქტუალური თემის ბიბლიორი საფუძვლების გაზრებას. რადგან ყოველი ცხოვრების სეული საკითხის უნივერსალური, უნიკალური ახსნა სახარებაში მოიპოვება. სწორედ ამიტომ, მეცნიერთა უმრავლესობა იკვლევს მათი კვლევის ობიექტისადმი ბიბლიის დამოკიდებულებას.

<sup>1</sup> The Age of Human Potential –Talent Management, William A. Guillory, Ph.D. President Innovations International, Inc. Salt Lake City, Utah 84117, p. 2.

ერთიანობის თემას ბიბლიაში განსაკუთრებული, საკრალური მნიშვნელობა აქვს. წმინდა წერილის ყველა ნაწილი, ცალ-ცალკე და ერთად, კაცთა მოღვაწეს უქადაგებს უფალთან ერთობით ყოფნის მნიშვნელობას. ის განმარტებულია, როგორც გადარჩენის ერთადერთი გზა.

წმინდა წერილში ერთმნიშვნელოვნადა განსაზღვრული, რომ ოუნდაც ორი ერთად მდგომი ადამიანის-თვის არაფერია შეუძლებელი – „კუალად ამენ გეტყვი თქუენ: უკუეთუ ორნი თქუენგანნი შეითქუნენ ქუეყანასა ზედა ყოვლისათვისვე საქმისა, რომელიცა ითხოონ, ეყოს მათ მამისა ჩემისაგან ზეცათაისა. რამეთუ სადაცა იყვნენ ორნი გინა სამნი შეკრებულ სახელისა ჩემისათვის, მუნ ვარ მე შორის მათსა“ (მათე 18;19)<sup>1</sup>. ერთიანობას გამოითხოვს მამა ღმერთისგან ძე ღმერთი თავისი სულიერი შვილებისთვის: „...მამაო წმიდაო, დაიცვენ ესენი სახელითა შენითა, რომელი მომცენ მე, რაითა იყვნენ ერთობით, ვითარცა ჩუენ“ (იოანე 17;11).... „რაითა ყოველი ერთ იყვნენ, ვითარცა შენ, მამაო, ჩემდამო, და მე შენდამი, რაითა იგინიცა ჩუენ შორის ერთ იყვნენ, რაითა სოფელსა პრწმენეს, რამეთუ შენ მომავლინე მე. და მე დიდებაი, რომელი მომეც მე, მივეც მათ, რაითა იყვნენ ერთ, ვითარცა ჩუენ ერთ ვართ. მე მათ შორის, და შენ ჩემ თანა, რაითა იყვნენ სრულ ერთობითა, და რაითა უწყოდის სოფელმან, რამეთუ შენ მომავლინე მე და შეიყუარენ იგინი, ვითარცა მე შემიყუარე“ (იოანე 17;21-23).

ეკლესიასტეში ქრისტეს დაბადებამდე საუკუნეებით აღრე ნათლად, მარტივად განმარტავს ერთობის უპირატესობას და მარტოობის ტრაგიზმს: „უმჯობეს არიან ორნი ერთისა, რომელ არს მათდა სასყიდელი, კეთილ არს შრომასა შინა მისსა. უკეთუ დაეცნენ, ერთმან აღადგინოს მოყუასი თვისი. და ვაი ერთისა მის, უკეთუ დაეცეს და არა ვინ იყოს მეორე, რომელმან აღადგინოს იგი. და უკეთუ დაწვნენ ორნი, განტფენ იგინი და ერთი იგი ვითარმე განტფეს და უკეთუ განძლიერდეს ერთი იგი, ორნი ესე დადგენ წინაშე მისსა, და საბელისმოღებული არა აღრე განსქედეს“ (ეკლესიასტე 4;9-12)<sup>2</sup> ასევე, ძველ აღთქმაში, დავით წინასწარმეტყველმა ფსალტენით იგალობა, რომ არაფერია ერთობაზე სასიკეთო და მშვენიერი: „აჰა, ესერა, რაიმე კეთილ, ანუ რამე შეუნიერ, არამედ დამგვიდრებაი ძმათა ერთად?“ (ფს. 132;1).

აღდგომის შემდეგ, ქრისტეს მოსწავლებიც, ზეციური მოძღვრის კურთხევით, სულიწმინდის მადლით განსწავლულები ერთობისგან მოუწოდებდნენ მორწმუნე მრევლს.

პავლე მოციქული, ეპისტოლით, ფიზიკურ და სულიერი ერთობისკენ მოუწოდებს უფესელებს, ვინაიდან ერთია ჭეშმარიტება, ერთია ღმერთი, სარწმუნოება და ნათლისლება: „ისწრაფდით დამარხვად ერთობასა მას სულისასა საკრეელითა მით შშვიდობისაითა. ერთ ზორც და ერთ სულ, ვითარცა-იგი იჩინენით ერთითა მით სასოებითა ჩინებისა თქუენისაითა; ერთ არს უფალ, ერთ სარწმუნოება, ერთ ნათლის-ღებაი, ერთ არს ღმერთი და მამაი ყოველთაი, რომელი ყოველთა ზედა არს და ყოველთა მიერ და ჩუენ ყოველთა შორის“ (ეფეს. 4;3-6).

სახარებაში ხაზგასმულია, რომ მეუფება არ არსებობს ერთიანობის განცდის გარეშე. როდესაც უფალი ქრისტეს მიერ სულით ავადმყოფის განკურნების მხილველნი ფიქრობდნენ, რომ ის ბოროტან თანხმობით განაგდებდა ბოროტს, ქრისტე მიუხვდა ფიქრს და უთხრა მათ, რომ ყოველი მალაუფლება განაღებურდება თუ საკუთარ თავს განუდგება: „იცოდნა იესუ ზრახვანი იგი გულისა მათისანი და პრქუა მათ: ყოველი მეუფებაი, რომელი განევლითს თავსა თვისისა, მოოხრდის; და ყოველი ქალაქი გინა სახლი, რომელი განევლითს თავსა თვისისა, ვერ დაემტკიცოს“ (მათე 12;25). ამ ფრაზის ეკონომიკური შინარსი ასე შეგვიძლია გავიგოთ: შეიძლება მენეჯერი, ან ორგანიზაციის წევრები და თავად ორგანიზაციიები იყვნენ წარმატებულნი, თუ ისინი ებრძებან ერთმანეთს, ან მათი მიზნები ურთიერთსაპირისპიროა? ამ კითხვაზე პასუხი ეჭვს არ იწვევს და არის – არა, საპირისპიროს კი ადგილი შესაძლებელია პქონდეს მხოლოდ მოკლევადიან პერიოდში.

<sup>1</sup> ახალი აღთქმა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი, წმ. გიორგი მთაწმინდელის რედაქციის კრიტიკულად დადგენილი ტექსტის მეორე სრული გამოცემის მიხედვით <http://www.orthodoxy.ge/>

<sup>2</sup> ძველი აღთქმა მცხეთური ზელნაწერის მიხედვით. <http://www.orthodoxy.ge/>

სტუქტურული მთლიანობის შინაარსის თვალსაჩინო მოდელი რომაელთა მიმართ ეპისტოლები პავლე მოციქულის მიერ ნათლად არის გადმოცემული: როგორც ერთია ადამიანი და სხვადახვა სხეულის ნაწილები აქვს, ხოლო თითოეულ ნაწილს განსხვავებული ფუნქცია აკისრია, ქრისტეს მოწაფენიც ასევე ერთნი უნდა იყვნენ და ყოველი მათგანი – ერთმანეთის ნაწილები: „ვითარცა ერთსა მას გუამსა მრავალ ასოებ აქუს, ხოლო ასოებსა მას ყოველსა არა იგივე საქმე აქუს, ეგრეთცა ჩუენ ყოველნი ერთ გუამ ვართ ქრისტეს მიერ, ხოლო თითოეული ურთიერთას ასოებ ვართ“ (რომ. 12:4-5) და როგორც სხეულის ნაწილები განსხვავებულები არიან, სხვადასხვა ფუნქციებს ასრულებენ, მაგრამ არ შეუძლიათ უერთმანეთოდ, თუ ერთს ტკივა, დაარჩენებიც წუხან მის გამო, ასევე მორწმუნეთათვისაც საერთო უნდა იყოს უპატიობაც და დიდებაც: „და რამეთუ გუამი იგი არა არს ერთ ასო, არამედ მრავალ. უკუეთუ თქუას ფერხმან, ვინაითგან არა ვარ ხელ, არა ვარ მის გუამისაგანი, ამისგან-მე არა არსა მის გუამისაგანი? ანუ თუ თქუას ყურმან, რამეთუ არა ვარ თუალ, არა ვარ მის გუამისაგანი, ნუ ამისთვის არა არსა მის გუამისაგანი? უკუეთუ ყოველი გუამი თუალ იყოს, სადა არს სასმენელი? უკუეთუ ყოველი სასმენელ იყოს, სადა არიან საყონელინი? აწ ესერა ღმერთმან დასხნა ასონი იგი თვითოეულად გუამსა მას შინა, ვითარცა ინება. ხოლო უკუეთუმცა იყო ყოველი ერთ ასო, სადამცა იყო გუამი იგი? ხოლო აწ მრავალ არს ასოები და ერთ გუამი. ხოლო ვერ ხელ-ეწიფების თუალსა, ვითარმცა პრქუა ხელსა: არა მიზმ შენ; ანუ კუალად თავსა – ფერხთა, ვითარმედ: არა მიზმთ თქუენ. არამედ უფროისძა უმეტეს, რომელი-იგი საგონებელ არს ასოი გუამისა მის უუძლურესად, იგი უსახმარეს არს. და რომლისასა ვპერნებთ უპატიო-ყოფად გუამისაგან, ამათ პატივსა უმეტესსა მიესცემთ. და უშუერსა მას ჩუენსა შუენიერებაი უმეტესი აქუს, ხოლო შუენიერსა მას ჩუენსა არარაი უხმს. არამედ ღმერთმან შეზავა გუამი იგი და ნაკლულსა მას უმეტესი მისცა პატივი, რაითა არა იყოს წვალებაი ხორცთა მათ შინა, არამედ მასვე ერთიერთისათვის ზრუნვიდენ ასონი იგი. და თუ ევნებინ რაი ერთსა ასოსა, მის თანა ელმინ ყოველთა ასოთა; და თუ იდიდებინ ერთი ასოი, მის თანა იდიდებიედ ყოველნი ასონი. თქუენ ხართ ხორცნი ქრისტესნი და ასონი ასოთა მისთაგანნი“ (I კორინ. 12:12-27). ხაზგასმულია, რომ მსგავსი ერთობა თავად ქრისტეს განასახიერებს: „ვითარცა-იგი გუამი ერთ არს, და მრავალი ასოები აქუს, და ყოველი იგი ასოები ერთისა მის გუამისა მრავალ ღათუ არს, ერთგუამვე არს, ეგრეთცა ქრისტე“ (I კორინ. 12:12). ამ მაგალითით ბიბლიაშია დადასტურებული, იმ თეორიათა მართებულობა, რომლითაც მიიჩნევა, რომ ადამიანთა გაერთიანების, ორგანიზაციის პროტოტიპი უნდა იყოს ადამიანი, ან თუნდაც ყველაზე კარგად მართული, ორგანიზებული სისტემა – ტვინი. თანამედროვე მეცნიერთა მიგნებებს, ფუნდამენტურ პრინციპებს იმის შესახებ, რომ ადამიანის, ტვინის მსგავსი სისტემური ორგანიზაციების შექმნა არის წარმატების განმსაზღვრელი, აქვს ბიბლიური საფუძვლები.

რამდენად გასაოცარიც არ უნდა იყოს, წმინდა წერილში აგრეთვე მსჯელობაა ერთობისას შედეგების განაწილების სპეციფიკაზეც, რომ ერთობის წერილთათვის ყველა შედეგი უნდა იყოს საერთო და არც ერთმა თავისად არ უნდა მიიჩნიოს მეტი: „ხოლო სიმრავლისა მის მორწმუნეთათვისა იყო გული და გონება ერთ, და არცა ერთმან ვინ თქვის მონაგები მისი თვისად, არამედ იყო ყოველივე მათდა ზოგად“ (საქმე მოციქულთა 4:32). იგივე შინაარსია გადმოცემული „საქმე მოციქულთაში“: „ყოველნივე მორწმუნენი იყენეს ერთბა-მად, და აქუნდა ყოველივე ზოგად. და დღითი-დღედ განკრძალულ იყვნეს ჭამარსა მას შინა, აკურთხევდეს სახლ-მდაბრ პურსა, მიიღებდეს საზრდელსა მხიარულითა და განმარტებულითა გულითა, აქებდეს ღმერთსა, და აქუნდა მაღლი ყოვლისა მიმართ ერისა. ხოლო უფალი შესძინებდა ცხოვნებულთა დღითი-დღედ ეკლესიასა (საქმე მოციქულთა 2:44-46).

სახარებაში აგრეთვე განსაზღვრულია სხვა აუცილებელი პირობებიც, რომელთა საშუალებითაც მიიღ-წევა და ნარჩენდება ერთიანობა. ესენია: ერთსულოვნება, ურთიერთსიყვარული, ურთიერთდათმენა, ერთმანეთის განვითარებაზე ზრუნვა, თავმდაბლობა. მორწმუნეთათვის მთავარია არა მხოლოდ ღოცვა, არამედ ერთიანი, ერთი „პირით“ „ერთ-ზრახვა“ ღოცვა: „რაითა ერთბამად ერთითა პირითა ადიდებდეთ ღმერთსა და მა-

მასა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა (რომ. 15;6); არა მხოლოდ სწორი განზრახვა არამედ „ერთ-ზრახვა“ ყოფნა „ხოლო დასასრულსა ყოველნი ერთ-ზრახვა იყვენით, მოწყალე, ძმათ მოყუარე, შემწენარებელ, მდაბალ. (I პეტრე 3;8); „აღავსეთ სიხარული ჩემი, რაითა მასვე ჰზრახვიდეთ და იგივე სიყუარული გაქუნდეს; ერთ-სულ და ერთ-ზრახვა იყვენით“ (ფილიპ. 2;2).

საზგასმულია ურთიერთ გაძლიერებაზე, „ურთიერთ აღშენებაზე“ ზრუნვის მნიშვნელობა „აწ უკუ მშვიდობასა შეუდგეთ და აღშენებასა ურთიერთას“ (რომ. 14;19) და თვალნათელია თანამედროვე გარემოში ამ უკანასკნელის აქტუალურობა. ამ თემის განხილვისას შეუძლეველია გვერდი ავუაროთ მორალურ საფუძვლებს. ერთობის მიღწევისათვის ბიძლია პირობად მიიჩნევს თავმდაბლობას, ანუ თავმდაბლობა – „ნურარაით ხდომით გინა ზუაობით, არამედ სიმდაბლით ურთიერთას უმეტეს შეპრაცხდით თვითოვეული თავისა თვისისასა“ – (ფილიპ. 2;3) აგრეთვე, ურთიერთდამენის უნარი – „ხოლო ღმერთმან მოთმინებისამან და ნუგეშინის-ცემისამან მოგეცინ თქუენ იგივე ზრახვად ურთიერთარს ქრისტეს იესუის მიერ“ (რომ. 15;5) და ურთიერთმორჩილების უნარი – „დაემორჩილენით ურთიერთას შიშითა ქრისტესითა“ (ეფე. 5;21) – ბაზისია, რითაც მიიღწევა ერთობა. „უფალი აერთიანებს“ – ერთობის უნარი ადამიანებს უფლისაგან მოეცემა ჯილდოდ მოთმინებისა და ერთმანეთისთვის ნუგეშისცემისთვის: „ხოლო ღმერთმან მოთმინებისამან და ნუგეშინის-ცემისამან მოგეცინ თქუენ იგივე ზრახვად ურთიერთარს ქრისტეს იესუის მიერ, რაითა ერთბამად ერთითა პირითა ადიდებდეთ ღმერთისა და მამასა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესისა. ამისთვის შეიწყნარებდით ურთიერთარს, ვითარცა-იგი ქრისტემან შეგიწყნარნა თქუენ სადიდებლად ღმრთისა“ (რომ. 15;5-7).

მაგალითი ერთიანობისა, თავდადებისა პირადად მოგვეცა მამისაგან (რომელმაც კაცობრიობის გამოსახსნელად გვიშვა ძე) და ძისაგან – პირადი მსხვერპლის გაღებით ადამიანთა სულების გამოსახსნელად. ეს სასწაული აღსრულდა საოცარი თავმდაბლობით და მორჩლებით: „აღავსეთ სიხარული ჩემი, რაითა მასვე ჰზრახვიდეთ და იგივე სიყუარული გაქუნდეს; ერთ-სულ და ერთ-ზრახვა იყვენით, ნურარაით ხდომით გინა ზუაობით, არამედ სიმდაბლით ურთიერთას უმეტეს შეპრაცხდით თვითოვეული თავისა თვისისასა. ნუ თავისა თვისისასა ხოლო კაცად-კაცადი თქუენი ეძიებნ, არამედ მოყუსისაცა თვითოვეული თქუენი. ესე ზრახვაი იზრახებოდენ თქუენ შორის, რომელცა-იგი ქრისტე იესუის მიერ. რომელი-იგი ხატი ღმრთისაი იყო, არა ნატაცებად შეირაცხა ყოფად იგი სწორებად ღმრთისა, არამედ თავი თვისი დაიმდაბლა და ხატი მონისა მიიღო და მსგავს კაცთა იქმნა და ხატითა იპოვა ვითარცა კაცი; დაიმდაბლა თავი თვისი და იქმნა იგი მორჩილ ვიღრე სიკუდიდმდე და სიკუდილითა მით ჯუარისაითა“ (ფილიპ. 2;2-8).

ერთობის მიზანი აუცილებელია იყოს ჭეშმარიტების მსახურება. მიუხედავად იმისა, რომ ერთობის ნებას ვერაფერი დაუდგება დედამიწაზე, უფლისაგან შეიმუსსრება ის, რისი ფუნდამენტი არ არის კლდე – სიყვარული ჭეშმარიტი უფლისს მიმართ. როცა ვსაუბრობთ ბიბლიურ ერთიანობაზე გვახსენდება ძველი აღთქმისეული ბაბილონის გოდოლი, საღაც უფლის მიერ დაირღვა კაცთა ერთობა, რომლის საძირკველი იყო ამპარტავნება და განდიდების სურვილი „და თქუა უფალმან ღმერთმან: აპა ნათესავი ერთ და ბაგენი – ერთ ყოველთა, და ამის იწყეს ქმნად და აწ არა დააკლდეს მათგან ყოველნი, რაოდენ-თა-ცა ინებონ ქმნად. მოვედით, გარდავიდეთ და შეურინეთ მათ ენანი მუნ, რათა არა ესმოდის თითოვეულსა ხმა მოყუსისა. და განთესნა იგინი უფალმან მუნით პირსა ზედა ყოვლისა ქუეყანისასა. და დასცხრეს მაშენებელნი ქალაქისა და გოდლისანი“ (დაბ. 11;6-8).

ბიბლიის მთავარი პათოსი ერთიანობისადმი არის ადამიანთა ერთიანობა უფალთან სულით და ხორცით, ერთიანობა ლოცვაში, საქმეში საღიღებელად უფლისა. ეს სიბრძნეა ჩაღებული წმინდა ღილტურგიისას, როცა გაღობით აღგავლენთ ლოცვას: „გიყვარებოდეთ ურთიერთარს, რათა ერთობით აღვიარებდეთ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა“, რადგან უფალი მხოლოდ ერთობით სიყვარულს და სიყვარულით ერთობას სცნობს.

## **The Actuality of Management of Unity and its Biblical Basics**

### **R e s u m e**

Human resource management strategies and paradigms are transforming fundamentally and this is important global challenge. If we consider the way of development of social and economic relationship, we can easily understand the peculiarities of the dynamic of human resource management trends.

A person alone, without others, cannot be a guarantor of making right decisions and performing them. He/she cannot handle challenges caused by global environment. Accordingly, every individual, involved in social and economic relations, can achieve success in collaboration with others. It is not surprising that William A. Guillory in his work: "Global Business (and social) Paradigms" underlined the importance of oneness, where the power is based upon unity, as the newest trend of business and organization development. We can consider that is the main goal, as well as, the primary means of achieving it. To achieve the oneness is the most important challenge for contemporary organization.

The article is devoted to understanding of the biblical basis of this important topic. The issue of unity has the special, sacral meanings in the Bible. All parts of the Scripture, separately and together preach the importance of oneness. And it is defined as the only way to survive. Nothing is impossible for those, who are together, The God is with them.

The Bible precisely defines content, features, principles and important targets of the unity. The paper contains the relevant quotations from the Old Testament as well as from the New Testament. The main inspiration of The Bible of course is human unity with the Lord with flesh and blood, unity in prayer, in work, for glory of the Lord. This wisdom is implied in holy Divine liturgical chant: "**Let us love one another that with one mind we may confess: Father, Son and Holy Spirit, the Trinity, one in essence and undivided.**" As the God recognizes only the love with unity and the unity only with love.

## თენაზი თავთაშიში ძალის გამოყენება

### ძრის ფიანობა და თანამედროვე ეპონომიკა: ჩართვები ჭმიდანების სამეცნიერო-მართველობითი შეხედულებები

თანამედროვე მსოფლიოში ეკონომიკური საქმიანობა უმეტესწილად ემყარება მოგების მიღების დაუოკებელს სურვილს, რა დროსაც ადამიანები ძალიან ხშირად ცდილობენ მიაღწიონ სასურველ ფინანსურ შედეგებს ნებისმიერ ფასად. ამ პროცესში ისინი არ ურიდებიან ბუნებრივი თუ ადამიანური რესურსების ექსპლუატაციას, რითაც ზიანს აყენებენ გარემოს და ლახავენ ადამიანის უფლებებს.

თანამედროვე ბიზნესსაქმიანობის მთავარ მიზანი მაქსიმალური მოგების მიღებაა და ის სულ უფრო ნაკლებად ითვალისწინებს ზნეობრივ და მორალურ პრინციპებს.

ამ ყველაფრის შედეგია, ერთი მხრივ, დაბინძურებული გარემო, გაჩეხილი ტყეები, მონურ პირობებში მომუშავე ადამიანები, ხოლო მეორე მხრივ ამის შედეგად გამდიდრებული ბიზნესის მფლობელები, რომლებიც კვლავც აგრძელებენ ბუნებრივი და ადამიანური რესურსის დაუნდობლად გამოყენებას.

ასეთი პროცესები, დიდი ალბათობით, სამყაროს ადრე თუ გვიან მიიყვანს ბუნებრივი კატასტროფების ზღვრამდე და დღის წესრიგში დააყენებს ახალი პოლიტიკური თუ ეკონომიკური სისტემების ფორმირების აუცილებლობას.

შექმნილი მდგომარეობიდან საუკეთესო გამოსავალია, ქრისტიანული პრინციპების წინა პლანზე წამოწევა ბიზნესის კეთების პროცესში.

ბიბლიის მიხედვით, მთელი სამყაროს, დედამიწის, გლობალური და რეგიონული სოციალურ-ეკონომიკური პროცესების, ყოველი ცალკეული სახელმწიფოს, ორგანიზაციის, საწარმოს, ადამიანის ნებისმიერი საქმიანობის შემოქმედი, უზენაესი განმგებელი და წარმმართველი არის უფალი ღმერთი. სამეურნეო-მმართველობითი საქმიანობის უფლისმიერი სათნოებით წარმართვა უზრუნველყოფს ჩვენთვის მიწიერ სიხარულს და მნიშვნელოვანწილად განაპირობებს ზეციური ნეტარების მოპოვებას.<sup>1</sup>

შეიძლება ითქვას, რომ საქართველოშიც, მსოფლიოში არსებული ტენდენციების მსგავსად, ბიზნესსაქმიანობის მეთოდები შორსაა ქრისტიანული – მართლმადიდებლური პრინციპებისგან. XX საუკუნის ბოლოდან დღემდე ქვეყანაში მუდმივად ნადგურდება ბუნებრივი რესურსები, იჩეხება ტყეები, არ მოქმედებს შრომის ეფექტური კანონმდებლობა, რაც იქნებოდა დასაქმებულების ღირსეული შრომის გარანტი. ამ ყველაფრზე მაღლა დგას ეკონომიკური და ბიზნეს-ინტერესები, რისი ერთ-ერთი დასტურიცა „ხუდონპესის“ მშენებლობა, ის დაუოკებელი სურვილი, რომელიც ექსპერტული შეფასებებით მნიშვნელოვან საფრთხეს წარმოადგენს გარემოსთვის და იძულებულს ხდის ადამიანებს დატოვონ უდიდესი ისტორიის მქონე და ხელთუქმნელი ძეგლებით დაზუნდლული მშობლიური მხარე. ამ პროცესს წინ უნდა აღუდგეს მთელი საქართველო.

თანამედროვე საქართველოსთვის ისტორიული მნიშვნელობა აქვს სოციალურ-ეკონომიკური პრინციპების გადაჭრას, რასაც საფუძვლად უნდა დაედოს სარწმუნოებრივი და ეროვნული მსოფლმხედველობის ჰარმონიული ურთიერთშეთანაწყობა.<sup>2</sup>

ჩვენი ქვეყნის ისტორიაში იყვნენ გამორჩეული ადამიანები, რომლებიც თავიანთი მოღვაწეობის პერიოდში სიტყვით და საქმით ცდილობდნენ ქრისტიანული ფასეულობების დანერგვას საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, მათ შორის ეკონომიკაშიც. ამ მხრივ განსაკუთრებით გვინდა გამოვყოთ ქართველი წმინდანები: წმ. მეფე დავით აღმაშენებელი, წმ. გამრიელ ეპისკოპოსი და წმ. ილია მართალი და მათი მოლ-

<sup>1</sup> მღვდელი ბასილ ახვლედიანი, შინაშვილი გ., ბაკაშვილი ნ., მართლმადიდებლური თეოლოგიური ეკონომიკისა და მართვის საფუძვლები, თბილისი, 2009, გვ. 26.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 62.

ვაწეობის ეკონომიკასთან კავშირით განხილვის გზით ვაჩვენოთ თუ რა პრინციპებს უნდა ეფუძნებოდეს სა-ქართველოს ეკონომიკის განვითარება დღეს და მომავალში.

წმიდა მეფე დავით აღმაშენებელი, იმ პერიოდის საქართველოს სწორუპოვარი მმართველი, ღრმად მორწმუნე მართლადიდებელი იყო, რაც აისახებოდა მის მიერ ქვეყანაში განხორციელებულ რეფორმებში. მისი მმართველობის პერიოდში საქართველოში მნიშვნელოვნად აღორძინდა სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები, რაც სწორედ დავითის მიერ იმ პერიოდისთვის მეტად უწეველო და პროგრესული რეფორმების დამსახურება იყო.

დავით აღმაშენებელი საქართველოს ეკონომიკურ წარმატებაზე დიდად ზრუნავდა და ყოველგვარ ღონისძიებას ხმარობდა, რომ ქვეყანაში აღტბმიცემობა გაცხოველებულიყო. იგი მფარველობას უწევდა არაბ და სპარსელ ვაჭრებს; მაჰმადიანებს საზოგადოდ საქართველოში ისეთი ხელშემწყობი პირობები შეუქმნა, რომ თვით მაჰმადიანთა მეფეებს არ გამოუჩნიათ თავიანთი ერთმორწმუნე ქვეშევრდომებისადმი იმოდენი მზრუნველობა რასაც იჩნდა და პატივისცემით ეკიდებოდა საქართველოს ქრისტიანი მეფე<sup>1</sup>.

დავით აღმაშენებელმა, როგორც ჭეშმარიტმა მართლმადიდებელმა ქრისტიანი შემწყნარებლისა გამოავლინა საქართველოში მცხოვრები უცხო ეროვნების ადამიანების მიმართ, რაც იმ პერიოდის მსოფლიოსთვის მეტად უწეველო მოვლენა იყო. ქვეყანაში ეკონომიკური აქტივობის წახალისების მიზნით მან გარევეული საგადასახადო შედავათები დაუწესა ქვეყნის ტერიტორიაზე მცხოვრებ უცხო ეროვნების ადამიანებს. კერძოდ მაშინ, როცა ეთნიკური ქართველები სახელმწიფო ბიუჯეტში წლიურად გადასახადის სახით იხდიდნენ 5 დინარს, ებრაელებისთვის ეს თანხა შეადგენდა 4 დინარს, ხოლო მუსლიმი მოსახლეობა იხდიდა 3 დინარს. და ეს ხდებოდა ეპოქაში, რომლისთვისაც დამახასიათებელი იყო უცხოტომელთა ჩაგვრა და შევიწროვება.

იმ პერიოდის მსოფლიოში მართლაც რომ იშვიათი იყო სახელმწიფო, სადაც თანაბარი უფლებებით სარგებლობდნენ მკვიდრი მოსახლეობა და უცხო ეროვნების ხალხები. თუმცა, დავით აღმაშენებელი თავისი სამაგალითო საქციელით და უცხოტომელთა მიმართ გამოვლენილი ლოიალურობითა და ტოლერანტობით იყო გარანტი იმისა, რომ ამ ადამიანებს თავისუფლად, ყოველგვარი შიშის გარეშე შეეძლოთ ეკონომიკური საქმიანობის განხორციელება ქვეყნის ტერიტორიაზე.

თვით მეფე ხომ კეთილმორწმუნე და უერთგულესი მართლმადიდებელი ქრისტიანი იყო; მაგრამ მაინც მას სხვა მოძღვრებისა და სჯულის კაციც უყვარდა და პატივისცემა იცოდა. ამიტომაც იყო რომ მაჰმადიანი ისტორიკოსთა სიტყვით იგი უცხო ეროვნების შვილებსაც, თავის განათლებულს და ძლიერს მფარველობას არ აკლებდა.<sup>2</sup>

ეკონომიკური რეფორმების განხორციელებასთან ერათად დავით აღმაშენებლის ინიციატივით ქვეყანაში უამრავი ეკლესია, საგანმანათლებლო და სამკურნალო დაწესებულება, კულტურული ცენტრები და ინფრასტრუქტურა (ხიდები, გზები) აშენდა და განახლდა (მათგან განსაკუთრებით გამორჩეულია გელათის მონასტერი და აკადემია, ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია შიომღვიმეში, ქსენონი და ა.შ.), რაც რა თქმა უნდა, მნიშვნელოვნად უწყობდა ხელს დასაქმების ზრდას იმ პერიოდის საქართველოში. ეს ყოველივე დავითის კაცომოყვარე ბუნებით და ქრისტიანული პრინციპებით იყო ნაკარნაზევი.

დავითის აზრით, ეკონომიკური საქმიანობის მიზანი არ უნდა იყოს მაქსიმალური მოგების მიღება ნებისმიერი გზით, რაც კარგად ჩანს მის მიერ დაწერილ „გალობანი სინაულისანი“-ში, სადაც იგი ამბობს: ‚ვეცხლი, ვითარცა მიწა, და ოქრო, ვითარ თიხაი უბნისაი ვიუნჯენ, თაყვანის ვეც ანგაპრებისა მამონას, ვითარ – იგი ძველთა მათ – ბააღს და ასტარტეს და ქამოსს საძაგლესა. ...და აწ, მომდრეგებლი მუხლთა გულისათაი, ვხმობ, ვითარცა სხვაი მანასე: მილხინე, პოი მეუფე, მილხინე და ნუ წარმწედ ცოდვათა

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი, მეფე დავით აღმაშენებელი (1073–1125)

<sup>2</sup> [http://www.dzeglebi.ge/statiebi/istoria/davit\\_agmashenebeli1.html#17](http://www.dzeglebi.ge/statiebi/istoria/davit_agmashenebeli1.html#17)

იქვე.

შინა, და ნუ იხსენებ ძვირთა ჩემთა, და ნუ დამსჯი მე ქვესკნელთა თანა, რამეთუ შენ ხარ ღმერთი მონა-ნულთაი, ამაღლებული ზესკნელს ცათა ძალთაგან“.<sup>1</sup>

ეკონომიკის ქრისტიანული გააზრების საქმეში განუზომელია წმ. გაბრიელ ეპისკოპოსის წვლილი. ბედ-ნიერების საფუძვლად მას ადამიანის დაუცხრომელი სულიერ-ხორციელი შრომა და ძალისხმევა მიაჩნდა: „...ხორციელსაცა და სულიერსაცა წარმატებასა და ბედნიერებასა აქვთ ერთი და იგივე საფუძველი – შეურ-ყეველი მხნეობა და დაუძინებული შრომა სულიერი და ხორციელი. შეიძინე ესენი თუ გსურს ბედნიერება“.<sup>2</sup>

როგორც იღია ჭავჭავაძემ აღნიშნა მისი დაკრძალვის დღეს, 1896 წელს: „განსვენებული ღრმად-მი-წევნილი მეცნიერი იყო და იმოდენავე ღრმად-მორწმუნეცა. აქ არის, ჩემის ფიქრით, მისი აღმატებულება, მისი მნიშვნელობა არამც თუ მარტო ჩვენთვის, სხვისთვისაც, რადგანაც ბევრსა ჰგონია, რომ მეცნიერება და სარწმუნოება ერთმანეთში მოურიგებელნი და მოუთავსებელნი არიანო. იგია მაგალითი ამ მორიგებისა და მოთავსებისა“.<sup>3</sup>

წმ. გაბრიელ ეპისკოპოსი აღნიშნავდა, რომ მთავარი არაა მხოლოდ მოგების დათვლა წლის ბოლოს. ადამიანმა გარდა მისი ბიზნესსაქმიანობისა განვლილ წელს, თვალი უნდა გადავლოს მისი საქმიანობის ზე-ობრივ მხარეს. „...ესრეთი ანგარიში უმეტესად სასარგებლო იქნება შენთვის, ვიდრე სხვანი, ვინაიდგან ადამი-ანის ყოველი საქმის და შრომის წარმატება დამოკიდებულია მინაგანთა მისთა თვისებათა და მიღრეკილება-თა ზედა. კეთილ გონიერი ქრისტიანე ყოველ საღამოს გამოიკვლევს თავის სულიერს მდგომარეობასა, შენ წელიწადში ერთხელ მაინც აღასრულე ეს სასარგებლო საქმე“.<sup>4</sup> ამ სიტყვებით წმინდანი ხაზს უსკამს, რომ აუცილებელია ნებისმიერი და მათ შორის ეკონომიკური საქმიანობა ხორციელდებოდეს ქრისტიანული პრინ-ციპების დაცვით, რათა ის ღვთისათვის სათხო იყოს.

წმინდანის აზრით, ადამიანი, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობას წატიოსნად, ქრისტიანუ-ლი ფასეულობების დაცვით, გაცილებით უფრო დიდი სარგებლის მომტანია საზოგადოებისთვის, ვიდრე ის, ვინც უგულებელყოფს ამ პრინციპებს. ქრისტიანული პრინციპების განუხრელი დაცვით ადამიანი უფრო და უფრო უკეთესი ხდება და საკუთარ სიმდიდრეს არამხოლოდ პირადი, არამედ საზოგადოების კეთილდღეო-ბისთვისაც იყენებს. „ვაჭარი, რასაკვირველია, თავისი გამდიდრებისთვის ვაჭრობს და იღვწის; გარნა უკეთუ იგი ვაჭრობს სიმართლით და პატიოსნებით, სიმდიდრეში არ არის ამპარტავნი, სიღარიბეში არ არის სულ-მოკლე, არამედ ესავს უფალსა, მონაგებისაგან თვისისა განუყოფს რასმეს გლახაკსა და ობოლსა, – ვაჭრო-ბა მისი შეირაცხება ვითარცა მსახურება ღვთისა“.<sup>5</sup>

წმ. გაბრიელ ეპისკოპოსი გვეუძნება, რომ არაპატიოსანი გზით მოპოვებული სიმდიდრე არ არის მყარი და ადგილად შეიძლება დაიკარგოს. „მხოლოდ ის სიმდიდრე არის მკვიდრი და მაგარი, რომელიც კაცმა მიი-ღო ერთითა პატიოსნითა შრომითა“.<sup>6</sup> ასეთი მაგალითები ბევრი იყო საქართველოს უახლეს ისტორიაში, როდესაც მიტაცებული ქონება ხელიდან ხელში გადაღილდა და არაკანონიერი გზით გამდიდრებული ადამია-ნები საბოლოოდ კარგავდნენ ქონებას.

წმინდანის სიტყვები – „ერთი მეორეს შური ქვეყანას ვერ გააკეთებს, ბედნიერება ქვეყნისა აშენდება მხოლოდ სწავლითა, შრომითა, პატიოსნებითა. ქვეყანა გაძლიერდება მხოლოდ მაშინ, როდესაც მცხოვრები ერთი მეორეს არ უშლიან, არამედ, ხელს უწყობებ“<sup>7</sup> – შეგვიძლია გავიგოთ, როგორც სამართლიანი კონკუ-რენციის წახალისება, სადაც ეკონომიკური აგწოტები ერთმანეთს მეტოქებას უწევენ პატიოსანი გზებით სა-

<sup>1</sup> დავით ადმაშენებელი. გალობანი სინანულისანი. წიგნში: ქართული მწერლობა, ტ. 2, თბ., 1987, გვ. 202, 203-204.

<sup>2</sup> ქადაგებანი იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელისა. ტ. I, ქუთაისი, 1913, გვ. 454.

<sup>3</sup> მღვდელი ბასილ ახვლედიანი, შინაშვილი გ., ბაკაშვილი ნ., მართლმადიდებლური თეოლოგიური ეკონომიკისა და მართვის საფუძვლები, თბილისი, 2009, გვ. 64.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 12-13.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 232-233.

<sup>6</sup> იქვე, გვ. 379.

<sup>7</sup> იქვე, გვ. 379.

მართლიან გარემოში და ორიენტირებულნი არიან საკუთარ განვითარებაზე და არა კონკურენტის ნებისმიერი გზით მოშორებაზე.

თანამედროვე საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა საზოგადოების გარკვეულ ნაწილში გამეცებული სიზარმაცე და მუშაობის სურვილის არქონა. წმ. გაბრიელ ეპისკოპოსის აზრით დაუშვებელია ადამიანმა ოუკადრისოს შრომა. მის ქადაგებაში გაისმის მოწოდება შრომისაკენ, რაც ნებისმიერი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური წინსვლის აუცილებელი პირობაა. „ბედნიერი არის ქვეყანა, რომელსაშინა ყოველი მცხოვრები, ღიღნი და მცირები, არიან შრომის მოყვარენი; თავის შრომაზე და მეცადინეობაზე აქვთ იმედი და მათგან ულიან წარმატებასა. საწყალი და საბრალო არის ის ქვეყანა, სადაცა უმრავლესნი პირნი შესჩერებიან და უმზერენ მთავრობასა და ყოველი იმედი ბედნიერებისა და წარმატებისა დაუდვიათ ჩინებზე, ჯამაგირზე, ჯილდოზე, ხოლო შრომასა და მუშაობასა შეურაცხჰყოფენ და უკადრისობენ“.<sup>1</sup>

ქართველი მეცნიერ-ეკონომისტების გადაუდებელი ამოცანაა წმინდანის მემკვიდრეობის სათანადო გამოკვლევისა და გააზრების საფუძველზე ჩამოყალიბდეს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კონცეპტუალური საფუძვლები, ზოგადი პრინციპები მათი განხორციელების გზების მინიჭებით.<sup>2</sup>

საქართველოს ეკონომიკის აქტუალური საკითხების კვლევაში უზარმაზარი წვლილი მიუძღვის წმ. ილია მართალს (ილია ჭავჭავაძეს).

ილია ჭავჭავაძის აზრით, საუკეთესო შემთხვევაში ერის სულიერი და ეკონომიკური წინსვლა და განვითარება ერთდღოულად უნდა მიმდინარეობდეს. სწორედ მათ ჰარმონიულ თანაარსებობაშია ერის ჭეშმარიტი პროგრესი. „მომწიფებდა ჩვენში ის აზრი, რომ სულიერ ღონესთან ერთად უნდა ვლიდეს ღონე ხორციელიც, რომ სულის, ჭკუისა და გონების გაძლიერებას მხარდაშარ უნდა მოსდევდეს ქონებისა, ჯიბის გაძლიერებაცა, რომ ერი და ქვეყნა, რომელთაც ან ერთი აკლია, ან მეორე, ცალფეხა კაცსა ჰგავს, და, როგორც ცალ-ფეხა კაცი შორს მანძილს საჭირო სიმაღლით ვერ გაივლის, ისეც ერი, ქვეყნა ვერას გახდება, თუ თავის წარმატების საყვარში ეს ორი უღლადი, ყოველთ-შემძლებელი ძალ-ღონე არ ეყოლება შებმული ერთად და განუყრელად“.<sup>3</sup> მართლაც, გარდა იმისა, რომ მნიშვნელოვანია ერის ეკონომიკური წინსვლა, ასევე მნიშვნელოვანია სულიერი წინსვლაც, რათა ქვეყანაში დაგროვილი დოკუმენტი სწორად და სამართლიანად იქნეს გამოყენებული და სულიერად გაძლიერებულმა საზოგადოებამ სწორი მიმართულება მისცეს ერთგნული ეკონომიკის განვითარებას. ეს არის აუცილებელი პირობა, რათა ეკონომიკური საქმიანობა არ იყოს ორიენტირებული მხოლოდ მაქსიმალური მოგების მიღებაზე ნებისმიერ ფასად და ქვეყნაში შექმნილი დოკუმენტი ხელმისაწვდომი იყოს საზოგადოების ყველა ფენისთვის.

წმინდა ილია მართალი მიიჩნევდა, რომ დიდი ყურადღება უნდა დათმობოდა ქვეყანაში სოფლის მეურნეობის განვითარებას, თუნდაც იმიტომ, რომ „ჩვენში სხვა თვალსაჩინო ეკონომიკური წარმოება არა არის რა, თვინიერ სოფლის მეურნეობის წარმოებისა“.<sup>4</sup> წმინდანს მაგალითად მოყავს ის ფაქტი, რომ სოფლის მეურნეობას დიდ ყურადღებას აქცევენ ევროპის სახელმწიფოები და ბევრ ფულს ხარჯავენ მის განვითარებაზე. „...ხალხის სიმძიმეზედ კიდევ დაფუძნებულია ყოველის მთავრობის სულიერი და ხორციელი კეთილდღეობა. აქედამ ადვილად მისახოდმია, რომ მთელს ევროპაში ყოველის ხალხის მთავრობას დიდი ყურადღება, დიდი ზრუნვა აქვს მიქცეული თვისის ხალხის სოფლის მეურნეობაზედ და დიდ ფულსაც ხარჯავენ, რომ მაგ უმთავრეს წყაროს ხალხის სიმძიმეისას ფართო, რიგანი და შეუფერხებელი დენა ჰქონდეს“.<sup>5</sup> ეს სიტყვები შეიძლება გავიგოთ, როგორც მოწოდება სახელმწიფოსადმი სოფლის მეურნეობის მხარდაჭერისა და დარგის სუსილირების შესახებ. ილიას კარგად ქონდა გაცნობიერებული და ცდილობდა საზოგადოება

<sup>1</sup> მღვდელი ბასილ აზვლედიანი, შინაშვილი გ., ბაკაშვილი ნ., მართლმადიდებლური თეოლოგიური ეკონომიკისა და მართვის საფუძვლები, თბილისი, 2009, გვ. 186.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 70.

<sup>3</sup> ჭავჭავაძე ი. შინაური მიმოხილვა 1892 წლისა. თხზ., გვ. 5, თბ., 1955. გვ. 337.

<sup>4</sup> ჭავჭავაძე ი. კავკასიის სასოფლო მეურნეობის საზოგადოების შესახებ. თხზ., გვ. 7, თბ., 1956. გვ. 257-258.

<sup>5</sup> იქვე.

დაერწმუნებინა, რომ ქვეყნის ეკონომიკის მდგრადი განვითარება შეუძლებელია სოფლის მეურნეობის განვითარების გარეშე. „თავი და ბოლო ხალხის ცხოვრებისა, საზრდოებისა, სიმდიდრისა, მაგაზედ არის დამყარებული“.<sup>1</sup>

ილია აქტიურად უჭერდა მხარს კოოპერირებას ეკონომიკური საქმიანობის პროცესში. „...ვეცადოთ, რომ რაც თვითეულ ცალკე კაცისათვის მიუწდომელია, ის ერთიანის შეკრულ-შებოჭვილ ღონით ვიმოქმედოთ: თვითეულის ცალკე გროში ერთად შევაგროვოთ, ღონები ღონები შევაკეთ, შრომა შრომას მივუყონთ და ამ გზით ბევრი ერთად შევებნეთ უღელში ცხოვრების ავტორგიანობის საწევლად, რომ ჩვენი ნაოფლი, ჩვენი ნალვაწი ჩვენვე გვრჩებოდეს“,<sup>2</sup> ასეთი ორგანიზაციების მაგალითად წმინდანს მოჰყავს: „კავკასიის სასოფლო მეურნეობის საზოგადოება“, „კახეთის სოფლის მეურნეთა კავშირი“, „ხილისა და ბოსტნეულის გამსაღებელი საზოგადოება“, ჭირნახულის მომყვანთა ამხანაგობები, საგლეხო გამსესხებელ-შემნახველი საზოგადოებები და სხვ.<sup>3</sup> კოოპერატივების თემა განსაკუთრებით აქტიულურია დღევანდელი საქართველოს სოფლის მეურნეობისთვის, რომელიც ძირითადად შედგება მცირე ფერმერული მეურნეობების-გან, რომლებიც კონკურენციას ვერ უწევენ იმპორტირებულ პროდუქციას და მათი საქმიანობა გადარჩენის-თვის ბრძოლას ემსგავსება. კოოპერატივების ფარგლებში ასეთ მეურნეობებს ექნებათ განვითარების, ზრდისა და საჭირო ინვესტიციების განხორციელების საშუალება.

აღსანიშნავია, რომ თავის ეკონომიკურ შეხედულებებში ილია ჭავჭავაძე მოიაზრებს სახელმწიფოს მეტ-ნაკლებად აქტიურ როლს ეკონომიკაში. „მთავრობას იმისთანა წყობილება უნდა ჰქონდეს, რომ ერთის გზით, თავის ხალხის მეურნეობის ნამდვილს, უტყუარს და აუცილებელს საჭიროებას დღემუდამ ჰსცნობდეს, და მეორეს გზით – მზად იყოს ფულით, ცოდნით, რჩევით დაუყოვნებლივ შემწეობა მიაშველოს იქ მაინც, საცა კრძო პირთა შეძლება ვერ გასწვდება“.<sup>4</sup> ამ სიტყვებით ილია, ერთი მხრივ, ხაზს უსვამდა თავისუფალი ბაზრის მნიშვნელობას, ხოლო, მეორე მხრივ, ამართლებდა სახელმწიფოს ჩარევას ეკონომიკაში მაშინ, როცა საბაზრო ძალები უძლეურია შექმნილი პროდუქტების აღმოსაფხვრელად. მისი აზრით, სახელმწიფო მუდმივად ყერადღებით უნდა ადევნებდეს თვალს ქვეყნის ეკონომიკაში არსებულ მდგომარეობასა და ტენდენციებს და საჭიროების შემთხვევაში მომზადებული უნდა იყოს კონკრეტული ქმედებების განსახორციელებლად არსებული მდგომარეობის გამოსასწორებლად.

სამეურნეო-მმართველობით საკითხებთან დაკავშირებით ილიას ნაშრომთა შორის აღსანიშნავია: „ძველი საქართველოს ეკონომიკური წყობის შესახებ“, „კრძო და სათემო მიწათმფლობელობა“, „საზოგადოებრივი ცხოვრების ნაკლინი და მისი ეკონომიკური მიზეზები“, „ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური ცხოვრების საზრუნავი“, „ძველი და ახალი ჩვენი ეკონომიკური ცხოვრებისა“, „კავკასიის სასოფლო მეურნეობის საზოგადოების შესახებ“, „ჩვენი სოფლის მეურნეობა და შეკავშირების საქმე“, „ძვირფასი სააღებმიცემო ჭირნახულის საქმე“, „მელიორაციის საქმე“, „მევენახების და მეღვინეობის საქმე“, „მებამბების საქმე“, „პურეულის საქმე“, „მესაქონლეობის საქმე“, „ჩვენი მეურნეობა და გზებისა და ბაზრის საკითხი“, „მრეწველობის საქმე“, „წერილები საქართველოს საბაზრო-საკრედიტო და საფინანსო საქმეებზე“ და მრავალი სხვა.<sup>5</sup>

წმ. ილია მართლის მემკვიდრეობა საზოგადოებრივი ცნობიერების და ყოფიერების ყველა სფეროს მოიცავს, რომელთა შორის უმთავრესია ქრისტიანულად გააზრებული სოციალურ-ეკონომიკური პრობლემატიკა. წმინდანმა და მეცნიერმა, პირველმა ქართველ მკვლევრებს შორის, ჩვენი მრავალსაუკუნოვანი ეკონომიკური საფუძვლების სულიერი ჭრილით გამოკვლევა აღიარა საქმიანობის ძირულ მიზნად. მან თავისი შემოქმედე-

<sup>1</sup> ჭავჭავაძე ი. კავკასიის სასოფლო მეურნეობის საზოგადოების შესახებ. თხზ., ტ. 7, თბ., 1956. გვ. 257-258.

<sup>2</sup> ჭავჭავაძე ი. ძველი და ახალი ჩვენი ეკონომიკური ცხოვრებისა, თხზ., ტ. 7, თბ., 1956, გვ. 13.

<sup>3</sup> მღვდელი ბასილ ახვლედიანი, შიხაშვილი გ., ბაკაშვილი ნ., მართლმადიდებლური თეოლოგიური ეკონომიკისა და მართვის საფუძვლები, თბილისი, 2009, გვ. 72

<sup>4</sup> ჭავჭავაძე ი. კავკასიის სასოფლო მეურნეობის საზოგადოების შესახებ, თხზ., ტ. 7, თბ., 1956, გვ. 258.

<sup>5</sup> მღვდელი ბასილ ახვლედიანი, შიხაშვილი გ., ბაკაშვილი ნ., მართლმადიდებლური თეოლოგიური ეკონომიკისა და მართვის საფუძვლები, თბილისი, 2009, გვ. 73.

ბითა და შრომით დაგვანახა, თუ რა უნდა ვაკეთოთ ქვეყნის საზოგადოებრივი კეთილდღეობის აღორძინებისა და შემდგომი სრულყოფისათვის.<sup>1</sup>

მიუხედავად იმისა, რომ სშირად ცდილობენ ერთმანეთისგან განაცალკევონ რწმენა და მეცნიერება (ამ შემთხვევაში ეკონომიკა), ზემოაღნიშნული მაგალითები ქრისტიანული პრინციპებიდან ნაკარნახევი ეკონომიკური საქმიანობისა და აზრისა, არის იმის დასტური, რომ „რწმენასა და მეცნიერებას შორის არსებული დაპირისპირება ძალად შექმნილი და ხელოვნურია და რომ სინამდვილეში ისინი ერთმანეთს ეხმარებიან და ავსებენ: მეცნიერული ცოდნის გარეშე რწმენას სიმტკიცე აკლია, ხოლო მეცნიერება რწმენის გარეშე მკვდარია“.<sup>2</sup>

ვფიქრობთ, აუცილებელია საზოგადოებამ დაინახოს ის საფრთხეები, რაც მომდინარეობს ეკონომიკური საქმიანობის თანამედროვე მოწყობიდან. ამ ასპექტით საზოგადოების ყველა ჯგუფს შეუძლია საკუთარი წვლილის შეტანა. კერძოდ, მისასალმებელი იქნება თუ ეკონომიკაში მოღვაწე მეცნიერები თავისთ კლევებსა თუ სტატიიბში სშირად გაუსვამენ ხაზს ქრისტიანული პრინციპების როლს ეკონომიკაში და ამა თუ იმ მოვლენისა და პროცესის ახსნისას აქცენტს გააკეთებენ მორალურ და ზნეობრივ მხარეებზე. ასეთი მიდგომა მოგვცემს არსებული მდგომარეობის უფრო აღეკატურ ანალიზაც, რადგან ეკონომიკური უორმულებისა და რაოდენობრივი გათვლების გარდა მოიცავს წმინდად ადამიანურ მხარესაც და ადამიანის აზროვნებისა და მისი ფასეულობების გავლენას ეკონომიკურ საქმიანობაზე.

მნიშვნელოვანია ეკლესიის როლიც, რომელსაც შეუძლია დაიწყოს კონკრეტული საგანმანათლებლო/-სატრენინგო პროგრამების შემუშავება და იდეის პოპულარიზაცია. გამომდინარე ეკლესიის უდიდესი ავტორიტეტიდან ქართულ საზოგადოებაში, ვფიქრობთ, რომ მას დიდი წვლილის შეტანა შეუძლია ქრისტიანული ეკონომიკის იდეის გავრცელებასა და საზოგადოების მიერ მის გათავისებაში.

სახელმწიფოს როლზე მსჯელობისას პირველ რიგში, აღსანიშნავია ის საკანონმდებლო ბერკეტები, რაც მას გააჩნია. ჩვენი აზრით, სახელმწიფომ უნდა შექმნას ისეთი ეკონომიკური გარემო, სადაც დაუშვებელი და მიუღებელი იქნება უსამართლო და არაჯანსაღი კონკურენცია, დაქირავებულთა უფლებების შეღახვა და კორუფციული გარიგებები ბიზნესში. უნდა შექმნას გარემო, სადაც მცირე მეურნეობებს არ დაემუქრებათ გაქრობის საფრთხე, მოსახლეობა არ მიატოვებს საკუთარ მიწებს და რისკის ქვეშ არ დადგება ეკონომიკის მდგრადი განვითარება. ამ ყველაფრისთვის სახელმწიფოს საგმარისი ბერკეტები გააჩნია.

ქრისტიანული პრინციპების წინ წამოწევით, საქართველოს ეკონომიკაში უფრო სამართლიანი გახდება ბიზნესგარემო, გაუმჯობესდება დასაქმებულთა კეთილდღეობა და კონკურენტულ ბრძოლაში გადამწყვეტი ფაქტორი გახდება შესაბამისი ცოდნა და უნარები.

რაც შეეხება მთლიანად საზოგადოების და თითოეული ჩვენგანის როლს, ვფიქრობთ, უფრო სიღრმისეულად უნდა გაანალიზდეს თანამედროვე ეკონომიკაში მიმდინარე მოვლენები და სწორად შეფასდეს არსებული საფრთხეები და გამოწვევები. საჭიროა გავეცნოთ ქრისტიანული ეკონომიკის პრინციპებს და მასზე დავაფუძნოთ ჩვენი ეკონომიკური საქმიანობა.

<sup>1</sup> მღვდელ-მონაზონი იოანე (კალანდია). სოციალურ-ეკონომიკური საკითხები წმ. ილია მართლის შემოქმედებაში. საღიაპლომო ნაშრომი. ხელმძღვანელი გ. შინაშვილი. ობილისის სასულიერო აკადემია-სემინარია, 2000, გვ. 87.

<sup>2</sup> კოპლატამე გ. წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსი. წიგნში: საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 2001, გვ. 159.

**Tengiz Taktakishvili  
Ketevan Kordzadze**

## **Christianity and Modern Economy: Managerial and Economic Attitudes of Georgian Saints**

### **R e s u m e**

The paper considers historic merit of Georgian saints in Georgian economy, their attitudes towards the economic issues and their views about the development of Georgia's economy. Economic reforms carried out by St. King David the Builder and economic views of St. Bishop Gabriel and St. Ilia the Righteous are discussed and their relevance to modern economy of Georgia is analyzed.

Main trends occurring in Georgia's and world economy as well as threats and challenges are examined in the article and the possibility of solving these problems based on Christian principles and values is analyzed.

In modern economy where economic (and not only) relations are heavily commercialized, where companies compete by using illegal and dishonest ways, when expansive policy of large multinational companies threaten small household farms and businesses, we believe that it is extremely urgent and necessary to consider economic processes from the Christian point of view and focus a great attention towards it.

Very often religion and science are separated. The aim of the article is to show on the basis of saints' lives and views that realizing Christian principles in economy creates a solid basis of the country's economic development and shows the ways to solve moral problems that modern business and people employed there face.

We think that our work will contribute to the increase of awareness of people interested in Christian economy. By showing the merit of Georgian saints we want to show the advantage of organizinge economy according to the Christian principles compared with the modern economic trends.

## მოგზაურობის მიზანი – უცლის საჩუბარს!

მიწა ერისთვის მისი ყოფიერების ტერიტორიაა, ფიზიკურადაც და ფიქიურადაც. იგი სასიცოცხლოდ აუცილებელი ბაზაა, რომელიც არსებითად განსაზღვრავს ქვენის ყოველმხრივი დამოუკიდებლობის ხარისხს და, ფაქტობრივად, მოცემულ სივრცეში ერის სულისდგმისა და შემოქმედების აუცილებელი პირობაა.

ბოლო პერიოდში საქართველოში განვითარებული მოვლენები მრავალმხრივ საინტერესოა. ერთ-ერთი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც მაღალ საზოგადოებრივ ინტერესს იწვევს, არის მიწასთან დამოკიდებულება, მისი საკანონმდგბლო უზრუნველყოფა ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით, ასევე უცხო ქვენის მოქალაქეებზე ქართული მიწის გასხვისება.

მიწის რესურსებს ყოველთვის მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა ადამიანის ცხოვრებაში. მიწას (მიწის რესურსს) განსაკუთრებული სიფრთხილით განიხილავს წმინდა წერილი. ღმერთმა შექმნა მიწა და უბოძა იგი ადამიანებს რათა დაუფლებობნენ და ეპატრონათ მისთვის (დაბ. 1:28). „აღმოაცენებ ბალახს პირუტყვისათვის და მცენარეებს – ადამიანის მსახურებისთვის, რათა გამოიღოს საკვები მიწიდან“ (ფს. 103:14).

ადამიანი ედემის ბაღიდან გამოაძევა უფალმა მიწის დასამუშავებლად, იმ მიწისა, რომლიდანაც თვით ადამიანი შეიქმნა. ეს შრომა პრინციპულად განსხვავდებოდა ედემის ბაღში შრომისაგან. მიწა დაიწყევლა ადამიანის გაუაზრებელი ქმედების გამო და მას ტანჯვა-წვალება მოუტანა. მისი მოკვდავი სხეული კი მიწას დაემორჩილა: „და ადამს უთხრა: „რაკი შენს დედაკაცს დაუკერე და შეჭამე ხის ნაყოფი, რომლის ჭამაც მე აგიკრძალე, მიწა დაიწყევლოს შენს გამო: ტანჯვით დებულობდე მისგან საზრდოს მთელი შენი სიცოცხლე! და ძებვი და ეკალი აღმოგიცენოს მან და მინდვრის ბალახი იყოს შენი საზრდო! პიროფლიანი ჭამდე პურს, ვიდრე მიწად მიიქცეოდე, რადგან მისგან ხარ აღებული, რადგან მიწა ხარ და მიწადვე მიიქცევი!“ (დაბ. 3:17–19).

მიწიერ ცხოვრებაში „კერძო საკუთრება“ განისაზღვრება საკუთრებისადმი ჩვეულებრივი, მიწიერი მიღ-გომით. საღვთო გაგებით, საკუთრებაზე უფლება შეიძლება განვიხილოთ, როგორც ღვთისაგან ბოძებული სიმ-დიდრის გარკვეულ ნაწილზე ადამიანთა მართვის დაშვება განსაზღვრული პერიოდით<sup>1</sup>.

ადამიანი თვითნებურად შემოსაზღვრავდა მიწის ნაკვეთს და მას საკუთარ სახელს არქმევდა („ეს ჩე-მია“). ძველი აღთქმის მიხედვით, ვხვდებით მიწასთან დამოკიდებულების თეოკრატიულ პრინციპს, რომლის თანახმადაც ადამიანი ამ რესურსის დროებითი მფლობელია: „მიწა სამუდამოდ არ უნდა გაიყიდოს, რადგან ჩე-მია მიწა, რადგან თქვენ მდგმურები და ხიზნები ხართ ჩემთან. (ლევ. 25: 23).

მიწა, უპირველესად ღმერთისა: „უფლისა არის ქვეწირება და საგსება მისი, სამყარო და მკვიდრნი მისნი“ (ფს. 23:1) და მიწისადმი განსაკუთრებული სიფრთხილე უნდა გამოიყინოთ: „მიწა არ გაიყიდოს სამუ-დამოდ, რადგან მიწა ჩემია. თქვენ ხომ ჩემი ხიზნები ხართ. თქვენს სამკვიდრებელ მიწაზე მიწის გამოსყიდვის ნება დართეთ. თუ გაღარიბდება შენი ძმა და გაყიდის თავის სამკვიდრებელს, მივიდეს მისი ახლო ნაოესავი მასთან და გამოისყიდოს მისი ძმის მიერ გაყიდული. თუ მას გამოსყიდველი არა ჰყავს, მაგრამ შემდეგ მიეცე-მა შესაძლებლობა და თვით პოვებს გამოსყიდვის საშუალებას, გამოითვალოს გაყიდვიდან გასული წლები და დაუბრუნოს ნამეტი იმას, ვისაც მაჲყიდა, და თავისი სამკვიდრებელი ჩაიბაროს“ (ლევ. 23:27).

მიწის რესურსთან დაკავშირებით ადამიანის შრომისმოყვარების მიმართების შესახებ იობის წიგნში ფასდაუდებელ ცნობებს ვწვდებით, რაც უშუალოდ მიწასთან, ტექნოლოგიების გამოყენებასთან, შრომის დანაწილებასთან არის დაკავშირებული. ადამიანს უფალმა უბოძა მიწა არა მარტო ნაყოფიერებით (როგორც სახ-ნავ-სათესი სავარგული), არამედ მთელი თავისი სიმდიდრით, მაღნებით, წიაღისეულით, რომლის გამოყენება შესაძლებელია წარმოების პროცესში, ადამიანის სასიკეთოდ: „ვერცხლს საბადო აქვს და ოქროს ადგილი, სა-დაც წმენდენ მას. რკინას მიწიდან იღებენ, სპილენძს კი მაღნიდან აღნობენ. ზღვარი დაუდო ადამიანმა ბნელს

<sup>1</sup> ჩიხლაძე ნ., მიწა, როგორც გზა ხსნისა, ქურნ. „ბიზნესი და კანონმდებლობა“, №4, 2014, გვ. 117.

და ქეყნის კიდემდე ექტბს მადანს წყვდიადსა და ბნელში. გათხარა მაღაროები ხეობაში, შორს, უკაცრიელ, მივიწყებულ ადგილებში. ხოლო მიწა – მისგან აღმოცენდება პური, მისი ქვეშთი კი ამობრუნებულია, თითქოს ცეცხლისგან. მისი ქვები საფირონის ადგილია და მისი მტვერი ოქროს შემცველია. ადამიანი კაუზე იწვდის ხელს, მთლიანად აყირავებს მთებს. კლდეებში არხები გაჰყავს და ყოველივე ძვირფასს სჭვრეტს მისი თვალი. მდინარეთა დინებას აკავებს, და დამაღლული სინათლეზე გამოაქებს“ (იობ. 28:1–11).

წმინდა წერილი საკუთარი მიწის მომელელს, ყაირათიან და მეურნე ადამიანს დაუმაღლებელ ლუქმაპურს პირდება: „თავისი მიწის მხვილე-მთესველი მაძარი იქნება; ამაო საქმეთა მაღევარი კი სიღარიბით აივ-სება“ (იგავ. 28:19). სოლომონ ბრძნი გვმოძღვრავს: „ვინც თავისას ხნავს და თესავს, არ დაიმშევა; უაზრო მიზნების მაღევარი კი უგუნურია. უკეთურის წადილია უკეთური ნადავლი; მართალთა ფესვი კი ნაყოფს გამოიღეს“ (იგავ. 12:11–12). დიდად მოწყალეა უფალი, მაგრამ როდესაც მეტისმეტად განარისხებს მას ადამიანი, უპირველესად უფლის მცნებების დაუკველობის გამო, განსაცდელებს უვლენს მას. წმინდა წერილიდან მრავალი ასეთი მაგალითის მოყვანა შეიძლება. მათ შორის აღსანიშნავია განსაცდელები, რომელიც ადამიანის მიწასთან ურთიერთობას უკავშირდება.

წარღვნის შემდეგ უფალმა მინიმუმადე შეუზღუდა რესურსი ადამიანს, თუმცა ახალ თაობას კვლავ მისცა ღვთისკენ მოქცევის შანსი. დავუკვირდეთ იმ გარემოებას, რომ უპირველესად მიწის რესურსი შეზღუდა და ამით თითქმის ყველაფერი შეიზღუდა. მნიშვნელოვანი იყო შედეგი ამ ქმედებისა: ქვეყანა განიწმინდა კაცუბრიობის ცოდვებისაგან და მაღლიერების ნიშნად ნოემ ღმერთს საჯურთხეველი აუგო. წმინდა წერილში ასევე მრავალი მაგალითია იმისა, რომ უფალი მატერიალურს, მათვის ძვირფასს ართმევს ადამიანებს მათივე სასიკეთოდ, რათა გაეღვიძოთ, დაფიქრდნენ და სულიერი შეიძინონ (ფს. 37:1–2).

უფლის მუქარას იეზეკიელთანაც ვხვდებით: „და უთხარი ამ ქეყნის ხალხს: ასე ამბობს-თქო უფალი ღმერთი იერუსალიმისა და ისრაელის ქეყნის მკვიდრებზე: თავის პურს ტკივილით შეჭამენ და თავის წყალს ჭირითა და ტანჯვით შესვამენ, რადგან დაცარიელდება მათი ქვეყანა მისი სისავსისაგან მის მცხოვრებთა ძალადობის გამო. დასახლებული ქალაქები დაინგრევა და გაუდაბურდება ქვეყანა; და მიხვდებით, რომ მე ვარ უფალი“ (ეჩ. 12:19–20).

უფალი შეაგონებს ადამიანს, რომ არ გადაწიოს საზღვარი (სამანი), რომელიც წინაპრებმა დააწესეს მიწის – ღვთისგან ბოძებული სიძღიდრის გაყოფისას: „არ გადაწიო შენი მოყვასის მიჯნა, წინაპრებმა რომ დასვეს შენს სამკვიდროში, რომელსაც დაიმკვიდრებ ქვეყანაში, რომელსაც უფალი, შენი ღმერთი, გაძლევს“ (II რჯ. 19:14).

წმინდა წერილში ვხვდებით მიწის განაწილების პრობლემის მოგვარების მცდელობას. მაგალითად, მოსეს კანონმდებლობით, ამისათვის პირადი საკუთრების შეზღუდვის დაწესება ხდება. ბიბლიის აღიარებული მკვლევარები მიიჩნევთ, რომ რესურსების, მათ შორის მიწის რესურსების არაორმალურ და არამართლზომიერ გადანაწილებას მოაქვს სოციალური ბოროტება და შეიძლება სახელმწიფოს დამლაც გამოიწვიოს<sup>1</sup>.

საზოგადოდ, რესურსების შეზღუდულობა ეკონომიკის, შეიძლება ითქვას, ჩვენი ყოფიერების ძროული პრობლემაა, საიდანც ფაქტორივად, ყველა სხვა პრობლემა გამომდინარეობს. „იშეათობის“ კონცეფცია რესურსების შეზღუდულობასაც ნიშნავს. მიწა, ანუ ბუნებრივი რესურსებია ყოველივე, რასაც უფალი უბოძებს, ჩუქნის ადამიანს, ხოლო ეს უკანასკნელი იყენებს მას წარმოებაში – მაღნები, წიაღისეული, ნავთობი, ხე-ტყე, წყალი, სახნავ-სათესი სავარგულები, ანუ რესურსების აბსოლუტური უმრავლესობა.

დამაფიქრებელია ერთი გარემოება – ოთხი ძირითადი რესურსიდან (წარმოების ფაქტორიდან): შრომა, მიწა, სამეწარმეო უნარი და კაპიტალი) სამი მათგანი სწორედ უფლის უშუალო ქმნილებაა: შრომისა და სამეწარმეო უნარის შემოქმედი – ადამიანი, რომელიც ღმერთმა შექმნა მის სახედ, ხატად და „მიწა“, ანუ ბუნებრივი რესურსების მთელი გამა.<sup>2</sup>

<sup>1</sup> Попухин А., «Земля и собственность по законам Моисея». Изд. СпбДА, Санкт-Петербург, 2010, ст. 164.

<sup>2</sup> ჩიხლაძე ნ., რესურსების შეზღუდულობა მართლმადიდებლური და ეკონომიკური სწავლებების მიხედვით. უკრ. „ბიზნესი და კანონმდებლობა“, №1, 2011. გვ. 68.

რაც უფრო მცირეა რაოდენობრივად რესურსი, ანუ მეტია შეზღუდულობის ხარისხი, მით მეტია მისი ფასი. იგი ძირითადად მოთხოვნა-მიწოდების თანაფარდობით ყალიბდება. შეზღუდულობის (დეფიციტის) ზრდას კი უცვლელი მიწოდების პირობებში ფასის ზრდა მოჰყება (საქონლის დეფიციტი ზრდის ფასს, ფულის დეფიციტი საპროცენტო განაკვეთს, სამუშაო ძალის შეზღუდვა ხელფასს და ა.შ.).<sup>1</sup>

საქართველოს სახელმწიფო ტერიტორია ქართველი ხალხის ორგანული სოციალურ-ეკონომიკური, დემოგრაფიული, ეთნოგვითარებისა და ეკონომიკურული კანონზომიერი განვითარების შედეგია იმ მიწაზე, სადაც სახელმწიფოსთან ერთად შეიქმნა ქართველი ერი და ეროვნული ცნობიერება. ქართველი ერის სიცოცხლე განუყოფლია საქართველოს მიწისგან. ვერც დიასპორის სახით, ვერც საკუთარ ქვეყანაში უმცირესობის სახით ქართველი ერი ვერ იარსებებს. ქართველმა ერმა იცის, რომ მთელი თავისი ისტორიის მანძილზე მისი სამოსახლო მიწა-წყალი დედამიწაზე ერთ-ერთი საუკეთესოა, მის მეზობლობაში კი – ყველაზე საუკეთესო.

საქართველოს ფიზიკური გეოგრაფიის მრავალგვარობა ქართველ კაცს (ცნობიერადაც და ქვეცნობიერადაც) ანიჭებს იმის განცდას, რომ მასაც და მის მოდგმასაც უნარი აქვს სრულფასოვნად იშრომოს და იბრძოლოს ყველანაირ ექსტრემალურ პირობებში, სიცხეშიც და ყინვაშიც, მთაშიც და ბარშიც, წყალშიც და ზელეზეც. ამდენად, საქართველოს მიწა-წყალი ქართველს უღირს სხვა ყოველივესთან ერთად, როგორც თაობა-თა აღზრდის ოპტიმალური ბაზა, რომელიც მას განვითარების საუკეთესო პირობებს უქმნის.

საქართველოს კანონმდებელს არ აქვს უფლება ქართველი ერის (საქართველოს მოქალაქეთა კრებულის) ამ ბედნიერ მემკვიდრეობას, მის წინაპართა სისხლით დაცულს, თუნდაც ერთი გოჯი მოაკლოს. საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია, როგორც საცხოვრისის ისტორიულად ჰარმონიზებული ერთიანი სისტემა ვერ იფუნქციებს მისი ნაწილ-ნაწილ ზელყოფის (გასხვისების) შემთხვევაში.<sup>2</sup>

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა ერისთვის არის არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ სოციალური და კულტურული ფასეულობა. არც სახალხო-სამეურნეო მოსაზრებიდან, არც მისდამი საზოგა დოებრივი ინტერესებისა და სოციალური მნიშვნელობიდან გამომდინარე, არ შეიძლება მიწა გაუთანაბრდეს სხვა ქონებრივ სიკეთებებსა და ღირებულებებს, სამართლებრივ ბრუნვაში კი იგი ვერ იქნება მიჩნეული და მიღებული, როგორც უძრავი ქონება.<sup>3</sup>

მიწა არის შეუცვლელი, გაუმრავლებელი და „ამოწურვადი“ (შეზღუდული) რესურსი. მოსახლეობის ზრდასა და სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე მოთხოვნის ზრდასთან ერთად მცირდება დაუმუშავებელი სოფლის მეურნეობის სავარგულები და აქედან გამომდინარე, იწურება რესურსიც. დედამიწაზე იაფი საკვების ეპოქა დასრულდა. სწორედ ამიტომ, თანამედროვე მსოფლიოს თითქმის ყველა სახელმწიფო განსა კუთრებით ფრთხილად ეკიდება სასოფლო-სამეურნეო მიწის უცხოელებისთვის მიყიდვის საკითხს და ეს სფერო უმკაცრე-სი რეგულაციით გამოირჩევა (დაშვებულია მხოლოდ გარკვეული და კონკრეტული წინაპირობებით). სასოფლო-სამეურნეო მიწის უცხოელებზე განუსაზღვრელი ოდენობით გასხვისება ისტორიას ბარდება.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ უმეტეს ქვეყნებში ყველაზე მკაცრი შეზღუდვები წესდება იურიდიული პირების მიმართ სასოფლო-სამეურნეო მიწის შესყიდვაზე. ეს რომ ასე არ იყოს, მსოფლიოს ნების-მიერი მდიდარი კომპანია რამდენსამე წუთში შეისყიდის გაჭირვებული მცირე ქვეყნის სავარგულებს მთლიანად.

ზოგჯერ არსებობს სახელმწიფო ორგანოების მიერ მიწის გასხვისებაზე სპეციალური, დამატებითი ნებართვის მიღების შემაფერხებელი პროცედურა, ხოლო ზოგ შემთხვევაში, ქონების შესყიდვაზე პირდაპირი აკრძალვებიც.

მიგვაჩნია, რომ საქართველოს სახელმწიფო ვალდებულია საკუთარი მოქალაქებისათვის უზრუნველყოს გარანტირებული პირობები იმისა, რომ ქვეყნის სასიცოცხლოდ აუცილებელი რესურსები არ შემცირდება. სწო-

<sup>1</sup> Макконнелл К., Брю С., Экономикс. М., II ч. Инфра-М, 2000, ст. 27.

<sup>2</sup> კოლუმბიი პ., კანონმდებლობა ნათლად უნდა აყალიბებდეს თამაშის წესებს, <http://gnnews.ge/?p=3933>

<sup>3</sup> კოლუმბიი პ., გლეხებაცი სოფლის მაცოცხლებელი და გარდამქულია, <http://commersant.ge/old1/?menuid=96&id=13931&lang=1>

რედ სახელმწიფომ უზრუნველყოს იმიგრაციის ზომიერი კონტროლი, საქართველოს მოქალაქეთა გამრავლების ტემპების გათვლით, რომ საქართველოს მოქალაქეთა შთამომავლობა განჭვრეტად მომავალში არ დადგეს სასურსათო, ეკოლოგიური, კრაუდინგული, ეკონომიკური, დემოგრაფიული, სოციალური და სხვა სახის მძიმე გამოწვევების წინაშე.

იმიგრაციული ნაკადების უკონტროლობა და საქართველოს მოქალაქეების უკიდურესი გაღარიბება უკვე იმის სრულიად რეალურ საფრთხეს ქმნის, რომ უახლოეს მომავალში საქართველოს კონტროლირებადი ტერიტორიის დიდი ნაწილი სხვა სახელმწიფოების მოქალაქეთა ხელში აღმოჩნდება. თან ეს ქვეყნები (ჩინეთი, ინდოეთი, არაბეთის რიგი სახელმწიფო, თურქეთი, ირანი), რომლებიც უაკე გამოხატავენ ქართული მიწით და-ინტერესებას, გამოირჩევინ უმწვავესი ჭარბმოსახლეობით და მცირებიწინაბით. ამ ქვეყნების დემოგრაფიული და ეკონომიკურ-საფინანსო პოტენციალი იძლევა ვითარების დროის უმოკლეს პერიოდში ჩვენთვის ტრაგიკულად შეცვლის პროგნოზს. უკვე ვხედავთ ამ პროცესის შედეგებს. სტატუსდაკარგული ქართული სოფელი კარგავს ისტორიულ, სოციალურ-ეკონომიკურ და დემოგრაფიულ ფუნქციას. ამიტომაც იზრდება დაძაბულობა ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში მცხოვრებ მცვიდრ მოსახლეობასა და ჩამოსახლებულ უცხოელებს შორის.

დღეს საქართველოს მნიშვნელოვანი საფრთხე ემუქრება. მის ძირითად სიმძიდრეს – მის მიწას – მაღალ თანამდებობებზე მოკალათებული უპასუხიმგებლო ადამიანები უცხოელებზე გაყიდვას უპირებენ. საქართველოს უპასუხისმგებლო და უმეცარმა საკონსტიტუციო სასამართლომ 2012 წლის 26 ივნისს გაუქმა უამისოდაც უაღრესად არასრულყოფილ, სახელდობრ, სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესთა უგულებელ მყოფელ „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს კანონში გათვალისწინებული შეზღუდვები უცხოელთა მიერ სასოფლო-სამეურნეო მიწის შესყიდვასა და საკუთრებაში ქონაზე. ამით საქართველოს სასოფლო-სამეურნეო მიწა – ქართველი ერისა და საქართველოს ყველა მოქალაქის და მათი შთამომვლობის სასიცოცხლო და საარსებო ბაზა გატანილი აღმოჩნდა მსოფლიოს და ბაზარზე, სადაც, დღესდღეობით და უახლოეს წლებში საქართველოს საყოველთაო გაღატაკების ფონზე, მოსახლეობის მთელი მასა არაკონკურენტუნარიანია საქართველოს მიწის მითვისების უცხოელ მსურველებთან შედარებით. ამ ოპერაციის მიზანი და მოტივაცია, ხელისუფალთა ანგარების პარალელურად, სხვა არა არის რა და სხვა ვერა იქნება რა, თუ არ საქართველოს დემოგრაფიული დექართველიზაცია და მისი მიწა-წყლის ათვისება ახალი, გარედან მოყვანილი ან ბუნებრივად იმიგრირებული მოსახლეობის მიერ.

არ არის საკმარისი, რომ „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს კანონში შევიდეს, თანამედროვეობასთან მირგებულად ჩამოყალიბებული გრძელი რიგი ცვლილებებისა. აუცილებელია, რომ კანონში უკვე არსებული სწორი განსაზღვრებები და ახალი, რომლებსაც დრო მოითხოვს, აწყობილ იქნეს ახალ სისტემად, რომელიც აგებული იქნება ამოცანათა დღევანდელ რეკაში არსებულ პროპორციათა გათვალისწინებით, მათი სიმწვავისა და მნიშვნელობის მიხედვით. ამ ამოცანის გადაჭრას სჭირდება, პრაქტიკულად, მიწათსარგებლობის ახალი კანონის (კოდექსი) მიღება (და არა დველის ჩასწორება). საქართველოს პარლამენტის წევრებმა მხარი არ უნდა დაუჭრენ ქართული მიწის განავების დამდგენი კანონს მიღებას.

ის ფაქტი, რომ ტერიტორიულ სუვერენიტეტს იცავს სახელმწიფო, სულ არ ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფოა მიწის უზენაესი მესაკუთრე. სახელმწიფო ტერიტორია (მიწა) ხალხის (ერის) საკუთრებაა. ერი, როგორც აღნიშნული უფლების სამართალებრეგისტრე, არ გულისხმობს მხოლოდ დღევანდელ თაობას. ეროვნული სამართალშენება სამართალსუბიქტად მიჩნევს ასევე წარსულ და მომავალ თაობებსაც. სწორედ ამიტომ, არც ერთ თაობას (მით უფრო, გარკვეული ვადით მოსულ ხელისუფლებას) არ აქვს უფლება, სამვალე მოუშალოს წინაპრებს და მამული გაუყიდოს შთამომავლობას<sup>1</sup>.

<sup>1</sup> მიწას „დემოკრატიული ზრდილობის“ გამო ნუ გავასხვისებთ!!! (მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა მიმართვა პარლამენტს). <http://iverioni.com.ge/print:page,1,11833-mitsas-demokratiuli-zrdilobis-gamo-nu-gavaskhvisebth.html>

ფართოდ უნდა გაცხადდეს საქართველოს საზოგადოების ერთობლივი აზრი, რომ ხელისუფლების განზრახვა უცხოელებისთვის ხელოვნურად გაღატაკებული გლეხების მიწის მიყიდვისა არის კანონსაწინააღმდეგოდ მოპოვებულის გაფიდვა და, რომ ასეთი ნასყიდობები გაუქმდება.

დღეს ქართველმა ერმა იცის, რომ მოცემულ პირობებში ჩვენი მიწის უცხოელებზე განუკითხავი გას-ზვისება ჩვენი ქვეყნისთვის მავნეა. მივიჩნევთ, რომ საქართველოს პარლამენტმა ხელი უნდა აიღოს შემოსული არასასურველი, სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესთა უგულებელ მყოფელი კანონპროექტის განხილვაზე და უახლოეს მომავალში მოახდინოს ორიენტაცია მიწათსარგებლობის ახალი, რეალისტური კანონის შემუშავებაზე.

**Paata Koguashvili  
Nikoloz Chikhladze**

## **Take Care of the Land – a Gift From the God!**

### **R e s u m e**

The land for the nation is the area to exist, both physically and psychologically. It is vital base for living, which essentially determines the independence of the country's level. One particularly important issue, which raises high public interest, is attitude towards the land and ensuring adopting land legislation taking into account national interests, as well as alienation of Georgian lands to foreign citizens.

The land resources have always played an important role in human life. The land (land resources) is particularly discussed in the Saint letters. The God created the earth and gave it to the people possess and look after it.

People arbitrarily fence the land and says he is the owner of this area. In the Old Testament we see the theocratic principle of attitude towards the land, which means that people are temporary owners of this resource.

The territory of the state of Georgia is the result of organic socio-economic, demographic, ethno-psychological and ethno-cultural development of the land, where the state was created with Georgian nationality and national consciousness. The life of Georgian nation is inseparable from its land.

We consider that the state is obliged to its citizens to ensure that the resources essential for life will not reduce in Georgia. The government has to provide a moderate immigration control taking into consideration the rate of growth of population, so that in foreseeable future the future generations don't face food, environmental, economic, demographic, social and other serious challenges.

We consider that state should owe its citizens, to provide guaranteed conditions in order to not to reduced the necessary resources for living. The government has to provide a moderate immigration control, Georgia that the pace of growth is estimated to have come in the foreseeable future of the offspring of the food, environmental, growingly, economic, demographic, social and other serious challenges.

## გელა ლობშანიძე

### გლობალიზაციის პირობებში ქრისტიანული ეკონომიკის საზრდოებები საქართველოს განვითარების პრესენტივები

მსოფლიო გლობალიზაციისა და ინტეგრაციული პროცესების შეფასებისას მნიშვნელოვანია ორი საპირისპირო მიმართულებით მოვლენათა განვითარების გათვალისწინება. მართალია, გლობალიზაცია ერთი მხრივ, აჩქარებს ეკონომიკურ განვითარებას, ხელს უწყობს მშვიდობის, დემოკრატიის განვითარებას და მთელი კაცობრიობის ერთანობის გამყარებას, სადაც ვაჭრობა და ახალი ტექნოლოგიები, ფინანსური კაპიტალი, ინფორმაცია და ა.შ., ხელს უწყობს მრავალი ქვეყნის სხვადასხვა რეგიონის დაახლოებას; ანუ, გლობალიზაციას, მისი მართებული, რეგულირებადი წარმართვის შემთხვევაში, შეუძლია მნიშვნელოვანი დადებითი შედეგები მოუტანის მსოფლიოს ხალხებს. მეორე მხრივ, გლობალიზაციას შეიძლება თან სდევდეს უმუშევრობის ზრდა, ინფლაცია, საზოგადოების სოციალური პოლარიზაციის პროცესის გაძლიერება, სუვერენულ სახელმწიფოთა საზღვრების რღვევა და სხვა პრობლემები, რაც მთლიანობაში განაპირობებს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ურთიერთობათა კრიზისებს. ამასთან, აღსანიშნავია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ 1992 წელს მიღებული და მთელი მსოფლიოსათვის რეკომენდებული პისტინდუსტრიული ეპოქის გრანდიოზული პროგრამა (მდგრადი განვითარების პრინციპები და „XXI საუკუნის დღის წესრიგი“), რომელიც მოუწოდებს ყველა სახელმწიფოს ორგანულად დაუკავშირონ ერთმანეთს ტრადიციული და თანამედროვე საერთაშორისო სოციალურ-ეკონომიკურ-ეკოლოგიური მიღწევები ზანგრძლივი და მდგრადი ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფისათვის. კერძოდ, 22-ე პრინციპში ნათქვამია, რომ თანამედროვე საზოგადოებრივი პრობლემების გადაჭრაში უდიდესი როლი ენიჭება მკვიდრ მოსახლეობას, მის ცოდნას და ტრადიციულ პრაქტიკას. სახელმწიფოებმა მხარი უნდა დაუჭირონ მოსახლეობის თვითმყოფადობას, კულტურას, ინტერესებს და უზრუნველყონ მისი ეფექტური მონაწილეობა მდგრადი განვითარების საქმეში<sup>1</sup>. როგორც ცნობილია, ქრისტიანული ეკონომიკის უმთავრესი პრინციპია – ღირებულებათა (მათ შორის – ფულის, ქონების, სიმდიდრის) სიმართლით (ღვთივდადგენილი ზნეობით) მოპოვება და სიკეთეში გამოყენება.<sup>2</sup>

გლობალიზაციის ძალზე როგორი და სწრაფი პროცესების ზემოქმედებით მთელი რიგი სახელმწიფოები იძულებული ხდებიან ეროვნული ეკონომიკური პოლიტიკა წარმართონ საერთაშორისო კონკურენტულ მოთხოვნილებათა გათვალისწინებით, შესაბამისად ამისა, პატარა და სუსტად განვითარებული ქვეყნები კარგავენ ეკონომიკურ სუვერენიტეტს და პოლიტიკური დამოუკიდებლობის ხარისხს. ამიტომ, საქართველოში გატარებულმა გონივრულმა სოციალურ-ეკონომიკურმა პოლიტიკამ უნდა გაანეთტრალოს გლობალიზაციის შესაძლო მოსალოდნელი უარყოფითი შედეგები, შეინარჩუნოს, განაგითაროს და განამტკიცოს ეროვნული ეკონომიკური თავისთავადობა და უსაფრთხოება.

ეროვნული სახელმწიფოს როლის გაძლიერების აუცილებლობიდან გამომდინარე, ეკონომიკის მარებულირებელ სახელმწიფოებრივ სტრუქტურებს უნდა ჰქონდეთ განსაკუთრებულად ფრთხილი და ზომიერი დამოკიდებულება ტრანსნაციონალური კომპანიების ჩვენს ქვეყნაში შემოსვლასთან დაკავშირებით, სახელმწიფო ბიუჯეტის შესხვისა და მოსახლეობის დასაქმების თვალსაზრისით, რადგან მაღალრენტაბელური უცხოური საწარმოები ნიადაგს აცლიან და არაკონკურენტუნარიანად აქცევენ ეროვნულ წარმოებას. თანამედროვე ბიზნესში მნიშვნელოვანია კორპორაციები ყველა დონეზე მორალური ნორმებიდან გამომდინარე ღებულობდნენ

<sup>1</sup> შიხაშვილი გ., სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ეროვნული კონცეფციის და საგადასახადო-საფინანსო საქმიანობის ბიბლიური გააზრება, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, მეცნიერების სერია, ტ. 11, №3, 2003, გვ. 250.

<sup>2</sup> მღვდელი ბ. ახვლედიანი, გ. შიხაშვილი, ნ. ბაკაშვილი, მართლმადიდებლური თეოლოგიური ეკონომიკისა და მართვის საფუძვლები, თბილისი, „მერიდიანი“, 2009, გვ. 16.

გადაწყვეტილებებს, რადგან ზნეობრივ ნორმებს დაქვემდებარებული პასუხისმგებლობის დიდი გრძნობა არის ორგანიზაციის წარმატების საწინდარი. ყოველ კონკრეტულ სიტუაციაში პიროვნების სწორი არჩევანის მოთხოვნები და მოქმედების შედეგები, საზოგადოებაში დაღვენილი წესების შესაბამისობასთან მოყვანით, ჭეშმარიტად ასახულია ბიბლიაში, რელიგიურ-ეთიკურ კულტურასა და ქრისტიანულ-ფილისოფიურ ნორმები. ამიტომაც, ბიზნესის წარმოებისა და მისი საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის ამაღლებისათვის უმთავრესი და მნიშვნელოვანია ქრისტიანული ეთიკისა და მორალის ნორმების დაცვა. ადამიანის პიროვნებაში ეს მორალი უნდა ჩამოყალიბდეს როგორც შინაგანი მოთხოვნილება, მისი განვითარების ყველა საფეხურზე.<sup>1</sup>

აღსანიშნავია, რომ მართლმადიდებლობისათვის დემოკრატიული საზოგადოების პრინციპები სრულიად მისაღებია და ადამიანთა თანასწორობის იდეა ქრისტიანობის კუთვნილებაა. ის ფასეულობანი, რომლებიც პატივს მიაგებს ადამიანის თავისუფლებას, ხელს უწყობს სამართლებრივი სახელმწიფოს შენებას და აღიარებს სახელმწიფოსა და კანონის წინაშე ყველა მოქალაქის თანასწორობას. ნამდვილი კოსმოპოლიტიზმი და ინტერნაციონალიზმი სრულებითაც არ გამორიცხავს პატრიოტიზმს – საკუთარი ერის, როგორც ისტორიულ-კულტურული ერთობის სიყვარულსა და მისთვის თავდადებას. აქ მნიშვნელოვანია, საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზ. გამსახურდის მოსაზრება: „.... ის, ვინც „განვითარება“, „გაგრძელება“, „გაფრანგდება“, „გარუსებება“, „გაამერიკელდება“, ვერასოდეს გახდება ინგლისელი, გერმანელი, ფრანგი, რუსი, ამერიკელი და ქართველობასაც დაჰკარგავს, და თუ ქართველებად დავრჩებით და თანაც ვეზიარებით ამ ერების კულტურებს, გავაფართოებთ და გავამდიდრებთ ჩვენს სამყაროს, გავხდებით ნამდვილი შსოფლიოს მოქალაქენი. ევროპული ინტეგრაციაც ასე უნდა გავიგოთ და არა, როგორც ეროვნული ინდივიდუალობის წაშლა და გათქვევა“.<sup>2</sup>

საქართველოს სახელმწიფოებრიობისათვის მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ერის თვითმყოფობის ისტორიული ხანგრძლივობა, არამედ იმის გარკვევაც, თუ ეროვნული მემკვიდრეობის რა ნაწილია გამოსადევი სამომავლო აღმშენებლობის გზაზე, მემკვიდრეობისა, რომელიც ერის ნების საფუძველზე იქმნებოდა და ყალიბდებოდა. როგორც წმინდა ილია მართალი (ჭავჭავაძე) განმარტავს, – ეროვნული მემკვიდრეობა ესაა იგივე „ეკონომიკური აგგებულება, ეკონომიკური წყობა“, რომელმაც ერი საუკუნეების მანძილზე თავისთავადობის („ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყვაროდა“) გრძნობით გამოატარა „და ბოლოს XVIII საუკუნის დასასრულს თვითმყოფადი სული ისე დალია, რომ ჩვენს ქვეყანას არავითარი ვალი და ვახში არ დასდებია“. ეკონომიკური აგგებულება, ეკონომიკური წყობა არის „მეურნეობრიობის სისტემა, რომელშიც ხალხი იჩენს თავის თავს, თავს თვისებას, თავის მონაწილეობას ისტორიაში“. ამასთან, „ეკონომიკური წყობა“ ფისქიტური, სამართლებრივი და გამრჯვეობის ნორმებისა და სულიერი საწყისების ერთობლიობაა, რომელიც „განაპირობებს მყუდრო სამოქალაქო ცხოვრების უზრუნველყოფას“. ამ განმარტებებში ნათლად ჩანს ჩვენი შორეული წინაპრების დამკიდებულება მეურნეობრიობისადმი, მათი რწმენა იმის შესახებ, რომ ამ წყობით საქართველო სამუდამოდ დამკიდებულება დაგილს ცივილიზებულ სამყაროში. ცხადია, ამ ფასეულობებს დღეისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, რადგან ტრადიციულის მივიწყებამ და ჩვენში უცხოური მოდელების მექანიკურად შემოტანამ უგულებელყო და პირობითად შთანთქა ეროვნული პოტენციალი და ეროვნული მეურნეობის თითქმის ყველა კომპონენტი. სწორედ წარსულ საუკუნეთა დიდი მონაპოვარი, ქმედითი მეთოდების წარმოჩენით, ქართული სახელმწიფოებრიობის წარსული მემკვიდრეობის გათავისებით და გათანამედროვეობით უნდა აღდგეს ქართული ეკონომიკური წყობა და ახალ ვითარებისადმი იქნეს მისადაგებული, რადგან როგორც შეფასებები მოწმობს ქართული ეკონომიკური წყობა ის მაღალგანვითარებული ფენომენია, რომელსაც შეუძლია იხსნას ერი, ჩასწოდეს მისი მეურნეობრიობის ურთილეს სტრუქტურებს, ასევე სრულყოფილად დაცვას ქვეყნის ის ფუნქცია, რომელიც დამსახურებულ ადგილს დაუმკვიდრებს მას(ერს) კაცობრიობის მეურნეობ-

<sup>1</sup> მესხა ი., ეკონომიკა და ქრისტიანული მორალი, ჟურნალი „რელიგია“, № 7-8-9, 2003, გვ. 62–71; თ. შენგელია, ბიზნესის ეთიკის ფილოსოფიური საფუძლები, ჟურნალი „ეკონომისტი“, №1, 2009, გვ. 74–77.

<sup>2</sup> მართლმადიდებლობა და თანამედროვეობა, კრებული პირველი, თბ., „იბერია“, 2004, გვ. 13.

რივ გარემოში. ანუ, წარსულიდან უნდა იქნას აღებული ყოველივე ის, რაც აძლიერებს აწმყოს და მომავალს, სწორედ ეროვნული ტრადიციების გათავისებით და ეპოქის მოთხოვნებისადმი მისადაგებით არის შესაძლებელი წარმატებების მიღწევა. ისევ წმინდა იღია მართალს (ჭავჭავაძე) მოუხმობთ: „... წარსული – მკვიდრი საძირკველია აწმყოსი, როგორც აწმყო მომავლისა. ... ეს სამთა უამთა ერთმანეთზედ დამოკიდებულება კანონია ისეთივე შეურყეველი და გარდაუვალი, როგორც ყოველივე ბუნებრივი კანონი. ... აღდგენა ისტორიისა – ერის გამოცოცხლება, გამომხნევებაა, აწმყოს გაგება და წარმართვაა, მერმისის გამორკვევაა სიბძელისაგან“. „... ცხოვრება ერთიანი მდინარეა ორის დიდის ტოტისა: ერთს რომ ხორცისათვის მოაქვს საზრდო, მეორეს – სულისათვის. თუ ან ერთი დაშრა, ან მეორე, – გვამი ერისა მკვდარია, ვითარცა უსულოდ ხორცი და უხორცოდ სული, სააქაოსათვის მაინცა. ამიტომაც, ვინცა სჩივის და ჰლალადებს სახორციელო პურისათვის, ის ამდენადვე, თუ არ მეტად, უნდა იღწვოდეს სასულიერო პურისთვისაც. ადამიანი, თუ მთელი ერი, იმისათვის კი არ არის გაჩენილი, რომ პური სჭამოს, არამედ პურსა სჭამს იმიტომ, რომ კაცურ-კაცად იცხოვროს და აცხოვროს თავის შთამომავალი“.<sup>1</sup>

როგორც ცნობილი ამერიკელი საზოგადო მოღვაწეები ალექსანდრ ჰამილტონი და ჯეიმს მედისონი აღნიშნავენ, „ბენდიურება არ არსებობს თავისუფლების გარეშე, თავისუფლება თვითმმართველობის გარეშე, თვითმართველობა კონსტიტუციურობის გარეშე, კონსტიტუციურობა ზნეობრიობის გარეშე და ეს ყველაფერი არ არსებობს სტაბილურობისა და წესრიგის გარეშე“.<sup>2</sup>

ეროვნული ეკონომიკური სუვერენიტეტის შენარჩუნებისა და ჰოლიტიკური დამოუკიდებლობის ხარისხის ამაღლება-განმტკიცებისათვის, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური, საზოგადოებრივ-პოლიტიკური, კულტურული და ინტელექტუალური აღორძინება სულიერი ამაღლებით უნდა დაიწყოს. საქართველოს სახელმწიფოებრივი მშენებლობის სტრატეგია უნდა ეფუძნებოდეს ქრისტიანული მორალის შენარჩუნებასა და განვითარებას, რადგან ჩვენი ქვეყანა მართლმადიდებლური, ქრისტიანული სარწმუნოების აღმსარებელია, რომლის ისტორია ორი ათას წელზე მეტს ითვლის და საზოგადოების სულიერი აღორძინება, მისი ქრისტიანული ცნობიერების გაღრმავება-განვითარება უპირველესი და გადამწყვეტია. ყოველივე აღნიშნულს მოწმობს უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლოკოს-პატრიარქის ილია II-ის სიტყვები: „...ჭეშმარიტ თავისუფლებას, რომელიც ზნეობრიობის საფუძველია, უაღრესად დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს, რადგან ნებისმიერი სახელმწიფო ამა თუ იმ მორალურ საზოგადოებას ემყარება. როგორც ძველი სიბრძნე ამბობს, სახელმწიფოსათვის უმჯობესია, მის მოქალაქეებს ჰქონდეთ მაღალი ზნეობა, ... რადგან მაღალზნეობრივი საზოგადოება ძლიერი და განვითარებული სახელმწიფოს საწინდარია. დასავლეთის განვითარებული ქვეყნებიც სწორედ ამის გათვალისწინებით ქმნიან თავიანთ კანონმდებლობას და საზოგადოებრივი ცხოვრების წესს<sup>3</sup>. ის, რომ მსოფლიოს ტრადიციული რელიგიებიდან ყველაზე უნიკალური ქრისტიანული სწავლებაა, იმითაც დასტურდება, რომ დღეს მთელ მსოფლიოში აღიარებული ადამიანთა უფლებების დეკლარაცია სწორედ ქრისტიანულ ფასეულობებზეა დაფუძნებული. ქრისტიანული ფასეულობები კი ყველაზე სრულყოფილი სახით, მართლმადიდებლურ ეკლესიაშია დაცული, რადგან იგი ინახავს სამოციქულო ეკლესის სწავლებას. მისი უნივერსალურობა კლინდება იმით, რომ მართლმადიდებელ ეკლესიას საუკუნეთა მანძილზე უცვალებელი მრწამსი და სწავლება აქვს, რომელიც ეფუძნება წმინდა წერილს, საღვთო გადმოცემას, მსოფლიო და ადგილობრივი საეკლესიო კრებების დადგენილებებს და წმიდა მამათა მოძღვრებას. ეს მის საყოველთაობას და უცდომელობას განაპირობებს. საერთოდ, სახელმწიფო უნდა განვითარდეს და მისი იღეოლოგიის განმსაზღვრელი უნდა იყოს არა გარე გეოპოლიტიკური ფაქტორები, არამედ ეროვნული ინტერესები. ჩვენ ჩვენი მეობა უნდა დავიცვათ, რათა არ გიქცეთ სხვათა მიზნების განხორციელებისათ-

<sup>1</sup> საღარეშვილი ო., ძველი ქართული ეკონომიკური წყობის მნიშვნელობა თანამედროვეობისათვის, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია, შრომები, II ტ., თბ., „სიახლე“, 2001, გვ. 141–144, 269–270.

<sup>2</sup> <http://www.infousa.ru/government/ch2.htm>

<sup>3</sup> <http://www.infousa.ru/government/ch2.htm>

ვის ბრძანად ეს ნებისმიერი სახელმწიფოს არსებობისა და განვითარების გარანტია<sup>1</sup>. ყოველი ადამიანისათვის ღმერთმა დაადგინა ამქვეყნიური და იმქვეყნიური ცხოვრების ეტაპები, ხანმოკლე მიწიერი ცხოვრება არის მზადება მომავალი საუკუნო სიცოცხლისათვის. ამიტომ, ადამიანმა, მისთვის ღვთივბოძებული თავისუფალი ნების, გონიერებისა და მაღალზნეობრიობის მეშვეობით უნდა წარმართოს ისეთი ეკონომიკური საქმიანობა, რომელიც უზრუნველყოფს მისი სულიერი და მატერიალური მოთხოვნილებების ღმერთისათვის მისაღებ ურთიერთშეხამებას. აյ მნიშვნელოვანია მოხდეს ადამიანისა და ღვთის ნების შეერთება – სინერგია, რაც არის საფუძველი პიროვნების, ერისა და სახელმწიფოს გადარჩენისა და ადამიანის ცხონებისა. საქართველოში ყოფილა ისეთი ბედნიერი ხანა, როგორიცაა წმინდა დავით აღმაშენებლის, წმინდა თამარ მეფის მეფობის წლები. ჩვენ ამ პერიოდს ოქროს ხანას ვუწოდებთ, რადგან სწორედ მაშინ მოხდა სინერგია, – ღვთისა და ადამიანის ენერგიის შერწყმა და გამოლიანება.<sup>2</sup>

მაღალგანვითარებული ქვეყნები, ტრანსნაციონალური კაპიტალის მეშვეობით ეფექტიანად იყენებენ რა გლობალიზაციის პროცესზე გავლენისა და საკუთარი ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესების დაცვის მექანიზმს, ხელს უწყობენ თავიანთი ტრანსნაციონალური კომპანიების განვითარებას და ისტატიკან თავს მოახვიონ თავიანთი მკაცრი პირობები და თამაშის წესები მიმღებ, ნაკლებადგანვითარებულ ქვეყნებს, რის გამოც ხშირად შედიან წინააღმდეგობაში ეროვნულ კაპიტალთან და მისი გავლით სახელმწიფოსთან.

გლობალიზაციის თანამედროვე პროცესებში ტრანსნაციონალურ კომპანიებსა და მსოფლიო ფინანსურ ცენტრებს, რომლებიც შეთანხმებული მოქმედებით, შრომის საერთაშორისო დანაწილებაში აქტიური მონაწილეობითა და მისი განვითარების ხელშეწყობით, ქმნიან რა საკუთარ საერთშორისო საწარმოო კომპლექსებს, იძნენ სხვა ქვეყნების ეკონომიკურ სტრუქტურებში დამკაიდრების დამატებით შესაძლებლობებს. მათ შეუძლიათ თავიანთი ინტერესებისათვის გამოიყენონ ამ ქვეყნების ბუნებრივი, საწარმოო, ტექნოლოგიური, შრომითი რესურსები და საზღვარგარეთ უკვე არსებულ ვიწროსპეციალიზებულ საწარმოთა ბაზაზე გააღრმაონ შრომის შიდასაფირმო დანაწილება.

ეკონომიკური გლობალიზაციის ჩარჩოებში ყურადსაღებია პროფ. ი. მესხიას დამაკვალიანებელი მსჯელობა რელიგიურ უსაფრთხოებაზე იმასთან დაკავშირებით, რომ „კაცობრიობის ხსნის ძირითად მიმართულებად მიჩნეულია მსოფლიო გლობალიზაციის პროცესის გაღრმავება და ერთიანი მსოფლიო მმართველობის შექმნა“, – როდესაც შესაბამისი მოდელის ძირითადი მიზანია ერთპოლუსიანი სამყაროს შექმნა, რომლისაგან რელიგია, როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების უმნიშვნელოვანები სოციალური ფენომენი განზე ვერ დადგება იმ პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესებისაგან, რომელიც აშვოთებს საზოგადოებას და არ შეუძლია ბრძან მიჰყევს პროცესებს, რომლის დროს ეკონომიკური მექანიზმების გამოყენებით ხდება სულიერი სივრცის ნეგატიური ტრანსფორმაცია და ინტეგრირება<sup>3</sup>.

თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის რელიგიურ შეხედულებათა სისტემური ანალიზი გვიჩვენებს, რომ მისი გამომწვევი მიზანები და ფაქტორები, რაც ცალკეული რელიგიების მიერ მსგავსი ან განსხვავებული კონცეფციებითა წარმოდგენილი, მთლიანობაში ერთიანდება თანამედროვეობის ისეთ მოვლენასთან როგორიცაა მსოფლიო გლობალიზაცია, რომელიც ზოგადად ნიშნავს სამყაროს გამოლიანებას. უფალმა ერთიანი ქვეყანა სამყარო შექმნა, ეს იყო გლობალური სამყარო, მაგრამ გლობალიზაცია და ერთიანობა იყო უფლის გარშემო. თუმცა შემდგომში გლობალიზაცია ორი მიმართულებით წარიმართა: ერთი იყო უფალთან ერთად გაერთიანება, ღვთისაღმი თაყვანისცემა და ერთგულება; მეორე კი – გლობალიზაცია ან სამყაროს გაერთიანების მცდელობა – უფლის გარეშე.

<sup>1</sup> სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II. ეპისტოლები, სიტყვანი, ქადაგებანი, თბილისი, საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, წიგნი II, 1997, გვ. 468.

<sup>2</sup> სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II. ეპისტოლები, სიტყვანი, ქადაგებანი, თბილისი, საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, წიგნი III, 2008, გვ. 576.

<sup>3</sup> მესხია ი., რელიგიური უსაფრთხოება მსოფლიო ეკონომიკური გლობალიზაციის ჩარჩოებში. საერთაშორისო კონფერენცია „რელიგია და საზოგადოება – რწმენა ჩვენს ცხოვრებაში, „უდაბნო“. 2004 წელი, გვ. 110.

ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიას მიაჩნია, რომ ეკონომიკური კრიზისის დაძლევას, ეკონომიკის აღორძინება-განვითარებას უნდა მივუდეთ სისტემურად და მასშტაბურად. ამისათვის, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა სულიერი და ეროვნული ფასეულობების დაცვა და განვითარება, ხალხის მატერიალურ კეთილ-დღეობაზე ზრუნვა, მეზობელ სახელმწიფოებთან კავშირის გაღრმავება და კულტურათა შორის დაალოგი, ქართული ბიზნეს-სექტორის გაფართოება და შეძლებული საშუალო ფენის შექმნა, განათლების, მეცნიერების, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარება.

მართლმადიდებლური რელიგიის წარმომადგენლებს მსოფლიო საფინანსო-ეკონომიკური კრიზისის გამომწვევ ერთ-ერთ მიზეზად მიაჩნიათ ის, რომ ფული, რომელიც არის სიმბოლო ადამიანის შრომის და მატერიალური დოკუმენტისა, დღევანდელ ეტაპზე სულ უფრო შორდება შრომას და მის შედეგად შექმნილ მატერიალურ ღირებულებებს. როცა, რეალური (მწარმოებლური) ეკონომიკა სულ უფრო შორდება ფინანსურ ეკონომიკას და ამას მივყავართ იქთქნ, რომ ფული იწყებს რეალური ცხოვრებისგან დამოუკიდებლად არსებობას. იმ შემთხვევაში, თუ მსოფლიო ეკონომიკა ამ მიმართულებით გააგრძელებს განვითარებას, მაშინ იგი რაღაც გარკვეულ მომენტში კვლავაც გარდაიქმნება უზარმაზარ პირამიდად, რომელიც ადრე თუ გვიან დაინგრევა, ანუ ახალ მსოფლიო კრიზისს გამოიწვევს.<sup>1</sup>

ზემოაღნიშნული საფრთხიდან გამომდინარე, დღეს მრავალი სახელმწიფოს ლიდერი და მეცნიერ-ეკონომისტი თვლის, რომ საჭიროა ფინანსური ეკონომიკის დაახლოება საქონლისა და მომსახურების ბაზართან. იმის გამო, რომ ამ ორივე სექტორში თანდათანობით მატულობს აფიორა და თაღლითობა, საჭიროა მათზე სახელმწიფოებრივი, საზოგადოებრივი და საერთაშორისო კონფრონტის გაძლიერება. საზოგადოებას უნდა ჰქონდეს საშუალება სათანადო ზეგავლენა მოახდინოს იმ პროცესებზე, რომელიც მიმდინარეობს საფინანსო ეკონომიკურ სექტორში. დღეისათვის ეკონომიკის გლობალიზაციამ ისეთ მასშტაბებს მიაღწია, რომ მასში მეტაკლებად მსოფლიოს ყველა ქვეყანა ჩართული, რის შედეგადაც მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისს ვერც ერთი მათგანი გვერდს ვერ აუკლის.<sup>2</sup>

რელიგია გვასწავლის, რომ გლობალიზაციას არ უნდა შევუშინდეთ და იგი ყოველმა ქვეყანამ სასიკე-თოდ უნდა გამოიყენოს. საერთაშორისო და ეროვნულმა კანონმდებლობებმა კი ყოველ ქვეყანას თავისი საკუ-თარი თვითმყოფადობის შენარჩუნებას უნდა შეუწყოს ხელი. ამასთან, ყურადსალებია უწმინდესისა და უნე-ტარების, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის აზრი „... ჭეშმარიტ თავისუფლე-ბას, რომელიც ზენობრიობის საფუძველია, უაღრესად დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს, რადგან ნებისმიერი სახელმწიფო ამა თუ იმ მორალურ საზოგადოებას ემყარება“<sup>3</sup>.

როგორც ძველი სიბრძნე ამბობს, სახელმწიფოსათვის უმჯობესია, მის მოქალაქეებს ჰქონდეთ მაღალი ზნეობა, ... რადგან მაღალზნეობრივი საზოგადოება ძლიერი და განვითარებული სახელმწიფოს საწინდარია. დასავლეთის განვითარებული ქვეყნებიც სწორედ ამის გათვალისწინებით ქმნიან თავიანთ კანონმდებლობას და საზოგადოებრივი ცხოვრების წესს. ის, რომ მსოფლიოს ტრადიციული რელიგიებიდან ყველაზე უნიკა-ლური ქრისტიანული სწავლებაა, იმითაც დასტურდება, რომ დღეს მთელ მსოფლიოში აღიარებული ადამი-ანთა უფლებების დეკლარაცია სწორედ ქრისტიანულ ღირებულებებზე დაფუძნებული. ქრისტიანული ღირე-ბულებები კი ყველაზე სრულყოფილი სახით მართლმადიდებლურ ეკლესიაშია დაცული, რადგან იგი ინახავს სამციქლეო ეკლესის სწავლებას. მისი უნივერსალურობა ვლინდება იმაში, რომ მართლმადიდებელ ეპ-ლესიას საუკუნეთა მანძილზე უცვალებელი მრწამსი და სწავლება აქვს, რომელიც ეფუძნება წმინდა წე-რილს, საღვთო გადმოცემას, მსოფლიო და ადგილობრივი საეკლესიო კრებების დადგენილებებს და წმიდა

<sup>1</sup> მესხია ი., რელიგია და ეკონომიკური კრიზისი, ბიზნესი და კანონმდებლობა, № 11, 2009, [http://tornikeeristavi.blogspot.de/2013/04/blog-post\\_2499.html](http://tornikeeristavi.blogspot.de/2013/04/blog-post_2499.html)

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II, სიტყვანი, ქადაგებანი, თბილისი, საქართველოს საპატრიარქოს გამოცემლობა, წიგნი II, 1997, გვ. 468.

მამათა მოძღვრებას. ეს მის საყოველთაობას და უცდომელობას განაპირობებს. საერთოდ, სახელმწიფო უნდა განვითარდეს და მისი იდეოლოგიის განშსაზღვრელი უნდა იყოს არა გარე გეოპოლიტიკური ფაქტორები, არამედ ეროვნული ინტერესები<sup>1</sup>.

ზემოაღნიშნულთან მიმართებით მნიშვნელოვანია საქართველომ მოახდინოს თავისი ეროვნულობის ონტეგრირება მსოფლიოს ერთიან სოციალურ-ეკონომიკურ სივრცეში, ისე, რომ თავისი ეროვნული თვითმყოფადობა არ დაკარგოს. აյ მნიშვნელოვანია, ქვეყნის განვითარების სტრატეგია დაეფუძნოს ეროვნული სახელმწიფოებრიობის განმტკიცებას, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ქრისტიანული მოდელის ზნეობრივ საწყისებს, რაც მიიღწევა მსოფლიო კავშირურთიერთობებში ინტეგრირებული ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბებით და დამოუკიდებლად ფუნქციონირებადი, ჩვენს ტრადიციებზე, თანამედროვე ტექნოლოგიებსა და მიღწევებზე დაფუძნებული ქართული სახელმწიფოს მშენებლობით.

**Gela Lobjanidze**

## **Development Prospects of Georgia on the basis of Christian Economy under Globalization**

### **R e s u m e**

In the age globalization maintaining national economic policy of definite countries, avoiding negative effects of globalization and getting positive results should be based on the will and aspiration of all the countries to cooperate with each other. In this regard, from our opinion, the following aspects are very important for Georgia: formation and development of traditional national economy, maintaining and respecting religious life as the most important social phenomenon of life, fair distribution of wealth, overcoming poverty, formation of optimal effective governing structures and improving their effectiveness to ensure sustainable national and safe development of the country according to its social and political interests.

The main challenge of the modern world lies in the need of spiritual foundation to become the basis of the material wellbeing and to exercise moral principles in practice. From this perspective, under the most difficult conditions of globalization, Christian moral and social and economic activities based on such moral needs to be the determining factor of life. This can be very effective against negative trends of globalization so that Georgia is able to create the state based on modern technologies and achievements and to takes its rightful place in the world.

<sup>1</sup> უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II, სიტყვანი, ქადაგებანი, თბილისი, საქართველოს საპატრიარქოს გამოცემლობა, წიგნი III, 2008, გვ. 576.

## მარინა მეტრეგვლი

### რელიგიური ტურიზმის როლი მსოფლიოს შემთხვების ეკონომიკაში

მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, 2013 წელს მსოფლიოში საერთაშორისო ტურისტების შემოსვლის მაჩვენებელი 2012 წელთან შედარებით 52 მლნ.-ით გაიზარდა და 1087 მლნ ტურისტს მიაღწია. მიუხედავად გლობალური ეკონომიკური კრიზისებისა, საერთაშორისო ტურიზმზე მოთხოვნამ მოლოდინს გადაჭარბა და 2013 წელს ჩამოსული ტურისტების რაოდენობა 5%-ით გაიზარდა (ცხრილი 1).

**ცხრილი 1. საერთაშორისო ტურისტთა შემოსვლები<sup>1</sup>**

	ტურისტთა საერთაშორისო შემოსავლები (მლნ ადამიანი)							საბაზრო წილი (%)	ცვლილებები %-%		საშუალო წლიური ზრდა
	1990	1995	2000	2005	2010	2012	2013		12/11	13/12	
მსოფლიო	434	528	677	807	948	1,035	1,087	100	4,1	5,0	3,8
ევროპა	261, 1	304,0	388,2	448,9	484,8	534,4	563,4	51,8	3,6	5,4	2,9
აზია და წყნარი ოკეანის ქვეყნები	55,8	82,0	110,1	153,5	204,9	233,5	248,1	22,8	6,9	6,2	6,2
ამერიკა	92,8	109,1	128,2	133,3	150,6	162,7	167,9	15,5	4,3	3,2	2,9
აფრიკა	14,7	18,7	26,2	34,8	49,9	52,9	55,8	5,1	6,6	5,4	6,1

ცხრილიდან 2 ჩანს, რომ 2013 წელს საერთაშორისო ტურიზმიდან შემოსავლები 81 მლრდ აშშ დოლარით გაიზარდა და 1159 მლრდ აშშ დოლარს (873 მლრდ ევროს) მიაღწია.

**ცხრილი 2. საერთაშორისო ტურისტების დანახარჯებით მიღებული შემოსავლები<sup>2</sup>**

	წლები				საბაზრო წილი (%)	შემოსავლები				(მლრდ აშშ დოლარი)	(მლრდ ევრო)
	10/09	11/10	12/11	13/12		2013	2012	2013	2012		
მსოფლიო	5.2	4.5	4.2	5.3	100	1,078	1,159	839	873		
ევროპა	-0.2	4.9	1.9	3.8	42.2	454.0	489.3	353.4	368.4		
აზია და წყნარი იკეანის ქვეყნები	14.9	8.3	6.7	8.2	31.0	329.1	358.9	256.1	270.3		
ამერიკა	4.2	5.1	5.7	6.4	19.8	212.9	229.2	165.7	172.6		
აფრიკა	2.6	1.7	7.3	0.0	3.0	34.3	34.2	26.7	25.8		
შუა აღმოსავლეთი	16.3	-17.2	2.2	-1.9	4.1	47.5	47.3	36.9	35.6		

<sup>1</sup> unwto, Tourism Highlights, 2014 Edition, p. 4.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 5.

მსოფლიოს მასშტაბით, 2013 წელს ზრდის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა ევროპაში, რა-მაც შეადგინა საერთაშორისო ტურიზმიდან შემოსავლების 42% (35 მლრდ დოლარიდან 489 მლრდ დოლა-რამდე გაიზარდა (ზრდა 368 მლრდ ევრო). აზიასა და წილი 20%-ს შეადგენს და შემოსავლები 16 მლრდ-იდან 229 მლრდ აშშ დოლარამდე გაიზარდა (173 მლრდ ევრო); ახლო აღმოსავლეთის შემოსავლების ზრდის წილია 4% – 47 მლრდ დოლარი (36 მლრდ ევრო)), ხოლო აფრიკის – 3% – 34 მლრდ დოლარი (26 მლრდ ევრო)).

მსოფლიო მოგზაურობისა და ტურიზმისა საბჭოს (WTTC) სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, 2013 წელს ტურიზმის წილი გლობალურ ეკონომიკაში განისაზღვრა 9,5%-ით (დაახლოებით 7 ტრლნ აშშ დოლარით). მსოფლიოს შიდა პროდუქტში ტურიზმის წილი 2,9%-ია – 2-ჯერ მეტი ვიდრე საავტომობილო მრეწველობის, 40%-ით მეტი ვიდრე ქიმიური მრეწველობის (ცხრილი 3). ამასთანავე, ტურიზმი გამოირჩევა უფრო მაღალი ზრდის ტემპით ვიდრე ეკონომიკის სხვა სექტორები, როგორიცაა, ფინანსური და ბიზნესმომ-სახურება, საცალო ვაჭრობა და დისტრიბუცია, საზოგადოებრივი მომსახურება, სატრანსპორტო წარმოება.

### ცხრილი 3. მსოფლიოს გლობალური მშპ დარგების მიხედვით<sup>1</sup>

ინდუსტრია	მშპ (აშშდოლარი)	% გლობალურიმშპ-დან
საფინანსომისახურება	5,021	6,9%
საგომუნიკაციომისახურება	3,221	4,4%
სასრგებლოწიალისეულიმობრება	3,088	4,2%
საბანკომისახურება	2,821	3,9%
<b>მოგზაურობა და ტურიზმი</b>	<b>2,120</b>	<b>2,9%</b>
ქიმიურიმრეწველობა	1,539	2,1%
უმაღლესიგანათლება	1,003	1,4%
საავტომობილომრეწველობა	0,993	1,4%
<b>სულ</b>	<b>73,250</b>	<b>100%</b>

ზემოაღნიშნული საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მოცემული სტატისტიკური მასალები განიხილავს ტურიზმის ყველა სახეობით მოგზაურთა რაოდენობასა და მათგან მიღებულ შემოსავლებს, ტურიზმის წილს მსოფლიოს მშპ-სა და ზოგადად მსოფლიო ეკონომიკაში.

ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტს, რომ ბოლო წლებში ტურიზმის ერთ-ერთ ყველაზე ფართოდ გავრცელებულ მიმართულებას წარმოადგენს რელიგიური ტურიზმი და მომლოცველობა, რომლის ეკონომიკური ანალიზიც, ასევე დაფუძნებული უნდა იყოს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის სტატისტიკაზე. სამწუხაროდ, იმის გამო, რომ აღნიშნული ორგანიზაციის მიერ ოფიციალურად გამოქვეყნებულ სტატისტიკაში ცალკე მუხლად გამოყოფილი არ არის მომლოცველთა და რელიგიური მიზნებით მოგზაურთა კატეგორია, ტურიზმის ამ მიმართულების ეკონომიკური ანალიზი შეიძლება მხოლოდ შეფასებითი ფორმით წარმოვადგინოთ.

ზოგადად, რელიგიური ტურიზმი მოიცავს ვიზიტებს სხვადასხვა ადგილებში, სადაც ვიზიტორებს შეუძლიათ მოინახულონ, როგორც თანამედროვე, ასევე ძველი რელიგიური ძეგლები, მუზეუმები, არქიტექტურა და ხელოვნება. ტურისტებს იზიდავთ რელიგიურ დღესასწაულებსა და ცერემონიებში მონაწილეობის მიღება. აღნიშნული მიზნით მოგზაურებს ტურისტული ბაზრი სთავაზობს ტურებს შორის აღდგომისა და სხვა რელიგიური დღესასწაულების პერიოდებში. რელიგიური ტურიზმი ხელს უწყობს ადამიანის ცოდნის, ფასეულობების, განათლების, ჰუმანიზმისა და კულტურულ ზრდას, საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებას.

<sup>1</sup> Benchmarking Travel & Tourism – Global Summary, wtcc, 2014, გვ. 9.

პლანეტის ყოველი მეათე მცხოვრები ჩართულია რომელიმე რელიგიურ კონფესიაში. 230 სახელმწიფოსა და ტერიტორიაზე Pew Research Center-ის მიერ გადამოწმებული დემოგრაფიული კვლევებით დაინდება, რომ მსოფლიოს 6,9 მლრდ ადამიანიდან მორწმუნედ თავს თვლის დაახლოებით 5,8 მლრდ. საიდანაც, მსოფლიოს მოსახლეობის 32% (2,2 მლრდ) ქრისტიანია, 23% (1,6 მლრდ) მუსლიმი, 15% (1 მლრდ) ინდუისტი, 7% (500 მლნ) ბუდისტი, 0,2% (14 მლნ) ოუდეის, ხოლო 16% სხვა რელიგიების მიმდევარი და არარელიგიური ადამიანია.<sup>1</sup>

ზემოაღნიშნული კვლევებით დადგენილია, რომ ქრისტიანობის მიმდევართა საშუალო ასაკი 30 წელია, ინდუიზმის – 26 წელი, მუსლიმის – 23 წელი, ოუდეიზმის – 36 წელი, ხოლო ბუდიზმის – 34 წელია.

მომლოცველობა რელიგიური ხასიათის ქმედება წმიდა ადგილებში ინდივიდუალური თუ კოლექტიური მოგზაურობაა თაყვანისცემის ან მონანიების და დანაშაულის გამოსყიდვის მიზნით. ამჟამად ქრისტიანთა მომლოცველობის უმთავრესი ადგილებია: წმიდა მიწა, რომში მოციქულთა პეტრესა და პავლეს საფლავები, და, უმთავრესად, მარიამის სახელთან დაკავშირებული წმიდა ადგილები: ლურდი, ფატიმა, ლორეტო, პომპეი, ჩესტოხოვა, ალტეტინგი და სხვ.<sup>2</sup>

კვლევებით დადგენილია, რომ ყოველწლიურად საერთაშორისო ტურისტებიდან დაახლოებით მესამედს რელიგიური მიზნებით მოგზაურები წარმოადგენენ, რომელთაგან უმეტესობა ქრისტიანები, მუსლიმები და ბუდიზმის მიმდევრები არიან.

2014 წელს საერთაშორისო ტურისტთა რაოდენობა 1,138 მლნ-ით განისაზღვრა. შესაბამისად, მომლოცველთა და რელიგიური მიზნებით მოგზაურთა რიცხვი დაახლოებით 380 მლნ-შედე გაიზარდა.

მსოფლიოს, რელიგიური ტურიზმის ყველაზე პოპულარული ცენტრებიდან: ტოკიო (იაპონია) ყოველწლიურად 40 მლნ მომლოცველს მასპინძლობს, ვატიკანი – 18 მლნ-ს, პარიზი (საფრანგეთი) – 13 მლნ-ს, ინდოეთის დასავლეთი მთიანი მხარე – 10 მლნ-ს, მექა და მედინა (საუდის არაბეთი) – 2 მლნ-ს, იერუსალიმი (ისრაელი) – 1,5 მლნ-ს.

რელიგიური მიზნებით მოგზაურები და მომლოცველები მოგზაურობისას ისევე ხარჯავენ თანხებს ტურისტული პროდუქტის ყველა ელემენტის (ტრანსპორტირებაზე, სასტუმროში განთავსებაზე, კვებაზე, სუვენირების შეძენაზე და ა.შ.) მოხმარებაზე, როგორც ტურიზმის სხვა სახეობით მოგზაური ტურისტები. იტალია, სადაც განთავსებულია უმეტესობა ქრისტიანული ძეგლებისა და მოსალოცი ადგილებისა (30 ათასი ეკლესია და ტაძარი, 700 საეპარქიო მუზეუმი, 220 წმინდა ადგილი და სავანე, მონასტერი და სხვა), იღებს 4,5 მლრდ აშშ დოლარს. ყოველწლიურად იტალიაში რელიგიური მიზნებით ჩამოსულ თითოეული ტურისტის დანახარჯი საშუალოდ შეადგენს 104 ევროს.

ცნობილია, რომ მომლოცველთა 100%-ის მოგზაურობა დატვირთულია დვოისმსახურებასთან დაკავშირებული ღონისძიებებით. რაც შეეხება რელიგიური მიზნებით მოგზაურებს, ტურისტული მეცნიერების საერთაშორისო ინსტიტუტის (Istituto Internazionale di Scienze Turistiche-Istur) კვლევებზე დაყრდნობით, მათი 53,68% მონაწილეობს დვოისმსახურებაში, ხოლო ტურისტების 35,1%-ი, ამასთანავე, ღრმა ინტერსს ავლენს შემცნებითი მოგზაურობების მიმართაც.

აშშ-ში, რელიგიური ტურიზმით მოგზაურთა რაოდენობის ზრდის ყველაზე მაღალი ტენდენცია დაფიქსირდა XX საუკუნის 90-იან წლებში და გასაკუთრებით, XXI საუკუნის დასაწყისისთვის. მსოფლიო რელიგიური ტურიზმის ასოციაციის (World Religious Travel Association – WRTA) კვლევებზე დაყრდნობით, იკვეთება აქტიური ზრდის 3 ძირითადი მიზეზი: 1. მოგზაურობისა და დასვენების მსურველი ამერიკელი მო-

<sup>1</sup> <http://www.pewresearch.org/dahttp://maxpark.com/community/3081/content/1726290>

<sup>2</sup> პეტროზილო პ., ქრისტიანობის ლექსიკონი/პიერო პეტროზილო; [იტალ. თარგმა მარიკა სააკაშვილმა; რედ. მერაბ ღალანიძე; სულხან-საბა ორბელიანის სასწ. უნ-ტი, ქრისტ. ოეოლოგიისა და კულტ. ცენტრი]. - თბ.: სულხან-საბა ორბელიანის სასწ. უნ-ტის გამოც., 2011. - 434გვ.; 24სმ. - ყდაზე: ბერნარდო დადი „ნეტარი ქალწული მარიამის გვირგვინით შემკობა“. - ISBN: 978-9941-0-3408-4

სახლეობის საერთო რაოდენობის ზრდა; 2. ჩრდილოეთ ამერიკელი მოსახლეობიდან მორწმუნეთა რიცხვის გაზრდა (ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში მათი რიცხვი დაახლოებით 10 მლნ ადამიანით გაიზარდა). ამერიკის მოგზაურთა ინდუსტრიის ასოციაციის (Travel Industry Association) ინფორმაციით რელიგიური მიზნით ყველა ასაკობრივ ჯგუფში პოტენციური ტურისტების 1/3 შვებულების დროს მოგზაურობს; 3. მორწმუნე ადამიანების უმრავლესობა ახერხებს თავისი მრწამსის ინტეგრირებას ყოველდღიურ ცხოვრებასთან<sup>1</sup>.

XXI საუკუნის დასაწყისიდან რელიგიური ტურიზმის ტრადიციულ სახეობაში კარდინალური ცვლილებები გამოიკვეთა – რელიგიური ტურიზმის ბაზარი ტრანსფორმირდა „სიღატაკის/მონანიების“ მენტალიტეტიდან პირველი კლასის მოგზაურობებამდე – ეკონომიკლასის მომსახურებამაქტუალობადაკარგა. თვალსაჩინო მაგალითად შესაძლებელია განვიხილოთ ტუროპერატორის TCS Expeditions მაღალი კლასის რელიგიური ტურიზმით მსოფლიოს გარშემო მოგზაურობა – სახლწოდებით „უდიდესი რელიგიები“, რომლის ღირებულება (ერთი მოგზაურისთვის) შეადგენს 45000 აშშ დოლარს. აღნიშნული მოგზაურობის დროს ტურისტების სარგებლობები კერძო თვითმფრინავებითა და ძვირადღირებული სასტუმროებით (King David-ით იერუსალიმში და Oberoi-ით დელიში და ა.შ.)<sup>2</sup>.

რელიგიური ტურიზმის ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ ფორმას წარმოადგენს ორგანიზებული ჯგუფური მოგზაურობა – შვებულების გატარება და დასვენება რელიგიურ და წმინდა ადგილებში. აღნიშნულ ტურისტთა რადენობასა და სხვა კრიტერიუმებთან დაკავშირებული კვლევების არარასებობის მიუხედავად, შეიძლება ითქვას, რომ ზემოაღნიშნული მიზნებით მოგზაურთა 20% მოტივირებულია შვებულების პერიოდში ორგანიზებულად განახორციელოს რელიგიური მიზნებით მოგზაურობა, დაისვენოს და აღიდგინოს სულიერი და ფიზიკური ძალები (მათ აერთიანებთ საერთო, რელიგია, ინტერესები, იდეალები). ასეთი დასვენება ტურიზმში მოიხსენიება, როგორც „შვებულება თანამოაზრებთან“ (fellowship vacations).

პირველად რელიგიურ ტურიზმისა და მომლოცველობის ისტორიაში 2014 წლის 14-20 სექტემბერს, ესპანეთში (სანტიაგო დე კომპოსტელაში) ჩატარდა პირველი მსოფლიო კონგრესი: „ტურიზმი და მომლოცველობა“. აღნიშნული ღონისძიების ორგანიზატორები იყვნენ ესპანეთის მრეწველობის, ენერგეტიკის და ტურიზმის სამინისტროები და მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაცია (მონაწილეობდნენ: მსოფლიოს ქვეყნების ტურისტები სექტორის წარმომადგენლები, რელიგიური საზოგადოებები, საერთაშორისო ორგანიზაციები, ექსპერტები). კონგრესის ჩატარების ძირითად მიზანს წარმოადგენდა რელიგიური ტურიზმის განვითარების გზით ეკონომიკური ზრდის მიღწევა, მსოფლიოს ხალხთა ურთიერთობაგებისა და მშვიდობის ხელშეწყობა, ადამიანის უფლებების დაცვა.

კონგრესზე ერთხმად მიღებულ იქნა დეკლარაცია, რომლის ძირითად პუნქტებს წარმოადგენს შემდეგი:

1. ხაზი გაესვას მომლოცველობისა და მდგრადი ტურიზმის მნიშვნელობას კულტურათაშორის დიალოგში, საყოველთაო პატივისცემასა და ადამიანის სულიერ ღირებულებში, მსოფლიოს განვითრებასა და მშვიდობის დამყარებაში;
2. დაინტერესებული მხარეების თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით მუდმივად ჩატარდეს კვლევები მომლოცველობასა და ტურიზმის სფეროში, ასევე სახელმწიფოების მიერ შემუშავდეს სახელმძღვანელო პრინციპები მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის „ტურიზმის გლობალურ ეთიკურ კოდექსზე დაყრდნობით“ ბიზნესის, განათლების, სამოქალაქო და რელიგიური სფეროების მიმართულებით;
3. შემუშავდეს ინფრასტრუქტურის, გამტარუნარიანობის გაზრდის, უსაფრთხოების, ტექნოლოგიური ინოვაციების, გარემოზე ზემოქმედების შემცირების და ნარჩენების გადამუშავების გეგმები, რომელიც უკავშირდება მომლოცველობასა და მოგზაურობის აღნიშნულ სახეობებს;

<sup>1</sup> Современное состояние религиозного туризма и его социальная роль в России и за рубежом (аналитический обзор), Международная туристская академия, М., 2010, ст. 83.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 84.

4. ხელი შეწყოს დაინტერესებული მხარეების ურთიერთობებს, რათა პარმონიზებულ იქნას მომლოცველებისა და ადგილობრივი მოსახლეობის ურთიერთობა, რითაც ხელი შეწყობა მოგზაურობის ტერიტორიების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას და მინიმიზებულ იქნება ბუნებრივ და კულტურულ გარემოზე ზემოქმედება;
5. პატივი სცენ ადგილობრივ მკვიდრთა საუკუნეების ღირებულებებს, ტრადიციებსა და რწმენას, რათა შენარჩუნებულ იქნას სიწმინდეებისა და კულტურული მემკვიდრების რესურსები;
6. ახალი ინიციატივების წახალისებისა და საერთაშორისო ქსელი შექმნის მიზნით (რომელიც ხელს შეწყობს გამოცდილების გაზიარებას ტურიზმის სფეროში კვლევებსა და სპეციალისტების მომზადებაში, მომლოცველობის მარშრუტებისა და ობიექტების წინ წაწევის, მარკეტინგისა და მართვის მიმართულებით), აღნიშნულ საქმიანობაში ჩართულ იქნან ადგილობრივი თემები, როგორც თანასწორი პარტნიორები რელიგიური ტურიზმის მდგრად საფუძველზე შემუშავებასა და განხორციელებაში.<sup>1</sup>

მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის რელიგიურ ტურიზმთან დაკავშირებულ ერთ-ერთ ძირითად დოკუმენტს წარმოადგენს „ტურიზმის გლობალური ეთიკური კოდექსი“. იგი მიღებულ იქნა 1999 წელის ოქტომბერში მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეაზე სანტიაგოში (ჩილე). „ტურიზმის გლობალური ეთიკური კოდექსი“ ადგენს მდგრადი და საპასუხისმგებლო ტურიზმის ორიენტირებს და ასახავს იმ ცვლილებებს, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ტურიზმში XX საუკუნის დასასრულს.

კოდექსში ხაზგასმულია ტურისტული საქმიანობის პარმონიზაციის აუცილებლობა მიმღები რეგიონებისა და ქვეყნების ტრადიციებსა და სპეციფიკურ თავისებურებებთან, ამასთან ერთად დაცულ უნდა იქნეს მათი კანონები, ადათ-წესები და ტრადიციები. ტურიზმმა უნდა უზრუნველყოს ზოგადსაკაცობრიო ეთიკური ღირებულებების გავრცელება და გაგება, სხვადასხვა რელიგიური, ფილოსოფიური და მორალური მრწამსის პატივისცემა, დაამკვიდროს ხალხებსა და საზოგადოებებს შორის ურთიერთგაგება და პატივისცემა. კოდექსი ადგენს, რომ ტურიზმი წარმოადგენს სფეროს, რომელიც იყენებს კულტურულ და რელიგიურ მემკვიდრეობას და თავის მხრის ხელს უწყობს მის განვითარებას. ტურისტული პოლიტიკა და საქმიანობა უნდა ხორციელდებოდეს მხატვრული, რელიგიური და კულტურული მემკვიდრეობის პატივისცემაზე დაყრდნობით, იმისათვის რომ ხელი შეუწყოს მომავალი თაობებისთვისმათ დაცვასა და შენახვას. შესაბამისად, ძირითადი კურადღება უნდა მიექცეს მუზეუმების, სიწმინდეებისა და რელიგიური ძეგლების დაცვასა და მომავალი თაობებისათვის შენახვას (მუხლი 4).<sup>2</sup>

## Marina Metreveli

### The Role of Religious Tourism in the World Economy

#### R e s u m e

The strategy of religious tourism development must be based on the principles of sustainable development of tourism. The study of the economic importance of religious tourism, as of one of the priorities of tourism, needs systemic approach.

Based on the materials of the World Tourism Organization, the work presents two tables, the analysis of which shows the trend of the permanently growing number of tourists on the world tourism market and incomes received from them.

<sup>1</sup> Santiago de Compostela Declaration on Tourism and Pilgrimages, Santiago de Compostela, Spain, 19 September, 2014.

<sup>2</sup> მეტრეველი მ., ტურიზმის ეთონომიკა და პოლიტიკა, ფავორიტიპრინტი, თბ., 2011, გვ. 362.

Unfortunately, the official statistics published by the above mentioned organization does not itemize the category of pilgrims and religious travelers. Consequently, the economic analysis of this branch of tourism is presented as a certain form of evaluation only.

The studies show that the number of pilgrims and religious travelers amounts to about the two-thirds of the total international tourism arrivals. The number of international tourists in 2014 was 1,138 mln people, and accordingly, the number of pilgrims and religious travelers amounted to 380 million.

Since the beginning of the 21<sup>th</sup> century, fundamental changes have been seen in traditional religious tourism, as the religious tourism market has transformed from the “poverty/repentance” mentality to the first-class trips evidenced by the increased economic incomes from this kind of tourism.

The goal of the study of the present work is to describe the peculiarities of the development of religious tourism and its importance in the world economy. The following methods were used in the study: a systematic approach to the evaluation of the results of development of religious tourism, as well as induction, deduction and statistical methods. The study will use the official data of the World Tourism Organization, World Travel and Tourism Council, International Institute of Tourism Studies, World Religious Tourism and American Travelers Industry Association.

## მერაბ მიძღვნაშვილი

### გიბლია და გადასახადები, როგორც მორალური პატებორი

გადასახადები ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელი ნაწილია, თუმცა, როგორც წესი, მისი გადახდა თითქმის არავის უყვარს. ყველა მოქალაქის, მათ შორის ქრისტიანის უფლებაა, ისარგებლოს კანონით მინიჭებული უფლებით საგადასახადო შეღავათების შესახებ, მაგრამ არავის და, პირველ რიგში, სარწმუნოებით ქრისტიანს, არ აქვს არც კანონიერი და არც მორალური უფლება, არაეთიკური და არაკანონიერი მეთოდების გამოყენებით თავი არიდოს გადასახადის გადახდას.

თავისი ბუნებით, გადასახადები არასამართლიანია. მსოფლიოსთვის ცნობილი ერთადერთი აბსოლუტურად სამართლიანი საგადასახადო სისტემა განსაზღვრულია ღმერთის ნებით და ასახულია სინას მთის კანონმდებლობაში, რომელიც ღმერთმა თავისი სასწაულებრივი გამოცხადების დროს დაუდგინა მორწმუნებალებს და რომელსაც მოსეს კანონმდებლობა (რჯული) ეწოდა. მოსეს რჯულის მიხედვით, საგადასახადო მოვალეობა ატარებდა საყოველთაო ხასიათს და ვრცელდებოდა არა მხოლოდ ადამიანთა ცალკეულ სოციალურ ფენებზე, არამედ სახელმწიფოს ყველა წევრზე.

როგორც ქრისტიანული, ასევე ძველი აღთქმის შეხედულებებით, ღმერთისა და ადამიანის ურთიერთობა წარმოადგენს „ძლევნების“ გაცვლას. პირველი ძღვენი, ეს არის ადამიანის მიერ ღმერთისაგან მიღებული გარემოცველი სამყარო, მისი შესაძლებლობები და უნარები და თვით სიცოცხლე. მეორე – გახლავთ ადამიანის საპასუხო საჩუქარი ღმერთს, რომელიც გამოიხატება მცნებების შესრულებაში და მთელი ცხოვრების ღმერთისთვის მიძღვნაში. წარმართებისგან განსხვავებით, ქრისტიანებს გააზრებული ჰქონდათ, რომ ეს უკანასკნელი საჩუქარი ყველაზე მეტად სჭირდებოდა თვითონ ადამიანს, რათა მიეღო მესამე, ყველაზე ბრწინვალე ძღვენი – ცხოვრება საუკუნო სასუფეველში.

ღმერთისადმი შესაწირი ადამიანის მიერ უნდა ხდებოდეს განსაკუთრებული შინაგანი განწყობით, ცოცხალი და ჭეშმარიტი რწმენით, იმედითა და სიყვარულით – ამიტომ ეს მაშინაა შესაძლებელი, როცა სიხარულითა და ნებაყოფლობით ხდება. ასეთი შესაწირი წარმოადგენს სრულყოფილ ძღვენს. ასეთი განწყობის არარსებობა შესაწირს გადასახადად, მმიმე მოვალეობად აქცევს. ადამიანის შინაგანმა განწყობამ, შეიძლება შესაწირი აქციოს გადასახადად ან, პირიქით – გადასახადი აამაღლოს ძღვენამდე. ეს შინაგანი განწყობრივი განსხვავება მნიშვნელოვანია რელიგიური ცნობიერებისთვის, რადგან ქმნის მოვალეობის და ნებაყოფლობის საფუძველს.

დაბადების მე-4 თავში ვკითხულობთ: „აბელი მეცხვარე იყო, კაენი – მიწის მუშაკი. გამოხდა ზანი და მიართვა კაენმა უფალს ძღვენი, მიწის ნაყოფი. აბელმაც მიართვა თავისი ფარის ნათავარი და რჩეული პირუტყვი. მოპენედა უფალმა აბელს და მის ძღვენს. ხოლო კაენსა და მის ძღვენს არ მოპენედა“ (დაბადება, 4,2-5)<sup>1</sup>. აღსანიშნავია, რომ როცა აღნიშნულია ძღვენის მირთმევაზე, კაენი ნახსენებია პირველი. უფალმა მოიწონა აბელის ძღვენი, რითაც აბელი გახდა უფროსი, ხოლო კაენი-უმცროსი, მაგრამ მათი ზნეობრივი ასაკის გამო, ვინაიდან აბელმა მიართვა სრულფასოვანი ძღვენი, თავისი შრომის საუკეთესო ნაყოფი და ეს გააკეთა გულით, შემოქმედის პატივისცემის ნიშნად. კაენს კი, მისი ძღვენის მიუღებლობის გამო არ ჰქონდა ასეთი სულიერი განწყობა – მისი ქმედება, უფრო გადასახადის გადახდას პგავდა. ამ ეპიზოდში არსად არ არის ნახსენები ძღვენის რაოდენობა. მაშინ ჯერ კიდევ არ არსებობდა ერთი მეათედის ინსტიტუტი.

ძველი აღთქმის წიგნში „დაბადება“, მრავალ ადგილას ვხვდებით ღმერთისადმი სამადლობელი ძღვენის მირთმევის ეპიზოდებს. „აუგო ნოემ სამსხვერპლო უფალს, თითო-თითო ამოარჩია ყოველი წმინდა პირუტყვიდან და ყოველი წმინდა ფრინველიდან და აღსავლენად მიიტანა სამსხვერპლოზე (დაბადება, 8,20).

<sup>1</sup> ბიბლიური ციტატები მოტანილია წიგნიდან: ბიბლია. თბილისი, 2013, გვ. 9

შემდეგი მსხვერპლშეწირვა ღმერთისადმი ნახსენებია აბრამის ცხოვრების თხრობის დროს: „უთხრა უფალმა აბრამს: წადი შენი ქვეყნიდან, შენი სამშობლოდან მამაშენის სახლიდან იმ ქვეყნაში, რომელსაც მე გიჩვენებ. გაქცევ დიდ ხალხად, გაკურთხებ და განვალიდებ შენს სახელს და კურთხეულ იქნები. გადაჭრა აბრამმა მთელი ის ქვეყანა... ქანაანელნი მკვიდრობდნენ იმხანად ქვეყანაში. გამოეცხადა უფალი აბრამს, და უთხრა: შენი მოდგმისთვის მიმიცია ეს ქვეყანა, იქ აუგო სამსხვერპლო უფალს, რომელიც გამოეცხადა მას“. (დაბადება, 12,1-7). აბრამის რწმენა იმდენად დიდი იყო, რომ ქრისტიანული სწავლების მიხედვით, ის გახდა იმ ხალხის წინაპარი, რომელთა წიაღმიც 55 თაობის შემდეგ განკაცდა კაცობრიობის მხსნელი, რომელმაც უზარმაზარი მსხვერპლი გაიღო ადამიანთა ცოდვის გამოსასყიდად მეუე ქედორლალომერის დამარცხების შემდეგ, აბრამი შეხვდა მეუე მელქიცედეკს, „უზენაესი ღმერთის მღვდელს“, რომელმაც: „აკურთხა აბრამი და უთხრა: კურთხეულ იყოს აბრამი უზენაესი ღმერთის წინაშე, ცისა და მიწის შემოქმედისა! კურთხეულ იყოს უზენაესი ღმერთი, რომელმაც ხელში ჩაგადებინა შენი მტერი! მაშინ მისცა მას აბრამმა ნადავლის მეათედი“ (დაბადება, 14, 19-20). ამით აბრამმა საფუძველი დაუდო საეკლესიო გადასახადს, რომელიც, შემდგომში, კანონად იქცა მოსეს კანონმდებლობის (რჯულის) მიხედვით. მელქიცედეკისთვის მიცემული მეათედი გახდა სახელმწიფო გადასახადის პირველსახე, რადგან მისი მიმღები იყო არა მარტო მღვდელი, არა-მედ მეუეც. პავლე მოციქულის თქმით: „...მელქიცედეკი, მეუე შალემისა, მღვდელი მაღალი ღმრთისა, რომელიც შეეგება აბრამს, მეფეთა შემუსვრის შემდეგ მობრუნებულს, და აკურთხა იგი. და რომელსაც უველავ-რის მეათედი უწილადა“ (ებრაელთა მიმართ, 7, 1-2). აბრამი იქცა ძევლი აღთქმის ისტორიაში ღმერთის მორჩილებისა და რწმენის უმაღლეს მაგალითად, რადგან აჩვენა მზადყოფნა ღმერთისთვის შეწირა მისი მხოლოდშობილი შვილი ისაკი, რომელზე ძვირფასიც არავინ ჰყავდა დედამიწაზე (დაბადება, 22,1-14).

შველი აღთქმის ტრადიცია და მოსეს კანონმდებლობა (რჯული) შეიცავდა როგორც ღმერთისთვის ძლვენის ნებაყოფლობით და სავალდებულო ფორმებს, ასევე საეკლესიო და სახელმწიფო გადასახადებს. მოსეს რჯულის მიხედვით დადგენილი მრავალფეროვანი შესაწირები ატარებდნენ აღმზრდელობით ხასიათს. დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა გაუცნობიერებელი ცოდვისათვის შესაწირს. სწირავდნენ ცხოველებს, რომლებიც იხოცებოდნენ ცოდვის ჩამდენ ადამიანებთან ერთად. ცოდვის შედეგი იყო სიკვდილი, მაგრამ იმდროინ-დელი ადამიანების წარმოდგენებით, ღმერთი დიდსულოვნად იძლეოდა უნებლიერ ჩადენილი ცოდვის გამოსყიდვის საშუალებას, ცხოველის სიკვდილით. „ასე უთხრა უფალმა მოსეს: ასე უთხარი ისრაელიანებს: თუ ვინმე უნებურად შესცოდავს და დაარღვევს უფლის მცნებებს, აკრძალულს რასმე ჩაიდენს, თუ ცხებულმა მღვდელმა შეცოდა და ხალხიც დანაშაულში გარია, შესწიროს უფალს ცოდვის გამოსასყიდელ მსხვერპლად საღი ხბო“ (ლევიანი, 4, 1-3). მსხვერპლშეწირვის რიტუალი სიმბოლურად ახდენდა უნებლიერ ცოდვის გადატანას ცხოველზე.

ისრაელის ძევლ თეოკრატიულ სახელმწიფოში მღვდელმსახურთა ფენის გამოყოფისა და რეგულარული ღვთისმსახურების დადგენასთან ერთად გაჩნდა საეკლესიო გადასახადის აუცილებლობა. როგორც უპე აღნიშნეთ, ამ გადასახადის პირველსახე გახდა სამხედრო ნადავლის მეათედი, რომელიც აბრამმა გადასცა მელქისედეკს. ძევლ ებრაელებს მეათედი გაწერილი ჰქონდათ მოსეს რჯულის მიხედვით – „ყოველი მეათედი მიწის ნათესისა, ხის ნაყოფისა უფლისაა, უფლის წმიდაა. თუ ვინმე თავისი მეათედის გამოსყიდვას დააპირებს, მისი მებუთედი დაამატოს. ყოველი მეათედი ხარ-ძროხისა და ცხვრისა, ყოველი მეათე კომბლის ქვეშ გამავალთა შორის, უფლის წმიდა“ (ლევიანი, 27, 30-32); სხვა მიზნებთან ერთად, მეათედი ხმარდებოდა ლევიანების შენახვას. მიღებული მეათედიდან ლევიანები გამოყოფდნენ მეათედს მღვდლების შესანახად: „ასე ელაპარაკა უფალი მოსეს: დაელაპარაკე ლევიანებს, უთხარი: როცა ისრაელიანთაგან ათლებთ მეათედს, რომელიც თქვენთვის მაქეს მათგან მოცემული, თქვენს სამკვიდროს, უფალს გადაუხდეთ მისგან ღალა-მეათედი მეათედიდან. ასე, თქვენც გადაუხდით ღალას უფალს იმ მეათედიდან, რასაც ისრაელიანები მოგცემენ. მისგან გადაუხდით საუფლო ღალას აარონ მღვდელს“ (რიცხვი, 18, 25-28).

საეკლესიო გადასახადის ერთგვარ ფორმად იქცა ღარიბებისა და ღატაკების მიმართ მოწყალების გაცემის წესი: „როცა სამკალი გენებათ თქვენს მიწაზე, ერთიანად ნუ მომკი შენს ყანას, სამკალში დაცევ-ნილს ნუ აკრეფ. ვწახსაც ნუ მოიმტვრევ, ყურძნის ბიმბილებს ნუ აკრეფ ძირიდან; ღარიბ-ღატაკსა და მდგმურს დაუტოვე ისინი“ (ლევანი, 19, 9-10).

ისრაელი დიდი ხნის განმავლობაში იტანჯებოდა მძიმე და არასამართლიანი საგადასახო დაბეგვრის გამო. აღადგენდა რა იერუსალიმის დანგრეულ კედლებსა და კარიბჭეებს ნეემიას ხელმძღვანელობით, რომელმაც თავის მხრივ მეფისგან აიღო ამის წებართვა, ხალხი დრტვინავდა მძიმე გადასახადების გამო: „ჩვენი ყანების და ვენახების დაგირავებით, ვერცხლს ვსესხულობთ მეფის ხარკის გადასახდელადო“ (ნეემია, 5,4). ხშირად, მეფეები ძალიან მაღალ გადასახადებს აწესებდნენ. სოლომონის გარდაცვალების შემდეგ, მის შვილ-სა და მემკვიდრეს, რობოამს თხოვეს; „უღელი დაგვიმძიმა მამაშენმა; ახლა შეგვიმსუბუქე ეს ძნელი სამსა-ზური და მძიმე უღელი, მამაშენმა რომ დაგვაკისრა და გვემსახურებით“ (3 მეფეთა, 12, 4). მაგრამ ხალხის თხოვნა თხოვნად დარჩა, ხოლო გადასახადები კი გაიზარდა: „ხომ დაგიმძიმათ მამაჩემა უღელი, მე კიდევ უარესად დაგიმძიმებთ უღელს! ხომ შოლტებით გსჯიდათ მამაჩემი, მე მორიელებით დაგსჯით“ (3 მეფეთა, 12, 14). მნიშვნელოვანწილად, სწორედ ამ უსამართლო საგადასახადო პოლიტიკის წყალობით, ჩრდილოელ-ნი აჯანყდნენ და შექმნეს დამოუკიდებელი ისრაელის სამეფო.

ზოგჯერ, მეფეები ბეგრავდნენ იუდეველებს გადასახადებით, რათა თავად გადაეხადათ ხარკი ეგვიპტის ფარაონისთვის: „გაამტფა ფარაონმა ნექომ ელიაკიმი და დაარქეა სახელად იყჰოიაკიმი. ოქრო-ვერცხლს აძლევდა იყჰოიაკიმი ფარაონს. ოღონდ ქვეყანაზე გაანაწილა ფარაონის ბრძანებისამებრ მისაცემი ვერცხლი; ქვეყნის ერში თითოეულს მისი შეძლების მიხედვით დააკისრა ფარაონ ნექოსათვის მისაცემი ვერცხლი“ (4 მეფეთა, 23, 34-35).

ძველ აღთქმაში გადასახადებით დაბეგვრა პირველად ახლო აღმოსავლეთში დიდი შიმშილის აღწერის დროს გვხვდება, რომელიც იმ პერიოდში მოხდა, როცა იოსები დაინიშნა ეგვიპტის პირველ მოურავად და განმგებლად, ახსნა რა ფარაონის სიზმრები, რომელშიც სიმბოლურად იყო ნაწინასწარმეტყველები შვიდი უხვმოსავლიანი და შემდგომი შვიდი მოუსავლიანი წელიწადის შესახებ (როცა შიმშილი გააჩანაგებს ქვეყ-ნას). იოსებმა ბრძანა უხვმოსავლიანი შვიდი წლის განმავლობაში მოსავლის მეხუთედის რეზერვად შენახვის შესახებ: „ზედმედველები განაწესოს ქვეყანაში, რათა მეხუთედი ახდევნონ ეგვიპტის ქვეყანას შვიდი მო-სავლიანი წლის მანძილზე. იყოს ეს საზრდო მარაგად ქვეყნისათვის შვიდი მოუსავლიანი წლის მანძილზე, ეგვიპტის ქვეყანაში რომ დადგება, რათა ქვეყანა შიმშილით არ ამოწყდეს“ (დაბადება, 41, 34-36). რამდენი-მე წლის შემდეგ, როცა კიდევ ერთი შიმშილი მოედო ქვეყანას, იოსებმა გამოსცა კანონი, რომლის ძალი-თაც მთელი მოსავლის მეხუთედი უნდა გადასცემოდა ფარაონს: „მოსავლის აღებისას მეხუთედი ფარაონს მიეცით, ხოლო ოთხი წილი ყანის დასათესად და საკვებად დაიტოვეთ თქვენთვის, თქვენს სახლში მყოფ-თათვის და თქვენი წვრილშვილისთვის, ასეთი წესია დღემდე დადგენილი იოსებისაგან ეგვიპტის მიწებზე: მეხუთედი ფარაონისაა“ (დაბადება, 47, 24-26).

საინტერესოა იუდას მეფის, იეჲიზკიაჲუს ბრძანება: „უბრძანა იერუსალიმში მცხოვრებ ხალხს, რომ თავიანთი წილი გასამრჯელო მიეცათ მღვდლებისთვის და ლევიანებისთვის, რათა მტკიცედ დაეცვათ უფლის რჯული. როგორც კი ეს ბრძანება გავრცელდა, უხვად მოიტანეს ისრაელიანებმა ფექილის, ღვინის, ზეთის, თაფლისა და მინდვრის ყველა მოსავლის პირველი ნაყოფი. სხვა ყველაფრის მეათედიც უხვად მოიტანეს. ისრაელიანებს და იუდაიანებს, იუდას ქალაქის მკვიდრო, მოპქონდათ მეათედი ხარ-ძროხიდან და ცხვრიდან, მეათედი – შენაწირიდან, რომელიც უფლისთვის, თავიანთი ღმერთისთვის ჰქონდათ შეწირული“ (2 ნეშტა, 31, 4-6).

ამასთან ერთად, გადასახადი არ ეკისრებოდა არც მღვდელსა და არც ლევიანს: „გაცნობებთ, რომ არც ერთ მღვდელს და ლევიანს, არც მგალობელს და შეწირულ კარისკაცს, ამ ღვოის სახლში მომსახურეს, არ დაეკისროს არც ხარკი, არც გადასახადი და არც ბეგარა (პირველი ეზრა, 7, 24).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პირველი დაწესებული გადასახადი იყო მეათედი, რომელიც მთლიანად ხმარდებოდა ლევიანებს, რომლებსაც არ გააჩნდათ საკუთარი მიწა და საშუალება საკუთარი თავის სარჩე-ნად. ზოგჯერ, ამ გადასახადს ლევიანელების მეათედს უწოდებდნენ. მდგრადები, კერძოდ, პირველი მდგრელ-თმსახურები, იყვნენ არა მარტო სულიერი ხელმძღვანელები, არამედ ქვეყნის სამოქალაქო მმართველები. აქე-დან გამომდინარე, ეს მეათედი თავისი შინაარსით იყო გადასახადი, რომელიც ისრაელის თეოკრატიული მმართველობის არსებობას უზრუნველყოფდა. მალაქია წინასაწარმეტყველის პირით, უფალი მკაცრად მიმართავს თავის ხალხს გადასახადის გადაუხდელობისთვის: „განა ადამიანი მოატყუებს ღმერთს, რომ მატყუებთ მე და ამბობთ: რაში გატყუებთო მეათედში და შესაწირავში. მოიტანეთ მთელი მეათედი საგანძურებში და იყოს საზრდო ჩემს სახლში. აბა გამომცადეთ ამით, თუ არ გაგისწნათ ცის საქანელნი და არ გადმოგიცა-ლოთ კურთხევა აუწყველად“ (მალაქია წინასწარმეტყველი, 3, 8,10).

შემდეგი გადასახადიც მეთედი იყო, მაგრამ რაღვან მისი გადახდა ხდებოდა სამ წელიწადში ერთხელ, შეაღენდა მხოლოდ 3.3%-ს წელიწადში. ამ გადასახადთან დაკავშირებით მეორე რჯულში ნათქვამია: „სამი წლის თავზე აიღე მეთედი იმ წლის მოსულიდან და დააბინავე შენს ქალაქში. მოვიდეს ლევანი, რომელ-საც არა აქვს წილი და სამქვიდრო შენთან, მოვიდნენ მდგმურნი და ქვრივ-ობლები, რომლებიც შენს ქალაქ-ში არიან, შეჭამონ და გაძლენ, რათა გაკურთხოს უფალმა შენმა ღმერთმა, ყოველ საქმეში, რასაც გააკეთებ“ (მეორე რჯული, 14, 28-29).

პირველი მეათედი მიღიობდა სახელისუფლო ხარჯებზე, მეორე ხმარდებოდა ეროვნული ცხოვრების განვითარებას, ხოლო მესამე მეათედი გადასახადი საქველმოქმედო მიზნებისათვის გამოიყენებოდა.

მეოთხე გადასახადი გამოიყენებოდა ტაძრების საჭიროებისათვის და ამ ყოველწლიურ გადასახადს ნა- ხევარი შეკელის ოდენობით იხდიდა: „ყველამ, ვინც კი სათვალავში გადის, ოცი წლის ასაკიდან მოყოლებუ- ლი ძლიერი უნდა მიართვას უფალს“ (გამოსკლა, 30, 14).

მოსეს კანონის მიხედვით, კიდევ ორი არაპირდაპირი გადასახადი არსებობდა. ყოველი მოსავლის აღების დროს, ყველა ვალდებული იყო თავისი მოსავლის ნაწილი ყანაში დატაცვებინა ღატაკებისთვის. მეორე არაპირდაპირი გადასახადი გულისხმობდა, რომ ყოველ შვიდ წელიწადში მიწა დაუმუშავებელი უნდა დარჩენილიყო და მოსავალი, რომელიც მასზე თავისით მოვიდოდა, აუცილებელი იყო ზელუხლებელი დარჩენილიყო დარიძებისთვის, ხოლო ნარჩენები – საქონლის გამოსაკვებად.

სამეფო ხელისუფლების დამკვიდრების კვალდაკვალ, ძველ ისრაელში გაჩნდა სახელმწიფო გადასახადების შემოღების აუცილებლობა. პირველ მეფეთა წიგნში აღწერილია თეოკრატიიდან სამეფო ხელისუფლებაზე გადასვლა. სამეფო, წინასწარმეტყველი და ისრაელის უკანასკნელი სამართლიანი მსაჯული, როცა მიმართავს ხალხს და აფრთხილებს სამეფო მმართველობის უარყოფით მხარეებზე, სხვა საკითხებთან ერთად, ყურადღებას ამახვილებს რეგულარულ გადასახადზე – მეათედზე: „მეათედს აიღებს თქვენი ნათესებიდან და ვენახებიდან და თავის კარისკაცებსა და მორჩილებს, უწყალობებს. წაიღებს მეათედს თქვენი ფარიდან და თქვენც მისი ყმები გახდებით. მაშინ მოჰყვებით წუწუნს თქვენს არჩეულ მეფეზე, მაგრამ არ მოგისმენთ უფალი. არ დაუჭერა ხალხმა სამეფოს. თქვეს: არა და არა, მეფე უნდა გვესგას, ჩვენც ისეთები უნდა ვიყოთ, როგორც სხვა ხალხები არიან. ჩვენი მეფე განგვსჯის ჩვენ, წინ წაგვიძლვება და ჩვენი გულისთვის იბრძოლებს“ (1 მექათა, 8, 15-20).

ძველი აღთქმის წიგნებში ნახსნებია როგორც რეგულარული გადასახადები, ასევე ბაჟები და საგანგა-ბო გადასახადები. უკანასკნელი, როგორც წესი, მიზნობრივ ხასიათს ატარებდა და მეფე სოლომონის დროს ტაძრის მშენებლობისათვის გროვდებოდა (მესამე მეფეთა, 9, 15), აშურის მეფისთვის 1000 ქანქარი ვერ-ცხლის მისაცემად (მეოთხე მეფეთა, 15,19-20), ომში გამარჯვებულ ფარაონ ნექოსთვის მისაცემად (4 მეფე-თა, 23, 35).

ხშირ შემთხვევაში, ადგილი ჰქონდა როგორც მეფეთა მსრიდან საგადასახდო ტვირთის დაწესების დროს ზომიერების გრძნობის დაკარგვას; ასევე, გადასახადის გადამზღვეულების ზნებრივ დაკავშას კალიბრუ-

ლებების შესრულების დროს. საგადასახადო ტვირთის გაზრდა გახდა საფუძველი ერთიანი სამეფოს გაყოფი-სა და ისრაელისა და იუდეველთა სამეფოების წარმოშობისა. მეუე რობოამი, მოყმეთა რჩევის თანახმად, შე-ცადა გაეზარდა გადასახადები. „ხომ დაგიმმიმათ მამაჩემმა უდელი, მე კადევ უარესად დაგიმმიმებთ უღელს!.. გაგზავნა მეუე რობოამმა აღორამი, ხარკის ამკრეფი, მაგრამ ქვებით ჩაქოლა ხალხმა, და მოკვდა იგი... განუდგა ისრაელი დავითის სახლს და ასეა ეს დღემდე“ (3 მეფეთა, 12, 14, 18-19).

ძველი აღთქმის მიხედვით ჩამოყალიბდა საგადასახადო დაბეგვრის ორი პრინციპი – არ იბერება შე-მოწირულობები და არ არის დაშვებული ორმაგი დაბეგვრა.

რომი ერთ-ერთი იყო აპენინის ნახევარკუნძულზე არსებული თორმეტიოდე პატარა გამაგრებული და-სახლებიდან. ძველი წელთაღრიცხვის VI საუკუნეში, მან თავისი ბატონობა განავრცო ძლევამოსილ ჩრდი-ლოელ მეზობლებზე – ეტრუსკებზე. თითქმის ერთი საუკუნე, ქალაქს ეტრუსი მეფები მართავდნენ. შემდეგ, რომაელები აჯანყდნენ, მეფები დაამხეს და მონარქის ნაცვლად რესპუბლიკა დამყარეს. რომის რესპუბლი-კამ, თითქმის, 500 წელს იარსება. რესპუბლიკური მმართველობა ძველი წელთაღრიცხვის I საუკუნეში დაქ-ტატორულმა წყობამ და სამოქალაქო ომმა შეცვალა. მას შემდეგ, რაც ოქტავიანები ზელში აიღო ძალაუფ-ლება, როგორც პირველმა იმპერატორმა, რომი აღარასოდეს მიბრუნებია რესპუბლიკურ წყობას. იმპერიის პირველი სამი საუკუნის განმავლობაში, იმპერატორები პატივს სცემდნენ რესპუბლიკურ ტრადიციებს, გა-დაწყვეტილებების წინ სენატს რჩევას ეკითხებოდნენ. მოგვიანებით, იმპერატორები ერთპიროვნულად მართავ-დნენ. რომის იმპერიის შექმნა მაშინ დაიწყო, როცა რომის რესპუბლიკამ ადგილი დაუთმო იმპერატორების მართველობას.

რომმა პალესტინაზე კონტროლი ძველი წელთაღრიცხვის 63 წელს დაამყარა. აზალი მმართველები ებრაელ ხალხს საფრთხედ აღიქვამდნენ, განსაკუთრებით იმიტომ, რომ ისინი უარს ამბობდნენ რომაული რე-ლიგის მიღებაზე<sup>1</sup>. რომის მმართველობა წარმართული, დესპოტური და დაუნდობელი იყო. ზოგიერთი იმპე-რატორი თავს ღმერთად აცხადებდა და ითხოვდა, რომ იმპერიაში ყველას თაყვანი ეცა მისთვის. იმპერიაში უფრო მეტი მონა იყო, ვიდრე თავისუფალი ადამიანი. თავისი არსებობის უკანასკნელ პერიოდში რომის იმ-პერიამ დეგრადაცია განიცადა და გადაიქცა სახელმწიფო ხაზინის ხარჯზე მცხოვრებ გიგანტურ სახელმწი-ფოდ, სადაც ძალიან ცოტა ადამიანი ახერხებდა არსებობისთვის აუცილებელი სახსრების გამომუშავებას და სადაც ძალიან ბევრი ადამიანი ცხოვრობდა სახელმწიფოს ხარჯზე. ის, ვინც მუშაობდა, იძულებული იყო უფროდაუფრო დიდი გადასახადები გადაეხადა უმუშევრების შესანახად. იუდეველთა და ქრისტიანთა დიდ უკანონობილებას იწვევდა ის ფაქტი, რომ შეგროვილი გადასახადების ნაწილი წმარდებოდა წარმართული ტაძრებისა და სხვა რელიგიური ინსტიტუტების შენახვას.

ისრაელში, ისევე როგორც იმპერიის სხვა პროვინციებში, ქვეყნის მოქალაქეები, საცმაოდ დიდი თან-ხის გადახდის შემდეგ, გადასახადების ამკრეფად ინიშნებოდნენ და ვალდებული იყენებოდნენ ყოველწლიურად რომისთვის განსაზღვრული თანხა აეკრიფათ გადასახადების სახით. სარგებლობდნენ რა რომის არმის და-ცულობით, მათ შეეძლოთ განუსაზღვრელი ოდენობის გადასახადის თანხის და მათი გადახდის პერიოდულო-ბის დაწესება. ამიტომ, ისინი როგორც წესი, იმაზე მეტ გადასახადს აწესებდნენ, ვიდრე რომი ითხოვდა და ზედმეტ თანხას თავისთვის იტოვებდნენ.

გადასახადების ამკრეფები ადგილობრივებს იმაზე მეტად სტულდათ, ვიდრე იმპერიის ოფიციალური პი-რები და ჯარისკაცები. ამაზე კარგად მიუთითებს სახარების ეპიზოდები: „იესომ დაინახა საბაჟოში მჯდომა-რე კაცი, რომელსაც მათე ერქვა სახელად, და უთხრა მას გამომყევიო; ისიც ადგა და გაჰყვა და როცა ინა-ხად იჯდა სახლში, აპა, მოვიდა მრავალი მებაჟე და ცოდვილი, და ინახად დასხდნენ იესოსა და მის მოწა-ფებთან. ეს რომ დაინახეს, ფარისევლებმა მის მოწაფეებს უთხრეს: რატომ ჭამს და სვამს თქვენი მოძღვა-რი მებაჟეებსა და ცოდვილებთან ერთად: ხოლო იესომ გაიგონა ეს და უთხრა მათ. კარგად მყოფი კი არ სჭირდებათ მკურნალი, არამედ ავადმყოფ. თქვენ კი წადით და ისწავლეთ, რას ნიშნავს ეს: წყალობა მნე-

<sup>1</sup> მსოფლიო ოლუსტრირებული ისტორია, რომაული სამყარო. თბ., 2013, გვ. 18-35.

ბავს და არა მსხვერპლი; ვინაიდან მართალთა სახმობლად კი არ მოვსულვარ, არამედ ცოდვილთა სინანულად“ (მათე, 9:9-13). სხვა ეპიზოდების მიხედვით „ორი კაცი შევიდა ტაძარში სალოცავად: ერთი ფარისე-ველი და ერთიც მებაჟე. ფარისეველი დადგა და ასე ლოცულობდა გულში: ღმერთო, გმადლობ, რადგან არა ვარ სხვა კაცთა მსგავსად, მტაცებელი, უსამართლო და მემრუშე, და არც ამ მებაჟეს ვგავარ. ორჯერ ვმარ-ზულობ კვირაში, და ვიხდი მეათედს იმისას, რასაც ვიზვეჭ, ხოლო მოშორებით მდგარი მებაჟე იმასაც კი ვერ ბედავდა, რომ ზეცად აღეყყრო თვალი, არამედ მეტრში იცემდა მჯიდს და ამბობდა: ღმერთო, მილჩი-ნე მე, ცოდვილს. გეუბნებით; სახლში ეს უფრო გამართლებული დაბრუნდა, ვიღრე ის. რადგან ყველა, ვინც აიმაღლებს თავის თავს, დამდაბლდება და ვინც დაიმდაბლებს თავის თავს, ამაღლდება“ (ლუკა, 18, 10-14); „და როცა იმ ადგილს გაუსწორდა, იქსომ აიხედა ზევით, დაინახა იგი და უთხრა: ზაქე, ჩქარა ჩამოდი ძირს, ვინაიდან დღეს შენს სახლში უნდა ვიყო. ისიც საჩქაროდ ჩამოვიდა და სიხარულით მიიღო იგი. ხო-ლო ამის მხილველნი დრტვინავდნენ და ამბობნენ: ცოდვილთან შევიდათ. ადგა ზაქე და უთხრა უფალს: აპა, უფალო, ჩემი ქონების ნაზევარს მივცემ გლახაკთ, და თუ ვინმეს ცილი ვწამე, ოთხმაგად ვუზღავ და უთხრა მას იესომ: დღეს მოვლინა ხსნა ამ სახლს, ვინაიდან ესეც ძეა აბრამისა“ (ლუკა, 19, 5-10).

სახარებისული განმარტებები გადასახადებზე, იქსო ქრისტეს დამოკიდებულება საეკლესიო გადასა-ხადზე და წებაყოფლობით შესაწირზე ყველაზე თვალნათლივ ჩანს შემდეგ ეპიზოდში: „ხოლო როდესაც მო-ადგნენ კაპერნაუმს, მივიდნენ პეტრესთან დიდრაქმის ამკრებნი და უთხრეს: თქვენი მოძღვარი არ გადაიხდის დიდრაქმას? მან მიუგო: დიახ. და როდესაც შევიდა სახლში, იქსომ დაასწრო და ჰკითხა: როგორ გვინა სიმინ: ვისგან კრებენ მიწიერი მეფეზი ხარკს და ბეგარას: თავიანთი შვილთაგან თუ უცხოთაგან? პეტრემ მიუგო: უცხოთაგან, ხოლო იესომ უთხრა მას: ასე რომ, შვილები თავისუფალნი არიან, მაგრამ რათა არ ვაცდუნოთ ისინი, წადი ზღვის პირას, ჩაგდე ანკესი აიღე პირველივე თვეზი, რომელსაც დაიჭერ, გაუდე პირი და შიგ პპოვებ სტატირს: მიიტანე და მიეცი მათ ჩემი და შენი სახელით“ (მათე, 17, 24-27). სტატი-რი – მოწეტაა ოთხი ღრახმის ღირებულების, ზუსტად იმდენი, რამდენის გადახდაც მოთხოვეს იქსოს. ეს მაგალითი განსაკუთრებულია ქრისტეს მიმდევრებისთვის. იქსომ აუხსნა პეტრეს, რომ როგორც ღმერთის შვილი, ის არ არის ვალდებული გადაიხადოს საეკლესიო გადასახადი, მაგრამ როგორც ადამიანის შვილმა, უნდა შეასრულოს ეს ვალდებულება, რათა არ შეურაცხყოს ხელისუფლება და იყოს მაგალითი თავისი მო-წაფებისათვის. ეს ეპიზოდი უფრო ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს იმის გააზრებით, რომ ეს გადასახადი მოხვდა იმ მღვდელომსახურთა ხაზინაში, რომლებმაც, მოგვიანებით, იქსოს სასიკვდილო განაჩენი გამოუტა-ნეს. გადასახადი, ფაქტობრივად მოხვდა საეკლესიო ხაზინაში, რომელიც ისე იყო გარყვნილი, რომ იესომ ერთხელ უკვე გაწმინდა მოვაჭრეებისა და მეკერმენებისაგან (იოანე, 2, 14-15) და მიუგო მათ „ჩემი სახლი სალოცავ სახლად იწოდება; თქვენ კი ყაჩაღთა ბუნაგად გიქცევიათ იგი“ (მათე, 21, 13). სწორედ ამ ტაძრის საცავიდან ამოიღეს ოცდაცამეტი ვერცხლი, რომელიც იუდას გადაუხადეს ქრისტეს ღალატისათვის. იცოდა რა ქრისტემ ყოველივე ამის შესახებ, ყოველგვარი ყოყმანის გარეშე, მაინც გადაიხადა გადასახადი. კიდევ ერთი, ჩვენი აზრით, ყურადსალები საკითხი გადასახადის გადახდის ფორმა. იქსომ დაავალა პეტრეს გარჯი-ლიყო იმისთვის, რომ საჭირო თანხა მოეპოვებინა ე.ი. გადასახადი არ იქნა გადახდილი მოწაფეების კუთვნი-ლი ფულიდან – შემოწირულობებიდან. ამგვარად, არ იქნა დარღვეული ძველი აღთქმის წესი, რომლის მი-ხედვითაც შემოწირულობები არ უნდა ყოფილიყო გამოყენებული გადასახადის გადახდისთვის.

ძალიან მოკლე, მაგრამ ტევადია ქრისტეს სწავლება საეკლესიო გადასახადთან მიმართებით. მისი ყვე-ლაზე ცნობილი სახეა მეათედი. ფარისევლები ზედმიწევნით ზუსტად და სკურპულიოზულად გამოყოფილნენ და იხდილნენ შემოსავლების თავიანთი მეათედს, მაგრამ „გა თქვენდა, ფარისეველნი, რომელიც იხდით მეა-თედს პიტნისას, ტევანისას და ყოველი მწვანილისას, და უგულვებელყოფთ ღმრთის სამართალს და სიყვა-რულს. ეს უნდა გექნათ, და არც ის მიგეტოვებინათ“ (ლუკა, 11, 42) – მეათედის გადახდა აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისია უბიწოებისთვის.

მთლიანობაში, ზემოთ მოტანილი ფაქტებიდან ცხადი ხდება, რომ სახარების მიხედვით, ხელისუფლებისთვის გადასახადების გადახდა ღმერთის მიერ დაწესებული ვალდებულებაა და ის, რომ რომის იმპერია იყო დესპოტური და არასამართლიანი, უფრო მეტიც – მის ფულის ერთულზე, მონეტაზე გამოსახული იყო იმპერატორი ავგუსტუსი, რომელიც თავის თავს ღმერთის შვილს უწოდებდა, არ აუქმებს ამ ვალდებულებას. მიუხედავად თავისი პოლიტიკური რანგის და პიროვნული თვისებებისა, მიუხედავად მორალისა და ზნეობრიობისა, პირები, რომლებიც აგროვებნ გადასახადებს – ღმერთის მსახურნი არიან; „რადგანაც იგი ღმერთის მსახურია, შენდა სასიკეთოდ“; (რომ. 13,4) და, ამიტომაც, უნდა გადავიხადოთ გადასახადები.

„სწავლით ფარისეველი“ (ფილიპ. 3, 5) პავლე, უეჭველად ზიზლით და უნდობლად უყურებდა რომის მმართველობას და აღშფოთებას ვერ მაღავდა თითოეულ გადახდილ დინარზე, რომელსაც გადასახადების საზით იხდიდა რომის იმპერიის ხელისუფალთა შესანახად. მაგრამ, შემდგომში, როგორც ქრისტეს მოწაფემ, მან იკოდა, რომ უნდა დამორჩილებოდა საერო ხელისუფლებაც, რომელიც ღმერთის ნებით იყვნენ დადგენილნი, რადგან ხელისუფლება ღმერთისგანაა, ყველა სახელმწიფო მოხელე – ყველაზე დაბალ საფეხურზე მდგომიდან იერარქიის ყველაზე მაღალ საფეხურზე მდგომების ჩათვლით, ყველაზე ცუდიდან, ყველაზე კარგამდე – ღმერთის მსახურია. პავლე ხაზს უსვამს, რომ ისინი განასახიერებენ როგორც ღვთაებრივ, ასევე ადამიანურ ინსტიტუტებს.

ახალი აღთქმის სწავლება, ნებაყოფლობით შემოწირულებებთან დაკავშირებით, იმაში მდგომარეობს, რომ ის უნდა განხორციელდეს შინაგანი გაწყობების მიხედვით, ხოლო ოდენობა ქრისტიანული სრულყოფილების ხარისხით უნდა განისაზღვროს. ახალ აღთქმაში მოცემულია სიტყვები ქრისტესთვის გაღებული მცირე მსხვერპლის შესახებ: „და ვინც მოწაფის სახელით მიაწვდის ცივ წყალს ერთს ამ მცირეთაგანს, ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ, არ დაეკარგება თავისი საზღაური“ (მათე, 10, 42). მით უმეტეს, ეს შეეხება იმას, ვინც ყველაფერი შეწირა ქრისტეს: „და ყველა, ვინც მიატოვებს თავის სახლს, ან თავის დაძმას, თავის ცოლ-შვილს თუ დედ-ძმას, ანდა თავის ადგილ-მამულს ჩემი სახელის გულისთვის, ასმაგად მიიღებს საზღაურს და საუკუნო სიცოცხლეს დაიმკვიდრებს“ (მათე, 19, 29).

შეწირვის უნარი წარმოადგენს ქრისტიანული სრულყოფის მნიშვნელოვან კრიტერიუმს და ეს კარგად ჩანს ჩვენს მიერ უკვე განხილულ კაბიზოდში „მდიდარ ჭაბუკთან“ დაკავშირებით. ნებაყოფლობითი შესაწირის ღირებულება განისაზღვრება არა აბსოლუტური, არამედ მათი შედარებითი ზომით – მდიდარსა და ღარიბის ამ მიმართებით თანაბარი შესაძლებლობა აქვთ, მიუხედავად მათი სხვადასხვა მატერიალური მდგომარეობისა. ეს არის ქრისტეს მიერ თავისი მოწაფებისთვის ნათქვამი სიტყვების არსი, რომელიც ეხება ქვრივი ქალის მიერ საგანძურში ჩაგდებულ ფულს: „ჭეშმარიტად გეუბნებით, თქვენ, რომ ამ საწყალმა ქვრივმა ყველა ჩამგდებზე მეტი ჩააგდო საგანძურში. ვინაიდან ყველა აგდებს იმას, რაც ზედმეტი ჰქონდა, ხოლო მან ჩააგდო მთელი თავისი სისაწყლე, მთელი თავისი საბადებელი“ (მარკ. 12, 41–44).

მოციქულთა საზოგადოება, პალესტინის სხვადასხვა კუთხეში ქრისტესთან ერთად სახარების ქადაგების დროს, თავის მოკრძალებულ მოთხოვნილებებს საკვებზე, შესამოსისა და საცხოვრისზე იკმაყოფილებდა ხალხის მიერ ფულადი და ნატურალური შემოწირულობებით, ეს „ყულაბა კი იუდას ებარა“ (იოანე, 13, 29). ზედმეტ თანხას ყოველთვის იყენებდნენ „გლახაკთა მოსაკითხად“. იერუსალიმის პირველ ქრისტიანულ თემში მიღებული იყო მხოლოდ ნებაყოფლობითი შესაწირები. მისი წევრები, თავდაპირველად, სწირავდნენ მთელ თავიანთ ქონებას, უფრო სწორედ, აცხადებდნენ საერთო ქონებად და მოციქულებს აძლევდნენ ამ ქონების განკარგვის უფლებას: „ხოლო მორწმუნეთა სიმრავლეს ერთი გული ჰქონდა და ერთი სული; და არავინ იტყოდა საკუთარ ქონებას თავისად, არამედ ყველაფერი საერთო ჰქონდათ“ (მოციქულთა საქმე, 4, 32). საეკლესიო გადასახადის აუცილებლობა არ იყო. ძველი აღთქმის დროინდელმა მსხვერპლშეწირვამ აზრი დაკარგა იქსოს მიერ ადამიანთა ცოდვებისთვის თავის შეწირვის შემდეგ. მდგომარეობა, როცა თემის წევრები უარს ამბობდნენ საკუთარ ქონებაზე და საერთო ქონებად აცხადებდნენ მას, დიდხანს არ გაგრძელებულა. ქრისტეს მიმდევრების სწრაფმა ზრდამ გამოიწვია ქრისტიანულ თემებში ისეთი ადამიანების გამოჩენა, რომ-

ლებიც ამ წესის წინააღმდეგი იყვნენ – ამის კონკრეტული მაგალითია ანანიას და მისი ცოლის საფირას ისტორია (მოციქულთა საქმე, 5,1-6).

საგარაულოდ, ოჯახური საკუთრება განდა იმის მიზეზი, რომ იერუსალიმის თემში, პრაქტიკაში არ იყო კერძო საკუთრებაზე უარის თქმა; ამასთან, გამოყოფილი იყო საეკლესიო საკუთრება. ქრისტიანული თემის საეკლესიო ქონების წყარო იყო ნებაყოფლობითი შენაწირები, როგორც თემის წევრების, ასევე გარეშე შემომწირველების მხრიდან. არსებობს სახარებაში ცნობები ნებაყოფლობითი გადასახადის შესახებ. წმინდა მოციქული პავლეს მიერ გალატელი ქრისტიანებისთვის დადგენილი წესი, ამის მიმანიშნებელი უნდა იყოს: „ხოლო წმიდათა შესაწირავისათვის, როგორ მე დავადგინე გალატელთა ეკლესიებში, თქვენც ეგრე ჰყავთ. კვირის ყოველ პირველ დღეს თვითეულმა თქვენგანმა, თავის მხრივ, შეძლებისდაგვარად გადადოს და შეინახოს, რათა ჩემი მოსვლისას აღარ დაიწყოთ გროვება“ (I კორ. 16, 1-2).

ქრისტიანობის პირველი სამი საუკუნის განმავლობაში, ქრისტიანობის დევნასთან ერთად, მრავალჯერ მოხდა საეკლესიო ქონების კონფისკაცია საიმპერატორო ხაზინის სასარგებლოდ. მოციქულთასწორი იმპერატორის, კონსტანტინე დიდის დროს, პირველად შეწყდა ქრისტიანთა დევნა, შემდეგ კი ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა. 313 წელს მან გამოსცა მილანის ედიქტი, რომლითაც ქრისტიანული რელიგია დაკანონდა და ქრისტიანთა დევნა შეწყდა. ამ დროიდან ცოტა ხანში, კონფისცირებული საეკლესიო ქონება დაუბრუნდა ქრისტიანებს. აქედან ეყრება საფუძველი ქრისტიანული ხალხების სახელმწიფოებში საეკლესიო გადასახადების დაწესებისა და შეგროვების ხელშეწყობას. საეკლესიო შემოსავლების ფორმირების წყაროები წარმოადგენს ნებისმიერი საზოგადოების ზნეობრივი სიჯანსაღის ინდიკატორს. აქ ერთ მხარესაა იერუსალიმის პირველქრისტიანული თემის წევრების ნებაყოფლობითი შესაწირი, ხოლო მეორე მხრივ შემოსავლები სამეწარმეო საქმიანობიდან. ვფიქრობთ, რომ სადღაც მათ შორისაა საეკლესიო გადასახადი. სახელმწიფო, ისტორიის მანძილზე, სხვადასხვა პოზიცია იკავებდა – ის იყო საეკლესიო ქონების კონფისკაციის ინიციატორი და საეკლესიო გადასახადის აკრეფის შუამავალი.

გადასახადები – არ არის ნებაყოფლობითი ან არასავალდებულო შემოწირულობა, რომელიც დაწესებულია ხელისუფლების მხარდასაჭერად და მისი გადახდა ყველა მოქალაქის უპირობა ვალდებულებაა. ქრისტიანები თავის თავში არა მარტო მორალურ, არამედ სულიერ პასუხისმგებლობას ატარებენ გადასახადების გადახდის გამო, რამდენადაც, ახალი აღთქმის მიხედვით, ამას ითხოვს ღმერთი. გადასახადებისაგან თავის არიდება – სახელმწიფოს წინაშე ჩადენილი დანაშაული და ღმერთის წინაშე ჩადენილი ცოდვაა.

**Merab Mikelashvili**

## Bible and Taxes as a Moral Category

R e s u m e

Taxes aren't a voluntary or non-obligatory donation. They are established for supporting the state and each citizen is obliged to pay taxes. Christians have not only moral but also spiritual responsibility to do pay taxes, as according to the "New Testament" the God himself demands for the taxes. Avoiding taxes is a crime against the state and sin before the God.

## 0% დათვებაში

### თაფლი და სანოები

თაფლი ბუნების საჩუქარი და მეცუტკრეობის პროდუქტებს შორის ყველაზე მოთხოვნადი ნუგბარია; გამოირჩევა სასამოვნო არომატითა და საგემოვნო ოვისებებით; მდიდარია ადამიანის ჯანმრთელობისათვის სასარგებლო უამრავი ნივთიერებით; შეიცავს ფერმენტებს, ვიტამინებს (B, C, E, H, PP, A), ჰორმონებს, ორგანულ მჟავებს (ვაშლის, ლიმონის, რძის, ღვინის და სხვ.), ანტიბიოტიკებს (მათ ანტიბიონები ეწიდებათ, წარმოიშობიან ფუტკრის ორგანიზმში სეკრეტორული წესით და დადგებითად მოქმედებები ინფექციურ დაავადებებზე), ლითონებს: ალუმინის, მაგნიუმის, ფოსფორის, მანგანუმის, რკინას, მოლიბდენის, სპილემს, ბერილიუმის, ტყვიას, კალას, კალიუმის, ვანდიუმის, ტიტანის, ვერცხლის, ნიკელის და ცირკონიუმის, პარიდან მოხვედრილ საფუარებს.

თაფლის მისაღებად ფუტკარი იყენებს ყვავილების ნექტარს ან მანანს. მანანი თაფლის ტკბილი ნამია, რომელიც ზაფხულის სიცხის შემდეგ წებოსავით ეკვრის მცენარეთა ფოთლებსა და ყლორტებს. მანანი გვხვდება ცაცხვზე, ალვის ხეზე, თხილზე, მუხაზე, ნეკერჩხალზე, უოლოზე, კოჭახურსა და ხეხილზე. მანანი ფუტკრები ეტანებიან ნექტარის ნაკლებობის ან არ არსებობის შემთხვევაში. მანანის თაფლი ნექტარის თაფლთან შედარებით მდარე ხარისხისაა.

ნექტარს და მანანს ფუტკარი ჩიჩახვში საკუთარი ნერწყვის გამოყენებით ამუშავებს; შემდეგ თაფლის სახით პირითვე გადმოაქვს ფიჭაში.<sup>2</sup> ფიჭის თაფლში 75% შაქარია, 20% წყალი და 5% დანარჩენი ნივთიერებები. თაფლში გვხვდება მცენარეული და ცხოველური ცხიმები 1%-ის ოდენობით, მჟავები საშუალოდ 2,84%-ის, მარილები – ნექტარის თაფლში 0,006-0,83%-ის და მანანის თაფლში 3,2%-ის და მინერალური ნაერთები 0,1-0,8%-ის (მინერალური ნაერთები აღმოჩენილია თაფლის ნაცარში) ოდენობით.<sup>3</sup>

თაფლის სახეობა, ხარისხი და რაოდენობა დამოკიდებულია გეოგრაფიულ გარემოზე. გეოგრაფიულ გარემოში იგულისხმება ყვავილოვანი და მცენარეული საფარი და ამ საფარის ადგილმდებარეობა – დაბლობი, ალპები და სუბალპები; სეზონურობის მიხედვით თაფლი იყოფა გაზაფხულის, ზაფხულის და შემოდგომის თაფლად, გამოწურვის შეთოდების მიხედვით – ფიჭის, სექციურ და ცენტრიდნულად, ქმიტური შემადგენლობის მიხედვით – მანანის, შხამიან (შეიცავს ალკალინიდებს) და რადიაქტიურად (შეიცავს რადიუმს), ხარისხების მიხედვით – საუკეთესო (მინდვრის, მდელოს, აკაციის, წაბლის, მზესუმზირის, ძიძის, მდოგვის, იონჯას, სამყურას, ფაცელის, ესპარცეტის თაფლი), ნაკლებ ხარისხიან (წიწიბურას და ევკალიპტის თაფლი) და დაბალ ხარისხიანად (თამბაქოს, ასფურცელის, წიწვოვანი ხეების და მანანა თაფლი). ამ ხარისხის თაფლს არასასიამოვნო სუნი აქს და მწლაკეა), ფერის მიხედვით – უფერო (აკაციის, ბამბის, უოლოს, სამყურას და თეთრი ძიძის თაფლი; აქს თეთრი ფერი), ღია ქარვისფერ (ცაცხვის, მინდვრის, ველის, ყვითელი სამყურას, ყვითელი აკაციის, სალბის, ესპარცეტის თაფლი; აქს ღია მოვეთალო ფერი), ქარვისფერ (მდელოს, მდოგვის, მზესუმზირის, გოგრის, კიტრის, იონჯას, ქინბის თაფლი; აქს ყვითელი ფერი), მუქ ქარვისფერ (წაბლის, თამბაქოს, წიწიბურას და მანანის თაფლი; აქს მუქი ყვითელი ფერი) და მუქ თაფლად (მანანის, ციტრუსების, ალუბლის თაფლი; აქს სხვადასხვა შეფერილობა).<sup>4</sup> თაფლის რაოდენობა დამოკიდებულია ღალიანობაზე და ოჯახის სიძლიერეზე. ძლიერ ოჯახს კარგი ღალიანობის პირობებში შეუძლია შეგროვოს დღეში 4 კგ თაფლი, გამონაკლის შემთხვევაში 8 და მეტი კგ-იც. 400 გრამი თაფლის შეგროვებას ესაჭიროება 6600 მუშა ფუტკარის ტვირთი. ახალი თაფლი შეიცავს გარკვეული რაოდენობის წყალს. წყლიან თაფლს

<sup>1</sup> სტეფანიშვილი ვენერა, ფუტკრის ბიოლოგია და მოვლა-პატრონობა, თბ., „პოლიგრაფისტი“, 2013, გვ. 656-658; წულაძე აპოლონი, ფუტკარი და მეცუტკრეობა, თბ., „განათლება“, 1965, გვ.32-41.

<sup>2</sup> წულაძე აპოლონი, იქვე, გვ. 38.

<sup>3</sup> სტეფანიშვილი ვენერა, იქვე, გვ.456-457.

<sup>4</sup> სტეფანიშვილი ვენერა, ფუტკრის ბიოლოგია და მოვლა-პატრონობა. თბილისი, „პოლიგრაფისტი“, 2013.

ამჟავების საფრთხე ემუქრება. რაღაც დროის შემდეგ, პაერისა და სითბოს ზემოქმედებით წყალი შრება. წყლის მოშორების შემდეგ თაფლი ხდება „დამწიფებული“.

ისტორიული წყაროებიდან ვიცით, რომ ადამიანი თაფლს მოიპოვებდა უხსოვარი დროიდან ხისა და კლდის ფუღუროებში. პირველწყარო მიგნებულია ესპანეთში. ვალებისის მუზეუმში დაცულია კლდეზე ამოკვეთილი ნახატი, რომელზეც ორი მამაკაცი ფუღუროდან მოიპოვებენ თაფლს.

ძველი ებრაული ტრადიციის მიხედვით წინასახალწლო დღესასწაულზე „რაშადადშანა“ ებრაულები მიირთმევენ თაფლში ჩაწობილ ვაშლის ნაჭრებს. წიგნში „დასასრული“ კი აღწერილია წმინდა მიწა, „სადაც გადმოდის რძე და თაფლი“.

რომის იმპერიაში თაფლი ასრულებდა ოქროს ფუნქციას გადასახადების გადახდის დროს.

საბერძნეთში იყო რიტუალი პატარძლებისთვის. ისინი თითს ყოფდნენ თაფლში და ამ გზით ასრულებდნენ ჯვრისწერის რიტუალს ახალ სახლში შესვლის წინ.

უძველეს დროში ეგვიპტეში თაფლს ხმარობდნენ გარდაცვლილთა ბალზამირებისთვის.

თაფლის მსოფლიო წარმოების შესახებ მსჯელობისას შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ, ის იწარმოება და მოიხმარება თანამედროვე მსოფლიოს უამრავ ქვეყანაში. მათ შორის ყველაზე მსხვილი მწარმოებლები, 2011 წლის მონაცემებით, არიან: ჩინეთი, თურქეთი, აშშ, უკრაინა, არგენტინა, ევროკავშირის ქვეყნები და აფრიკის ქვეყნები. მათზე მოდიოდა თაფლის მსოფლიო წარმოების 69,9% დანარჩენ ქვეყნებზე 30,1%; ლიდერ ქვეყნებში წარმოებულია 1071,7 ათასი ტონა თაფლი, დანარჩენ ქვეყნებში – 463,5 ათასი ტონა, სულ 1535,2 ათასი ტონა. 2000-2004 წლებში ლიდერობდნენ: ჩინეთი, აშშ, არგენტინა, თურქეთი, მექსიკა, უკრაინა, ინდოეთი, რუსეთი, ესპანეთი, კნადა, ეთიოპია, ირანი, ტანზანია, სამხრეთ კორეა და ბრაზილია. 2004 წლის მონაცემებით მათზე მოდიოდა თაფლის მსოფლიო წარმოების 71,4%, დანარჩენ ქვეყნებზე კი – 28,6%; 2003 წლის მონაცემებით 74,3% და 25,7% შესაბამისად; 2002 წლის მონაცემებით 71,8% და 28,2%, 2001 წლისმონაცემებით 70,6 % და 29,4 %, 2000 წლის მონაცემებით 71,7 % და 28,3 %. თაფლის მსოფლიო წარმოებამ 2004 წელს შეადგინა 1306,590 ათასი ტონა, 2003 წელს – 1317,933 ათასი ტონა, 2002 წელს – 1284,784 ათასი ტონა, 2001 წელს – 1269,280 ათასი ტონა, 2000 წელს – 1260,475 ათასი ტონა.<sup>1</sup>

ბოლო პერიოდში ყოველწლიურად იწარმოება საშუალოდ 900 ათასი ტონა თაფლი. აზიის ქვეყნები აწარმოებენ 185 ათას ტონას, ჩრდილოეთ ამერიკის ქვეყნები 220 ათას ტონას, თაფლის მსოფლიო წარმოების თითქმის მესამედი, 250 ათასი ტონა, მიღის საერთაშორისო ბაზარზე; აქედან 80%-ს ანუ 200 ათას ტონას ყიდულობენ იაპონია და ევროპის ქვეყნები.

2000-2011 წლებში თაფლის წარმოებაში და ექსპორტში ლიდერობდა ჩინეთი. სპეციალისტები თვლიდნენ, რომ ჩინეთის თაფლი გამოსაღები იყო მხოლოდ სამრეწველო გადამუშავებისათვის და დაუშვებელი იყო მისი გატანა სამომხმარებლო ბაზარზე. ფასები ჩინურ თაფლზე ძალიან დაბალი იყო. დაბალი, დემანგური ფასები გახდა ჩინური თაფლის შეტანის შეზღუდვის მიზეზი აშშ-ში, კანადაში და მთელ რიგ ევრიპის ქვეყნებში. მიუხედავად ამისა, დიდია ჩინეთის როლი იმაში, რომ აზიის რეგიონში ბოლო წლებში ყველაზე მეტი თაფლია წარმოებული და წარმოების ზრდის სტაბილური მაჩვენებელია შენარჩუნებული.

თაფლის წარმოებასა და რეალიზაციაში სამაგალითო ქვეყნაა გერმანია. გერმანიაში თაფლის ხარისხს იცავს ქვეყნის სპეციალური კანონმდებლობა.

თაფლის მსოფლიო ბიზნესში პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან მნიშვნელოვანი წილითა წარმოდგენილი უკრაინა და რუსეთი. უკრაინის წილი თაფლის მსოფლიო წარმოებაში 2004 წელს იყო 4,13%, რუსეთის – 4,35%; 2003 წელს – 3,95% და 2,73%, 2002 წელს – 3,98% და 3,85%, 2001 წელს 4,73% და 4,15%, 2000 წელს 4,22 % და 4,34%. ამ ქვეყნებს თაფლის წარმოებაში და რეალიზაციაში ერთმანეთის მსგავსი პირობები და პრობლემები აქვთ; კერძოდ, 1) ითვლებიან თაფლის მსხვილ მწარმოებლებად; 2) თაფლს ძირი-

<sup>1</sup> <http://www.apeworld;/ FAOstat>

თაფად აწარმოებენ კერძო პირები და კერძო ფირმები; 3) მწარმოებლებს მუშაობა უხდებათ მძიმე პირობებში, იმპორტირებულ თაფლზე დემპინგური ფასების გამო; 4) არსებითია ფალისფიკაციის პრობლემა; 5) შეიმჩნევა ექსპორტის ზრდის ტენდენცია; 6) იცვლება რეალიზაციის ფორმა – თაფლი კერძო ვაჭრობიდან გადადის სუპერმარკეტებში; 7) უკრაინაც და რუსეთიც მზად არიან დაიკავონ მსოფლიო ბაზარზე გამოთავისუფლებული ნიშა.

თაფლის მსოფლიო ბაზრის დახასიათებას შევეცდებით რამდენიმე მიმართულებით:

**ა) თაფლის მსხვილი იმპორტიორი ქვეყნები**

თაფლის მსხვილი იმპორტიორი ქვეყნებია: გერმანია, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, ბელგია, პოლონეთი, აშშ, იაპონია, და საუდის არაბეთი.<sup>1</sup>

გერმანია ლიდერია როგორც მსოფლიოში, ისე ევროკავშირის ქვეყნებს შორისაც. ამ ქვეყანაში თაფლის ბიზნესის ძირითადი ცენტრებია ბრემენი და ჰამბურგი. 2006-2011 წლებში აღინიშნა თაფლის იმპორტის შემცირება 13%-ით, ფიზიკურ მაჩვენებლებში 884 თასი ტონიდან 769,08 ათას ტონამდე. 2010 წლის მონაცემებით გერმანიამ თვითონ აწარმოა 23,1 ათასი ტონა თაფლი.

დიდი ბრიტანეთი მეორე ადგილზეა. განსხვავებით გერმანიისგან, 2006-2011 წლებში მისი იმპორტი გაიზარდა 21%-ით და შეადგინა 35,7 ათასი ტონა 29,5 ათასი ტონის ნაცვლად. თაფლის საკუთარმა წარმოებამ ამ ქვეყანაში 2010 წელს შეადგინა 6,3 ათასი ტონა. თაფლის ბიზნესის ცენტრები განლაგებულია ლონდონის გარე რაიონებში.

საფრანგეთი თაფლის იმპორტიორი მესამე ქვეყანაა მსოფლიოში. 2006-2011 წლებში მისი იმპორტიც გაიზარდა 21%-ით და ნაცვლად 22,5 ათასი ტონისა, შეადგინა 27,2 ათასი ტონა. საკუთარი წარმოება 2010 წელს ტოლი იყო 15,9 ათასი ტონის.

ბელგია მეოთხე ადგილზეა. თაფლის იმპორტის ზრდის ტემპით იგი ყველა ქვეყანას ასწრებს პოლონეთის შემდეგ. 2006-2011 წლებში ბელგიაში თაფლის იმპორტი გაიზარდა 122%-ით, 9,4 ათასი ტონიდან 21 ათას ტონამდე. იმპორტი ძირითადად განხორციელდა ჩინეთიდან, მცირე რაოდენობით მექსიკიდან და არგენტინიდანაც. ბელგიას გააჩნია პრეტენზია იყოს ევროკავშირის ქვეყნებში ჩინური თაფლის რეექსპორტიორი.

პოლონეთი თაფლის იმპორტის რაოდენობით მეხუთე ადგილზეა, ზრდის ტემპით კი პირველზე. 2006-2011 წლებში პოლონეთში თაფლის იმპორტი გაიზარდა 140%-ით, 5,7 ათასი ტონიდან 13,7 ათას ტონამდე. ბელგიის მსგავსად, თაფლი აქაც ჩინურია ძირითადად. იმპორტის ნაწილი პოლონეთში ხორციელდება უკრაინიდან, 1,8 ათასი ტონა საშუალოდ წელიწადში. ერთ სულზე გაანგარიშებით თაფლის მოხმარება პოლონეთში შეადგენს 550 გრამს. ეს მაჩვენებელი ევროკავშირისთვის 650 გრამის ტოლია.

ევროკავშირის ქვეყნებს თაფლის იმპორტის რაოდენობით მოყვება აშშ. იგი მეხუთე ადგილზეა. ეს ქვეყანა მსოფლიოს ერთ-ერთი ლიდერია თაფლის წარმოებაშიც. 2006-2011 წლებში თაფლის იმპორტი აშშ-ში გაიზარდა 40%-ით, 125 ათასი ტონიდან 245 ათას ტონამდე. ძირითადად იმპორტირდება ღია ქარვისფერი თაფლი (თაფლის მთლიანი იმპორტის 43%), თეთრი თაფლი (27%) და ექსტრა ღია ქარვისფერი თაფლი (24%). აშშ-ში თაფლი იმპორტირდებოდა ძირითადად არგენტინიდან (თაფლის საერთო იმპორტის 23% 2006 წელს და 26% 2011 წელს), ვიეტნამიდან (10% და 21% შესაბამისად) და ინდოეთიდან (9% და 20%). 2011-2012 წლები აღინიშნა ინდური თაფლის იმპორტის ზრდის ძალიან მაღალი მაჩვენებლით – 0,620 ათასი ტონიდან 28,6 ათას ტონამდე.

ევროკავშირისა და აშშ-ის შემდეგ თაფლის მსხვილი იმპირტიორია იაპონია. 2006-2011 წლებში მისმა იმპორტმა შეადგინა საშუალოდ წელიწადში 40 ათასი ტონა. საკუთარი მოხმარების 5%-ს თვითონ აწარმოებს. იაპონელებიც, ისევე როგორც სხვა დანარჩენი ქვეყნები, უპირატესობას ანიჭებენ ღია ფერის თაფლს. იმპორტი ხორციელდება ძირითადად ჩინეთიდან, მცირე რაოდენობით არგენტინიდან და კანადიდან.

<sup>1</sup> Мировой рынок медиа. <http://wwwapiworld.ru/stati/>

თაფლის მსოფლიო იმპორტში მნიშვნელოვანი ადგილი განეკუთვნება საუდის არაბეთს, თუმცა 2006-2011 წლებში ამ ქვეყანაში თაფლის იმპორტი შემცირდა 22%-ით ნატურალური გამოხატულებით, ხოლო ღირებულებით გამოხატულებით გაიზარდა 20%-ით. თაფლი იმპორტირდებოდა ძირითადად მექსიკიდან, პაკისტანიდან, არგენტინიდან და ინდოეთიდან.

### ბ) თაფლის მსხვილი ექსპორტიორი ქვეყნები

მსოფლიოში თაფლის მსხვილი ექსპორტიორი ქვეყნებია: ჩინეთი, არგენტინა, მექსიკა, ეთიოპია და ზიმბაბვე<sup>1</sup>.

ჩინეთი თაფლის ყველაზე მსხვილი მწარმოებელი და ექსპორტიორია. ჩინური თაფლი, როგორც ზემოთ უკვე აღნიშნეთ, ექსპორტირდება ბელგიაში, ესპანეთში, დიდ ბრიტანეთსა და პოლონეთში. ჩინეთი ჯეროვან ფურადღებას უთმობს გერმანიას და ჰოლანდიასაც.

ბოლო წლებამდე ჩინეთი ახორციელებდა დიდი რაოდენობით თაფლის ექსპორტს აშშ-ში, მანამ, სანამ იგი არ იქნა მხილებული ანტიდემპინგური ტარიფის დაწესებაში. ამ მიზეზით აშშ-მა დააწესა შეზღუდვები. ევროკავშირისა კი ჩინურ თაფლში აღმოაჩინა ანტიბიოტიკების ჭარბი რაოდენობა, რის გამოც შეზღუდა მისი იმპორტი. ევროკავშირისა და აშშ-ს შეზღუდვებმა სტიმული მისცა ჩინეთიდან თაფლის არალეგალურ ექსპორტს, მესამე ქვეყნების დახმარებით.

არგენტინა მეორე ქვეყანა იყო მსოფლიოში თაფლის წარმოებაში. ამჟამად მეხუთე ადგილზეა გვალვის, წყალდიდობების და ა.შ. მიზეზების გამო. 2005-2010 წლებში თაფლის წარმოება შემცირდა 46%-ით, 110 ათასი ტონიდან 59,4 ათას ტონამდე. 2011 წელს წარმოებამ შეადგინა 65 ათასი ტონა. 2012 წელს კვლავ გვალვა იყო, რის გამოც წარმოება ვერ გაიზარდა. მიუხედავად პრობლემებისა, ექსპორტი ბელგიაში, საფრანგეთში და იტალიაში სტაბილური დარჩა. არგენტინული თაფლის ექსპორტში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა აშშ-მა. აშშ არგენტინის თაფლს ყიდულობს საცალო ვაჭრობისთვის.

მექსიკა თაფლის ერთერთი მნიშვნელოვანი ექსპორტიორია. მექსიკურ თაფლს მოიხმარს ძირითადად ევროკავშირი. 2006-2011 წლებში მექსიკური თაფლის ექსპორტი გაიზარდა 27%-ით, 12,4 ათასი ტონიდან 15,7 ათას ტონამდე. 12 ათას ტონას დაახლოებით ყიდულობს გერმანია, დანარჩენს – დიდი ბრიტანეთი და სხვა ქვეყნები.

ეთიოპია თაფლის ყველაზე მსხვილი მწარმოებელი და ექსპორტიორია აფრიკის ქვეყნებს შორის. მის თაფლს ძირითადად მოიხმარს მეზობელი სუდანი. 2011 წელს სუდანში ეთიოპის თაფლის ექსპორტმა შეადგინა 531 ტონა. მეორე მსხვილი მომხმარებელი ნორვეგია. 2006-2011 წლებში ნორვეგიაში ექსპორტი გაიზარდა 40 ტონიდან 121 ტონამდე. 45 ტონამდე ეთიოპიურ თაფლს მოიხმარს დიდი ბრიტანეთი, 21 ტონას – საუდის არაბეთი, 14 ტონას – იემენი, მცირე რაოდენობით – კუვეიტი.

აფრიკის ქვეყნები მცირე რაოდენობით თაფლის ექსპორტს ახორციელებენ აშშ-შიც.

მეფუტპრეობის კიდევ ერთი პროდუქტი, რომელიც ასევე დიდი პოპულარობით სარგებლობს **სანთელია**. ცნობილი ქართველი მეფუტპრის აპოლონ წულაძის აზრით, სანთელი ორგანული ნივთიერებაა, გამომუშავდება მუშა ფუტკრის სხეულში, გამოიუნავს მწერის მუცელზე არსებული ზოლებიდან რვა ადგილას და გამოიყენება ფიჭის ასაშენებლად. სანთელი ცხიმოვანი ნივთიერებაა, ნულ გრადუსზე მაგრდება, +25 გრადუსზე რბილდება და იღვნება, +66 გრადუსზე სითხედ იქცევა, +80 გრადუსზე დუღდება, +300 გრადუსზე კი ორთქლდება; ახალ სანთელს გემო არა აქვს, უკვამლოდ იწვის და განსაკუთრებით სასიამოვნო სურნელი ახლავს; წმინდა სანთელი შეიცავს ნახშირბადს (82%), წყალბადს (13%) და ჟანგბადს (5%).<sup>2</sup>

წიგნში „ფუტკრის ბიოლოგია და მოვლა-პატრონიბა“, აგტორი, ბიოლოგის მეცნიერებათა დოქტორი ვენერა სტეფანიშვილი<sup>3</sup> წერს, რომ ფიჭის ძირითადი საშენი მასალა ცვილი და დინდგელია. ცვილი და ფუტ-

<sup>1</sup> Мировой рынок меда. <http://wwwapiworld.ru/stati/>

<sup>2</sup> წულაძე ა., ფუტკარი და მეფუტპრეობა, თბ., „განათლება“, 1965, გვ. 34-37

<sup>3</sup> სტეფანიშვილი ვ., ფუტკრის ბიოლოგია და მოვლა-პატრონიბა, თბ., „პოლიგრაფისტი“, 2013, გვ. 471-490.

კრის საცილე ჯირკვლებში გამომუშავებული პროდუქტია; ახალ ცვილს თეთრი ფერი აქვს, დაძველებულს და ჩრჩილისგან დაზიანებულს მუქი; ახალ ცვილს თაფლის და ლინდგელის სასიამოვნო სუნი აქვს, ძველს ცუდი სუნი უდის; ცვილში შედის 284-მდე კომპონენტი. 50-მდე მას არომატს აძლევს; წარმოშობის მიხედვით არჩევენ ცხოველურ, მცენარეულ, მინერალურ და სინთეტიკურ ცვილს; ცხოველურ ცვილს მწერები გამოიმუშავებენ, მცენარეულს იღებენ მცენარეთა ფოთლების ჩამოფხეკის გზით, მინერალურს – მ.შ. პარაფინს ნავთობისა და ქვანახშირის დამუშავებით, სინთეტიკურს სხვადასხვა ბუნებრივი პროდუქტების ორგანული სინთეზის გზით; ცვილი ლინდგელზე მსუბუქია, გალღვობისას ცვილი მოდის ზემოთ, დინდგელი იღებება; ცვილის ხარისხს და პირველს, მეორეს მესამეს, განსაზღვრავს მისი შეფერილობა. ლინდგელი-პროპოლისი წებოვანი, მუქი მომწვანო მოყვითალო ყავისფერია; აქვს მომწარო გემო და სპეციფიკური სუნი. ცვილით ფუტკრები აშენებენ ფიჭას, რომლის უკრედებსაც დინდგელით ამოაპრიალებენ. ფიჭის გადამუშავებით მზადდება სანთელი.

ცვილს ფუტკარი სხვადასხვა სახის ყვავილებისა და მცენარეებისგან ამზადებს, რაც სიმბოლურად გამოხატავს ყველა მორწმუნე ადამიანის ერთ ეკლესიად შეკრებასა და ლვთაებრივ ცეცხლად ანთებას, აგრეთვე, ყველა ქმნილების მიერ ღმერთისადმი მიძლვილ ძრვებს ცვილის სირბილე და მოქნილობა სინაწულის, ღმერთისადმი მორჩილებისათვის მზადყოფნის გამოხატულების ფორმაა, ხოლო სანთელის სისუფთავე კი მისი შემომწირველის სისუფთავისა და წაუბილწაობის გამოხატულებაა;<sup>1</sup>

დავით ტეფანაძის და ლუკა ხუნდაძის თარგმანში – „საეკლესიო სანთელის ისტორია და მისი მნიშვნელობა“,<sup>2</sup> ვკითხულობთ: საეკლესიო სანთელი დ მორწმუნე ადამიანის ლოცვის სიმბოლოა. იგი მზადდება ცვილისაგან, ყველაზე სუფთა და კეთილსურნელოვანი ნივთიერებისაგან. იგი ნიშნავს სიწმინდეს და სიწრფელეს ჩვენი შესაწირავისა დმრთისადმი. ყოველი საეკლესიო ღმერთის შახურება სრულდება ანთებული სანთლებისა და კანდელების ფონზე. ანთებული სანთლები ტაძარში არის ასევე გამოხატულება მღოცელთა კეთილქრძალვისა და ჰკლების სულიერი დღესასწაულისა. სანთელი თავისი წვით გვახსენებს დაუდამებელ ნათელს, რომელიც ცათა სასუფეველში განამზარულებს მართალთა სულებს, რომლებიც ამ ქვეყნად სათნა-დევნებულ ღმერთს. დიდი რაოდენობით სანთლების ანთება ნიშნავს არა მარტო მათ გამოყენებას გასანათებლად, არამედ მათ სულიერ მნიშვნელობაზე მეტყველებს. ანთებული სანთელი სიმბოლოა ჩვენი ძლიერი და მარადიული სიყვარულისა დმრთისადმი. მეშვიდე საეკლესიო კრების მამები ადგენენ, რომ „...მართლმადიდებელ ეკლესიაში წმ. ხატებს, წმ. ნაწილებს, ქრისტეს ჯვარს, წმ. სახარებას მიეგება პატივი საკმეველის კმევით და სანთელის ანთებით“.

საეკლესიო სანთელის გარეშე წარმოუდგენელია საეკლესიო რიტუალები.

მათეს სახარების მიხედვით ქრისტიანები ლოცვის დროს და სადღასასწაულო სუფრაზე ან გაჭირვებისას სახლში ანთებენ სანთელს.

სანთელს რამდენიმე სიმბოლური მნიშვნელობა აქვს. მათ შესახებ მთავარეპისკოპოსი ნიკოლოზი ბრძანებს;<sup>3</sup>

– ვიხედით რა სანთელის საფასურს, ჩვენი შრომის ნაწილს შევწირავთ ღმერთს და მის საყდარს ნებაყოფილობით;

– ანთებული სანთელი მიწიერი ადამიანის ახალ ქმნილებად გარდაქმნის სიმბოლოა, ღმრთის სიყვარულის და მისი უსაზღვრო მადლის მეშვეობით. ადამიანის ამქვეყნიური სიცოცხლე უნდა წაგავდეს ანთებულ სანთელს, რომელიც თვითონ იწვის და სხვას გზას უნათებს;

<sup>1</sup> მთავარეპისკოპოსი ნიკოლოზი, წესი ქრისტიანის ცხოვრებისა, თბილისი, 1958.

<sup>2</sup> დავით ტეფანაძისა და ლუკა ხუნდაძის თარგმანი „საეკლესიო სანთელის ისტორია და მისი მნიშვნელობა“, თბ., 2005, [http://www.orthodoxy.ge//]

<sup>3</sup> მთავარეპისკოპოსი ნიკოლოზი, წესი ქრისტიანის ცხოვრებისა, თბილისი, 1958.

- სანთელი სიმხურვალის გამო დწება და იკარგება. ასე იფერფლება ჩვენი მიწიერი ცხოვრებაც, უამ-თა სიავის გამო. ზოგიერთი ჩვენგანის ცხოვრება უკვალოდ ქრება, ზოგიერთისა კი – ანათებს, სითბოს იძლევა და ცამდე მაღლდება, სადაც ჭეშმარიტი სიმდიდრე ელოდება თავის მფლობელს;
- ანთებულ სანთელს უნდა ბაძავდეს ყველა მორწმუნე, მისი ყველა ფიქრი, სიტყვა და საქმე გამოტანილი უნდა იყოს სააშკარაოდ წინაშე ღმრთისა და უნდა ეძღვნებოდეს მხოლოდ მას.

**Iza Natelauri**

## **Honey and Candle**

### **R e s u m e**

There are analyzed in the paper from two products of beekeeping, world production and world market for honey, purpose and importance for candle. The existing tendency and expected changes in the world production of honey are mostly studied on example of Asian and European countries. The church candle is accentuated in reference to the candle, its historical meaning and purpose.

## ოქროს გიპლიშრი გააზრების შესტაციისათვის

ოქრო უხსოვარი დროიდან იპყრობს ადამიანთა ყურადღებას. იგი ასრულებდა ფულის ფუნქციას ხან-გრძლივი პერიოდის განმავლობაში. ადამიანები ოქროს იყენებდნენ როგორც სიმდიდრის დაგროვების ერთ-ერთ ყველაზე საიმედო საშუალებას და დღესაც ძალიან დიდია ამ კეთილშობილი ლითონის დაგროვებისადმი მისწრავება. ოქრო დღემდე ინარჩუნებს ეკონომიკური თვალსაზრისით სარეზერვო აქტივის ფუნქციას. 2011 წლის შეფასებით, მსოფლიოში მოპოვებული ოქროს მარაგი შეადგენს სულ 171 300 ტონას.<sup>1</sup> მსოფლიო ოქროს საბჭოს მონაცემები<sup>2</sup> 2015 წლის მარტისთვის ამერიკის შეერთებული შტატები ფლობდა მსოფლიო ოქროს ყველაზე დიდ მარაგს – 8 133,5 ტონას. ოქროს წილი აშშ-ის საერთაშორისო რეზერვებში 74,0%-ია. მეორე ადგილზე გერმანია 3 384,2 ტონით. ოქროს წილი მის საერთაშორისო რეზერვებში 68,7%-ია. მესამე ადგილზეა საერთაშორისო სავალუტო ფონდი. იგი ფლობს 2 814 ტონას. ოქროს მარაგების ფლობისა და სახელმწიფოს საერთაშორისო რეზერვებში ოქროს წილის მიხედვით მსოფლიოს პირველი ათეულის მომდევნო ქვეყნებია: იტალია (მე-4 ადგილი) – 2 451 ტონა; ოქროს წილი მის საერთაშორისო რეზერვებში 67,7%-ია; საფრანგეთი (მე-5 ადგილი) – 2 435,4 ტონა; წილი – 66,7%; რუსეთი (მე-6 ადგილი) – 1 237,9 ტონა; წილი – 13,3%; ჩინეთი (მე-7 ადგილი) – 1 054,1 ტონა; წილი – 1,0%; შვეიცარია (მე-8 ადგილი) – 1 040 ტონა; წილი – 7,7%; იაპონია (მე-9 ადგილი) – 765,2 ტონა; წილი – 2,5%; ნიდერლანდების სამეფო (მე-10 ადგილი) – 612,5%; წილი – 57,2%. ევროპის ცენტრალური ბანკი 504,8 ტონას ფლობს (მე-13 ადგილი) და მის საერთაშორისო რეზერვებში 27,6% ოქრო. საქართველოს ცენტრალური ბანკის ანგარიშის მიხედვით, ასევე, საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემების მიხედვით<sup>3</sup>, საქართველოს საერთაშორისო რეზერვებში ოქრო არ აქვს (და ეს „ოქროს საწმისის“ ქვეყანაში?!). როგორც მოტანილი მონაცემები მოწმობს, ოქრო დიდ ადგილს იკავებს მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების საერთაშორისო რეზერვებში, რამაც მათ საჭიროების შემთხვევაში საგადასახდელო დისბალანსების აღმოფხვრის საშუალება უნდა მისცეს. მიუხედავად იმისა, რომ მცურავი კურსების საერთაშორისო სავალუტო სისტემის შემოღების შემდეგ ოქრომ ჩვეულებრივ სასაქონლო ბაზარზე გადაინაცვლა და თანამედროვე სისტემა ვალუტათა ოქროს შემცველობას აღარ ეფუძნება, ოქრო კვლავ რჩება უმნიშვნელოვანეს ლიკვიდურ აქტივად, რომლის ფლობაც სახელმწიფოს გადახდისუნარიანობის განსაზღვრის ერთ-ერთი კრიტერიუმია. ალბათ არც არის გასაკვირი, რომ 2008 წლის საფინანსო-ეკონომიკური კრიზისის შემდგომ პერიოდში არაერთხელ გაიჟდერა ოქროს სტანდარტზე დაბრუნების იდეამ.

შეიძლება ითქვას, რომ კაცობრიობას ჯერ არ გაუცია ცალსახა პასუხი კითხვაზე: რას წარმოადგენს ოქრო, რომელიც უმნიშვნელოვანეს ქმნილებად იქცა ადამიანთა და სახელმწიფოთა ცხოვრებაში. იგი არაერთი მეცნიერის შესწავლის ობიექტად და არაერთი შემოქმედის შთაგონების წყაროდ იქცა უძველესი დროიდან. მის განსაკუთრებულ როლს აღიარებულ რიგი მეცნიერ-ეკონომისტებიც. ეკონომიკის თეორიაში ოქრო გვხვდება ფულის არსის, მერკანტილიზმის ეპოქის, საერთაშორისო სავალუტოს სისტემის ევოლუციის, საერთაშორისო რეზერვების და ა.შ. შეწავლა-გაანალიზებისას. მიუხედავად ოქროს შესახებ არსებული მრავალი გამოკვლევისა, დღემდე ამოუცნობ ფენომენად რჩება მისი საწყისები. ერთ-ერთი სტაციონარული უს დროს უწმინდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ დედაზე საუბრისას აღნიშნა, რომ ბავშვობაში დედამ ასე მიმართა: „შენ ხომ ჩემი ოქრო ხარ...“ გარკვეულწილად ამ ფრაზამ ბიძგი მისცა ჩემს ინტერესს, შემესწავლა ოქროს ბიბლიური საწყისი და დავკვირვებოდი მის კავშირს ეკონომიკურ შინაარსთან. ჩემი მცდელობის მიუხედავად ამ კუთხით ქართულ ენაზე არსებულ

<sup>1</sup> <http://minerals.usgs.gov/minerals/pubs/commodity/gold/myb1-2011-gold.pdf>

<sup>2</sup> <https://www.gold.org/research/latest-world-official-gold-reserves>

<sup>3</sup> <http://www.imf.org/external/np/sta/ir/IRProcessWeb/data/geo/eng/curgeo.htm>

რაიმე ნაშრომს ვერ მივაკვლიე. საკითხის შესწავლისას დავყრდენით ქართულ ენაზე 2013 წელს გამოცემლობა „პალიტრა L“-ის მიერ გამოცემულ ბიბლიას, რომელიც მომზადებულია 2009 წელს საქართველოს საპატრიარქოს მიერ გამოცემული „ბიბლიის“ ტექსტის მიხედვით; მხოლოდ სახარებების ნაწილში ავიღეთ დაზუსტებული ტექსტი – წმიდა სახარება, ოთხთავი, მეორე გამოცემა, საქართველოს საპატრიარქო, თბილისი, 2012. დიდი დახმარება გაგვიწია ბიბლიის ლექსიკონმა (მასალები), II ტომი, „მთაწმინდა“, თბილისი, 2009 და ინტერნეტ-სურსებმა <http://www.orthodoxy.ge>.

ნაშრომში წარმოდგენილია ოქროს ბიბლიური გააზრების საკითხის შესწავლის მცდელობა, ამოკრებილი და დაჯგუფებულია ოქროსთან მიმართებები. ეს საკმარის ვრცელი მასალა სცდება საკონფერენციო თეზისების ფორმატს, რაც, აღბათ ცალკე დაიბეჭდება. ბიბლიაში ოქრო დაახლოებით 200 თავშია მოხსენიებული. შესწავლილი მასალის საფუძველზე მოცემულია ზოგიერთი მოსაზრება იმის შესახებ, თუ ძირითადად რა კონტექსტი უდევს ოქროს მოხსენიებას ბიბლიაში.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ბიბლიაში ოქროს ხსენებისას უკვე იგულისხმება, რომ იგი არსებობს. უფრო ხშირად მოხსენიებულია ძველ აღთქმაში. იგი გვხვდება როგორც უმაღლესი შესაწირავი უფლისათვის, როგორც მასალა სხვადასხვა ნაკეთობათა დასამზადებლად; როგორც გადახდის საშუალება; როგორც სულიერი დაცემისა და ამავე დროს სულიერი ამაღლების გამოხატვის საშუალება და სხვა. აი, რამდენიმე მაგალითი:

### ა) ოქრო როგორც შესაწირავი და გადახდის საშუალება

უფალი მოსეს მიმართავს აუკრიფონ შესაწირავი ყველასგან, ვისაც გული უთქვამს. აქ სხვა მრავალ საგანთა შორის უპირველესად მოხსენიებულია ოქრო, ვერცხლი და ბრინჯაო. „აი, შესაწირავი, რომელიც უნდა აკრიფონ მათგან: ოქრო, ვერცხლი და ბრინჯაო“ (გამ. 25,3)<sup>1</sup> როცა მოსემ შეკრიბა ისრაელიანების მთელი საზოგადოება, რათა ეცნობებინა, რისი გაკეთება ბრძანა უფალმა, გადასცემს უფლის მითითებას: გაიღეთ ძღვენი უფლისათვის; ყველამ თავისი გულუხვობით მიიტანოს საუფლო ძღვენი – ოქრო, ვერცხლი და სპილენძი, (გამ. 35,5); მიდიოდნენ მამაკაცები და დედაკაცები, გულუხვობით მიჰქონდათ დასამშვენებელი რგოლები, საყურები, ბეჭდები, ყელსაბამები, ყოველგვარი ოქროს ნივთი; თითოეულს თავისი წილი შესაწირავი ოქრო მიჰქონდა უფლისათვის (გამ. 35,22). აღსანიშნავია, რომ ეს შესაწირავი გამიზნული იყო იმ საქმის კეთებისთვის, რისი გაკეთებაც ბრძანა უფალმა მოსეს პირით.

როცა მოსემ სავანის გამართვა დაასრულა, ზეთი სცხო და აკურთხა, ისრაელის თავკაცებმა მიიტანეს შესაწირავი უფლის წინაშე. მათ შორის 12-ჯერ შესაწირავში მოხსენიებულია „ათშეებულინ ერთი ოქროს თასი, საკმევლით სავსე“ (რიცხ. 7,14; 7,20; 7,26; 7,32; 7,38; 7,44; 7,50; 7,56; 7,62; 7,68; 7,74; 7,80). შევამებაშიც შესაბამისად აღნიშნულია „თორმეტი ოქროს თასი, საკმევლით სავსე; თითოეული თასი – ათ-შეებულიანი (საწმიდარის შეკელით). თასების მთელი ოქრო – ასოცი შეკელი“ (რიცხ. 7,86).

პირველი ეზრას მიხედვით: გამოვყავი მღვდლების უფროსებიდან თორმეტი კაცი – შერებია, ხაშაბია და მათთან ერთად ათი კაცი მათი მმებიდან (პირველი ეზრა, 8,25) და წონით ჩავაბარე მათ ოქრო-ვერცხლი და ჭურჭელი, ჩვენი ღმერთის სახლისადმი შეწირული, რომელიც მეფემ, მისმა მრჩევლებმა, მთავრებმა და ყველა იქ მყოფმა ისრაელიანმა შესწირეს ჩვენი ღმერთის სახლს. (პირველი ეზრა, 8,25); წონით ჩავაბარე ხელში: ექვსას ორმოცდათი ქანქარი ვერცხლი და ასი ქანქარი ვერცხლის ჭურჭელი, ოქრო ასი ქანქარი (I ეზრა, 8,26); ოცი ათასდრაქმიანი ოქროს თასი და ბრწყინვალე სპილენძის ორი საუკეთესო ჭურჭელი, რომელთაც ოქროს ფასი აქვთ (I ეზრა, 8,27); ვუთხარი მათ: თქვენ წმიდა ხართ უფლისათვის და ჭურჭელიც წმიდაა; ვერცხლი და ოქრო ნებაყოფლობითი შეწირულობაა უფლის, თქვენი მამა-პაპის ღმერთისაღმი (I ეზრა, 8,28); ფხიზლად იყავით და გაუფრთხილდით, სანამ წონით ჩაბარებდეთ მღვდლების უფროსებს, ლევიანებს და ისრაელის მამისსახლთა უფროსებს იერუსალიმში, უფლის სახლის საგანმურში (I ეზრა, 8,23); ჩა-

<sup>1</sup> ბიბლია, პალიტრა L, თბ., 2013;

იბარეს მღვდლებმა და ლევიანებმა აწონილი ოქრო-ვერცხლი და ჭურჭელი, ჩვენი ღმერთის სახლში წასაღებად, იერუსალიმში (I ეზრა, 8,23) და ა.შ. საყურადღებოა მიღება-ჩაბარებისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება, რაც მოწესრიგებული ეკონომიკური ცხოვრების განუყოფელი ნაწილია.

შესაწირავის სხვა მაგალითი გვხვდება მოლაშქრეების მიერ ნაალაფარის გადაცემისას (ძველი აღთქმა, რიცხვი, თავი 31): უთხრა ელეაზარ მღვდელმა მოლაშქრეებს, რომლებიც ომში იყვნენ ნამყოფნი: ეს არის რჯულის კანონი, რომელიც ნაანდერძევი აქვს უფალს მოსესთვის (რიცხვ. 31,21); შემოგვიწირავს საუფლო შესაწირავი, თითოეულმა რაც იპოვა ოქროს ნივთებიდან – სალტები და სამაჯურები, ბეჭდები, საყურები და ყელსაბამები, ჩვენი სულის განსაწმედად უფლის წინაშე (რიცხვ. 31,50); ჩაბარეს მოსემ და ელეაზარ მღვდელმა მათგან ოქროულობა, ყველა ის სამკაული (რიცხვ. 31,50); მთელი ოქრო, რომელიც ძღვნად მიუტანეს უფალს ათასისთავებმა და ასისთავებმა, იყო სულ თექვსმეტი ათას შვიდას ორმოცდაათი შეკელი (რიცხვ. 31,50); მიიღეს მოსემ და ელეაზარ მღვდელმა ოქროულობა ათასისთავებისგან და ასისთავებისგან და შეიტანეს სადღესასწაულო კარავში ისრაელიანთა სამახსოვროდ უფლის წინაშე (რიცხვ. 31,50).

ოქრო გადახდის საშუალებად მოაზრებულია იესოს მიერ თორმეტი მოწაფის გაგზავნისას (წმიდა სახარება, მთ. 10, 8-10; მ. 6,7 – 13; ლ. 9,1 – 6), როდესაც დაუბარა მოწაფეებს: უძლურნი განკურნეთ, მკვდრები აღადგინეთ, კეთროვანები განწმინდეთ, ეშმაკები განდევნეთ; უსასყიდლოდ მიგიღიათ, უსასყიდლოდ გაცით (მთ. 10, 8); ნუ გექნებათ ოქრო, ნურც ვერცხლი, ნურც რვალი თქვენს სარტყლებში, (მთ. 10, 9)<sup>1</sup> ნურც აბგა გზაში, ნურც ორი პერანგი, ნურც სამლი, ნურც კვერთხი, რადგან დირსია მუშაკი თავისი საზრდოსი (მთ. 10, 10).

### ბ) ოქრო, როგორც მასალა

როცა უფალი მოსეს მითითებებს აძლევს კიდობნის გაცემებისას, საკმაოდ ხშირად გვხვდება ოქროს გამოყენების აუცილებლობა „ხალასი ოქროთი მოჭედე შიგნიდან და გარედან და ოქროს გვირგვინი შემოავლე ირგვლივ“ (გამ. 25,11); „ოთხი ოქროს რგოლს ჩამოასხი და ოთხსავე კუთხეში მოუმაგრე: ორი რგოლი ერთ მხარეს, ორი რგოლი მეორე მხარეს“ (გამ. 25,12); „გამოთალე კეტები ურთხელისაგან და ოქროთი მოჭედე“ (გამ. 25,13); „გაუკეთებ სახურავს ხალასი ოქროსგან, სიგრძე ორნახევარი წყრთა იქნება, ერთნახევარი წყრთა – სიგანე“ (გამ. 25,17); „ოქროსგან გამოჭედავ ორ ქერუბიმს და სახურავის ორსავე კიდეზე დაამაგრებ“ (გამ. 25,18). აქვე უფალი ეუბნება მოსეს, რომ მოევლინება „ორ ქერუბიმს შორის, მოწმობის კიდობანზე“. ანუ, მოევლინება ოქროს ქერუბიმებს შორის. ასევე, ოქროთი ნივთების შემკობასთან დაკავშირებით მიუთითებს: გააკეთებ ტაბლას ურთხელისაგან... (გამ. 25,23) წმინდა ოქროთი მოჭედავ მას და ირგვლივ ოქროს გვირგვინს შემოავლებ“ (გამ. 25,24); „ერთი მტკაველი სიმაღლის კედელი გაუკეთე ირგვლივ და ოქროს გვირგვინი შემოავლე კედელს“ (გამ. 25,25); „ოთხი ოქროს რგოლი გაუკეთე და ოთხსავე კიდეზე ოთხსავე ფეხთან მიუმაგრე“ (გამ. 25,26); „გამოთალე კეტები ურთხელისაგან და ოქროთი მოჭედე; მათი მეშვეობით ატარონ ტაბლა“ (გამ. 25,28); „გააკეთე მისთვის თეფშები, კოვზები, თასები და საღვრელის დასაღვრელი სამწდეოები; ხალასი ოქროსგან გააკეთე“ (გამ. 25,28); „გააკეთე სასანთლები ხალასი ოქროსგან; ნაჭედი უნდა იყოს სასანთლე; მისი ღერო, რტოები, ჯამები, კვირტები და ყვავილები გამობურცული უნდა იყოს“ (გამ. 25,31); „მათი კვირტები და რტოები ერთიანი უნდა იყოს. ერთიანად უნდა იყოს ნაჭედი მთლიანი ხალასი ოქროსაგან“ (გამ. 25,36); „მაშები და აქანდაზები ხალასი ოქროსაგან გააკეთე“ (გამ. 25,38); „ერთი ქანქარი ხალასი ოქროსაგან გააკეთონ იგი მთელი ამ მოწყობილობითურთ“ (გამ. 25,39); გააკეთე ორმოცდაათი ოქროს კაუჭი და შეკარი კაუჭებით ნაჭრები, რომ სავანე მთლიანი გამოვიდეს. (გამ. 26,6); გააკეთე ჩამოსაფარებლისთვის ხუთი სვეტი ურთხელისგან და ოქროთი მოჭედე, კაუჭები ოქროსი იყოს. ხუთი სპილენძის ფეხი ჩამოასხი მათთვის (გამ. 26,37).

<sup>1</sup> წმიდა სახარება, ოთხთავი, მეორე გამოცემა, საქართველოს საპატრიარქო, თბ., 2012;

პირველი ნეშტთას თავი ოცდამერვეს მიხედვით: მისცა დავითმა სოლომონს, თავის ქებების გეგმა კარიბჭისა, მისი სახლებისა, განმთხაცავებისა, ქორეფებისა, შიდა ოთახებისა და კიდობნის სახლისა. ასევე ყველაფრის გეგმა, რისი გაკეთებაც გულში ჰქონდა: უფლის სახლის ეზოებისა, ირგვლივ განლაგებული ყველა ოთახის, ღვთის სახლის საგანძურისა და შემოწირულობათა საგანძურისა, (1 ნეშტ. 28,12); მღვდელთა და ლევიანთა დასებისა, უფლის სახლის სამსახურის ყველა საქმისა, უფლის სახლის სამსახურისთვის საჭირო ყველა ჭურჭლისა, (1 ნეშტ. 28,13) ოქროულობა, ოქროს წონით, ყველა სამსახურებელი ჭურჭლისთვის, ვერცხლის ყველა ჭურჭლისთვის, წონით ერთად, ყველა სამსახურებელი ჭურჭლისთვის (1 ნეშტ. 28,14); წონა ოქროს სასანთლებისა და მისი ოქროს ლამპრებისა, თითოეული სასანთლისა და ლამპრის წონასთან ერთად; ასევე ვერცხლის სასანთლების, მისი სასანთლებისა და ლამპრების წონასთან ერთად, როგორც თითოეული სასანთლის სამსახურის წესია (1 ნეშტ. 28,15) და ა. შ.

მღვდლის შესამოსელის გაკეთების მითითებისას (ძველი აღთქმა, გამოსვლა, თავი 28 – უთხარი ყველა გულბრძენ კაცს, რომელიც მე ავავსე სიბრძნის სულით, გაუწყონ შესამოსელი აარონს, რომ ჩემს მღვდლად იქურთხოს იგი) ასევე მრავლად გვხვდება ოქროს, როგორც ხალასი ლითონის, გამოყენების აუცილებლობა: აი, შესამოსელი, რომელიც მათ უნდა გაუწყონ: სამკერდული, ეფოლი, წამოსასხმი, ნაქსოვი კვართი, თავსაბურავი და სარტყელი. გაუწყონ წმიდა შესამოსელი შენს ძმას აარონს და მის შვილებს, რომ მღვდლობა გამიწიონ მე (გამ. 28,4); აიღონ ოქრო, ლურჯი, ძოწისფერი და ჭიათური ქსოვილი და სელი (გამ. 28,5); გააკეთონ ეფოლი ოქროსფერი, ლურჯი, ძოწისფერი და ჭიათური ქსოვილისგან და გრეხილი სელისაგან ოსტატურად (გამ. 28,6); მისი სარტყელი იმგვარადვე ნახელავი უნდა იყოს – ოქროსფერი, ლურჯი, ძოწისფერი და ჭიათური ქსოვილისგან და გრეხილი სელისაგან გაკეთებული (გამ. 28,8) და ა.შ. შესამოსელი გვირგვინდება ოქროს ჯილი: გააკეთე ხალასი ოქროს ჯილა და ამოტვიფრე მასზე ბეჭდის ტვიფარით: სიწმიდე უფლისათვის (გამ. 28,36). შემდეგ, უკვე, როცა გაკეთებულია ჯილა: გააკეთა ჯილა – სიწმიდის გვირგვინი – ხალასი ოქროსაგან და ამოტვიფრა მასზე წარწერა, როგორც ბეჭდეზე: უფლის სიწმიდე. (გამ. 39,30). სხვა შემთხვევაში ოქრო, როგორც მასალა გამოიყენება შუალედური პროდუქტის დასამზადებლად: გაგლინეს ოქროს ფირფიტები და ძაფებად დაჭრეს, რომ დაეტნიათ ლურჯ, ძოწეულ და ჭიათურ ქსოვილსა და სელს შორის (გამ. 39,3); აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ შემთხვევაში მინიშნებულია „ხალასი ოქრო“, ზოგიერთ შემთხვევაში – უბრალოდ – ოქრო.

მეორე უკიდურესობასაც უნდა მივაქციოთ ყურადღება. ერთი მხრივ, ოქრო, კეთილშობილი ლითონი, განსაკუთრებით ხალასი ფორმით (ზოგჯერ იგი „ოფირის“ ოქროს სახელწოდებითა მოხსნიებული), გამოიყენება როგორც ყველაზე სუფთა მასალა უფლის სიწმიდის გამოსახატად, მაგრამ იგი შეიძლება კერპადაც იქცეს. მაგალითად, დანიელ წინასწარმეტყველი (თავი 3) აღნიშნავს: გააკეთა მეფე ნაბუქოდონისორმა ოქროს კერპი, სამოცი წყორთის სიმაღლისა და ექვსი წყორთის სიგანისა. დურას ველზე, ბაბილონის ქვეყანაში დადგა იგი როგორც კი საყვირის, სალამურის, ბობლის, სამბუკის, ქნარის, სტვირისა და ყველა სხვა სამუსიკო საკრავის ხმას გაიგონებთ, პირქვე უნდა დაემხოთ და თაყვანი სცეტ იმ ოქროს კერპს, მეფე ნაბუქოდონისორმა რომ აღმართა (დან. 3,5); მეფე, შენ განკარგულება გაეცი, რომ ყოველი კაცი, რომელიც კი საყვირის, სალამურის, სამბუკის, ქნარის, სტვირისა და ყველა სხვა სამუსიკო საკრავის ხმას გაიგონებდა, უნდა დამსობილიყო და ოქროს კერპისთვის ეცა თაყვანი (დან. 3,10); მაგრამ არიან იუდაელნი, რომელთაც შენ ბაბილონის ქვეყნის საქმეები ჩააბარე – შადრაქი, მეშაქი და ყაბედ-ნეგო. მეფე, ეს ხალხი არ ემორჩილება შენს განკარგულებას. ისინი არც შენს ღმერთებს არ ემსახურებიან და არც იმ ოქროს კერპს სცემენ თაყვანს, შენ რომ აღმართე (დან. 3,12); მაუგო ნაბუქოდონისორმა და უთხრა მათ: შადრაქ, მეშაქ და ყაბედ-ნეგო, ნუთუ განზრახ არ ემსახურებით ჩემს ღმერთებს და თაყვანს არ სცემთ იმ ოქროს კერპს, მე რომ აღმართე? (დან. 3,14); ასე რომც არ მოხდეს, იცოდე, მეფე, ჩვენ მაინც არ ვემსახურებით შენს ღმერთებს და თაყვანს არ ვცემთ იმ ოქროს კერპს, შენ რომ დადგი (დან. 3,18).

## გ) ოქროზე მუშაობა – საქმიანობის სახეობა

ერთი მხრივ, მოცემულია ოქროზე მუშაობა, როგორც საქმიანობის განსაკუთრებული სახეობა, რაზეც ზემოთჩამოთვლილი (ა) მაგალითები მიუთითებს; ამასთან, (ძველი აღთქმა, გამოსვლა, თავი 36) როდესაც ჩაიბარეს მოსესგან მთელი შემოწირულობა, რაც კი მოტანილი პქონდათ ისრაელიანებს საწმიდარისთვის განკუთვნილი ჭურჭლის გასაკეთებლად, მოვიდა ყველა ბრძენაცი, საწმიდარის ყოველგვარი საქმის მკეთებელი, თავ-თავისი საქმის მცოდნენი, ვის რისი გაკეთებაც შეეძლო. აქ ყურადღება უნდა მივაქციოთ ერთ წინაპირობას, რომელიც შედეგის მისაღბად შრომის დანაწილებასა და პროფესიონალიზმს გულისხმობს. ეკონომიკურ თეორიაში ეს მიდგომა სისტემატიზებული სახით კლასიკურ ეკონომიკურ მოძღვრებაშია მოცემული.

**ოქროზე მუშაობის ზოგიერთი მაგალითი:** გააკეთა ორმოცდაათი ოქროს კაუჭი და გადააბა ერთმანეთს ნაჭრები კაუჭებით, ისე რომ ერთი მთლიანი კარავი გამოვიდა. (გამ. 36,13); ძელები ოქროთი მოჭედა, რგოლები ოქროსგან გააკეთა, აგრეთვე ლარტყების ჩასაღმელები; ლარტყებიც ოქროთი მოჭედა (გამ. 36,34); გააკეთა ჩამოსაფარებელი ლურჯი, ძოწეული და ჭიაფერი ქსოვილისგან და გრეხილი ბისონისგან; ზედ ქერუბიმები ამოქარგა (გამ. 36,35); გაუკეთა მას ურთხელის ოთხი სვეტი ოქროს კაუჭებითურთ და ოქროთი მოჭედა; ჩამოასხა მათვის ოთხი ვერცხლის ფეხი. (გამ. 36,36); დაამზადა მოხატული ფარდა სავანის შესასვლელისთვის ლურჯი, ძოწეული და ჭიაფერი ქსოვილისგან და გრეხილი ბისონისგან, (გამ. 37,35) და ხუთი სვეტი კაუჭებითურთ; ოქროთი მოჭედა მათი თავები და სალტები, გააკეთა სპილენძის ხუთი ფეხი (გამ. 36,38).

თუმცა – ოქრომჭედლობა, როგორც ხელოვნების უნარი, ცალკე უნდა გამოიყოს. უთხრა მოსექმ ისრაელიანებს: უფურეთ, უფალმა მოუხმო სახელდებით ბეცალიელს, ძესა ურისა, ძისა ხურისა, იუდას შტოდან- (გამ. 35,30). აავსო იგი ღვთის სულით, სიბრძნით, გონებით, ცოდნით და ყოველი ხელოვნების უნარით (გამ. 35,31). რათა შეასრულოს ჩანაფიქრი, დაამუშაოს ოქრო, ვერცხლი და სპილენძი, (გამ. 35,32) გამოთალოს თვლები მოსაოჭავად და გამოახარატოს ხე, შექმნას ხელოვნური ნივთნი. (გამ. 35,33) გულში ჩაუდი სხვათა დამოძღვრის უნარი, მას და ოპოლიაბს, ახისამქის ძეს, დანის შტოდან (გამ. 35,34). ამ უკანსაკნელიდან საინტერესოა ის, რომ ოქროზე მომუშავეს დამოძღვრის უნარიც მისცა.

შემდეგ, როცა ბეცალიელმა გააკეთა ურთხელისგან კიდობანი, (გამ. 37,1), მოჭედა იგი ხალასი ოქროთი შიგნიდან და გარედან და ოქროს გვირგვინი შემოავლო გარშემო. (გამ. 37,2); ჩამოასხა მისთვის ოთხი ოქროს რგოლი, მის ოთხსავე კუთხეზე დასამაგრებელი: ორი რგოლი ერთ მხარეზე, ორი რგოლი მეორე მხარეზე. (გამ. 37,3); დაამზადა კეტები ურთხელისგან და ოქროთი მოჭედა. (გამ. 37,4); გააკეთა სახურავი წმიდა ოქროსაგან; სიგრძე ორწყოთანახევარი პქონდა, სიგანე – წყორთანახევარი (გამ. 37,6); გააკეთა ოქროს ორი ქერუბიმი; ოქროსაგან გამოჭედა ისინი; სახურავის ორსავე კიდეზე განალაგა. (გამ. 37,7); ხალასი ოქროთი მოჭედა და ოქროს გვირგვინი შემოავლო გარშემო (გამ. 37,11); ირგვლივ ერთი მტკაველი კედელი გაუკეთა და კედელსაც ოქროს გვირგვინი შემოავლო გარშემო (გამ. 37,12); ჩამოასხა მისთვის ოთხი ოქროს რგოლი და ოთხსავე კუთხეზე ოთხ ფეხთან დაამაგრა (გამ. 37,13); გააკეთა ურთხელის კეტები, ოქროთი მოჭედილი, ტაბლის სატარებლად (გამ. 37,15); გააკეთა ტაბლის ჭურჭელი: თეფშები, კოვზები, თასები და საღვრელის დასაღვრელი საწდეები ხალასი ოქროსგან. (გამ. 37,16); გააკეთა სასანთლე ხალასი ოქროსგან, ნაჭედი იყო სასანთლე; მისი ღერო, რტო, ჯამები, კოკრები და ყვავილები ერთიანი იყო (გამ. 37,17); მისი კოკრები და რტოები მისგანვე იყო ნაკეთები, მთლიანად ჭედური იყო ერთიანი ხალასი ოქროსი (გამ. 37,22); გაუკეთა შვიდი ლამპარი და მაშები და აქანდაზები ხალასი ოქროსაგან (გამ. 37,23); ერთი ქანქარი ხალასი ოქროსგან გააკეთა ისიც და მთელი მისი ჭურჭელი (გამ. 37,24); ხალასი ოქროთი მოჭედა იგი, მისი სახურავი, კედლები ორგვლივ და ოქები; ოქროს გვირგვინი მოავლო გარშემო (გამ. 37,26); ორი ოქროს რგოლი მიამაგრა ქვემოდან სალტეს ორსავე გვერდზე, ორსავე მხარეს კეტების გასაყრელად, რათა ეტარებინათ სამსხვერპლო (გამ. 37,27); დაამზადა კეტები ურთხელისგან და ოქროთი მოჭედა. (გამ. 37,28).

ასევე, ოქროზე მუშაობის მრავალსახეობაზე მიუთითებს წმინდა შესამოსელის დამზადება (ძველი აღ-თქმა, გამოსვლა, თავი 39). მაგალითად, დაამზადეს უფლიდი ოქროსგან, ლურჯი, ძოწეული და ჭიათური ქსო-ვილისგან და გრეხილი სელისგან (გამ. 39,2); მასზე შემოსარტყმელი ზონარი იმავე მასალისა და მსგავსი ნახელავი, ოქროსგან, ლურჯი, ძოწისფერი და ჭიათური მატყლის ქსოვილისგან და გრეხილი სელისგან, რო-გორც ნაბრძანები ჰქონდა მოსესთვის უფალს (გამ. 39,5); დაამუშავეს ოქროს ბუდეებში ჩასასმელი ონიქსის თვლები, რომლებზედაც ამოტვიფრული იყო ისრაელიანთა სახელები (გამ. 39,6) და ა. შ.

ოქრომჭედლობა, როგორც საქმიანობა, მოხსენიებულია პირველი ნეშტას ოცდამეცხრე თავში: უთხრა დავით მეფემ მთელ კრებულს: სოლომონი, ჩემი ძე, რომელიც უფალმა ამოირჩია, ნორჩია და სუსტი, ეს საქმე კი ძალზე დიდია, რადგან ეს შენობა კაცისთვის კი არ არის, არამედ უფლისთვის, ღვთისთვის (1 ნეშტ. 29,1); რაც კი შემეძლო ყველაფერი მოვამზადე უფლის სახლისთვის: ოქრო ოქროს ნივთებისთვის, ვერცხლი ვერცხლის ნაკეთობებისთვის, სპილენძი სპილენძისთვის, რკინა რკინულისთვის, ხე-ტყე ხე-ტყეს მასალისთვის, აგრეთვე ონიქსის ქვები, ბუდეებში ჩასმული ქვები, ღამაზი და ფერად-ფერადი ქვები, ყველანა-ირი ძვირფასი ქვები და მარმარილოს ლოდები უამრავი (1 ნეშტ. 29,2); ამასთან ერთად, ჩემი უფლის სახ-ლის საყვარულის გამო, მაქვს ოქროსა და ვერცხლის საუნჯე, რომელსაც ღვთის სახლს ვწირავ, ყოველივე იმის გარდა, რაც წმიდა სახლისთვის მაქვს მომზადებული (1 ნეშტ. 29,3); სამათასი ქანქარი ოქრო, ოფი-რის ოქრო, შვიდი ათასი ქანქარი გადამდნარი ვერცხლი, სახლის კედლების მოსაპირკეთებლად, (1 ნეშტ. 29,4) ოქროს ნივთებისთვის, ვერცხლის ნაკეთობებისთვის, ყველა საოქროჭჭდლო საქმისთვის. კიდევ ვინ შესწირავს დღეს უფალს სავსე ხელით? (1 ნეშტ. 29,5) და აქვე მინიშნებულია, რომ გაიღეს შესაწირავი ოქროს სახით.

#### დ) ოქრო, როგორც ღირებულების საზომი

წმინდა წერილი (შესწავლილი მასალის მიხედვით) ხშირად მიგვანიშნებს, რომ ოქრო ღირებულების საზომია, ეს ეხება როგორც ზნეობრივ, ისე ფიზიკურ ღირებულებებს. ფიზიკურ საზომად იგი ხშირად გამო-იყენება ვერცხლთან და სპილენძთან ერთად.

ზნეობრივი სიწმიდის საზომად კი მის გამოყენებას ადასტურებას ღირსების სადიდებლად ოქროს გვირ-გვინით შემცირა. სიბრძნე ზირაქ. 45,1); დაუდვა მას საუკუნო აღთქმა და ერის მღვდლობა ჩააბარა მას. აკურთხა იგი მშვენიერ სამო-სელში და შემოარტყა სარტყელი ღიდებისა. (სიბრძნე ზირაქ. 45,7); შემოსა იგი სანაქებო სრულყოფილებით და გამოაწყო მდიდრული სამოსელით: საწმერთულით, ტალავარით და ეფოლით. (სიბრძნე ზირაქ. 45,8); შე-მოარტყა მას ბურთულაკები და ოქროს მრავალი ექვანიც შემოავლო, რათა ფეხის გადადგმისას ხმები გამოე-ცათ და ტაძარში რეკვა ამტყდარიყო მისი ხალხის შვილებისთვის შესახსნებლად. (სიბრძნე ზირაქ. 45,9); შემოსა წმიდა სამოსით, ოქროთი ლურჯით და ძოწეულით – ნაქარგი ქსოვილით, მსჯავრის სიტყვით და ურიმითა და თუმიმით, ოსტატის ნახელავი მეწამული ქსოვილით (სიბრძნე ზირაქ. 45,10); პატიოსანი თვლე-ბით მოოჭვილი ბეჭდით ოქროჭჭდლის ნახელავ ოქროს ბუდეში, რომელზედაც სამახსოვროდ ამოკვეთილია წარწერები ისრაელის ტომთა რიცხვის მიხედვით (სიბრძნე ზირაქ. 45,11); თავსაბურავს ზემოთ ოქროს გვირგვინით ნიშნად სიწმიდის ბეჭდისა ღირსების საღიდებლად – ეს არის ქმნილება ზელოვნებისა და სამკა-ული, თვალებისთვის სანატრელი (სიბრძნე ზირაქ. 45,12).

თუმცა, იგი ვერ აღემატება უფლის სიბრძნის ღირებულებას. როგორც გაცხადებულია ფსალმუნნში: უმჯობესია ჩემთვის რჯული შენი ბაგისა, ვიდრე ათასი ოქრო და ვერცხლი (ფსალ. 118 (119),72); ამიტომ მიყვარ მცნებანი შენნი ოქროზე და ბაჯაღლოზე მეტად (ფსალ. 118 (119), 127).

**ოქრო, როგორც უმაღლესი ძლვენი მოგვებმა მიართვეს იესოს დაბადებისას გუნდრუკსა და მურთან ერთად. როგორც წმიდა სახარება გვამცნობს (თავი 2 – მოგვების მიერ ყრმა იესოს თაყვანისცემა): და შე-ვიდნენ რა სახლში, იხილეს ყრმა მარიამთან, მის დედასთან, დაეცნენ და თაყვანი სცეს მას; და გახსნეს თა-ვისი საგანმურები და მიართვეს მას ძღვენი: ოქრო, გუნდრუკი და მური (მთ. 2-11). ((გუნდრუკი – საკმევე-ლი) (მური – ნელსაცხებელი. გამოიყენებოდა მეფედ კურთხევისა და მიცვალებულთა გაპატიოსნების დროს)).**

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ოქრო შეიძლება კერპადაც იქცეს. ქრისტიანული დამოკიდებულების შესახებ წმიდა სახარება ნათელ მინიშნებას იძლევა იესოს მიერ ფარისეველთა და მწიგნობართა უკანასკნელ მხილებაში (მთ. 23; მკ12, 38-40; ლკ20,45-47): ვაი, თქვენ, წინამძღვარნო ბრმანო, რომლებიც ამბობთ: ვინც დაიფიცებს ტაძარს, არაფერია, ხოლო ვინც დაიფიცებს ტაძრის ოქროს, ვალდებულია (მთ. 23,16). როცა ვხედავთ ტაძრისათვის შეწირულ ოქროს, გარკვეულწილად ცხადი ხდება, რომ (პეტრე მოციქულის სიტყვებით) „რწმენის გამოცდა, გაცილებით უფრო ფასეულია ვიდრე გამოცდა ოქროსი, თავისი ხრწნადობის მიუხედავად ცეცხლში რომ გამოიცდება“ (1 პეტრ. 1,7). თითქოს ოქროს გზა – სიმდიდრის დაგროვებიდან უფლისთვის უმაღლეს შესაწირავამდე – უფალთან მიახლოების გზაა, რადგან იგი გარკვეულწილად ადამიანს განწმენდაში ეხმარება. ალბათ შემთხვევითი არაა ისიც, რომ ამ ლითონს კეთილშობილი (შობილი სიკეთის-თვის) დაუმტკიდრდა განსაზღვრებად.

დასასრულ, ჯერჯერობით ჩვენ მიერ შესწავლილი მასალის საფუძველზე შესაძლებელია გამოვკვეთოთ, რომ ოქრო ბიბლიაში მოიაზრება უმაღლესი შესაწირავის, გადახდის საშუალების, ღირებულების საზომის, სიმდიდრის დაგროვების საშუალებად და რაც მთავარია, სიწმინდის უმაღლესი გმოხატვის საშუალებად. თუმცა, როგორც ახალი აღთქმა მიგვანიშნებს (1 პეტრ. 1,18) ოქრო-ვერცხლი ხრწნადი საფასია და როგორც იესო ფარისევლებს და მწიგნობართ მიმართავს: უგუნურნო და ბრმანო, რა უფრო დიდია: ოქრო თუ ტაძარი, რომელიც განწმენდს ოქროს? (მთ. 23,17).

**Nino Papachashvili**

### **For studying the Biblical Understanding of Gold**

R e s u m e

Gold attracts people's attention from time immemorial. Gold performed the function of money for a long period of time. People used gold as one of the most reliable method to accumulate wealth. Even today it keeps the function of reserve assets in terms of economics. The aspiration of people to this metal is great for today. The paper presents the attempts of studying the biblical understanding of gold. References in relation to gold are extracted and grouped. There are given some considerations about what is the main context of mentioning the gold in the Bible.

ეპლუსიაზი მიმდინარე სამეცნიერო-განართვებლოგითი სარიანობისას  
ტაროვარების კასიური ანგარიშების შესახებ

ნაშრომში შევეცადეთ სიღრმისეულად წარმოგვეჩინა კვლევის საგანი, კერძოდ – „ეკლესიაში მოქმედი მმართველობითი სისტემები ადრექტისტიანულ და თანამედროვე პერიდში“. წმინდა წერილში იკვეთება ეკლესიის წიაღში სამეურნეო-მმართველობითი საქმიანობის პრინციპები. როდესაც ახლად დაარსებულმა ეკლესიაშ უძრავი ქონების მოპოვება და გარკვეული შემოსავლების მიღება დაიწყო, გაჩნდა დაგროვილი ქონების მართვის და სამეურნეო-მმართველობის წესის განსაზღვრის აუცილებლობა. საეკლესიო მეურნეობის მნიშვნელობაზე მეტყველებს ისიც, რომ თითქმის არცერთი საეკლესიო კრება არ შემდგარა, რომელსაც არ მიეღოს გადაწყვეტილება საეკლესიო მეურნეობის მართვის საკითხებზე. ქონება საეკლესიო და საერო კატეგორიებად ჯერ კიდევ მოციკლოთა ეპოქაში გაიმიჯნა.<sup>1</sup>

დღევანდში პერიოდში გამოყენებული ეკონომიკური ტერმინები – „აღრიცხვა“, „აღწერა“, „დავთარი“ და სხვა არაერთხელ გვხვდება შუა საუკუნეების საკანონმდებლო საერო და საქალესიო ძეგლებში. გრიგოლ ბაკურიანისძე „პეტრიწონის წესდებაში“ (თავი ოცდამეტექსე) მსჯელობს თანამდებროვე ტერმინებზე და იმის შესახებ, რომ იკონომოსი და დანარჩენი მსახურნი ანგარიშს აბარებენ წინამდღვარს, ხოლო წინამდღვარი (ფინანსურ ანგარიშს) ანგარიშს აბარებს მმათა საზოგადოებას.<sup>2</sup> დავით აღმაშენებლის ანდერძი შიომღვიმის სამონასტრო ლავრისადმი, წარმოადგენს სახელმწიფოსა და ელესიას შორის ურთიერთობის უმნიშვნელოვანებს სამართლებრივ ისტორიულ ძეგლს, სადაც ასახულია საქალესიო და საერო ცხოვრების ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა: ეკონომიკა, სასოფლო-სამეურნეო წარმოება, მართვა, საგადასახადო და საფინანსო საქმე, მოწყვალება და ქველმოქმედება და სხვა.

მოციქულთა დროს, ისე როგორც თანამედროვე პირობებში ეკლესიისადმი შესაწირი (ეკლესიის შემოსავალი) ნებაყოფლობით ხასიათს ატარებს, რომლის ზომას, ფორმას, მოცულობას და პერიოდულობას თვით მორწმუნე განსაზღვრავს. შედეგად ჩამოყალიბდა სამი ძირითადი პრინციპი: შეწირვა ნებაყოფლობით, შეწირვა შესაძლებლობის მიხედვით და გადანაწილება საჭიროებათა შესაბამისად. ახლადდაარსებული ეკლესიის წევრები ერთსულოვნებითა და ურთიერთსიყვარულით ცხოვობდნენ. ბევრი მათგანი საკუთარ ქონებას სწირავდა ეკლესიას, მოციქულები კი შენაწირს ურთიგებდნენ მატერიალურად გაჭირვებულებს (ანუ ხდებოდა გადანაწილება საჭიროების შესაბამისად). მათ შორის ვინც საკუთარი ქონება გაყიდა, ახლადდაარსებული ეკლესიისათვის იხსენიება კვიპრელი ოსეკ, რომელსაც მოციქულებმა ბარნაბა უწოდეს (საქმე 4, 35-36), ასევე ლუკა მახარებელი ახსენებს ვინმე ანანია და მის ცოლს საფირას (საქმე 5, 1-6), რომელთა საქციელი მიუღებელი აღმოჩნდა ეკლესის „ერთობისთვის“, ამიტომ ეკლესიის ქონების არასწორი გადანაწილება, სამაგალითოდ უნდა დასჯილიყო (საქმე 5, 1-11). მოციქულები შემოწირულ ფულს ან მატერიალურ საშუალებებს სამართლიანობის დაცვით თანაბრად ანაწილებდნენ. მოციქულებს მათი მოწაფეებიც ეხმარებოდნენ და გარკვეული დროის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ელინი ებრაელთა ქვრივები შედარებით ნაკლებ დახმარებებს იღებდნენ, ვიდრე სხვა დანარჩენი მორწმუნები. იუდევლები მათ ათვალისწინებით უყურებდნენ განსაკუთრებით იმის გამო, რომ წმინდა წერილს არა მშობლიურ, არამედ ბერძნულ ენაზე კითხულობდნენ. ეკლესიაში შემოწირულობათა არასწორი განაწილების გამო მოციქულებმა მოწაფეთა კრება მოიწვიეს და გადაწყვიტეს შემოწირულობათა დარიგება სპეციალურად ამ საქმისთვის არჩეული ადამიანებისთვის მიენდოთ. კრებამ შვიდი მორწმუნე შეარჩია (რომელთა სახელებიც მათ ელინურ წარმოშობაზე მეტყველებს: **სტეფანე, ფილიპე, პროხორე, ნიკანორი, ტიმონი, პარმენი, ნიკოლაოსი**) და მოციქულებს წარუდგინა, რომელინიც ხელდას-

<sup>1</sup> დღეი რკულის კანონი. თბ., 2004. იხ. მოციქულთა 40-ე და 41-ე კანონები.

<sup>2</sup> იხ.: გეორგია, ბიზანტიული მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტ. 5. – ს. ყაუჩხიშვილი. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომკმლობა, თბ., 1963. გვ. 83-317.

ხმულ იქნენ და დიაკონები ეწოდათ. პირველდიაკონებს, გარდა შემოსავლის დარიგებისა, ღმრთის სიტყვის ქადაგების უფლებაც მიეცათ (საქმე 6,1-7).<sup>1</sup>

ეკლესიის სამეურნეო-მმართველობითი საქმიანობისას წარმოქმნილი პასიური ანგარიშების განხილვისას, ვიმსჯელებთ მცხეთა-თბილისის ეპარქიაში მოქმედ სამრევლო ეკლესიის შესახებ, სადაც ეკლესიის შემოსავლებთან ერთად წარმოიქმნება სავალდებულო გასავალთა (პასიური ანგარიშები) კატეგორიები. უნდა აღინიშნოს, რომ დღევანდელი აღრიცხვის სისტემა საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიაში განსაკუთრებულია და განსხვავდება თანამედროვე სისტემებისგან, სადაც მოქმედებს აღრიცხვის ერთიანი სივრცე და შემოსავალ-გასავლის აღრიცხვის ერთიანი სისტემა. ასევე, თანამედროვე მსოფლიოში მოქმედებს ანგარიშთა გეგმის აპრობირებული მეთოდები, რომელიც აადგილებს საჯარო ინფორმაციულობას და გამჭირვალეს ხდის ფინანსურ მონიტორინგს ეკლესია-მოსასტრებში.

ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის ყალიბდება ურთიერთობების ფორმები, რომლის დროსაც, სახელმწიფო მზადაა ითანამშრომლოს ეკლესიასთან საფინანსო-ეკონომიკური თვალსაზრისით, მეორე მხრივ, ეკლესია იღებს ვალდებულებას იქთიოს ურთიერთობა სახელმწიფოსთან, რათა არ დაირღვეს კონსტიტუციით გათვალისწინებული ვალდებულებები ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულების შესაბამისად. დღევანდელ პირობებში საქართველოს ეკლესია თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულების საფუძველზე, რომელიც მიღებულია საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის გაფართოვებული ადგილობრივი კრების მიერ 1995 წლის 18-19 სექტემბერს მცხეთაში, სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში.<sup>2</sup> მართვა-გამგეობის დებულების შესაბამისად წარმოიქმნება ფინანსური ვალდებულებები (გასავლის პასიური ანგარიში) ეკლესიაში, რომელიც შეიძლება რამდენიმე კატეგორიად ჩამოვაყალიბოთ:

1. გადასახადები (მიმდინარე ვალდებულებები);
2. შესყიდვები;
3. ხელფასები;
4. დაზმარებები;
5. სატრაპეზო ხარჯი;
6. საეკლესიო მსახურების ხარჯი;
7. სამეურნეო ხარჯი;
8. ინვენტარის შეძენისთვის გაწეული ხარჯი;
9. მიმდინარე რემონტისთვის გაწეული ხარჯი;
10. სამეურნეო საქმიანობისათვის გაწეული ხარჯი;
11. საჩუქრები;
12. ეკლესიის სარეზერვო ფონდი<sup>3</sup>.

ჩამოთვლილი კატეგორიების განმარტებას შევეცდებით მცხეთა-თბილისის ეპარქიაში მოქმედ სამრევლო ეკლესიის მაგალითზე. პასიურ ანგარიშთა კატეგორიები ეპარქიაში (ეკლესია-მონასტრებში) წარმოიქმნება განსხვავებულად, გამომდინარე ეპარქიის (ეკლესია-მონასტრის) ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მდებარეობისა. ამჟამად წარმოვადგენთ ქვაშევთის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის მაგალითზე გასავლების კატეგორიებს, რაც არის მოქმედი სამრევლო ეკლესიის გასავალთა (პასიურ ანგარიშთა გეგმა) კლასიფიკაციის თვალსაჩინო მაგალითი:

<sup>1</sup> სამხარაძე ნ., ეკლესია-მონასტრების სამეურნეო-მმართველობითი საქმიანობა, სამეცნიერო კონფერენციის „ქრისტიანობა და ეკონომიკა“ მოხსენებათა კრებული, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2009, გვ. 94-95.

<sup>2</sup> საქართველოს ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულება. მცხეთა, სვეტიცხოველი, 1995 წელი.

<sup>3</sup> სამხარაძე ნ., ეკლესია-მონასტრების სამეურნეო საქმიანობის მართვის ფინანსური ასპექტები, VII სამეცნიერო კონფერენციის „ქრისტიანობა და ეკონომიკა“ მოხსენებათა კრებული, თბ., 2013, გვ. 93.

## **1. პასიურ ანგარიშთა (გასავალთა) კატეგორია: გადასახადები (მიმდინარე ვალდებულებები)**

1.1. „გადასახადების“ კატეგორიაში ერთიანდება ტაძრის მიერ აღებული ფინანსური ვალდებულება – „საპატრიარქო გადასახადი“, რომელიც წარმოადგენს ფიქსირებულ გადასახადს სააღრიცხვო პერიოდის გან-მავლობაში განმავლობაში. „საპატრიარქო გადასახადი“ დგინდება საპატრიარქოს საფინანსო-ეკონომიკური განყოფილების მიერ ტაძარში არსებული შემოსავალ-გასავალთა აღრიცხვის და არსებულ მონაცემთა ანალი-ზის შემდეგ. დადგენილ გადასახადის გადახდას აწარმოებს ეკონომოსი, წინამდლვრის თანხმობით (ნებარ-თვით) თვეში ერთხელ ან თვის განმავლობაში რამოდენიმეჯერ ეტაპობრივი გადახდის სისტემის მეშვეობით. სააღრიცხვო სამსახურის თანამშრომელთა მიერ ივსება „სალაროს შემოსავლის ორდერი“ შესაბამისი ნუმე-რაციით, სადაც მითითებულია საპატრიარქოს ბუღალტერიაში შეტანილი თანხის რაოდენობა და შეტანის დრო, „საქართველოს საპატრიარქოს ცენტრალური ბუღალტერის“ ბეჭდით დამოწმებული საბუთი ფიქსირ-დება შესაბამის დოკუმენტებში. წლის განმავლობაში ტაძარში ფინანსური შემოსავლების და გასავლების დინამიკა მოქმედებს „საპატრიარქო გადასახადზე“ (დაკისრებულ ვალდებულებაზე საპატრიარქოს საფინანსო-ეკონომიკურ განყოფილების წინაშე).

### **1.2. გადასახადების კატეგორიაში ერთიანდება კომუნალური გადასახადები:**

- 1.2.1. ელექტრო ენერგიის გადასახადი;
- 1.2.2. სატელეფონო გადასახადი;
- 1.2.3. წყლის გადასახადი;
- 1.2.4. ინტერნეტის მომსახურების გადასახადი;
- 1.2.5. გაზის მომსახურების გადასახადი;
- 1.2.6. დასუფთავების მომსახურების გადასეხადი;
- 1.2.7. ტაძრის საიტის მომსახურების გადასახადი.

კომუნალური გადასახადების გადახდა მიმდინარეობს ნალი ანგარიშწორებით (საჭიროების სემთხვევაში უნაღდო ანგარიშწორებით) სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში (თვეში ერთხელ). თვის განმავლობაში დარიცხული გადასახადების მონიტორინგს აწარმოებს ეკონომოსი, რათა არ მოხდეს კომუნალური მომსახუ-რების შეფერხება დავალიანების გამო. კომუნალური გადასახადების გადახდის დამადასტურებელი საბუთი, ქვითართან ერთად ინახება შესაბამისი სააღრიცხვო რეესტრში. სააღრიცხო პერიოდის ბოლოს (თვე, კვარ-ტალი, წელიწადი) არსებულ მონაცემებს უკეთდება რევიზია და სდება შედეგების არქივაცია. არსებულ მო-ნაცემების რევიზიას ახდენს ეკონომოსი წინამდლვართან ერთად, რათა შეთანხმებით დაიგეგმოს რენტაბელუ-რი მუშაობის პერსპექტივები.

### **2. პასიურ ანგარიშთა (გასავალთა) კატეგორია: შესყიდვები**

2.1. შემდეგი ჩამონათვალი პასიურ ანგარიშთა გეგმაში არის „შესყიდვების ანგარიში“, რომელიც შე-იძლება დაიყოს შემდეგ კატეგორიებად:

2.1.1. სარეალიზაციო სანთლის შესყიდვა (ქვაშვეთის ტაძარში 2012 წლიდან ამ კატეგორიის შესყიდვა არ მიმდინარეობს, საფინანსო-ეკონომიკური საბჭოსთან შეთანხმებით);

2.1.2. სარეალიზაციო სეფისკვერის შესყიდვა;

2.1.3. სარეალიზაციო საეკლესიო ნივთების და ლიტერატურის შესყიდვა.

2.1.1. ქვაშვეთის წმიდა გიორგის სახელობის ტაძარში, რეალიზაციის მიზნით სანთლის შესყიდვა 2012 წლამდე წარმოებდა საპატრიარქოსთან არსებულ სანთლის დამამზადებელ საამქროდან. სანთლის მარაგების ამოწურვის შემთხვევაში, ეკონომოსი (დამხმარე მუშა ჯგუფთან ერთად) ახორციელებდა სანთლის შესყიდ-ვას და ტაძარში არსებულ სასაწყობე სათავსოებში დალაგებას. ფინანსური ოპერაცია მიმდინარეობდა ნალი ანგარიშწორებით, ხდებოდა სარეალიზაციო სანთლის იმ რაოდენობით შესყიდვა რა რაოდენობის მოთხოვ-ნაც იყო ეკლესიაში. შესყიდვების შემდეგ ივსებოდა შესაბამისი საბუთი, სადაც მოცემული იყო შესყიდული სანთლის ასორტიმენტი (სახეობა) შესაბამისი ფასის მიხედვით.

2.1.2. სპეციალური ანგარიში იხსენება „სარეალიზაციო სეფისკვერის“ შესყიდვის დროს. სეფისკვერის შეძენა ხდება საპატრიარქოსთან არსებულ საცხობ სამქროში, საიდნაც საჭირო რაოდენობის სეფისკვერს შეძენს ტაძრის თანამშრომელი (ეკონომოსი, კეთილმოწესე, მნათე, მორიგე სტიქაროსანი) სეფისკვერის რეალიზაცია დამოკიდებულია საეკლესიო დღესასწაულზე და მრევლის რაოდენობაზე, შესაბამისად ხდება შესყიდვა წინასწარ განსაზღვრული რაოდენობისა. სარეალიზაციო სეფისკვერი ურიგდება მესანთლეებს, რეალიზაციის მიზნით. რეალიზაციის პერიოდში მიმდინარეობს რეალიზირებულ სეფისკვერთა მონაცემთა რევიზია (თვე, კვარტალი, წელი) ივსება შესაბამისი დოკუმენტი და წარედგინება წინამდლვარს. არსებული მონაცემები ფიქსირდება პასიურ ანგარიშთა გეგმაში.

2.1.3. ქვაშვეთის წმიდა გიორგის სახელობის ტაძარში სარეალიზაციოდ განსაზღვრულ საეკლესიო ნივთებისა და ლიტერატურის რეალიზაცია მიმდინარეობს სპეციალურად გამოყოფილს ადგილას ე.წ. „საეკლესიო მაღაზიაში“, სადაც ტაძრის თანამშრომელი (მესანთლე-მოლარე) ახდენს რეალიზაციას, საპატრიარქოსთან არსებულ საბითუმო მაღაზია-საწყობებში შეძენილ ნივთებისა და საეკლესიო ლიტერატურისას. სააღრიცხვო პერიოდის ბოლოს (შვიდი დღე, ერთი თვე) მზადდება ფინანსური ანგარიში, აღწერა და რევიზია, ხდება სარეალიზაციო საჭირო ნივთების და ლიტერატურის დადგენა. იგსება შესაბამისი დოკუმენტაცია, საეკლესიო ნივთებისა და ლიტერატურის შეძენაზე. წერილობითი აქტები, საბუთები და შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტები წარედგინება წინამდლვარს, ხოლო არსებული მონაცემები ფიქსირდება პასიურ ანგარიშთა გეგმის ჩამონათვალში.

### 3. პასიურ ანგარიშთა (გასავალთა) კატეგორია: ხელფასები

3.1. ტაძარში არსებულ „ფინანსურ გასავალთა“ მირითად ნაწილს წარმოადგენს თანამშრომელთა ხელფასებზე“ გაცემული თანხა. ქვაშვეთის ტაძარში „თანამშრომელთა ხელფასები“ გაიცემა შემდეგი კატეგორიის მიხედვით:

#### 3.1.1. ხელფასი თანამშრომელთათვის;

#### 3.1.2. ხელფასი მგალობელთათვის (“სადაც დღის“ ვაჟთა გუნდი, ვაჟთა I-II გუნდი, ქალთა გუნდი);

3.1.1. თნამშრომელს ხელფასი გამოეწერება ერთი თვის მუშაობის შედეგად, წინასწარ განსაზღვრული ოდენობის მიხედვით. წინამდლვარი სამსახურში იღებს თანამშრომელს შესაბამისი ბრძანების საფუძველზე (წინამდლვრის ბრძანება ტარდება „ბრძანებათა წიგნში“) და უნიშნავს ხელფასს, რომელსაც წინამდლვრის წარდგინებით (წერილობით ან სიტყვიერ მითითებით) ადგენს საპატრიარქოსთან არსებული საფინანსო განყოფილება. საშტატო ერთეულთა განაკვეთს განსაზღვრავს წინამდლვარი, საპატრიარქოს საფინანსო განყოფილების რეკომენდაციით. თანამშრომელი ხელფასს იღებს თვის ბოლოს (სააღრიცხვო პერიოდის ბოლოს), ხელითმოწერით ადასტურებს სახელფასო უწყისში თანხის (ხელფასის) აღებას. ავანსის (წინასწარ ხელფასის აღებას) გაცემა შესაძლებელია წინამდლვრის უშუალო ნებართვით. თანხის წინასწარ გაცემაზე, სახელფასო უწყისების დათქმულ (შეთნხმებულ) ვადაზე დარიგებას უზრუნველყოფს ეკონომოსი.

გაცემული თანხის (ხელფასის) გაცემის დამადასტურებელი უწყისი სააღრიცხო პერიოდის ბოლოს განთავსდება პასიურ ანგარიშთა გეგმის ჩამონათვალში.

3.1.2. სხვადასხვა ეკლესიაში, მგალობელთა გუნდის და მგალობელთა რაოდენობაზე დამოკიდებული „ეკლესიის მგალობელთა“ ხელფასების გაცემა. ქაშვეთის წმ. გიორგის სახელობის ეკლესიაში მგალობელთა რაოდენობის სიმრავლე დამოკიდებულია რამოდენომე ფაქტორზე. უმთავრესია ის, რომ ტაძარში მიმდინარეობს ყოველდღიური მსახურება, ტაძარში არის „ანტიფონური გალობა“. ტაძარში არის ორი ტრაპეზი საღვთო მსახურებისათვის (წმინდა გიორგის და წმინდა მარინეს სახელობის). ზემოთქმულიდან აიხსნება მგალობელთა გუნდის სიმრავლე, რომელთა რაოდენობასა და ხელფასს განსაზღვრავს წინამდლვარი, „მგალობელთა გუნდების“ მიხედვით დაყოფილია მგალობელთა სახელფასო უწყისები, სადაც ფიქსირდება მსახურებებზე დასწრების რაოდენობა და შესაბამისი ანაზღაურება ერთ მსახურებაზე. სააღრიცხვო პერიოდის ბოლოს მგალობელი ხელმიწერით ადასტურებს თანხის (ხელფასის) აღებას. სააღრიცხვო პერიოდში (თვე)

აღრიცხვა მიმდინარეობს ტაძრის კეთლმოწესის, მორიგე დიაკვინის, მგალობელთა გუნდის რეგენტის მიერ სპეციალურ უწყისში, რომლის დახმარებითაც გამოიანგარიშება თითოეული მგალობელის ხელფასი. უწყისების გამზადებას და მის აღნუსხვას უზრუნველყოფს ეკონომისი და პასუნისმგებელია ხელფასების გაცემის დაუბრკოლებლობაზე.

#### **4. ასიურ ანგარიშთა (გასავალთა) კატეგორია: დახმარებები**

4.1. ანგარიშთა გეგმის უნიშვნელოვანების ნაწილს წარმოადგენს „დახმარებათა“ ანგარიშები, რომელიც სხვადასხვა კატეგორიებად იყოფა. ქვაშვეთის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში „დახმარებათა“ პასიური ანგარიში შეიძლება დაიყოს შემდეგ კატეგორიებად:

- 4.1.1. დახმარებები თანამშრომლებს;
- 4.1.2. დახმარებები სხვადასხვა პირს;
- 4.1.3. დახმარებები სადღესასწაულო;
- 4.1.4. დახმარება-დაფინანსებები;
- 4.1.5. დახმარებები სტიქაროსნებს;

დახმარებათა გაცემის საჭიროებაზე გადაწყვეტილებას იღებს ტაძრის წინამძღვარი, საპატრიარქოს საფინანსო განყოფილებასთან შეთანხმებით, ტაძრის ეკონომისის და ფინანსური მონიტორინგის ჯგუფის (რომელსაც საჭიროების შემთხვევაში ადგენს წინამძღვარი, შესაბამისი ბრძანებულების საფუძველზე) რეკომენდაციით, არსებული ფინანსური მდგომარეობის გათვალისწინების მიხედვით. სხვადასხვა კატეგორიების დაყოფის შემდეგ ივსება შესაბამისი უწყისები, სადაც მინიშნებულია სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში (ერთი თვე) გაცემული თანხობრივი მონაცემები. „უწყისში“ მინიშნებულია თანხის გაცემის დრო, მიზნობრიობა, თანხის აღდება დასტურდება „ხელმოწერით“, ხოლო სააღრიცხვო პერიოდის ბოლოს უწყისების ამოწმებს ეკონომისი, ხოლო უწყისები ინახება პასიურ ანგარიშთა გეგმის შესაბამის დოკუმენტაციასთან ერთად. ნებისმიერი ფინანსური ოპერაცია (მ.შ. „დახმარებათა“ თანხის გაცემა) ტარდება, სააღრიცხვო შურინალში – „დავთრის წიგნში“.

4.1.1. „დახმარებები თანამშრომელთათვის“ – გაიცემა წინამძღვრის ნებართვით, ეკონომისის მიერ, თანხის გაცემის მიზნობრიობა და დახმარების მიმღების მონაცემები ფიქსირდება შესაბამის უწყისში. დახმარება შესაძლებელია გაიცემა ერთჯერადად, შესაძლებელია პერიოდულად, გამომდინარე წინამძღვრის გადაწყვეტილებიდან.

4.1.2. „დახმარებები სხვადასხვა პირზე“ – გაიცემა, წინამძღვრის უშუალო მითითებით, დასახმარებელი ობიექტი შეიძლება იყოს ეკლესიის მრევლის წევრი, ან კათაგველი საქართველოს ან უცხო ქვეყნის მოქალაქე, შესაბამის უწყისში ფიქსირდება თანხის მიმღების მონაცემები და ხელმოწერით დასტურდება თანხის მიღება.

4.1.3. „დახმარებები სადღესასწაულო“ – ამ კატეგორიაში ერთიანდება დახმარებები ტაძრის თანამშრომელთათვის ან მოწვეულ სტუმართათვის, რომელიც საეკლესიო დღესასწაულთან დაკავშირებით სტუმრობენ ტაძარს. გასაცემი თანხის რაოდენობას განსაზღვრავს ტაძრის წინამძღვარი, თანხის გაცემის დადასტურება ხდება შესაბამის უწყისებში, სააღრიცხვო პერიოდის ბოლოს კი არსებული ინფორმაცია მიეწოდება წინამძღვარს.

4.1.4. „დახმარებები დაფინანსების მიზნით“ – განსაკუთრებული კატეგორიაა, რომელიც წესდება ტაძრის წინამძღვრისა და საქართველოს საპატრიარქოს საფინანსო განყოფილების ხელმძღვანელთან შეთანხმებით, დაფინანსება შესაძლებელია: იურიდიულ და კერძო პირთა, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებისა, ასევე პროექტებისა, რომელიც ნებადართულია საპატრიარქოსთან არსებული შესაბამისი სამსახურების მიერ და სხვა. თანხის გაცემა ფიქსირდება საჭირო დოკუმენტაციის გაფორმებით, დაფინანსების ხანგრძლივობაზე და უზრუნველყოფაზე მონიტორინგს აწესებს ტაძრის ეკონომისი, სააღრიცხვო პერიოდის ბოლოს (ერთი თვე, კვარტალი, ერთი წელი) არსებულ სიტუაციაზე მონაცემები მიეწოდება ტაძრის წინამძღვარს.

4.1.5. „დახმარებები სტიქაროსნებზე“ – გაიცემა წინამძღვრის მიერ წახალისების მიზნით, რათა მოხდეს ხელშეწყობა და ფინანსური დახმარება სტიქაროსნებისა, რომ მათ შეძლონ ღვთისმსახურებათა უკეთ

შესწავლა, რათა სრულფასოვნად აღესრულოს საღვთო ლიტერგია სტიქაროსნების თანადგომით. ტაძრის კეთილმოწესის მიერ წინამძღვარს წარედგინება გარკვეული რაოდენობა სტიქაროსნებისა, რომელთაც „ქიროტესის“ წესის (ხელდადების წესით) აღსრულების შემდეგ ეკისრებათ კონკრეტული დაგალებების შესრულება. თითოეულს აღსრულებული შრომისათვის გამოეწერებათ ფულადი დახმარება (ეროვნულ ვალუტაში), რომელსაც იღებენ სააღრიცხო პერიოდის ბოლოს (ერთი თვე) შესაბამის უწყისში ხელმოწერის შემდეგ. უწყისების შედეგნასა და დაუბრკოლებდად თანხის გაცემაზე პასუხისმგებელი პირია ეკონომოსი.

##### 5. პასიურ ანგარიშთა (გასავალთა) კატეგორია: სატრაპეზო ხარჯი

5.1. ქვაშვეთის წმიდა გიორგის სახელობის ტაძრის ფინანსურ შემოსავალ-გასავლის ამსახველ ანგარიშთა გეგმაში ფიქსირდება „სატრაპეზო ხარჯები“, სატრაპეზო ხარჯები ქაშვეთის ეკლესიაში იყოფა რამოდენიმე კატეგორიად:

5.1.1. სასულიერო პირთა ტრაპეზის ხარჯი;

5.1.2. თანამშრომელთა ტრაპეზის ხარჯი;

5.1.3. სადღესასწაულო ტრაპეზის ხარჯი;

5.1.1. სასულიერო პირთა ტრაპეზის იმართება ყოველდღე სპეციალურად მოწყობილ სასაღილო ოთახში. ტრაპეზარი (მზარეული), წინამძღვართან და ეკონომოსთან შეთანხმებით, განკარგავს ტრაპეზისთვის გამოყოფილ თანხას. ტრაპეზარი (მზარეული) ხარჯვით ნაწილის მონაცემებს სააღრიცხვო პერიოდის ბოლოს წარუდგენს ეკონომოსს. სასულიერო პირთა ტრაპეზის ხარჯი არის ლიმიტირებული, თუმცა იგი იცვლება საეკლესიო დღესასწაულებისა და განსაკუთრებული თარიღების აღნიშვნის შემთხვევაში. ხარჯვით ნაწილის ცვლილებას განსაზღვრავს ტაძრის წინამძღვარი. სააღრიცხო პერიოდის ბოლოს წერილობითი აქტით ფიქსირდება გახარჯული თანხის მონაცემები, ტრაპეზარი (მზარეული) ხელმოწერით ადასტურებს გახარჯული თანხის რაოდენობას „დავთოის წიგნში“.

5.1.2. თანამშრომელთა ტრაპეზი განკუთვნილია, ტაძრის მომსახურე პერსონალისათვის: დამლაგებელი, მესანთლე, დარაჯი, მეეზოვე, სტიქაროსანი, მწე და სხვ. კვების ბლოკს სადაც იმართება ყოველდღიური ტრაპეზი, ხელმძღვანელობს მორიგე ტრაპეზარი, რომელიც პასუხისმგებელია სატრაპეზოს სრულყოფილ უზრუნველისირებაზე. მორიგე ტრაპეზარს ევალება: წინასწარ დადგენილი მოწიუს მომზადება, სატრაპეზოში პიგიენურ ნორმების დაცვა, ტრაპეზის დაწყებისა და დამთავრების დროის კონტროლი, მომსახურე პერსონალის დასწრების აღრიცხვა, კვების პროდუქტების მარაგების რევიზია, კვების ბლოკში წესრიგის დაცვა. „თანამშრომელთა ტრაპეზის“ უზრუნველყოფისათვის გამოყოფილ თანხაზე ნებართვას გასცემს წინამძღვარი. ხარჯვით ნაწილზე ფინანსური პასუხისმგებლობა ეკისრება ეკონომოსის. წერილობითი აქტით ფიქსირდება პასიური ანგარიშის მონაცემები და საბუთები ინახება „ანგარიშთა გეგმის“ შესაბამის კატეგორიაში. სააღრიცხო პერიოდში გაწეული ფინანსური ოპერაცია, რომელიც უკავშირდება სატრაპეზო ხარჯს ფიქსირდება ყოველდღიურად „დავთარში“.

5.1.3. სადღესასწაულო ტრაპეზი განკუთვნილია, ტაძარში მოღვაწე სასულიერო პირთათვის, მომსახურე პერსონალისათვის და საეკლესიო დღესასწაულზე წინამძღვრის მიერ მოწევულ სტუმრებისათვის. „სადღესასწაულო ტრაპეზის“ უზრუნველყოფისათვის გამოყოფილ თანხაზე ნებართვას გასცემს წინამძღვარი. ხარჯვით ნაწილზე ფინანსური პასუხისმგებლობა ეკისრება ეკონომოსის. წერილობითი აქტით ფიქსირდება პასიური ანგარიშის მონაცემები და საბუთები განთავსდება „ანგარიშთა გეგმის“ შესაბამის კატეგორიაში.

##### 6. პასიურ ანგარიშთა (გასავალთა) კატეგორია: საეკლესიო მსახურების ხარჯი

6.1. ქვაშვეთის წმინდა გიორგის სახელობის ტაძარში ღვთისმსახურების დაუბრკოლებლად ჩატარებისათვის საჭიროა, განისაზღვროს საეკლესიო მსახურების ხარჯი, რომელიც შედგება შემდეგი კატეგორიებისაგან:

1)ღვინო საბარძიშე; 2)სეფისკვერი მსახურებისათვის; 3)საქმეველი მსახურებისათვის; 4)სანოელი: ტრაპეზისთვის, სამკვეთლოსთვის, მღვდელმსახურებისთვის; 5)ნახშირი ღვთისმსახურებისათვის; 6)შაქარი სიტ-

კბოებისათვის; 7) ზეთი: კანდელისათვის და ზეთისცხებისთვის; 8) პურის კურთხევისთვის პური; 9) სხვადას-ხვა საშუალება (ტრაპეზის და მსახურებისათვის საჭირო ნივთების გასაწმენდად); მსახურები-სათვის საჭირო მასალას (ზემოთ ჩამოთვლილი) შეძენს ეკონომოსი, კეთიმოწესე, მორიგე დიაკონი, მორიგე სტიქაროსანი. ანგარიშს წორებამიმდინარეობს ნაღდი (განსაკუთრებულ შემთხვევაში უნაღდო ანგარიშსწორებით) ანგარიშსწორებით, ეკლესის ცენტრალური სალაროდან გასულ (გადახდილ) თანხას კონტროლს უწევს ეკონომოსი. სააღრიცხო პერიოდის ბოლოს იქმნება შესაბამისი ღოკუმენტი (ღოკუმენტები), სადაც ეკონომო-სის და ფინანსურ ოპერაციაში მონაწილე პირის მიერ ხელმოწერით დასტურდება მიზნობრივად დახარჯული თანხა. ხშირ შემთხვევაში, მსახურებისათვის საჭირო ხარჯი მცირდება ნებაყოფლობით შემოწირულობათა გაღების შემთხვევაში, როდესაც მორწმუნე მრევლის წევრს სურვილი აქვს გადასცეს მსახურებისათვის სა-ჭირო: ღვინო, ზეთი, პური, სანთელი და სხვ. ამდაგვარი ფაქტები დადგებითად მოქმედებს ტაძრის ფინანსურ მდგომარეობაზე და მრევლის წევრთა მხრიდან ამდაგვარი დახმარებათა სიმრავლე გარკვეულ წილ შეღავათს იძლევა ფინანსურ-ეკონომიკური თვალსაზრისით.

### **7. პასიურ ანგარიშთა (გასავალთა) კატეგორია: სამეურნეო ხარჯი**

7.1. სამეურნეო ხარჯითი ნაწილის არსებობა აუცილებელია ნებისმიერ ტაძარში. ტაძარში მყოფი მრევლის წევრთა რაოდენობა განსაზღვრავს „სამეურნეო ხარჯითი ნაწილის“ სიღიდეს. ქვაშვეთის წმინდა გიორგის სახელობის ტაძარში არსებული სამეურნეო საქმიანობისათვის გაწეული ხარჯის მონაცემები დამოკიდებულია მრევლის წევრთა დიდ რაოდენობასა და ტაძარში მომუშავე თანამშრომელთა რაოდენობაზე, ასევე სასულიერო პირთა რაოდენობაზე რომლებიც მსახურებები ტაძარში (15 სასულიერო პირი). სამეურნეო ხარჯებში ერთიანდება მრავალი დასახელების ხარჯი, რომლებიც ყოველდღიურად სააღრიცხო პერიოდის განმავლობაში აღინუსხება „დავთარში“, სააღრიცხო პედრიოდის ბოლოს კი ფინანსური ოპერაციების ჯამური მონაცემები და დეტალური ანალიზი გადაიტანება შესაბამის სააღრიცხვო ღოკუმენტებში, გაცემული თანხის დამადასტურებელ საბუთებთან ერთად. შექმნილ ღოკუმენტს, რომელთაც ხელმოწერით ადასტურებს კეთილმოწესე, ეკონომოსი და ფინანსურ ოპერაციაში მონაწილე პასუხისმგებელი პირი, ფიქსირდება პასიურ ანგარიშთა გეგმის ჩამონათვალში. სრულდება არსებული ღოკუმენტების ელექტრონული ვერსიის არქივიზაცია.

### **8. პასიურ ანგარიშთა (გასავალთა) კატეგორია: ინვენტარის შეძენისათვის გაწეული ხარჯი**

8.1. ინვენტარის შეძენისათვის გაწეული ხარჯის ცალებადობა დამოკიდებულია არსებულ მოთხოვნილებაზე, რაც შეიძლება გააჩნდეს ტაძარს სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში. ამიტომ, პასიური ანგარიშის ეს კატეგორია არის ცვალებადი სააღრიცხვო პერიოდის (ერთი წელი) დროს. წინამდღვრის დავალებით გარკვეული პერიოდის განმავლობაში ხდება ინვენტარიზაცია, იქმნება წერილობითი აქტები, რაც ააღვილებს ეკლესის საჭიროებისათვის გაწეული ხარჯების კონტროლს.

8.2. ტაძრისთვის შეძენილი ინვენტარი შეძლება გაკოთო ორ კათეგორიად: საეკლესიო მსახურებები-სათვის განკუთვნილი და სამეურნეო საჭიროებისათვის განკუთვნილი ნივთები. ამდაგვარი გაყოფა კატეგორიის მიხედვით, გვეხმარება რათა საარიცხვო პერიოდის ბოლოს გვქონდეს სრულყოფილ მონაცემები ეკლესი-აში არსებულ ინვენტარის შესახებ. მონაცემებს რევიზიას უკეთებს და შესაბამის ღოკუმენტაციას ქმნის ეკონომოსი და საჭიროების შემთხვევაში წარუდგენს ტაძრის წინამდღვარს.

### **9. პასიურ ანგარიშთა (გასავალთა) კატეგორია: მიმდინარე რემონტისათვის გაწეული ხარჯი**

9.1. მიმდინარე რემონტისათვის გაწეული ხარჯის დინამიკა დამოკიდებულია იმ აუცილებლობაზე, რაც შეიძლება გააჩნდეს ტაძარში გარკვეული პერიოდის განმავლობაში. მიმდინარე რემონტის ხარჯი შესაძლოა დაიფაროს ტაძრის ცენტრალური სალაროდან ან მრევლის წევრთა მიერ ნებაყოფლობით შემოწირულობათა მეშვეობით. ნებისმიერი მონაცემი რაც უკავშირდება „მიმდინარე რემონტს“ ეცნობება ტაძრის წინამდღვარს და შესაბამისი იმფორმაცია (ფინანსური ღოკუმენტაცია) აისახება პასიურ ანგარიშა გეგმაში.

## **10. პასიურ ანგარიშთა (გასავალთა) კატეგორია: სანთლის სამქროს ფუნქციონირებისათვის გაწეული ხარჯი**

10.1. „სანთლის დამამზადებელ სამქროს“ ფუნქციონირებისათვის საჭიროა სანთლის (ცვილის) შემოტანა სამქროში, რომელსაც ახორციელებს (ინდივიდუალური მეწარმე) მომწოდებელი, ხდრბა მას შემდეგ რაც სანთლის (ცვილის) ხარისხს შეამოწმებენ სანთლის სამქროში მომუშავე ტექნოლოგები. „სანთლის დამამზადებელ სამქროში“ ტექნოლოგების შეჩევა და კვალიფიციურობის მიხედვით მათი დასაქმება მიმდინარეობს წინამდღვრის ლოცვა-კურთხევით. შესყიდვის დროს ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი, სადაც მითითებულია რაოდენობა აღებული სანთლის (ცვილის), რომელსაც ხელმოწერით ადასტურებენ ტექნოლოგები და ფინანსურ ოპერაციაში მონაწილე პირები. არსებული დოკუმენტი ინახება შესაბამის ანგარიშთა გეგმაში.

10.2. „სანთლის სამქროს“ ფუნქციონირებისათვის საჭიროა წარმოებისათვის საჭირო მასალა და ძირითადი საშუალებები, რომელთა შეძენაში წინამდღვრის ნებართვით მონაწილეობას იღებს ტექნოლოგები და ეკონომოსი, როგორც წარმოების მენეჯერი. ნებისმიერი ფინანსური ოპერაცია რაც დაკავშირებულია „სანთლის სამქროს“ წარმოებასთან ტარდება ტაძრის პასიურ ანგარიშთა გეგმაში, უკეთდება ფინანსური ანალიზი, რათა წარმოება იყოს რენტაბელური.

10.3. „სანთლის სამქროში“ მომუშავე ტექნოლოგებს ხელფასი აუნაზღაურდებათ წარმოებული სანთლის რაოდენობის მიხედვით, რაც გამოითვლება სააღრიცხვო პერიოდის ბოლოს (ერთი თვე) წინასწარ შეთანხმებულ მოლაპარაკების მიხედვით. ტექნოლოგები შესაბამის უწყისზე ხელმოწერით ადასტურებენ აღებული ხელფასის ოდენობას, რომელიც ცვალებადია თვეების მიხედვით და დამოკიდებულია წარმოებულ სანთლის რაოდენობაზე.

## **11. პასიურ ანგარიშთა (გასავალთა) კატეგორია: საჩუქრები**

11.1. საჩუქრების გაცემის გადაწყვეტილებას იღებს ტაძრის წინამდღვარი. საჩუქრი გაიცემა ტაძრში მსახურ სასულიერო პირებზე და თანამშრომლებზე. საჩუქრის სახეობაზე და ღირებულებაზე ეკონომოსი თანხმდება წინამდღვართან და ხდება არჩეული (საჩუქრის) ნივთის შეძენა ნაღდი ანგარიშსწორებით (გამონაკლის შემთხვევაში უნაღდოანგარიშსწორებით). შესაბამის დოკუმენტაციას აფორმებს ეკონომოსი და ხელმოწერით ადასტურებს ნივთის (საჩუქრის) შეძენას. ფინანსური მონაცემები აისახება პასიურ ანგარიშა გეგმაში.

11.2. საჩუქრები გაიცემა ეკლესიის მრევლის წევრებზე, მოწვეულ სტუმრებზე, კერძო ან იურიდიულ პირებზე. ხშირ შემთხვევაში საჩუქრები გაიცემა საეკლესიო დღესასწაულებზე, მათვის, რომლებმაც განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს ეკლესიის კეთილმოწყობის საქმეში. საჩუქრების შეძენისას დახარჯულ თანხების რევიზიას და კონტროლს ახორციელებს ეკონომოსი და ასახავს პასიურ ანგარიშთა გეგმაში.

## **12. პასიურ ანგარიშთა (გასავალთა) კატეგორია: ეკლესიის სარეზერვო ფონდი**

12.1 ეკლესიის სარეზერვო ფონდი იქმნება წინამდღვრის ლოცვა-კურთხევით. ფონდის შექმნის მიზანია, დაგროვდეს ფინანსური მარაგი, რათა საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი მიზნისათვის განიკარგოს თანხა.

ეკლესიის სარეზერვო ფონდში შეიძლება გაერთიანდეს ეკლესიის ცენტრალურ სალაროსთვის განკუთვნილი ნებისმიერი აქტივები, მათ შორის ეკლესიის საბანკო ანგარიშზე არსებული თანხები. ეკლესიის სარეზერვო ფონდიდან თანხის გაცემისას იქმნება შესაბამისი დოკუმენტი და აისახება შემოსავა-გასავლის შურნალში (დავთარის წიგნის ხარჯვით ნაწილში). სარეზერვო ფონდიდან თანხის განკარგვაზე ლოცვა-კურთხევას გასცემს წინამდღვარი, ფინანსური ოპერაციის იურიდიულ და ფინანსურ მხარეს აწესრიგებს ეკონომოსი. საბანკო ოპერაციებისას ხელმიწირ პირს წარმოადგენს ეკონომოსი (საბაზრისარქოში მოქმედი შესაბამისი სამსახურის ნებართვის საფუძველზე), ხოლო ტაძრის ბეჭედს, ფინანსური ტრანსაქციის შესასრულებლად განკარგავს ტაძრის წინამდღვარი. სააღრიცხვო პერიოდის ბოლოს ფინანსური მონაცემები წარეგდინება ტაძრის წინამდღვარს.

თანამედროვე საქართველოსათვის უაღრესად მნიშვნელოვანია ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობების ყოველმხრივი განვითარება როგორც საერო, ისევე საეკლესიო სფეროში. ეკლესიისა და სახელმწიფოს მატერიალური და ფინანსური სიძლიერე უზრუნველყოფს ერთს სულიერ და ეკონომიკურ კეთილდღეობას, რაც დამყარებულია სახარებისეულ სწავლებაზე: სამართალზე, წყალობასა და რწმენაზე (მათე 23:23). ქართული საეკლესიო სამართლის მოცულობა და მოქმედების არეალი წმინდა საეკლესიო მოწესრიგების სფეროს სცილდება და საერო-სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას იძენს.<sup>1</sup>

Nugzar Samkharadze

## Regarding the Passive Accounts arising during Economic and Managerial Activities in Church

### R e s u m e

Among different acting systems of relations between the state and the church Georgian Orthodox Church is distinguished by its originality. It has chosen the model of close cooperation with the state. Upon the review of financial aspects of management the necessity of sharing experience of modern active systems is shown. As the current accounting system is special in Georgian church and the difference is caused due to different relations between the state and the church, it is essential to provide financial transparency and work on special accounting models of income and expenditure of church as well as application of modern standards, establishment of united accounting area and operation of united electronic system of income and expenditure accounting. Also formation of the plan of accounts as approved in modern world in order to have simplified public monitoring and provide transparency of financial accounting in churches and monasteries.

In future it is essential to study active systems and legislative experience of relations between the state and the church in order to establish collaboration of the church and the state on three basic principles: neutrality, tolerance and parity.

---

<sup>1</sup> ჯავახიშვილი ივ., ქართული სამართლის ისტორია (წიგნი პირველი), ზოგადი ცნობები, თხზ. ტ.6, თბ., 1982, გვ. 23.

## აღმართებული სიჰინდუსტრიული სისტემის განვითარების და მოწყობის სახის

### რელიგია და ბიზნესი: წინააღმდეგობა თუ მრთიანობა

ქვეყნის ეკონომიკის მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური განვითარება და პოზიტიური განახლების გზით მისი ზრდა შეუძლებელია ერთს გამაერთიანებელი იდეის გარეშე. ეროვნული იდეა, უწინარეს ყოვლისა, ხალხის თვითგაგება, თვითიდენტიფიკაცია საბაზისო და მირითადი ფასეულობების სისტემაში. ეს სისტემა დაფუძნებულია სულიერ ტრადიციებზე, ხოლო მის ელემენტებს შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ღვთის მიერ ადამიანში ჩადებული და რელიგიის მიერ მხარდაჭერილი მორალური გრძნობები.

ქრისტიანული რელიგიის ეთიკის პრინციპები საფუძვლად დაედო, როგორც სოციალურ-კულტურულ, ისე სამეურნეო ცხოვრების თანამედროვე ასეულობათა ორიენტაციებს. ესაა, უპირველეს ყოვლისა, ჰუმანიზმი, თანაგრძნობა, დემოკრატიზმი, სოციალური სამართლიანობა, მორალურობა და პასუხისმგებლობა, რაც ემსახურება ეკონომიკური ურთიერთობების პარმონიზაციას. მორალის ღვთიური წარმოშობის შესახებ წერდა ცნობილი ეკონომისტი ადამ სმითი.<sup>1</sup>

ამავე დროს, დასავლეურმა ქრისტიანობამ ერთმანეთისგან გამოყო სულიერი (რელიგია) და მატერიალური (ბიზნესი), პირველი მათგანი მიაკუთვნა ზეციური სფეროს, მეორე კი – მიწიერს. თუმცა, მიწიერისა და სულიერის დაპირისპირება მიუღებელია ქართული მართლმადიდებლური ცნობიერებისათვის. ის აღიარებს ადამიანის სამერთიანობას: სული, სულიერება და სხეული. ღმერთი ერთარსებაში აერთიანებს სულიერსა და მატერიალურს. საზოგადოებრივი მოვლენების დონეზე ამ პრინციპის ერთგვარი პროექტირების საფუძველზე ჯ. კეინზი წერდა: „ჩვენ გვჯერა, რომ რელიგია და ბიზნესი არ შეიძლება „ადამიანის სულის სხვადასხვა კუთხეში იყოს განცალკევებული“.<sup>2</sup>

ქრისტიანობის ეკონომიკური ინსტიტუტები, უწინარეს ყოვლისა, შრომითი ურთიერთობებისა და საკუთრების სისტემებში, ასევე მეწარმეობის სფეროში გაჩნდა. თავისუფალი შრომის უპირატესობა, ეკლესიამ უფრო ადრე აღიარა, ვიდრე სხვა საზოგადოებრივმა ინსტიტუტებმა. პროტესტანტიზმმა ჩამოყალიბდა სპეციფიკური ეთიკური სისტემა, სადაც შრომა აღიარებულია ღმერთისადმი შსახურებად, მაგრამ შრომის პროცესის ცენტრალური ელემენტი, მართლმადიდებლობისაგან განსხვავებით, არის არა სულიერი და მორალური თვითაღზრდა, არამედ ხარისხიანი საბოლოო პროდუქტი, რომელსაც სხვა უპირატესობთან ერთად სილამაზეც გააჩნია.

მართლმადიდებელი ქრისტიანებისთვის კი პიროვნება ნებისმიერ სოციალურ-ეკონომიკური ინსტიტუტზე განუზომლად მაღლა დგას, იქნება ეს კერძო საკუთრება, კაპიტალი თუ სხვა სახის ფიზიკური სიმდიდრე. შესაბამისად, მათთვის უაღრესად ღირებულია ადამიანის შრომა. ვფიქრობთ, რომ ამჟამინდელი კრიზისის ნამდვილი მიზეზი ისაა, რომ ფული შრომის შედეგებისგან მეტად მოწყვეტილი და განცალკევებული აღმოჩნდა. ნათელი ღირებულებითი ორიენტირებისგან განსაკუთრებით დამორჩილია მრავალი ახალგაზრდის შრომითი საქმიანობა.

ჩვენ მიერ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის დეპარტამენტის სტუდენტებს შორის ჩატარებულმა კვლევამ, აჩვენა, რომ გამოკითხულთა მხოლოდ 6% ხდავს ცხოვრების აზრს მუშაობაში. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სტუდენტების 50.1% თვლის, რომ შრომა არის საკუთარი შესაძლებლობების რეალიზაციის საშუალება; 19.7% შრომას საკუთარი მზარდი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების საშუალებად განიხილავ; 11.2% – გარემოს გაუმჯობესების საშუალებად და 9.1% – სიმდიდრის დაგროვებას უკავშირებს.

<sup>1</sup> Смит А., Теория нравственных чувств. М.: Республика, 1997, ст. 351.

<sup>2</sup> Кейнс Дж.М., Беглый взгляд на Россию В кн.: Общая теория занятости, процента и денег. М.: Эксмо, 2007, ст. 960.

აშკარაა, რომ სტუდენტები მგრძნობიარებდ რეაგირებენ სოციალური მინიშნებებზე: თუ რომელი სახის შრომას და როგორ აფასებს საზოგადოება, აქედან გამომდინარე, ახალგაზრდები ცდილობენ განავითარონ სინამდვილის შესაბამისი რეალისტური მოლოდინები. გამოკითხვის შედეგები ასევე არაპირდაპირ მიუთითებს ტრადიციული ღირებულებების ნაწილობრივი შენარჩუნების შესახებაც, რომლის მიხედვით, შრომა განიხილება არა მხოლოდ როგორც კეთილდღეობის წყარო, არამედ, როგორც მორალური ცხოვრების გამოხატულება.

კვლევებიდან ჩანს ასევე გარკვეული უტილიტარული დამოკიდებულება შრომისადმი ანუ, არა როგორც ადამიანის თვითრეალიზაციის ბუნებრივი გზისა და წესისადმი, არამედ როგორც რაღაც იმულებითი-სადმი დამოკიდებულებაც, რადგან ადამიანი სხვაგვარად ვერ უზრუნველყოფს საკუთარ ცხოვრებას. ასე რომ, ერთი მხრივ, ვიწროვდება და „იფიტება“ შრომის მოტივაცია, და მეორეს მხრივ, კრიზისულ სიტუაციებში მუშაობის, ახალი პირობებისადმი ადაპტაციის მეტად დაბალი პოტენციალი უვითარდებათ ადამიანებს. ასეთ პირობებში „თეორ საყელოებიან“ მუშაკებს შესაძლოა ფიზიკური შრომა მოუწიოთ. კრიზისმა უნდა ასწავლის ახალგაზრდებს, რომ სოლიდარული საზოგადოება პატივს სცემს ნებისმიერი ადამიანის შრომას.

დღეს, ცოდნის ეკონომიკის გარემონტი ისე, როგორც არასდროს, აქტუალურია ეკონომიკის შემდეგი განმარტებები: არისტოტელე — „ეკონომიკა არის ეთიკის განუყოფელი ნაწილი“, ს.ნ. ბულგაკოვი — „ეკონომიკა არის ნორმებისა და იდეალების სისტემა, რომლებიც გამოიყენება სამურნეო ცხოვრებაში“ ჯ.მ. კეინზი — „ეკონომიკა არის გამოყენებითი ეთიკა“. ლ. ვალრასი და ბ. პარეტო კი თვლიდნენ, რომ ეკონომიკა, როგორც მეცნიერება შედგება „წმინდა თეორიის“, გამოყენებითი ეკონომიკისა და მორალისაგან.

აღსანიშნავია, რომ ყველა ამ თვისების მნიშვნელობა ბევრად გაიზარდა დღეს, როდესაც დადგა ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის ეპოქა, როდესაც ზოგიერთი მეცნიერი ხელოვნურად განაცალკევებს ცოდნას ადამიანისა და მისი შრომისაგან, რის შედეგადაც ირლევა ეკონომიკური ურთიერთობების პუმანიზაციის პრინციპი. ამ პრობლემის გადაჭრაში ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის რელიგიური შეხედულებების დადებით რესურსების ჩართვა, ჩვენი აზრით, უაღესად მნიშვნელოვანია. მართლმადიდებლური ეკლესიის ბოლო დროის ქმედითი აქტიურობა არსებითად უწყობს ხელს ეკონომიკური მეცნიერებაში ახალი პუმანიზმის გაძლიერებას.

ბიზნესის სფეროსათვის ობიექტურად დამახასიათებელი არაპუმანურობა ქრისტიანული სწავლებისაგან შორს მდგარ ადამიანებში იწვევს სტიქიურ ინტელექტუალურ პროტესტს, რის შედეგადაც საზოგადოებაში სოციალური პროგრესის შესახებ მთელი რიგი უტოპიური შეხედულებები ჩნდება, როგორიცაა, მაგალითად, კომუნიზმი და სხვა.

ჯ.მ. კეინზი რუსულ კომუნიზმს, ერთი მხრივ, რელიგიას, მეორე მხრივ კი, ტექნიკური გამოცდილებას უწოდებდა. კაპიტალიზმსაც იგი რელიგიად მოიხსენიებდა, თუმცა, უფრო ტოლერანტულ რელიგიად<sup>1</sup>. ჯ.მ. კეინზი წერდა, რომ „ლენინიზმი რელიგიისა და ბიზნესის მეტად უცნაური კომბინაციაა. ეს ორი მცნება ევროპელებს საუკუნეების განმავლობაში საკუთარი სულის სრულიად სხვადასხვა კუთხეში აქვთ განთავსებული“<sup>2</sup>.

საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდს თან ახლდა მკაცრი კონკურენცია, ბრძოლა გადარჩენის-თვის, კანონების შეუსრულებლობა, მოსახლეობის შემთხვევების მნიშვნელოვანი დიფერენციაცია. შედეგი კი სიმდიდრის, ფულისა და დაგროვების სასარგებლოდ ცხოვრებისეული ფასეულობის უარყოფა იყო.

ჩვენი კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ სტუდენტები სიმდიდრეს პროტესტანტული ეთიკის შესაბამისად აფასებენ: გამოკითხულთა 63.9% მიიჩნევს, რომ სიმდიდრე ადამიანის წარმატებული საქმიანობის შედეგია, 16.2% ფიქრობს, რომ სიმდიდრე არის ადამიანის სოციალური სტატუსის მაჩვენებელი; 16.9% თვლის, რომ

<sup>1</sup> Кейнс Дж.М. Беглый взгляд на Россию В кн.: Общая теория занятости, процента и денег. М.: Эксмо, 2007, ст. 939.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 914.

სიმდიდრე ხრწნის ადამიანს და მას არაპუშანურს ხდის. უფალი იესოს სიტყვები, რომ აქლემი უფრო ადგილად გაძვრება ნემსის ჟენწში, ვიდრე მდიდარი სასუუკელში შევა, ეკლესის მსახურთა აზრით, უფალი სიმდიდრეს როგორც ასეთს კი არა, არამედ სიმდიდრის დაგროვებას სიმდიდრისთვის გმობს. თავისოთავდ, სიმდიდრე არც ბოროტება და არც სიკეთეა, არამედ ის, უწინარეს ყოვლისა, გამოცდა და პასუხისმგებლობაა. ასეთი მიღომა გასაგებია სტუდენტებისთვის: მათი 55.5% მიიჩნევს, რომ კერძო საკუთრება ადამიანს უფრო მეტად ხდის პასუხისმგებელს, 28.1% კი თვლის, რომ კერძო საკუთრება ადამიანის უფრო მეტ თავისუფლებას ხდის შესაძლებელს.

სტუდენტების დამოკიდებულება ფულისადმი უფრო ნაკლებად მგმნობიერია, ვიდრე სიმდიდრისადმი. გამოკითხულთა 48.5%-ისთვის ფული მხოლოდ სასარგებლო ნივთების შეძენისათვის საჭირო ტექნიკური საშუალებაა; 26.7%-ისთვის – შრომის შეფასების ბუნებრივი შედეგი და მეთოდი; მხოლოდ 11.2%-ს უყვარს ფული როგორც „აბსულუტური ღირებულება“, 9.6% ფულს საზოგადოებაში ოვითდამკიდრებისა და საკუთარი სტატუსის ამაღლების საშუალებად მიიჩნევს. საბაზარო პრაგმატიზმს, სადაც ყველაფერი იზომება ფულით, შეიძლება იმ ფასულობის დაკარგვა გამოიწვიოს, რაც ჩადებულია მართლმადიდებლობის სულიერ და კულტურულ ტრადიციებში, შეუძლია გაანადგუროს ქვეყნა, დატოვოს ის კრიზისის დასაძლევად საჭირო მორალური ძალის გარეშე.

სტუდენტებს შესაბამისი დამოკიდებულება აქვთ ფულის დაგროვებისადმიც: მათი 52.9% მიიჩნევს, რომ აუცილებელია მისი შენახვა მხოლოდ „შავი დღისთვის“; 14.3% ფიქრობს, რომ დაგროვება არ არის საჭირო იმიტომ, რომ ფული „მაინც გაქრება“; 10.1% თვლის, რომ ეს ცუდია სულისთვის („გახდები ძუნწი და ეჭვიანი ადამიანი“). გაუმაძრობა და სიხარბე სასიკვდილო ცოდვებად ითვლება. ქრისტიანულმა რელიგიამ შექმნა ზნეობრივ ღირებულებათა სისტემა, რომელსაც შეუძლია დაიცვას საზოგადოება სულიერი დაცემისაგან.

დღეს ცოდნის მართვის ტექნოლოგიებში უკვე ხშირად კეთდება აქცენტი სულიერ ფასეულობებზე, როგორიცაა, მაგალითად, კორპორაციის შიგნით, ან სხვადასხვა ფირმებს შორის ცოდნის გაცვლის დროს არსებული ნდობის ფაქტორი. ბიზნესმენები აცნობიერებენ თანამშრომლების უსაზღვრო შესაძლებლობების გონიერულად გამოყენების აუცილებლობას, მაგალითად, როგორც ისინი ახორციელებენ ე.წ. „ბიზნეს საზოგადოების“ პროგრამებს – კერძოდ, ნაკლებად განვითარებულ რეგიონებში წარმატებული საქმიანი ადამიანები ასწავლის და უვითარებები ადგილობრივ მოსახლეობას სამეწარმეო უნარ-ჩვევებს.

ისმის სავსებით ლეგიტიმური კითხვა: შეიძლება თუ არა რომ ბიზნესი ეფუძნებოდეს რელიგიური რწმენას? პრაქტიკა დადებითად პასუხობს ამ კითხვაზე. საქართველოში XIX – XX ს. ვაჭართა წრის რიგი წარმომადგენლები (სარაჯიშვილები, ზუბალაშვილები და სხვა) არა მარტო ეკონომიკურად უჭერდნენ მხარს მორწმუნებს, არამედ რელიგიურ პრინციპებზე აგებდნენ საკუთარ ბიზნესს. ზოგიერთი ქართველი მეწარმე დღესაც აგებს საკუთარ ბიზნესს რელიგიურ პრინციპებზე. სულიერ ფასეულობებზე დაფუძნებული ბიზნესი ტრადიციულად ითვლება იაპონიასა და ახლო აღმოსავლეთში. საქართველოს გამოცდილება ამ თვალსაზრისით, საერთო მსოფლიო პროცესის შემადგენელი ნაწილია. რელიგიური საწყისები სხვადასხვა დოზით არის მრავალი ქართველი ბიზნესმენის ბიზნეს-კულტურაში.

სულიერი კომპონენტები სრულიად ახლებურად აყალიბებებ კომპანიის განვითარების საფუძვლებს. მართლმადიდებლური კორპორატიული კულტურა სამ ძირითად პრინციპს ეფუძნება. პირველ რიგში, მადლი-ანობა არის ზემდგომის მიერ თანამშრომელისათვის მეტი მადლის, ანუ, ნებისა და ძალის გაცემა. მეორე, განათლება არის ინდივიდის სულიერი ფასეულობების მთლიანდ კორპორაციის დონეზე გადაცემა. მესამე, ერთობა არის პერსონალური ცხოვრების ერთ მთლიანობაში გაერთიანება. კორპორატიული სტრუქტურის აღწერილი მოდელის ძლიერი მხარეები აშკარაა: კრიზისის დროს ობიექტური სირთულეებისადმი მომოქნი დამოკიდებულება; ხელმძღვანელებისადმი პატივისცემა და ლოიალური დამოკიდებულება; კონფლიქტის დროს

კომპრომისების ძიება; წარუმატებლობის გამო იმედგაცრუების არ არსებობა; პიროვნების თვითსრულყოფა. ბიზნესმენმა იცის რა, თუ რომელი რელიგიის მიმდევარია თანამშრომელი, შეუძლია ასეთი თვისებებისათვის მისი სათანადო დაჯილდოვება. მაგალითად, წახალისების მიზნით შეიძლება წმინდა ადგილებში მათვის მოგზაურობის შეთავაზება, მობილური ტელეფონების ჩუქება, სადაც ბიბლიიდან სხვადასხვა ტექსტები იქნება ჩაწერილი და სხვა.<sup>1</sup> წახალისების ასეთ ფორმას უკვე იყენებეს სხვადასხვა კომპანიებში ზოგიერთი ქართველი ბიზნესმენი.

სავსებით ნათელია, რომ ფინანსური და ეკონომიკური კრიზისი გამოყენებული უნდა იყოს ბიზნესის ახალი ეთიკის შესაქმნელად, საქართველოში ბიზნესმენის როლის სრულიად ახლებურად გასავგბად: ბიზნესმენი არის არა ფუფუნების მომხმარებელი, არამედ სამართლიანი საზოგადოების მშენებელი. ბიზნესმენის გატაცება ფულით, სიმდიდრით ჩრდილავს ადამიანში ღვთის სახიერებას. როდესაც ადამიანები იწყებენ ერთმანეთის მხარდაჭერას, პასუხს აგებენ ერთმანეთის გამო და ახორციელებენ საქველმოქმედო საქმიანობას, სწორედ მაშინ აღწევენ ისინი ძალიან მნიშვნელოვან ერთიანობას არსებული პრობლემების დასაძლევად. ჩვენისე უნდა „აღვზარდოთ საკუთარი სული, რომ მას თავად შეეძლოს უფლის წინაშე დგომა, და სიკეთის არჩევა სრულიად თავისუფლად და შეგნებულად“.<sup>2</sup> ბიზნესი და რელიგია სულის სხვადასხვა კუთხეში კი არ უნდა „განთავსდეს“, არამედ ბიზნესი უნდა განხორციელდეს იმ ზნეობრივი ფასეულობების საფუძლებზე, რომლებიც შექმნილია და ინახება რელიგიის მიერ. თუ საქართველო საბაზრო ეკონომიკის მქონე სახელმწიფო გახდა, ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენი სულიც საბაზრო უნდა გახდეს.

რელიგია ეხმარება ადამიანს თავად გადაწყვიტოს, რა არის სწორი (მორალური), და რა – არა, გააკეთოს ყველაზე სერიოზული არჩევანი – არჩევანი ცასა და მიწას შორის, აზრების არჩევანი. სირთულე ისაა, რომ ეს არის ერთი ადამიანის მიერ მის ყველაზე სანუკვარ იდეალებს შორის, მის სხვადასხვა მდგომარეობას შორის არჩევანი. „ზოგჯერ უნდა მოიწყვიტო ფეხები, რომ არ ჩამოგცივდეს ფრთები. ზოგჯერ უნდა ამოითხარო თვალი, რომ არ გამოიწონოს ტვინმა“ – მოჰყავს მეტაფორა ო.ა. კურაევს, რათა აჩვენოს არჩევანის მთელი დრამატიზმი.<sup>3</sup> რა თქმა უნდა, არჩევანის თავისუფლება ყველა ადამიანს აქვს, ეს არის ღვთაებრივი საჩუქარი. აკეთებს რა არჩევანს ბოროტების სასარგებლოდ, ადამიანი თანდათან ზდება მისი მონა, საბოლოო ჯამში კი, საკუთარ თავს ართმევს თავისუფლებას. ყოველგვარი მორალური ორიენტირების გარეშე ნებისმიერი ეკონომიკური თავისუფლება დესტრუქციულია პიროვნებისთვის. მორალური საფუძველს მოკლებული ბიზნესი არა მხოლოდ არასტაბილური, არამედ საშიშიცა: ჩვენი სულების მდგომარეობის შესახებ მსჯელობა შესაძლოა იმ მდინარეების, ტყეებისა და ატმოსფეროს დაბინძურების დონის მიხედვით, რომლებიც საზოგადოებრივი სიკეთებია, მაგრამ „პრივატიზებულია“ მეწარმეების მიერ. საზოგადოების წინაშე მდგარი „პრობლემების გადაჭრის უმოკლეს გზად ქართველი ხალხის დედაქლებისის წიაღში დაბრუნება მიგვაჩინა, ვინაიდან იქაა რელიგიასა და საღ აზრს შორის პარმონიულად ორმხრივი ურთიერთშემავსებელი დამოკიდებულება“, – წერს ინგზა განიძე.<sup>4</sup>

აღსანიშნავია, რომ ბიზნესისა და რელიგიის სინგრამონიზმი ერთმანეთისგან დამოუკიდებელობას, მათ თანამშრომლობას, მაგრამ არავითარ შემთხვევაში შერწყმას არ ნიშნავს. თანამშრომლობაა ის, რომ პრაქტიკაში მათ ერთი და იგივე მორალური იდეალი განახორციელონ. პრაქტიკული თვალსაზრისით საქმე ეხება ორი კულტურის: რელიგიური სფეროსა და ბიზნესის კულტურის „თანამშრომლობას“. რელიგიურ კულტურას შეუძლია დაეხმაროს ბიზნეს კულტურას, რათა მან იპოვოს და განაახლოს თავისი სულიერი შინაარსი.

<sup>1</sup> Сардарян А., Управление среди религий, Управление персоналом. 2009, №5, ст. 12-14.

<sup>2</sup> [http://www.fond.moscow-crimea.ru/duhovny/zhitia/donenko/donenko\\_rm.html](http://www.fond.moscow-crimea.ru/duhovny/zhitia/donenko/donenko_rm.html)

<sup>3</sup> Кураев А., Выступление перед студентами вузов. г. Кемерово, 2008.

<sup>4</sup> გაგნიძე ი., მართლმადიდებლობა და ეკონომიკა, თბ., გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ., 2013, გვ.44.

რელიგიური კულტურიდან მეთოდების მექანიკური სესხება შეუძლებელია, რადგან მიზანი და ხასიათი ამ კულტურებს, რა თქმა უნდა, სხვადასხვა აქვთ. ამასთან, ადამიანი იძულებულია იცხოვროს ეკლესიურად და იცხოვროს სახელმწიფოში, იმიტომ, რომ ის „ეპუთვნის ორ სამყაროს, მაღლიანი თავისუფლების და ბუნებრივი აუცილებლობის სამყაროში“,<sup>1</sup> ზეციურ და მიწიერ სამყაროში ერთდროულად.

„ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიას მიაჩნია, რომ ეკონომიკის აღორძინება-განვითარებას უნდა მივუდგეთ სისტემურად და მასშტაბურად. ამისათვის, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა სულიერი და ეროვნული ღირებულებების დაცვა და განვითარება, ხალხის მატერიალურ კეთილდღეობაზე ზრუნვა, მეზობელ სახელმწიფოებთან კავშირის გაღრმავება და კულტურათა შორის დიალოგი, ქართული ბიზნეს-სექტორის გაფართოება და შეძლებული საშუალო ფენის შექმნა, განათლების, მეცნიერების, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარება“.<sup>2</sup>

პრაქტიკულ სფეროებში ბიზნესი და რელიგია საზოგადოებრივი ცხოვრების კულტურულ სივრცეში ურთიერთქმედებენ. რელიგია მჭიდროდ უკავშირდება გარემომცველ რეალობას, ეკლესის განვითარება მიჰყება მის ფარგლებს გარეთ მიმდინარე განვითარებას. რელიგია მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება გახდეს ქართული საზოგადოების აღორძინების რეალური ფაქტორი, თუ ის გააცნობიერებს და აღიარებს თანამედროვე საზოგადოებრივ ცხოვრებას, რომელიც მჭიდროდ უკავშირდება ბიზნესს. აქ ძირითადი პრინციპებია – კულტურათა შორის დიალოგის, რელიგიური და საზოგადოებრივი ურთიერთქმედების ორგანიზაციების (ღია დისკუსია, ერთობლივი ღონისძიებები) პრინციპები.

საქართველოს მორალური ძალა ემყარება ცხოვრებაში ყველაზე მთავარს – სიყვარულს, მისგან მოდინარეობს რწმენა და სულიერი კულტურა. მართლმადიდებელი ადამიანის გონება და ნება სულიერ-შემოქმედებითი მოძრაობაში მოდის სწორედ სიყვარულისა და რწმენის მეშვეობით. სიყვარული არის ფუნდამენტური სულიერ-შემოქმედებითი ძალა ქართული სულის, რომელიც თავიდანვე მიღრეკილია თანაგრძნობისა და სიკეთისადმი. სიკეთმ ჩამოყალიბდა მართლმადიდებელი ხალხების ურთიერთდახმარების, პასუხისმგებლობისა და ქველმოქმედების გრძნობები. ეკლესიურობის გრძნობა არის ეროვნული იდეის უნივერსალური ფორმა. საზოგადოებრივ ასპექტში ეს ნიშანვს სოციალურად მნიშვნელოვანი პრობლემების კოლექტიური პრინციპებით, საერთო ძალებით გადაჭრის უნარს. სულიერ ასპექტში ეკლესიურობაში იგულისხმება ზეციურისა და მიწიერის შერწყმა, ქრისტიანთა ერთიანობა მიწიერ საქმეებში შეთანხმების მიღწევის მიზნით. სწორედ ეკლესიურობაშია საქართველოს აღმავლობის საკმაოდ დიდი პოტენციალი.

ჩვენი ღრმა რწმენით, ქრისტიანული რელიგიის მიერ საუკუნეების განმავლობაში დაგროვილი სულიერი ფასეულობებისა და მორალური ნორმების აღდგენა შესაძლებელია მხოლოდ ე.წ. მორალური ეკონომიკის პირობებში. მორალური ეკონომიკის ღოქტრინა ეფუძნება ეკონომიკური ცხოვრების, როგორც სოციალური მსახურების გაგებას, ხოლო მისი პრობლემა არის სულიერების ფუნდამენტური საკითხები. ვფიქრობთ, რომ სწორედ ამ საკითხებს მიეკუთვნება რელიგიისა და ბიზნესის მორალური დილემა, როგორც სულიერისა და მატერიალურის დუალიზმის გამოვლინება.

<sup>1</sup> Бердяев Н.А., Философия свободы. М.: Московский филиал «Интерпартнер - МКС» СП «МКС Плюс», 1990, ст. 224.

<sup>2</sup> მესხია ი., რელიგია და გონიომიკური კრიზისი, უკრ. „ბიზნესი და კანონმდებლობა“, №115, 2009.

**Alexander Sichinava  
Dali Sekhniashvili**

## **Religion and Business: Controversy or Unity**

### **R e s u m e**

The article deals with the moral and ethical aspects of Georgian national idea. The ways to implement this idea are based on inseparability and indivisibility of two concepts in the Orthodox Christians life - religion and business.

The recovery of moral values and moral norms, which were accumulated by Christian religion over the centuries, is possible only in conditions of moral economy. The doctrine of moral economy is based on the understanding of economic life as a social service, but its problem is the fundamental issues of spirituality.

## დავით ქათამარე

### ეკონომიკის ჟურნალის მრისტიანულ და ისლამურ ჟანრების შემთხვევათა ურთიერთშედარებითი ანალიზი

მრავალი ეკონომისტის აზრით, კაპიტალიზმი მჭიდროდ არის დაკავშირებული რელიგიასთან. მაქს ვებერის აზრით, სწორედ რელიგიამ შექმნა ეკონომიკის თანამედროვე სისტემების ფორმირების წინაპირობები. ეთიკური თვალსაზრისით, ეკონომიკურ სუბიექტთა რელიგიურობა ხელს უწყობს ბიზნესის გამჭვირვალობას, პატიოსან პარტნიორობას და ა. შ. რელიგიური ქცევის ნორმების მრავალსაუკუნოვანი უცვლელობა განპირობებულია იმით, რომ მას ადამიანები უბრალოდ მიჰყებიან ისტორიულად ჩამოყალიბებული კულტურული ფასეულობების ზეგავლენით. წინაპართა მიერ გადმოცემული რელიგიური ტრადიციები უზრუნველყოფს საზოგადოებრივი ინსტიტუტების სტაბილურობას. ოჯახურ ინსტიტუტს შეუძლია მნიშვნელოვნად შეუმსუბუქოს სახელმწიფოს სოციალური ტვირთი. ოჯახური და ეკონომიკური პრინციპები რეგულირდება რელიგიური კანონებით. რელიგიურ ზღვრებში ჩამოყალიბებული მორალური პასუხისმგებლობა წარმოადგენს ეკონომიკური სუბიექტების ქცევის განმსაზღვრელ ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს.

მორწმუნეთა კომერციული საქმიანობის გააქტიურებამ განაპირობა შრომითი ეთიკის ჩამოყალიბება, რითაც დაფასდა გულმოლების შრომა. რელიგიური თვალსაზრისით, ადამიანმა უნდა შეიძინოს მხოლოდ იმდენი ქონება, რაც აუცილებელია მისი მოთხოვნილების დასაქმაყოფილებლად. მან ზნეობრივი ქცევები უნდა გამოხატოს არა მარტო ოჯახში, არამედ საზოგადოებაშიც, რაც თავის მხრივ მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ურთიერთნიდობაზე აგებული დასაგლური ეკონომიკური სისტემის ფორმირებაში. სწორედ რელიგიურ ფაქტორებზეა დამოკიდებული ის, რომ ერთი და იგივე ინსტიტუტები ერთ საზოგადოებაში უფრო ეფექტურად მუშაობს, ვიდრე მეორეში. საზოგადოებრივი ფასეულობები ყალიბდება საწყისი რელიგიური და შემოქმედებითი იმპულსებით. რელიგიური და ეთიკური აზრისაგან დაცლილ სიმდიდრეზე გამოდევნება სულ უფრო უკავშირდება წმინდა მიწიერ მისწრაფებებს. ცხოვრება უნდა გაუმჯობესდეს, მაგრამ მისათვის უნდა გვესმოდეს ღვთის ხმა და უნდა მივყვეთ მას. ადამიანთა ეკონომიკური ცხოვრების შესახებ რელიგიური შეხედულებები განუხელად იცვლება. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ეკონომიკის შესახებ ქრისტიანულ და ისლამურ შეხედულებათა ურთიერთშედარებით ანალიზს.

ქრისტიანული სარწმუნოების ღრმა ცოდნა აუცილებელი პირობაა მატერიალური კვლავწარმოების სფეროს გაგებისათვის. სწორედ ამ რელიგიამ შექმნა შესაძლებლობა ჩამოყალიბებულიყო თანამედროვე პოსტინდუსტრიული საზოგადოება, რომელმაც დასაბამი მისცა საყოველთაო კეთილდღეობის ფორმირებას. საკუთრებისა და სიმდიდრის შესახებ ქრისტიანული გაგება ემყარება იმას, რომ საკუთრება ღვთისაგან ბოძებული ძვირფასი საჩუქარია, მაგრამ იმავდროულად ქონების მომზვეჭელური, დახარბებული მოპოვება ხრწის სულს, უღირსად (უშრომლად, ქურდობით, სხვისი ძარცვითა და ყაჩაღობით) გამდიდრებული ადამიანის სული სავსეა ბოროტებით. ქრისტიანული მსოფლიშედველობისათვის დამახასიათებელია „ცოდვილი“ სიმდიდრი-სადმი ნეგატიური დამოკიდებულება. ამიტომ ჭეშმარიტმა მორწმუნებ თავი უნდა შეიკავოს სხვისი საკუთრების ხელყოფისაგან. ქრისტიანობისათვის პიროვნება ნებისმიერ სოციალურ-ეკონომიკურ ინსტიტუტზე მაღლა დგას. შესაბამისად, ადამიანი და მისი შრომა ბევრად უფრო მეტად ფასადება, ვიდრე კერძო საკუთრება, სიმდიდრე და ა. შ. ქონებისა და კაპიტალის დაგროვება გამართლებულია მხოლოდ ღვთის მიერ ბოძებული, კანონიერი გზით. ამიტომ საზოგადოების განვითარების ნებისმიერ ეტაპზე როგორც ცალკეული ქვეყნის, ისე მთლიანი მსოფლიო ეკონომიკის გონიერულად წარმართვის მიზნით საჭიროა კაციბრიობამ იხელმძღვანელოს ღვთის მცნებებით, რადგან ეკონომიკური თეორია და ნოუ-პაუ თავისთავად არაფერს ნიშნავს, თუ ხალხს არ გააჩნია საწყისი ეთიკური ფასეულობები, რომლის აუცილებლობაში დარწმუნება არავითარ მეცნიერებას არ

შეუძლია<sup>1</sup>. მსოფლიო რელიგიების უმთავრესი ეთიკური ცნებები დაახლოებით ერთნაირია. ადამიანი, სხვა სულიერ არსებებთან შედარებით, დაჯილდოებულია თავისუფალი ნებით, გონიერებით და სიკეთისკენ სწრაფვით. იგი პასუხისმგებელია თავის საქმიანობაზე, ქმნილზე, თუკი ადამიანი გაითავისებს ამას, მაშინ ის შექმნის შრომის ეთიკასაც და მოწყობს თავის გარე სამყაროსაც.

ქრისტიანობა ასახავს არა მარტო სულიერი, არამედ ეკონომიკური ცხოვრების წესებსაც. ბიბლიის თანახმად, მხოლოდ ღმერთია ყველაფრის მესაკუთრე. მისი საკუთრება თვით ადამიანიც, ამავე დროს, ადამიანებს შეუძლიათ ისარგებლონ და განაგონ ღვთის საკუთრება თავიანთი და თავისი საზოგადოების საკეთილდღეოდ. ადამიანები არიან ღვთისგან ბომებული რესურსების მენეჯერები. ქრისტიანობა ადგენს კერძო საკუთრების ფლობისა და განკარგვის შემზღვდავ წესებს. ბიბლია კრძალავს სხვის საკუთრების მოპარვას, აგრეთვე გასასხებულ ფულზე პროცენტის, როგორც მოთხოვნას, ისე მის გადახდასაც. ბევრი ეკონომისტი თანამედროვე ეკონომიკური თეორიის არსებით ნაკლებას ხედავს იმაში, რომ რელიგიური ფაქტორი გამოიდევნა მეწარმის მოტივაციის სფეროდან. ადამიანის ეკონომიკური ცხოვრების მოდელმა თავისი ეგოისტური, მაქსიმალური რაციონალურობით ეკონომიკური საქმიანობიდან გამოდევნა ეთიკური მხარე. კაცუბრიობამ ბეჭინიერების წყარო უნდა ეძებოს არა სიმღიდორები, არამედ შშვილობასა და რელიგიურობაში. კომპანიების ნდობას ამყარებს მისი თანამშრომლების პატიოსნება. ეკონომიკაში სახელმწიფოს მხრიდან ზედმეტი ჩარევა ადამიანებს უკარგავს სამართლიანობის შეგრძნებას. მაგრამ ზოგჯერ იქმნება ისეთი შემთხვევებიც, როცა სახელმწიფო ონტერესებიდან გამომდინარე აუცილებელი ხდება კერძო საკუთრების ნაციონალიზაცია. კაპიტალიზმი ქრისტიანობის ეპოქაში აღმოცენდა, რომლის მთავარი მიზანი კაპიტალის დაბანდებიდან მოგების მიღებაა. მაგრამ მოგებისადმი თავშეუკავებელი სწრაფვა არ უნდა გავაიგიოოთ კაპიტალიზმთან. პირიქით, კაპიტალიზმი ამ ირაციონალური მისწრაფების ამღაგმავია, განსაკუთრებით მდიდარ ქვეყნებში. მხოლოდ განვითარებადი ქვეყნებისთვის არის დამახასიათებელი ანგარება ფულის შოვნაში.

ქრისტიანობა ოდითგანვე გამოდის სახელმწიფოს (და არა თავისუფალი ეკონომიკის) მხარეზე. კაპიტალიზმი აღმოცენდა სახელმწიფო უსაფრთხოების დასაცავად. მოუხედავად ამისა, თავისუფალი ეკონომიკა მაინც არსებოს და იგი მჭიდრო კავშირშია ქრისტიანობასთან. მართლმადიდებელთათვის მოუღებელია ნებისმიერი რეფორმის კაპიტალიზმთან ადაპტაცია. საზოგადოების მიერ შექმნილი კანონები და ქცევები უნდა ეთანხმებოდნენ ღვთის მიერ დადგენილ ზნეობრივ ნორმებს. ღვთიური ადამიანურზე უპირატესია, ამიტომ ხელისუფლების მიერ დადგენილ კანონებს იქამდე უნდა ვეთანხმებოდეთ, ვიდრე ისინი ქვეყნად ქრისტიანულ სამართლიანობას იცავენ. სახელმწიფოს მართვაში სინდისისა და ქრისტიანული მორალის ამოქმედება (მათი ონსტიტუციური ლეგიტიმაცია) აუცილებელია და ქვეყნის ეკონომიკური ცხოვრების სრულყოფილად წარმართვის საწინდარია<sup>2</sup>. ეკლესია არ ერევა პოლიტიკაში, მაგრამ მას შეუძლია რეკომენდაციები მისცეს პოლიტიკოსებს, ეკონომიკური სისტემის გაუმჯობესების მიზნით. ქრისტიანული თვალსაზრისით, სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს კონკურენციის განვითარებას. უზენაესი მბრძანებლობს არამარტო რელიგიურ სახლებში, არამედ სახელმწიფო და ეკონომიკურ ორგანიზაციებშიც. ბიბლიურ წყაროებში მოცემულია ხელისუფლებისადმი მხარდაჭერის თეზისი, რომ გადასახადების გადახდა სავალდებულოა, მაგრამ გადასახადებიც ისეთი უნდა იყოს, რომ ადამიანმა შეძლოს მისი გადახდა.

მართლმადიდებლური ტრადიციებიდან წარმოშობილი სულიერება შეთავსებადია ეკონომიკურ წარმატებასთან, ისევე როგორც ლიბერალური ტრადიციები – ეკონომიკურ პოლიტიკასთან. გადაჭარბებით არ უნდა შეფასდეს მატერიალური სიკეთის როლი, რადგანაც იგი წარმავალია. რელიგიური თვალსაზრისით, თავად

<sup>1</sup> ცეცხლაძე მ., რელიგია და ეკონომიკა, გამომ. „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, ბათუმი, 2010 წ, გვ. 199.

<sup>2</sup> ქრისტიანობა და ეკონომიკა, <http://old.press.tsu.ge/GEO/internet/conference/KrebuliBolo.pdf>. ქრისტიანობა და ეკონომიკა, სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა კრებული. ქრისტიანული ეკონომიკა სიყვარულს ეფუძნება და სიყვარულის კვლავწარმოებას ისახავს.

სიმდიდრე კი არ არის დასჯის მიზეზი, არამედ – ანგარებით მოპოვებული და მისგან გამოწვეული ამპარტავნული სიამაყე, რაც ხშირად სწორედ გამდიდრებულებს ემართებათ. სიმდიდრის განცდა ასოცირდება კონომიკური ცოდნის განცდასთან, რადგანაც ეკონომისტებს სჯერათ, რომ მხოლოდ მათ შეიცნეს ჭეშმარიტება. სინაძღვილეში ეკონომიკური სამყარო ისევე შეუცნობელია, როგორც მთელი სამყარო. შეუძლებელია ადამიანი გამოვიდეს მისი გამოცდილების ფარგლებიდან. შესაბამისად, მომავლის აგება მხოლოდ წარსულის ცოდნაზე, არ იძლევა წარმატების გარანტიას. რელიგიური თვალსაზრისით, ხელფასზე მოშეშვე ადამიანი „ფასით ნაყიდი“, ფულის მონაა, რომელსაც დაკარგული აქვს თავისუფლება, ყოველ შემთხვევაში სამუშაო საათების განმავლობაში მაინც. ზოგიერთი რელიგიური მოღვაწის თვალსაზრისით, ადამიანმა საკუთარი შრომით უნდა იცხოვროს მაშინაც კი, როცა მას აქვს შანსი იცხოვროს საზოგადოების ხარჯზე. ბიბლია არ უკრძალავს ქალს იშრომოს, აწარმოოს, ხელი მიჰყოს ვაჭრობას, იყოს მენეჯერი და ა. შ. სამწუხაროდ, ქალი დღესაც განიცდის დისკრიმინაციას სამუშაოზე მოწყობის დროს. მართლმადიდებლები ეკონომიკურ ასპექტებსა და რწმენას შორის ურთიერთდამოკიდებულების განხილვის დროს ავლენენ სამი სახის მიღვომას: 1. სიღატაკე შემოსილია ქრისტიანული სათნოებით – „ნეტარ არიან ღატაკნი“, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მდიდრები სამოთხეში ვერ მოხვდებიან, უბრალოდ ამის უფრო მეტი შანსი აქვთ ღარიბებს, რომლებიც მოთმნებით უძლებენ გაჭირვებას და მაინც ღმერთის მადლიერნი არიან. ამ მოთმნების ფონზე ღარიბებაც უნდა იზრუნონ გამდიდრებისათვის; 2. ქრისტიანული თვალსაზრისით, სიმდიდრე განიხილება, როგორც ღვთის წყალობა; 3. ღმერთმა შექმნა მიწა და ადამიანს დააკისრა მასზე პასუხისმგებლობა. ბიბლიის მიხედვით ღმერთი მოგვიწოდებს საპასუხისმგებლო მართვისაკენ. ჩვენ ვლებულობთ ღმერთისაგან უნარ-ჩვევებს, ურთიერთობათა განვითარების პოტენციალს, სულიერ წყალობას, დროს, მატერიალურ საკუთრებასა და ფინანსებს, იმავდროულად ღმერთი გვავალებს ჩვენ ჭკვიანურად, ეკონომიკურად და პასუხისმგებლობით ვმართოთ ღვთისაგან ბოქტული ქონება. ჩვენ უნდა გავამრავლოთ იგი. სწორედ ამაშია ეკონომიკის არსი. თვით „ეკონომიკა“ ხომ „საოჯახო მუშრუნების მართვის ხელოვნებას“ ნიშნავს. იგი გვასწავლის მატერიალურ ღირებულებათა წარმოების, განაწილებისა და მოხმარების წესებს.

ფული სიმდიდრის საზომი ერთეულია, მაგრამ ფულით ვერ გამოვსახავთ ყველაზე ღირებულს: ჰაერს, მეგობრებს, ნათესავებს, ღმერთის სიყვარულს. სამოთხისა და ნეტარების ფულით გაზომვა შეუძლებელია. ადამიანს ახალ ფასეულობათა შექმნისა და გონივრულად მართვის უნარი ღმერთმა უბობა. ამიტომ ღმერთმა სწორედ ადამიანს დააკისრა ამ ცოდნის სწორად გამოყენების პასუხისმგებლობა. ეს არ არის ადამიანის არჩევანი. მას ღვთისაგან დაევალა იყოს შემოქმედი, გაამრავლოს რესურსი, აწარმოოს სიმდიდრე. მაგრამ სამწუხაროდ ადამიანთა უმრავლესობას ღვთისაგან ნაბოები სიმდიდრის მართვის უფლება გადაექცა სიამაყის გრძნობად, რაც გამოიხატება საზოგადოებრივი მდგომარეობის ამაღლების სურვილში. სიღატაკე თავისთავად არ არის სიკეთე, არც სიმდიდრეა ბოროტება. ღატაკსაც და მდიდარსაც თანაბრად აკისრიათ პასუხისმგებლობა ღვთის წინაშე. როგორც ღარიბი, ისე მდიდარიც შეიძლება იყოს კეთილი და ბრძნი, ორიგე მათგანს შეუძლია თანაბრად სძლიოს გამპარტავნების ცდუნებას, არ დაიგიწყოს ღმერთი. „ნეტარ არიან“ ისინი, ვინც გასცემენ ქონებას ღმერთის გზაზე, მაგრამ ეს ქონება პატიოსანი შრომით უნდა იყოს მოპოვებული. ადამიანს მიესაჯა ჭეშმარიტი, სამართლიანი გზით ცხოვრების ვალდებულება უფლის მოსვლამდე. მან ალალი, პატიოსანი შრომით უნდა დაიკმაყფილოს არა მარტო თავისი, არამედ სხვისი მოთხოვნებიც. სწორედ ამიტომ არის ეკონომიკა მნიშვნელოვანი ადამიანისათვის.

თანამედროვე ეტაზე უგვე ნათელი ხდება, რომ მხოლოდ უხილავი ხელი არ არის საკმარისი ბაზრის დასარეგულირებლად, ამისათვის საჭიროა ეთიკური ნორმების გამოყენებაც. ეკონომიკაში ეთიკური ნორმების გამოყენების გარეშე იზრდება ტრანსაქციური ხარჯები, იკარგება ნდობა სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობებში<sup>1</sup>. ეკონომიკის საფუძველი კაპიტალია, რომლის ტიპსაც განსაზღვრავს შესაბამისი ქვეყნის კულტურულ-

<sup>1</sup> [https://www.tsu.ge/data/file\\_db/economist\\_faculty/eka%2520gulua.pdf](https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/eka%2520gulua.pdf). გულუა ე., თსუ, ეკონომიკის ფაკულტეტი, წარმოების ეკონომიკა და მართვა, კრებული, ქრისტიანობა და ეკონომიკა, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

რელიგიური ტრადიცია. ქრისტიანობა პასუხისმგებელია მეწარმის ეთიკაზე, ხელისუფლება კი თვალყურს ადევნებს ამ ეთიკური ნორმების რეალიზაციას. ეკონომიკურ გადაწყვეტილებათა მიღების დროს აუცილებელია მორალურ ფასეულობათა გათვალისწინება, რომლის გარეშეც შეუძლებელია ეკონომიკური სტაბილიზაციის უზრუნველყოფა. რელიგიათაშორისი დეკლარაცია განკუთვნილია ქრისტიანებისათვის, მუსლიმანებისა და ებრაელებისათვის. ამ კოდექსის მიხედვით საწარმოს ამოცანას უნდა წარმოადგენდეს არამარტო მეპაიეთა მოგება, არამედ პასუხისმგებლობა აქციონერების, დასაქმებულების, კლიენტების, მომხმარებლების, დამფინანსებლების, ადგილობრივი, ცენტრალური ხელისუფლებისა და საწარმოს მფლობელთა წინაშე, რომელთაც რაიმე ფორმით წვლილი შეიტანეს წარმოების განვითარებაში. საწარმოს მფლობელები რელიგიათაშორის დეკლარაციაში ბოლო ადგილზეა, რაც შეეხება საწარმოთა ვალდებულებებს თავიანთი თანამშრომლების მიმართ, ამ მხრივ, აღსანიშნავია, რომ უნდა გაუმჯობესდეს მათი შრომის პირობები, დროულად მოგვარდეს კონფლიქტური სიტუაციები, ხელი უნდა შეეწყოს პროფესიონალი კადრების კარიერულ წინსვლას. ამ დეკლარაციის თანახმად, დაქირავებულებს უდიდესი წვლილი შეაქვთ საწარმოს წარმატებაში, ამიტომ კომპანიამ უნდა გაიზიაროს პროფესიონების პოზიციები.

კომპანიამ პატივი უნდა სცეს ინდივიდს, მის რელიგიურ აღმსარებლობას, ოჯახს, რითაც გარანტირებული იქნება კოლექტივის ყველა წევრის კვალიფიკაციის ამაღლებისა და კარიერული წინსვლის შესაძლებლობა. ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელების დროს უნდა გამოირიცხოს დისკრიმინაცია რასის, ფერის, აღშარებლობისა და სქესის მიხედვით. ანალოგიური ვალდებულებებია წაყვენებული კომპანიის ყველა სხვა დანარჩენი მონაწილის მიმართ. ეკონომიკური საქმიანობის ეთიკური კუთხით განხილვისას განასხვავებენ სხვადასხვა დონეს: ზნებრივ მხარეს, ორგანიზაციის პოლიტიკას, სტრატეგიასა და ეთიკურ ქცევას. აქვე გასათვალისწინებელია იმ ქვეწის იურიდიული ჩარჩო, სადაც ფუნქციონირებს საწარმო. აქ უნდა გამოიკვეთოს რამდენიმე საყოველთაოდ აღიარებული ცნება: სამართლიანობა, პატივისცემა, სანდოობა. მარტო ეკლესია კი არ უნდა ზრუნავდეს მართლმადიდებელ მეწარმეთა აღზრდაზე, არამედ სახელმწიფომაც უნდა იზრუნოს ბიზნესის ეთიკური ნორმების ფორმირებაზე,

ეკონომიკის მართვის შესახებ მნიშვნელოვანია ისლამური შეხედულებების გაანალიზებაც, რადგანაც ბიბლიის მრავალი პრინციპი ასახულია ყურანშიც. შესაბამისად ეს პრინციპები ხორციელდება ისლამურ ეკონომიკაშიც. ისლამისათვის, რომელიც ჩამოყალიბდა იუდაიზმისა და ქრისტიანობის გავლენით, დამახასიათებელია ქრისტიანობის მრავალი თავისებურება საკუთრებასთან მიმართებით. ამ მხრივ აღსანიშნავია, თანამედროვე ისლამის შემდეგი დებულებები: ამქვეწად არსებული ყოველგვარი საკუთრების სრული უფლება ეკუთვნის ალაპს. ადამიანი გამოდის მხოლოდ როგორც მის განკარგულებაში არსებული სიმდიდრის ნდობით აღჭურვილი მესაკუთრე; 2. ისლამით განმტკიცებული კერძო საკუთრება აწესრიგებს თანხების კანონიერი გზით გამომტესვებასა და ხარჯვას, აგრეთვე ფინანსური დავალიანების გადახდას; 3. ისლამში ეკონომიკური წესები შეხამებულია სოციალურ სამართლიანობასთან.

ქრისტიანობის მსგავსად, ისლამის მიმდევრები ამტკიცებენ, რომ კაპიტალის გამოყენების წესებს საფუძვლად უნდა დაერთოს ეთიკური პრინციპები. მთლიანობაში წარმოადგენს რა საერო ცხოვრებაზე ორიენტირებულ რელიგიას, ისლამი საშუალებას იძლევა, ეკონომიკურად აქტიური სუბიექტები დარაზმოს კაპიტალის ძველი, ტრადიციული ფორმების წინააღმდეგ ფინანსურ-ეკონომიკური ბრძოლისათვის. ბიბლიის მსგავსად, ყურანიც კრძალავს სესხეზე პროცენტს. მუსლიმანი სწავლულები ამტკიცებენ, რომ ხანგრძლივ პერსპექტივაში პროცენტის გადახდა პრაქტიკულად შეუძლებელია, მაგრამ ისლამი კრძალავს კაპიტალის უმოძრაობასაც. სიმდიდრის მფლობელმა თავისი ქონება უნდა გამოიყენოს საერთო კეთილდღეობის ასამაღლებლად. ამიტომ, ისლამური ბანკები ორიენტირებული არიან არა ფინანსური ოპერაციების რეფორმირებაზე დასავლური გაგებით, არამედ საქმიან მონაწილეობაზე. ბიზნესის ორგანიზაციის ისლამური ფორმა ეფუძნება ერთობლივ პარტნიორობას. ამასთან, ბანკს არ შეუძლია წინასწარ ივარაუდოს, თუ რა მოგებას მიღებს პროექტიდან, რადგან ეს დამკიდებულია იმაზე, თუ როგორ განახორციელებს იგი ამ პროექტის მენეჯმენტის

მისთვის განკუთვნილ ფუნქციას. საბანკო კაპიტალდაბანდებისადმი მსგავსი მიღვომა, ცხადია, აიძულებს ბანკებს შევიღნენ ეკონომიკის რეალურ სექტორში, დააფინანსონ და გარკვეულწილად უხელმძღვანელონ რეალური სექტორის პროექტებს. მეორე შერივ, ისლამი კრძალავს საფონდო და სავალუტო სპეციალისტის, რომელსაც არ მოაქვს არავითარი უკუგება. მისი აკრძალვა უზრუნველყოფს სტაბილური ეკონომიკის განვითარებას. აქციებში ფულის დაბანდება მუსლიმანისათვის განიხილება არა როგორც, საპროცენტო დანამატის სახით, დამატებითი ფულის მიღების წყარო, არამედ როგორც ბიზნესში თანამონაწილეობა. ამიტომ, ისლამი კრძალავს მოკლევადიან სპეციალისტის გაყიდვებს.

მუსლიმანი მცირებულების მიღები ისლამური პოლიტიკურ-ეკონომიკური სისტემის მთავარ მიზანს ხედავენ სოციალური თანასწორუფლებიანობის მიღწევაში, რაც მათ თანაბარი განაწილების გარანტიად მიაჩნიათ. თავიანთი თეორიის ბაზისად ისინი ფურანიდან იღებენ ორ ძირითად პრინციპს: 1. აუცილებელი გადასახადი—“ზექათი”, როგორც ნებაყოფილობითი „განმწმენდი” (შენატანი დატაკების სასარგებლოდ) და 2. საპროცენტო ოპერაციების აკრძალვა. ზექათი ეფუძნება ეკონომიკურ მოტივებს. იგი ავალდებულებს მორწმუნებებს გადასახადის გადახდას, რომელიც უნდა მოხმარდეს დარიტებს. გარდა ზემოთ აღნიშნული ორი პრინციპისა, ისლამის თვალსაზრისით, ეკონომიკური სისტემის ფორმირების ძირითადი პრინციპები უნდა იყოს სამართლიანობა და მიმტევებლობა. მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციისა და ინტერნაციონალიზაციის პირობებში ქვეყნები პერიოდულად განიცდიან ფინანსურ დეფიციტს, რომლის აღმოფხვრაც შეიძლება მოხდეს უცხოური ინვესტიციების მოზიდვით. ამის მიღწევა კი შესაძლებელია საგადასახადო შეღავთების დაწესებით. სხვადასხვა ქვეყნაში განსხვავებული სახის გადასახადების დაწესებისა და საგადასახადო განაკვეთების ცვლილების გამო, უცხოელი ინვესტორები და ტრანსნაციონალური კომპანიები ხშირად იცვლიან რეგისტრაციის ქვეყნას. კაპიტალის დაბანდების თვალსაზრისით საკმაოდ მიმზიდველი არიან დაბალი საგადასახადო განაკვეთების მქონე, სოციალურად ორიენტირებული სახელმწიფოები.

იმისათვის, რომ გავიგოთ, თუ როგორ წესრიგდება კერძო საკუთრება და როგორ არის დაბალანსებული ეკონომიკური წესრიგი, საჭიროა მიგმაროთ ისლამის ეკონომიკური სისტემის კონცეფციას: 1. თავის სამეურნეო საქმიანობაში ყველა ადამიანს აქვს უფლება ისარგებლოს ბუნებრივი რესურსებით; 2. უპატრონო მიწაზე ვინც პირველად აღმოაჩენს მინერალს, უფლება აქვს დაიკმაყოფილოს მოთხოვნა ამ რესურსით, მაგრამ მან სხვასაც უნდა მისცეს ამ მინერალით სარგებლობის უფლება, რადგანაც ყოველ ადამიანს აქვს უფლება ალაპისაგან ბოძებულ სიმდიდრეზე; 3. ისლამი განასხვავებს ადამიანის საბაზო მოთხოვნებსა და უფლენებას. მუსლიმები თვლიან, რომ არსებული ბუნებრივი მარაგი სავსებით საკმარაისია დაკმაყოფილდეს ყველა ადამიანის მოთხოვნილება საჭმელზე, ტანსაცმელზე, საცხოვრისზე. შიმშილი, სიღარიბე და ეკონომიკური ჩამორჩენილობა წარმოადგენს სიკეთეთა უთანასწორო გადანაწილების შედეგს, რომელიც წარმოქმნილია ადამიანთა სიხარიბით, მომხვეჭელობის სურვილით ან უსამართლო კანონებით, და არა ბუნებრივი რესურსების უკმარისობით. ისლამური შეხედულების თანახმად, სასარგებლო წიაღისეული საზოგადოებრივი საკუთრებაა. ნავთობისა და სხვა ბუნებრივი რესურსის გაყიდვით მიღებული შემოსავლები გამოყენებული უნდა იქნეს მოელი საზოგადოების მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

ყველა ადამიანს აქვს უფლება მოიპოვოს საარსებო საშუალება მხოლოდ ალალი შრომით. ისლამის მიზედვით, შრომა ერთდროულად უფლებაცაა და მოვალეობაც. ისლამში ადამიანი საქმიანობის სახეს ირჩევს ამა თუ იმ სპეციალობაზე საზოგადოების მხრიდან საჭიროებიდან გამომდინარე. საზოგადოებისათვის უმჯობესია სახელმწიფომ მოწყვალება კი არ გასცეს დატაკებზე დახმარების სახით, არამედ მისცეს შესაძლებლობა თავად გამოიშვაონ არსებობის საშუალება. ამ თვალსაზრისით, ისლამი ეკონომიკურ ურთიერთობათა სრულიად უნიკალური სისტემაა. ყოველ ადამიანს აქვს საკუთრების უფლება. ზოგიერთი ეკონომიკური საშუალების ნაციონალიზაცია გამართლებულია საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე. ისლამური კანონით დაცულია საკუთრების უფლება. თეოკრატიულ (ისლამურ) სამართალში ქურდობისათვის არსებობს მკაცრი სასჯელი (ხელის მოკვეთა). ეს იმით აიხსნება, რომ ქურდობა ითვლება საზოგადოებისათვის მეტად საშიშ

დანაშეულად. საკუთრების დაცვის მხრივ უმნიშვნელოვანეს საკითხს წარმოადგენს ხელშეკრულების გაფორმება. ღატაკებს აქვთ უფლება მდიდართა ქონების ნაწილზე, რომელიც დადგენილია „ზექათის“ კანონით. პრაქტიკაში ღატიბთა ამ უფლების რეალიზება ხდება, „ზექათის“ სახით, მდიდრებისათვის დაწესებული გადასახადის (მათი ქონების საერთო ღირებულების 1/40 ნაწილის – 2,5%-ის) აკრეფის მეშვეობით სახელმწიფო ბიუჯეტში მობილიზებული თანხების ხარჯზე სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის სოციალური პროგრამების დაფინანსების გზით.

ისლამური თვალსაზრისით, ადამიანის განკარგულებაში არსებული ჭარბი მატერიალური სიკეთე უნდა მოხმარდეს საზოგადოებრივ ინტერესებს. ჭარბ ქონებად ითვლება ქონების ის ნაწილი, რომელიც ადამიანს რჩება მისი ოჯახის აუცილებელ მოთხოვნილებათა დაქმაყოფილების შემდეგ. ადამიანი პატიოსანი გზებით უნდა ცდილობდეს თავისი ოჯახის გამოკვებას. სიმდიდრე სიმდიდრისათვის არ უნდა იქმნებოდეს. ეს სიხარბის გამოხატულებაა. შრომისადმი ძლიერ მოტივაციასთან ერთად, ისლამისათვის დამახასიათებელია შრომის შედეგების საზოგადოების სასარგებლოდ გადანაწილების მკაცრი სისტემა: იგი გულისხმობს ეკონომიკურად აქტიური სუბიექტებისათვის აუცილებელი მოსაკრებლებისა და გადასახადების დაწესებას, საკუთრების მფლობელთათვის ქონების გადასახადის შემოღებას. ისლამში დაგმობილია ფულის უაზრო ხარჯვა. მფლობელის ქონება შეიძლება გადავიდეს მისი მეურვეობის ქვეშ მყოფი ადამიანის განკარგულებაში. ამ უკანასკნელს შეუძლია მდიდარის ქონებიდან გამოიყენოს მხოლოდ იმდენი ფული, რაც აუცილებელია მისი პირველი სასიცოცხლო მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. ისლამის თვალსაზრისით, თუ ადამიანი უანგაროდ ეხმარება სხვას, მის გარიგებებს თან ახლავს ალაპის კურთხევა. წარმოების საშუალებები გამოყენებული უნდა იქნეს მოელი საზოგადოების ინტერესთა სასარგებლოდ.

დაბალანსებული ეკონომიკის განვითარების უზრუნველსაყოფად და საზოგადოების ექსპლუატაციისაგან დასაცავად ისლამის კანონი კრძალავს მონთპოლიას, მეტისმეტად შემზღვდავ კომერციულ საქმიანობას, მევახშეობას, გარიგების დადებისას იძულებითი ზომების გამოყენებას და ცრუ რეკლამის პუბლიკაციას<sup>1</sup>. ფურანის, ისევე როგორც ბიბლიის, თანახმად, ეკონომიკურად აქტიურ სუბიექტებს ღვთისაგან აქვთ მინიჭებული კონკურენციის გამართვის უფლება. ორივე სახის რელიგია კრძალავს სასესხო პროცენტის აღებას. ამ გზით ფულად სისტემაში თავიდან აცილებულია დაუსქონლებელი ფული. ორივე რელიგიის მიმდევრები ამტკიცებენ, რომ ფულმა არ უნდა აკეთოს ფული (მისი გაპროცენტების გზით). მათი აზრით, საინკესტიციო ლოგიკა უნდა გამომდინარეობდეს არა ბანკის უშუალო მოგებიდან, არამედ საზოგადოებრივი სარგებლის გაზრდის იდეიდან. ყოველივე ეს საშუალებას აძლევს ეკონომისტებს პროცენტის ნაცვლად გამოიყენოს ისეთი ტერმინი, როგორიცაა კაპიტალის ეფექტუანობა. შემოსავლის ნორმაზე ორიენტირებული რესურსი გადაედინება ეკონომიკის იმ სფეროში, რომლის პოტენციალიც უფრო დადებითად ფასდება ბაზრის მიერ. მართლმადიდებელ და მესულმან მეცნიერებს პროცენტის წინააღმდეგ მოჰყვათ შემდეგი არგუმენტები: 1. მოვალემ უნდა გადაიხდოს ადრე შეთანხმებული პროცენტი კრედიტის ხარჯზე დაწესებული საქმიანობა ზარალის მიღების შემთხვევაშიც კი; 2. იზრდება სამომხმარებლო, სახელმწიფო და საერთაშორისო ვალები; 3. საზოგადოებრივი სიკეთის განაწილების სისტემაში ბალანსის რღვევა; 4. ეკონომიკური ძალაუფლების კონცენტრაცია მცირე კატეგორიის ადამიანთა ხელში; 5. ინფლაციის ზრდა.

ქრისტიანული რელიგიის მსგავსად ისლამში ბიზნესის შეზღუდვებს განკუთვნება: 1. მევახშეობა; 2. მაღალი რისკის გაურკვეველი გარიგებები; 3. მორალთან შეუთავსებელი საქმიანობა (სათამაშო ბიზნესი, ლატარეა, ფასიანი ქაღალდებით სპეცუალური, სავალუტო სპეცუალური და ა. შ); 4. აკრძალული (ალკოჰოლური სასმელების, ნაკოტიკული და ფისქოტროპული საშუალებების) საქონლის წარმოება, გაჭრობა და ამ სფეროში დაკავებული ყველა საშუალება კომპანიის ან ფიზიკური პირის საქმიანობა; 5. მონოპოლია, 6. ბუნებრივი რესურსების გაფლანგვა ან მათ აღდგენაზე დაბრკოლების შექმნა. ისლამური მორალი, მევახშეობის აკ-

<sup>1</sup> ცეცხლამე მ., რელიგია და ეკონომიკა. გამომც. „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, ბათუმი, 2010, გვ. 199.

რძალვითა და სიმდიდრის გაყიცხვით, ემსგავსება ეკონომიკის შესახებ საწყის თავდაპირველ ქრისტიანულ შეხედულებებს. ეკონომიკის შესახებ თანამედროვე ისლამური და მართლმადიდებლური მოსაზრებების მთავარ საერთო მახასიათებელ ნიშან-თვისებას წარმოადგენს შრომისადმი ძლიერი მოტივაცია და პატიოსნება ბიზნესში. ქრისტიანობის მსგავსად ისლამშიც დაცულია ქალთა უფლებები. ორივე რელიგია უშვებს ქონებრივ დიფერენციაციას, სიმდიდრეს, ვაჭრობას და ა. შ. მართალია, ისლამისა და ქრისტიანობის მიმდევარი მეცნიერ-ეკონომისტები არ კრძალავენ გამდიდრებას, იცავენ კერძო საკუთრებას, მაგრამ მხოლოდ პატიოსანი გზით მოპოვებულ ქონებას. ამ ორივე რელიგიის მიმდევრები კრძალავენ სიხარბეს. ისინი ვაჭრებს ურჩევენ ხელგაშლილი ცხოვრებისაგან თავშეკავებას. ამრიგად, როგორც ისლამი, ისე ქრისტიანობა საზოგადოების სოციალური სტრუქტურებისა და მორალური ნორმების განმსაზღვრელი რელიგიაა. ეკონომისტების აზრით, მეურნეობრიობის ისლამური და ქრისტიანული მორალით გაჯერებული მოდელი წარმოადგენს საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური თანაცხოვრების განსხვავებულ სისტემას, რაც გამოიხატება იმაში, რომ თუკი ის იმუშავებს პრაქტიკაში, ეს იქნება ერთ-ერთი ყველაზე უფრო სოციალურად ორიენტირებული ეკონომიკა.

ამრიგად, ეკონომიკური ქცევის რელიგიურ-ეთიკური ნორმების შესახებ ქრისტიანულ და ისლამურ შეხედულებათა ურთიერთშედარებითი ანალიზი იძლევა იმის მტკიცების საშუალებას, რომ ქრისტიანულ და ისლამურ რელიგიებს გააჩნიათ ბევრი საერთო მახასიათებელი თვისება:

1. დადგენილი კანონების და შეზღუდვების დაცვა, საგალდებულოა როგორც ქრისტიანებისათვის, ისე ისლამის მიმდევრებისათვის;
2. ორივე რელიგიის თანახმად, საკუთრება ღვთის კუთვნილებაა, რომელიც გამოსაყენებლად და გასამრავლებლად ღვთისაგან დროებით აქვთ ბოძებული ადამიანებს;
3. როგორც ქრისტიანობაში, ისე ისლამურ სამყაროში ოჯახი მიჩნეულია ფასეულ თვითმყოფად, სოციალურ, სამეურნეო სუბიექტად;
4. ორივე რელიგიის თანახმად, მორწმუნენი ვალდებულნი არიან დაეხმარონ უმწეოებს (ქვრივებს, ობლებს, ავადმყოფებს, მოხუცებს, დარიბებს), მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში;
5. ორივე რელიგიაში ნებადართულია ვაჭრობა, თუ იქნება დაცული სიზუსტე ზომა-წონაში;
6. როგორც ქრისტიანს, ისე ისლამის მიმდევარს უნდა ეშინოდეს ცოდვის;
7. ორივე რელიგიის მიმდევარს ევალება პატიოსანი და კეთილსინდისიერი შრომა;
8. ორივე რელიგია ავალდებულებს ეკონომიკურად აქტიურ სუბიექტებს (მდიდრებს) გაიღონ მათი შემოსავლების გარკვეული ნაწილი;
9. ისევე როგორც ქრისტიანობა, ისლამიც კრძალავს მევახშეობას.

## David Katamadze

### Comparative Analysis of Christian and Islamic Views on the Economy

#### R e s u m e

In order to compare Christian and Islamic views on the economy it's of utmost importance to study the religious and ethical norms of economic behavior. Christian and Islamic religions have many features in common regarding the economy:

1. Obeying the laws and limitations is obligatory for both Christians and followers of Islam;
2. Both religion argue that the property belongs to God, which is given to people to use temporarily;

3. Both in Christianity and Islam, family is considered to be a valuable social, economic institution;
4. Believers of both religions are obliged to help the helpless (widows, orphans, the sick, the elderly, the poor), to participate in socially useful work;
5. Both religions permit trade if the accuracy of size and weight are protected;
6. Christians as well as followers of Islam should have fear of sin;
7. Followers of both religions are obliged to work honestly;
8. Both religions asks economically active subjects (the rich) to sacrifice some of their income;
9. Christianity, like Islam also forbids usury.

## თეიმურაზ შეხელია

### ძრისტიანული მოქალა, ორგორც შრომითი პულტურის უმიზველობასი დეტარმინაცი

გლობალიზაციის ეპოქაში ქრისტიანული შეხედულებების გააზრება და შეფასება, რელიგიისა და შრომის კულტურის საკითხების კვლევა, ცივილიზებულ მსოფლიოში დიდ ინტერესს იწვევს. რელიგია გახდა ის მძლავრი სულიერი ფაქტორი, რომელიც იწვევს შრომის მოტივაციას, ამიტომაც არის, რომ ღრმა რელიგიური სეგმენტის მქონე ქვეყნები მძლავრი ეკონომიკური ზრდით ხასიათდებიან. ცნობილი ეკონომისტების რობერტ ბერისა და რეიჩელ მაკლერის კვლევა გვიჩვენებს, რომ ძლიერ რელიგიურ რწმენას აქვს პოზიტიური ზეგავლენა ქვეყნის ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლებზე. რ. ბერი და რ. მაკლერი 1980-იან და 1990-იანი წლების განმავლობაში აკვირდებოდნენ რელიგიური რწმენისა და ეკონომიკურ ზრდის მაჩვენებლებს 59 ქვეყანაში. მათი დასკვნის შესაბამისად, ღრმა რელიგიური რწმენა სტიმულს აძლევს ეკონომიკურ ზრდას<sup>1</sup>. ამდენად, ყველა ქრისტიანული კონფესია ერთმნიშვნელოვანია იმ საკითხთან მიმართებით, რომ რელიგია არის შრომითი ეთიკის საფუძველი, თუმცა ისიც აღნიშვნის ღირსია, რომ ის ანდენს არაურთვევაროვან ზეგავლენას შრომის მორალზე.

რელიგიის დეფინიცია, თვითონ ამ სიტყვის ეტიმოლოგიური ახსნითა და ისტორიით იწყება. ყოველივე იმის აღსანიშნავად, რაც ღმერთთან რაიმე თეორიულ თუ პრაქტიკულ დამოკიდებულებაში იმყოფებოდა, ძველ ბერძნებს, რაიმე განსაკუთრებული, ზოგადი ცნება არ მოეპოვებოდათ, ე.ი. ძველ ბერძნებს არ ჰქონდათ სიტყვა „რელიგია“. ბერძნებისაგან განსხვავებით, რომაელებს ნამდვილად აქვთ ზუსტად განსაზღვრული და ეტიმოლოგიურად დაგენილი „რელიგია“. სიტყვა „Religio“ იყო რომაული იდენტის განმსაზღვრელი, სხვა ხალხების რწმენას ისინი ამ სახელით არ მოიხსენიებდნენ. ციცერონის ცნობილი de natura deorum არის უძველესი წყარო, სადაც ის წერს: „თუკი ღმერთები ადამიანების ძღვენს შესაბამისი წყალობით არ პასუხობენ, მაში რადა საჭირო ყოფილა „პიეტას“, „სანკტიტას“ და „რელიგიო?“ ძველრომაული „რელიგიო“ ნიშნავს განსაკუთრებულ, ზუსტ ანუ პრეციზულ და გულმოდგინე ყურადღებას, პატივისცემას იმისადმი, რასაც ღმერთები ადამიანებისაგან მოიხოვდნენ. რომში სახელმწიფო კანონით სავალდებულო ღვთის განდიდება—თაყვანისცემა (დეუს colere) უნდა გამოხატულიყო კულტმსახურების უზადოდ, და პრეციზულად აღსრულებაში. რასაკვირველია, რომაული რელიგია იყო ორთოპრაქსულად და არა ორთოდოქსულად ორიენტირებული. რომაული რელიგიურობის მიზანი იყო არა სწორი რწმენა, არამედ სწორი მსახურება.

ქრისტიანობაში სიტყვა რელიგია religio ნიშნავს მოწიწებით პატივისცემას, ჩინეთში მას უწოდებენ „ჩიაოს“ რაც „მოძღვრებას“ ნიშნავს, ინდოეთში „დჰარმას“ – „წესრიგს“, არაბულში „დინს“ – „ღვთაებრივ განგებას“. იუდაიზმს, ქრისტიანობასა და ისლამს აბრამისტულ რელიგიებს უწოდებენ, რადგან ძველი აღთქმა მათ ერთ-ერთ პატრიარქს აბრამს უკავშირებს. სამივე რელიგია აღიარებს ძველი აღქმის წიგნს. ქრისტიანული ეკლესია მთლიანად იზიარებს ძველ აღქმას, რომელიც იგივე ებრაული ბიბლია „თანახია“. ისლამი კი ძველი აღქმიდან იზიარებს მოსეს ხუთ წიგნს „თორას“.

სახელმწიფოს ჭეშმარიტი პროგრესისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ეროვნული საფუძვლების ჩამოყალიბებას, სადაც მნიშვნელოვანი აღილი უჭირავს შრომითი კულტურისა და რელიგიის ურთიერთმმართვების საკითხს. სამეცნიერო და რელიგიურ ზედვათა გაერთიანებას, უდიდესი როლის შესრულება შეუძლია ქვეყნის განვითარების საქმეში. ეკლესია საუკუნეების მანძილზე უზრუნველყოფდა ერის სულიერ და მატერიალურ განვითარებას, იგი ამგვიდრებდა ქრისტიანულ ფასეულობებზე დაფუძნებულ კულტურას, რომელიც ასახავდა ქართულ ცნობიერებას. „ნებისმიერი ადამიანური საქმიანობა – ფილოსოფია, მეცნიერება, ხელოსნობა, ხელოვნება, განათლება, კულტურა – თავის წარუგალ

<sup>1</sup> შენგელია თ., გლობალური ბიზნესი, თბ, 2013, გვ. 106.

ღირებულებას მხოლოდ მაშინ იძენს, როცა განათლდება და გაიაზრება ღმერთკაცში – ჩვენს უფალსა და ღმერთში იესო ქრისტეში“<sup>1</sup>.

მნიშვნელოვანია ქრისტიანული (მართლმადიდებლური) პოზიციიდან გავიაზროთ შრომითი კულტურის როლი და უუნიკია ჩვენი ქვეყნისათვის. წმინდა იღვა მართალი გვმოძღვრავს: „,ქრისტეს რჯული ქართველებისათვის მარტო სარწმუნოებითი აღსარება კი არ იყო, იგი ამასთან ერთად პოლიტიკური ქვითკირიც იყო საქართველოს მრავალი ნაწილების გასაერთიანებლად და შემოსაკრებად. ერთობა სარწმუნოებისა, ერთობას ერისას მოასწავებდა“<sup>2</sup>. დღესავით ნათელია ის, რომ საუკუნეთა სიღრმიდან მომავალ მართლმადიდებლური მსოფლმხედველობა მხოლოდ საეკლესიო ფასეულობა არ არის, არამედ ჩვენი შრომითი კულტურის და ეკონომიკის წარმატებული განვითარების საწინდარია.

ქრისტიანობის ეკონომიურ მნიშვნელობაზე არაერთი მეცნიერი ამაზილებდა ყურადღებას, ჯერ კიდევ 1904 წელს გერმენელმა სოციოლოგმა მაქს ვიბერმა თავის წიგნში: „პროტესტანტული ეთიკა და კაპიტალიზმის სული“, ჩამოაყალიბა მოსაზრებები ქრისტიანობაზე (პროტესტანტიზმზე), როგორც კაპიტალიზმის განვითარების წყაროზე. მართლმადიდებლობა დოგმატურად განსხვავდება პროტესტანტიზმისაგან და თუნდაც კათოლიკიზმისაგან (პაპისტური ეკლესისაგან), ვფიქრობ, საინტერესო იქნება შრომის კულტურისადმი ზოგადი ქრისტიანული ხედვა.

ქრისტიანობა და შრომის მორალი დღესაც აქტიური კვლევის ობიექტია, ამის მიზეზად კი შეიძლება დასახელდეს მეცნიერების განვითარება, რადგანაც, როგორც შენიშნავს ა. ეინშტეინი „რაც უფრო წინ მიდის მეცნიერება, მით უფრო ვუახლოვდებით ისეთ საკითხებს, რომლებზეც პასუხის გაცემა მხოლოდ რწმენით შეიძლება“.

ქრისტიანულ ღირებულებებზე დაყრდნობით უნდა მიმდინარეობდეს მსჯელობა ყველა მნიშვნელოვან საკითხზე და მათ შორის შრომის მორალზე, რომელსაც ღრმა ისტორიული ფესვები გააჩნია. ქრისტიანული მორალის შესაბამისად, პირველი ცოდვის ჩადენის შემდეგ ადამიანი განიღევნა ედემის ბალიდან და მისი სასჯელი შრომა იყო – „ოფლითა პირისა შენისათა სჭამდე პურსა შენსა ვიდრე მიქცევადმდე შენდა მიწად, რომლისაგან მოღებულ იქმნენ, რამეთუ მიწაგ ხარ და მიწად-ცა მიიქცე“<sup>3</sup>. ცნობილი მეცნიერი მ. როზე აღნიშნავს, რომ იუდაიზმი შრომას განიხილავს როგორც წყველას, რომელიც ღმერთმა ადამიანების დასასჯელად გამოიგონა<sup>4</sup>. ძველი აღთქმის მრავალი ფრაზა ასაბუთებს შრომის უცილებლობას, თუმცა მხოლოდ როგორც სიღატაკის დაძლევის საშუალებას, და არა როგორც სიამოვნების წყაროს. მეცნიერი ა. მაუგუდი წერს, რომ ბერძნები, იუდეველებას მსგავსად, შრომას განიხილავნენ როგორც წყველას<sup>5</sup>. შრომას ბერძნები გამოხატავენ სიტყვა „პონოს“-ით, რაც სევდას, დარდს აღნიშნავდა. შრომა მატერიალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების საშუალებად მიიჩნეოდა. პლატონისა და არისტოტელეს თანახმად, ადამიანთა უმრავლესობის შრომის მიზეზი და მიზანი იყო ის, რომ უმცირესობას, ელიტას, გონების ვარჯიშის, ანუ ფილოსოფიით, ხელოვნებითა და პოლიტიკით დაკავების შესაძლებლობა ჰქონდა.

ბერძნთა რწმენის თანახმად, ადამიანის კეთილგონიერება, ზნეობა და სიბრძნე პირდაპირპორციული იყო იმ თავისუფალი დროისა, რომელიც მის განკარგულებაში იყო. ის კი, ვინც შრომობდა, მაშინ, როდესაც ამის საჭიროება არ იყო, აფერმკრთალებდა განსხვავებას ბატონსა და მონას შორის. რომაელებმა ამ თვალსაზრისით ბევრი რამ მიიღეს ბერძნული კულტურისაგან. რომის იმპერიის ჩამოყალიბებამდე მონათმფლობელობა ანტიკური სამყაროსათვის დამახასიათებელია, მაგრამ სწორედ რომაელებმა გამოიყენეს მონის შრომა გაცილებით ფართოდ<sup>6</sup>. რომაელების აზრით, ფიზიკური შრომა ზუსტად მონების წილზედრი უნდა ყოფილოყო. ორი

<sup>1</sup> ღირსი იუსტინე პოპოვიჩი. სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა, თბ., 1995, გ. 5, გვ. 158.

<sup>2</sup> წმ. იღვა მართალი (ჭავჭავაძე), სასკოლო ბიბლიოთეკა, თბ., 2001.

<sup>3</sup> Miller, M. D., Principles and a philosophy for vocational education, Columbus, OH: Ohio State, 1985, p.28.

<sup>4</sup> Maywood, A. G., Vocational education and the work ethic, Canadian Vocational Journal, 18(3), 1982, p. 12.

<sup>5</sup> Anthony, P. D., The ideology of work. Great Britain: Tavistock, 1977.

სახის საქმიანობა იყო მისაღები თავისუფალი ადამიანისათვის – სოფლის მეურნეობა და კომერცია<sup>1</sup>. სხვა დანარჩენი საქმიანობა რომაული მოქალაქისათვის დამატირებელი და ღირსების შემლახავი იყო.

შუა საუკუნეებში, რომის იმპერიის დაცემის შემდეგ, ქრისტიანული აზროვნება განსაზღვრავდა ევროპის კულტურას<sup>2</sup>. თუმცა, შრომის ქრისტიანული კონცეფცია მოიცავდა ბერძნულ-რომაულ იდეებსაც. შრომა კვლავ განიხილებოდა ღვთიურ სასჯელად პირველი ცოდვის გამო, მაგრამ ამ ცალსახად ნეგატიურ ხედვას დაემატა სარგებლის მიღების პოზიტიური ასპექტი, რაც ადამიანს ცხოვრებისეული მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის სხვის წყალობაზე დამოკიდებულებისაგან იცავდა. სიმღიდრე განიხილებოდა როგორც შრომის შედეგი და სოციალური სტატუსის დამტკიცებულების წყარო. ისევე როგორც ანტიკურ სამყაროში, შუა საუკუნეების კულტურაშიც სოციალური სტატუსი დაკავშირებული იყო იმ საქმიანობასთან, რომელსაც ადამიანი ეწეოდა. პროფესიებისა და ხელობის იერარქია განავითარა წმინდა თომა აქვინელმა (მე-13ს.). რანგირებაში პირველ ადგილას სასოფლო-სამურნეო წარმოება იდგა, მას მოსდევდა ხელოსნობა და ბოლოს ვაჭრობა. კლესიური შრომა კი უმაღლესი კატეგორიის საქმიანობად მიიჩნეოდა<sup>3</sup>; სამონასტრო ცხოვრების იდეალური ფორმა იყო ლოცვა და ღვთის მსახურობა<sup>4</sup>. საკლესით საქმიანობას მისდევდა ადამიანი თუ საეროს, შრომა, რომლითაც ის იყო დაკავშირებული, ღვთის მიერ განსაზღვრულად მიიჩნეოდა, შესაბამისად, მშრომელის მოვალეობა იყო შემდეგი თაობებისათვის გადაეცა საოჯახო საქმიანობის ტრადიციები.

შუა საუკუნეების კულტურაში შრომის დანიშნულება იყო დაეკმაყოფილებინა ადამიანის, მისი ოჯახისა და საზოგადოების მოთხოვნები და თავიდან აეცილებინა უსაქმურობა, როგორც ცოდვისაკენ მიმავალი გზა. შრომა საზოგადოების ეკონომიკური სტრუქტურის ნაწილი გახდა, რომელიც სხვა მოვლენების მსგავსად, ღვთის ნებით განსაზღვრულად მიიჩნეოდა.

XVI საუკუნის რეფორმაციასთან ერთად დასავლეთ ევროპაში შრომისადმი ახალი დამოკიდებულება დამტკიდრდა. ამ პერიოდში ორმა რელიგიურმა ფიგურამ განსაზღვრა დასავლური კულტურის შრომისადმი მიდგომა. ესენი იყვნენ მარტინ ლუთერი (1483–1546) და ჟან კალვინი (1509–1564). მარტინ ლუთერს სწავლა, რომ ადამიანს შეუძლია ემსახუროს ღმერთს თავისი შრომით, რომ შრომა საზოგადოებისა და სხვადასხვა სოციალური კლასის უნივერსალური საფუძველია, რომ ადამიანმა დაუღალავად უნდა იშრომოს იმ პროფესიის ფარგლებში, რომელსაც დაბადებიდან განეკუთხება და არ უნდა ეცადოს მის შეცვლას; ეს მცდელობა ღვთის ნების წინააღმდეგ წასვლის ტოლფასი იქნება, რადგანს წორედ მან მიაკუთვნა თითოეულ ადამიანს ადგილი სოციალურ იერარქიაში<sup>5</sup>.

ლუთერის აზრით, სამონასტრო ცხოვრება, რომელიც იდეალად მიიჩნეოდა შუა საუკუნეებში, ბერთა ნაწილმა ეგოისტურ საქმიანობად გადააქცია; ლუთერი მათ საკუთარი მოვალეობების თავიდან აცილებაში სდებდა ბრალს. ლუთერისთვის ადამიანის ღვთისმიერ განსაზღვრული დანიშნულება გათანაბრებული იყო მის პროფესიასა და საქმიანობასთან და მისი აზრით, ნებისმიერი საქმიანობა თაბანარი სულიერი ღირსების მქონე იყო. ეს იდეა ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რადგან ის ფიზიკურ შრომას ისევე მისაღებად მიიჩნევდა, როგორც სხვა დანარჩენს. ლუთერს არ მიაჩნდა კომერცია საქმიანობის სფეროდ<sup>6</sup>. მისი აზრით, კომერცია არ არის რეალური შრომა. ლუთერი ასევე ოვლიდა, რომ თითოეული ადამიანის შემოსავალი უნდა აკმაყოფილებდეს მის საბაზისო მოთხოვნილებებს, სიმღიდრის დაგროვებასა და მოხვეჭას კი ცოდვად მიიჩნევდა. ცნობილი სოციოლოგის მაქს ვებერის თეოლოგიური დოქტრინები, რომლებმაც მარტინ ლუთერისთან ერთად განაპირობა შრომისადმი არსებითად ახალი მიდგომის დამტკიცება, ჟან კალვინს ეპუთვნის.

<sup>1</sup> Maywood, A. G., Vocational education and the work ethic, Canadian Vocational Journal, 18(3), 1982, p.12.

<sup>2</sup> Braude, L., Work and workers. New York: Praeger, 1975, p. 18.

<sup>3</sup> Rose, M., Reworking the work ethic: Economic values and socio-cultural politics, London: Schocken, 1985, p.19.

<sup>4</sup> Braude, L., Work and workers. New York: Praeger, 1975.

<sup>5</sup> Maywood, A. G., Vocational education and the work ethic, Canadian Vocational Journal, 18(3), 1982, p. 61.

<sup>6</sup> Lipset, S. M., The work ethic - then and now. Public Interest, Winter 1990, p. 69.

კალვინი იყო ფრანგი თეოლოგი. კალვინის სწავლების თანახმად, ყველა ადამიანი უნდა შრომობდეს, მდიდარიც კი, რადგან შრომა ღვთის ნებაა; ადამიანის ვალია, იყოს ღვთის ხატი დედამიწაზე და გარდასახოს სამყარო ღვთიური სამეფოს მსგავსად, იყოს ნაწილი ღმერთის შემოქმედების უწყვეტი პროცესისა<sup>1</sup>. ადამიანები არ უნდა ესწრაფოდნენ სიმდიდრეს, ქონებას ან იოლ ცხოვრებას, არამედ ხელახლა უნდა ახდენდნენ შრომით მიღებული სარგებელის რეინვესტირებას შემდგომ წამოწყებებში. ამგვარად, ყოველ ჯერზე თავიდან უნდა მომხდარიყო შემოსავლის რეინვესტირება და ასე უსასრულობამდე ან სამყაროს აღსასრულამდე<sup>2</sup>. სარგებელის გამოყენება სხვების დასახმარებლად, მათი მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, განიხილებოდა როგორც ღვთისნების საწინააღმდეგო ქმედება, რადგან ადამიანებს მხოლოდ თავისი შრომით (და არა სხვების დახმარებით) შეეძლოთ დაემტკიცებინათ, რომ ისინი რჩეულნი იყვნენ<sup>3</sup>.

პროტესტანტულმა რეფორმაციამ, კერძოდ, ლუთერისა და კალვინის თეოლოგიური სწავლების საფუძველზე ჩამოყალიბებულმა ნორმებმა წაახალისა შრომა, როგორც ღვთის სამსახური.

XVI საუკუნეში დამკვიდრებული დამოკიდებულება შრომისადმი და ეკონომიკური ღირებულებები, რომლებსაც ეს დამოკიდებულება ასაზრდოებდა, მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა ანტიკური და შუასუკუნე-ებში არსებული შრომისა აღქმისაგან<sup>4</sup>. მაქს ვებერმა ახალი შექედულების აღსანიშნავად შემოიტანა ტერმინი „პროტესტანტული ეთიკა“. პროტესტანტული ეთიკის მთავარი ელემენტები იყო სიბეჭითე, პუნქტუალობა, წესრიგი და შრომის უპირატსად აღიარება.

თავისი წიგნის პირველ თავში ვებერი პროფესიულ სტატისტიკაზე დაყრდნობით წერს, რომ მაღალი დონის ბიზნესკულტურისა და უკეთ გაწრთვილი მუშა კლასის მქონე ქვეყნებში უმეტესად პროტესტანტიზმი წარმოადგენს ძირითად რელიგიას. ეს ფაქტი ნაწილობრივად შეიძლება აიხსნას იმით, რომ დასავლეთ ევროპის მდიდარ ქვეყნებში ხალხი უჭერდა მხარს პროტესტანტულ რეფორმაციას. ლოგიკურია ვიფიქროთ, რომ ყველაზე თავისუფალი ეკონომიკური ტრადიციების მქონე ქვეყნებში რელიგიას უნდა გადაენაცვლა ადამიანთა ცხოვრებაში მეორეადი მნიშვნელობის მქონე ფაქტორად. თუმცა პროტესტანტული რეფორმაციის მიზანი არ იყო ქრისტიანობის ზეგავლენის დასუსტება, არამედ კათოლიკური ეკლესიის დოგმების ჩანაცვლება ყოველდღიურ ცხოვრებაში აქტუალური რელიგიური სწავლებით. კათოლიკურ და პროტესტანტულ დოგმებს შორის არსებული განსხვავებები ნათლად წარმოაჩენს რომ პროტესტანტებს უფრო მატერიალისტური მიღვომა პქნდათ ეკონომიკურ აქტივობასთან. თუმცა პროსტანტიზმის ძირითად მიმდევრობათა დახასიათება აუცილებელია იმისთვის, რომ ხაზი გავავლოთ ზუსტად იმ ფაქტორებს, რომლებმაც შეცვალა ხალხის დამოკიდებულება ბიზნესთან და ზეგავლენა მოახდინა კაპიტალიზმის განვითარებაზე. კათოლიკურ რწმენას მ. ვებერი ახასიათებას როგორც არაამქვეყნიურს და ესთეთიკურს. კათოლიზმისგან განსხვავებით პროტესტანტული ფილოსოფია ნაკლებად ეყრდნობა რელიგიის სულიერ და „არამქვეყნიურ“ ასპექტებს, თუმცა, მეტად მნიშვნელოვანია თუ რომელ პროტესტანტული მიმდევრობაზეა საუბარი. მხოლოდ პროტესტანტიზმის ძირითადი ოთხი მიმდევრობების კალვინიზმის, ლუთერანიზმის და მთოლიზმის დამახასიათებელი სწავლებლის ანალიზისა და მათი კათოლიციზმთან შედარების შემდეგ, შეიძლება საუბარი იმაზე თუ როგორ მოახდინა ზეგავლენა პროტესტანტიზმა კაპიტალიზმის ზრდაზე. მ. ვებერი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი განსხვავება პროტესტანტიზმის მიმდევრობების სწავლებათა შორის მდგომარეობს იმაში, თუ რამდენად აღიარებენ ეს მიმდევრობები პრედისტინაციას, ანუ უფლისაგან დაწესებულ ბედისწერას. ვებერი ასევე საუბრობს პროტესტანტულ რელიგიაში არსებულ დოგმაზე, რომელიც მოწოდებასთანაა დაკავშირებული. ეს დოგმა მხოლოდ პროტესტანტული სწავლებისთვის არის დამახასიათებელი და განსხვაბული მნიშვნელობა ენიჭება. პროტესტანტებისთვის მოწოდების სრული მნიშვნელობა არის უფლისგან დაგალებუ-

<sup>1</sup> Braude, L., Work and workers. New York: Praeger, 1975, p.14.

<sup>2</sup> Lipset, S. M., The work ethic - then and now. Public Interest, Winter 1990, p.61.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 69.

<sup>4</sup> Anthony, P. D., The ideology of work. Great Britain: Tavistoc, 1977, p.26.

ლი (მოწოდებული) იდეალი, რომლისკენაც სწრაფვა წარმოადგენს მათი ცხოვრებას უმთავრეს მიზანს, მარტინ ლუთერის სწავლების მიხედვით ყველა „მოწოდება“ თანაბარმნიშნელოვანია უფლისთვის.

პროტესტანტიზმის მიმდევრობების ანალიზს მ. ვებერი კალვინიზმზე მსჯელობით იწყებს. უმთავრესი დამახასიათებელი ნიშანი კალვინიზმისთვის არის ძლიერი რწმენა პრედესტინაციანიზმი. კალვინისტებს სწამთ, რომ თითოეული მათგანის ბედი წინასწარ არის „დაწერილი“ ღმერთის მიერ და ამქვეყნიური სტანდარტების მიხედვით განსჯა უფლის სამართალისა არის უაზრობა, საკუთარ ბედისწერაზე წუწუნი კი ცხოველის მიერ ადამიანად არ გაჩენაზე წუწუნის ტოლფასია. კალვინის სწავლების მიხედვით ადამიანს არ შეუძლია ჩადენილი ცოდვის მონანიებით გამოსყიდვა და უფლის წყალობის მოპოვება თუ კი უფალმა თვითონ არ უბომა წყალობა ადამიანს. ლოგიკურია დავასკნათ, რომ დასავლურ ქვეყნებში დღევანდელობაში დამკვიდრებული ძლიერი ინდივიდუალისტური შრომითი პრაქტიკა სწორედ ამ დოგმებში იყრის საფუძველს. ინდივიდუალიზმი კი დასავლეთის სამყაროს განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დამახასითებელი ნიშანია.

ერთი-ერთი უმთავრესი მიზეზი პროტესტანტული რეფორმაციის წარმოშობისა იყო კათოლიკური ეკლესიის მიერ დაწესებული ინდულგენციის შემოლება, რომლითაც ვატიკანმა უზარმაზარი ფინანსური მოგება ნახა. ეკლესიის ამ ნორმამ ბიძგი მისცა პროტესტის გრძნობას კათოლიკებში, განსაკუთრებით კი დაბალი შემოსავლის მქონე ხალხში, რომელთაც ფული არ ჰყოფნიდათ ცოდვების გამოსასყიდლად. კალვინიზმა კი სრულიად სხვა პერსპექტივა შესთავაზა მორწმუნებს, რომლებიც ვალდებული იყვნენ მუდამ კარგი ეკეთებინათ საქმე და შეცდომების გამოსყიდვის შანსი არ ჰქონდათ. აქედან წარმოიშვა უფრო რაციონალური და სისტემატური მიღეომა ცხოვრებისადმი. ხალხმა საკუთარი რწმენის გამტკიცება ყოველდღიურ ცხოვრებაში წარმატებული საქმიანობით დაიწყო. ისტორიულად პრედესტინაციის დოგმა საფუძველი ჩაუყარა პიეტიზმსაც, პიეტისტებს სწამდათ რომ ადამიანის ბედი უფლის ხელში იყო, თუმცა ადამიანს მაინც ჰქონდა შანსი ცხოვრებაშივე შეცვალა მისი ბედი და მოეპოვებინა უფლის წყალობა. მ. ვებერის აზრით პიეტიზმის გავლენა კაპიტალიზმის განვითარებაზე ნაკლებია, ვიდრე კალვინიზმისა.

მ. ვებერი წერს, რომ მეთოდიზმი კომბინაციაა კათოლიკური და კალვინისტური რწმენისა. კალვინისტების მსგავსად მეთოდისტები არ აღიარებნენ ცოდვების მონაბეჭით გამოსყიდვის შესაძლებლობას, თუმცა არც მათი ბედის წინასწარ მომზადებულობის სჯეროდათ და გამოსავალს ხედავდნენ სისტემატიურ და ყოველდღიური ცხოვრებისეული წარმატებებით გზის გაკვლევას უფლის წყალობის მოპოვებისკენ. მეთოდისტური ეკლესია მეთვრამეტე საუკუნის შუა წლებში წარმოიშვა და ახალი არაფერი დაუმატებია კალვინიზმისთვის და რაც მთავრია არ აღიარებდა პრედესტინაციის დოგმას რასაც არსებითი მნიშვნელობა აქვს მ. ვებერის თეორიაში.

მ. ვებერი გვიჩვენებს პროტესტანტული ეთიკის რა პრინციპებმა მოახდინა დადებითი ზეგავლენა კაპიტალიზმზე. აქ, მნიშვნელოვანია ის, რომ სისტემატიური შრომის აუცილებლობამ აღმოფხვრა ხალხში სპონტანური ცხოვრების წესი და შესაძლებლობების ნაწილობრივი გამოყენება, რამაც ხელი შეუწყო პროდუქციის სტანდარტიზაციას და ახალი შესაძლებლობების წარმოქმნას. ყოველდღიური შრომის აუცილებლობამ და ფულის ხელგაშლილად ხარჯებს დაგმობამ კი ხელი შეუწყო ფულის დაგროვების კულტურის განვითარებას. გადანახული ფულით და მაღალი შრომისუნარიანობით აღჭურვილ ადამიანებს მიეცათ ეკონომიკური განვითარების ახალი გზები. დროთა განმავლობაში პროტესტანტულმა ეთიკამ დაკარგა ძალა და ადამიანებისთვის მუშაობის მიზანი სწორედ სიმდიდრე გახდა, მაგრამ ამან არ შეცვალა ის სანიმუშო მიღომა მუშაობისადმი რაც პროტესტანტიზმა წარმოშვა და რამაც ხელი შეუწყო კაპიტალიზმის ზრდას ძალიან ჩქარი ტემპებით. იდეალურ კათოლიკიზმში უსამართლობად ითვლება სიმდიდრის არათანაბარი გადანაწილება, ვინაიდან ღარიბის დახმარება ადამიანის მოვალეობად მიიჩნეოდა. პროტესტანტებისთვის კი სიმდიდრის გადანაწილება ღმერთის ნებად ითვლება, რამაც ხელი შეუწყო ინდივიდუალიზმს და ეპოზმს, რაც კაპიტალიზმის განვითარების უმნიშვნელოვანესი ფაქტორია.

## **Christian Moral, as the Most Important Determinant of Labour Culture**

### **R e s u m e**

Discussion of all the important issues, including labor moral, which has deep historical roots, should be based on the Christian values.

Along with the 16<sup>th</sup> century reformation, a new attitude to the labor was established in West Europe. In that period two religious figures determined an approach to the western culture of labor. They were Martin Luther (1483-1546) and Jean Calvin (1509-1564). Martin Luther believed that man can serve God by working and that working is the universal basis of the society and different social classes; he argued that man should work hard within the profession he belongs to from his birth and should not try to change it. Trying to change the profession would be an action against God's will, because it was just He, who gave each individual his/her place in the social hierarchy. According to the teaching of Jean Calvin, every man should work, even the rich, because the work is God's will; it is man's obligation to be God's image on the earth and to make the universe like a divine kingdom, to be a part of the continuous process of God's creative work. The protestant reformation, in particular, the norms established based on theological teaching of M. Luther and J. Calvin, encouraged working, as a service to God.

The attitude to work, established in the 16<sup>th</sup> century and the economic values based on these attitudes considerably differed from have working was perceived in the Ancient and Middle Ages.

Max Weber introduced the term "protestant ethics" to mark the new opinion. The main elements of the protestant ethics were diligence, accuracy, order and recognition of work supremacy.

The protestant reformation was the most important change in the history of Europe. It is undoubted that Protestantism changed the way of life of the western nations forever. The fact that the protestant reformation was the factor promoting development of capitalism and the role of religion in the formation of capitalism is the subject of dispute among the scholars. Both Capitalism and Protestantism are the result of those historical changes, which developed in Europe since 16<sup>th</sup> century. Protestantism and Capitalism have played mutually beneficial role in establishment of labor culture. The main purpose of changes that happened in religion and economy is natural striving of human beings towards freedom. As a result, "adjustment" of religion and economy to individual everyday practice took place.

## გიორგი შიხაშვილი ნიკოლოზ ბაგაშვილი

### სამეცნიერო-მმართველობითი თემატიკა დიდი სჯულის პანორამის მიხედვით

ქრისტიანული ეკონომიკის უმთავრესი პრინციპია – ფასულობათა (მათ შორის – ფულის, ქონების, სიმდიდრის) სიმართლით (ღვთივდადგენილი ზნეობით) მოპოვება და სიკეთები გამოყენება.

ეკლესია წარმოადგენს ღმერთის მიერ დაფუძნებულ ორგანიზაციას. ეკლესის მისიაა ის, რომ ღმერთთან სინერგიული თანამშრომლობით უზრუნველყოს კაცობრიობისათვის მარადიული სიცოცხლე ზეციურ სასუფე-ველში.

თანამედროვე საქართველოსათვის უაღრესად მნიშვნელოვანია სამეურნეო საქმიანობის ყოველმხრივი გან-ვითარება როგორც საერო, ასევე საეკლესიო სფეროებში. ეკლესის და სახელმწიფოს მატერიალური და ფი-ნანსური სიძლიერე უზრუნველყოფს ერის სულიერ და ეკონომიკურ კეთილდღეობას. სათანადო სამართლებრი-ვი, ორგანიზაციული, ეკონომიკური და მმართველობითი ღონისძიებების შედეგად საქართველოს შეუძლია მიაღ-წიოს ასეთ მიზანს.

აუცილებელია საზოგადოებრივი განვითარების სულიერ-ხორციელი და სამეურნეო-სამართლებრივი საწყი-სების ჰარმონიზაცია, რაზეც ბევრს ფიქრობდა და წერდა წმ. ილია მართალი (ჭავჭავაძე). მას მიაჩნდა, რომ საყოველთაო კეთილდღეობის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ ისეთი კანონმდებლობისა და მეურნეობის მეშვე-ობით, რომელიც ისტორიისა და ცხოვრების ღვიძლი შვილია და მთლიანად ადგილობრივი ცხოვრებიდან გა-მომდინარეობს<sup>1</sup>.

ბიბლიური მოძღვრებით ნასაზრდოები და საეკლესიო სამართალზე დაფუძნებული სამეურნეო-მმართვე-ლობითი საქმიანობა საზოგადოებრივი ცხოვრების ის სფეროა, რომელიც ისტორიულად აწესრიგებდა და მომა-ვალშიც უზრუნველპყოფს ქართული სახელმწიფოს ჰარმონიულ განვითარებას.

იგანე ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ ისტორიულად საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია სახელ-მწიფო ყოფა-ცხოვრების ძლიერ ფაქტორად ითვლებოდა, ერის მთელ აზროვნებაზე დიდი გავლენა ჰქონდა და განსაკუთრებული უფლებებით სარგებლობდა. ამდენად, საეკლესიო სამართლის ცოდნა ჩვენი სოციალურ-ეკო-ნომიკური ცხოვრების მკვლევარისათვის აუცილებლად საჭიროა. ქართული სამართლის უძველესი ძეგლებიც საეკლესიო კანონმდებლობის ძეგლებია და წყაროების განხილვა მათგანვე უნდა იწყებოდეს. ქართული საეკლე-სიო სამართლის შეცულობა და მოქმედების არეალი წმინდა საეკლესიო მოწესრიგების სფეროს სცილდებოდა და საერთო-სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას იძნდა<sup>2</sup>.

საეკლესიო სამართლის წყაროებს შორის გამორჩეული ადგილი უკავია დიდი სჯულის კანონს, რომე-ლიც დადგენილია როგორც სავალდებულო კოდექსი მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესიისათვის. მისი მთა-ვარი ღირსება არის ის, რომ იგი შენაარსით და ქრონოლოგიურად სისტემაში არის მოყვანილი, შეიცავს სამო-ქალაქო კანონმდებლობასაც და სხვადასხვა მნიშვნელოვანი სამართლის ძეგლების ნაკვეთებსაც.

დიდი სჯულის კანონში ფართოდ არის ასახული სამეურნეო და მმართველობითი ზასიათის მრავალფე-როვანი თემატიკა, რომელიც ფრიად აქტუალურია როგორც საერო, ასევე საეკლესიო საზოგადოებისათვის.

დიდი სჯულის კანონი არის წმინდა და საეკლესიო კანონთა კრებული, დაბეჭდილი და შენახული ყო-ველგვარი დამატებებისა და მოკლების გარეშე. მათი ცოდნა, მიყოლა და მტკიცედ პყრობა მართებს ქრისტია-ნული მარილებლობის ყველა ადამიანს და მთლიანად და სრულიად მართლმადიდებელთა ეკლესიას<sup>3</sup>. დიდი

<sup>1</sup> ჭავჭავაძე ი., ხალხის ჩვეულებათა შესწავლის შესახებ. თხზ., ტ. 4, თბ., 1955. გვ. 192-194.

<sup>2</sup> ჯავახიშვილი ივ., ქართული სამართლის ისტორია (წიგნი პირველი), ზოგადი ცნობები, თხზ. ტ. 6, თბ., 1982, გვ. 23.

<sup>3</sup> დიდი სჯულის კანონი: რუს-ურბნისის საეკლესიო კრების ძეგლისწერა. წიგნში: საქართველოს ეკლესიის კალენ-დარი, 1987, გვ. 466.

სჯულის კანონი, სულიერ მომენტებთან ერთად, არეგულირებს საზოგადოებრივი ცხოვრების სოციალურ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, მმართველობით, კულტურულ, ეკოლოგიურ, ზნეობრივ და სხვა სფეროებს.

ცნობილია, რომ კანონი არეგულირებს არსებულ ან/და პოტენციურ პრობლემებს. სადაც პრობლემა არ იქმნება, იქ არც კანონის საჭიროებაა. ჩვენი ცოდვით დაცემული ბუნება საჭიროებს გარკვეულ რეგულირებას და კონტროლს. მაგრამ ეს რეგულირება მხოლოდ კანონთა არსებობით როდი გადაწყდება. ყოვლადბრძნმა, საზირმა და კაცომებარე ღმერთის, რომელმაც ისე შეიყვარა წუთისოფელი, რომ მისცა თავისი მხოლოდ შებილი ძე, რათა ყოველი მისი მორწმუნე არ დაიღუპოს, არამედ ჰქონდეს საუკუნო სიცოცხლე (იოან. 3,16), სჯულიც დაგვიდგინა და კეთილ-გონივრულად მართვის მიზნით, იერარქიაც დააწესა. მხოლოდ ისეთ ქვეყანაში იქნება უზრუნველყოფილი ცალკეული ინდივიდის და მთელი საზოგადოების სულიერი და მატერიალური კეთილდღეობა, სადაც ღვთისმოებარე და კეთილგონიერი ადამიანების მიერ არის შევსებულ-დელეგირებული მმართველობითი იერარქია და მართვის ფუნქციები.

დიდი სჯულის კანონში დასმული პრობლემების გადაჭირის სიბრძნე, დადგენილი კანონების იერარქიული სუბორდინაციის უპირობო დაცვით აღსრულებაა. იერარქია არის ღვთივდადგენილი ის მძლავრი იარაღი, რომლის გარეშეც შეუძლებელია ორგანიზაციული მართვა, მართვის ორგანოების კომპეტენტურად დაკომპლექტება და საქმიანობის ეფექტიანი წარმართვა. იერარქიის გამოყენება შეუძლია საზოგადოების როგორც ჯანსაღ, ასევე, სამწუხაროდ, არაჯანსაღ ელემენტებსაც და სწორედ ამ უკანასკნელთა მიერ განხორციელებული იერარქიული მართვა უდევს საფუძვლად ომებისა თუ სხვა ნეგატიური მოვლენების ორგანიზებასაც.

ეკლესიური მართვის უმთავრესი პარადიგმა გადმოცემულია სარდიკის კრების კანონებში (მუხლი 14): „ეპისკოპოსს ევალება, რომ გულწრფელად უყვარდეს და გულითადად წყალობდეს თავის მსახურებს, ასევე მსახურნიც ერთგულად უნდა ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობას ეპისკოპოსის წინაშე“<sup>1</sup>.

მართვის იერარქიულ მეთოდთან ერთად დიდი სჯულის კანონში დარეგულირებულია სამეურნეო-მმართველობითი თვალსაზრისით ისეთი მნიშვნელოვანი საკითხებიც, როგორიცაა: შრომა; სიმდიდრე; ქონების მართვა; შემოსავლის მართვა; იერარქია და სუბორდინაცია; კადრების მართვა; ეკონომოსი; სოფლის მეურნეობა; მექრთამებია; ვახში; მომსვეჭელობა; უზნეო ბიზნესი; სიწმინდეთა ხელყოფა; ქრისტეს უარყოფა ყოფითი პრობლემების მიზეზით; საერო და სასულიერო საქმეთა შეთავსება; ბრალდების წაყენება; სასამართლო; მოწყალება; მოკრძალებულად ცხოვრება და სხვა.

ადამიანის ნებისმიერი მოქმედება, იქნება ეს ინტელექტუალური თუ ფიზიკური, არის შრომა. შრომის სარისხეა დამოკიდებული ყოველგვარი საქმის წარმატება.

თავისუფალი ნება, შემოქმედებითი უნარის საშუალებით, ადამიანმა უნდა გამოხატოს შრომაში, ხოლო შედეგად მიიღოს თავისი შრომის კეთილი ნაყოფი, რაც ცათა სასუფეველში დამკიდრების წინაპირობაა. ამასთან, თავად შრომა აუცილებელია როგორც ჩვენი საკუთარი, ასევე სხვა ადამიანების საჭიროებათა დაკმაყოფილებისათვის. პავლე მოციქულის თქმით „ვისაც შრომა არ სურს, ის ნუღარც ჭამს“ (2 თეს. 3,10) და კიდევ: „ზარმაცის სულს სწადია და არა აქვს, ბეჯითთა სული კი გამსუყდება“ (იგავ. 13,4).

ფიზიკური შრომისაგან დასვენება არა მხოლოდ ზეციურ სასუფეველში მოხდება, არამედ გარკვეული ღვთივდადგენილი მცნებები (კანონები) მიწიერ ცხოვრებაშიც მოქმედებს. უფალმა ადამიანებს დაუწესა, რათა იქმოდენ ექვს დღეს და მეშვიდე დღეს დაისვენონ თავიანთი საქმებისგან და ღვთის სადიდებელი საქმები აქეთონ. ამისათვის თავად უფალმა მოგვცა მაგალითი, როდესაც მან გაასრულა მეექვსე დღეს თავისი საქმე და დაისვენა მეშვიდე დღეს ყოველი საქმისგან. აკურთხა დმტრომა მეშვიდე დღე და წმიდაპიტი იგი (დაბ. 2, 2-3). მეშვიდე დღეს დასვენება ჩვენს საქმეთაგან ასახულია ღვთის მიერ სინას მთაზე მოსესოვის მიცემულ ათ მცნებაში (გაბ. 20,10).

წმიდა მოციქულთა პეტრეს და პავლეს განწესებები სწორედ ამ მცნების, თავიანთი მხრიდან – განმტკიცებით იწყება: „ჩვენ, პეტრე და პავლე, ერს განვუწესებთ, რომ ისაქმონ ხუთი დღე, ხოლო შაბათსა და

<sup>1</sup> დიდი სჯულის კანონი, წიგნში: საქართველოს ეკლესის კალენდარი, 1987, გვ. 230-231.

კვირას მოიცალონ კეთილმსახურებითი საეკლესიო მოძღვრებისათვის, რადგან ვთქვით, რომ შაბათს დაბადების სახე აქვს, ხოლო კვირას – „აღდგომისა“ (მოც. განწ. 1).<sup>1</sup> შემდეგ გრძელდება უქმე დღეთა ჩამონათვალი, რომელთაც ერთი საერთო ნიშანი აერთიანებს – უქმობა ამაო საზრუნავთაგან და მხოლოდ სიკეთის ქმნაზე ზრუნვა, ანუ – ღვთის დიდება. რჯულის კანონში უქმობის შესახებ ლაოდიკის კრება (ლაოდიკ. 29)<sup>2</sup> და სხვა კანონებიც გვიდასტურებს.

**კაცომყვარე უფალმა ადამიანის შრომა აკურთხა და წაახალისა. როგორც დავით მეფის ფსალმუნში ვკითხულობთ:** „ნეტარია ყოველი, რომელსაც ეშინია უფლისა და იარება მისი გზებით. შენი ხელების ნაყოფს თუ ჭამ, ნეტარება შენ და სიკეთე შენ“ (ფს. 127,1-2); ასევე: „აი, სად ვხდავ მე სიკეთეს, შესაფერ საქმეს: ჭამოს კაცმა, სვას და იხაროს თავისი ღვაწლით ამ მზისქვეშეთში დღენი მისნი, ღმერთმა რომ მისცა; რადგან ესაა მისი ხვედრი“ (ეკლ. 5,17). და: „კაცს ღმერთი აძლევს ქონებასა და სიმდიდრეს და იმის შენისაც, რომ მოიხმაროს, მიიღოს წილი და გაიხაროს თავისი შრომით; – ეს ყველაფერი ღვთის წყალობაა“ (ეკლ. 5,18).

ზემოთ აღნიშნულიდან ნათლად ჩანს, რომ პატიოსანი შრომით მოპოვებული სიმდიდრე ღვთის წყალობაა, რაც დანგრაში შეკრებილ წმიდა მამათა კანონებშიც დასტურდება, რომ არ უნდა შეურაცხველოთ სიმდიდრე, რომელიც სიმართლით არის შეძენილი და სიკეთისათვის იხარჯება (დანგრ. 21).<sup>3</sup> ეს უკანასკნელი ძალიან მარტივად და ამავდროულად – სიღრმისეულად არის ჩამოყალიბებული. სიმდიდრის პატიოსანი გზით მოპოვება როდი კმარა, რათა ღვთის კურთხევა მოიპოვო. ადამიანმა მისი სიკეთისათვის გამოყენება უნდა ის-წავლოს, რაც სიმდიდრის მოპოვებაზე არანაკლებ როტულია.

**დიდი სჯულის კანონი საეკლესიო ქონების მართვა-განკარგვას ეპისკოპოსს მნიშვნელოვან მოვალეობად და იერარქიულ უფლებამოსილებად უწესებს:** – ყოველი ეპისკოპოსი „იმას უნდა აკეთებდეს, რაც სასარგებლოა მისი ეკლესიისთვის და მისთვის დაქვემდებარებული სოფლებისათვის“ (მოც. კან. 34); ეპისკოპოსი „უნდა ზრუნავდეს ყოველგვარ საეკლესიო ნივთებზე და განაგებდეს მათ, როგორც ღვთის ზედამხედველობის ქვეშ მყოფთ. მაგრამ მას არა აქვს ნება, რომ მიიხევოს რამე მათგან, ან თავის ნათესავებს აჩუქოს ღვთის საუნვე“ (მოც. კან. 38); ამასთან „მღვდლები და დიაკვნები ნურაფერს ნუ გააკეთებენ ეპისკოპოსის ნებართვის გარეშე, რადგან ივაია, ვისაც აბარია ერი ღვთისა და ვისაც მოეკითხება პასუხი მათი სულებისათვის“ (მოც. კან. 39) და „ვბრძანებთ, რომ ეპისკოპოსს უნდა ჰქონდეს ძალაუფლება საეკლესიო ნივთებზე, რადგანაც თუ მას ჩაბარებული აქვს ადამიანების პატიოსანი სულები, რამდენად უფრო ნივთებზე შეიძლება ამისი დაშვება, რათა თავისი ძალაუფლებით განაგოს მან ყველაფერი და მღვდლებისა და დიაკვნების მიერ ღვთის შიშითა და სრული მოწიწებით უნაწილებოდებს“ (მოც. კან. 41).<sup>4</sup>

**იერარქიული მორჩილების გზით ქონების განკარგვის ღვთივდადგენილი წესი გაღმოცემულ-განმტკიცებულია სხვა კანონებშიც:** წმ. მოციქულთა პეტრესა და პავლეს განწესებანი (მუხლი 14),<sup>5</sup> ანკირიაში შეკრებილ წმ. მამათა კანონები (მუხლი 15),<sup>6</sup> ანტიოქიაში შეკრებილ წმ. მამათა კანონები (მუხლები 24, 25),<sup>7</sup> IV მსოფლიო კრების კანონები (მუხლები 22, 24, 25, 26),<sup>8</sup> კონსტანტინოპოლის წმინდა მოციქულთა ტაძარში შეკრებილი ორგზისი წმინდა დიდი კრების დადგენილი კანონები (მუხლები 1, 6, 7)<sup>9</sup> და სხვა კანონები.

<sup>1</sup> დიდი სჯულის კანონი, წიგნში: საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 1987, გვ. 175.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 206.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 194.

<sup>4</sup> იქვე, 166-167.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 176.

<sup>6</sup> იქვე, გვ. 185.

<sup>7</sup> იქვე, გვ. 203-204.

<sup>8</sup> იქვე, გვ. 221-222.

<sup>9</sup> იქვე, გვ. 368-372.

ეკონომოსი ეპარქიის აუცილებელი საკადრო ერთეულია. ეკონომოსი უნდა ჰყავდეს ყველა ეპისკოპოსს, მონასტერს და ეკლესიას.

ქალკედონის IV მსოფლიო კრებას კანონებით დადგენილია: „როგორც გავიგეთ, ზოგ ეკლესიაში ეპისკოპოსები მართავენ საეკლესიო ქონებასა და საქმეს ეკონომოსის გარეშე. მივიჩნევთ, რომ ყველა ეკლესიას, რომელსაც ეპისკოპოსი ჰყავს, უნდა ჰყავდეს ეკონომოსიც, არჩეული სასულიერო პირთაგან, რომელიც უნდა განაგებდეს საეკლესიო საქმებს ეპისკოპოსთან შეთანხმებით, რათა საეკლესიო ქონება მოწმის გარეშე არ იყოს დახარჯული და განაწილებული. ეს ადგვეთს საეკლესიო ქონების გაბნევას, რაც გამოიწვევდა სამღვდელოების გაკიცხვა-დაგმობას. ვინც ასე არ მოიქცევა, იგი საღვთო კანონთა მიერ დაისჯება“ (მუხლი 26)<sup>1</sup>.

ნიკეის VII მსოფლიო კრება ადგენს: „საეპისკოპოსოებში და მონასტერებში აუცილებლად უნდა იყოს ეკონომოსი. ვინაიდან ვალად გვაწევს ყველა საღვთო კანონის შესრულება, უცვლელედ უნდა დავიცვათ აგრეთვე კანონიც, რომელიც ამბობს, რომ ეკონომოსის ყოფნა ყოველ ეკლესიაში არის საჭირო“ (მუხლი 11)<sup>2</sup>.

დიდი სჯულის კანონი მკაცრად კიცხავს ადამიანებს, რომლებიც მექრთამეობა-მომზვეჭელობის საქმეში, ვახშის აღებასა და სიწმინდეთა ხელყოფაში არიან შემჩნეული და მხილებული. ლაოდიკის კრების კანონებში სწერია: „სამღვდელო პირმა არ უნდა გაასესოს სარგებლით ფული და არ უნდა აიღოს ვახში და აღნადგინები“ (მუხლი 4)<sup>3</sup>; ასევე, კართაგენის ადგილობრივი კრების კანონებიც ადასტურებენ: „მიგვაჩნია, რომ თუ სასულიერო პირი ვინმეს ასესხებს ფულს, თუ ახსოვს, რამდენი მისცა, იმდენივე უნდა მიიღოს უკან. იგივე ითქმის ნივთზე“ (მუხლი 16)<sup>4</sup>. ეს საკითხი სხვა კანონებშიც არაერთხელაა დადასტურებული.

საერთოდ, წმინდა წერილის მიერ „უარყოფილია ქონების სიყვარული, ვახში, აღნადგინები, ძალადობით თავის ქონებაზე სხვისის დამატება, თუნდაც ამას ვაჭრობის, შეთანხმების სახე ჰქონდეს“ (გრიგოლ ნოსელი ეპისკოპოსის კანონიკური ეპისტოლე მელიტინელი ეპისკოპოსის წმინდა ლიტოსადმი, მუხლი 6)<sup>5</sup>. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ქონება სჭირდება ეკლესიას, რათა სააქაოში იარსებოს ადამიანთა საიქიოსთვის მომზადების მიზნით. უფრო მეტიც, საეკლესიო თუ არასაეკლესიო ქონების ხელყოფა დათის რისხვის გამომწვევია, ხოლო ქველმოქმედება და მოწყალება – ნეტარების დამკვიდრების გარანტია, რადგან დაწერილია „ნეტარ არიან მოწყალენი, ვინაიდან ისინი შეწყალებული იქნებიან“ (მათე 5,7).

ამასთან, ქალკედონის IV მსოფლიო კრების კანონებში ვკითხულობთ: „თითოეული ეკლესიის კუთვნილი სახნავ-სათესი ადგილისა და სოფლის შემოსავალი მტკიცებად და უცვლელად უნდა ჰქონდეს ამ ეკლესიის მპყრობელ ეპისკოპოსს. და მით უმეტეს მაშინ, თუ ოცდაათი წლის განმავლობაში დავის გარეშე ფლობდნენ და განაგებდნენ მათ“ (მუხლი 17)<sup>6</sup>.

დიდი სჯულის კანონი არა ერთხელ ეხება მიწათსარგებლობის საკითხებს და მიწის რაციონალურ მოვლა-პატრონობას უმკაცრესად გვიდგენს.

საქართველო მიწათმოქმედების უმცველესი კერაა. ყველასათვის კარგად არის ცნობილი, თუ რა ქარცეცხლი გამოიარა საქართველომ და წარმოუდგენელი სირთულეების გადალახვის – ჩვენი სახელოვანი მეფებისა და თავდადებული მამულიშვილების მიერ წმინდა წერილისა და დიდ რჯულის კანონში დადგენილი ნორმების უპირობო დაცვის შედეგად მოაღწია დღემდე.

დიდი სჯულის კანონი და მასში ასახული სამურნეო-მმართველობითი სწავლება საეკლესიო და საერო ხელისუფალთა მისწრაფებების პარმონიული ურთიერთშესამების ისტორიულ საფუძველს და ნიმუშს წარმოადგენს, რისი აღორძინებაც აუცილებელია თანამედროვე პირობებში, რათა საქართველომ აღიდგინოს დავითისა და თამარის დროინდელი დიდება და კეთილდღეობა.

<sup>1</sup> დიდი სჯულის კანონი, წიგნში: საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 1987, გვ. 222.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 356.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 204.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 242-243.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 440.

<sup>6</sup> იქვე, გვ. 220.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების ეროვნულ კონცეფციას საფუძვლად უნდა დაედოს თეოლო-გიური სამეურნეო-მმართველობითი მოძღვრება, რაც აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული ყველა კომპეტენტური და დაინტერესებული მხარის მიერ, რათა გამამდოს სათანადო მუშაობა დასახული მიზნების მიღწევისათვის.

**Giorgi Shikhashvili  
Nikoloz Bakashvili**

## **The Great Religion Law and National Concept of Economic Development**

### **R e s u m e**

The main principal of Christian economy is to obtain values (including money, property, wealth) in an honest way and apply for kindness.

The Church represents an organization established by the Lord. The mission of the Church is to ensure eternal life for humanity in heaven through synergic cooperation with the Lord.

Great Religion Law and the economic and managerial studies given there represent historical basis and sample of harmonic combination of ecclesiastic and temporal rulers' aspirations, the restoration of which is necessary in the current conditions, so that Georgia may restore the fame and prosperity of David's and Tamar's ages.

The national concept of Georgia's economic development should be based on theological economic and managerial doctrine that should be taken into account by all competent and interested stakeholders in order to perform respective activities for achieving the designated goals.

**გიგლიური მოძღვრება, როგორც მდგრადი ეკონომიკურ-ეკოლოგიური  
ბაზითარების მოვალეობის საფუძველი**

ბიბლიური მოძღვრება გვასწავლის:

- “ღმერთმა შექმნა ცა და მიწა“ (დაბ. 1, 1);
- “უფლისა არის ქვეყნიერება და საკსება მისი, სამყარო და მისი მკვიდრნი“ (ფს. 23, 1-2);
- “აიყვანა ადამი უფალმა ღმერთმა და დაასახლა ედემის ბალში მის დასამუშავებლად და დასაცავად“ (დაბ. 2, 15);
- “შართალი ზრუნავს თავისი პირუტყვის სიცოცხლეზე, ბოროტეულთა გული კი სასტიკია“ (იგავ. 12,10).

თანამედროვე პირობებში კომპლექსური სოციალურ-ეკონომიკური და ეკოლოგიური პრობლემების პრაქტიკული გადაჭრა და ქვეყნის შემდგომი წინსვლა ორგანულად არის დამოკიდებული ყოველმხრივ გააზრებული სათანადო თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლების ჩამოყალიბებაზე.

აუცილებელია სამეურნეო-მმართველობითი საქმიანობის რადიკალური პუმანიზაცია რელიგიური პრინციპების და ზნეობის საფუძველზე. ეს განსაკუთრებით აქტუალურია ეკონომიკურად ჩამორჩენილი ქვეყნებისათვის, სახელმისამართისათვის, სადაც ესოდენ მწვავედ ვლინდება გაუაზრებელი და უზნეო ეკონომიკური საქმიანობის სავალალო სოციალურ-ეკონომიკურ-ეკოლოგიური შედეგები.

ნებისმიერი საქმის წარმატება პირდაპირ არის დამოკიდებული გულმოდგინე გააზრების, დაგეგმვის, სათანადო შესაძლებლობების გამოვლენისა და შესაბამისი სახსრებით უზრუნველყოფის სიავგარეზე. აქ მოვიხმოთ სახარჯისეული სიბრძნე, რომლითაც გვმოძრვალავს და გვაფრთხილებს უფალი იესო ქრისტე: „...თუ რომელიმე თქვენგანი კოშკის აგებას მოისურვებს, განა თავდაპირველად არ დაჯდება და არ გამოთვლის ხარჯს, რაც დასჭირდება მის დასრულებას? რათა, საძირკველს თუ ჩაყრის, მაგრამ ვერ შესძლებს დასრულოს, მნახველებმა დაცინვა არ დაუწყონ მას, და არა თქვან: აი, კაცი, რომელმაც დაიწყო შენება და დასრულება კი ვერ შესძლო“ (ლუკ. 14, 28-30).

დღეს, ახალი საზოგადოების მშენებლობის პროცესში, ჩენ სწორედ ასეთ არასახარბიელო მდგომარეობაში აღმოეჩნდით, ვინაიდან შენება კი დავიწყეთ, მაგრამ სასურველი შედეგისგან ჯერ კიდევ შორს ვამყოფებით. ასეთი გარემოება განპირობებულია მრავალი ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზით, რომელთა შორის უპირველესად აღსანიშნავია ის პარადოქსი, რომ ვაშენებთ საძირკვლის გარეშე. აუცილებელია უახლოეს მომავალში შევქმნათ ახალი საზოგადოებრივი შენობის მყარი საძირკველი, რომლის შემადგენელი ნაწილებია:

- სოციალურ-ეკონომიკური რეფორმების ყოველმხრივი ღვთივსულიერი თეორიულ-მეთოდოლოგიური უზრუნველყოფა;
- მდგრადი ეკონომიკურ-ეკოლოგიური განვითარების ფუნდამენტური ეროვნული კონცეფცია;
- კონცეფციაზე დაფუძნებული სტრატეგიული გეგმა და შესაბამისი ბიუჯეტი.

საქართველოს ნორმალური სოციალურ-ეკონომიკურ-ეკოლოგიური განვითარება შეუძლებელია ადგილობრივი (ეროვნულ-ტრადიციული), რეგიონული (კავკასია) და გლობალური ფაქტორების გათვალისწინების გარეშე. ამიტომაც ეკონომიკის მდგრადი განვითარების სტრატეგია უნდა ეყრდნობოდეს ამ სამი ფაქტორის პარმონიულ შერწყმას. სწორედ აქედან გამომდინარე უნდა განიხილებოდეს ეროვნული მეურნეობის ყოველი დარგის განვითარების, შესაბამისი გარემოსდაცვითი საქმიანობის, მისი ოპტიმალური მართვის და დაფინანსების პერსტექტივებიც.

საქართველოს მდგრადი ეკონომიკურ-ეკოლოგიური განვითარების ფუნდამენტური კონცეფციის შემუშავებისათვის აუცილებელია ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ფასეულობათა გათვალისწინება და მათი პარმონიული ურთიერთშესამება. სწორედ ასეთ გზაზე უნდა ვიდოდნენ ცალკეული ქეყნები და მთელი კაცობრიობა XXI საუკუნეში.

გაეროს მიერ 1992 წელს რიო-დე-ჟანეიროში მიღებული და მთელი მსოფლიოსათვის რეკომენდებული პოსტინდუსტრიული ეპოქის გრანდიოზული პროგრამა (მდგრადი განვითარების პრინციპები და „XXI საუკუნის დღის წერიგი“) მოუწოდებს ყველა სახელმწიფოს ორგანულად დაუკავშირონ ერთმანეთს ტრადიციული და თანამედროვე საერთაშირისო სოციალურ-ეკონომიკურ-ეკოლოგიური მიღწევები ხანგრძლივი და მდგრადი ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფისათვის.

მაგალითად, მდგრადი განვითარების 22-ე პრინციპში ნათქვამია, რომ თანამედროვე საზოგადოებრივი პრობლემების გადაჭრაში უდიდესი როლი ენიჭება მკვიდრ მოსახლეობას, მის ცოდნას და ტრადიციულ პრაქტიკას. სახელმწიფოებმა მხარი უნდა დაუჭირონ მოსახლეობის თვითმყოფადობას, კულტურას, ინტერესებს და უზრუნველყონ მისი ეფექტური მონაწილეობა მდგრადი განვითარების საქმეში.

ჩვენში საყოველთაოდ ცნობილია ქართული გამონათქვამი: „ტყე შეუნახე შვილებსა, მამა ხარ, შენი ვალია“, რაც მდგრადი განვითარების თანამედროვე კონცეფციის ჩვენეულ, ეროვნულ-ტრადიციულ თეორიულ გააზრებას და პრაქტიკულ რეალიზაციას წარმოადგენს. ასეთ პრინციპს ეფუძნებოდა სამეურნეო და გარემოსდაცვითი საქმიანობა საქართველოში საუკუნეების მანძილზე, რასაც ბიბლიური ეკოლოგიური მოძღვრება განაპირობებდა.

ზოგადაკაცობრიო და ეროვნულ ფასეულობათა შორის ზეაღმატებული ადგილი ბიბლიას, თეოლოგიურ ზნებას და მასზე დაფუძნებულ სათანადო ეკონომიკურ-ეკოლოგიურ საქმიანობას უკავია.

სამეურნეო-ეკოლოგიური საქმიანობის ბიბლიურ ასპექტებს დიდი ხანია იკვლევენ ცივილიზებული სამყაროს მეცნიერები. ამ საქმეში ჩაბმულია ცნობილი უნივერსიტეტები და სპეციალიზებული ინსტიტუტები. უცხოეთში ჩამოყალიბდა ისეთი მეცნიერული მიმართულებები, როგორიცაა: თეოლოგიური ეკონომიკა, ქრისტიანული ეკონომიკა, ქრისტიანული ბიზნესი, მდგრადი განვითარების თეოლოგია, თეოლოგიური ეკოლოგია, ქრისტიანული სამეურნეო-ეკოლოგიური ეთიკა და სხვ. გამოკვლევების შედეგების პრაქტიკული გამოყენების საფუძველზე საზღვარგარეთ იქმნება სათანადო ეკონომიკურ-ეკოლოგიური ხასიათის კანონმდებლობა, ვითარდება შესაბამისი ბიზნესი და გარემოსდაცვითი საქმიანობა.

დასავლელ მეცნიერთა ნაშრომებში ხაზგასმულია, რომ თანამედროვე პირობებში აუცილებელია ეკონომიკური საქმიანობის რადიკალური ეკოლოგიზაცია ბიბლიურ-თეოლოგიური გააზრების საფუძველზე. ასეთი იდეები და რეკომენდაციები განსაკუთრებით აქტუალურია დღევანდელი საქართველოსათვის. ამდენად, უაღრესად მნიშვნელოვანია დასავლეთის ანალოგიური კვლევითი მუშაობის გაშლა და მიღებული შედეგების პრაქტიკაში დანერგვა ჩვენს სინამდვილეშიც.

მდგრადი სოციალურ-ეკონომიკურ-ეკოლოგიური განვითარების თეოლოგიურ-ქრისტიანული საფუძვლების გააზრებისათვის აუცილებელია ბიბლიაში ასახული სამეურნეო-ეკოლოგიური თემატიკის სათანადო შესწავლა.

როგორი საზომებითაც არ უნდა მიუვდეთ ბიბლიას, იგი სრულიად უნიკალური წიგნია. ბიბლიური თხრობა იწყება სამყაროს შექმნით, პირველი ადამიანების ყოფა-ცხოვრებით და მთავრდება რომაული კულტურის ეპოქით. ბიბლიის ყველაზე გვიანდელი წიგნებიც კი თითქმის ორი ათასი წლისაა. მიუხედავად ასეთი სიძეველისა, ბიბლია დღესაც უაღრესად აქტუალურია. ასეულობით მიღლიონი ადამიანი დღევანდელ ეპოქაშიც ეწაფება და ცხოვრებაში იყენებს ბიბლიურ სიბრძნეს. ამას საფუძვლად უდევს ღვთაებრივი მოძღვრების ჭეშმარიტება, სიწმინდე, უბერებლობა და ყოვლისმომცველობა.

ბიბლიის გავლენით საუკუნეების მანძილზე ყალიბდებოდა თანამედროვე დასავლური ცივილიზაციის საფუძვლები – ეკონომიკა, სამართლი, მეცნიერება, განათლება, კულტურა, ცხოვრების ეკოლოგიური საზ-

რისი, დემოკრატიული იდეალები, ადამიანის უფლებებისა და გარემოსდაცვითიკონცეფციები. დასავლეთის პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური სფეროების უდიდეს მოღვაწეთა საქმიანობა ბიბლიური იდეებით იყო განმსჭვალულ-შთაგონებული.

საგანმანათლებლო და სამეცნიერო-ტექნიკური წინსვლის ეპოქამ თითქოს ჩრდილში მოაქცია რწმენა, ბიბლია და მისი იდეალები, მაგრამ ცივილიზებული მსოფლიოს გამოჩენილი მეცნიერები, მეწარმეები და სახელმწიფო მოღვაწეები თვალნათლივ გვიჩვენებენ ასეთი გარემოების მოჩვენებითობას და მცდარობას. ამის დასტურად მოვიხმოთ ზოგიერთი მათგანის გამონათქვამები რწმენისა და ბიბლიის მნიშვნელობის შესახებ.

ალბერტ ეინშტეინი, ნობელის პრემიის ლაურეატი, ფიზიკოსი: „რაც უფრო მეტ აღმოჩენებს აკეთებს მეცნიერება ფიზიკურ სამყაროში, მით უფრო მეტად მივდივართ დასკვნებამდე, რომელთა გადაწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ რწმენით“<sup>1</sup>.

მაქს ბორნი, ნობელის პრემიის ლაურეატი, ფიზიკოსი: „მეცნიერება სწავლულს ბევრ მორალურ და ეთიკურ მოთხოვნას უყენებს. თუ მეცნიერს სწამეს ღმერთი, ეს მას უადვილებს პრობლემას. მეცნიერს უნდა ჰქონდეს დიდი მოთმინება და მორჩილება, ამ თვისებებს კი მას რელიგია აძლევს“.<sup>2</sup>

ალფ ბიერკე, ნორვეგიის ბიურკეს სალებავების კორპორაციის პრეზიდენტი: „თანამედროვე მეცნიერებამ ვერ მოკლა ბიბლიის ფუნდამენტური ჭეშმარიტებები. მე მწამეს ღმერთი, იესო ქრისტე, მე მწამეს ბიბლია“<sup>3</sup>.

ჯორჯ ვაშინგტონი, ამერიკის პირველი პრეზიდენტი: „შეუძლებელია მართო ქვეყანა და მსოფლიო ღმერთის და ბიბლიის გარეშე“<sup>4</sup>. ამ აზრს ანვითარებს უილიამ მაკეინლი, ამერიკის 25-ე პრეზიდენტი: „ჩვენ ვალდებული ვართ შევისწავლოთ ბიბლია, ოღონდ არ უნდა შემოვიფარგლოთ ამით, ჩვენ უნდა გამოვიყენოთ იგი ცხოვრებაში“,<sup>5</sup> ხოლო თეოდორ რუზველტი ამბობდა: „თითქმის ყველა ადამიანი, რომელთა საქმიანობას შედეგი მოპქონდა, თავის ცხოვრებისეულ გზას ბიბლიურ სწავლებაზე ამყარებდა“<sup>6</sup>.

უაღრესად მრავალფეროვანია ეკონომიკურ-ეკოლოგიური სამყარო ბიბლიისა, რომელშიც სიღრმისეულად არის ასახული კველა დროისათვის ისეთი აქტუალური თემატიკა, როგორიცაა: სამყაროს და ადამიანის შექმნა ღმერთის მიერ; ბიომრაგალფეროვნება; ბუნებრივი რესურსების წარმომავლობა და დანიშნულება; გარემოს ეკონომიკურ-ეკოლოგიური პოტენციალი; ადამიანის დანიშნულება და მისი სოციალურ-ეკონომიკურ-ეკოლოგიური მოთხოვნილებები; საზოგადოებრივი წარმოება და მისი შემზღვეველი ეკოლოგიური ფაქტორები; სამეურნეო საქმიანობა; შრომა; ბიზნესი; მრეწველობა; მშენებლობა; სოფლის, სატყეო და სამელიორაციო მეურნეობა; ეკოსისტემების დევრადაცია; გარემო პირობების სრულყოფისა და დაცვის პრაქტიკული მეთოდოლოგია და სხვა.

ბიბლიის მიხედვით მთელი სამყაროს და მისი გვირგვინის – ადამიანის შემოქმედია უფალი ღმერთი, რომელმაც „შექმნა ცა და მიწა“ (დაბ. 1, 1), წყალი და ხმელეთი, მცენარეული საფარი და ყოველგვარი სულდგმელი (დაბ. 1, 2-25); „თქვა ღმერთმა: გავაჩინოთ კაცი ჩვენს ხატად, ჩვენს მსგავსებად“ და ეპატრონის მთელს დედამიწას; და „შექმნა ღმერთმა კაცი, თავის ხატად შექმნა იგი, მამაკაცად და დედაკაცად შექმნა ისინი“ (დაბ. 1, 26-27).

ამქვენიური ცხოვრების საფუძველი – შრომა უფლის მიერ დადგენილია ადამიანის მოვალეობად და სასიცოცხლო მოთხოვნილებების დაკმაყოფილების საშუალებად. ადამის და ევას კურთხევისას ღმერთმა უთხრა მათ: „ინაყოფიერეთ და იმრავლეთ, აავსეთ დედამიწა, დაეუფლეთ მას, ეპატრონეთ ზღვაში თევზს, ცაში ფრინველს, ყოველ ცხოველს, რაც კი დედამიწაზე დახოხავს“ (დაბ. 1, 28) და „აიყვანა ადამი უფალმა ღმერთმა და დაასახლა ედემის ბაღში მის დასამუშავებლად და დასაცავად“ (დაბ. 2, 15). საღმრთო მცნე-

<sup>1</sup> Мы верим., Говорят современные учёные о вере в Бога. 1988, с. 41.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 35.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 14.

<sup>4</sup> Библия опережает науку на тысячи лет., Ред. В. Губанов, М., 1996, с. 130.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 131.

<sup>6</sup> Библия и наука., Ред. П. Харчлаа, Ашфорд. США, с. 97.

ბის დარღვევისა და პირველი ცოდვის ჩადენისათვის დასჯილ ადამს უფალი ეუბნება: „...მიწა დაიწყევლოს შენს გამო: ტანჯვით მიიღებდე მისგან საზრდოს მთელი სიცოცხლე. ...პიროვლიანი ჭამდე პურს, ვიდრე მიწად მიიქცეოდე, რადგან მისგანა ხარ აღებული, რადგან მტვერი ხარ და მტვრადვე მიიქცევი“ (დაბ. 3, 17, 19), „გაუშვა იგი უფალმა ღმერთმა ედემის ბაღიდან, რომ დაემუშავებინა მიწა, საიდანაც იყო აღებული“ (დაბ. 3, 23). ადამის და ევას შვილები სოფლის მეურნეობას მისდევდნენ: „აბელი მეცხვარე იყო, კაენი – მიწის მუშაკი“ (დაბ. 4, 2). მეცხოველეობით იყვნენ დაკავებული აბრაამი და ლოტი: „ძალზე მდიდარი იყო აბრაამი ჯოგითა და ოქრო-ვერცხლით. ...და ლოტსაც, რომელიც აბრამთან ერთად მგზავრობდა, ჰყავდა ცხვარ-ძროხა და ჰქონდა კარვები“ (დაბ. 13, 2, 5). რაციონალური სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა დიდად იყო განვითარებული ისრაელში. მაგალითად, მეფე ყუჩიაპუმ „ააგო კოშკები უდაბნოშიც და უამრავი ჭა ამოიყვანა, რადგან ბევრი ხარ-ძროხა ჰყავდა დაბლობში და ვაკეზე. მიწისმუშაკი და მევენახენი კი მთებში და ქარმელში ჰყავდა, რადგან მიწის მოყვარული იყო“ (2 ნეშტ. 26, 10).

ბიბლია მოგვიწოდებს მცენარეების და ცხოველების დაცვა-გაფრთხილებისაკენ: „თუ დიდხანს გექნება შემორტყმული ალყა ქალაქისთვის მის დასამარცხებლად და ასაღებად, ნუ გაანადგურებ მის ხეებს, ცულს ნუ აღმართავ მთაზე, რადგან თუკი ჭამ მათ ნაყოფს, არც უნდა მოჭრა. რადგან მინდორში მდგარი ხე კაცი ხომ არ არის, რომ გაგეცალს და ციხე-სიმაგრეში შეაფაროს თავი?“ (რჯლ. 20, 19); „ნუ აუკრავ პირს ხარს ლეწვის დროს“ (რჯლ. 25, 4); „მართალი ზრუნავს თავისი პირუტყვის სიცოცხლეზე, ბოროტეულთა გული კი სასტიკია“ (იგავ. 12,10).

ზემოაღნიშნულიდან ნათლად ჩანს, რომ უკვე პირველ ადამიანებს, მათ შემდგომ თაობებს და მთლიანად კაცობრიობას ამქვეყნიური საქმიანობის უმთავრეს მიმართულებად ღმერთმა შრომა, სამეურნეო საქმიანობა დაუწესა. ამასთანავე, განსაკუთრებულად არის მითითებული ადამიანის მხრიდან რაციონალური ბუნებათსარგებლობის, დედამიწის და ცოცხალი სამყაროს მართვა-გამგეობის, პატრონობის, დამუშავების და დაცვის აუცილებლობა.

ბიბლიის მრავალფეროვანი სამეურნეო-ეკოლოგიური თემატიკა ასახულია საღვთო კანონმდებლობაში, წინასწარმეტყველთა და ბიბლიურ პატრიარქთა საქმიანობაში, მიმდინარე ამბებსა და მოვლენებში, იესო ქრისტეს სასწაულებში, ქადაგებებში, საუბრებში და იგავებში, აგრეთვე, ქრისტეს მოწაფეთა ცხოვრებასა და შემოქმედებაში.

ტიბერიადეს, ანუ გალილეის ზღვის გადაღმა იესომ სასწაულებრივად დააპურა ზუთი ათასი მშეირი ადამიანი. ეს შემთხვევა ეკონომიკურ-ეკოლოგიური თვალსაზრისით განსაკუთრებით იმით არის აღსანიშნავი, რომ დაპურების შემდეგ იესომ თავის მოწაფეებს უთხრა: „აკრიფეთ ნარჩენები, რომ არაფერი დაიკარგოს“ (იოან. 6, 12). მოწაფეებმა აკრიფეს და გაავსეს თორმეტი კალათი ქერის პურის ნატეხებით, რაც ჭამის შემდეგ დარჩა. მაცხოვრის ამ მოწოდებასა და მოწაფეთა ქმედებაში ასახულია თეორიული დებულება და პრაქტიკული გზა შრომის პროდუქტების დაფასება-გაფრთხილების, უნარჩენო წარმოება-მოხმარებისა და გარემოსდაცვითი საქმიანობისათვის. ეს კი, თანამედროვე გაგებით, მდგრადი განვითარების ფუნდამენტურ პარადიგმას წარმოადგენს. თანამედროვე პრაქტიკული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროცესში ეს ღვთაებრივი სწავლება თითქმის სრულიად არის უგულებელყოფილი, რის გამოც უაღრესადაა გამწვავებული ლოკალური, რეგიონული თუ გლობალური დონის ეკონომიკურ-ეკოლოგიური პრობლემები, რომელთა დაძლევა მხოლოდ ბიბლიური სამეურნეო-ეკოლოგიური მოძღვრების გააზრება-გამოყენების მეშვეობით არის შესაძლებელი.

სამეურნეო საქმიანობაში, კერძოდ, მშენებლობაში ეკონომიკურ-ეკოლოგიური კომპეტენტურობის აუცილებლობაზე მიგვითითებს იესო ქრისტეს იგავი გონიერი და უგონო მშენებლების შესახებ (მათ. 7, 24-27; ლუკ. 6, 47-49). აქ მაცხოვარი გვასწავლის: „ყველას, ვინც ისმენს ჩემს სიტყვებს და ასრულებს მათ, მე ვამსგავსებ გონიერ კაცს, რომელმაც კლდეზე დააშნა თავისი სახლი. და მოვიდა წვიმა, მოვარდნენ მდინარენი, დაქროლეს ქარებმა და ეკვეთნენ ამ სახლს, მაგრამ ვერ დასცეს, ვინაიდან კლდეზე იყო დაფუძნებუ-

ლი. და ყველას, ვინც ისმენს ჩემს სიტყვებს, მაგრამ არ ასრულებს მათ, მე ვამსგავსებ უგუნურ კაცს, რომელმაც ქვიშაზე ააშენა თავისი სახლი. და მოვიდა წვიმა, მოვარდნენ მდნარენი, დაქროლეს ქარებმა და ეპვეთნენ ამ სახლს და დასცეს; და დიდი იყო დაცემა მისი“ (მათ. 7, 24-27).

ეს იგავი გვასწავლის, რომ გონიერი, ეკონომიკურ-ეკოლოგიურად კომპეტენტური მშენებლების მიერ კლდეზე, ანუ ეკოლოგიურად მყარ საძირკველზე დაფუძნებული სახლი მდგრადია ექსტრემალური გარემო პირობების მიმართ, ხოლო ქვიშაზე, ანუ ეკოლოგიურად არამყარ საძირკველზე უგონო მშენებელთა მიერ დაშენებული სახლი – არამდგრადი და დაცემისათვის განწირული. ეს კი საზოგადოების მდგრადი განვითარების უძრითადესი კანონზომიერებაა.

მნელი შესამჩნევი არ არის, რომ უუნდამენტალისტი ტექნოკრატების მიერ ამ ბიბლიური სიბრძნის უგულებელყოფის გამო თანამედროვე მსოფლიოში განვითარების არამდგრადობის სინდრომია გამეფებული, რაც ჩვენი საერთო, გლობალური სოციალურ-ეკონომიკურ-ეკოლოგიური სახლის გარდუვალი დაცემით გვემუქრება.

იგავში ხორბლისა და ღვარძლის შესახებ მაცხოვარი გვასწავლის: „ცათა სასუფეველი მსგავსია კაცისა, რომელმაც დათესა კეთილი თესლი თავის ყანაში. ხოლო როდესაც ეძინა ხალხს, მოვიდა მისი მტერი, ღვარძლი ჩათესა ყანაში და წავიდა. და როდესაც აღმოცენდა ჯეკილი და თავთავი დაისხა, მაშინ გამოჩნდა ღვარძლიც. მივიღენ მონები ყანის პატრონთან და უთხრეს: ბატონი, შენ ხომ კეთილი თესლი დათესე ყანაში; საიდანა აქვს ღვარძლი? ხოლო მან უთხრა მათ: მტერმა ქნა ეს. მონებმა კი უთხრეს: თუ გნებავს, მივალთ და გავმარგლავთ ყანას. ხოლო მან თქა: არა, რათა მარგვლისას ღვარძლს ჯეკილიც არ მიაყოლოთ. აცადეთ, ერთად იზარდონ მკამდე; ხოლო მკისას ვუბრძანებ მომკალთ: თავდაპირველად შეკრიბეთ ღვარძლი, ძნებად შეკარით და ცეცხლი წაუკიდეთ, ხორბალი კი შეინახეთ ჩემს ბელელში“ (მათ. 13, 24-30). ამ იგავში გადმოცემულია სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების სრული პროცესი; აღწერილია ხორბლის დათესვა, ანთროპოლოგიურ-ეკოლოგიური ფაქტორის მავნე ზეგავლენა ყანის მდგომარეობაზე, ჯეკილის მოვლა-გაფრთხილება, მოსავლის აღება-დაბინავება, ხელმძღვანელის და ხელქვეითების ურთიერთობა.

მოსავლისა და ნამეტის მიღება გონიერული სამეურნეო საქმიანობიდან უფლისმიერი კურთხევით თვით ბუნებრივ პროცესებში არის ჩადებული. მაგალითად, მოესავშე იგავში ნათქვამია, რომ „...გამოვიდა მოესავი თესვად. ხოლო თესვისას ზოგი მარცვალი გზის პირას დავარდა, და მოფრინდნენ ფრინველები და აკენეს ისინი. ზოგიც ქვიან ადგილას დავარდა, სადაც ბლომად არ იყო მიწა, და მალე აღმოცენდა, ვინაიდან ნიადაგი არ იყო ღრმა. მაგრამ ამოვიდა თუ არა მზე, დაჭინა, და რადგან ფესვი არ ჰქონდა, გახმა. ზოგი კიდევ ეკალ-ბარდებში ჩაცივდა, და ამოვიდა ეკალი და ერთიანად მოაშოთ ყველა. ხოლო ზოგი პოზირ ნიადაგზე დაეცა და ნაყოფიც გამოიღო: ზოგმა ასი, ზოგმა სამოცი და ზოგმაც ოცდათი“ (მათ. 13, 3-8).

დათესვისა და აღმოცენების შესახებ იგავში მაცხოვარი გვეუბნება: „...ღმრთის სასუფეველი იმასა ჰგავს, კაცი რომ თესლს ჩათესავს მიწაში, და სძინავს, და დგება დღისით თუ დამით, და არეი იცის, როგორ აღმოცენდება და იზრდება თესლი. რადგანაც მიწას თავისთავად გამოაქვს ნაყოფი: ჯერ ღერო, შემდეგ თავთავი, ბლომს, სავსე მარცვალი თავთავში. და როცა დამწიფდება თავთავი, მაშინვე გაგზავნის ნამგალს, ვინაიდან დამდგარა მკა“ (მარკ. 4, 26-29). აღსანიშნავია, აგრეთვე იგავი მდოგვის მარცვალზე, რომელშიც ნათქვამია: „...ცათა სასუფეველი მსგავსია მდოგვის მარცვლისა, რომელიც აიღო კაცმა და დათესა თავის ყანაში; ეს მარცვალი ყოველნაირ თესლზე მცირეა, მაგრამ როცა ამოვა, ყველა მწვანილზე დიდი ხდება და ზედ იქცევა, ისე რომ მოფრინავენ ცის ფრინველები და მის ტოტებზე იბუდებენ“ (მათ. 13, 31-32).

უნდა აღინიშნოს, რომ იგავები იქსო ქრისტეს ქადაგების განსაკუთრებულ ფორმას წარმოადგენს. იგავებით საუბარი გვხვდება ძველ აღთქმაშიც, მაგრამ საოცარ სილამაზეს, სიბრძნეს და სრულყოფილებას მან მაცხოვრის მეტყველებაში მიაღწია. სწავლების ასეთი ფორმა იმისათვის არის საჭირო, რომ ადამიანებმა ადგილად გაიგონ ღვთაებრივი სიბრძნე.

თავისი იგავების ცხოვრებისეული და სამეურნეო-მმართველობითი მაგალითების მეშვეობით იქსო ქრისტე გვიჩვენებს სოციალურ-ეკონომიკურ-ეკოლოგიური საქმიანობის ღვთივსულიერ საფუძვლებს და ცათა სასუფევლის მიღწევის გზებს.

ბიბლიის მიხედვით ყოველმა ადამიანმა ზნეობრივ-ეკოლოგიური მოვალეობები უნდა აღასრულოს შემდეგი დანიშნულებით:

1. მოვალეობები ღმერთის მიმართ;
2. მოვალეობები მოყვასის, ანუ სხვა ადამიანების მიმართ;
3. მოვალეობები ღმერთის მიერ შექმნილი ცოცხალი და არაცოცხალი სამყაროს (ბუნების) მიმართ;
4. მოვალეობები საკუთარი თავის მიმართ.

ყველა აღნიშნული მიმართულება პირდაპირ უკავშირდება ადამიანის ზრუნვას ეკოლოგიური ჰარმონიულობის, რადგან ჩვენი რუდუნების მეშვეობით ჯანსაღი გარემოს შენარჩუნებისას:

1. სათო ვეყოფით ღმერთს;
2. არ დაავადდება მოყვასი;
3. არ დაზიანდება ბუნება;
4. არ დასწულდება თვითონ კონკრეტული პიროვნებაც.

ასეთი მიდგომა საფუძველს უყრის ეკოლოგიური ზნეობის, როგორც უმნიშვნელოვანესი ეთიკური მიმართულების ჩამოყალიბებას და თანამედროვე პირობებში მის საყოველთაო გავრცელება-გამოყენებას.

ბიბლიაში აღწერილი სამეურნეო საქმიანობის თეორიული და პრაქტიკული დებულებები ეკონომიკური და ეკოლოგიური ჰარამეტრების ჰარმონიული ურთიერთშესამების აუცილებლობას გვიქადაგებს, რაც ფაქტობრივად თანამედროვე მდგრადი განვითარების კონცეფციის ღვთივსულიერ თეორიულ-მეთოდოლოგიურ და პრაქტიკულ-ისტორიულ წანამძღვარს და საფუძველს წარმოადგენს.

საქართველოს მდგრადი განვითარების თეორიული საფუძვლის შექმნა, თავის მხრივ, ის ორგანული პირობაა, რომელიც უზრუნველყოფს ყველა მეთოდოლოგიურ წანამძღვარს საზოგადოების ჰარმონიული ეკონომიკურ-ეკოლოგიური განვითარებისა და მართვისათვის.

ამ თვალსაზრისით, აუცილებელია უახლოეს დროში შემუშავდეს საქართველოს მდგრადი განვითარების სრულყოფილი კონცეფცია, რომელიც ფაქტობრივად შესრულებს სოციალურ-ეკონომიკურ-ეკოლოგიური განვითარების ეროვნული მოდელის დანიშნულებას და მოაწერივებს განვითარების ღვთივსულიერებას, ტრადიციულობას, მდგრადობას, ჰარმონიულობასა და პროგრესულობას ლოკალურ, რეგიონულ თუ გლობალურ სივრცეში ხანგრძლივი დროის განმავლობაში.

**Giorgi Shikhashvili,  
Irakli Svanidze**

## **Bible Doctrine as the basis for national concept of economic and ecological sustainable development**

R e s u m e

It is necessary to radically humanize economic-managerial activities based on religious principles and morality in the modern conditions. Taking into account national and universal values and their harmonious interplay is required in order to elaborate the fundamental concept of sustainable economic-ecological development of Georgia.

The theoretical and practical regulations of economic activities described in the Bible, preach the need for harmonious interplay of economic and ecological parameters, which factually is an inspired theoretical-methodological and practical-historical prior and basis of the modern concept of sustainable development.

It is essential to develop a comprehensive concept of sustainable development of Georgia in the near future, which actually will perform as a national model of the social-economic-ecological development and regulate spirituality of development, traditionalism, sustainability, harmoniousness and progressivity on a local, regional and global space for a long time.

## მალხაზ ჩიქოგავა

### ეპონომიკის სისტემური პრიზისის მიზანების შესახებ

მოსახლეობის უმრავლესობა ნაკლებად ფიქრობს დიდი პოლიტიკის პრობლემებსა და საბაზრო ეკონომიკის დეტალებზე. მათ უფრო ადარდებთ სრულიად პრობაული საკითხები: არის თუ არა სამუშაო? უხდიან თუ არა დროულად ხელფასს? საკმარისია თუ არა ეს ხელფასი ოჯახის ელემენტარულ საჭიროებათა და-საქმაყოფილებლად? ალბათ, ეს ნორმალურია, როცა სალხი ფიქრობს არსებობისათვის.

დეპუტატების, სხვადასხვა დონის სახალხო რჩეულების, რომლებიც დაკავებული არიან ბიუჯეტის ფორმირებით – იქნება ეს ადგილობრივი, მუნიციპალური თუ სახელმწიფო, ესმით, რომ ამ ბიუჯეტის საშუალებების ხარჯზე ანაზღაურდება ხელფასები, დახმარებები, მოქმედებს კომუნალური მეურნეობა, რაც იმას ნიშნავს, რომ სახლებში იქნება შუქი, სითბო, წყალი. ყოველივე ეს ბუნებრივია, როცა ზრუნავ საკუთარი ამომრჩევლების საჭიროებებზე.

აღმასრულებელი სტრუქტურების ხელმძღვანელები სულაც არ არიან წინააღმდევნი იმისა, რომ მათ-დამი რწმუნებულ ტერიტორიაზე მოქმედებდეს მრეწველობა, ყვაოდეს სოფლის მეურნეობა, მრავლდებოდეს მცირე და საშუალო ბიზნესი. მათ ესმით, რომ მოქმედი მრეწველობა – ეს არის შემოსავლები ხაზინაში, უბრალო ადამიანთა მტკიცნეული პრობლემების გადაჭრის რეალური შესაძლებლობა. და ესეც ბუნებრივია, როცა ზრუნავ მშობლიური მხარის მოსახლეობის კეთილდღეობაზე.

თუმცა, ნამდვილად გულწრფელ ადამიანთა ყველა ეს კეთილი განზრახვა (მოდით, გვერდზე გადავდოთ კორუმპირებული და არაკეთილსინდისიერი მოხელეები) რეალურად გვიბრუნდება მრეწველობის გაჩერებით, წარმოების გიგანტების გაკოტრებით, ნოჟერ ყანას სარეველო ედება, ყველა დონის ბიუჯეტებში წარმოიქმნება ხერელები და როგორი ოსტატობითაც უნდა განაწილდეს არსებული შემოსავლები, მაინც არ კმარა აუცილებელ სფეროთა დასაფინანსებლად. ეს კი ნიშნავს, რომ ვიღაც უხელფასოდ დარჩა, ვიღაცას პერსია არ გადაუხადეს, სადღაც ელემენტარული მედიკამენტების უკმარისობაა და რაღაც უმნიშვნელო მიზეზის გამო სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი დგება. რატომ?

ნებისმიერი, თვით ყველაზე აპოლიტიკური ობივატელი იწყებს დაფიქრებას და პასუხის მიებას. სხვადასხვა ჯურის პოლიტიკოსები მას თავაზობენ პრობლემის გადაწყვეტის მისეულ ვარიანტებს და, ერთი შეზედვით, ეს ვარიანტები ნორმალურად გამოიყერება: საჭიროა მხოლოდ მათი რეალიზაცია და ცხოვრებაც შეიცვლება უკეთესობისკენ და დასრულდება ტანკვა-წამებაც. მაგრამ დრო გადის, მოცემულ პოლიტიკოსებს მეორენი ცვლიან, ხოლო რეალურ ცვლილებათა მაგივრად წარმოიქმნება მხოლოდ ბედნიერი მომავლის მშენებლობის სულ უფრო ახალი ვარიანტები.

იმისთვის, რომ ავადმყოფს ნამდვილად დავეხმაროთ, საჭირო არ არის ავადმყოფობისგან განკურნების ათეულობით სხვადასხვა ვარიანტის არსებობა. საჭიროა ერთი და მართებული. იმისთვის, რომ დავნიშნოთ მკურნალობის მართებული ვარიანტი, თავდაპირველად საჭიროა სწორი დიაგნოზის დასმა. და თუ დიაგნოზი მცდარია, მაშინ ავადმყოფს განკურნების მაგივრად შეიძლება სული ამოვხადოთ.

ჩვენი სამშობლო დაავადებულია – ეს ყველასთვის ნათელია, უბრალო ობივატელით დაწყებული და ყველა დონის დეპუტატებითა და აღმასრულებელი ხელისუფლების ხელმძღვანელებით დამთავრებული. მაგრამ არის თუ არა ამ ავადმყოფობის დიაგნოზი სწორად დასმული? ან, შესაძლებელია, ჩვენ ბრმად ვსარგებლობთ სხვადასხვა აბებით იმ იმედით, რომ მათგან რომელიმე იქნებ გვიშველოს, მიუხედავად იმისა, რომ „მკურნალობის“ ამგვარი საშუალებებით ავადმყოფის მდგომარეობა სულ უფრო და უფრო უარესდება?

ერთ-ერთმა ბრძენმა ბრძანა: „ენა მოგვეცა არა იმისათვის, რომ საკუთარი აზრები გამოვხატოთ, არა-მედ იმისათვის, რომ ისინი დავფაროთ“. ეს აფორიზმი სავსებით შეეფერება თითქმის ყველა ჩვენს პოლიტიკოსს, დამოუკიდებლად მათი პოლიტიკური სპექტრის შეფერილობისა. ყველა ისინი, რომლებიც გვთავაზობენ სხვადასხვა კერძო დონისძიებებს, მაღავენ ბოროტების ფესვს. ისინი ამას უცოდინრობით სჩადიან თუ ბო-

როტი განზრახვით, მნიშვნელობა არ აქვს. იმის მაგივრად, რომ დაძლიონ ბოროტება, ისინი მას აღრმავებენ. რაში გამოიხატება ყოველივე ის, რომლის თაობაზეც დუმან ნებისმიერი ჯურის პოლიტიკოსები?

უპირველეს ყოვლისა, ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად, ჯერ ამოგხსნათ სასკოლო ამოცანა. მოცემულია აუზი 1000 ლიტრის მოცულობით, რომელიც სანახევროდ წყლითაა სავსე. ერთი მილით აუზი წყლით ივსება, მეორეთი კი – იცლება. ივსება საათში 100 ლიტრით, ხოლო იცლება 120-ით. კითხვა: რამდენი საათის შემდეგ აივსება აუზი?

ამოხსნა: რა თქმა უნდა, არასოდეს აივსება. 25 საათის შემდეგ აუზი საერთოდ დაიცლება წყლისაგან. როგორც ვხედავთ, პასუხი უმარტივესია.

შევცვალოთ ამოცანის პირობები. ქვეყანას გააჩნია 200 მლრდ დოლარის ოდენობის საგარეო ვალი და ის ყოველწლიურად იზრდება 10%-ით. ვალის გადახდა ხორციელდება სახელმწიფო ბიუჯეტით, რომელიც შეადგენს 20 მლრდ დოლარს. კითხვა: რამდენი წლის შემდეგ აანაზღაურებს ქვეყანა ვალს სრულად?

გამოვთვალოთ: ვერასოდეს აანაზღაურებს. თვით მთელი ბიუჯეტიც კი არასაკმარისია საამისოდ. აკი ისიც ხომ აუცილებელია, რომ სამხედრო პირებს, ექიმებს, პედაგოგებს და ა.შ. ავუნაზღაუროთ შრომა!

ვინ ბრძანა, რომ ვალზე პროცენტები კანონიერია? საიდან მომდინარეობს ეს?

ბიბლიაში ვკითხულობთ:

„ნუ მისცემ სარგებლით შენს ძმას ნურც ვერცხლს, ნურც პურს, ნურც ნურაფერს, რაც შეიძლება სარგებლით გაიცეს, უცხოტომელზე გაეცი სარგებლით, ხოლო ძმას შენსას ნუ მისცემ სარგებლით“ (მეორე კანონი, 23:19).

„.... და გასცემ სესხებს მრავალ ერებზე, ხოლო თავათ არ მიიღებ სესხს [და იბატონებ მრავალ ერებზე, ხოლო შენზე არ იბატონებენ] (მეორე კანონი, 28:12).

“მაშინ უცხოტომელთა ძენი აღაშენებენ შენს კედლებს, და მათი მეფეები შენ მოგემსახურებიან..., ერები და სამეფოები, რომლებიც არ ისურვებენ მოგემსახურონ, დაიღუპებიან. და ასეთი ერები სრულიად განადგურდებიან“ (ისაია 60:10-12).

შედეგად ამ გლობალური ძარცვისა სასესხო პროცენტების მექანიზმის გამოყენებით „განვითარებული“ ქვეყნები ყოველდღიურად ურიცხავენ „განვითარებად“ ქვეყნებს 100 მლნ დოლარს, ხოლო მათგან დაბულობენ ძირითადი თანხისა და პროცენტების სახით 200 მლნ დოლარს. აი ესეც ჩვენი მთელი ეკონომიკური წარმატება. საბოლოოდ, როგორც მსოფლიო ბანკმა გვაუწყა „2000 წელს მსოფლიო განვითარების მაჩვენებლების“ ანგარიშში: „ახლანდელ დროში პლანეტის მოსახლეობის მექვსედი ნაწილის წილად, სადაც შედის, ძირითადად, ჩრდილოეთი ამერიკის, ევროპისა და იაპონიის მაცხოვებლები, მოდის მსოფლიო შემოსავლის 80%“. 1 მილიარდ ადამიანს აქვს მთელი შემოსავლის 4/5. ეს ის „ოქროს“ მილიარდია, რომელიც უზრუნველყოფს საკუთარ კეთილდღეობას პლანეტის ყველა დანარჩენი მოსახლეობის ძარცვის, კულტურული ძარცვის ხარჯზე სასესხო პროცენტის მეშვეობით.

ყოველდღიურად ჩვენი პლანეტის თითოეული ადამიანი სარგებლობს ფულით. უმრავლესობა გამოიმუშავებს ფულს საკუთარი შრომით და ხარჯავს საჭირო საქონლისა და მომსახურებისთვის. მაგრამ, ძალზე მცირე მათგანს თუ წარმოუდგენია, როგორ ფუნქციონირებს ფული და როგორია მისი პირდაპირი ან არა-პირდაპირი გავლენა თითოეულის ცხოვრებაზე. როგორც ცნობილია, ფული ძალზე აიოლებს საზოგადოებაში საქონლისა და მომსახურების გაცვლას, რომელიც ეფუძნება შრომის დანაწილებას, რაც მას აქცევს კაცობრიობის ერთ-ერთ ყველაზე გენიალურ გამოგონებად. ფული შესაძლებელს ხდის სპეციალიზაციას და ამგარად, ემსახურება ჩვენი ცივილიზაციის საფუძველს.

მაგრამ, ფული არა მარტო ემსახურება საქონლისა და მომსახურების გაცვლას, არამედ მას ძალუბს მისი დამუხრუჭებაც. ეს შესაძლებელია მაშინ, როდესაც ფული სულ უფრო და უფრო უგროვდებათ იმ პირებს, რომელთაც ის სხვებთან შედარებით მეტი აქვთ და მიმოქცევაში არ ხვდება. ამგვარად, იქმნება ერთგვარი კერძო „საბაჟო პუნქტი“, სადაც ნაკლებფულიანებს უწევთ „ბაჟის“ გადახდა იმ პირთათვის, რომ-

ლებსაც ის ჭარბად გააჩნიათ. სამწუხაროდ, თანამედროვე ეკონომიკურ სისტემაში ითვლება, რომ აღნიშნული მოვლენა აკმაყოფილებს სამართლიანობის პრინციპს.

XX საუკუნის 30-იან წლებში ჰეზელის ოეროის – თავისუფალი ეკონომიკის ოეროის მიმდევრებმა განახორციელეს უპროცესტო ფულით რამდენიმე ექსპერიმენტი. ავსტრიაში, საფრანგეთში, გერმანიაში, ესპანეთში, შვეიცარიასა და აშშ-ში მიმართეს ცდებს დაენერგათ თავისუფალი ფული უმუშევრობის აღმოსაფზვრელად. ყველაზე წარმატებული გამოდგა ექსპერიმენტი ავსტრიის ქალაქ ვიორგლში<sup>1</sup>.

ვიორგლში, სადაც 3000 კაცი ცხოვრობდა, ფულის რეფორმა განხორციელდა 1932-1933 წლებში. ქალაქის ბურგომისტრმა (მიხაელ უნტერგუგენსბერგერმა) დაარწმუნა კომერსანტები და მმართველობითი პერსონალი, რომ არავინ არაფერს დაპკარგავდა, პირიქით, ბევრსაც შეიძნდა ფულის ექსპერიმენტის ხარჯზე, როგორც ეს წარმოდგენილია სილვიო ჰეზელის წიგნში „ბუნებრივი ეკონომიკური წესრიგი“.

მაგისტრანტმა გამოუშვა 5000 „თავისუფალი შილინგები“ (ე.ი. უპროცენტო შილინგები), რომელიც ბანკში ამავე თანხის ჩვეულებრივი ავსტრიული შილინგებით იქნა დაფარული. ქალაქში აშენდა ხიდი, გაუმჯობესდა გზების მდგომარეობა, გაიზარდა კაპიტალდაბანდები საზოგადოებრივ სამსახურებში. ამ ფულით ხდებოდა ხელფასების გადახდა და ნაზღაურდებოდა მასალათა შექნის ხარჯები, ვაჭრები და მეწარმეები მას დებულობდნენ ანაზღაურების სახით.

ამ ფულით სარგებლობისათვის გადასახდელი შეადგენდა თვეში 1%-ს, ე.ი. 12%-ს წელიწადში. ის უნდა შეეტანა იმას, ვისაც აღმოაჩნდებოდა ბანკოტი თვის ბოლოს. გადახდა წარმოებდა მარკის ფორმით, რომლის ნომინალი შეადგენდა ბანკოტის 1%-ს და მას ეკვრებოდა მეორე მხარეზე. ამგვარი მარკის გარეშე ბანკოტა ჩაითვლებოდა ძალადაკარგულად. ასეთმა მცირედმა გადახდამ გამოიწვია ის, რომ ნებისმიერი ადამიანი, რომელმაც მიიღო თავისუფალი შილინგი ანაზღაურების სახით, ცდილობდა რაც შეიძლება სწრაფად დაეხარჯა ის, ვიდრე გადავიდოდა თავისი ჩვეულებრივი ფულით გადახდაზე. ვიორგლის მცხოვრებინი თავიანთ გადასახადებსაც კი იხდიდნენ ადრე, რათა თავი დაეღწიათ ფულით სარგებლობაზე გადასახდელის გადახდისაგან. წლის განმავლობაში 5000 თავისუფალი შილინგი მიმოქცევაში იყო 463-ჯერ, წარმოებულ იქნა საქონელი და მომსახურება 2315000 შილინგის ოდენობით (5000X463). ჩვეულებრივი შილინგი ამ დროისათვის სულ 213-ჯერ იყო მიმოქცევაში.

სწორედ ამ დროს, როდესაც ევროპის მრავალი ქვეყანა იძულებული იყო ებრძოლა ზრდადი უმუშევრობის წინააღმდეგ, ვიორგლში წელიწადში უმუშევრობის დონე 25%-ით შემცირდა. მაგისტრანტის მიერ მიღებულმა ანაზღაურებამ, რომელმაც უზრუნველყო ხელიდან ხელში ფულის სწრაფად გადასვლა, შეადგინა 5000 შილინგის სულ 12%, ე.ი. 600 თავისუფალი შილინგი. ის დახარჯულ იქნა საზოგადოებრივი საჭიროებისათვის, ე.ი. თემის სასარგებლოდ და არა მისი რომელიმე წევრის გასამდიდრებლად.

როდესაც ავსტრიის 300 თემზე მეტი დაინტერესდა ამ მოდელით, ავსტრიის ეროვნულმა ბანკმა ამაში დაინახა საკუთარი მონოპოლიის საფრთხე. ის ჩაერია მაგისტრანტის საქმეში და აკრძალა თავისუფალი ადგილობრივი ფულის დაბეჭდვა. მიუხედავად იმისა, რომ კამათი მიმდინარეობდა ძალიან დიდხანს და განიხილებოდა ავსტრიის უმაღლეს სასამართლო ინსტანციაშიც, ვერც ვიორგლმა და ევროპის ვერცერთმა თემმა ვერ შეძლო გაემორებინა აღნიშნული ექსპერიმენტი.

ზურის წიგნში “Capitalism at its best”, არსებობს კორსენის მოგონებები ჰეზელის კონცეფციის განხორციელების ცდის შესახებ „მტამპსცრია ღვემენტ“-ის (“მოძრაობა მარკა-ფულისაკენ”) ფარგლებში აშშ-ში 1933 წელს. ამ დროს 100-ზე მეტმა თემმა აშშ-ში, მათ შორის რამდენიმე მსხვილმა ქალაქმა, დაიწყო ფულის შემოღების დაგეგმვა, რომელსაც უნდა ემოქმედა ვიორგლის „თავისუფალი ფულის“ ანალოგიურად. შრომის სამინისტრო, შინაგან საქმეთა სამინისტრო და ეკონომიკის სამინისტრო ვაშინგტონში დაკავებული იყო ამ საკითხით. და თუმცა, არცერთი მათგანი ამის წინააღმდეგი არ ყოფილა, მათ მაინც ვერ შეძლეს აუცილებელი ნებართვის გაცემა. საბოლოოდ, დინ აჩესონმა, რომელიც სახელმწიფო მდივანი გახდა, მთავრო-

<sup>1</sup> [www.geldreform.de](http://www.geldreform.de)

ბის მრჩეველს ეკონომიკის საკითხებში, პარვარდის უნივერსიტეტის პროფესორს რასელ სპრაგას სთხოვა გამოეთქმა თავისი აზრი მოცემული საკითხის შესახებ. ავტორი იხსენებს თავის შეხვედრას მასთან, რომელიც მეტად გულთბილ ვითარებაში შედგა, როცა პროფესორმა სპრაგამ განაცხადა, რომ მას პრინციპში არაფერი პქონდა საწინააღმდეგო ახალი სამუშაო ადგილების შექმნის მიზნით ფული-მარკების გამოშვებაზე. მაგრამ მან განაცხადა, რომ წინადადება ძლიერ სცილდებოდა დასაშვებ ფარგლებს: ეს იქნებოდა ღონისძიება, მიმართული ამერიკის ფულადი სისტემის სრულად შეცვლისაკენ და მას არ პქონდა უფლებამოსილება თანხმობა განეცხადებინა ამგარი გლობალური ცვლილებების განხორციელებაზე. მაშასადამე, „ფული-მარკებისაკენ“ სწრაფვა, რომელსაც შეეძლო ფულის რეფორმა, არარაობად იქცა.

პრეზიდენტმა რუზველტმა 1933 წლის 4 მარტს გასცა განკარგულება ბანკების მუშაობის დროებით შეწყვეტისა და დამხმარე ვალუტის შემდგომი გამოშვების აკრძალვის შესახებ. ბოლოს კორსენი ასკვნის შემდეგს, რაც გახდა შედეგი ამ საკითხთან დაკავშირებით მისი ინტენსიური მუშაობისა: „მთლიანობაში შეიძლება ითქვას, რომ ფულის სტაბილურობის უზრუნველყოფის საქმეში ტექნიკური სირთულე ძალზე უმნიშვნელოა თვით პრობლემის გაგების არარსებობასთან შედარებით. მანამდე, ვიდრე არ გადაილახება ილუზია ფულის როლზე, პრაქტიკულად შეუძლებელი იქნება საჭირო პოლიტიკური ძალისხმევის მობილიზება ამ სტაბილურობის უზრუნველსაყოფად.“

90% იმისა, რასაც ჩვენ დღეს „ფულს“ ვუწოდებთ, სინამდვილეში წარმოადგენს ციფრებს კომპიუტერებში. ამიტომ, თანამედროვე პირობებში მიღებული ანგარიშსწორების სისტემის ფარგლებში ნეიტრალური ფულის შემოღების შემდეგ, სარგებლობისათვის გადასახდელი შეიძლება ამოღებულ იქნეს საკმაოდ მარტივი გზით. ანგარიშებზე ფულადი ანაბრები, რომელიც მფლობელის განკარგულებაშია ნებისმიერ დროს, შეიძლება დაიბეგროს ყოველთვიურად, მაგალითად, 0.5%-ის ოდენობით, ე.ო. 6%-ით წელიწადში. ყოველი ადამიანი, რომელსაც ექნება საკუთარ ანგარიშზე მეტი ნეიტრალური ფული, ვიდრე მას ჭირდება მიმდინარე თვეს გარკვეული ხარჯებისათვის, დანაკარგის თავიდან აცილების მიზნით გადაიყვანდა შემნახველ სალაროში საკუთარ ანგარიშზე, სადაც ის არ იბეგრება საფასურით.

მართალია, ნეიტრალური ფული ვერ მოუტანს მის მფლობელს პროცენტებს, მაგრამ ის შეინარჩუნებს თავის სტაბილურ ღირებულებას (როგორც კი ფულზე პროცენტები გაქრება, ინფლაცია აღარ იქნება, მისი ნამდვილი მიზეზი მოისპობა). ვინც მიიღებს კრედიტებს, პროცენტებს არ გადაიხდის, მხოლოდ საკომისიოს (რომელიც ახლაც ჩართულია ნებისმიერ საბანკო კრედიტში). ეს უკანასკნელი ჩვეულებრივი საკრედიტო ხარჯის 1.5-დან 2.5%-ს შეადგენს. ამგვარად, პრაქტიკულად ამ თვალისწილით ბევრი არაფერი შეიცვლება.

ბანკები გააგრძელებენ ფუნქციონირებას ისე, როგორც ადრე, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ისინი უფრო მეტად დაინტერესდებიან კრედიტების გაცემით, რამდენადაც ისინც დაექვემდებარებიან ცირკულაციიდან ამოღებული ფულისათვის საფასურის გადახდის მექანიზმის მოქმედებას. ბანკში, კრედიტებსა და დაზოგვას შორის წონასწორობის უზრუნველსაყოფად, შესაძლებელია, წარმოშვას კორექტირებადი პროცენტის შემოღების აუცილებლობა 1%-ის ოდენობით. ამრიგად, თუ ბანკში შემნახველ ანგარიშებზე არსებობს უფრო მეტი ფული, ვიდრე მას ჭირდება, მაშინ მან უნდა გადაუხადოს სახელმწიფოს 1%. თუ ბანკს შეექმნება სირთულე გადახდისუნარიანობის თვალსაზრისით, მაშინ ის მიიღებს შესაბამის თანხას. ამ შემთხვევაში ფულისთვის საფასური იქნებოდა რეგულირების დროებითი მექანიზმი დღევანდელი პროცენტებისაგან განსხვავებით, რომელიც წარმოადგენს სიმდიდრის გადანაწილების მექანიზმს.

აღნიშნული რეფორმის საფუძვლად უნდა იქცეს საკმაოდ ზუსტი შეხამება ცირკულირებადი ფულის რაოდენობისა იმ თანხასთან, რომელიც აუცილებელია ყველა კომერციული გარიგების განსახორციელებლად. როდესაც წარმოებული ფულის რაოდენობა დაფარავს მის საჭიროებას ყველა გარიგების განხორციელების შემთხვევაში, მაშინ მეტი ფულის ემისია საჭირო არ იქნება.

ახალი ფულის ნაღდი კუპიურების დაგროვება შეიძლება თავიდან იქნეს აცილებული უფრო ელეგანტური საშუალებით, ვიდრე მარკების დაწებებით ბანკოტის მეორე მხარეს. შეიძლება, მაგალითად, დაიბეჭ-

დოს ბანკოტები სხვადასხვა ფერადი მარკირებით და სხვადასხვა ზომით; სერიიდან ერთი წელიწადში ერთხელ ან ორჯერ, ყოველგვარი წინასწარი გაფრთხილების გარეშე, შეიძლება ამოღებულ იქნეს მიმოქცევიდან. სახელმწიფოსათვის ეს ხარჯები არ გადააჭარბებს ხარჯებს, რომელიც დაკავშირებულია გაცვეთილი ძველი ბანკოტების ახლით შეცვლასთან, როგორც ეს ახლაა მიღებული. როგორც ავსტრიისა და აშშ-ს გამოცდილება გვიჩვენებს, რეფორმის პოლიტიკური ასპექტი უფრო მნიშვნელოვანია ტექნიკურთან მიმართებით.

ზემოთაღწერილ ფულად რეფორმას, რომელიც გატარდება ფართო მასშტაბით, თან უნდა ახლდეს მიწისა და საგადასახადო რეფორმა. მიწის რეფორმის გარეშე, ზედმეტი ფული მიიპყრობს მიწის საეკულიანტების ყურადღებას. საგადასახადო რეფორმა აუცილებელია სერიოზული ეკოლოგიური პრობლემების გასაკონტროლებლად, რომელიც შეიძლება მოჰყვეს ეკონომიკურ ბუმს პროცენტებისაგან თავისუფალი ფულის შემოღების შემთხვევაში.

როგორც ისტორია გვამცნობს, სხვადასხვა დროის რელიგიური ლიდერები, როგორიცაა, მაგალითად, მოსე, არისტოტელე, მუჰამედი, ლუთერი, ცვინგლი და განდი, ცდილობდნენ აღმოფხვრათ სოციალური უსამართლობა, რომელიც გამოწვეული იყო პროცენტების მუდმივი გადახდევინებით და ამასთან დაკავშირებით იძლეოდნენ რჩევებს, აკრძალულიყო პროცენტების მიღება. მათ ესმოდათ პრობლემის არსი.

მაგალითად, მოსეს წიგნში წერია: „თუ ფულს სესხად აძლევ შენს მმას, ღარიბს, არასოდეს მოეპყრა მას, როგორც მევახშე. შენ არ გაქს უფლება ის დაბეგრო პროცენტებით“. არისტოტელე თავის „პოლიტიკაში“ წერს: „მევახშეს ვერ იტანენ სრულიად სამართლიანად, რადგან მისთვის თვით ფული გამხდარა შემოსავლის წყარო და არ გამოიყენება იმისათვის, რისთვისაც ის იქნა გამოგონებული. ვინაიდან ის წარმოიშვა საქონელთა გაცვლისათვის, ხოლო პროცენტები ფულისგან ქმნის მეტ ფულს, აქედანაა მისი სახელწოდებაც. დაბადებული პევანან მშობლებს. მაგრამ პროცენტები – ეს არის ფული ფულისგან, ამიტომ ის საქმიანობის ყველა სახეობის ბუნების საწინააღმდეგოა“.

თუ სიტყვასიტყვით ვთარგმნით ლუკას სახარების ბერძნული ლიგინალის ტექსტს, მასში ვკითხულობთ: „.... გასცემდეთ სესხად ისე, რომ ელოდოთ არაფერს“, ხოლო ნიკეის კრებამ, რომელიც ქრისტეს დაბადებიდან 325 წელს შედგა, ყველა სასულიერო პირს აუკრძალა პროცენტის გადახდევინება. დამნაშავის დასჯა შეადგენდა ლირსების დაუყოვნებლივ აყრას. 1139 წელს მეორე ლათერინულმა კრებამ დაადგინა: „ვინც იღებს პროცენტებს, უნდა განიკვეთოს ეკლესიიდან და მისი უკან დაბრუნება შესაძლებელია უმკაცრესი მონანიების შემდეგ და უდიდესი სიფრთხილით. პროცენტების გადამხდევინებლები, რომლებიც სიკვდილის წინ თუ არ დაადგებიან ჭეშმარიტების გზას, არ უნდა დაიკრძალონ ქრისტიანული წესით“.

მარტინ ლუთერმა (1483-1546) მრავალჯერ საშინლად ამხილა მევახშები: „და ამიტომ მევახშე და კრიჟანგი – სინამდვილეში ადამიანი არ არის; ის სცოდავს არაადამიანურად. მას ყველაზე საშინელ ტირანზე, მკვლელსა და მძარცველზე უარესად უნდა მოვებყრათ, თითქმის ისეთივე ბილწია, როგორ თვით ეშმაკი. გვევლინება არა როგორც მტერი, არამედ როგორც მეგობარი და თანამოქალაქე თემის მფარველობისა და დაცვის ქვეშ, მაგრამ საზიზღარია ნებისმიერ მტერსა და მკვლელ-წამქეზებელზე. ამიტომ, თუ ქუჩის მძარცველებს, მკვლელებსა და დამნაშავეებს ბორბალზე აწამებენ და თავს კვეთენ, მაშინ რაოდნ საჭიროა ჯერ დაბორბვლა და წამება ყველა მევახშისა, დევნა, წყველა და თავის მოკვეთა ყველა კრიჟანგისა...“<sup>1</sup>

რეფორმატორი ულრიხ ცვინგლი (1484-1531) კიდევ უფრო შორს წავიდა სექულარიზაციის გზით. ერთი მხრივ, მან გამოაცხადა პროცენტები უღმერთოდ და ანტიქრისტიანულად, მეორე მხრივ, აღიარა სახელმწიფოს უფლება საპროცენტო განაკვეთის განსაზღვრაში.

მიუხედავად იმისა, რომ ყველა მათგანმა იცოდა პრობლემის საფუძველი, მათ არ მოუციათ არავითარი პრაქტიკულად მისაღები გადაწყვეტილება ფულადი მიმოქცევის უზრუნველსაყოფად; ამგვარად, სისტემის ფუძემდებლური ნაკლი დარჩა ხელშეუხებელი. აკრძალვებმა, რომელიც დაედო პროცენტებს რომის პაპების

<sup>1</sup> Margrit Kennedy: Interest and Inflation Free Money (Published by Seva International; ISBN 0-9643025-0-0; Copyright 1995 by Margrit Kennedy), p. 7.

მიერ ევროპული შუასაუკუნების დროს, რომლის თანახმადაც პროცენტების ამღები ქრისტიანები იკვეთებოდნენ ეკლესიდან, პრობლემათა მთელი სიმძიმე დააკისრა ებრაელებს, რომელთაც უფლება ეძლეოდათ აელოთ პროცენტები სხვა ადმსარებლობის ხალხისგან. ეს უკანასკნელნი იმ დროიდან მოყოლებული სულ უფრო გადაიქცნენ მსოფლიოს წამყვან ბანკირებად. თვით ძველი აღთქმიდან ებრაულმა თემმა იცოდა იმის შესახებ, რომ პროცენტები არღვევენ ხანგრძლივი ზემოქმედების დროს ნებისმიერ სოციალურ ორგანიზმს. ამიტომ, ძველ დროს აღიარებული იყო „წმინდა წელი“, ყველა პროცენტისა და ვალის პატიება 7 წელიწადში ერთხელ. ამგვარად, არსებობდა იმ ზიანის შეზღუდვის შესაძლებლობა, რომელიც გამოწვეული იყო პროცენტებით, თუმცა, ხანგრძლივი გადაწყვეტა მაინც ვერ იქნა მოძებნილი.

დღეს ეკლესია სულ უფრო ხშირად მოუწოდებს შემოწირულობისაკენ, რათა შეარბილოს გადანაწილების პროცესის მანკიერი შედეგები ფულადი სისტემის ფარგლებში, რომელიც წარმოიშობა როგორც განვითარებულ, ასევე განვითარებად ქვეყნებში. მაგრამ ეს მხოლოდ შედეგებთან ბრძოლის ცდაა და არა ავადმყოფობის გამოწვევე ნამდვილ მიზეზებთან, რადგანაც ის არ ეხება ფულადი მიმოქცევის სისტემის ნაკლს. სიმართლე რომ ვთქვათ, შემოწირულობათა მთელი თანხა, რომელიც შეგროვებულია განვითარებულ ქვეყნებში ყველა ორგანიზაციის მიერ დახმარების აღმოჩენის მიზნით, შეაღგნს სწორედ ერთ პროცენტს იმ პროცენტებისა, რასაც უხდიან განვითარებადი ქვეყნები განვითარებულ ქვეყნებს. რა არის საჭირო მოცემულ მომენტში? – ეს არის ინფორმაციის გავრცელება და დისკუსიის გამართვა არსებული ფულადი სისტემის ეფექტიანობასა და ფულადი რეფორმის გზით პრობლემის გადაწყვეტაზე.

მუსულმანურ ქვეყნებში არსებობს აკრძალვა პროცენტებზე. იქ კრედიტისათვის არ იხდიან, მაგრამ ამის მაგივრად ბანკი, რომელიც გასცემს ფულს, ღებულობს საქმეში წილობრივი მონაწილეობის უფლებას, ხოლო მოგვიანებით – მიღებულ მოგებაში. ზოგიერთ შემთხვევაში ეს უკეთესია, სხვა შემთხვევაში – უარესი, ვიდრე პროცენტების მიღება. საქმე ისაა, რომ პრაქტიკაში არაფერს ცვლის სხვების ხარჯზე შემოსავლის მიღება პროცენტებით მოხდება თუ ზემოთნახსენები წესით.

ჩვენს დროში დღე არ გავა, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით არ მოვისმინოთ ისეთი მრისხანე და დამაინტრიგებელი სიტყვა, როგორიც ინფლაციაა. მის შესახებ ძალიან ბევრს მსჯელობენ პოლიტიკოსები და სპეციალისტები, მას ებრძვიან და მისი ძალიან ეშინით. XX საუკუნის 70-იან წლებში აშშ-ის პრეზიდენტმა ჯერადდ ფორდმა ინფლაცია „საზოგადოების ნომერ პირველ მტრად“<sup>1</sup> გამოაცხადა, ხოლო 80-იან წლებში პრეზიდენტმა რონალდ რეიგანმა მას „ყველაზე მკაცრი გადასახადი“<sup>2</sup> უწოდა. საზოგადოებრივი აზრის მრავალრიცხოვანი გამოკითხვა ადასტურებს, რომ მოსახლეობა ინფლაციას უსერიოზულეს პრობლემად თვლის.

მაინც რა არის ინფლაცია? რა არის მისი მიზეზები? რატომაა ინფლაცია გარდაუვალი? რატომ ხდება, რომ ნებისმიერი მყარი ვალუტა დროთა განმავლობაში კარგავს თავის მყიდველობით უნარს? შესაძლებელია თუ არა ინფლაციის ფართოდ გავრცელებული დეფინიციებით აიხსნას მისი წარმოშობის მიზეზები? შევეცდებით პასუხი გავცეთ დასმულ კითხვებს.

საყოველთაოდ აღიარებული განმარტებით ინფლაცია საქონელსა და მომსახურებაზე ფასების საერთო დონის ზრდაა. ის ჩნდება მაშინ, როცა იზრდება ერთობლივი მოთხოვნა არსებულ ერთობლივ მიწოდებასთან შედარებით. ეკონომიკური ზრდის პერიოდში ინფლაციის დონე შედარებით დაბალია. მაგრამ, ცნობილია შემთხვევებიც, როდესაც ფასების დონის ყოველთვიური მატება 100%-ს აღემატება და ადამიანები საერთოდ კარგავენ ადგილობრივი ვალუტისადმი ნდობას.

ეკონომისტები და საერთოდ ანალიტიკოსები უდიდეს ძალისხმებას მიმართავენ მოსალოდნელი ინფლაციის პროგნოზირების მიზნით. მოსალოდნელი ინფლაცია დისკონტის განაკვეთის სიდიდის დომინირებული განმსაზღვრელი ფაქტორია. ინდივიდი, რომელიც უნარიანია განჭვრიტოს ინფლაციის დონის მოსალოდნელი

<sup>1</sup> Н.Г. Мэнкью, Макроэкономика., Изд-во Московского университета, 1994, с. 39-54.

<sup>2</sup> იქნა.

ცვლილების მასშტაბები, წარმატებით განსაზღვრავს დისკონტის განაპვეთის მოსალოდნელ ცვლილებას. ეს კი მნიშვნელოვანია, რამდენადაც ინფლაციის არსის გაგების პირველი ნაბიჯია მისი ფაქტორების განსაზღვრა.

დღეისათვის მეცნიერთა შორის არსებობს სრული თანხმობა ინფლაციური პროცესების დეტერმინანტებთან დაკავშირებით, რასაც ინფლაციურ პროცესებზე ზემოქმედების შედეგების შესახებ ვერ ვიტყვით. ინფლაციის განმსაზღვრელი ფაქტორებისა და ამის შესახებ სხვადასხვა სამეცნიერო სკოლას შორის უთანხმოების მიზეზების გაგებისათვის განვიხილოთ შემდეგი ოგივეობა:

$$P = MV/Y$$

აღნიშნული იგივეობა გამომდინარეობს საყოველთაოდ აღიარებული ფულის რაოდენობრივი თეორიის იგივეობიდან, სადაც  $P$  ფასების დონეა,  $M$  – ეკონომიკაში არსებული ფულადი მასა,  $V$  – ეკონომიკაში ფულის ბრუნვის სიჩქარე,  $Y$  – წარმოების რეალური მოცულობა.

ფულადი მასის ბრუნვის სიჩქარე გვიჩვენებს ეკონომიკაში ფულის მიმოქცევის სიხშირეს და გარიგებათა მოცულობას დროის გარკვეულ მონაკვეთში. მაგალითად, თუ ფულის ერთეულით შედგა სამი გარიგება, მისი ბრუნვა სამის ტოლია. აგრეთვე უნდა აღვნიშოთ, რომ თუ ფულადი მასის სიდიდე განისაზღვრება კონკრეტული მაჩვენებლით (ვთქვათ, 2 ფულადი მასი), მაშინ ბრუნვა გამოთვლილ უნდა იქნეს კონკრეტული სიტუაციის ასახვისათვის.

წინა იგივეობას თუ გადავწერთ პარამეტრთა ცვლილების პირობებისათვის, სადაც  $d$  ცვლილებაა, გვექნება:

$$dP = \frac{(dM)(dV)}{dY}.$$

განტოლების მარცხენა მხარე ინფლაციის ტემპია, ხოლო მარჯვენა გვიჩვენებს ინფლაციის ტემპის სამ დეტერმინანტს.

თუ ფულადი მასის მოცულობა გაიზრდება სხვა პარამეტრების უცვლელობისას, მაშინ ინფლაციის დონე გაიზრდება. ეს არის მონეტარისტული თეორიის მომსრულად არგუმენტის საფუძველი, რომლებიც თვლიან, რომ არ არსებობს კავშირი წარმოების რეალურ მოცულობასა და ფულად მასას შორის, აგრეთვე ბრუნვის მაჩვენებელი სტაბილურია გრძელვადიანი პერიოდისათვის და „თავისუფალი“ მონეტარული პოლიტიკა (ფულადი მასის ზრდა) მაღალი ინფლაციის მიზეზია. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთების აზრით, მონეტარულ პოლიტიკას შეიძლება მოკლევადიანი ეფექტი ჰქონდეს წარმოების რეალურ მოცულობაზე, უმრავლესობა ამტკიცებს, რომ გრძელვადიანი ეფექტი არ არსებობს. არსებობს აგრეთვე შეხედულება, რომლის მიხედვითაც ბრუნვის სიჩქარე შეიძლება შეიცვალოს დროთა განმავლობაში, რაც ვლინდება დროის ხანგრძლივი პერიოდის შემდეგ და ინფლაციაზე არსებით გავლენას არ ახდენს.

თუ ბრუნვის სიჩქარე გაიზრდება სხვა პარამეტრების უცვლელობის შემთხვევაში, მაშინ ინფლაციის დონე იზრდება. ეკონომისტები ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში კამათობდნენ იმის შესახებ, თუ რატომ იცვლება ფულადი მასის ბრუნვის სიჩქარე დროთა განმავლობაში. ამის ერთ-ერთი დეტერმინანტი ტექნოლოგიური პროგრესია. ის ცვლის ფულის დაგროვებისა და ადამიანების მიერ ფულის ხარჯებს მეთოდებს, როთაც გაგლენას ახდენენ ფულის ბრუნვის სიჩქარეზე. მაღალი ინფლაციის შემთხვევაში ადამიანებს არ სურთ ხელთ იქონიონ ნაღდი ფული და უპირატესობას ანიჭებენ რეალური საქონლის ყიდვას. ფულის დაგროვების სურვილის არქონა იწვევს ფულის ბრუნვის სიჩქარის ზრდას. ამგარად, თუ ცენტრალური ბანკი სწრაფად ზრდის ფულად მასას, ეს ინფლაციის დონის გარდაუვალ ზრდას იწვევს. ამ თვალსაზრისით ეკონომიკურ თეორიაში ცნობილია ფიშერის ეფექტი, რომლის მიხედვითაც ინფლაციის ტემპი დამოკიდებულია ფულის

მიწოდების არა მარტო მიმდინარე, არამედ მოსალოდნელ სიდიდეზეც.<sup>1</sup> ამის საილუსტრაციოდ მოვიყვანოთ შემდეგი მაგალითი: ვთქათ, ცენტრალური ბანკი აცხადებს, რომ ის მომავალში გაზრდის ფულის მიწოდებას, მაგრამ მის მიმდინარე დონეს უცვლელი ტოვებს. თუ ადამიანები დაიჯერებენ ცენტრალური ბანკის განცხადებას, მაშინ მათ ექნებათ ფულადი მასის სწრაფი ზრდისა და ინფლაციის ტემპების დაჩქარების მოლოდინი. ინფლაციის მოსალოდნელი ტემპის აჩქარება გამოიწვევს ნომინალური საპროცენტო განაკვეთის ზრდას. უფრო მაღალი ნომინალური საპროცენტო განაკვეთი გამოიწვევს რეალური გამოხატულებით ფულად მარაგებზე მოთხოვნის დაუყოვნებლივ შემცირებას. რამდენადაც ნომინალური გამოხატულებით მიმოქცევაში არსებულ ფულის მასას არ განუცდა არავითარი ცვლილება, ფულის რეალურ მარაგებზე მოთხოვნის შემცირება გამოიწვევს ფასების დონის ზრდას. მაშასადამე, მომავალში ფულადი მასის ნაზრდის უფრო მაღალი ტემპის მოლოდინი გამოიწვევს მიმდინარე ფასების დონის ზრდას, ანუ ინფლაციის დაჩქარებას.

თუ წარმოების მოცულობა იზრდება, ხოლო სხვა პარამეტრები უცვლელია, ინფლაციის დონე მცირდება (თუმცა, ნულოვანი ინფლაცია გამორიცხულია). ხშირად ეს ძირითადი არგუმენტია კეინზის სკოლის მიმდევართათვის ეკონომიკური ვარდნის დროს მონეტარული პოლიტიკის შესარბილებლად. მათი მტკიცებით, ფულადი მასის ზრდა იწვევს წარმოების რეალური მოცულობის თანამდევ ზრდას და ამ დროს ინფლაციური პროცესები უმნიშვნელოა. ამრიგად, წარმოების რეალური მოცულობის ზრდის შემთხვევაშიც შეუძლებელია ინფლაციური პროცესების სრულად ანულირება, რაც იმას ნიშნავს, რომ ინფლაცია, როგორც ასეთი, ყოველთვის არსებობს.

როგორც ზემოთმოყვანილი მსჯელობიდან გამომდინარეობს, თანამდეროვე საყოველთაოდ ცნობილი ეკონომიკური სკოლების მიერ შემოთავაზებული კონცეფციები თავისებურად განსაზღვრავენ ინფლაციურ პროცესებს, მაგრამ არცერთი მათგანი არ იძლევა პასუხს კითხვაზე: მაიც რატომაა ინფლაცია გარდაუვალი? ეკონომიკის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატი რობერტ სოლოუ ამასთან დაკავშირებით აცხადებს: „რატომ ზღება ჩვენი ფული სულ უფრო ნაკლებად დირებული? შესაძლოა ინფლაცია არ არის აღმოფხვრადი უბრალოდ იმის გამო, რომ ჩვენ მას ველოდებით, ხოლო მას ველოდებით იმიტომ, რომ ის უკვე იყო“.<sup>2</sup> ამ ციტატიდან გამომდინარეობს, რომ რადგანაც ერთხელ ჰქონდა ადგილი ინფლაციას, რომელმაც შექმნა ინფლაციური მოლოდინი, ამის გამო ის პერმანენტულ მოვლენად იქცა. ჩვენი აზრით, ეს შეხედულება არა-საქმარისია ინფლაციის ფენომენის სრულად გაგებისათვის. შევეცდებით ჩვენი აზრი გამოვხატოთ ინფლაციის მუდმივობის მიზეზის შესახებ. ამისათვის გამოვიყენოთ ფულის რაოდენობრივი თეორიის ძირითადი იგივეობა:

$$MV \equiv PY$$

თუ ფულადი მასის ზრდის ტემპი აბსოლუტურად გაუტოლდება წარმოების რეალური მოცულობის ზრდის ტემპს, მაშინ გრძელვადიანი პერიოდისათვის, როდესაც ფულის ბრუნვის სიჩქარე მუდმივია, ფასების საშუალო დონის ცვლილებას არ ექნება ადგილი და ინფლაციაც ნულის ტოლი იქნება. თავისთავად ცხადია, რომ ფულზე მოთხოვნის ზრდა, უპირველეს ყოვლისა, განპირობებულია წარმოების რეალური მოცულობის ზრდით: რადგანაც იზრდება ტრანსაქციების რაოდენობა, ეკონომიკაში საქონელბრუნვის ზრდას ფულის ზრდაც უნდა მოჰყენოს. მაგრამ, რატომაა რომ პრაქტიკაში ფულის მასის საშუალოწლიური ზრდის ტემპი წარმოების მოცულობის საშუალოწლიურ ზრდის ტემპს მუდმივად აღემატება? თუ შევეცდებით ფულის მასის საშუალოწლიური ზრდის ტემპის მისადაგებას წარმოების რეალური მოცულობის ზრდის ტემპთან, მაშინ ფასების საშუალო დონის ცვლილების მიზეზი გრძელვადიანი პერიოდისათვის არ უნდა არსებობდეს: ფულის მასის ნაზრდს გარკვეული პერიოდის შემდეგ გადაფარავს დამატებით წარმოებული საქონლის მასა

<sup>1</sup> ბლანშარი ო., მაკროეკონომიკა, მე-5 გამოცემა, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2010, გვ. 441.

<sup>2</sup> Mankiw N. G. Macroeconomics, NY Worth Publishers, 2003, p. 362.

და გარკვეული დროითი ლაგის შემდეგ ფასების საერთო დონე დაუბრუნდება ადრე არსებულ მაჩვენებელს. მაგრამ საქმე ისაა, რომ ფულადი მიმოქცევის სფეროში სულ უფრო მზარდი ოდენობით თავს იყრის ფულის ის რაოდენობა, რომელიც პროდუქციის წარმოებას და საქონელგაცვლას არ ემსახურება და ფულით სარგებლობისათვის დამატებით ფულის, ანუ პროცენტების გადახდას ხმარდება. რადგანაც ფულს თავისი ფასი გააჩნია, რაც სხვა არაფერია, თუ არა ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, მთლიანად საზოგადოება იბეგრება ერთგვარი „არაპირდაპირი გადასახადით“, ანუ პროცენტებით, რაც იწვევს ფულადი მასის იმაზე უფრო მეტად ზრდას, რაც წარმოების რეალური მოცულობის ზრდის დასაკმაყოფილებლადაა საჭირო. ჩვენი აზრით, სწორედ ამიტომა ინფლაცია პერმანენტული მოვლენა.<sup>1</sup>

მაინც რატომ გამოიწვია ჩვენი დაინტერესება ამ საკითხმა? სპეციალისტების მტკიცებით, ინფლაცია რომ არა, წარმოება საერთოდ ვერ განვითარდება, ზომიერი ინფლაცია საჭიროა და ა.შ. ვფიქრობთ, აქ ერთი მნიშვნელოვანი მომენტი რჩება ყურადღების მიღმა. ვთქვათ, ინფლაციის საშუალოწლიური ზრდის ტემპი საკმაოდ მოკრძალებულია და ის 2%-ს შეადგენს, რაც იმდენად მცირეა, რომ საზოგადოება ფასების დონის ცვლილებას თითქმის აღარ გრძნობს. თუ იმავდროულად, წარმოების რეალური მოცულობა ქვეყანაში არსებული ტექნოლოგიის განვითარების დონისა და საწარმოო რესურსების ხარჯზე წლიურად 3%-ით იზრდება, მაშინ, ფულის რაოდენობრივი თეორიის ძირითადი იგივეობიდან გამომდინარე, ფულის ბრუნვის საშუალო სიჩქარის ზრდის უცვლელი ტემპისას, აპროქსიმაციის (მიახლოების) მეთოდით მივიღებთ შემდეგ დამოკიდებულებას:

$$\% \Delta M \approx \% \Delta Y + \% \Delta P$$

ანუ, ფულადი მასის საშუალოწლიური ზრდის ტემპი, წარმოების რეალური მოცულობისა და ფასების საშუალო დონის, ანუ ინფლაციის საშუალოწლიური ზრდის ტემპების ჯამის ტოლია და ჩვენი მაგალითიდან გამომდინარე, მისი მაჩვენებელი 5% იქნება. აქვე შევნიშნავთ, რომ აღნიშნულ დამოკიდებულებას მაკროეკონომიკაში ფრიდმანის (მონეტარისტული) განტოლება ეწოდება. სწორედ ის იქნა მონეტარისტების მიერ შემოთავაზებული ეკონომიკის კეინზიანური მოკლევადიანი მონეტარული რეგულირების საპირწონედ გრძელვადიანი პერიოდისათვის, რათა, მათი აზრით, მონეტარული პოლიტიკა უნარიანი გამზღვდარიყო დაეკმაყოფილებინა ტრანსაქციებისათვის ფულზე მოთხოვნა და ინფლაციის საშუალოწლიური ზრდის ტემპი გარკვეულ მიზნობრივ (თარგეტირებულ) ფარგლებში მოქცეულიყო. მართლაც, თუ ამ წესს დავეყრდნობით, საშუალოვადიან (10-დან მაქსიმუმ 20 წლის განმავლობაში) განსაკუთრებული არაფერი ხდება და მონეტარისტული წესიც ამართლებს: ეკონომიკური აგენტების მხრიდან ფულზე მოთხოვნა დაკმაყოფილებულია და ინფლაციაც მიზნობრივ დონეზეა შენარჩუნებული. მაგრამ, გრძელვადიანი პერიოდისათვის (ვთქვათ, 20-დან 50 და მეტი წლის განმავლობაში) სიტუაცია რადიკალურად იცვლება: ეკონომიკაში თავს იყრის სულ უფრო მზარდი ფულადი მასა და ყოველწლიური ზომიერი ინფლაცია (თუნდაც მისი სიდიდე 2%-იც რომ იყო) გლობალურ პიპერინფლაციაში გადაიზრდება. ამიტომ, ვფიქრობთ, რომ გრძელვადიანი პერიოდისათვის ეკონომიკის უსაფრთხო განვითარებისათვის ინფლაცია ნულოვანი უნდა იყოს, რომლის მიღწევა, ჩვენი აზრით, არსებული ფინანსური სისტემის შემთხვევაში, არათუ პრაქტიკულად, თეორიულადაც გამორიცხულია. საბოლოოდ, დღის წესრიგში დგება არსებული ფინანსური სისტემის უფრო პროგრესული სისტემით ჩანაცვლების საკითხი.<sup>2</sup>

<sup>1</sup> ჩიქობავა მ., ინფლაციის მუდმივობის მიზეზის შესახებ. ჟურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, №6, თსუ გამომც. 2011 წ., გვ. 46

<sup>2</sup> იქვე, გვ. 48.

## **Regarding the Causes of Systemic Economic Crisis**

### **R e s u m e**

In the article it is argued that money not only helps the exchange of goods and services but can also hinder the exchange of goods and services by being kept in the hands of those who have more than they need. Thus, it creates a private toll gate where those who have less than they need pay a fee to those who have more money than they need. This is by no means a "fair deal". In fact, our present monetary systems could be termed "unconstitutional" in most democratic nations, as I will show later.

Before going into more details, let me say that there are probably more than just four misconceptions about money. Our beliefs about money represent a fairly exact mirror of our beliefs about the world in which we live, and those are as varied as the number of people who live on this planet. However, the misconceptions which will be discussed in the paper are the most common hindrances to understanding why we must change the present money system and what mechanisms we need in order to replace it.

In work it is analysed that permanent achievement of zero inflation under existence modern monetary system is impossible. In the author's opinion, the reason of such result is due to certain quantity of money, which isn't included in transactions and serves for payments of interests on loans, that is, the nominal interest rate.

As a result, the need for permanent payments of interest determines the concentration of large amounts of money in the monetary circulation, which do not participate in economic transactions and, accordingly, in the creation of added value. Based on the foregoing, the concentration in the economy unsecured merchandise extra money causes inflation.

The author believes that this is the main reason that in reality it is impossible to achieve zero inflation, which in the long term causes economic crises.

## ნიმუშობრივი მომსახურები

### პროცესიები და პროცესიული საქმიანობა ზოგჯერ მიმდინარეობს

ნებისმიერი საზოგადოების ყოფიერება წარმოუდგენელია მოძრაობის, მატერიალური წარმოების გარეშე. წარმოების პროცესში იქმნება მატერიალური დოკუმენტი ადამიანთა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, რაც საზოგადოების არსებობის საფუძველია. საბაზრო სისტემაში საქონლისა და მომსახურების წარმოება ყოველთვის განიხილება შეზღუდული რესურსების პირობებში, ანუ საზოგადოების მრავალფეროვანი მოთხოვნილებების მაქსიმალური დაკმაყოფილების მიზნით ეკონომიკა აწყდება ოპტიმალური არჩევანის პრობლემას.

თანამედროვე ეკონომიკაში წარმოებისათვის აუცილებელი ძირითადი რესურსებია: შრომა, სამეწარმეო უნარი (არამატერიალური რესურსები), მიწა და კაპიტალი (მატერიალური რესურსები). შრომას და სამეწარმეო უნარს ეკონომიკა განსაკუთრებულ არამატერიალურ რესურსად განიხილავს<sup>1</sup>.

შრომა, იგივე „სიმდიდრის მამა“ (უილამ პეტი), არის ფიზიკური და გონიერივი შესაძლებლობების სარჯვა საქონლისა და მომსახურების წარმოების პროცესში, სამეწარმეო უნარი კი, განსაკუთრებული რესურსი, რომელიც გერგილიანობას, მოხერხებულობას, განსაკუთრებული ეკონომიკური აღქმის უნარს უკავშირდება.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ადამიანი სიმბოლურადაა რესურსების მფლობელი, რომელსაც მას ღმერთი უმდვნის, ანუ ადამიანის ამქვეყნად მოვლინება დროებითად აქცევს მიწაზე მის საკუთრებასაც. ამდენად, მიწისა და კაპიტალის მესაკუთრე ფაქტობრივად არის სიმბოლური მმართველი, მენეჯერი მართვის უფლებით. შესაბამისად, საჭიროა გააზრდა იმისა, რომ ღმრთისაგან ნაბომები სიმდიდრის მმართველს უპირველესად ღვთის წინაშე ეკისრება პასუხისმგებლობა.

შრომისა და სამეწარმეო საქმიანობის როლი განუზომლად დიდია საწარმოო პროცესებში. ამის დასტურად თუნდაც ის ფაქტიც გამოდგება, რომ შემოსავლების მიხედვით გამოთვლილ მთლიან შიდა პროდუქტში (ხელფასის, რენტის, სარგებლის, მოგების და სხვა შემოსულობების (გადასახდელების) ჯამი) ხელფასის ხვედრითი წილი საშუალოდ 60-75%-ს შეადგენს<sup>2</sup>. სამუშაო ძალაში უმუშევრთა რიცხოვნობის გაზრდა (ანუ უმუშევრობის დონის გაზრდა) იწყევს მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) მნიშვნელოვან შემცირებას.

ქრისტიანული სარწმუნოების მიხედვით, ყოველი ადამიანისათვის ღმერთს დადგენილი აქვს ამქვეყნიური და იმქვეყნიური ცხოვრების ეტაპები. ხანმოკლე მიწიერი ცხოვრება არის მზადება მომავალი საუკუნო სიცოცხლისათვის. აქედან გამომდინარეობს ადამიანის დანიშნულება და მისი მიწიერი ცხოვრების მიზანი. ყოველი ქრისტიანის მიწიერი ცხოვრების უძალენესი მიზანია საკუთარი ცხოველებდების პროცესში ზნეობრივი კანონის განხორციელება<sup>3</sup>.

ამდენად, ადამიანური ფაქტორი, თანამედროვე ტერმინოლოგიით „ადამიანური კაპიტალი“, რაც ეკონომიკური თვალთხევდებით უმთავრესი საწარმო ფაქტორია, შესაძლებლობების გამოვლენის, რესურსების ოპტიმიზაციის, დემოგრაფიულ ფაქტორთა შეფასებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების უკეთ მოწყობის მიზნით სწორ და ზუსტ აღნუსხვას მოითხოვს. ეს კი უპირველესად მოსახლეობის აღრიცხვას (აღწერას) გულისხმობს. ძველ აღთქმაში აღწერის რამდენიმე შემთხვევა ფიქსირდება, რომელიც ძირითადად ისრაელთა აღნუსხვას გულისხმობს. პირველად ეს მოხდა უფლის ჩაგონებით, სინას მთასთან, ეგვიპტიდან გამოსვლის მეორე წელს: „აღწერე ისრაელიანთა საზოგადოება საგვარეულოებად და მამისსახლებად, სახელთა რიცხვის მიხედვით, ყოველი მამროვანი სათითაოდ. აღრიცხვები შენ და აარონმა ყველა ისრაელიანი ოცი წლიდან მოყოლე-

<sup>1</sup> Макконнел К., Брю С. Экономикс, М., «Инфра-М», 2000, ст.28

<sup>2</sup> ჩიხლაძე ნ., ზოგადი ეკონომიკის, ქუთაისის სამართლის და ეკონომიკის უნივერსიტეტი, ქუთ., 2008, გვ. 205.

<sup>3</sup> მღვდელი ბასილი (ახვლელიანი), შიხაშვილი გ., ბაკაშვილი ნ., მართლმადიდებლური თეოლოგიური ეკონომიკისა და მართვის საფუძვლები, თბ., 2009, გვ. 32.

ბული“ (რიცხვ. 1:1-3). ლევიანთა გარდა, „აღმოჩნდა მთლიანად აღრიცხული ექვსას სამი ათას ხუთას ორ-მოცდათი“ (რიცხვ. 1:46-47).

უდაბნოში მრავალწლიანი მოგზაურობის შემდეგ, აღოქმულ მიწაზე შესვლის წინ უფალმა კვლავ მოითხოვა აღრიცხვა იმავე წესით. შედეგად მიღებულ იქნა „რიცხვი ისრაელიანთა“ – ექვსასი ათას შვიდასოცდათი (რიცხვ. 26:52-54). მომდევნო აღრიცხვა უკვე უფლის შეგონებით აღარ მომხდარა. დავითმა თვითონ მოისურვა მოსახლეობის აღრიცხვა (2 მეგ. 24:2). ეს მოხდა უფლის მორჩილების გარეშე, რასაც დავითი გვიან მიხვდა და შესაბამისად, მისი რისხგაც დაიმსახურა – შავი ჭირით გაწყდა 70 ათასი კაცი (2 მეგ. 24:12-20). მოსახლეობის აღრიცხვა პირველ რიგში მნიშვნელოვანი იყო თავდაცვითი მიზნებისათვის, გადასახადების დასათვლელად, ასევე სამუშაო ძალის განსაზღვრისათვის. მოსახლეობის აღრიცხვა გარკვეულ პროფესიულ უნარ-ჩვევებს უკავშირდება. ამიტომ, შეიძლება ითქვას აღმრიცხველი ერთ-ერთი უძველესი პროფესია.

ფასდაუდებელია წმინდა წერილში არსებული ცნობები საზოგადოების შრომითი საქმიანობის და ცალკეული პროფესიების შესახებ. როგორც წმინდა წერილი გვასწავლის, „კაცი საქმით მართლდება და არა მხოლოდ რწმენით... ვინაითგან როგორც სხეული მკვდარია სულის გარეშე, ასევე რწმენაც მკვდარია საქმის გარეშე“ (იაკ. 2:24,26). უფალი აღიარებს არა ნებისმიერ საქმიანობას, რომელიც ადამიანის სუსტი ბუნების, გრძნობების ან თუნდაც ვწებების შედეგია, არამედ სარწმუნოებრივ, ანუ უფლის მცნებების დაცვით აღსრულებულ საქმეებს: „წეულიმც იყოს, ვინც დაუდევრად აკეთებს უფლის საქმეს!“ (იერ. 48:10). უფლისათვის მიუღებელია ასევე უგუნური და უსარგებლო შრომა, გარჯა, რომლის ფესვებშიც ამპარტავნება იმაღება. ამის ნათელი მაგალითია ბაბილონის გოდოლი. ადამიანთა მიერ ტიანური შრომის გაწევის მიუხედავად, გოდოლი ღმერთმა დაანგრია, ხალხი გაფანტა და ენებიც აურია მათ, რომ ერთმანეთის არაფერი გაეგოთ.

უფლისაგან უკურთხებელი ნებისმიერი პროფესიის შრომის შედეგი ყოველთვის სავალალოა, ფუჭია და მოუხმარებელი უღვთო მშრომელისათვის. წინასწარმეტყველ მიქიას პირით უფალი ასეთ „მშრომელებს“ მკაცრად აფრთხილებს: „შეჭამ და ვერ გაძლები; შიშმილი გექნება მუცელში; გადამალავ, მაგრამ ვერ შეინარჩუნებ; რასაც შეინარჩუნებ, მახვილს მივცემ. დათესავ და ვერ მოიმკი; ზეთს გამოხდი და ვერ გაიპოხები; ღვინოს დაწურავ და ვერ შესვამ“ (მიქ. 6:14-15).

ცოდვით დაცემის შემდეგ უფალმა ადამს უთხრა: „მიწა დაიწყევლოს შენს გამო: ტანჯვით მიიღებდე მისგან საზრდოს მთელი სიცოცხლე. ძებვი და ეკალი აღმოგიცენოს და მინდვრის ბალახი იყოს შენი საზრდო. პიროვლიანი ჭამდე პურს, ვიდრე მიწად მიიქცეოდე, რადგან მისგანა ხარ აღებული, რადგან მტვერი ხარ და მტვრადვე მიიქცევი“ (დაბ. 3:17-19). ამ განაჩენით ადამიანის მთელი ამქევენიური ცხოვრება გარდაიქმნა განუწყვეტელ შრომად, ტანჯვად და მწუხარებად. წმ. ოოანე ოქროპირი აღნიშნავს: „უფალი ყოველნაირად ცდილობს შეამსუბუქოს ეს სასველი: დაადო რა განუწყვეტელი შრომის ტვირთი, მის შესამსუბუქებლად ადამიანებს დაუტოვა სხვადასხვა პირუტყვი“. როგორც ცნობილი რუსი ღვთისმეტყველი ა. ლოპუხინი განმარტავს, ადამიანის არსებობა ერთგვარ შრომით გმირობას დაქვემდებარა. ამდენად, შრომის უფლება, შრომის აუცილებლობა ადამიანმა ღმერთის დაწყევლის შემდეგ მოიპოვა.<sup>1</sup>

დაბადებაში ვხვდებით შრომის დანაწილებას აბელსა და კაენს შორის: „აბელი მეცხვარე იყო, კაენი – მიწის მუშაკი“ (დაბ. 4:2). როდესაც კაენის გული აღივსო შურითა და მტრობით საკუთარი მმის მიმართ, უფალმა მოუწოდა მას შრომისაკენ, ცოდვიანი ზრახვებისაგან გასარიდებლად: „თუ სიკეთის მქნელი ხარ, განა თავაწეული არ უნდა იყო? თუ სიკეთის მქნელი არა ხარ, ცოდვა ჩასაფრებულია კართან, შენსკენ აქვს მას ლტოლვა, შენ კი იძატონ მასზე“ (დაბ. 4:7). როგორც ცნობილია, კაენი ვერ აღუდგა წინ ბოროტებას და არ შეისმინა ღვთის სიტყვა.

<sup>1</sup> Толковая Библия или комментарий на все книги св. Писания Ветхого и Нового Завета А.П. Лопухина - <http://www.bible.in.ua/underl/Lop/>

დაბადების საწყის თავებში, სადაც მოთხოვნილია გადახვეწილი კაენის დასახლება ნოდის ქვეყანაში, ედემის აღმოსავლეთით, კაენის შთამომავლებში ვხვდებით ისეთ პროფესიებს, როგორიცაა მეჯოგე, მეჩანგე, მესტგირე, რვალისა და რკინის საჭურველთა მჭედელი. თვით კაენი, შეიძლება ითქვას, ჩამოშორდა მიწათმოქმედებას, რადგან ღვთის სასჯელის გამო მისთვის ამ საქმიანობის გაგრძელება აზრს კარგავდა: „დაამუშავებ მიწას, მაგრამ აღარ მოგცემს იგი თავის ძალას, დევნილი და მიუსაფარი იქნები ამ ქვეყანაზე“ (დაბ. 4:12). რამდენადაც მიწა იყო როგორც საზრდოს მიღების წყარო და საცხოვრებელი ადგილი, მიწის წყევლაც ორივე მიმართულებას მოიცავს: ნიადაგის უნაყოფობა და უსახლკარობა, მიუსაფრობა.

ეროვნული მეურნეობის დარგებში, რომელიც ბიბლიაშია გადმოცემული, უნდა მოვიხსენიოთ მშენებლობა. მას დაბადების საწყის თავებში ვხვდებით. კაენი, რომელმაც გააშენა ქალაქი, და უწოდა მისი შვილის, ენოქის სახელი. ასევე მშენებელია ნოეც, რომელიც აგებს უზარმაზარ კიდობანს.

დაბადებაშივეა აღწელი ბაბილონის გოდოლის მშენებლობაც, საიდანაც ჩანს სამშენებლო საქმის ცოდნა: „უთხრეს ერთმანეთს მოდი მოვზილოთ თიხა და გამოვწვათ. ქვის მაგივრად აგური ჰქონდათ, კირის მაგივრად-ფისი. თქვეს აბა ავაშენოთ ქალაქი და გოდოლი და ცას მიგუწვინოთ მისი თხემი. აღვმართოთ ნიშანსვეტი, რომ არ გავიფანტოთ დედამიწის ზურგზე“ (დაბ. 11:3-4). ამდენად, ადამიანები იცნობდნენ ძირითად ტექნოლოგიურ პროცესებს. კერძოდ, ბაბილონელები ამზადებდნენ ხელოვნურ აგურს, იყენებდნენ ფისს და ჰქონდათ ცათამბჯენის აგების იმედი, რაც მიუთითებს, რომ ისინი სამშენებლო ხელოვნებაში გაწაფული უნდა ყოფილიყნენ. როგორც ა. ლოპუხინი განმარტავს, ამ მონაკვეთამდე ბიბლიაში ორჯერ არის გადმოცემული ქალაქის მშენებლობა: პირველად, კაენის შესახებ თხრობისას, როცა „გააშენა კაენმა ქალაქი და უწოდა ამ ქალაქს შვილის სახელი – ენოქი“ (დაბ. 4:17) და ძლიერი ნებროთი: „მისი სამეფოს რჩეული ქალაქები იყო ბაბილონი, ერეკი, აქადი და ქალნე, შინყარის ქვეყანაში“ (დაბ. 10:10). ორივე შემთხვევაში (კაენი, როგორც ძმის მკვლელი, ნებროთი, რომელმაც „დაიწყო ძალის გამოჩენა ქვეყანაზე“) ქალაქების მშენებლობა კაცობრიობის უწმინდეული წარმომადგენლების მიერ ბიბლია ცუდ ზრახვებად აღიქვამს.<sup>1</sup>

ისრაელიანები ეგვიპტის ჩრდილოეთში ცხოვრობდნენ. მათ დამონებას ემთხვევა პერიოდი, როდესაც ეგვიპტეში იწყება არა ქვის მასალით, არამედ აგურით მშენებლობა. ცნობილ მეფეთა და ფარაონთა სამარხები აგურით შენდება. ბიბლიაში მოხსენიებულია, რომ ისრაელიანებს სწორედ აგურის დამზადება ევალებოდათ, როდესაც მოსეს ისინი ეგვიპტიდან უნდა გამოეყვანა.

კაენის ჩამომავალთაგან იაბალი იყო „კარავში მცხოვრებთა და მეჯოგეთა მამა,“ ანუ აბელის „კოლეგა“. იაბალის მმა იუბალი, „იყო მეჩანგეთა და მესტგირეთა მამა“, ხოლო ლამექის შვილი მეორე ცოლიდან (ცილადან) თუბალ-კაენი, „რვალისა და რკინის საჭურველთა მჭედელი“ იყო (დაბ. 4:16-22). ამდენად, ბიბლიაში უპირველესად მოხსენებული სარეწაო პროფესიებია მჭედელი და მუსიკოსი (მუსიკალური ინსტრუმენტების შექმნელი). მნიშვნელოვანია, რომ წმინდა წერილის ამ ნაწილში თუბალ-კაენთან ერთად, ცალკე მოხსენიებულია მისი დაც – ნაყამა. ზოგიერთი მკვლევარი მიიჩნევს, რომ ნაყამა იყო პირველი ქალი, რომელიც ძმის საქმიანობას – რეწვას (სამჭედლო საქმეს) მისდევდა.<sup>2</sup>

ამდენად, ლამექის შვილების საქმიანობამ სათავე დაუდო ეკონომიკური საქმიანობის სხვადასხვა სფეროებისა და ქვედარგების ჩამოყალიბებას: პირველად წარმოებას (იაბალი), გადამუშავებელ მრეწველობას (თუბალ-კაენი) და მომსახურების სფეროს (იუბალი).

სამეურნეო საქმიანობა ასევე მოხსენიებულია ლამექსა და ნოესთან მიმართებაში, რომელთა ძირითადი საქმიანობა მიწათმოქმედება იყო. ნოეს დაბადებიდან უკვე ცნობილი იყო მისი შრომისმოყვარეობის შესახებ:

<sup>1</sup> Толковая Библия или комментарий на все книги св. Писания Ветхого и Нового Завета А.П. Лопухина - <http://www.bible.in.ua/underl/Lop/>

<sup>2</sup> Лукин С.В. Книга бытия о разделении труда, журн. „Проблемы современной экономики“, 2004, №1. <http://www.m-economy.ru/art.php?nArtId=441>

„უწოდა მას სახელად ნოე. ასე თქვა: ეს გვანუგეშებს ჩვენს შრომასა და ჯაფაში ამ მიწაზე, რომელიც დასწყევლა უფალმა“ (დაბ. 5:29).

ბუნებრივია, ნოეს თავის შვილებთან ერთად, სხვადასხვა პროფესიის ცოდნა ესაჭიროებოდა კიდობნის ასაგებად, რომელიც საკმაოდ მოცულობითი უნდა ყოფილიყო: სიგრძე – სამასი, სიგანე – ორმოცდათი, სიმაღლე – ოცდათი წყრთა. ღმერთმა გარკვეული კიდობნის „პროექტი“ უკარნახა ნოეს: „გააკეთე კიდობანი ურთხელისაგან, ბუდეები გაუკეთე კიდობანს, შიგნით და გარეთ ფისით შეფისე, ... სასინათლო გაუკეთე კიდობანს, ზემოდან ერთ წყრთაზე დაუტანე; კარი გვერდიდან შეაბი კიდობანს, ქვედა, მეორე და მესამე სართული გაუკეთე“ (დაბ. 6:14,16). ხის მასალა, რომლისგანაც დამზადდა კიდობანი, მონათესავე ჯიში იყო კედარის ან კვიპაროსისა, რომლებიც ფისის მაღალი შემცველობით გამოირჩევიან. როგორც წმინდა მამები განმარტავნ, ხის კიდობანით წყლის სტიქიისაგან თავის დახსნა ერთგვარი წინასწარმეტყველება იყო ხის ჯვრისა და ნათლობის წყლისა, რითაც გამოიხსნებოდა ახალი აღთქმის კაცობრიობა.

უფრო მოგვიანებით მშენებლობის კულტურა გაცილებით დაიხვეწა და ახალი მასშტაბები შეიძინა. მამის ანდერძის თანახმად, სოლომონი გამეფების შემდეგვე შეუდგა მშვენიერი ტაძრის აშენებას იერუსალიმში. დავითმა შვილს დაუტოვა როგორც შენობის პროექტი, ისე ეკლესის გარეგანი სახე და აუარებელი მასალაც. სოლომონმა ტაძრის მშენებლობის ამოცანას შესანიშნავად გაართვა თავი. მეტიც, „ტაძრის აგების შემდეგ სოლომონი შეუდგა ისრაელის გამშვენიერებას. ააშენა სასახლეები, გაამშვენიერა დიდი ბაღები, გააკეთებინა შიგ ქალაქში ჰატარ-ჰატარა ტბები და ისე მორთო თავისი სატახტო ქალაქი, რომ მასზედ უკეთესი შეუძლებელიდა იყო“. ამდენად, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ამ პერიოდისათვის მშენებლობასთან ერთად უკვე სერიოზულად არის განვითარებული კომუნიკაციების მოწყობის კულტურა, ლანდშაფტის დიზაინი და ა.შ.

მომდევნო პროფესიული საქმიანობა კაცობრიობისათვის არის მევენახეობა: „დაიწყო ნოემ მიწის დამუშავება და გააშენა ვენახი“. შესაბამისად, დასაბამი ეძლევა მევენახეობის დარგსაც, რამდენადაც ნოემ ღვინის დაყენებაც შეძლო (დაბ. 9:20-21). მონადირის სახით ვხვდებით ნოეს შთამომავალს – ნებროთს. მოგვიანებით ასევე ვხვდებით ესავს („წითელი“), რომელიც იყო „მარჯვე მონადირე, ველების კაცი...ნანადირევი იყო მისი საჭმელი“ (დაბ. 25:27-28).

საზოგადოდ, ვაზის თემა მნიშვნელოვანია ძველ და ახალ აღთქმაში. ეგვიპტიდან გადმოტანილი ვაზის შესახებ ნათქვმია: „უფალმა დაბარა, ქვები მოაცილა, ჩაყარა წითელი ვაზი, ჩადგა კოშკი მის შუაგულში, საწანელი ამოკვეთა და დაელოდა ვიდრე სავსე მტევნებს გამოიღებდა“ (ეს. 5:2) ამ იგავში ისრაელი გაიგივებულია ღვთის ვენახად, როცა მას ღმერთი უვლის, ზრუნავს და ელოდება სათანადო ნაყოფის გამოღებას, მაგრამ ამაღლ: „მე დაგრგე რჩეულ ვენახად, ჭეშმარიტ თესლად დაგთესე, როგორ გადაჯიშდი და უცხო ვაზად შემეცვალე“ (იერ. 2:21). როგორც ირკვევა, სასოფლო-სამურნეო სამუშაოების ჩატარება და შრომის იარაღების გამოყენება არ იყო უცხო იმ პერიოდისათვის. მსხვილი ქვების მოცილება ემსახურებოდა საერთო სისუფთავეს, ხოლო წვრილი ქვები საჭირო იყო ვაზის გამაგრებისათვის. კოშკი ვენახში ასრულებდა სათვალთვალო ნაგებობის ფუნქციას, რომ ფარას არ გაენადგურებინა ვენახი. საწანელი კი საჭირო იყო ყურძნის ჩასაწურად და წვენის მოსაკავებლად.

ვენახის გაშენების მიმართ იმავე ეტაპების აუცილებლობას ვხვდებით ახალ აღთქმაშიც: „იყო ერთი სახლის პატრონი, რომელმაც ჩაყარა ვაზი, ღობე შემოვლო, შიგ საწანელი ამოკვეთა, ააგო კოშკი და იჯარით მისცა მევენახებს, თვითონ კი წავიდა“ (მათე, 21:33).

დაბადებაში ნაჩვენებია ასევე ისაკის ღვთისადმი მორჩილება, მუყაითობა და შრომისმოყვარება. იგი მშვენიერად გაუძლება მეურნეობას შიმშილისა და მოუსავლინობის პირობებში, რადგან მისი საქმიანობა უფლისგან იყო ნაკურთხი. „დათესა ისაკმა იმ მიწაზე და ასწილად მოიმქო მოსავალი იმ წელიწადს. და აკურთხა იგი უფალმა... გამდიდრდა კაცი და უფრო და უფრო მდიდრდებოდა, ვიდრე მეტისმეტად არ გამდიდრდა. ჰყავდა ცხვრის ფარა, ნახირი და ჰქონდა უამრავი სახნავ-სათესი, და შეშურდათ მისი ფილისტიმელებს. ჭე-

ბი, რომლებიც მამამისის მორჩილებს ჰქონდათ ამოღებული აბრამის, მამამისის დროს, ფილისტიმელებმა ჩა-ზერგეს და მიწით ამოავსეს“ (დაბ. 26. 12, 14-15).

მეჯოგეობას კვლავ ვხვდებით, როცა აბრამის შთამომავალი – იოსები, ერთ-ერთი პირველი ჩინოვნიკი ფარაონის კარზე, იწვევს რა საკუთარი ოჯახის წევრებს, მათ ახასიათებს, როგორც მეცხვარეებს, მესაქონ-ლებს და „მეჯოგე ხალხს“ (დაბ. 26:32-34). შემდგომი პროფესია, რომელიც დაბადებაში მოიხსენიება, არის პროფესიონალი ვაჭრები. მმები შურით აღივსნენ იოსების მიმართ და გადაწყვიტეს მიეყიდათ იგი მალაალი-დან გზად მომავალი ქარავნისათვის, რომელსაც მოპქონდა „გუნდრუკი, ბალისამონი და შტახსი ... ეგვიპტეში ჩასატანად (დაბ. 37:25). ყველა ეს პროდუქტი მიემართებოდა ეგვიპტეში, სადაც მზადდებოდა სანელებლები. მოგვიანებით, იაკობმაც გაუგზავნა იოსებს ძლვნად სხვადასხვა დოკუმენტით: „გაავსეთ ჭურჭლები ამ ქვენის დოკუმენტით, ჩაუტანეთ იმ კაცს ძლვნად მცირეოდენი ბალისამონი, მცირეოდენი თაფლი, საქმეველი, შტახსი, ფსტა და ნუში“ (დაბ. 43:11). ამდენად, როგორც იკვეთება ამ არალში განვითარებული უნდა ყოფილიყო გა-დამმუშავებელი რეწვის სახეებიც. იოსების ისტორიასთან მიმართებაში ვხვდებით ისეთ პროფესიებს, როგო-რიცაა „საპყრობილის უფროსი“, „მცველი“, (ქონდაქართულუცესი), „მეპურეთუხუცესი“ და ა.შ.

დაბადებაში ვხვდებით იოსების მიერ თანმიმდევრული ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებისა და აღ-სრულების უძველეს და შესანიშნავ მაგალითის: როდესაც ეგვიპტეს 7 შიმშილიანი და მოუსავლიანი წელი ელოდა, იოსებმა განაწესებიანა ზედამხედველები ფარაონს და შვიდი მოსავლიანი წლის მანძილზე მეხუთედი (20%) ახდევინეს ეგვიპტის ქვეყანას: „დააგროვონ და ამ მომავალი ბედნიერი წლების მთელი საზრდო და-ახვავონ ხორბალი ფარაონის გამგებლობაში ქალაქთა საზრდოდ და შეინახონ. იყოს ეს მარაგად ქვეყნისათ-ვის შვიდი მოუსავლიანი წლის მანძილზე“ (დაბ. 41:35-36). ამ გადაწყვეტილებით (მეათედის გაორმავებით) იოსებმა ერთგვარი სასურსათო მარაგი შექმნა, ხორბალი კი ამ ღონისძიების შედეგად იმდენი დაგროვდა, რომ შეწყვიტა თვლა, რადგან „აღარ იყო სათვალავი“ (დაბ. 41:49). ამან ეგვიპტე ფაქტობრივად გენოციდი-საგან იხსნა. სხვა ქვეყნებში, ვერ გაატარეს რა გონივრული ეკონომიკური პოლიტიკა, ყველა ქვეყანა მოვიდა ეგვიპტეში იოსებთან პურის საყიდლად.<sup>1</sup>

ამდენად, კაცობრიობის დასაბამიდან ადგილი აქვს შრომის დანაწილებას. სხვადასხვა საქმიანობის სა-ხეების (პროფესიების) გამოჩენა განპირობებული იყო ახალი მკაცრი პირობებით და ახალ სიმწელეთა დაძ-ლევის აუცილებლობით.

პრაქტიკულად ივივე პროფესიები და საქმიანობის სახეები ფიქსირდება ახალ აღქმაშიც. თვით უფალი ჩვენი იესო ქრისტე მშრომელია, ოფლის ღვრის და საქმეს აკეთებს, საკუთარი წვლილი შეაქვს ოჯახის მა-ტერიალური ყოფის შენარჩუნებაში. ცნობილი იტალიელი თეოლოგი, ჯოვანი პაპინი აღნიშნავს, რომ იესოს არც მწიგნობართა სკოლაში უსწავლია, არც ბერძენთა აკადემია დაუმთავრებია, მაგრამ მას მასწავლებელთა ნაკლებობა არ განუცდა. სამი იესო მასწავლებელი ჰყავდა, რომელთა სწორი მეცნიერებათა შორისაც არ მოიძებნება: ბუნება, სამუშაო და წიგნი. იესო მუშის შვილობილი იყო და თავადაც მუშა იყო. იგი დარიბთა შორის ცხოვრობდა და საკუთარი შრომით არსებობდა.<sup>2</sup>

თითქმის ყველა მოციქული საერო ცხოვრებაში რაღაც პროფესიით არის დაკავებული. სიმონი პეტრედ წოდებული და ანდრია „ბადეებს ისროდნენ ზღვაში, ვინაიდან მებადურები იყვნენ“ (მათე, 4:18), ასევე „იაკო-ბი, ზებედეს ძე და იოანე, მისი ძმა, რომელიც თავიანთ მამასთან, ზებედესთან ერთად, ნავში ბადეებს აკე-რებდნენ“ (მათ. 4:21). მებაჟე ლევი ალფეეს (მათე მახარებელი), რომელიც უფლის მოწოდებაზე არც და-ფიქტებულა, ისე გაყვა მოძღვარს (მარ. 2:14). ამდენად, იესოს პირველი მიმღებელი მებადურები იყვნენ.

ახალ აღქმაში ვხვდებით ვაჭრებსაც: „ამიტომ ჩემი ვერცხლი მოგაჭრეთათვის უნდა მიგეცა და დაბ-რუნებისას ჩემსას სარგებლით მივიღებდი“ (მათ. 25:27). მიუხედავად იმისა, რომ მკაცრად იკრძალებოდა ებ-

<sup>1</sup> ჩიხლაძე ნ., მართლმადიდებლობის ეკონომიკური პარალელები, ა.კ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცემლიბა, 2013, გვ. 61.

<sup>2</sup> პაპინი ჯ., იესო ქრისტეს ცხოვრება (ქართული თარგმანი ეგუვნის ბერ ერმოლაოსს (ჭეშია), თბ., 2014, გვ.29.

რაღებზე ფულის მიცემა სარგებლით (პროცენტით) (ლევ. 25:35-37, II სჯ. 1-10), თვითონ ებრაელები დიდი სარგებლით გასცემდნენ სესხს პალესტინასა და სხვა ადგილებში. ამდენად ვაჭრებთან ერთად, ებრაელთავის თანამომშებზე გაცემულ სესხებზე რიგი შეზღუდვების მიუზღდავად, ვწვდებით მევაბშებსაც.

სხვა პროფესიებთან და საქმიანობასთან მიმართებაში ყურადღების ღირსია მნის პროფესია (ე.წ. „მნების ინსტიტუტი“). როგორც წესი, მდიდართა ფენის წარმომადგენლებს, რომლებიც სხვადასხვა საქმიანობას ეწეოდნენ, ესაჭიროებოდათ ადამიანები, ვინც იქნებოდა გამოცდილი ერთგული და სანდო, მათ მეურნეობას და ქონებრივ თუ საფინანსო ურთიერთობებს წარმართავდა, შეასრულებდა ყველა გარიგებასა და სამურნეო სამუშაოს, თანამედროვე ტერმინოლოგიით ეს იგივე მეწარმეა (იკონომისი, ადმინისტრატორი), რომელიც ეწევა ბიზნესთან დაკავშირებულ რისკს, გამოდის სხვადასხვა ურთიერთობებში მფლობელის სახელით, აფორმებს კონტრაქტებს და ა.შ.

ახალ აღთქმაში ლუკა მახარებელთან მოტანილია როგორც ორგული მნის (16:1-18), ასევე სანდო და გონიერი მნის ტიპაჟიც (12:42-48). აღსანიშნავია, რომ პატიოსანი და კეთილსინდისიერი შრომა ერგვარი მოტივაცია იყო იმისა, რომ ბატონს ქვეშევრდომი (მონა) „დაეწინაურებინა“ და მისი უფლებები გაეფართოებინა, ზედამხედველად დაუნიშნა, ან კიდევ განსაკუთრებულ შემთხვევაში მნის ფუნქციაც შეესრულებინა.

მრისხანებაზე და მკვლელობაზე იესოს მსჯელობისას იკვეთება ისეთი პროფესიები, როგორიცაა მსაჯული და მსახური (ბადრაგი), ასევე ასისთავი, რომელიც იესომ განკურნა, მესტვირები, მთესველი (მიწათმოქმედი) და სხვა.

იგავში „ვენახის მუშაკებზე და მათ საზღაურზე“ იკვეთება მევენახის პროფესიული საქმიანობაც და შრომის ბირჟის ელემენტები: ვენახის პატრონი დილადრიან გადის, რათა ვენახში მუშაკი დაიქირავოს. მოძებნა რა საჭირო პიროვნები „აღუთქუა მათ სასყიდვლი თითოეულსა დრაპკანი დღესა შინა და წარავლინა იგინი ვენახსა თვისსა“ (მათე, 20:2), ანუ დღეში თითო დინარად. ახალ აღთქმაში ვაზის თემა ახალი შინაარსით წარმოგვიდგება. უფლის ვენახი მხოლოდ ისრაელს აღარ წარმოადგენს და ყველა მოწმებუნეს აერთიანებს, რაც ნათლად ჩანს სხვადასხვა იგავებში.

ამდენად, წმინდა წერილში რიგი პროფესიები იკვეთება, რომელიც ადამიანის სამურნეო საქმიანობას უკავშირდება. მხოლოდ პატიოსანი, ღვთივსათონ საქმიანობის (შრომის) შედევად საზრდოს მოპოვება არის ქრისტიანული შრომითი მორალის ქვაკუთხედი: „ნეტარია ყოველი, რომელსაც უშინა უფლისა და იარება მისი გზებით. შენი ხელების ნაყოფს თუ ჭამ, ნეტარება შენ და სიკეთე შენ!“ (ფსალმ. 127). მართლმადიდებლური იდეალი, შეიძლება ითქვას, ზეეკონიმურია და ნებისმიერი სოციალურ-ეკონომიკური მოწყობის ფორმისათვის, სამურნეო საქმიანობის ნებისმიერ საკითხთან მიმართებით, ასეთად დარჩება.

**Nikoloz Chikhladze**

## **Professions and Professional Activity according to the Bible**

R e s u m e

The Gospel of Labor is some kind of calling upon all Christians, notwithstanding their social status and property position. Those, who do not work, are not Christians, as Orthodoxy teaches us. Earning a living only by working honestly is a cornerstone of the Christian work ethic.

Entrepreneurial ability is a specific ability, which comprises practicality, special economic perception, ability to forecast and many other characteristics. It can be said that it is an ability granted by someone to create something useful and enable someone to make use and benefit from it.

For the modern Christian, it becomes more and more difficult to adjust to the system of dogmatically defined praying and regular church services during the day and week. Such possibility has been just preserved in the monasteries. Beyond them, or beyond the small economic systems, the working pulse is distinguished by the increasing asynchrony. Labor and labor activities represent a fulfillment of God's commandments in accordance with both Old Testament and New Testament. The interesting question is why Our Savior had left labor for humanity as one of the main commandments. First, as a creative mission, but after the Fall, as a some kind of regime for struggling against the sin.

Labor, which is performed in favor of other people, notwithstanding it is physical, spiritual or intellectual, should be assessed as a fulfillment of the New Testament amendments not upon words, but upon deeds.

## შრომის აზგილი და როლი ქრისტიანულ რელიგიაში

შრომა – ეს არის ადამიანთა მიზანმიმართული საქმიანობა, რომლის შედეგიცაა მატერიალური და მასთან დაკავშირებული სხვა ფასეულობების შექმნა. შრომის პროცესი როლური და მრავალასპექტიანია, რომლის გამოვლინების ძირითადი ფორმებია ადამიანური ენერგიის დანახარჯები, მუშაკის ზემოქმედება წარმოების საშუალებებზე და მუშაკებს შორის ურთიერთობები, როგორც პორიზონტალურად, ისე ვერტიკალურად. ადამიანისა და საზოგადოების ცხოვრებაში შრომის როლის გამოვლინებაა ის, რომ შრომის პროცესში იქმნება არა მხოლოდ მატერიალური და სულიერი ფასეულობები, არამედ ვითარდებიან თვით მშრომელებიც, რომლებიც ითვისებენ სიახლეებს, ავლენენ თავიანთ შესაძლებლობებს, ავსებენ და იმდიდრებენ თავიანთ ცოდნას. ზემოქმედებენ რა გარემოზე და ცვლიან საკუთარი მოთხოვნილებების შესაბამისად, ადამიანები არა მხოლოდ უზრუნველყოფენ თავიანთ არსებობას, არამედ ქმნიან პირობებს საზოგადოების განვითარებისა და პროგრესისათვის. ამდენად, შრომა არის პასუხისმგებლობა არა მარტო მიყროსოციალური ჯგუფის, როგორც არის ოჯახი, სანათესაო, თემი, არამედ ასევე ფართო გაგებით, ქვეყნისა და კაცობრიობის წინაშე.

რისთვის შრომობს ადამიანი? მხოლოდ იმისათვის, რომ ოფლით მოიპოვოს საარსებო პური? რა არის შრომა – სასჯელი თუ მოწოდება, ტანჯვა თუ კეთილდღეობა? სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში ადამიანები ამ კითხვებს სხვადასხვაგვარად პასუხობდნენ. შრომასთან და ზოგადად მიწიერ საქმიანობასთან დამოკიდებულება ჩამოყალიბდა სამყაროზე, ღმერთსა და ადამიანზე წარმოდგენათა საერთო საფუძველზე, რომელსაც ქადაგებდა ესა თუ ის რელიგია, ფილოსოფია, იდეოლოგიები.

რელიგია, რელიგიური სწავლებანი ყოველთვის მართავდა მათი მიმდევრების შეხედულებებს. ისინი წარმოადგენდნენ ბაზას, წყაროს, რომელთა საფუძველზეც ფორმირდება სამყაროზე წარმოდგენათა უმრავლესობა, მათი მიმართულებები. „რელიგია წარმოადგენს კულტურის არსეს“.

ევროპული ცივილიზაცია შენდებოდა ქრისტიანულ საფუძველზე. საქართველოში, ისევე როგორც მთელ ევროპაში, სოციალური და სამეურნეო ეთიკა დაკავშირებულია ქრისტიანობასთან.

ბიბლია დღევანდელი მსოფლიოს მოსახლეობის მესამედის სულიერი ცხოვრებისა და რწმენის წიგნია (წმინდა წერილი)<sup>1</sup>. იგი გამოხატავს ძველი და ახალი აღქმის პერიოდის ქვეყნებისა და ადამიანების ყოფას, ცხოვრების წესს, შრომისა და საქმიანობის მრავალმხრივ მიმართულებებსა და საქმიან, ასევე სამეწარმეო ურთიერთობებს. თვით ბიბლია ცოდნათა უნიკალური ნაკრებია, რომელიც შეიძლება გამოიყენოს დღევანდელი განვითარებული საზოგადოების ნებისმიერმა წევრმა მისი ინტერესების მიხედვით, რადგანაც ამ წმინდა წიგნში შეიძლება იპოვო ისტორიული, რელიგიური, სულიერი, რწმენის, არქეოლოგიური, სატრანსპორტო, სახელმწიფო მართვისა და ადმინისტრირების, მეტალურგიისა და სამთო ქიმიის, ვეტერინარიის, სოფლის მეურნეობის, განათლების, ეკონომიკური ურთიერთობების, ვაჭრობისა და სხვათა უტყუარი ფაქტები.

ქრისტიანობამ შრომით ურთიერთობებში რადიკალური გადატრიალება მოახდინა. ანტიკურ ხანაში შრომა განიხილებოდა, როგორც დამამცირებელი საქმიანობა და გაიგივებული იყო მონობასთან. შრომა საერთოდ არ განიხილებოდა, როგორც ადამიანის თვისება. უფრო მეტიც, სამყაროს არსებობა ეფუძნებოდა არისტოკრატიას. ქრისტიანობის საფუძველზე გადაიღავა შრომისადმი ზიზღი და პრინციპით – „ვინც არ მუშაობს, არც ჭამს“, დაიმსხვრა ანტიკური წარმოდგენები.

ქრისტიანობის თანახმად ყველა ადამიანი თანაბარია, არ არის მონობა, ადამიანები განსხვავდებიან შრომით. შრომა არის აუცილებელი ატრიბუტი. ადამიანთა კეთილდღეობისაკენ მიმართული ყველა შრომა კურთხეულია ეკლესიის მიერ, ამასთან უპირატესობა არ ენიჭება ადამიანთა საქმიანობის არცერთ სახეს.

ბიბლიის მიხედვით, ძველი აღქმის პერიოდში მრავალნაირი სამუშაო, რომელიც დღეს შეიძლება მხოლოდ

<sup>1</sup> ამყოლაძე გ., სამეწარმეო საქმიანობის ეკონომიკა და მეწარმის უნარ-ჩვევები, თბ., 2005.

პროფესიონალის საქმედ მივიჩნიოთ, სრულდებოდა სახლებში, ოჯახის მეპატრონის მიერ; მუშავდებოდა და მზადდებოდა უშუალოდ გამოსაყინებელი საგნები.

ქრისტიანულ რელიგიაში მოყვანილია ადამიანთა შრომის მრავალი სახე. იგავებში იქო ქრისტე მუდ-მივად ახსენებს სხვადასხვა პროფესიას. ის საუბრობს მთესველის შრომაზე, მოსამახურებსა და სახლის-მმართველებზე, ვაჭრებსა და მეთევზებზე, ვენახის მმართველებსა და მშრომელებზე. ბიბლიაში დეტალურადაა აღწერილი ზოგიერთი საქმიანობა. დახასიათებულია სოფლის მეურნეობის კულტურები: პურეული, ყურ-ძენი, ზეთისხილი, ქერი, ოსპი, ფეტვი. ბოსტნეულიდან: ბარდა, ცერცვი, ხახვი, ნიორი, კიტრი; ბაღჩეული-დან: ნესვი, ლელვი, ფინიკი, ბროწეული და კაკალი. ბიბლიაში ძირითადად ვხვდებით მიწის მუშების მიწას-თან ურთიერთობის აღწერას. აღწერილია მწემსების საქმიანობა და ცხოვრება

დიდაქეს მიხედვით, შრომის უნარი ერთ-ერთი უმთავრესი ნიჭია, „ნუ იქნება შენი სიტყვა ცრუ და ლიტონი, არამედ საქმით აღსავს“ (დიდაქე, II, 5). უფალს არ უყვარს ზარმაცი და სხვის კმაყოფაზე მყოფ-ნი „და რამეთუ რაჟამს – იგი ვიყავნ თქვენ თანა, ამასვე გამცნებდით თქუენ, ვთარმედ უკუეთუ ვისმე არა უნებს საქმის კეთებაი, ნუცა ჭამხ“ (II თეს. 3:10). ყველამ, მათ შორის მოციქულებმაც კი, თავისი შრომით და გარჯით უნდა მოიპოვონ სარჩო-საბადებელი, „არავინ იყოს თქვენს შორის უქმად“ (დიდაქე, XII, 4).

ქრისტიანობა, სხვა რელიგიებისა და ფილოსოფიურ სწავლებათაგან განსხვავებით, ცნობს მატერიალურ, სულიერ სამყაროს სიკეთედ. ის ხომ ღმერთის მიერაა შექმნილი, რომელსაც უყვარს მის მიერ შექმნილი, მათ შორის ადამიანიც. ქრისტიანული ურთიერთობები ეწინააღმდეგება იმ რელიგიებსა და ფილოსოფიას, რომლებიც მატერიასა და სხეულში ხედავნ მხოლოდ ბოროტებას და ცდილობენ სულიერ გარდასახვას ან ამქვეწიური ცხოვრების, როგორც ტანჯვის დაძლევას.

მატერიალური სიკეთების ცოდნა უხსნის სივრცეს მიწიერ აქტივობასა და შრომას, სამეურნეო ენერგიასა და ეკონომიკური ხცოვრების სრულყოფილებას, მაშინ, როცა მატერიის უარყოფა აკინებს ნებას და მეურნეობა, შრომა და ცივილიზაციათა განვითარება დაპყავს სულისათვის მაგნე ამაღებამდე.

ქრისტიანობაში მიწიერი აქტივობები, შრომა წარმოადგენს უდიდეს ფასეულობას. ადრეულ ქრისტიანული ეპოქის მოაზროვნის ორიგენეს სიტყვებით – „ღმერთმა ადამიანი შექმნა არსებად, რომელიც საჭიროებს შრომას“. შრომის უფლება ადამიანის ერთ-ერთი ყველაზე უუნდამენტალური უფლებაა. შრომას ქრისტიანული მოძღვრება ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებს და ქრისტიანული მორალის მიხედვით: „ცხოვრება შრომა, შრომა კი ცხოვრებაა“. შრომა კურთხევაა. ეს ღვთის წყალობაა, ის ამხნევებს სხეულს და ახალისებს გონებას.

ქრისტიანული წყაროების თანახმად ადამიანის შრომა გადის ორ ეტაპს:

1. სამოთხეში შრომა, „მხიარული მუშაობა“;
2. მიწიერი შრომა, „შრომა, როგორც ცოდვის გამოსყიდვა“.

მიწიერი შრომა თავის მხრივ იყოფა ორ ნაწილად:

1. სულიერი შრომა – ცოდვის გამოსყიდვისათვის;
2. მატერიალური შრომა – არსებობისათვის შრომა.

შრომა კურთხეულია ღვთის მიერ. მასში ვლინდება ადამიანის ღირსებები. ამასთან, შრომა ერთდროულად მოწოდებაც არის და სასჯელიც. მაინც რით აიხსნება შრომის ამგვარი ორმაგი ბუნება?

ქრისტიანობა კაცობრიობის წარსულს ყოფს ორ ნაწილად: „სამოთხის“ – როცა ჯერ კიდევ არ იყო ცოდვა, სიკვდილი, ავადმყოფობა, ფიზიკური გადარჩენისათვის ბრძოლა და მეორე ეტაპია დანარჩენი ისტორია კაცობრიობისა, როცა ადამიანზე გადმოვიდა ცოდვა. მის ცენტრალურ მოვლენას წარმოადგენს ღმერთის გაადამიანება, მისი ჯვარზე გარდაცვალება და აღდგომა. თუკი სამოთხის ცხოვრებაში შრომა გამოდიოდა როგორც მოწოდება, „წმინდა შემოქმედება“, ცოდვით დაცემის შემდეგ ის ხდება სასჯელიც. შრომის შინაარ-სი და აზრი შეიცვალა. შრომის შემოქმედებითი ნაწილი დასუსტდა და საარსებო სახსრების მოპოვების სა-

შუალებად გადაიქცა. მიუხედავად ამისა, დღეს სწორედ შრომის წყალობით აქვს ადამიანს შემოქმედებისა და თვითგამოხატვის შესაძლებლობა, რაც ღმერთან მისი მსგავსების უცილობელ დამოწმებას წარმოადგენს.

ქრისტიანობა მოიცავს სამ ძირითად შტოს – მართლმადიდებლობას, კათოლიკობასა და პროტესტანტიზმს, რომლებიც თავის მხრივ იყოფიან მრავალ მიმდინარეობად (ლუთერიანელობა, კალვინიზმი, პურიტანობა, ბაპტისტური და სხვა სექტები). ყოველ მათგანს აქვს თავისი შეხედულებები რწმენაზე, ღმერთის აღქმაზე, სამყაროსა და ადამიანზე. აქედან გამომდინარე, განსუვავებულია ამქვეწიური ცხოვრების დანიშნულებათა და სულის ხსნაში შრომის ორლის შესახებ წარმოდგენები.

სულის ხსნასთან დაკავშირებით მართლმადიდებლური და კათოლიკური სწავლებები ერთმანეთს ემთხვევა, იმდენად რამდენადაც ეს იდეები თვლიან, რომ ხსნისათვის საჭიროა ორგვარი ნების, ღვთიურისა და ადამიანურის არსებობა, რომლებსაც აქვთ თავისუფალი არჩევანის უფლება. ღმერთი ადამიანს აძლევს ხსნისათვის „ობიექტურ“ პირობებს, ხოლო ადამიანს შეუძლია „გათიავისოს“ ან არ „გათიავისოს“ მისთვის შეთავაზებული გზა.

მართლმადიდებლურ სწავლებაში ცენტრალური ადგილი უჭირავს „გაღვთიურების“ იდეას, ე.ი. თანდათანობით სრულყოფილებას, განწმენდას და ადამიანის განვითარებას, რომელიც საბოლოო ანგარიშით მოწოდებულია დამსგავსოს ღმერთს. შრომა შეიძლება ემსახურებოდეს ხსნას, იმდენად რამდენადაც ხორციელდება „ქრისტესათვის“, ე.ი. წარმოადგენს ასკეტურ შრომას, რომელიც ხორციელდება ღვთისა და ახლობელთა გამო. თუკი შრომა განაპირობებს სულის სრულყოფილებას, მაშინ ის სასარგებლოა, წინააღმდეგ შემთხვევაში კი მავნეა.

კათოლიკურ სწავლებაში აქცენტი კეთდება ღვთისმოსავ მიწიერ ცხოვრებაზე, მის მიერ სხვადასხვა სახის „გეთილ საქმეთა“ და „დამსახურებათა“ კეთებაზე. ადამიანი ღვთისნიერი ცხოვრებით იმსახურებს ხსნას, იძნს რა თავისი ძალისხმევით ნეტარებას.

რიგითი მორწმუნე კათოლიკისათვის ხსნა არის კეთილსინდისიერ შრომაში, პროფესიონალიზმში. მიუხედავად იმისა, რომ ისინი ლოცვას თვლიდნენ ყველაზე ამაღლებულ შრომად, მართლმადიდებლებისაგან განსხვავებით, მაინც არ ცდილობდნენ სასულიერო პირთა მიბაძვას, თუმცა იცოდნენ, რომ სასულიერო თავდადება ყველას ხვედრი არ იყო. კათოლიკიზმში პატიოსანი შრომა ხდება ძირითადი ლოცვა.

ხსნასთან დაკავშირებით სულ სხვაგვარ მიღვომას ავითარებს პროტესტანტიზმი. ვინაიდან ხსნა არ არის დამკიდებული ადამიანზე, კეთილ საქმეებს ან ეკლესის წინაშე დამსახურებებს არავთარი მნიშვნელობა არ ენიჭება. ყველა ადამიანი, სასულიეროც და საეროც, ერთ მდგომარეობაში იმყოფება, ამიტომ ლოცვა საჭირო არ არის. ხსნა – ეს არის უფლის ნება.

ისინი ჩვეულებრივ შრომას ათანასწორებდნენ ლოცვასთან, უფრო მეტიც, ამა თუ იმ პროფესიასთან დაკავშირებული შრომა აღმოჩნდა ღმერთისათვის ადამიანის სარგებლიანობის შეცნობის საშუალება. ნებისმიერი წარმატებული საქმე მიუთითებს იმაზე, რომ ადამიანი ღმერთისათვის საჭიროა, სასარგებლოა და მაშასადამე ხსნილია. რაც უფრო საჭიროა ადამიანის საქმიანობა ღმერთისათვის, მით უფრო მეტად ჯილდოვდება მიწიერ ცხოვრებაში. წარუმატებლობა კი პირიქით, ცუდის ნიშანი იყო, ამიტომ პროტესტანტი მთელი ძალებით ცდილობდა წარმატების მიღწევას. ეს არა მხოლოდ ამყარებდა მის დარწმუნებულებას საკუთარ ხსნაში, არამედ ასე ეხსნებოდა სულიერი დაბაბულობა, რომელიც წარმოიშობა ადამიანის აბსოლუტურ ცოდვიან ბუნებას და ხსნისათვის აუცილებელ რწმენას შორის წინააღმდეგობების შედეგად. მართლმადიდებლობასა და კათოლიკიზმში ეს დაბაბულობა იხსნება საიდუმლოებით, უპირველეს ყოვლისა, აღსარებით, რომლის შედეგადაც ხდება ცოდვების პატიობა. პროტესტანტი არ ცნობს რა აღსარების საიდუმლოს, რჩება მუდმივად ცოდვილ მდგომარეობაში და ესაჭიროება საკუთარი ცოდვილობის შეგრძნების გადალახვა.

ყოველ საქმეს, რომელიც უფლის რწმენით კეთდება, უფრო მეტი მაღლი და ძალა აქვს. ქრისტიანული წესით მცხოვრები და ქრისტიანული ეთიკის ხორმების დამცველი დასაქმებული ადამიანები არ არიან მხოლოდ შემოსავლის მიღებაზე ორიენტირებულნი, შედეგად საქმე უფრო ხარისხიანად კეთდება, რაც თავის

მხრივ, დამსაქმებელი ორგანიზაციის წარმატებული ეკონომიკური საქმიანობის საფუძველია. რაც უფრო წარმატებულია მეწარმე, მით მეტი რესურსების კონცენტრაცია ხდება მასთან – საბაზრო მექანიზმის მაღალი ეფექტურობა აჯილდოებს მეწარმეს წარმატებული მუშაობისათვის. მეწარმე სიკეთის მქნელია, თუკი ბიზნესის ეფექტურიანი ორგანიზებით ადამიანებს აძლევს შესაფერის ანაზღაურებად სამუშაოს<sup>1</sup>. მდენად, როგორც წმინდა წერილი გვასწავლის, „საქმით მართლდება კაცი და არა მხოლოდ რწმენით, რადგან როგორც სხეულია მკვდარი სულის გარეშე, ასევე რწმენაც მკვდარია საქმეთა გარეშე“ (იაკ. 2,24-26).

საბაზრო ურთიერთობების ცენტრში უნდა იდგეს ადამიანი, რომლისთვისაც უზენაესია ქრისტიანული ცხოვრების წესი. ამასთან, სიმდიდრის დაგროვების პროცესში დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმასაც თუ როგორ მოიპოვა ის და რა ნორმების დაცვითაა ჩართული ეკონომიკურ ურთიერთობებში. მეწარმისათვის უმთავრეს საზრუნავს უნდა წარმოადგენდეს ფიქრი მოყვასზე, მათი მხარდაჭერა და თანადგომა. „გინდა, რომ იყოს შენი სიმდიდრე, საუნჯე წარუპარველი, დაკუალ იგი მუცელსა გლახაკთასა“ – აბიბის იოანე ოქროპირი.

მეწარმე, პირადი კეთილდღეობის უზრუნველყოფის გარდა, დაინტერესებული უნდა იყოს თავისი გარშემომყოფების ბედითაც, რადგანაც ვალდებულია უფლის წინაშე, ეს ვალდებულება მას აიძულებს ხელი გაუწიდოს ადამიანებს, რომლებიც ღმერთს უყვარს. ღირსი სვიმეონ ღვთისმეტყველი მიუთითებდა, რომ მდიდარი: „დამნაშავეა მათ სიკვდილში, ვინც იმ დროს სიცივითა და შიმშილით კვდებოდა, რადგან მას შეეძლო მათი გამოკვება, მაგრამ არ გამოკვება არამედ მიწაში დაფლა ის, რაც ღარიბებს ეკუთვნოდათ, მიატოვა რა ისინი სიცივისა და შიმშილისაგან მოსაკვდომად“.

დახმარებაში არ იგულისხმება მხოლოდ ფინანსური მხარე. მნიშვნელოვანია ადამიანებს დახმარო და ისეთი გარემო შეუქმნა, რომ შეძლონ თავიანთი შესაძლებლობების რეალიზება და შესაბამისად, თავიანთი შრომის შედეგით საკუთარი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება.

**Leila Tsetskhladze**

## The Place and Role of Work in Christianity

R e s u m e

Work is spending of physical and mental abilities in the process of production of goods and services. What does a man work for? In different historical epochs people answered this question in different ways. The attitude to work and in particular to agrarian activity was based on the general ideas about the world, the god and the man which were propagandized by religion, philosophy or ideology. The article deals with the role of religion in the formation of ideas of labor relations; special attention is paid to Christianity the moral of which is "life is work and work is life". Land activities, creativity and work are great values.

The article pays special attention to the ideas about the role of labor, the aims of the earthly life and salvation of the soul in different directions of Christianity.

<sup>1</sup> ჩიხლაძე ნ., ეკონომიკა და მაღალმადიდებლური სწავლება, თბ., 2009, გვ. 65.

## თავისუფლების მართლმადიდებლური გაბება და მკონომიკა

კვრძნობ, ჩემში ერთადერთი მხოლოდ ნება,  
ანუ გადაწყვეტილების თავისუფლება იძღვნად დიდია,  
რომ არ მებადება რაიმე უფრო სრულყოფილი უნარის იღე  
რენ დეკარტი, მეტაფიზიკური მედიტაციები: მედიტაცია მეოთხე

თავისუფლების ცნება იმდენად ფართოა, რომ მისი ყოველი ასპექტის ანალიზი, შეფასება ერთბაშად შეუძლებელია. ამიტომ, ჩვენი თემის ფარგლებში შევეცდებით გაგაანალიზოთ თავისუფლების მართლმადიდებლური კონცეპტი და მისი მიმართება ეკონომიკურ აზროვნებასთან.

ეკონომიკური საქმიანობის ხასიათი და პრიორიტეტულობა დიდადაა დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ აზროვნებენ ადამიანები, რა ღირებულებებს ანიჭებენ უპირატესობას, რას ეყრდნობა მათი მოტივაცია და ა.შ. რაც უფრო თავისუფალი და ამაღლებული იდეალების მატარებელია ყოველი ადამიანი, მით უფრო წარმატებულია ქვეყნის ეკონომიკა. მეურნეობრივი მოტივები და სტიმულები ყალიბდება ადამიანის ზედაპირულ, ცვალებად ფენებში. იგი მყარი ხდება მხოლოდ მას შემდეგ, როცა აღწევს უფრო ღრმა, უძველეს პლასტებში, ინდივიდის ქმედების აღმძრელ – მისი პიროვნულობის არქეტიპულ სტრუქტურებში. პიროვნების არქეტიპი – ეს ამა თუ იმ საზოგადოების (ხალხის, ცივილიზაციის) ადამიანთა ფსიქიკის პირველსაწყისი, ყველაზე მყარი ელემენტია. ეკონომიკური თვალსაზრისით არქეტიპში მოცემულია მეურნეობის საბაზო აქსიომატიკა: იდეალური ეკონომიკური წყობის ხატი, ხორცესხმული ეკონომიკური ინსტიტუტების ქცევის წესებსა და ნორმატივებში, ადამიანის ეკონომიკური ქცევის საზრისის შეფასებაში, მის განწყობაში შრომისა და საკუთრებისადმი, სიმდიდრისა და სიღარიბისადმი, მოხმარებისა და დაგროვებისადმი, ტრადიციებსა და ინოვაციებისადმი.<sup>1</sup>

თავისუფლების პოლიტიკურ, სოციალურ, რელიგიურ, ფინანსურ-ეკონომიკურ და ა.შ. ასპექტებზე მსჯელობისას უმთავრესია ანთროპოსის – მრავალპლასტიანი ადამიანის თავისუფლება, რის გარეშეც სხვა სახის თავისუფლება წარმოუდგენელია. მეცნიერული თვალსაზრისით, ანთროპოსის პოტენციურ მოღუსებს წარმოადგენს: 1. ცხოველი, 2. ადამიანი, 3. ინდივიდი, 4. პიროვნება.<sup>2</sup> ანთროპოსი, როგორც ცხოველი, ემორჩილება ბრმა ღამოლგას – სიცოცხლის შენარჩუნებას და გამრავლებას. გრძნობად-ემპირიულ და რაციონალურ პლასტში, ემპირიული და რაციონალური გამოცდილების საფუძვლზე, ადამიანს შეუძლია შეიმუშაოს ყოფიერების ესა თუ ის ხედვა და ცხოვრებაში იხელმძღვანელოს ამ მოღელით. ინდივიდის მოღუსი განიხილება, როგორც მორჩილება ქვეცნობიერი ძალებისადმი, უპირატესად – ნების არაცნობიერი იმპულსებისადმი. ეს მორჩილება, ერთი მხრივ, ნეგატიურ ხასიათს ატარებს, რადგან ანთროპოსის შინაგანი სამყაროს დეტერმინანტია და მის არათავისუფლებაზე მიგვანიშნებს, მეორე მხრივ, სწორედ ამ პლასტის წყალობით არის ადამიანი ინდივიდი, უნიკალური. მეოთხე პლასტში ინდივიდი მეტნაკლებად უახლოვდება აბსოლუტურ ნებელობას და ყალიბდება, როგორც ცნობიერი ნებელობითი ანთროპოსის ცენტრი ანუ პიროვნება, რომლის შეგნებულ აქტივობასაც ემორჩილება, ან შეიძლება დაუმორჩილოს, ყველა სხვა პლასტის მოთხოვნილებანი. ამ მოღუსში მიიღწევა თავისუფლება ჰემმარიტი აზრით, თუნდაც საქმე ეხებოდეს რაიმე შემზღვდავი ფაქტორისადმი (მაგ., კულტურული ან იურიდიული) თავის დაქვემდებარებას. ამ შემთხვევაში მოქმედებისა ან მოქმედებისგან თავის შეკავების გარეგანი და შინაგანი ნიშნები ერთმანეთს ემთხვევა.

<sup>1</sup> ცეცხლამე მ., რელიგია და ეკონომიკა, ბათუმი, 2010, გვ. 157-160.

<sup>2</sup> ნება და ადამიანის ყოფიერების მთლიანობა: ფილოსოფიური ანთროპოლოგია/ირაკლი გოგიჩაძე//ფილოსოფიური ძეგლი: [წელიწდეული]/საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემია, თბ., 2012, კრ. XVI, გვ. 90-124.

თავისუფლების მრავალ ასპექტს შორის ფილოსოფონის ა. ოსიპოვი პრიორიტეტულად თვლის შემდეგ სამ კატეგორიას: პირველი – მეტაფიზიკური, – ნების თავისუფლება, რომელიც გამოიხატება პიროვნების შინაგანი თვითგამორკვევით. მაგრამ, პიროვნება სოციალურ გარემოში ნების „მატერიალიზების“ პროცესში უარავ შეზღუდვას აწყდება, რის შედეგადაც წარმოიქმნება მეორე, ადამიანის გარეგანი თავისუფლებისა და უფლებათა პრობლემა, ანუ გარემომცველ სამყაროში, საზოგადოებაში ნებადართული საქციელის პრობლემა (კანონით, ჩვეულებებით, საზოგადოებრივი მორალით). მესამე კატეგორია – ეს არის სულიერი თავისუფლება, რაც ნიშნავს ადამიანის უფლობას თავის თავზე (ეგოიზმზე, ვნებებზე, გრძნობებზე, სურვილებზე)<sup>1</sup>.

სულის თავისუფლების პროგრესი უდევს საფუძლად მსოფლიო ისტორიის „ჰეგელისტურ გააზრებას“, რომლის მიხედვითაც, პირველ ეტაპზე სული არ არის თავისუფალი (ძველი აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორია). მეორე ეტაპზე, შეინიშნება გარკვეული წინსვლა (ძველი საბერძნეთი და რომი). მესამე ეტაპად ჰეგელი მოიაზრებს ქრისტიანულ-რომაულ სამყაროს, სადაც სულმა სრული თავისუფლება მოიპოვა.

მსოფლიო რელიგიებში თავისუფლების იდეას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. მაგალითად, ბუდიზმის მიხედვით, ცხოვრება არის ტანჯვა, მისი მიზეზია ადამიანური მოთხოვნილები და სურვილები, მათგან გათავისუფლება შესაძლებელია არა ამ სურვილების დაკმაყოფილებით, არამედ მათი ჩანაბით, საკუთარ თავში ჩაღრმავებით და თვითსრულყოფით, ანუ „ნირვანას“ მეშვეობით. უფლისტული ბუდა მედიტაციური თვითხსნით გასწივოსნდა. ბუდას აღმსარებელი არ შეიძლება იყოს მონა – მხოლოდ თავისუფალ ადამიანს შეუძლია იყოს ბატონი თავისი სურვილებისა, მხოლოდ შინაგანად და პიროვნულად თავისუფალ ადამიანს ძალუს თავის მიწიერ სურვილებზე ამაღლება და მათი მოთოკვა. ბუდისტებისათვის უმთავრესია: მართალი სიტყვა, მართალი გადაწყვეტილება, მართალი რწმენა, ცხოვრების მართალი წესი, მართალი საქმე, მართალი სწრაფვა, მართალი აზრები და მართალი ჭვრეტა – ესაა რვა გზა, რომლის ჭეშმარიტი აღსრულებით ადამიანს შეუძლია მიაღწიოს ნირვანას. ბუდისტური თავისუფლება უახლოვდება ქრისტესულ თავისუფლებას. ბრაჟმანისტების, კრიშნაისტების მიხედვით ამქვეწიური მატერიალური ცხოვრების ტანჯვისაგან გათავისუფლდება და კრიშნასთან შეერთება მხოლოდ ადამიანად ყოფნის დროსაა შესაძლებელი.

ზოგადად, აღმოსავლური (ჩინური და ინდური) რელიგიების საერთო ნიშნებია პანთეიზმი და იმპერიალიზმი, რაც არა მხოლოდ პიროვნული ღმერთის ცნების აუქმებს, არამედ თვით ადამიანშიც მისი ბუნებისა და პიროვნების იგივეობასაც ამტკიცებს. ამ შემთხვევაში ადამიანის მოქმედება ერთმნიშვნელოვნადაა განპირობებული მისივე ბუნებით. იგი საკუთარი თავის წინაშეც კი არაა თავისუფალი. გარდა ამისა, ინდუიზმსა და ბუდიზმში კარმის კანონი ბატონობს, რომლის მიხედვითაც ადამიანის ცხოვრებას მისი უწინდელი ცხოვრების წესი განსაზღვრავს. დაოს ფუძემდებლის ლაო-ძისათვის უმოქმედობა არის ადამიანის სრულქმის საფუძველი, მაგრამ ეს უნდა გავიგოთ არა როგორც პასიურობის ქადაგება, არამედ როგორც ბუნების არსისადმი მორჩილება. ლაო-ძის ზედმეტად ერგენებოდა ნებისმიერი რიტუალი, რომლებიც ცრუგრძნობებსა და ცრუმეტყველებას ემყარებოდა და მიაჩნდა, რომ ბუნებრივი კაცომოყვარეობა და უშუალოდ გამოვლენილი სიყვარული არის ნამდვილი ბედნიერების წყარო. იაპონიაში გაბატონებული ერთ-ერთი რელიგიის სინტოიზმის მორალი მოკლედ ასევა განმარტებული: „მოიქეცი ბუნების კანონთა შესაბამისად. ამასთან, ანგარიში გაუწიე საზოგადოებრივ კანონებს“. სინტოიზმის მიხედვით სამყარო თვითგანვითარების შედეგად წარმოიშვა. იგი სრულყოფილია და თავის თავს თვითონ აწესრიგებს.

ზოგიერთი რელიგია საერთოდ არ აღიარებს თავისუფლების შესაძლებლობას. მაგალითად, ისლამის მიხედვით, ყველაფერი, რასაც ადამიანი ამქვეწნად აკეთებს, ხდება ალაპის ნებითა და თანხმობით. მუსლიმანური თეოლოგიის საყრდენს კოლუნტარიზმი და ფატალიზმი წარმოიადგენს. მასში ღმერთი მოიაზრება როგორც სამყაროს შემოქმედი, მარადიული სული, ამასთან, იგი უპიროვნო არსია (ზოგიერთ მკვლევარს ეს გნოსტიციზმის გავლენად მიაჩნია). ალაპის, როგორც უპიროვნო ღვთაებრივი არსის განმარტება სულ უფრო პოპუ-

<sup>1</sup> ოსიპოვი ა., თავისუფლება ქრისტიანისა, თავისუფლება ეკლესიისა და რელიგიური თავისუფლება, გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, № 29, 2002.

ლარული ხდება თანამედროვე მუსლიმან ღვთისმეტყველთა შორის. მუსლიმანურ მონოთეიზმთან მჭიდროდაა დაკავშირებული ალაპისადმი აბსოლუტური მორჩილების იდეა, რომელიც ყოვლისმომცველ ხასიათს ატარებს. ღვთის მიერ დადგენილი წესრიგისადმი უსიტყვო მორჩილების მოთხოვა აისხნა წინასწარგანზრაზულობის შესახებ მოძღვრებაში. ისლამის ოფიციალური თეოლოგიური დოქტრინის – ქალამის მიხედვით ყველაფერი, რაც სამყაროში ხდება, წინასწარაა განზრაზული და აუცილებლობის ძალით ხდება. შემთხვევითობა და თავისუფლება გამორიცხულია. ამდენად, ადამიანის ყოველი საქმე, კეთილიცა და ბოროტიც, წინასწარ განსაზღვრულია. ადამიანს არ შეუძლია ჩაიდინოს ან არ ჩაიდინოს სიკეთე თუ ბოროტება. ღვთის ნება აბსოლუტურად თვითნებურია, ყველაფერი, რასაც ის სჩადის, სამართლიანია.<sup>1</sup>

ზოგიერთი რელიგია კი მხოლოდ სააქაოს ცნობს და მაშასადამე თავისუფლებას მხოლოდ ამქვეყნად აღიარებს, მაგალითად, ცნობილი ფილოსოფონი – ვლადიმერ სოლოვიოვი ებრაელი ერის მსოფლმხედველობის ერთ-ერთ ძირითად თვისებად რელიგიურ მატერიალიზმს ასახელებს, რაც გამოიხატება იმით, რომ ებრაელი არ აღიარებს სულს, რომ ყოველგვარი ღვთაებრივი, ყოველგვარი იდეა პრაქტიკასა და სიცოცხლეში უნდა აღსრულდეს. სწორედ ამიტომაც არ აღიარეს ქრისტე, რომელიც იმქვეყნიურ ცხოვრებაზე მიაპყრობდა ადამიანთა მოდგმის ყურადღებას.

ბერძნული საზოგადოებრივი და ფილოსოფიური აზროვნებისათვის დამახასიათებელია თავისუფალი ნება. თავად ჰომეროსი, რომლის გმირები დიდ პატივისცემას ამჟღავნებდნენ ღმერთების მიმართ, ერთობ თავისუფლად ეკიდება დოგმატურ-რელიგიურ შეხედულებებს. იგი დაუფარავდ ლაპარაკობს ღმერთების უარყოფით ჩვევებზე. ასეთივე თავისუფალ დამოკიდებულებას ავლენდა ესქილეც, რომელიც პრომეთესთან დაპირისპირებით ზევსის სასტიკ ხასიათს ამხელს და გამოკვეთს მის უსამართლო ბუნებას.

ამქვეყნიური თავისუფლებისა და ბედნიერების იდეა არარელიგიურ იდეოლოგიებშიც საკმაოდ გვხვდება. უბრალო ხალხის სტიქიურმა მოძრაობამ წარმოშვა და საუკუნეებში გამოატარა ლეგენდა ოქროს საუკუნის შესახებ, როცა არ იყო ჩაგვრა და ყველა ბედნიერად ცხოვრობდა, სადაც ყველანი თავისუფალნი და თანასწორნი იყვნენ. ასეთ იდეალებზე აგებდნენ თავიანთ მოძღვრებებს ჩინელი კონფუცი და ციან ციანი, იუდევლი წინასწარმეტყველები, რომალი ძმები გრაკუსები, ბერძენი პლატონი, გერმანელი თომას მიუნცერი, იტალიელი თომაზო კამპანელა, ინგლისელი თომას მორი და ა.შ.

ათეისტური მსოფლმხედველობა (მარქსიზმი) თავისუფლებას განსაზღვრავს როგორც გაცნობიერებულ აუცილებლობას. ამ ტერმინის აბსურდულობა აშკარაა, რადგანაც სადაც გაცნობიერებული აუცილებლობაა, იქ თავისუფლებისათვის ადგილი აღარ რჩება. ამასთან, აუცილებლობის გასაცნობიერებლად ადამიანი ინტელექტუალური განვითარების გარკვეულ საფეხურზე უნდა იდგეს. ამდენად, მარქსიზმის მიხედვით, თავისუფალი შეიძლება იყოს მხოლოდ ის, ვინც აუცილებლობას აცნობიერებს, ანუ ჩვენი ნების განმაპირობებელი ფაქტორების გაცნობიერება გარკვეულ ფილოსოფიურ აზროვნებას მოითხოვს.

სულის თავისუფლების რელიგიური პრობლემა შეუძლებელია გადაწყდეს რაციონალურ-ფილოსოფიური გზით. თავისუფლების საიდუმლოს მიუწვდომლობა აღიარეს საუკეთესო მოაზროვნებმა. მაგალითად, ფრანგი ფილოსოფონი ანრი ბერგსონი ამბობს, რომ შეუძლებელია ისეთი ლოგიკური ცნებების შემუშავება, რომლებიც მისაწვდომს გახდის თავისუფლების საიდუმლოს.

ხშირად სვამენ კითხვას, შეიძლება ამაზე მეტი თავისუფლების ხარისხის არსებობა? შეიძლება, ოღონდ არა მხოლოდ ანთროპოსის საზღვრებში. ეს შესაძლებელია თეო-ანთროპული სინთეზის ონტოლოგიურ ტოტალობაში. ეს ყოფიერების სულ სხვა, აბსოლუტური ფორმა.

ქრისტიანულმა კულტურამ თავისუფლების თავისებური ხედვა შეიმუშავა. ნეტარი ავგუსტინე და ბერნანდ კლერვოელი მიიჩნევდნენ, რომ ადამიანი თავისუფალია სიკეთესა და ბოროტებას შორის არჩევნის გაკეთებაში. ეს რომ ასე არ იყოს, მაშინ ადამიანის მოქმედებათა შეფასება – როგორც ცოდვილის ან უცოდველის – შეუძლებელი იქნებოდა. ცოდვილი არის ის, ვისაც თავისუფალ შეეძლო აერჩია სიკეთე ან ბორო-

<sup>1</sup> ეკალაძე ზ., ბედისწერა და ნების თავისუფლება, გაზეთი „საპატრიარქოს უწყებანი“, № 39, 2000.

ტება და მან ბოროტება აირჩია. მაგრამ, მათივე აზრით, ის თავისუფლება, რომელიც სულის გადარჩენის, ცხონების მოპოვების მიზანს უნდა ემორჩილებოდეს, შეზღუდულია. მე შეიძლება ყოველთვის სიკეთის არჩევანით ვიმოქმედო და არ ვცოლო, მაგრამ თუ უფალმაც არ ინგა ჩემზე მადლის გაღება, ისე ვერ შევაბიჯებ სამუდამო სასუფეველში.

თავისუფლების ამ ორპოლუსიან გაგებას მოგვიანებით დაუპირისპირდა მარტინ ლუთერი, რომელმაც ადამიანური თავისუფლება ღვთაებრივი თავისუფლების დაშვება-გამართლებისთვის ლოგიკური წინააღმდეგობის შემცველად აღიქვა, ანუ მიიჩნია, რომ თავისუფლება არსებობს, მაგრამ ადამიანს მასთან არაფერი აკავშირებს, თავისუფალი არის მხოლოდ ღმერთი. ლუთერის აზრით, ღმერთი, ადამიანისგან განსხვავებით, არის ყოვლისმხედი, რომელიც სამყაროსუელ მოვლენათა მსვლელობას ხედავს მის ტემპორალურ ტოტალობაში, ე.ი. ის იხედება მარადისობის კვარცხლბეკიდან; მისთვის წარსულის, აწმყოს თუ მომავლის არცერთი მონაკვეთი დაფარული არ არის. ჩვენ რომ ადამიანის თავისუფლება დავუშვათ, ეს ნიშნავს ადამიანთა მიერ ისეთი მოვლენების ხორცშესხმას, რომელთა თაობაზეც ღმერთს არაფერი სცოდნია, რომელიც არ განუჭვრეტია. გამომდინარე აქედან, თუ ჩვენ გვინდა ღმერთის ცნება გავიაზროთ ლოგიკური სიმწყობრით, წარმოვიდგინოთ ის აპსოლუტად, უარი უნდა ვთქვათ ადამიანური თავისუფლების დაშვებაზე.

ფილოსოფოსმა ნიკოლაი ბერდიაევმა თავისუფლების პრობლემატიკა მართლმადიდებლობის პოზიციებიდან განიხილა და დაუკავშირა წმინდა სამების ცნებას. ამ საკითხთან დაკავშირებით ნ. ბერდიაევი განიხილავს ნეტარი ავგუსტინეს შეზღუდულებას ორგვარ თავისუფლებზე *libertas minor* და *libertas major*.<sup>1</sup> **მცირე თავისუფლებაში** იგულისხმება არჩევანის თავისუფლება სიკეთესა და ბოროტებას შორის, ხოლო მეორეში კი თავისუფლება სიკეთეში, **თავისუფლება ჭეშმარიტებაში**. ნ. ბერდიაევის აზრით, მცირე თავისუფლების არსი კარგად არის გამოხატული თ. დოსტოევსკის ერთ-ერთი ნაწარმოების გმირის სიტყვებში: ადამიანი ორაციონალური არსება და მისთვის ყველაზე ძვირფასია თავის ნებაზე იცხოვოთს. ის თანახმაა ტანჯვისათვის თავისი თავისუფალი ნების სახელით. ის მზადა თავდაყირა დააყენოს ცხოვრების ყოველგვარი წესრიგი, ყოველგვარი ჰარმონია, თუ თუ ცხოვრების ეს წესი ართმევს მას არჩევანის თავისუფლებას, თუ იგი იძულებითია. ამიტომ ქრისტესმიერი გზის არჩევა უნდა იყოს ნებელობითი და არა იძულებითი. მხოლოდ ამ გზით შეიცნობს ადამიანი ჭეშმარიტებას. ნ. ბერდიაევი იქვე დასძენს, რომ სოკრატე და ძეველი ბერძნები აღიარებდნენ მეორეგვარ თავისუფლებას, თავისუფლებას, რომელიც იძლევა გონიერებას, ჭეშმარიტებას და სიკეთეს. სახარებისეულ სიტყვებშიც, „შეიცნობთ ჭეშმარიტებას და ჭეშმარიტება გაგათავისუფლებთ თქვენ“ (ioan. 8.3), მეორეგვარ თავისუფლებაზეა საუბარი. როცა ჩვენ ვსაუბრობთ, რომ ადამიანმა მიაღწია ჭეშმარიტ თავისუფლებას, დაამარცხა საკუთარ თავში მდაბალი ვნებები და დაუმორჩილა ისინი მაღალ სულიერ საწყისებს, ჭეშმარიტებასა და სიკეთეს, მხედველობაში თავისუფლების მეორენაირი გაგება გვაქვს. როცა ჩვენ ვსაუბრობთ, რომ რომელიმე ადამიანი ან ხალხი უნდა გათავისუფლდეს სულიერი მონობისაგან და უნდა მიაღწიოს ჭეშმარიტ თავისუფლებას, მხედველობაში მაშინაც მეორეგვარი თავისუფლება გვაქვს. ეს არის თავისუფლება, რომლისკენაც უნდა მიისწრაფოდეს ადამიანი.

ნ. ბერდიაევი მეორეგვარ თავისუფლებას ღვთაებრივს უწოდებს, მაგრამ სულის თავისუფლება არა მარტო ღმერთის, არამედ ადამიანის თავისუფლებაცაა, რაც გულისხმობს თავისუფლებას ღმერთისადმი დამოკიდებულებაშიც. თ. დოსტოდოევსკის დიდი ინკვიტორი ქრისტეს უუბნება: „შენ ადამიანებს დააკისრე თავისუფალი სიყვარული, რათა ისინი მოგვებდნენ თავისუფლად, მოხიბლულები და დატყვევებულებები“. ეს არის თავისუფალი ნებისადმი არა დიფერენციალური, არამედ ინტეგრალური მიღომა.

წმიდა ბასილი დიდი წერს: „ღმერთმა ადამიანი შექმნა არსებად, რომელსაც ნაპოანები აქვს განდეს ღმერთი“. ადამიანი მხოლოდ ღვთის ნებით შეიქმნა, მაგრამ ამ ერთი ნებით მისი განღმრთობა არ ხდება. ამისთვის საჭიროა ადამიანის ნებაც. ანუ ერთი ნებით ხდება ღვთის „ხატის“ შექმნა, ხოლო ორი ნებაა სა-

<sup>1</sup> მცირე თავისუფლება და დიდი თავისუფლება (ლათ.).

ჭირო იმისათვის, რომ ღვთის „ხატი“ ღვთის „მსგავსად“ იქცეს. ადამიანურ შემოქმედებას, უფრო სწორედ, თანაშემოქმედებას, ის მიიჩნევს ღვთაებრივი შესაქმის მეშვიდე დღედ. მართალია, სამყარო ღმერთმა შექმნა, მაგრამ ის დასრულებული როდია. დასრულება დაკავშირებულია მეორედმოსვლასთან და საყოველთაო წსნას-თან, ცხონებასთან. უფრო ღრმა გაგებით თავისუფლება სრულწლოვანებაა ადამიანისა, რომელსაც გაცნობიერებული აქვს, რომ იგი მოვალეა ღვთის წინაშე იყოს თავისუფალი არსება და არა მონა.<sup>1</sup>

ადამიანის მიმართ ღვთის სიყვარული იმდენად დიდია, რომ რაიმე იძულება და ძალდატანება ადამიანურ ნებაზე გამორიცხულია, რადგან სიყვარული პატივისცემის გარეშე არ არსებობს. ღვთიური ნება მუდამ „ნებდება“, უთმობს ადამიანური ნების გადახრებს, დაბნეულობას, თვით ამბოხსაც კი, რათა იგი თავისუფალ თანხმობამდე მიიყვანოს. ადამიანის ცხონება და განღმრთობა სინერგიზმით, ანუ ადამიანურ და ღვთაებრივ ნებათა თანხმობით და თანამოქმედებით მიიღება, რადგან ღმერთს ყველა ადამიანის ცხონება ნებავს. გადამწყვეტი სიტყვა ამ დროს ადამიანს, როგორც თავისუფალი ნების მქონე არსებას ეკუთვნის.

ადამიანი ადვილად ამბობს უარს თავისუფლებაზე კეთილდღეობისათვის. მას ძალზედ უჭირს თავისუფლების უმძიმესი ტეირთის ზიდვა და მზადა გადააბაროს იგი უფრო ძლიერ მხრებს. თავისუფლება გულისხმობს სულის წვას, რაც იშვიათია. ადამიანთა საზოგადოება კი ჩამოყალიბდა და დაკრისტალდა სულიერი ცეცხლის ჩაქრობის შედეგად. მაგრამ ღვთაებრივი ჩანაფიქრი ადამიანის განღმრთობის შესახებ ვერ განხორციელდება ამგვარ საზოგადოებაში. ადამიანმა უნდა აღასრულოს ღვთაებრივი ჩანაფიქრი. მაგრამ ცოტას ნიშნავს იმის თქმა ადამიანმა უნდა შეასრულოს ღვთაებრივი ჩანაფიქრი, ადამიანმა უნდა გამოიცნოს რაში მდგომარეობს ღვთაებრივი ჩანაფიქრი.

მაშ ასე, ჩვენ გვაქვს ორგვარი თავისუფლება. ორივე თავისუფლება შეიძლება გადავიდეს თავის საწინააღმდეგოში. პირველი, საწყისი, ირაციონალური და უსაზღვრო თავისუფლება არ იძლევა იმის გარანტიას, რომ ადამიანი ივლის სიკეთის გზით და მივა ღმერთამდე, რომ ჭეშმარიტება გაიმარჯვებს მის ცხოვრებაში, რომ უმაღლესი თავისუფლება იზეიმებს სამყაროში. უსაზღვრო პოტენცია წსნის მარაგალგვარი და ურთიერთსაწინააღმდეგო აქტივობის შესაძლებლობებს. პირველი თავისუფლება შეიძლება წარიმართოს დაცემისა და ბოროტების გზით, ანუ შობოს ბოროტი თავისუფლება, რაც თავის მხრივ შობს აუცილებლობასა და მონაბას. იგი შეიძლება იქცეს შინაგანი სტიქიის მონად. ეს ჩვენი კაცობრიობის ისტორიიდანაც ვიცით.

მეორე თავისუფლებასაც, ცალკე აღებულს თავისი საბედისწერი დიალექტიკა აქვს. ისიც მოიცავს საფრთხეს გადავიდეს მის საწინააღმდეგოში, აუცილებლობასა და მონობაში. მეორე თავისუფლება, პირველი თავისუფლების გარეშე, გადადის ჭეშმარიტებისა და სიკეთის იძულებასა და ძალადობაში, იძულებით კეთილშობილებაში, ე.ი. სულის თავისუფლების უარყოფაში, ადამიანური ცხოვრების ტირანულ ორგანიზებაში. თუ პირველი თავისუფლება ანარქიას შობს, რომელშიც თავად იღუპება, მეორე თავისუფლება შობს ცხოვრების ავტორიტარულ რეჟიმს, არა აქვს მნიშვნელობა თეოკრატიული იქნება იგი თუ სოციალური.

როგორც ვხედავთ, პირველ თავისუფლებას მივყავართ განხეთქილებამდე და დაცემამდე. მეორე თავისუფლებას კი სურს ეს განხეთქილება და დაცემა დაუმორჩილოს ორგანიზებულ ჭეშმარიტებასა და სიკეთეს და ამ გზით მიიყვანოს სამყარო წესრიგამდე, ანუ შექმნას აუცილებელი თავისუფლება – თავისუფლება აუცილებლობაში და აუცილებლობით.

თუ ორივეგვარი თავისუფლება წინააღმდეგობაში ვარდება, სად არის გამოსვალი? სრულიად ვეთანხმები ნ. ბერდიაქეს აზრს იმის შესახებ, რომ ბუნებრივი გამოსავალი თავისუფლების ტრაგედიდან არ არსებობს. ბუნებრივი ადამიანი ირყევა ამ ორ თავისუფლებას შორის და აქაც და იქაც შინაგანი შხამი ანადგურებს მის თავისუფლებას.

როგორ ჩამოვაშოროთ თავისუფლებას მის მიერ შობილი ბოროტების შხამი ისე, რომ არ გავანადგუროთ თავად თავისუფლება? ეს მსოფლიო თემაა, რომელიც გადაჭრას ქრისტეში პოულობს. ქრისტე აღმოჩენს მესამე თავისუფლებას, რომელიც თავისთავში მოიცავს ორივე პირველს.

<sup>1</sup> Бердяев Н.А., Царство духа и царство Кесаря, Париж, YMSA-PRSS, 1951, ст. 29-56.

ქრისტეს მადლით აღმოიფხვრება ბოროტი თავისუფლება და კეთილი აუცილებლობა. ქრისტიანობის საიდუმლო, როგორც ღმერთკაცობის რელიგია, ეს უპირველესად თავისუფლების საიდუმლოა. მეტაფიზიკური სისტემები უძლურია დაასაბუთოს და გაამართლოს ორი ბუნებისა – ადამიანურისა და ღვთაებრივი ბუნების თავისუფლება, მას არ შეუძლია ორი თავისუფლების თანხვედრის გაგება. მხოლოდ ქრისტიანული საიდუმლო შეარიგებს ღვთაებრივ თავისუფლებას ადამიანურ თავისუფლებასთან, მხოლოდ ღმერთკაცისა და ღმერთკაცობის რელიგია აერთიანებს ერთმანეთთან ღვთაებრივ თავისუფლებას ადამიანურ თავისუფლებასთან.

მონაწებაა ადამიანური თავისუფლებისაგან მისი გამანადგურებელი ბოროტების ჩამოშორების გზა არა აუცილებლობისა და ძალადობის გზით, არამედ მადლის გზით.

მადლია ის ძალა, როემლიც მოქმედებს შიგნიდან და არა გარედან, მოქმედებს შიგნით თვით ადამიანურ თავისუფლებაში. ამიტომაც ქრისტიანობის სწავლება მადლისა და თავისუფლების შესახებ არის ჭეშმარიტი სწავლება თავისუფლების შესახებ.

ადამიანის თავისუფლების წყარო ღმერთშია, მაგრამ არა იმდენად მამა-ღმერთში, არამედ ძე-ღმერთში. ღმერთკაცი ქრისტე – არა მარტო ღმერთი, არამედ აბსოლუტური ადამიანიცაა, და ამიტომ მასში მოქმედებს ადამიანური ბუნების თავისუფლებაც და არა მარტო ღვთაებრივი ბუნება. ფაქტობრივად, სრულყოფილ ქრისტე-ღმერთკაცში მოქმედებს არა მხოლოდ ღვთაებრივი ბუნება, არამედ ადამიანური ბუნებაც, ზეციური ადამის, ადამ კადმონის<sup>1</sup> ბუნებაც. სამყაროს ხსნა არის აქტი აღსრულებული არა მხოლოდ ღმერთის, არამედ ადამიანის მიერ ადამიანური თავისუფლებით, ქრისტეს – აბსოლუტური ადამიანის თავისუფლებით, რომელ-შიც იგულისხმება მთელი ადამიანური მოდგმა.

ადამიანური თავისუფლების საიდუმლოების მიღწევა ნიშნავს, როგორც მონიზმის, ისე დუალიზმის აღმოფხვრას, ნიშნავს ორი ბუნების შეერთების საიდუმლოს ზიარებას, რაც ქრისტიანობის საიდუმლოცაა.

ღმერთიც მხოლოდ თავისუფალ სიყვარულს მოითხოვს. ძეში, ქრისტე-ღმერთკაცში, არა მხოლოდ აღდგენილია მოშლილი და დაკარგული თავისუფლება ძველი ადამისა, არამედ გამოვლენილია ახალი სულიერი ადამის უზენაესი თავისუფლებაც. სულიერი ადამის თავისუფლება უკვე სხვა თავისუფლებაა, თავისუფლება შეერთებული სიყვარულთან, შიგნიდან გასხივოსნებულ სიყვარულთან და ამიტომ იგი გამარჯვებულია თავისუფლების შხამზე, ირაციონალური წყვდიადისაგან ჩანერგილ შხამზე. სულიერი ადამის, ახალი სულიერი ადამის თავისუფლება – ეს კეთილისმყოფელი თავისუფლებაა.

6. ბერდიავს შემოაქვს ცნება, მესამეგვარი თავისუფლება. ეს არის თავისუფლება შეერთებული მადლთან, მადლმოსილ სიყვარულთან. ღმერთკაცობა ეგზოთერულად აღსრულდება მიწაზე, დროით პროცესში და ეზოთერულად ზეცაში, მარადისობაში, სულიერ სფეროში. მადლი მესამე იპოსტასის სამეუფოა, ეს სულიწმინდის მადლია, რომელშიც არ არსებობს წინააღმდეგობა ღმერთის თავისუფლებასა და ადამიანის თავისუფლებას შორის. თავისუფლებასა და მადლს შორის. ორი ბუნების საიდუმლო, ორის ერთიანობა წყდება სამებაში. ღმერთსა და ადამიანს შორის დამოკიდებულება გადაწყდება მხოლოდ მესამეში, სულში, რომელიც აღსრულებული სიყვარულია. ამდენად, 6. ბერდიავის მიხედვით, მხოლოდ ქრისტიანობაში რჩება თავისუფლება სრული სახით. მადლში, რომელიც ძისგან, ქრისტე-ღმერთკაციდან მოდის, მოქმედებს არა მარტო ღვთაებრივი ენერგია, არამედ ადამიანური ენერგიაც. მადლი მოქმედებს, როგორც მესამე, უზენაესი თავისუფლება, ზეციური, სულიერი კაცობრიობის თავისუფლება. მადლი მოდის ქრისტეს არა მხოლოდ ღვთაებრივი ბუნებიდან, არამედ მისი ადამიანური ბუნებიდანაც, მისი ზეციური ადამიანურობისაგან. მასში მოქმედებს და ბრწყინდება ადამიანის თავისუფლება.

ჯვარცმის საიდუმლო, გოლგოთის საიდუმლო არის საიდუმლო თავისუფლებისა. ჯვარცმა მიმართულია ადამიანის სულის თავისუფლებისაკენ. იგი არაფერს არ გვაძულებს. საჭიროა სულის თავისუფალი გმირობა, რომ ჯვარცმულში შეიცნო საკუთარი ღმერთი. ჯვარცმული ქრისტე არა მხოლოდ გვიმჟღავნებს თავს, არამედ

<sup>1</sup> ადამ კადმონი (ებრ. „პირვანდელი ადამიანი“) იუდეურ მისტიკაში არსებული ჯერ კიდევ პირველი სულიერი ადამიანის ერის დაწყებამდე ადამიანური არსის აბსოლუტური გამომხატველი.

იდუმალიც ხდება ამავე დროს. ღვთაებრიობის გამჟღავნებით ქრება ბუნებრივი, გრძნობითი სამყაროს ყოველგვარი ძალადობა, ყველაფერი მიმართულია მხოლოდ სულიერი მზერისაკენ, შინაგანი თავისუფლებისაკენ.

ბუნებრივი ადამიანის გრძნობითი მზერისათვის ჯვარცმაში ჩანს მხოლოდ დამცირება და ტანჯვა, ჩანს მხოლოდ სიმართლის დამარცხება და სიკვდილი. სწორედ ამის გამო ებრაელმა ხალხმა ვერ შეძლო ჯვარცმულში დაუნახა აღთქმული მესია. მაგრამ მე ღვთისა მხოლოდ ძალმოსილებითა და დიდებით, მეფედ და მძლეველად რომ მოვლენოდა სამყაროს, ან დასრულდებოდა ადამიანის სულის თავისუფლება, ან ღვთის სასუუფელი აღსრულდებოდა აუცილებლობით, იმულებითა და ძალადობით. სწორედ ათეისტურ სოციალიზმს სურდა ძალმოსილებით აღესრულებინა დედამიწაზე სიმართლის სუფერა, მაგრამ რასაც მივაღწიეთ, საყოველთაოდაც ცნობილი.

თავისუფლებამ უნდა მიმიყვანოს სიყვარულამდე და სიყვარულმა უნდა გამხადოს თავისუფალი. ქრისტესული სიყვარული გამოვლინდა ჯვარზე ადამიანის თავისუფლებისადმი მიძღვნილ თავისუფალ ტანჯვაში, რაშიც მდგომარეობს ქრისტიანული სიყვარულის საიდუმლო. რომელიც სრულდება ღვთაებრივი სამების წიაღში.

თავისუფლება არ გვეძლევა გარედან. თავისუფალი მეცნიერება, თავისუფალი ზელოვნება, თავისუფალი საზოგადოება, თავისუფალი ეკონომიკა მიიღწევა მხოლოდ თავისუფალი სულით. მონურ სულს არანაირი ღირებულების შექმნა არ შეუძლია.

**Murman Tsetskhadze**

## **Orthodox Christian Understanding of Freedom and Economics**

### **R e s u m e**

The article discusses orthodox Christian understanding of freedom and its reference to economic thinking, as the character and priority of economic activities highly depends on the way people think, the values they prefer, the causes of their motivation, etc. The approaches of different religious doctrines toward the concept of freedom are presented.

Philosopher Nikolai Berdyaev related orthodox Christian understanding of freedom with the idea of Saint Trinity. Regarding this issue he discusses Blissful Augustine's views about two kinds of freedom libertas minor and libertas major. "Little freedom" means freedom of choice between good and evil, and "Great freedom" is freedom in the good, freedom in the truth.

Both types of freedom are controversial. "Little freedom", as irrational and limitless one doesn't guarantee that a man will go on the way of good and reach the God, he may turn on the way of fall and evil, which means to generate evil freedom. The second freedom, without the first one, turns into compulsion of the truth and kindness, into compulsory nobility.

There is no natural way out of the tragedy of freedom. To solve this problem N. Berdyaev introduces a term of the third kind of freedom. This is the freedom combined with mercy, merciful love. Mercy is the realm of the third hypostasis; this is the mercy of Holy Spirit, in which the controversy between the freedom of the God and the freedom of the man does not exist. Mercy, which comes from Jesus, includes not only divine, but human energy as well.

Freedom is not given from outside. Freedom should lead us to love and love should make us free. Christ's love revealed in free torment on a cross for people's freedom, that's the secret of Christian love, which exists into the depth of divine trinity.

Free science, free art, free society, free economic is achieved only with free soul. Slavish soul can't create any value.

## ქრისტიანობის გამლენა დემოგრაფიულ პროცესები

„მეცნიერება რელიგიის გარეშე ზეიძარია,  
ზოლო რელიგია მეცნიერები გარეშე – ბრძა.“

ალბერტ აინშტაინი

დღეს მსოფლიო გლობალიზაციის პროცესი ახალ გამოწვევას სთავაზობს ყველას, ჩვენმა ერმაც პასუ-  
ზი უნდა გასცეს გლობალიზაციის მიერ შემოთავაზებულ მოთხოვნებს და თავისი ადგილი და ფუნქცია ჰქო-  
ვოს თანამედროვე მსოფლიოში, რაც აუცილებლად მოითხოვს სახელმწიფოებრივი აზროვნების ჩამოყალიბე-  
ბას, სახელმწიფოებრივად მოაზროვნე საზოგადოების არსებობა კი ქვეყნის წარმატების საწინდარია<sup>1</sup>. რელი-  
გიას მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია სახელმწიფოს ეკონომიკურ განვითარებაში. საერთაშორი-  
სო პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე სახელმწიფოსა და რელიგიის ურთიერთობის რამდენიმე მოდელი არ-  
სებობს: სახელმწიფოსა და რელიგიის სრული გამიჯვნა, სახელმწიფოსა და რელიგიის კორპორაციული გა-  
მიჯვნა, რელიგიური პრიორიტეტი, სახელმწიფო რელიგია. ეს მოდელები დამახასიათებელია ამერიკასა და  
ევროპის ქვეყნებისათვის და მოიცავს იმ კონკრეტულ მიმართულებებს, რასაც სახელმწიფოსა და ეკლესიას  
შორის ურთიერთობა ჰქვია. უნდა აღინიშნოს, რომ პოსტკომუნისტური ქვეყნები და მათ შორის საქართვე-  
ლო, არც ერთ დასახელებულ მოდელში არ თავსდება, ტოტალიტარული რეჟიმის რღვევის შემდეგ შექმნილ-  
მა ნაციონალურმა სახელმწიფოებმა აღიარეს რელიგიისა და სახელმწიფოს გამიჯვნის დასავლური მოდელი,  
მაგრამ, რადგან ეს ქვეყნები გამოირჩევიან დიდი ტრადიციების მქონე ეკლესიებით, ამიტომ ახალი სახელმწი-  
ფოების ფორმირების პროცესი გარკვეულ რელიგიურ კონფლიქტებთან იყო დაკავშირებული. პოსტსაბჭოთა  
სივრცის ქვეყნებში ერთმანეთს უპირისპირდება რელიგიური თავისუფლების „ამერიკული“ და „ევროპული“  
მოდელები. ისტორიული ტრადიციებიდან გამომდინარე, ეს ქვეყნები ეროვნულ კანონმდებლობას ევროპული  
მოდელის მიხედვით აყალიბებდნენ. ამ მიზნის მიღწევა შესაძლებელია რელიგიური ორგანიზაციების შესახებ  
კანონის მიღებით, სადაც რელიგიური ორგანიზაციებისათვის თანასწორობის აღიარებასთან ერთად დადგენი-  
ლია ორგანიზაციის რეგისტრაციის წესი. ეს მექანიზმი, ძირითადად, პრაქტიკულ გმოცდილებაზეა აგებული,  
რაც გამორიცხავს ანტისახელმწიფოებრივ საქმიანობას რელიგიური თავისუფლების ეგიდით. ამასთან, გაითვა-  
ლისწინებს ტრადიციული ეკლესიების როლს სახელმწიფოსა და საზოგადოების განვითარებაში.<sup>2</sup>

ქრისტიანობას მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია ქვენის ეკონომიკური განვითარების საქ-  
მეში. სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა მრავალი ურთიერთდაკავშირებული ფაქტორისაგან შედგება,  
ერთ-ერთ უნიშვნელოვანეს ფაქტორად შეიძლება ჩაითვალოს ქვენის დემოგრაფიული მდგომარეობა. დემოგ-  
რაფია ის ელემენტია, რომელიც მნიშვნელოვნად განსაზღვრავს სახელმწიფოს არამარტო ეკონომიკურ, არა-  
მედ ზოგადად განვითარებასა და კეთილდღეობას. დემოგრაფიული პროცესების გავლენა ეკონომიკაზე ხორცი-  
ელდება საზოგადოების სამუშაო პოტენციალის მოქმედების შედეგად, აქ იგულისხმება შრომისუნარიანი მო-  
სახლებია, რომელიც წარმოადგენს წარმოების უმნიშვნელოვანეს ფაქტორს, მათი შრომა გამოიყენება მატე-  
რიალური დოკლათის საწარმოებლად. დემოგრაფიული პროცესები ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვა-  
ნი რგოლია და ქრისტიანობას მასზე დადებითი გავლენის მოხდენა შეუძლია. საქართველოში მიმდინარე ეკო-  
ნომიკური და სოციალური რეფორმები დადებით ასახვას პპოვებს ქვენის ეკონომიკურ მდგომარეობაზე, მაგ-

<sup>1</sup> საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II სააღდგომო ეპისტოლე, თბ., 2005.

<sup>2</sup> საქართველოს საპატრიარქო, <http://www.patriarchate.ge/?action=modeli>

რამ სიღარიბე, უმუშევრობა და ინსტიტუციური განვითარება კვლავაც რჩება პრობლემად. საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემების მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ მოსახლეობის ზრდის ტემპი მთლიანად საქართველოში არ არის მაღალი, უფრო მეტიც 2002 წლის მონაცემებით პრაქტიკულად ზრდა არ ფიქსირდება, 2008 წლის მონაცემებით ზრდის კოეფიციენტი 1,32-ია, ხოლო 2013 წლისათვის ტენდენცია კლებისაკენ არის. რეგიონთაგან ყველაზე მაღალი ზრდის კოეფიციენტით გამოირჩევა ჰარა და ქვემო ქართლი. 2008 წლის მონაცემებით ამ რეგიონებში პრაქტიკულად მოსახლეობის გაორმაგებას ჰქონდა ადგილი. საგანგაშო მდგომარეობაა რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში, სადაც აღებულ პერიოდში მოსახლეობის დაახლოებით ორჯერაა შემცირებული. მოსახლეობის კლების ტენდენცია შეიმჩნევა ასევე გურიაშიც, იმერეთსა და სამეგრელო-ზემო სვანეთში.<sup>1</sup>

აღნიშნული პრობლემა განვიხილოთ რელიგიური ჭრილით, ცნობილია, რომ რელიგიური დოგმები განსაზღვრავს მორწმუნე ადამიანების ცხოვრების წესს, ანუ აღმსარებლობის მოთხოვნები დიდ გავლენას ახდენს რეპროდუქციაზე. მართლმადიდებელი ქრისტიანის ცხოვრების წესი განსაზღვრულია რჯულის კანონით, რომლის მიხედვითაც ქალები, რომლებიც იცილებენ შვილებს, მიჩნეულები არიან მკვლელებად.<sup>2</sup> აქედან გამომდინარე ქრისტიანული ოჯახების ბავშვის ყოლის მოტივებში<sup>3</sup> უფრო სჭარბობს რელიგიური ფაქტორი და მათ ბევრი შვილის ყოლის უფრო მეტი აღბათობა აქვთ, თუმცა მაღალი რიგითობით გამოირჩევა ეკონომიკური ფაქტორის შემცველი ბავშვის ყოლის მოტივები, ამიტომ შესაძლებელია ვივარაულოთ, რომ მიუხედავად ქრისტიანული ოჯახების სიმრავლისა (და მათ მიერ ქრისტიანული დოგმების შესრულებისა), ადამიანების რეპროდუქციულ ქცევაზე უფრო მეტად ეკონომიკური ფაქტორი ახდენს გაგლონს, სწორედ ამიტომაა, რომ მცირეშვილიანი ოჯახები სჭარბობს<sup>4</sup> (1-2 ბავშვი ოჯახში, რაც არაა საკმარისი თუნდაც მარტივი კვლავწარმოებისათვის), საშუალოშვილიან (3-4 ბავშვი ოჯახში და რაც უზრუნველყოფს მხოლოდ მარტივ კვლავწარმოებას) და მრავალშვილიან ოჯახებს (5 და მეტი ბავშვი)<sup>5</sup>. ოჯახების ასეთი ტიპოლოგიის მიხედვით დემოგრაფიული ვითარების გასაუმჯობესებლად, ყველა ოჯახში მინიმუმ სამი ბავშვი მაინც უნდა იყოს.

დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, 2007 წლის ოქტომბერში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილა მეორემ განაცხადა, რომ მართლმადიდებლურ ოჯახში ყოველი მესამე და მომდევნო ბავშვის გაჩენის შემთხვევაში, პირადად მონათლავდა ახალშობილს. ისეთ ქვეყანაში, როგორც საქართველოა, სადაც მოსახლეობის დიდი უმრავლესობა მართლმადიდებელი ქრისტიანია, ასეთმა დაპირებამ გარკვეული დადებითი გავლენა მოახდინა მოსახლეობის კვლავწარმოებაზე. კარგი იქნება თუკი გამოიკითხება მართლმადიდებელ ოჯახებში ბავშვის ყოლის მოტივები და დადგინდება რა რაოდნობის ოჯახში გაჩნდა მესამე და მომდევნო ბავშვი უწმინდესის აღნიშნული განცხადების შედეგად. 2008 წელს შობადობის მაჩვენებლის შთამბეჭდვით ზრდა დაფიქსირდა. კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის გამოკვლევის მიხედვით, ქართველების 94 % პატრიარქს საზოგადოებში ყველაზე სანდო პიროვნებად მიჩნევს. გარდა ამისა, ქვეყანაში ყველაზე სანდო ინსტიტუტიადაც მართლმადიდებელი ეკლესიაა აღიარებული<sup>6</sup> აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ ქრისტიანობას უაღრესად დადებითი როლის შესრულება შეუძლია ქვეყნის ყველა მიმართულებით განვითარების საქმეში, სწორედ ამის მაგალითად შეიძლება ჩაითვალოს პატრიარქის განცხადება დემოგრაფიული

<sup>1</sup> ჭანიძე ქ., ეკონომიკური განვითარებისა და მოსახლეობის მზარდი სტრუქტურის ურთიერთკავშირის მეთოდოლოგიური საფუძვლები, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის შრომების კრებული (გადაცემულია გამომცემლობაში), 2014.

<sup>2</sup> რჯულის კანონი (ერისკაცთათვის), ჭეშმარიტი მართლმადიდებელი ქრისტიანის ცხოვრების წესი.

<sup>3</sup> დემოგრაფიული ლექსიგონი, შემდგ., წულაძე გ., თბ., 2012, გვ. 34.

<sup>4</sup> საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, <http://www.geostat.ge/>


<sup>5</sup> ბორისოვი ვ., დემოგრაფია, მოსკოვი, 2001, გვ. 51-53.

<sup>6</sup> ლანჩავა ლ., ურნალი, iseteconomist, 2015

ვითარების გაუმჯობესების მიზნით, ახალშობილების ნათლობასთან დაკავშირებით. ეკონომიკური განვითარება და მოსახლეობის მზარდი სტრუქტურა პირდაპირ დაკავშირებულია ერთმანეთთან, ვინაიდან შრომა, ანუ ადამიანური კაპიტალი წარმოების ძირითადი ფაქტორია და შრომისუნარიანი მოსახლეობის გავლენაც დიდია ეკონომიკაზე. გამოვიყენოთ დაშვების პრინციპი და დავუშვათ, რომ საზოგადოება შედგება მხოლოდ მორწმუნე ადამიანებისაგან, რომლებიც მკაცრად ასრულებენ ღვთისმსახურებას და ზედმიწევნით იცავენ 10 მცნებას. როგორი იქნება ასეთი საზოგადოების ეკონომიკური მდგრამარეობა? შესაძლებელია, რომ მხოლოდ ქრისტიანებისაგან შემდგარი საზოგადოება ეკონომიკურად ბევრად უფრო მდგრადი აღმოჩნდეს ვიდრე სხვა დანარჩენ შემთხვევაში. ბიბლიური მცნებების შეუსრულებლობის ნეგატიური გავლენა ეკონომიკაზე, ამა თუ იმ ხარისხით ვლინდება რეალურ საზოგადოებაშიც. მაგალითად: სახელმწიფო მოხელეები იღებენ ქრთამებს, მონაწილეობენ სხვადასხვა სახის ფინანსურ გარიგებებსა და მაქინაციებში, რომელთა საერთო რაოდენობრივი ზომა შესაძლოა მნიშვნელოვან ზიანს აყენებდეს სახელმწიფო ბიუჯეტს. და მაიც, თუკი დავუშვებთ, რომ საქართველოს მოსახლეობის ყველა მოქალაქე, გახდა მართმადიდებელი ქრისტიანი, აღმსარებელი, როგორი იქნება საქართველოს ეკონომიკა ამ პირიბებში? სახელმწიფო მოხელეები აღარ აიღებენ ქრთამებს და დაქმარებიან მწარმოებლებს ბიზნესის განვითარებაში. გაქრება ქუდობა, ფინანსური მაქინაციები, მკვლელობები. სახელმწიფოს გაუჩნდება რეალური საფუძველი შეამციროს გადასახადები და გაამარტივოს საგადასახადო სისტემა, გაქრება ამა თუ იმ საწარმოს თუ დაწესებულების მფარველობა. მომრავლდება მრავალშვილიანი ოჯახები, გამოსწორდება დემოგრაფიული ვითარება და ა. შ. ქვეყნის ეკონომიკას გაუჩნდება მძლავრი დადებითი იმპულსი და დაიწყებს სწრაფი ტემპით განვითარებას.

განვიხილოთ რუსეთის მაგალითი. რუსეთი არის ბუნებრივი რესურსებით მდიდარი სახელმწიფო. თუ წარმოვიდგენთ, რომ ეს ქვეყნა გახდება ქრისტიანული, ჩამოიშორებს ოკუპანტი სახელმწიფოს სტატუსსა და დაწესებულ სანქციებს, სავარაუდოდ რუსეთის მშპ დაიწყებს ზრდას. რამოდენიმე წლის შემდეგ კი ის ეკონომიკური განვითარების ტემპით დაეწევა ევროპის განვითარებულ ქვეყნებს. ქრისტიანობის გავლენა რომ დიდია ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე ამის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ სამხრეთ კორეა. ამ ქვეყნაში ეკონომიკური ზრდა მიმდინარეობს ქრისტიანობის პროცენტული ზრდის ფონზე. დღეისათვის ქრისტიანობა სამხრეთ კორეაში წამყვანი ეროვნული რელიგიაა. სტატისტიკური მონაცემებით სამხრეთ კორეაში საერთო მოსახლეობის 25%-40% ქრისტიანია.<sup>1</sup>


**დიაგრამა 1. ქრისტიანთა პროცენტული წილი მთლიან მოსახლეობაში სამხრეთ კორეის მაგალითზე  
1930-1999 წლებში<sup>2</sup>**



<sup>1</sup> Плясовских А., Христианам о политике: <http://disput1.narod.ru/book2/book10.htm>.

<sup>2</sup> Южная Корея, Республика Корея: [http://okoree.narod.ru/page\\_4.htm](http://okoree.narod.ru/page_4.htm)

დიაგრამა. 2. მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე სამხრეთ კორეის მაგალითზე 1970-2000 წლებში<sup>1</sup>



ცხოვრებისეული პრაქტიკა ადასტურებს, რომ დიდია ქრისტიანობის გავლენა ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე, მოსახლეობის თვითშეგნებაზე, განვითარებაზე, განვითარების დონესა და სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობაზე. თუკი ვივარაუდებთ, რომ სამხრეთ კორეის ეკონომიკური ზრდა პირდაპირ უკავშირდება ქრისტიანების რაოდენობის ზრდას, გამოიდის რომ სამხრეთ კორეის მოსახლეობის დამოკიდებულება რელიგიისადმი არაა ფასადური და ჭეშმარიტ რწმენას ემყარება. დავსვათ კითხვა: შეიძლება თუ არა მსგავსი ვარაუდის გამოთქმა საქართველოსთან მიმართებაში? თუკი საქართველოს მოსახლეობის ნახევარზე მეტი მართმადიდებელი ქრისტიანია, მაშინ რატომ ჩამოვრჩებით ეკონომიკური განვითარებით სხვა ქვეყნებს? ამ შემთხვევაშიც ვვარაუდობთ, რომ მოსახლეობის დამოკიდებულება ქრისტიანობისადმი არაა ჭეშმარიტად სრულყოფილი და ქრისტიანების უმრავლესობიდან მხოლოდ მცირე ჯგუფი ახერხებს ქრისტეს მცნებების ზედმიწევნით დაცვას და სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებლებიდან მხოლოდ მცირე ნაწილი ახორციელებს ჭეშმარიტ ქრისტიანულ, მორალურ და ზნეობრივ ნორმებზე დაფუძნებულ მოღვაწეობას. ისეთ ქრისტიანულ სახელმწიფოში, როგორიც საქართველოა, სადაც ყველაზე სანდო პიროვნებად კათოლიკოს პატიარეკი მიიჩნევა, რელიგია ბუნებრივია მოახდენს დადებით გავლენას ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაზე, მთავარია მოვინდომოთ. სწორედ ქრისტიანობის წყალობით მოვედით დღემდე, მთელი ისტორიის მანძილზე მტრის აურაცხელი შემოსევების დროს ქრისტიანობა გვაძლევდა ძალას და გვკრავდა ერთ მუშტად.

ნებისმიერმა ქვეყნამ, რომელიც მყარად დგას მართმადიდებლურ-ქრისტიანულ საწყსებზე შეიძლება ეკონომიკური განვითარების მაღალ დონეს მიაღწიოს. ქრისტიანობა სიყვარულის რელიგიაა, სიყვარული კი მოიცავს ისეთ ფუნდამენტურ პრინციპებს, რომელიც სახელმწიფოს მდგრადი განვითარების აუცილებელი პირობაა. რელიგიას დიდი წვლილის შეტანა შეუძლია ქვეყნის დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების საქმეში. ვინაიდან შრომისუნარიანი მოსახლეობა წარმოების ძირითად ფაქტორს, ანუ შრომას ქმნის, ამიტომ მოსახლეობის მზარდი სტრუქტურა და ბუნებრივი მატების ტემპი დიდ გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკაზე. გარდა ამისა, თუკი ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებლები რელიგიური დოგმების დაცვით წარმართავენ თავიანთ საზოგადოებრივ თუ პოლიტიკურ მოღვაწეობას, ამ შემთხვევაშიც რელიგიიური ფაქტორის გავლენით ქვეყნის ეკონომიკა მხოლოდ წინ წავა და უფრო უფექტიანად იმუშავებს ქვეყნის მართვის მექანიზმი. სამწუხაობაზე ჩვენს საზოგადოებაში მხოლოდ მცირე ნაწილი თუ წარმართავს საერო ცხოვრებას ქრისტიანული პრინციპების დაცვით. გარდა ამისა თუკი დემოგრაფიული მდგომარეობა მომავალში გაუმჯობესდა და შრომისუნარიანი მოსახლეობის წილი გაიზარდა, სახელმწიფო პოლიტიკის გამტარებლებმა ქვეყანაში უნდა

<sup>1</sup> Statistics Korea: <http://www.nso.go.kr/>.

შექმნან ისეთი ეკონომიკური ვითარება, რომ მოახდინონ სამუშაო ძალის, როგორც წარმოების ძირითადი ფაქტორის ინტეგრაცია, რათა უკეთესი ცხოვრების მოლოდინით ნაკლებად იყვნენ ემიგრაციის მსურველები. (ქრისტიანობა ქადაგებს პატრიოტიზმს) „ქართველი ადამიანი უნდა ცხოვრობდეს საქართველოში, რადგან საქართველო – ეს კურთხეული დალოცვილი მიწაა და თუკი სულიერად ჩვენ ვიქნებით სათანადო სიმაღლეზე, მატერიალურსაც მოგვცემს უფალი და ყველაფერი კარგად იქნება.<sup>1</sup>

**Ketevan Tchanidze**

## **Influence of Christianity on Demography**

### **R e s u m e**

Each country which firmly stands on Orthodox Christian basis may reach higher level of economic development. Christianity is the religion of love, and love covers such fundamental principles which are essential for sustainable development. Religion may contribute greatly to the improvement of demography of the country. As work-capable population is the key factor (i.e. labour to production), so, increasing the number of population and natural growth rate greatly influences the country's economy.

---

<sup>1</sup> გაზეთი, საპატიოარქოს უწყებანი, ნომ., 28. 2010.

## პიზნების სოციალური პასუხისმგებლობა და მრისტიანობა

თანამედროვე განსაზღვრებით, ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა წარმოადგენს კონცეფციას, რომლის თანახმადაც კომპანია ნებაყოფლობით ითვალისწინებს საკუთარი თანამშრომლების, მომხმარებლების, მომწოდებლების, ბიზნეს პარტნიორების და ზოგადად, საზოგადოების ონტერესების დაცვას ბიზნეს-ოპერაციების განხორციელებისას. არსებითად, ეს არის ბიზნესის კეთილი ნება, საკუთარ თავზე აიღოს უფრო მეტი პასუხისმგებლობები, ვიდრე კანონით ევალება. შეგნებულად გასცდეს მოგების მიღების თავდაპირველ ფუნქციას და ნებაყოფლობით იზრუნოს საზოგადოების კეთილდღეობაზე, დადებითი წვლილი შეიტანოს სოციალური და ეკოლოგიური გარემოს პრობლემების მოგვარებაში. ბიზნესის სოციალურ პასუხისმგებლობებს კორპორაციულ პასუხისმგებლობებსაც უწოდებენ.

სოციალური პასუხისმგებლობების ადრეული განსაზღვრებები ძირითადად ფილანტროპულ (მოწყალების) და საქველმოქმედო საქმიანობაზე იყო კონცენტრირებული. განვითარებად ქვეყნებში, სოციალური პასუხისმგებლობა ძირითადად, კვლავ ქველმოქმედებად არის გააზრებული. მეცნიერ ეკონომისტები აღნიშნავენ, რომ ფილანტროპია და ქველმოქმედება, ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობების მოძველებული ფორმებია. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ მას თანამედროვე ბიზნესი არ ახორციელებს.

საქართველოშიც, სოციალური პასუხისმგებლობების ძველ ფორმებს მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. ქართველი მეფეები და დიდგვაროვნები ყმებს და ღარიბებს ამა თუ იმ ფორმით, მუდამ ეხმარებოდნენ. მაგალითად, გადმოცემის თანახმად, ვახტანგ გორგასალს ერთხელ, სწორედ ობლების ყანაში მუშაობის დროს მტრები მაღულად მიეპარნენ და დაჭრეს. მკლევარები წერენ, რომ ბატონყმური ურთიერთობები უძველეს საქართველოში, დანარჩენი მსოფლიოსაგან განხვავებით უფრო ჰუმანური იყო. უპოვართა დახმარებაზე, ჯერ კიდევ მეთორმეტე საუკუნეში, შოთა რუსთაველი „გეფნისტყაოსანში“ წერდა: „მიუც გლახაკთა საჭურჭლე, ათავისუფლე მონება“.

XIX საუკუნის საქართველოში მრავალი ქველმოქმედი იყო. მათ შორის ცნობილი იყვნენ მსხვილი მეწარმეები დავით სარაჯიშვილი (1848-1911) და მიტროფანე ლალიძე (1869-1960). დავით სარაჯიშვილი იყო ქიმიისა და ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი და საზოგადო მოღვაწე. იგი იყო კონიაკის წარმოების ფუძემდებილი საქართველოში. სახელი გაითქვა როგორც მსხვილმა მრეწველმა და ქველმოქმედმა. საქართველოს იმდროინდელ პრესაში წერდნენ: „მის სიცოცხლეში არ არსებობდა ხალხისთვის სასარგებლო საქმე, რომელშიც მონაწილეობა არ მიეღოს. მისი მატერიალური დახმარებით აშენდა მრავალი ეკლესია, მ.შ. ქაშუეთის ტაძარი. იგი სტიპენდიებს უნიშნავდა უცხოეთში მყოფ სტუდენტებს. მათ რიცხვში იყვნენ, შემდეგ ცნობილი ადამიანები: ზაქარია ფალიაშვილი, დიმიტრი არაყიშვილი, მელინტონ ბალანჩივაძე, ვანო სარაჯიშვილი, მოსე თომიძე, იაკობ ნიკოლაძე. უცხოეთში მყოფი ნოე უორდანია, ვახტანგ კოტეტიშვილი და მრავალი სხვა. გარდაცვალების შემდეგ, დავით სარაჯიშვილმა თავისი ქონება დაუტოვა (მას მემკვიდრე არ ჰყავდა) წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას, ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმს, ღარიბ მოსწავლეთა სკოლას, ქუთაისისა და თბილისის დრამატულ საზოგადოებას, თბილისის ქირურგიულ საავადმყოფოს ასაშენებლად და ა.შ. მიტროფანე ლალიძე კი იყო უაღიაპოლო სასმელების ფუძემდებელი საქართველოში. მან გერმანიასა და საფრანგეთში მიიღო ცოდნა ხილის წვენების დამზადების შესახებ და 1906 წელს თბილისში გახსნა ხილის წვენების ქარხანა და მაღაზია. იგი ეწეოდა მრავალ საქველმოქმედო საქმიანობას. აფინანსებდა მწერლებს და საზოგადო მოღვაწეებს, აგრეთვე წიგნების გამოცემებს და სხვ. ლაღიძის წყლები გამოირჩევა განსაკუთრებული ღირსებებით, რომელსაც შეუძლია მრავალი სიკეთე მოუტანოს ქართულ ეკონომიკას ამჟამადაც. სამწუხაროა, რომ მისი მემკვიდრეები, დღესაც იბრძვიან თავიანთი უფლებების დასაბრუნებლად. საქართველოს აგრეთვე ჰყავს თანამედროვე დროის ქველმოქმედები: ბ. ივანიშვილი, ბ. პატარკაციშვილი, ლ. ვასაძე, მ. ხაზარაძე და სხვები.

ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა არის ბიზნესის რეაქცია საზოგადოების შეცვლილ მდგომარეობაზე. საწარმოს, რომელიც არაუკის არ ჩაიდგნს ისეთს, რაც წინააღმდეგობაში მოვა საზოგადოების და სახელმწიფოს ინტერესებთან, პასუხისმგებელ საწარმოს უწოდებენ.

ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა დღეს არ გაიაზრება, როგორც ძირითადი ბიზნესის დამატებითი საქმიანობა, ერთჯერადი აქტი ან კომპანიის მიერ დროდადრო განხორციელებული ინიციატივები. არსებითად, ეს არის ბიზნესის წარმართვის ახალი კონცეპტუალური მიდგომა, რომელიც გულისხმობს სოციალური და გარემოსდაცვითი საკითხების ჩართვას როგორც ბიზნეს სტრალევაში, ისე კომპანიის საქმიანობის ყველა სფეროსა და კომპონენტში. ეს ნიშნავს, რომ ნებისმიერი ბიზნეს გადაწყვეტილებების მიღებისას ან ბიზნეს ოპერაციების განხორციელებისას, პასუხისმგებელი კომპანია ითვალისწინებს მოცემული გადაწყვეტილებისა თუ საქმიანობის შესაძლო ზეგავლენას ბუნებრივ გარემოზე, ადგილობრივ საზოგადოებასა და სოციალ-ეკონომიკურ სისტემაზე. ცდილობს შეამციროს უარყოფითი ზეგავლენა და გააძლიეროს დადგებითი შედეგები<sup>1</sup>.

1992 წლიდან დასავლეთში სულ უფრო პოპულარული ხდება შეხედულება იმის შესახებ, რომ კომპანიებმა საკუთარი ინიციატივით უფრო მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულონ საზოგადოებრივი მიზნების მიღწევაში. მათ ბიზნესი უნდა აწარმოონ სხვადასხვა დაინტერესულ მხარეთა ინტერესების გათვალისწინებით, რათა ერთობლივი ძალისხმევით მიღწეული იქნას საერთო მიზანი – მდგრადი განვითარება.

თანამედროვე შსოფლიოში წარმოუდგენელია ნორმალური რეპუტაციის მქონე კომპანია, რომელიც არ აქტიურობს ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობების მიმართულებით. ეს უკვე გახდა ბიზნესის წარმოების ჩვეულებრივი და გავრცელებული ფორმა, აქტიური მარკეტინგული ინსტრუმენტი ბაზარზე უპირატესობის მოსაპოვებლად, რადგან პროდუქცია იძენს დამატებით სოციალურ ღირებულებას.

დღევანდელი გაებით, ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა მრავლის მომცველი კონცეფციაა, რომელიც მოიცავს მოქმედებების შემდეგ კომპონენტებს:

- კორპორაციული მართვა და ეთიკა;
- ადამიანის პიროვნული და შრომითი საქმიანობების ძირითადი უფლებების დაცვა თანამშრომლებთან, მომწოდებლებსა და მომხმარებლებთან ურთიერთობებისას;
- გარემოს დაცვა და გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების შემცირება;
- საზოგადოების (თემის) საჭიროებებზე ზრუნვა;
- მექრთამეობასთან ბრძოლა და კორუფციის დაუშვებლობა;
- მომხმარებელთა უფლებების დაცვა და პროდუქტზე პასუხისმგებლობა;
- მომწოდებლებთან ურთიერთობა ადგილობრივ და საერთაშორისო მიწოდების ქსელებში;
- გამჭვირვალეობა და ანგარიშგება.

ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობების სფეროში ჩართულია სამი მხარე: მთავრობა, ბიზნესი და საზოგადოება, რომლებიც ერთამნებთან აქტიურ კომუნიკაციას ახორციელებენ. ასევე მნიშვნელოვანი როლი აქვს მედიას, რომელიც ზემოთ ჩამოთვლილ მხარეებს შორის აქტიური კომუნიკატორია.

საერთაშორისო საკონსულტაციო კვლევითი ცენტრის Next Consulting – ის გამოკვლევით, ევროპულ კომპანიებში სოციალური პასუხისმგებლობების ხარისხი ბევრად მაღალია ვიდრე ამერიკულ კომპანიებში და ეს ამ ქვეყნებში არსებული ეკონომიკური სისტემების თავისებურებებით არის გამოწვეული. აღსანიშნავია, რომ ევროპულ ქვეყნებში, ყველაზე მაღალი წილი სკანდინავიურ ქვეყნებს უჭირავთ, რომლებიც ცხოვრების და კეთილდღეობის დონით ლიდერები არიან მსოფლიოში.

ანალიტიკოსების შეფასებით, მსოფლიოში სოციალურად ორიენტირებული კომპანიების რაოდენობა კიდევ უფრო გაიზრდება, რადგან მათზე „ზეწოლა“ მოთხოვნების თვალსაზრისით, მთავრობის და საზოგადოე-

<sup>1</sup> ხოვერია ლ., კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა საქართველოში, 2012, გვ. 2, [www.epfound.ge](http://www.epfound.ge)

ბის მხრიდან მზარდია. გამოცდილებაც აჩვენებს, რომ წარმატებულთა რიცხვში ხვდებიან ის კომპანიები, რომლებიც არა მხოლოდ საკუთარი ბიზნესით ინტერესდებიან, არამდე, უფრო გლობალურ, სოციალურ, ეკონომიკურ და გარემოსდაცვით პრობლემებზე ახდენენ რეაგირებას.

დასავლეთში, სოციალური პროექტების განხორციელება ძირითადად არასამთავრობო ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობით ხდება. ბიზნესი ირჩევს პრიორიტეტულ მიმართულებებს, ადგენს ბიუჯეტს, აცხადებს საგრანტო კონკურსს და არჩევს არასამთავრობო ორგანიზაციას. ასეთი სქემა ბიზნესის ფინანსურ და დროითი რესურსების ეკონომიას ახდენს და ბენეფიციარებიც უფრო მეტ სარგებელს იღებენ, რადგან მათი საჭიროებების შესახებ ინფორმაცია აქვს არასამთავრობო სექტორს.

საქართველოში ბიზნესი არასამთავრობო სექტორს ნაკლებად ენდობა და ეს კომუნიკაცია დღეს საკმაოდ დაბალ დონეზეა. თუმცა, დროა საჭირო რომ ისინი ურთიერთთანამშრომლობის აუცილებლობაში დარწმუნდნენ.<sup>1</sup>

დასავლეთის მეცნიერ ეკონომისტები თვლიან, რომ მსოფლიოში ბიზნესის მიერ სოციალური პასუხისმგებლობების აღიარება არის კერძო კაპიტალის ზრდა-განვითარების, მისი ტრანსფორმაციის, კლასობრივი ბრძოლებისა და მშრომელთა აქტიური წინააღმდეგობების შედეგი. ტერმინი „სოციალური საწარმო“ პირველად იტალიელმა ავტონომისტმა მარიო ტრონტიმ გამოიყენა. იგი აღნიშნავს, რომ მუშათა კლასის ბრძოლების ზეგავლენით კაპიტალი იძულებული გახდა ქარხნებში პოზიციები დაეთმო. შედეგად, კაპიტალი იწყებს „გარეანი“ სოციალური ურთიერთობების პირდაპირ ჩართვას ღირებულების წარმოების პროცესში.

ჩვენი აზრით, ბიზნესის სოციალური აღიარების საქმეში აგრეთვე დიდი როლი უნდა შეესრულებინა ქრისტიანული რწმენის კონცეფციას. გარდა იმისა, რომ ბიზნესის სოციალური საქმიანობა მეტად დადგებითი ფინანსური ეფექტის მატარებელია როგორც საზოგადოებისათვის, ისე თვით ბიზნესისათვის, კიდევ უფრო მეტად ღირებულია იგი მორალურ-ზნეობრივი თვალთახედვით. ყოველი ადამიანი არის ღმერთის კონკრეტული „მე“. ამიტომ ადამიანი ქვეშეუცნობლად თავის თავში მუდამ გრძნობს მისი მომავლინებლის ნებას და ვერ ეგუება უსამართლობას დედამიწაზე. მსოფლიო ისტორიაში უამრავი მაგალითია ცნობილი, თუ როგორ ეწირებოდნენ ადამიანები უსამართლობასთან ბრძოლას, ჯერ კიდევ ქრისტეს მოსვლამდე. ქრისტიანობამ უძლეველი სული შთაბერა უპოვართა და დატაკთა დაცვისათვის და თანასწორუფლებიანობისათვის ბრძოლის ახალ ეპოქას. ქრისტე არის უუსრულყოფილესი სიყვარული და სიკეთე. არცერთ რელიგიაში ანალოგი არ არსებოს იმისა, როცა სრულიად უდანაშაულო, განკაცებული ღმერთი ეწამა ადამიანის ცოდვებისათვის და ამ სიყვარულის მაღის ადამიანს სულიერი გადარჩენის შანსი მისცა. იგი ასწავლის ადამიანებს უყვარდეს არა მხოლოდ მოყვასი, უყვარდეს მტერი თვისი და სიკეთე უყოს მას. ბოროტი დამარცხებული უნდა იქნეს არა ბოროტებით, არამედ კეთილის ქმნით. მხოლოდ ასეთი გზებით შეუძლია ადამიანს მოიპოვოს მაღლი უფლის თვალში და მარადიული სულიერი სიცოცხლე. ქრისტეს მაგალითი გავლენას ახდენს არაქრისტიანებზეც კი და დღევანდელ მსოფლიოში ჰუმანიტარული დახმარებების პრაქტიკამ და უსამართლობასთან ბრძოლამ უკვე გლობალური ხასითი მიიღო.

გამომდინარე იქნავ, რომ ბიზნესის სოციალური პასუხიმგებლობა წარმოადგენს კომპანიის ზრუნვას საზოგადოების კეთილდღეობაზე, ადამიანების მატერიალური და კულტურული პრობლემების მოგვარებაზე, შეიძლება ითქვას, რომ ბიზნესი ამ გზით დგება უფლის მადლის მოპოვების გზაზე, რათა დაიუნჯოს არა აქ, არამედ ზეცაში. „ნუ დაიუნჯებთ დედამიწაზე, სადაც ჩრჩილი და უანგი სპობს და სადაც ქურდები თხრიან და იპარავენ. დაიუნჯეთ ცაში, სადაც არც ჩრჩილი და უანგი სპობს და სადაც არც ქურდები თხრიან და იპარავენ“ (მათე, 6.19-20).

მაშ, რა გზით უნდა „დაიუნჯოს“ ადამიანმა ცაში, ანუ ღმერთში, თუ არა სიკეთის ქმნით და ღვთიური წესების დაცვით. შემოქმედი განსაკუთრებით წუხს ამქვეყნიური მდიდრების გამო, რადგან იცის გარდაც-

<sup>1</sup> ლექციიაზე ი., ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა საქართველოში, 2014, გვ. 2, [www.forbes.ge](http://www.forbes.ge)

ვალების შემდეგ რა ელოდება მათ. 'ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: ძნელია მდიდრისთვის ცათა სასუფევლ-ში შესვლა' – ამბობს უფალი (მათე, 19.23). ვინიქრობთ ეს უმძიმესი პერსექტივაა ამიტომ, მდიდრები გან-საკუთრებით უნდა ზრუნავდნენ სხვებზე, რათა სულიერად გადარჩნენ.

ქრისტიანული სწავლებით, ადამიანი სიკეთის ქმნისათვის არის გაჩენილი. ღმერთისათვის უპირველე-სად მოსაწონია, როცა ადამიანი ეხმარება სხვებს და არა საკუთარ შვილებს ან ნათესავებს. წმიდა წიგნში გვასწავლის: თუკი თქვენს ნათესავებს დაეხმარებით და გეყვარებათ ისინი, რით განსხვავდებით ბოროტისა-გან? თავისიანი ბოროტსაც უყვარს, მაგრამ სიკეთეს არ უკეთებს სხვებს. არ აწუხებს სხვისი შიმშილი და სიცივე. ახარებს ადამიანის დამორჩილება და აბუჩად აგდება.

სამყაროში, რომელსაც ჩვენი დედამიწაც ეკუთვნის, უნივერსალური წესრიგი არსებობს. ეს წესრიგი სამყაროს შემოქმედის ანუ ღმერთის გამოვლინებაა. პლატონი ღმერთს არანივთიერ სინათლეს, ჰეგელი კი აბსოლუტურ გონს უწოდებდა, რომელიც იმას ქმნის, რასაც გაითქმულებს. მისთვის შეუძლებელი არაფერია.

სამყაროს თუ კარგად დავაკვირდებით, ამოვიცნობთ, რომ იგი უსაზღვრო სიყვარულით და ალბათ, ტკივილითაც არის შექმნილი უზენაესის მიერ. ამასთან, სამყაროს შემოქმედი აბსოლუტური თავისუფლებაა და მისთვის მონური მორჩილება სრულიად შეუთავსებელია. ამიტომ, არჩევანის თავისუფლება მისცა ადამია-ნებს, მაგრამ გვაფრთხილებს: „თქვენ თავისუფლებისთვის ხართ მოწოდებულნი, ოღონდ ეს თავისუფლება არ გახდეს საბაბი ხორცის საამებლად, არამედ სიყვარულით ემსახურეთ ერთმანეთს“ (გალ. 5.13).

ღმერთი უმაღლესი სიკეთე, სიყვარული და პასუხისმგებლობა. ასე რომ არ იყოს არ განკაცდებოდა და ადამიანის ცოდვებს არ იტკიროთებდა. ჯვარცმით უფალმა აჩვენა რომ მთავარია სულიერი სიცოცხლე და არა მატერიალური ცხოვრება. არ დაგძლიოს ბოროტმა, არამედ შენ სხლიე მას სიკეთით. არცერთი ჩვენგანი არ ცოცხლობს საკუთარი თავისთვის და არავინ კვდება საკუთარი თავისთვის. უფლისთვის ვცოცხლობთ და გავდებით. გვინდა თუ არა ადამიანებს, უყვალანი წარვდგებით უფლის სამჯავროს წინაშე. მე ცოცხალი ვარ, – ამბობს უფალი, ჩემს წინაშე მოიძრიკება ყოველი მუხლი და ყოველი ენა აღიარებს ღმერთს „და ნუ და-ემსგავსებით ამ წუთისოფელს, არამედ შეიცვალენით თქვენი გონების განახლებით, რათა შეიცნოთ რა არის ღვთის ნება“ (რომ. 12.2).

მაგრამ ადამიანი, რომელიც მატერიალურ სხეულში მოქცეული ღვთიური სულის ნაწილია, დაბადების შემდეგ, თანდათან კარგავს უხილავთან კავშირის შინაგან შეგრძნებას და სხვადასხვა მატერიალური და ყო-ფითი ინტერესებით სული მძიმდება. ადამიანში ხდება ღვთიური ფასულობების გადაფასება. ადამიანს ხში-რად ავიწყდება მისი მომავლინებელი და მატერიალური ცხოვრებით ტებობა ცხოვრების საზრისი ჰეონია, რითაც იგი სამყაროს სულს, კოსმიურ წერიგს ანუ ღმერთს უპირისპირდება და ადამიანი სულიერად იღუპე-ბა. შედარებისათვის მარტივ მაგალითს მოვიყვან, რომელიც ერთი შეხედვით ძალიან უხეშ შედარებად შეიძ-ლება მოეჩვენოს ვინეს, მაგრამ, გადატანითი მნიშვნელობით, ცოცხლად აჩვენებს ზემოთ მოტანილი მსჯე-ლობის სურათს. წარმოიდგინეთ ავტოსატრანსპორტო ტრასა, რომელზეც ავტომანქანების უწყვეტი კოლონა მკაცრი რეგულაციებით მოძრაობს. საკარისია უეცრად ერთმა რომელიმე მათგანმა „წესი“ დაარღვიოს, სა-პირისპირი მიმართულებით გადაუხვიოს და ამ მანქანის მძღოლი საკუთარი მოქმედების მსხვერპლი ზღება, რადგან, საერთო წესრიგს დაუპირისპირდა. მსგავსი გარემოება იქმნება ღმერთთან, სულიერ სამყაროში, რო-ცა ადამიანი არღვეს უფლის შეგონებებს. ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ადამიანი სულიერ სიკვდილს ძა-ლიან გვიან იგებს, როცა აღარაფრის გამოსწორება აღარ შეუძლია. თავაშვებული ადამიანის სული, უპირის-პირდება რა კოსმიურ სულს, იღუპება, იფერფლება. ამიტომ არის, რომ ადამიანი შეიძლება ფიზიკურად ცოცხლობდეს, დიდი სიმდიდრეც ჰქონდეს და თავს ძალიან ბედნიერად გრძნობდეს, მაგრამ შემოქმედისთვის, სამყაროს გონისთვის, მკვდარი იყოს. ამდენად, ამქვეყნიური წარმატებები შესაძლოა სრულ არარობას წარ-მოადგენდეს უფლისთვის.

ადამიანი ზოგჯერ ფიქრობს: ამ ქვეყანაზე ერთხელ მოვდივარ და როგორც მინდა ისე ვიცხოვრებ; ეს არავისი საქმე არაა; ეს ჩემი პირადი საქმეა; როგორც მინდა ისე მოვიქცევი; ყველამ თავის თავს მიხედოს;

ჩემი სიმდიდრე ჩემი შრომით და ჩემი ნიჭით ვიშოვე. სხვებმაც იშრომონ და ექნებათ და ა.შ. მსგავსი ადამიანი უფლისოთვის არ არსებობს, არარაობაა.

ადამიანი გადაწყვეტილებების მიღებისას თავისუფალია. პავლე მოციქულთან ვკითხულობთ: „ოქვენ თავისუფლებისათვის ხართ მოწოდებულნი, ოღონდ ეს თავისუფლება არ გახდეს საბაბი ხორცის საამებლად, არამედ სიყვარულით ემსახურეთ ერთმანეთს... გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი... მაგრამ, თუ კბენთ და ჭამთ ერთმანეთს, ფრთხილად იყავით, ერთმანეთი არ მოსპოთ“ (გალ. 5.13-15). „აპა, მე ვამბობ, მოიქცით სულიერად და არ აღასრულებთ ხორცის გულისთქმებს. ვინაიდან, ხორცს სულის საწინააღმდეგო სურს, სულს კი – ხორცის საწინააღმდეგო. რაკი ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან, რათა აკეთოთ არა ის, რაც გსურთ... ხორცის საქმეები აშკარაა: ეს არის სიძვა, უწმინდურობა და თავაშვებულობა... მტრობა, ჩხუბი, რისხვა, შური, რისხვა, შუღლი, უთანხმოებანი, მჭვალებლობა, სიძულვილი, მკვლელობა, ლოთობა, გაუმაძღრობა და სხვა ასეთი. გეუბნებით... რომ ამის ჩამდენი ღვთის სასუფეველს ვერ დაიმკვიდრებენ. ხოლო, სულის ნაყოფია სიყვარული, სიხარული, მშვიდობა, სულგრძელობა, სახიერება, სიკეთე, ერთგულება... შეუშველეთ ერთმანეთს ტვირთის ზიდვაში და ამით აღასრულებთ ქრისტეს რჯულს“ (გალ. 5.16-23; 6.2).

ამრიგად, გამჩენმა ღმერთმა მოგვცა მთელი ეს ხილული ულამაზესი სამყარო, თავისუფლება და რჩევები. მაგრამ, როგორც ჩანს, მთლად ჩვენს ნებაზე არ და ვერ დატოვა ჩვენი ამქვეყნიური ცხოვრება. ისე მოაწყო სამყარო, რომ ყველაფერი ერთმანეთზეა დამოკიდებული და ერთიმეორითა განპირობებული. მზეს, ვრასკვლავებს, მიწას, წვიმას, თოვლს, ქარს, ფრინველს, ცხოველს, ყვავილს და ა.შ. ყველას და ყველაფერს შესაბამისი ფუნქცია აკისრია. ადამიანი, კი როგორც გვირგვინი, შემოქმედმა „ხატად თვისად“ შექმნა. მას ყველაფერზე ზრუნვა დააკისრა. განსაკუთრებული უფლებები და ვალდებულებები მისცა. ადამიანს შეუძლია შეიძენოს სამყარო, მაგრამ მის წინააღმდეგ არ უნდა იმოქმედოს. ადამიანსა და სამყაროს შორის ზიღული და უხილავი კავშირები ისეა დადგენილი და დეტერმინირებული, რომ კაცობრიობას მისი დარღვევის უფლება არ აქვს. თუმცა თავისუფლება მიცემული აქვს. მაგრამ, თუ უპასუხისმგებლოდ მოიქცევა თავს დაიღუპავს. ეს კანონზომიერება ამქვეყნიური ცხოვრების ყველა სფეროში ბატონობს. მათ შორის, ეკონომიკაში.

მაგალითად, მეწარმე, რომელმაც გადაწყვიტა ფეხსაცმელი დაამზადოს რათა გაყიდოს, პირველ რიგში ამას იმიტომ აკეთებს, რომ შემოსავალი მიიღოს. მაგრამ, მან იმავდროულად, ამ ფეხსაცმლის პოტენციური მყიდველის სხვადასხვა ინტერესებიც უნდა დააკმაყოფილოს (დიზაინი, ხარისხი, ფასი და ა.შ.), რათა მისი გაყიდვა შესძლოს. მაშასადამე, საკუთარი ინტერესების დაკმაყოფილებისათვის, აუცილებელია იმავდროულად მან სხვების ინტერესებიც დაიცვას. ვერაფერს ვერ მიიღებს ადამიანი იზოლირებულად, თუ სხვების ინტერესებს არ გაითვალისწინებს. მაშასადამე, პირადი და ზოგადი ინტერესები ერთმანეთის გარეშე არ არსებობს. სხვაგვარად ჰარმონია და სტაბილურობა ვერ მიიღწევა. ამიტომ გვაფრთხილებს უფალი: გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი და „ყოველივე, რასაც აკეთებთ, გააკეთეთ სულით, როგორც ღვთისათვის და არა როგორც კაცოთავის“ (კოლ. 3.23).

ამრიგად, ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა, რომელიც არის ბიზნესის კეთილი ნება, თავის თავზე აიღოს უფრო მეტი პასუხისმგებლობა, ვიდრე კანონით ევალება, სწორედ ადამიანის თანდაყოლილი ღვთიური მოვალეობების აღსრულების მნიშვნელოვან მიმართულებად შეიძლება ჩაითვალოს. ეს არის ერთერთი ეფექტური გზა, რითაც შეიძლება „დაუწივება ცაში“ და კაცობრიობა თანადათან აგნებს გზებს, რითაც იგი აღასრულებს ღვთიურ რჩევებს და ქმნის საკუთარი სულის მარადიული სიცოცხლის პერსეპტივებს.

უკანასკნელი წლების გამოცდილებამ დაადასტურა, რომ ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა არაა მხოლოდ საზოგადოების წინაშე მორალური პასუხისმგებლობების შესრულება. იგი კეთილისმყოფელ გავლენას ახდენს კომპანიის ბიზნესსაქმიანობაზეც, რადგან, ხელს უწყობს კომპანიის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, მისი იმიჯის გაუმჯობესებას. ეხმარება კომპანიას უკეთ მართოს საკუთარ საქმიანობასთან დაკავშირებული რისკები. მოიზიდოს ინვესტორები, ხნგრძლივად შეინარჩუნოს კარგი ურთიერთობები თა-

ნამშრომლებთან, მომწოდებლებთან, კლიენტებსა და მთლიანად საზოგადოებასთან. კომპანიებს, რომლებიც ითვალისწინებენ სოციალური პასუხისმგებლობების მოთხოვნებს, უკეთესი ფინანსური მაჩვენებლები აქვთ.

სოციალური პასუხისმგებლობა, როგორც ბიზნესის მართვის კონცეფციის ერთ-ერთი შემადგენელი კომპონენტი, საქართველოში XXI საუკუნიდან იღებს სათავეს. ეს თვემა პირველად 2005 წელს გააქტიურდა, როდესაც გაიმართა შეხვედრები ქართულ არასამთავრობო ორგანიზაციებსა და ბიზნეს სექტორს შორის. შეხვედრებს უფრო გაცნობითი და საინფორმაციო ხასიათი ჰქონდა. მიღებული იქნა პირველი მემორანდუმი სოციალურ სფეროში თანამშრომლობის შესახებ.

2007 წელს საქართველოში შეიქმნა გაეროს პროგრამის – „გლობალური შეთანხმება“-ის ქართული წარმომადგენლობა – „გლობალური შეთანხმება – საქართველო“ – დღეისათვის მისი წევრია 50-მდე ადგილობრივი ორგანიზაცია. მისი მიზანია საქართველოში ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის თემის პოპულარიზაცია და საერთაშორისო სოციალური ანგარიშების პრაქტიკის დაწერვა.

დღეს დასავლეთის ქვეყნებში აქტიური განხილვის საგანია, თუ როგორ წარმოადგინონ კომპანებმა მათ მიერ სოციალურ სფეროში გაეთხებული პროექტების შესახებ ინფორმაცია? ნებაყოფლობითი უნდა იყოს იგი, თუ სავალდებულო. მაგალითად, საფრანგეთში არსებოს მკაცრი საკანონმდებლო რეგულირება, რომელიც ადგილობრივ საფონდო ბირჟაზე დარეგისტრირებულ კომპანიებს ავალდებულებს გახსნან ინფორმაცია დაინტერესებული ჯგუფებისათვის. პასუხი გასცენ ისეთ კითხვებს, როგორიცაა ეკოლოგიური ნორმების დაცვა, დასაქმებულებისათვის ღირსეული პირობების შექმნა, ადგილობრივი საზოგადოების განვითარება-ში მონაწილეობა<sup>1</sup>.

განვითარებული ქვეყნების უმრავლესობაში საზოგადოებისათვის მონაცემების წარდგენა ნებაყოფლობით პრინციპებით დაუკავშირდებული. რაც უფრო გამჭვირვალეა კომპანიის საქმიანობა, მით უფრო მაღალი რეპუტაციით სარგებლობს იგი საზოგადოებაში, მიმზიდველი ხდება ინვესტორებისათვის, იწვევს მისი აქციების ფასის ზრდას საფონდო ბირჟაზე, რაც აისახება კიდეც მისი ფინანსური მაჩვენებლების ზრდაზე. მაგალითად, ნიუ-იორკის საფონდო ბირჟაზე დარეგისტრირებული კომპანიებისათვის სპეციალური ინდექსიც კი არსებობს, რომელიც ზრდის ფასს კომპანიის აქციებზე მისი სოციალური აქტივობებიდან გამომდინარე.

საქართველოში უკვე არსებობს სოციალური ანგარიშების წარმოების პრეცედენტები. კომპანიები: „ბრიტიშ პეტროლიუმ ჯორჯია“, ბანკი რესპუბლიკა, ვისოლი, ნატახტარი, თბილი ბანკი, მაგთიკომი, ჯეოსელი, გუდვილი და მრავალი სხვა. ისინი აქტიურ მონაწილეობას იღებენ სხვადასხვა სოციალური პროგრამების განხორციელებაში, როგორიცაა: შიდსით დაავადებულთა მკურნალობა, მზრუნველობა მოკლებული ბავშვების მხარდაჭერა, მოხუცთა თავშესაფრების დახმარება, გარემოს დაცვა, სპორტული ღონისძიებების მხარდაჭერა, მუსიკალური და ლიტერატურული კონკურსების, თეატრების, მხატვრების და სხვათა დაფინანსება. მათ უკვე შექმნეს პირველი ქართული ანგარიშები.

საქართველოში მოქმედი ბიზნესი, თავის შესაძლებლობებთან შედარებით, დიდ ფულს ხარჯავს სოციალურ პროექტებსა და ქველმოქმედებაზე. მაგრამ, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ბიზნესის სოციალური საქმიანობა არ იყოს ქაოტური, უნდა მოექცეს გარკვეულ სისტემაში. მჭიდროდ იყოს დაკავშირებული კომპანიის პრიორიტეტებთან და სტრატეგიასთან. შემუშავებული უნდა იქნეს სისტემური სოციალური პასუხისმგებლების პროექტები, როგორც ბიზნეს-გეგმის შემადგენელი ნაწილი.

ამრიგად, ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობების პრინციპების და პრაქტიკის დაწერვა საქართველოში დაეხმარება ბიზნეს სექტორის განვითარებას. ეს არის საზოგადოებასთან ეფექტური კომუნიკაციის, სტაბილურობის უზრუნველყოფის, მდგრადი განვითარების და ბიზნესის რეპუტაციის გამყარების დამატებითი ინსტრუმენტი. საზოგადოების სოციალური უთანაბრობის დაძლევის ერთ-ერთი ეფექტური გზა.

<sup>1</sup> ლექვინაძე ირაკლი, ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა საქართველოში, 2014, გვ. 3, [www.forbes.ge](http://www.forbes.ge)

ამრიგად, ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობების დამკვიდრება საქართველოში, წარმოადგენს: პირველი, მოყვასისადმი ღვთიური მოვალეობების აღსრულების საშუალებას; მეორე, თვით კომპანიების ფინანსური წარმატებების სერიოზულ ბერკეტს და მესამე, საზოგადოებრივი კეთილდღეობის და მდგრადი განვითარების მძლავრ ინსტრუმენტს. ყოველივე ამის შედეგად, საზოგადოება შეძლებს რეალურად აღასრულოს უზენაესის რჩევა: „ატარეთ ერთმანეთის ტვირთი“, რითაც საბოლოოდ მიიღება სოციალური სოლიდარობის და კეთილდღეობის ეკონომიკაზე დაფუძნებული ქართული სახელმწიფო თავისი ღირსეული მოქალაქეებით.

**Izolda Chiladze**

## **Business Social Responsibility and Christianity**

### **R e s u m e**

The paper deals with the essence of social responsibility of business and the Christianity. In addition, the role of social responsibility in the stable and progressive development of a company is discussed. Social responsibility is an ethical framework which suggests that an entity, be it an organization or an individual, has an obligation to act for the benefit of society. Social responsibility is a duty, every individual has to act in a way to maintain balance between the economy and the ecosystems.

Recognition and protection of social responsibility is consistent with the Christian faith, a man who is part of the divine soul, must feel responsible in all the areas of its activities. Which is reflected in the depth of God's appeal "carry one another's burdens". Man is the only creature on the earth, which the God imposed the responsibility to care for the world.

The establishment of business responsibility includes: first, possibility of performing divine duty for the human; second, an important tool for the company to achieve financial success; and the third, powerful instruments for social welfare and sustainable development. As a result, the public will be able to establish social solidarity and welfare-based economy in Georgia and have decent citizens.

The companies operating in Georgia spend significant funds on social projects and charity, but it is essential that the business activities should not be chaotic. They should be systemized and closely related to the company's priorities and strategies. The companies must work out a system of social responsibility projects, as part of their business plan.

We believe that in order to describe the quality of social responsibility of enterprises, it's preferable to use social responsibility index, which can be calculated by the correlation of enterprise net profit and the volume of spending on social activities.

## ჯემალ ხარისხოვაშვილი

### ადრეული ქრისტიანობის ეკონომიკური პერიოდის განვითარების შეხედულებები

ანტიკური პერიოდის ეკონომიკური აზრის ისტორიაში მნიშვნელოვანი აღგილი უკავია ქრისტიანობას. ქრისტიანობა წარმოიშვა რომის იმპერიის პირობებში და ფართო გავრცელება პოვა. იგი გახდა მსოფლიოს სამი ყველაზე გავრცელებული რელიგიებიდან ერთ-ერთი (ბუდიზმსა და მაპადიანობასთან ერთად). მან მემკვიდრეობა მიიღო ანტიკური პერიოდიდან და სრულიად განსაკუთრებული როლი შეასრულა შუა საუკუნეების ისტორიაში.<sup>1</sup>

ადრეული ქრისტიანობა აღიარებდა, რომ ღმერთის წინაშე ყველა ადამიანი თანასწორია და დედამიწაზე ცხოვრების დროს ისინი ცდილობენ დაიმსახურონ საიქიონ ნეტარება. როგორც პროფ. გ. შიხაშვილი მიუთითებს „ქრისტიანული მოძღვრება გვასწავლის, რომ მიწიერი ცხოვრება არის დაუცხრო-მელი შრომის, სულიერი სრულყოფის და ზნეობრივი გმირობის დრო, მომავალი საუკუნო ცხოვრებისათვის ადამიანის თვით-შემზადების პერიოდი“.<sup>2</sup>

ქრისტიანობის თავდაპირებელი შინაარსი შემდგომ შეიცვალა – ეკლესიამ ცნო კერძო საკუთრება და საზოგადოების კლასებად დაყოფა. ეკლესია ცალკეული პირების მიერ დიდი რაოდენობით სიმდიდრის მოხვეჭას ცოდვად თვლიდა, მაგრამ ამის პატიება შეიძლებოდა შეწირულობის გაღებით<sup>3</sup>. ეკონომიკური საქმიანობის პროცესში ზოგიერთ ადამიანს დიდაღი ქონება უგროვდება. ბიძლიაში უხვად არის მაგალითები მდიდარი და ამასთან, მართალი, კეთილი, ღმერთისთვის სათნო ადამიანებისა. ასეთები არიან: აბრაამი, ისააკი, იაკობი, იოსები, დავითი, სოლომონი, იოსაფატი, იობი, იოსებ არიმათიელი და სხვ. სიმდიდრის კეთილად გამოყენებით ადამიანს შეუძლია ცათა სასუფეველს მიაღწიოს, უკეთური მდიდარი კი ჯოჯოხეთში ხვდება – აღნიშნავენ ქართველი მოაზროვნები გ. შიხაშვილი და ო. სვანიძე.<sup>4</sup>

შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპის ეკონომიკური აზრის განვითარებაზე დიდი გავლენა მოახდინა კათოლიკურმა ეკლესიამ. კათოლიკური ღვთისმეტყველებისა და საეკლესიო ოურისტების (ე.წ. კანონისტების) დოქტრინები მნიშვნელოვანი ზომით ემყარებიან ანტიკურ ტრადიციებს, განსაკუთრებით არისტოტელეს თხზულებებს. კანონისტების ეკონომიკური შეხედულებები რელიგიურადაა წარმოდგენილი „კანონისტიკური სამართლის კრებულში“, რომელიც შედგენილია XII საუკუნეში ბოლონიელი ბერის გრაციანის მიერ. ამ კრებულის მიხედვით იდეალურია საერთო საკუთრება. ამავე დროს იგი აცხადებს, რომ კერძო საკუთრებაც აუცილებელია, როგორც სასჯელი ადამიანთა სისასტიკისთვის. აღნიშნული კრებული წარმოების ჭეშმარიტ ფაქტორებად მნიშვნელოვანი მიჩნევდა. აქედან გამომდინარე ქრისტიანის ღირისებისათვის შესაფერისად თვლიდა მიწათმოქმედებას და ხელოსნობას. იგი უკარისით გაფრინდა და მევახშეობას.

შუა საუკუნეების კათოლიკიზმის ეკონომიკური დოქტრინა ყველაზე სრულად გამოხატა ცნობილმა იტალიელმა ღვთისმეტყველმა თ. აქვინელმა, (თ. აქვინატმა, 1225-1275).<sup>5</sup> იგი იყო ფილოსოფოსი, თეოლოგი, Doctor Angelikus, Doctor Universalis, „Prisips Philosophorum (ფილოსოფოსების თავადი)“, თომიზმის ფუძემდებელი, დომინიკანულთა ორდენის წევრი. 1323 წელს ის გამოცხადებულ იქნა წმინდანად.<sup>6</sup>

<sup>1</sup> История экономической мысли, Под. Ред. И. Д. Удальцова и Ф. Я. Полянского, ч.1, М., 1961, ст. 81.

<sup>2</sup> შიხაშვილი გ., თეოლოგიური ეკონომიკის არსი, მიზანი და ამოცანები, იხ. „ქრისტიანობა და ეკონომიკა“, VII სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა კრებული, გორი, 2013, 30 ივლისი, გვ.108.

<sup>3</sup> Всемирная история экономической мысли, Под. Ред. В. Н. Черковеца, ч.1. М., 1987, ст.153-157.

<sup>4</sup> შიხაშვილი გ., სვანიძე ი., სამეურნეო-მმართველობითი თემატიკა ახალ აღთქმაში, იხ. „ქრისტიანობა და ეკონომიკა“, VII სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა კრებული, გორი, 2013, 30 ივლისი, გვ. 115-116.

<sup>5</sup> Фома Аквинский. Википедия.

<sup>6</sup> Всемирная история экономической мысли, Под. Ред. В. Н. Черковеца, ч. 1. М., 1987, ст.153-157.

თ. აქვინელი იყო შუა საუკუნეების დიდი ღვთისმეტყველი, რომლის მოძღვრებაც დღესაც წარმოადგენს ვატიკანის ოფიციალურ ფილოსოფიას. მისი თხზულებები კათოლიციზმის ენციკლოპედიად იქცა. მათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია „ოფიციალური ფილოსოფია“.

XIII საუკუნემდე ეკლესიის მსახურთ ნაკლებად აინტერესებდათ ეკონომიკური საკითხები. ამ მიმართულებით წინ გადადგა ნაბიჯი თომა აქვინელმა. თ. აქვინელი ცენტრალიზებული ზელისუფლების მომხრე იყო. იგი გრძნობდა სწრაფვას სოციალური თანასწორობისაკენ და მხარს უჭერდა იერარქიულ საზოგადოებას. თ. აქვინელი გვერდს ვერ აუვლიდა კერძო საკუთრების დაცვას. იგი გარკვეული ზომით ეთანხმებოდა აზრს, რომ ნივთები ეკუთვნის ღმერთს, ხოლო ადამიანებს დროებით შეუძლიათ მათით ისარგებლონ. იმავე დროს იგი აცხადებდა, რომ კერძო საკუთრება აუცილებელია საერთო სიკეთისათვის. „ადამიანს უფლება აქვს მიითვისოს სიმდიდრე“.<sup>1</sup> თ. აქვინელი ამართლებდა სიმდიდრის დაგროვებას. მისი აზრით სიმდიდრე თავის თავში არ შეიცავს განსაკუთრებულობას. ის წარმოადგენს ადამიანური საქმიანობის შედეგს, ისე როგორც კერძო საკუთრების უფლებაცო. თ. აქვინელი განარჩევდა ბუნებრივ და ზელოვნურ სიმდიდრეს. პირველს მიაკუთვნებდა კვების პროდუქტებს, სასმელებს, საცხოვრებელს, ცხოველებს, მიწის საკუთრებას და ა.შ. ოქროსა და ვერცხლს აკალიფიცირებდა ხელოვნურ სიმდიდრედ, რომელიც არ შეიძლება ადამიანის მიზანი იყოს. უკანასკნელის ამოცანა მორალური სრულყოფილება.<sup>2</sup>

თ. აქვინელი ნატურალურ მეურნეობას თვლიდა ნორმალურ მოვლენად და ადამიანთა კეთილდღეობის საფუძვლად<sup>3</sup>. ის განსაკუთრებული სიმპათით იყო განშეჭვალული ნატურალური მეურნეობისადმი, რომელიც გაცვლას არ საჭიროებს, მაგრამ იგი იძულებული იყო ელიარებინა, რომ მხოლოდ იშვიათ შემთხვევაშია შესაძლებელი გაცვლის გვერდის ავლა. შემდგომში თ. აქვინელი შეეგუა შექმნილ ვითარებას და აცხადებდა, რომ ცხოვრებისათვის აუცილებელი საგნების შესაძნად დასაშვებია ვაჭრობა.<sup>4</sup>

ამასთან, ვაჭრობის გამოყენებას მეორეხარისხოვან მნიშვნელობას ანიჭებდა, ამიტომ იგი მსჯელობს გაცვლის ორგანიზაციაზე და აღნიშნავს, რომ გაცვლა მოტყუების გარეშე უნდა განხორციელდეს. მისი გაგებით ფასი შრომის დანახარჯთან უნდა იყოს დაკავშირებული და საქონელთა გაცვლა კი ეკვივალენტური.<sup>5</sup>

თ. აქვინელის მოძღვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სამართლიანი ფასების თეორიას. მისი მტკიცებით, სამართლიანი ფასი უნდა ემყარებოდეს გაცვლის ობიექტურ პირობებს. შუა საუკუნეების მიწათმოქმედებმა და ხელოსნებმა კარგად იცოდნენ თავიანთი პროდუქტების ღირებულება. ამიტომ გაცვლის დროს ისინი უნდა გამოსულიყვნენ პროდუქტების წარმოებაზე დახარჯული შრომიდან. ამასთან, თ. აქვინელი აღნიშნავდა, რომ გაცვლის დროს გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო წოდებრივი პრინციპიც. მას სამართლიანდ მიაჩნდა ისეთი ფასი, რომელიც გამყიდველს შესაძლებლობას აძლევს საზოგადოებაში იცხოვოს მდგომარეობის შესაბამისად.<sup>6</sup>

ასეთივე რაგურსით უდგება ის შრომის საზოგადოებრივ დანაწილებასაც. იგი მას განიხილავდა როგორც ბუნებრივ მოვლენას და თვლიდა, რომ ის ეყრდნობოდა საზოგადოების ფენებად დაყოფაზე. თ. აქვინელის თქმით, „როგორც ფუტკრების ოჯახში ერთი აგროვებენ ნექტარს, სხვები ცვილისაგან უკრედს აშენებენ, ხოლო დედა ფუტკარი სრულიად არ მონაწილეობს მატერიალურ შრომაში, ასევე ადამიანებშიც: ერთმა მიწა უნდა დაამუშაოს, სხვებმა სახლი ააშენონ, ხოლო ადამიანთა ნაწილი თავისუფალი უნდა იყოს საერთო საქმისაგან. მათ თავი უნდა შესწირონ სულიერ შრომას, სხვების სახლის გადასარჩენად“. ამასთან, თ. აქვინელი აღნიშნავდა, რომ მდიდრები ვალდებული არიან დაეხმარონ დარიბებს... ადამიანებთან დაამყარონ მშვი-

<sup>1</sup> Всемирная история экономической мысли, Под. Ред. В. Н. Черковеца, ч. 1, М., 1987, ст.176.

<sup>2</sup> История экономической мысли, Под. Ред. И. Д .Удальцова и Ф. Я. Полянского, ч.1, М.,1961, ст.111.

<sup>3</sup> იქვე, გვ.110.

<sup>4</sup> იქვე, გვ.109.

<sup>5</sup> ბერაძე ს., ჭანუყვაძე გ., კრავცოვი ი., ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია, ნაწ. 1, თბ., 1973, გვ. 37.

<sup>6</sup> ხარიტონაშვილი ვ., ეკონომიკურ მოძღვრებათა რეტროსპექტივა და თანამედროვე პრობლემები, ნაწ. 1, თბ., 1997, გვ. 76, 34.

დობიანი ურთიერთობა და გაიღონ მოწყვალება იმ ზომით, რომელიც ზიანს არ მიაყენებს მათ სოციალურ მდგომარეობას. ის დასაშვებად მიიჩნევდა სხვისი ქონების მითვისების ნებისმიერ ფორმას, თუ ეს არ ხდება ქურდობისა და ძარცვის გზით.<sup>1</sup>

თ. აქვთნელი ამტკიცებდა, რომ სამეურნეო ურთიერთობები სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფილი უნდა ყოფილიყო. იგი თვლიდა, რომ ყოველი სახელმწიფოსათვის უფრო მიზანშეწონილია პროდუქტები მიიღოს თავისი ტერიტორიიდან და არა საგარეო ვაჭრობიდან (ეს მდგრადი ეკონომიკის ჩანასახია, ჯ.ხ.). მისი აზრით უცხოელებთან ურთიერთობა რყვნის მოქალაქებს, ვაჭრებს მოაქვთ ბიწიერება. კათოლიციზმი იზიარებდა ანტიკურ ტრადიციებს და გმობდა მსხვილ ვაჭრობას და მევაზშეობას. შემდგომში ამ საკითხზე კომპრომისული გადაწყვეტილება მიიღო, რადგან საკრედიტო ოპერაციებმა დიდი გავრცელდა პოვა. მაგრამ თ. აქვთნელი მაინც მიუთითებდა, რომ მევაზშეობა და სარგებელი საზოგადოებაში უნდა არსებობდეს გარკვეული ზომიერებით. უნდა აღინიშნოს, რომ სხვადასხვა დროის რელიგიური ლიდერები: მოსე, არისტორქელე, მუჰამედი, ლუთერი, ცვინგლი და განდი ცდილობდნენ აღმოეფხვრათ სოციალური უსამართლობა, რომელიც გამოწვეული იყო პროცენტის მუდმივი გადახდევინებით – აღნიშნავს პროფ. მ. ჩიქობავა.

გვსურს მსჯელობა გაგაგრძელოთ შეუსაუკუნების მართმადიდებლური ეკონომიკური აზრის დახასიათებით. ძველ რუსულ მართლმადიდებლურ წყაროებში თავისი გამოხატულება ნახა მევაზშეობის საკითხმა. რუსული ეკლესია გამოდიოდა პროცენტის გადახდევინების წინააღმდეგ. ეკლესია კრძალავდა ზუცესთა მევაზშეობას (ამ მხრივ აღსანიშნავია ამბავი შჩილას შესახებ) ერისკაცებისაგან კი მოითხოვა არ აეღოთ მაღალი პროცენტი. შეიძლებოდა გადახდევინება მსუბუქად. თუმცა, სიმსუბუქის გაგება თავისუბური იყო, 60-70% დაბალ პროცენტად ითვლებოდა.

XVI საუკუნეში რუსეთში მღვდელი სილვესტრის მიერ შექმნილ იქნა ნაწარმოები „დომოსტრო“. ამ თხზულებაში გადაჭრილია ნატურალური მუურნეობის პრობლემები. ამასთან, ასახვა ჰპოვა სასაქონლო წარმოების ზრდამ, რომელიც დამახასიათებელია XVI საუკუნისთვის, როდესაც ფართოვდებოდა შინაგანი ბაზარი და ვითარდებოდა საგარეო ვაჭრობა. „დომოსტრო“ მიუთითებს როგორ უნდა განაგონ მუურნეობა, შეინახონ მარაგები. საურველადაა მიჩნეული ნატურალური და ნახევრად ნატურალური ტიპის მუურნეობა, სადაც ყველა აუცილებელი მიიღებოდა საკუთარი მუურნეობიდან და არა შეძენით. ვისაც არა აქვს მაჟლი ან სოფელი, ზამთრისთვის უნდა იყიდონ პური და პროდუქტები (ეს რაციონალური მოლოდინის თეორიის ჩანასხებია. ჯ.ხ.)

XVI საუკუნის შუახანებში რუსეთში მღვდელი ერმოლაი-ერაზმის მიერ შექმნილ იქნა საინტერესო თხზულება „პრავიტელნიცა“, „რომელიც ავითარებდა რეფორმის გეგმას. წინადაღებას იძლეოდა შეცვლილიყო საგადასახადო სისტემა, კანონით განსაზღვრულიყო საგლეხო ბეგარა და ა.შ. ერმოლაი-ერაზმიც ნატურალური მუურნეობის მომხრე იყო. ამიტომ, ის სიმდიდრეს განიხილავდა, როგორც სახმარ ღირებულებათა მასას. სიმდიდრის წყაროს იგი შრომაში ხედავდა და თვლიდა, რომ სახელმწიფოს სიმდიდრეს საფუძვლად უდევს გლეხების შრომა. ამიტომ ის წანადაღებას იძლეოდა გაუმჯობესებულიყო გლეხების მატერიალური მდგომარეობა, მსხვილ ვაჭრობასა და მევაზშეობას ერმოლაი-ერაზმი უარყოფითად ეკიდებოდა. იგი თვლიდა, რომ ვაჭრებისა და მევაზშეების სიმდიდრე პირად შრომას კი არ ემყარება, არამედ სხვა ადამიანების მოტყუებას<sup>2</sup>.

XVIII საუკუნეში საქართველოში საყურადღებო ეკონომიკური აზრი გამოთქვა დიდმა ქართველმა იგავთმწერალმა და პოლიტიკურმა მოღვაწემ, მართმადიდებელ-კათოლიკე მოაზროვნებ სულხან-საბა თრბელი-ანმა. მან თავის ნაშრომში „სიბრძნე სიცხრუისა“, დასვა მნიშვნელოვანი პრობლემა საკუთრების რაობის შესხებ.

ორბელიანის ერთ-ერთ არაგმი – „ორი მდიდარი“<sup>3</sup> ერთმანეთს დაპირისპირებულია ორი მდიდარი: ფულით, ძვირფასი განძეულობით მდიდარი და მარცვლეულით მდიდარი. ამ დაპირისპირებაში გამარჯვებული

<sup>1</sup> თოდუა გ., ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია, ნაწ. 1, თბ., 2004, გვ. 308.

<sup>2</sup> История экономической мысли, Под. Ред. И. Д. Удалецова и Ф. Я. Полянского, ч.1. М., 1961, стр.151.

<sup>3</sup> სულხან-საბა თრბელიანი, სიბრძნე სიცხრუისა, თბ., 1970, გვ. 150-152.

გამოდის მარცვლეულით მდიდარი და მტკიცდება, რომ ნამდვილი და უფრო საქები სიმდიდრე სოფლის მეურნეობის პროდუქტებია. მეორე არაკში – „ორი ძმანი“,<sup>1</sup> ძმები ერთმანეთს პატივისცემას ცდილობენ იმით, რომ თითოეული თავის ორმოდან ზორბალს იღებს და მაღვით მეორის ორმში ყრის. როგორც ვხედავთ ორბელიანი სიმდიდირის წყაროს ეძებდა სოფლის მეურნეობაში. სიმდიდრის წყაროდ აღიარებდა წარმოების სფეროს – მიწათმოქმდებას და არა მიმოქცევის სფეროს ვაჭრობას. მისი აზრით, სიმდიდრე წარმოებაში იქმნება, პროდუქტი უკვე გაზრდილია დირებულებაში, სანამ იგი მიმოქცევაში გადავიდოდეს.<sup>2</sup> ორბელიანი გამოდიოდა წრეგადასული მევახშეობის წინააღმდეგაც, მაგრამ სესხზე ზომიერი სარგებლის დაწესებას მიზანშეწონილად თვლიდა.<sup>3</sup>

ადრეულ პერიოდში გამოთქმული ეკონომიკური იდეები უდავოდ გამოსაყინებელია თანამედროვე საზოგადოებაში. დღესდღეისობით კვლავ აქტუალურია მევახშეობის პრობლემა „თანამედროვე გლობალური ეკონომიკურ კრიზისის საფუძველია ის, რომ არსებული სისტემა უფრო მევახშეობას, სპეციალისა და სისარბეს, რაც საღვთო განვებულობის საწინააღმდეგოა“.<sup>4</sup> გაჭირვებული ადამიანები, რომლებსაც შვილისათვის წამლის საყიდელი ფული არ გააჩნიათ, ბანკებიდან სესხს იღებენ და იპოთეკაში ბინას დებენ. სესხს ვეღარ ფარავენ და უბინაოდ რჩებან. საჭიროა ამ საკითხებზე სახელმწიფოუნივერსიტეტის ზრუნვა.

თანამედროვე საქართველოში ფრიად მნიშვნელოვანი ეკონომიკური იდეები გააჩნია საქართველოს კათალიკოს პატრიარქ ილია II-ს. მისი სადღესასწაულო ეპისტოლები მომწიფებული, აქტუალური პრობლემებით არის გაუღენთილი. ილია II წუხილს გამოთქვაში მევახშეობის საკალალო შედეგებზე, დასაქ-მების პრობლემაზე და ა.შ. მისი თქმით „აუცილებელია სახელმწიფოს მხრიდან დახმარება სუბსიდიებისა და გრძელვადიანი კრედიტის სახით“. უწმინდესი და უნეტარესი მიიჩნევს, რომ „შედეგიანი იქნება საგადასახალო ამინისტიის გამოცხადება, რომელიც საქართველოში მოქმედ ყველა იურიდიულ და ფიზიკურ პირს გაანთავისუფლებს სანქცია-საურავებისაგან“. 2015 წლის საშობაო ეპისტოლებში ილია II მიუთითებს, რომ „მდგომარეობის გამოსწორება სამუშაო ადგილების შექმნასა და ანაზღაურების გაუმჯობესებას შეუძლია. თუ ეს განხორციელდა დიდად შეეწყობა ხელი... ცხოვრებას, ასე თუ ისე, ნორმალურ კალაპოტში ჩადგომას“<sup>5</sup>. ილია II ქვეყნის ეკონომიკური კრიზისის დაძლევაში განსაკუთრებულ როლს ანიჭებს სოფლის მეურნეობას. იგი აღნიშნავს, რომ „საქართველო ყოველთვის იყო და კვლავაც უნდა გახდეს ვაზისა და ხორბლის ქვეყანა... ჩვენი წინაპრისათვის ღვინო და პური, გარდა თავისი ჩვეულებრივი მნიშვნელობისა, მაცხოვრის ხორცისა და სისხლის სიმბოლოს უკავშირდება და ამიტომაც ქართველ გლეხს მათდამი ყოველთვის განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდა და განსაკუთრებულადაც უვლიდა; და ეს უნდა აღდგეს... ვფიქრობ ჩვენთან ეკოლოგიურად სუფთა და კონკურენტუნარიანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების კარგი შესაძლებლობა გვაქვს და ამ სახით მსოფლიო ბაზარზე დამკაიდრების პრესპექტივაც“<sup>6</sup>.

აქტუალურია მდგრადი ეკონომიკის შემნის თემაც, რომ ექსტრემალურ სიტუაციებში (ომი, სტიქიური უბედურებები და ა.შ.) ქვეყნას შეეძლოს სხვებისაგან დამოუკიდებლად იარსებოს. ნათქვამია „სოფელი ღონიერია, თუ კაცი გონიერია.“ ეს ანდაზაც შეიძლება გაზიარებულ იქნეს. საქართველო ხელსაყრელი ბუნებრივი კლიმატის ქვეყანაა. ზოგიერთი პროდუქტი (ლობიო, სიმინდი, მწვანილი) წელიწადში ორჯერ მოდის. კარგი გარჯით, საქართველოს აყვავება თავისუფლად შეიძლება.

<sup>1</sup> სულხან-საბა ორბელიანი, სიბრძნე სიცრუისა, თბ., 1970, გვ. 104.

<sup>2</sup> ხარიტონაშვილი ჯ., ეკონომიკურ მოძღვრებათა რეტროსპექტივა და თანამედროვე პრობლემები, ნაწ. 1, თბ., 1997, გვ. 76.

<sup>3</sup> თოდუა გ., ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია, ნაწ. 1, გვ. 373.

<sup>4</sup> ჩიქობავა მ., თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი ქრისტიანული თვალთახედვით. VII სამეცნიერო კონფერენციის – „ქრისტიანობა და ეკონომიკა“ მოსსენებების კრებული, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ, 2010წ., 25 იანვარი, გვ. 176.

<sup>5</sup> ილია II-ის 2015 წ. საშობაო ეპისტოლე, გაზ. „რეზონანსი“, 8. I, 2015, გვ. 5.

<sup>6</sup> ილია II-ის 2009 წლის საშობაო ეპისტოლე, უ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, №1, 2009 წ., გვ. 17-18.

**Jemal Kharitonashvili**

## **Economic Views of the Early Christianity**

### **R e s u m e**

Christianity has emerged in Roman Empire. It originated from ancient times and played an important role in the history of middle ages.

Antique Christianity recognized that every person is equal before the God and that they should deserve bliss in the future life by their life on the Earth. Afterwards the church recognized private property. According to the theology and ecclesiastical lawyers (canonists) joint property is ideal one and at the same time private property is necessary as well. T. Akvineli agreed to the opinion that things belong to the God and people may have them in temporary possession. At the same time, he reckoned that private property is necessary for common good. Main part of T. Akvineli's doctrine is dedicated to the theory of fair prices. He argues that fair price shall be based on fair conditions.

Orthodox economic thinking of the middle ages depicts the issue of moneylenders. The Church prohibited moneylending for ecclesiastical and the secular people were not allowed to ask for high interest rates. Georgian thinker Sulkhan-Saba Orbeliani was against exorbitant moneylenders. He considered manufacturing and agriculture as the source of wealth and not the turnover or trade.

Nowadays, theologians express their concern regarding the issue of moneylending. The issue of sustainable economy is actual among them as well.

## ქრისტიანობა და სოციალურ-ეკონომიკური ასახვები, როგორც გემოგრაფიული ფონის განვითარების ზარალი

სოციალურად ორიენტირებული ბაზრის ჩამოყალიბების პროცესში აუცილებელი ხდება მოსახლეობის ცხოვრების უზრუნველყოფის პირობების შესწავლა, რადგან ადამიანური რესურსის განვითარებაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა უნდა მოახდინოს სოციალურმა ინვესტირებამ. ადამიანის ცხოვრების პირობებზე, როგორც სოციალური ინვესტირების ობიექტზე, ზეგავლენას ახდენს მრავალი ფაქტორი, რომელთაც გააჩნიათ როგორც სუბიექტური, ისე ობიექტური ხასიათი. ობიექტურ ფაქტორებს შეიძლება მივაკუთვნოთ რეგიონის განვითარების დონე, მეურნეობის სტრუქტურა, ბუნებრივი პირობები, მეურნეობის ახალი ფორმების დანერგვა და ა.შ.

ბაზარზე რეგიონის გამოჩენით ფორმირდება ახალი კრიტერიუმები, რომელიც ამოაგდებენ საბაზრო ურთიერთობებიდან რომელიმე სუბიექტს, სახელდობრ რომელიმე სხვა რეგიონის ან ტერიტორიის ბაზრის მოცულობას. ცნობილია, რომ ბაზრის მოცულობა უწყვეტადაა დაკავშირებული საზოგადოებრივი შრომის სპეციალიზაციის ხარისხთან, ანუ შრომის დანაწილებასთან. რაც უფრო ღრმაა შრომის საზოგადოებრივი დანაწილება, მით უფრო ძლიერია ტერიტორიის მოცემულ ერთეულზე საწარმოებს შორის კოოპერაცია, მით უფრო ღრმაა ინტეგრაცია. რაც ნაკლებ მნიშვნელოვანია – სუბიექტური ფაქტორი. მაგალითად: სახელმწიფოს პოლიტიკა, მოსახლეობის სამეწარმეო აქტიურობა, რეფორმების გატარება, მიგრაციის შემცირება და ა.შ. შეიძლება ითქვას, რომ სუბიექტური ფაქტორები განსაზღვრავნ აბიექტური ფაქტორების ტენდენცის და სიჩქარეს.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სპეციფიკური თავისებურება, რომელსაც პირდაპირი ზემოქმედება შეუძლია ადამიანური რესურსის განვითარებასა და შესაბამისად სოციალური ინვესტირების ეფექტურობაზე, არის სოციალურ-დემოგრაფიული პროცესები.

ისევე, როგორც ნებისმიერი რესურსი არის შეზღუდული, ადამიანის საარსებო საშუალებები შეზღუდულია და ობიექტურად არსებულ ეკონომიკურ ურთიერთობებსაც აქვს მატერიალური საფუძველი მოსახლეობის რიცხოვნობის დინამიკაში. ადამიანისა და ბუნებას შორის წინააღმდეგობები იწვევს ამ ურთიერთობებში ახალი მიმართულებების ძიებას. მოსახლეობის კვლავწარმოების დემოგრაფიული ასპექტი წარმოადგენს ადამიანური რესურსის საერთო მოცულობის, როგორც სოციალური ინვესტირების ბუნებრივ საზღვარს. აქ განსაკუთრებულ ადგილს იკავებს მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა, როგორც მნიშვნელოვანი მახასიათებელი და ადამიანური რესურსის ხარისხობრივი და რაოდენობრივი ცვლილებების საფუძველი. თანამედროვე ცივილიზაციული ქვეყნები ხასიათდება შობადობის შემცირებით, რასაც ობიექტური და სუბიექტური ფაქტორები განაპირობებენ<sup>1</sup>. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის 2012 წლის სააღდგომო ეპისტოლებს მოხედვით, რაც ოფიციალური წყაროებითაც დასტურდება, ყოველწლიურად 36000 აბორტი ფიქსირდება და 1400 მკვდრადშობილი ბავშვია, ხოლო 2015 წლის საშობაო ეპისტოლებში აღნიშნულია: „განა შეიძლება ბედნიერი იყოს ის ოჯახი, სადაც აბორტი კეთდება და უსუსური პატარა არსებების უღვთოდ დაჩხებილი სხეულების აჩრდილები დადინა? და როგორი საშნიშვნებაა იმის წარმოდგენაც კი, რომ ყოველ წელს არაოფიციალური მონაცემებით მიღლიონამდე აბორტი კეთდება საქართველოში და ამის შემჩერებელი კერვერობით არავის არის. შეიძლება ოჯახი იყოს ბედნიერი, სადაც სუროგატი დედის მიერ დაბადებული ბავშვი იზრდება? ეს პატარა ხომ თავიდანვე გაწირეს უსყვარულობისათვის, მიუსაფრობისა და მარტობისათვის. იგი კეთილდღეობაშიც რომ გაიზარდოს, მუცლადყოფნის პერიოდის ამ სიმბიოს ვერაფერი შეცვლის და ეს აუცილებლად იჩენს თავს ზრდასრულ ასაკში. პრობლემური იქნებიან ის ბავშვებიც, რომ-

<sup>1</sup> ჯანელიძე ნ., სოციალური ინვესტირების თანამედროვე ფორმები საქართველოში, ქუთაისი, 2013, გვ. 70-71.

ლებიც ზელოვნური განაყოფიერებით დაიბადნენ და მათი სიცოცხლე მრავალი ემბრიონის განადგურების შედეგად განვითარდა<sup>1</sup>, რის შედეგსაც სავარაუდო საზოგადოება უახლოეს ათწლეულებში მიიღებს.<sup>1</sup>

ზემოთ აღნიშნული ფაქტი მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის როცხონობის დინამიკაზე. მაგალითად, საქართველოს შრომისუნარიანი მოსახლეობის რიცხოვნობა სტატისტიკის ეროვნული სამსახურების მონაცემების მოხედვით შეადგენდა (ათასი კაცი) 2001 წ. – 2919,9; 2002 წ. – 2797; 2009 წ. – 3004,8; 2010 წ. – 3058; 2011 წ. – 3099,3; 2012 წ. – 2995,5; 2013 წ. – 2668,9; 2014 წ. – 2965,9. როგორც ვხედავთ, ბოლოპპერთი წლის მონაცემებით, მოსახლეობის შრომისუნარიანი ნაწილის რიცხოვნობა თითქმის არ შეცვლილა. შრომისუნარიანი (15-60 წ. ქალი, 65 წ. მამაკაცი) მოსახლეობის ხვედრითი წლიდი მოსახლეობის საერთო რაოდენობაში შეადგენდა 2001 წ. – 66,3%-ს; 2002 წ. – 64%-ს, 2009 წ. – 68,5%, 2010 წ. – 68,9%-ს, 2011 წ. – 69,35%-ს, 2012 წ. – 66,6%; 2013 წ. – 59,52%; 2014 წ. – 60,46%.<sup>2</sup>

მოცემულ სიტუაციას აქვს ორმაგი მნიშვნელობა: ერთი მხრივ, შრომისუნარიანი მოსახლეობის რიცხოვნობის გაზრდა ემსახურება ეკონომიკური განვითარების პოტენციალის გაზრდას და მეორე მხრივ, ეკონომიკის განუვითარებლობის შემთხვევებში, მან შეიძლება ძლიერი ზეგავლენა მოახდინოს შრომის ბაზარზე. 2001 წელს 50 წლის და მეტის იყო 1218,7 ათასი კაცი, 2011 წელს -1201,9 ათასი. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ადამიანური კაპიტალი ჩვენს ქვეყანაში ჯერ-ჯერობით არის სტაბილური, მაშინ როცა მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში აქტიურად მომდინარეობს „მოსახლეობის დაბერების“ პროცესი, რაც უარყოფით გავლენას ახდენს მათი ქვეყნის შრომითი პოტენციალის მოცულობაზე.<sup>3</sup>

